

კ. ბ. ბელბახიანი, ვ. ს. ბერსამია

სამკურნალო პრეპარატები და მათი კლინიკური გამოყენება

მეორე შემწობი და შემცვლელი გამოცემა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და
საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის
მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმწიფო საშემდ-
ცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის

015-0

016-7

გ- 297

სკეპ-2000
გეოლოგიური

ა ვ ტ ო რ ე ბ ი ს ა ბ ა ნ

წიგნის — „სამკურნალო პრეპარატები და მათი კლინიკური გამოყენება“ — პირველი გამოცემა სწრაფად გავრცელდა. ეს იმას მოწმობს, რომ ასეთი ხასიათის წიგნზე ჩვენს სტუდენტობასა და საექიმო საზოგადოებაში დიდი მოთხოვნაა. ძირითადად ამან განსაზღვრა მეორე გამოცემა. მეორე მხრით ფარმაცოქიმიური მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, უზრუნველყო მრავალი ეფექტური პრეპარატის მოწოდება და ამანაც დააჩქარა წიგნის ხელახლა გამოშვება. თავისთავად ცხადია, ყველა ახალმა პრეპარატმა (სანამ არ ჩამოყალიბდა გარკვეული შეხედულება მათი თერაპიული ღირებულების შესახებ) ვერ პოვა თავისი ადგილი ამ წიგნის გვერდებზე.


გამოცემა შეესებულება მრავალი ახალი პრეპარატით, შეტანილია შესაბამისი ცვლილებები პირველი გამოცემის შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებების შესაბამისად, მეტი ყურადღება აქვს მიქცეული პრეპარატების დანიშვნისა და მიღების წესს, მხედველობაში მიღებულია აგრეთვე მკითხველთა შენიშვნებიც.

ვფიქრობთ, ეს გამოცემაც მიღებული იქნება ყურადღებით ჩვენი ახალგაზრდა ექიმების, ფარმაცევტული დარგის მუშაკებისა და სამედიცინო ინსტიტუტის უფროსი კურსის სტუდენტების მიერ.

ნარკოტიკული და ძილმოგვრელი საშუალებები

ადალინი

Adalinum



ადალინი-ბრომ-დიეთილ-აცეტილ-შარდოვანა წარმოადგენს თეთრ, კრისტალურ, უსუნო ფხვნილს, თითქმის არ იხსნება ცივ წყალში. ლღობის ტემპერატურაა 116 — 119°.

ხმარობენ როგორც დამამშვიდებელ საშუალებას ნერვული სისტემის სხვადასხვა ფუნქციური დაავადების დროს და აგრეთვე უძილობის შემთხვევებში.

დოზა: როგორც დამამშვიდებელი საშუალება — 0,2 — 0,3 გ 2—3 ჯერ დღეში; როგორც ძილის მომგვრელი — 0,5—0,75 გ ერთ-ჯერ, ძილის წინ 1 საათით ადრე.

ბავშვებს 6 თვემდე არ ენიშნება.

Rp.: Adalini 0,3

D. t. d. 10 in tabulettis

S. 2—3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი.

Rp.: Adalini 0,5


D. t. d. 10 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ ერთი საათით ადრე (დააყოლეთ ერთი ჭიქა თბილი ჩაი).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ნარინჯისფერ შუშებში.

ბ ა რ ბ ა მ ი ლ ი

Barbamylium



ბარბამილი — ეთილ-იზოამილ-ბარბიტურის მეფას ნატრიუმის მარილი — თეთრი, ამორფული, უსუნო ფხვნილია; კარგად იხსნება წყალსა და სპირტში.

იხმარება როგორც დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი საშუალება. ბარბამილით გამოწვეული ძილი 8 საათამდე გრძელდება. მას ფართოდ იყენებენ ხანგრძლივი ძილით მკურნალობის დროს და აგრეთვე მწვავე ფსიქიკური აგზნების შემთხვევებში.

დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა კორონაროსკლეროზის დროს. აძლიერებს ადგილობრივად საანესთეზიო საშუალებების მოქმედებას. თანამოვლენებია — თავბრუ, თავის ტკივილი, ატაქსია.

დოზები: როგორც სედატური ენიშნება 0,05 გ 2 — 3-ჯერ დღეში პაპავერინთან ერთად. როგორც ძილმომგვრელი 0,1—0,2—0,3 გ 3-ჯერ დღეში (ორი კვირის განმავლობაში, ხანგრძლივი ძილით მკურნალობის შემთხვევაში).

ფსიქიკური აგზნების დროს უნიშნავენ კუნთებში ბარბამილის 5% ხსნარის 5—10 მლ. მწვავე შემთხვევებში შეიძლება ხმარებულ იქნეს ვენაში—5—8 მლ (ნელა შეყვანით).

უმალღესი ერთჯერადი დოზაა — 0,5 გ, სადღელამისო — 1 გ. გამოშვებულია ფხვნილებისა და 0,1—0,2 გ ტაბლეტების სახით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებში.

Rp.: Barbamyli 0,2

D. t. d. 6 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ.

Rp.: Solutionis Barbamyli 5%—5,0

D. Sterilis S. კუნთებში ერთჯერ შესაშხაპუნებლად ფსიქიკური აგზნების დროს.


Rp.: Solutionis Barbamyli 2%—25,0

D. S. ოყნისათვის (ფსიქიკური აგზნების დროს).

ვერონალი

Veronalum

5,5—დიეთილბარბიტურის წყავა



ვერონალი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, მომწარო გემოსი, ცივ წყალში ცუდად იხსნება, ცხელ წყალსა და სპირტში—კარგად, ადვილად იხსნება ტუტეებში. ლღობის ტემპერატურა—189—191°.

იხმარება როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება. აქვს კუმულაციის თვისება და ამიტომ 3—4 დღის განმავლობაში მიღების შემდეგ საჭიროა შესვენება 2—3 დღით.

კუმულაციის (ვერონალიზმის) ძოვლენებია: საერთო სისუსტე, გულისრევა, პირღებინება, თავის ტკივილი.

დოზა უმაღლესი (მოზრდილთათვის) — ერთჯერადი — 0,5 გ, სადღეღამისო — 1,5 გ.

ბავშვებისათვის $\frac{1}{2}$ —1 წლის ასაკში—ერთჯერადი—0,075 გ, სადღეღამისო—0,15 გ; 3—4 წ.—ერთჯერადი—0,15 გ, სადღეღამისო—0,3 გ; 7—9 წ.—ერთჯერადი—0,25, სადღეღამისო—0,5 გ.

როგორც ძილმომგვრელი საშუალება მოზრდილებს ენიშნება ვერონალი 0,5 გ ძილის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე. ბავშვებს 1 წლამდე — 0,03 გ 1-ჯერ დღეში; 2—5 წ. — 0,05 გ ერთჯერ დღეში; 6—12 წ.—0,2 გ—0,25 გ-მდე დღეში ერთჯერ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ, 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ჭურჭელში.

Rp.: Veronali 0,5


D. t. $\frac{1}{2}$ 6 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ ($\frac{1}{2}$ — 1 საათით ადრე).

Rp.: Veronali 0,3
 Pyramidoni 0,2
 M. f. p. D. t. d. 6 in tabulettis
 S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ.

ლ უ მ ი ნ ა ლ ი

Luminalum



ლუმინალი მომწარო გემოს, უსუნო, თეთრი კრისტალური
 ფხენილა. თითქმის არ იხსნება ცივ წყალში, ძნელად—მდუღარეში
 (1:40), ადვილად იხსნება სპირტში და ტუტეთა ხსნარებში. ლლო-
 ბის ტემპერატურაა 174—177°.

აქვს ძილმომგვრელი, ანტისპაზმური და სედატური მოქმედება.
 იხმარება შიგნით ძირითადად უძილობის დროს და ეპილექსი-
 სიის საწინააღმდეგოდ; იყენებენ აგრეთვე ლუმინალს უფრო პატარა
 დოზებში ჰიპერტონიული დაავადების დასაწყისი ფორმებისა და
 სისხლძარღვთა სპაზმებთან დაკავშირებული მოვლენების დროს
 (შაკიკი, სტენოკარდია).

ხშირად ლუმინალს უნიშნავენ სხვა სპაზმოლიზურ საშუალებ-
 ბებთან ერთდროულად (პაპავერინი, სალსოლინი, დიბაზოლი, თეო-
 ბრომინი).

ლუმინალს აძლევენ შიგნით (როგორც ძილმომგვრელს) 0,1—
 0,2 გ ერთჯერ, როგორც დამამშვიდებელსა და ეპილექსიის საწინ-
 ააღმდეგოდ—0,03—0,05 გ ორჯერ დღეში, ხოლო როგორც სპაზ-
 მოლიზურს 0,01—0,03 გ 2-ჯერ დღეში.

ბავშვებს უნიშნავენ დოზებში: 1 წლამდე—0,005 გ, 2—5 წ.—
 0,02 გ, 6—12 წ.—0,04 გ.

თანამოვლენებია (ხანგრძლივად მიღების შემთხვევაში) სისხ-
 ლის წნევის დაწევა, თავბრუ, გულისრევა, დამტერეულობა, კანზე
 გამონაყარი.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,3 გ, სა-
 დღეღამისო—0,6 გ.

ბავშვებისათვის უმაღლესი დოზა:

1/2 წლამდე—ერთჯერადი—	0,005 გ	სადღეღამისო—	0,01
1/2—1 წ.	"	0,01	" 0,02
2 წ.	"	0,02	" 0,04
3—4 წ.	"	0,03	" 0,06
5—6 წ.	"	0,04	" 0,08
7—9 წ.	"	0,05	" 0,1
10—14 წ.	"	0,075	" 0,15

გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში—0,05 და 0,1 გ, და აგრეთვე ტაბლეტებში სხვადასხვა საშუალებებთან ერთად (პაპავერინი, სალსოლინი, პირამიდონი, დიბაზოლი, თეობრომინი და სხვ.).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ შინის ქილებში.

Rp: Luminali 0,1

D. t. d. 6 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ 1/2 საათით ადრე.

Rp.: Luminali 0,05

Medinali

Pyramidoni \overline{aa} 0,25

M. f. p. D. t. d. 12

S. თითო ფხენილი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Luminali

Salsolini hydrochlorici \overline{aa} 0,02

Theobromini 0,25


D. t. d. 6 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

მ ე დ ი ნ ა ლ ი

Medinalum

5,5 — დიეთილბარბიტურის შეავის ნატრიუმის მარილი



მედინალი თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს უსუნო ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, ცუდად—სპირტში და არ იხსნება ეთერში.

ჩვენება ისეთივეა, როგორც ვერონალისა, ხოლო შეიწოვება უფრო სწრაფად და მოქმედებს უფრო ძლიერად. ნაკლებ ტოქსიკურია.

დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,75 გ, სადღეღამისო — 1,5 გ; ბავშვებისათვის—როგორც ვერონალისა.

იხმარება ზოგჯერ საინექციოდაც 10% ხსნარის 5 მლ, ნოვოკაინის დამატებით (0,005 გ).

გამოშვებულია ტაბლეტებსა—0,3 გ და ფხვნილებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ მინის კურკელში.

Rp.: Medinali 0,5

D. t. d. 6

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ 1-ჯერ დღეში.

Rp.: Medinali 0,5

Novocaini 0,005


Aq. destillatae 5,0

D. t. d. 6. in ampulis

S. ერთი ამპულა ძილის წინ 1-ჯერ დღეში.

ნ ე მ ბ უ ტ ა ლ ი

Nembutalum



თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს ფხვნილია, იხსნება წყალში, სპირტში და არ იხსნება ეთერში.

იხმარება როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება ფსიქიკური აგზნებულობისა და ისტერიის დროს. თავისი მოქმედებით ახლოს დგას ბარბამილთან, მხოლოდ ავადმყოფები მას უფრო ადვილად იტანენ.

უნიშნავენ შიგნით როგორც ძილის მომგვრელ საშუალებას ტაბლეტებში—0,1—0,2 გ დღეში, ხანგრძლივი ძილით მკურნალობის შემთხვევაში აძლევენ ასეთსავე დოზებში 3—4-ჯერ დღეში.

როგორც სედატური საშუალება ნემბუტალი იხმარება 0,03—0,05 გ თითო მიღებაზე.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,5 გ, სადღელამისო — 1 გ.

უკუჩვენებას წარმოადგენს: ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციური უკმარისობა, მძიმე ანემია, ბრონქული ასთმა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,1 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში.


Rp.: Nembutali 0,1

D. t. d. 6 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი ძილის წინ.

ნოქსირონი

Noxyron



უფერული კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში. ღლიობის ტემპერატურაა 85—87.°

ნოქსირონს ძირითადად იყენებენ როგორც ძილმომგვრელ და აგრეთვე დამამშვიდებელ საშუალებას. იგი ნაკლებ ტოქსიკურია, მალე გამოდის ორგანიზმიდან და არ იძლევა კუმულაციის მოვლენას.

პრეპარატის მიღებიდან 20—30 წუთის განმავლობაში ავადმყოფი ჩვეულებრივად იძინებს, ძილი გრძელდება დაახლოებით 5—6 საათს.

თანამოვლენა (თაგბრუ, სიმპრალე პირში) იშვიათად ვითარდება.

უნიშნავენ შიგნით მოზრდილებს 0,25 — 0,5 გ 1-ჯერ დღეში ძილის წინ, ბავშვებს ეძლევა 0,1—0,25 გ 1-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,25 გ.

ინახება მოფრთხილებით.


Rp.: Noxyroni 0,25

D. t. d. 6 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ.

პ ა რ ა ლ დ ე ჰ ი დ ი

Paraldehydum



უფერული, გამჭვირვალე, თავისებური უსიამოვნო სუნისა და ცხარე გემოს სითხეა. იხსნება წყალში (1:9), კარგად განზავდება ეთერსა და სპირტში. დუღილის ტემპერატურაა 120—123°. აალება ადვილად ხდება. ხანგრძლივად შენახვისას ჰაერისა და სინათლის ზეგავლენით გამოყოფს ძმარმეფას, რაც უვარგისად ხდის მას ხმარებისათვის.

იხმარება როგორც ძილპომგვერელი და დამამშვიდებელი საშუალება. ამ მხრივ იგი წააგავს ქლორალჰიდრატს, მხოლოდ იჩენს ნაკლებ ტოქსიკურობას. ძილი იწყება 10—15 წუთის შემდეგ და გრძელდება 6—8 საათს.

უნიშნავენ ლორწოვან ნივთიერებასთან ერთად ოყნის სახით ან შიგნით (რძით, წყლით), თერაპიული დოზა—2—4 მლ მიღებაზე.

უკუნაჩვენებია სასუნთქი გზებისა და ღვიძლის დაავადების დროს.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი—5 მლ, სადღელაშისა — 10 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის კილებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Paraldehydi 4,0

Mucilaginis Salep 50,0

Sirupus corticis Aurantii ad 100,0

M. D. S. ორ მილებზე, რძის ან მურაბის და-
ყოლებით.

Rp.: Paraldehydi 5,0

Aetheris pro narcosi 12,0

Chinini hydrochlorici 0,25


Spiritus vini 3,0

Olei persicorum ad 60,0

M. D. S. ერთ ოყნაზე (კათეტერის ღრმად შეყვა-
ნით მშობიარობის გაუტკივარებისათვის).

ქ ლ ო რ ა ლ ჰ ი დ რ ა ტ ი

Chloralum hydratum



უფერული, გამკვირვალე კრისტალები ან წვრილკრისტალური ფხვნილია თავისებური მწვავე სუნისა და მწარე გემოსი. ადვილად იხსნება წყალში, სპირტსა, ეთერსა და ქლოროფორმში. ჰაერზე ნელა ქროლდება.

ქლორალჰიდრატს აქვს გამოყენება როგორც დამამშვიდებელ საშუალებას აგზნებულობის დროს, განსაკუთრებით ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ (სპაზმოფილია, ეკლამ-ფსია და სხვ.) და მშობიარობის დროს ტკივილების გასაყუჩებლად.

ქლორალჰიდრატის კონცენტრული ხსნარი ადგილობრივად იწვევს ლორწოვანის ძლიერ გაღიზიანებას. ამის გამო უნიშნავენ ძლიერ განზავებული ხსნარების სახით ან ლორწოების დამატებით.

აძლევენ მოზრდილებს 0,5—1 გ ერთ მილებზე. ბავშვებს 1 წლამდე 0,05—0,15 გ, 2—5 წ. —0,15—0,2 გ, 6—12 წ. 0,25—0,4 გ ერთ მილებზე.

ძილი იწყება 15—20 წუთის შემდეგ და გრძელდება 6—8 საა-
თის განმავლობაში.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილებსათვის — 2 გ, სად-
ლელამისო — 6 გ.

ბავშვებისათვის:

1/2 წლამდე — ერთჯერადი —	0,1 გ,	სადლელამისო	0,3 გ
1/2 — 2 წ.	0,15 გ	—	0,45 გ
3 — 4 წ.	0,2 გ	—	0,6 გ
5 — 6 წ.	0,25 გ	—	0,75 გ
7 — 9 წ.	0,3 გ	—	0,9 გ
10 — 14 წ.	0,3 გ	—	1,0 გ

ქლორალჰიდრატის დანიშვნის დროს უნდა იყოს გათვალის-
წინებული მისი შეუთავსებლობა ისეთ პრეპარატებთან, როგორცაა:
ანტიპირინი, სალიცილმჟეა ნატრიუმი, ქაფური, ფენაცეტინი, სა-
ლოლი, თიმოლი, სულფონალი, ურეთანი, ბრომიდები, იოდის პრე-
პარატები და ტუტეები.

ქლორალჰიდრატის უკუჩვენებას წარმოადგენს გულსისხლძარ-
ღვთა, ღვიძლისა და თირკმლების დაავადებები.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,5, 0,75 გ.
ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ
ქილებში, გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ქლორალჰიდრატს ყველაზე უფრო ხშირად გამოწერენ:

Rp.: Chlorali hydrati 1,0
Mucilaginis Amyli
Aq. destillatae aa 25,0
M. D. S. ოყნისათვის, ერთჯერადად.

Rp.: Chlorali hydrati 0,1
Decocti Amyli Tritici 50,0
M. D. S. ერთ ოყნაზე (10 თვის ბავშვს სპაზმოფი-
ლიის შემთხვევაში).

Rp.: Chlorali hydrati 10,0
Mucilaginis Salep 20,0
Sir. simplicis 15,0
Aq. destillatae ad 150,0
M. D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ საათში
სულ 3-ჯერ (მშობიარობის გაუტყეავარების
მიზნით).

Rp.: Chlorali hydrati

Natrii bromati aa 5,0

Tincturae Valerianae 6,0

Adonisidi 2,0

Luminali 2,0

Omnoponi 0.04

Aquae destillatae ad 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში (ეპი-
ლექსიის დროს; კრასნუშკინის მიქსტურა).

ე თ ე რ ი

Aether

ეთილის ეთერი ($C_2H_5OC_2H_5$) უფერული, გამკვირვალ სითხეა, ცეცხლთან მიახლოებისას ადვილად ფეთქდება. აქვს თავისებური სუნი და მწკლარტე გემო. დუღილის ტემპერატურაა 35° . ადვილად აქროლადია, ორთქლი ადვილად ააღდება.

ეთერი ძირითადად იხმარება ქირურგიაში ინჰალაციური ნარკოზისათვის, აგრეთვე ლაბორატორიულ პრაქტიკაში და სხვადასხვა პრეპარატების მოსამზადებლად.

ეთერი ნარკოზისათვის (Aether pro narcosi) უფრო სუფთაა (კუთრი წონა — 0,714; დუღილის ტემპერატურა — 34°). ხმარების დროს ჩვეულებრივად იგი არ იძლევა რაიმე მნიშვნელოვან გართულებას, მხოლოდ ზოგჯერ იწვევს სასუნთქი გზების გაღიზიანებას, ნერწყვის გაძლიერებულ დენას და ბრონქული ჯირკვლების მომატებულ სეკრეციას, უფრო იშვიათად ბრონქოპნევმონიას.

წინააღმდეგჩვენებებია: ფილტვების ტუბერკულოზი, სასუნთქი გზების მწვავე დაავადებები, სისხლის წნევის მომატება, გულის დეკომპენსაცია, თირკმლების მძიმე დაავადება, დიაბეტი, საერთო ძლიერი სისუსტე.

ეთერი ნარკოზისათვის გამოშვებულია ნარინჯისფერ ქილებში 100 მლ რაოდენობით, სპეციალურად არის შეფუთული, ნაჩვენებია სერიის ნომერი, დამზადების თარიღი და ანალიზი.

სახმარებლად ვარგისია მხოლოდ ახლად გახსნილი (არა უმეტეს 2—3 საათისა) ფლაკონები, რადგან ეთერი სინათლისა, ჰაერისა და სინესტის ზეგავლენით მალე ფუჭდება.

უმალღესი ერთჯერადი დოზაა (შიგნით მისაღებად)—20 წვეთი (0,33 მლ), სადღეღამისო—60 წვეთი (1 მლ).

Rp.: Aetheris pro narcosi 100,0
D. S. ინპალაციური ნარკოზისათვის.

Rp.: Aetheris pro narcosi 35,0
Chinini hydrochlorici 0,3
Spiritus vini 95° 3,0
Olei Olivarum ad 60,0
M. D. S. ერთი ოყნისათვის (მშობიარობის გაუტ-
კივარებისათვის).

ქ ლ ო რ ო ფ ო რ მ ი

Chloroformium



უფერული, გამჟვრვალე, მძიმე სიზხეა, დამახასიათებელი სუნისა და ტკბილი მსუსხავი გემოსი.

კარგად იხსნება სპირტში, ეთერში, ბენზინსა და ცხიმებში. ძნელად იხსნება წყალში (1:200). კუთრი წონა — 1,477 — 1,486. დუღილის ტემპერატურა 59,5—62°.

სინათლისა და ჰაერის ზეგავლენით ქლოროფორმი იშლება ფოსგენის, ქლორისა და ქლორწყალბადმეავას წარმომშობით.

იხმარება გარედან სხვა ნივთიერებებთან ერთად (სკიპიდარი, ზეთები) წასასმელად, შიგნით — პირღებინების დროს — ქლოროფორმის წყალი პიტნის წყალთან ერთად სუფრის კოვზით რამდენჯერმე დღეში.

ქიმიურად სუფთა ქლოროფორმი (Chloroformium pro narcosi) იხმარება ინპალაციური ნარკოზისათვის, რომელიც ხმარების წესზე შემოწმებულ უნდა იქნეს სისუფთავეზე. ქლოროფორმი საკმაოდ ტოქსიკურია და ამიტომ ის, როგორც სანარკოზე ნივთიერება, ამჟამად თითქმის არ იხმარება.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,5 გლ, სადღეღამისო 1 — მლ.

გამოშვებულია ნარკოზისათვის სპეციალურ შუშებში 50 მლ. მოცულობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ჭურჭელში, გრილ ადგილას.

Rp.: Chloroformii pro narcosi 50,0
D. S. ინპალაციური ნარკოზისათვის.

Rp.: Chloroformii
Olei Hyoscyami
Methylii salicylici aa 15,0
M. f. linimentum
D. S. გარედან წასასმელი.

Rp.: Aquae Chloroformii
Aquae Menthae piperitae aa 100,0
M. D. S. თითო სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში.
(გულისრევისა და პირღებინების დროს).

ღვინის სპირტი

Spiritus vini



გამჟვავალე, უფერული, აქროლადი სითხეა. აქვს დამახასიათებელი სუნი და მსუსხავი გემო, ადვილად აღდება.

იხსნება წყალში, ეთერში, ქლოროფორმში.

მოქმედებს თავის ტვინის ქერქზე, იწვევს ალკოჰოლურ აგზნებას; დიდ დოზებში—აგზნებადობის შემცირებას.

გარედან იხმარება ქირურგიული ოპერაციების დროს როგორც ანთისეპტიკური საშუალება; ავრეთვე კანის დაავადების დროს და სპირტის კომპრესის გასაქეთებლად.

ხმარებაშია 95°, 90°, 70°, 40°, უკანასკნელს უწოდებენ Spiritus vini dilutum-ს.


Rp.: Spiritus vini 95°—20,0¹
D. S. გარედან სახმარ.

1 თუ მითითებული არ არის სპირტის კონცენტრაცია იგულისხმება 90° სპირტი.
2. პ. გელბახიანი ვ. გერსამია

ნაჩვენი სისტემის დაამუშავებული საშუალებები

ამინაზინი

Aminazinum



მოყვითალო-თეთრი ან მოვარდისფრო ელფერის წვრილკრის-ტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია; ლღობის ტემპერატურაა 194 – 196°. ადვილად იხსნება წყალში, სპირტში, ქლოროფორმში; არ იხსნება ეთერსა და ბენზოლში.

მას აქვს სედატური მოქმედება, რომელიც უფრო ძლიერად არის გამოხატული აგზნებული მდგომარეობის დროს. მცირე დოზების მიცემისას იწვევს ძილს, უფრო დიდი დოზებისას — ხანგრძლივ (16 საათისა და მეტის განმავლობაში) და ღრმა ძილს. ამინაზინი იწვევს ნარკოზული, ძილმომგვრელი, ანტისპაზმური და ანალგეზიური საშუალებების მოქმედების პოტენცირებას.

აწყნარებს გულსირევას, სლოკინს, იწვევს ჰიპოთერმიას, რომლის დროს მცირდება ნივთიერებათა ცვლა; იწვევს არტერიული სისხლის წნევის დაქვეითებას, იჩენს ადრენოლიზურ მოქმედებას და სუსტად გამოხატულ ანტიჰისტამინურ აქტივობას.

ამინაზინს აქვს ფართო გამოყენება ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, კერძოდ შიზოფრენიულ ავადმყოფთა მკურნალობის დროს, აგრეთვე ცირკულარული ფსიქოზების მანიაკალური ფორმის, პრესენილური და ალკოჰოლური ფსიქოზების დროს.

იხმარება კარგი შედეგებით ნევროზების, ნევრასთენიის, უძილობის, გულისრევისა და პირღებინების (ორსულობის, ზღვისა და ჰაერის ავადმყოფობა) შემთხვევებში, და ზოგჯერ ბრონქული ასთმის დროსაც.

ხმარობენ ქირურგიაში ნარკოზული საშუალებების მოქმედების გასაძლიერებლად.

ამინაზინი იხმარება შიგნით, კუნთებში ინექციით. ინტრავენურად და ოყნების საშუალებით — დოზებში — 0,25 — 0,8 გ დღე-ღამეში.

შიგნით უნიშნავენ ტაბლეტების სახით ჭამის შემდეგ; კუნთებში გაკეთების შემთხვევაში მას ხსნიან ნოვოკაინის 0,5% ხსნარის 5 მლ-ში და უშხაპუნებენ ღრმად კუნთებში — ზემო ლატერალურ კვადრანტში. ინტრავენურად შეყვანიას ამინაზინის საჭირო რაოდენობას ხსნიან დამატებით — გლუკოზის 40% ხსნარის 20 მლ ში და უშხაპუნებენ ნელა (5 წუთის განმავლობაში). ამინაზინის გაკეთების შემდეგ საჭიროა წოლა 1,5 — 2 საათის განმავლობაში.

ამინაზინის ხმარებისათვის უკუჩვენებას წარმოადგენს: დიდილი-სა და თირკმლების მწკავე და ქრონიკული დაავადებები, კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადება, გულის დეკომპენსაცია, რევ-მოკარდიტი, ჰიპოტონია, თრომბოემბოლიური ავადმყოფობა, სისხლ-მზადი ორგანოების დაავადება. ამინაზინი იძლევა თანამოვლენებს: საერთო სისუსტეს, თავბრუს, პირის სიმშრალეს, ლეიკოპენიას, კუჭ-ნაწლავის მხრივ გაღიზიანებას, ზოგჯერ აღინიშნება პარკინსონიზმის მოვლენები.

ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს კანისა და ლორწოვანი გარსის გაღიზიანება (ეკზემატოზური დერმატიტი, რინო-ტრაქეო-ლარინგიტები, სისხლის წნევის დაწევა და სხვ.).

დოზა: პირველ ორ დღეს აძლევენ შიგნით 0,025 — 0,05 — 0,1 გ დღე-ღამის განმავლობაში (1—3 მიღებაზე); პარენტერალურად 0,05 გ დღე-ღამეში (1 — 2 გაკეთებაზე), შემდეგ დოზა შეიძლება გადიდდეს — 0,1 — 0,3 გ დღე-ღამეში (4 — 6 მიღება დღეში) ზემოთ აღნიშნული წესით.

უმალღესი დოზა მოზრდილთათვის: შიგნით მისაღები — ერთჯერადი — 0,15 გ, სადღეღამისო — 0,5 გ. ვენაში ერთჯერადი — 0,05 გ, სადღეღამისო — 0,2 გ.

ბავშვებს წლოვანების მიხედვით 0,025 — 0,1 გ დღე-ღამეში. პრეპარატი გამოშვებულია ტაბლეტებში (დრაჟე) 0,025 გ,

0,05 გ, 0,1 გ და ამპულებში 5 მლ 0,5% ხსნარი (კუნთებში შესაყვანი) და 2 მლ 2,5% ხსნარი ვენაში შესაყვანად.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Aminazini 0,025

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp.: Solutionis Aminazini 0,5%—5,0

D. t. d. 6 in ampulis

S. კუნთებში გასაქეთებლად. 5 მლ წინასწარ უნდა გაიხსნას 0,5% ნოვოკაინის 5 მლ ხსნარში.

Rp.: Solutionis Aminazini 2,5%—2,0

D. t. d. 6 in ampulis

S. ვენაში გასაქეთებელი. 1—2 მლ წინასწარ უნდა გაიხსნას 10—20 მლ 40% გლუკოზის ხსნარში.

ბ ე ლ ა ს პ ო ნ ი

Bellaspinum

ბელასპონი გამოშვებულია დრაცირებული ტაბლეტების სახით, რომელშიც შედის:

ერგოტამინ ღვინის მეავა 0,0003 გ

რადობელინი 0,0001 გ

ფენობარბიტალი 0,02 გ

კარგ შედეგს იძლევა ვეგეტონევროზებისა და ფსიქონევროზების დროს; სხვა საშუალებებთან ერთად იხმარება შაკიკის, კლიმაქსის, მენიერის, ჰიპერტონიული, ბაზედოვის, ათეროსკლეროზის, ურტიკარიის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და ქოლეცისტიტების შემთხვევებში.

იგი ჩვეულებრივად არ იძლევა თანამოვლენებს.

დოზა: დღეში სამჯერ თითო ტაბლეტი ჭამის შემდეგ, ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში. მოქმედება ხშირად გამოიხატება პრეპარატის მიღების პირველ დღეებშივე. ხანგრძლივად მიღების შემთხვევაში რამდენიმე კვირის შემდეგ საჭიროა დოზის შემცირება.

გამომშვებულია კარგად თავდაცობილ და შეფუთულ ქურქელში 30 და 250 ცალად.

Rp.: Bellasponi in drage 30

R. S. თითო აბი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

პ ნ დ ა ქ ს ი ნ ი

Andaxinum

ანდაქსინი კრისტალური, თეთრი ფერის ფხვნილია. მიეკუთვნება დამამშვიდებელ საშუალებათა ჯგუფს. იხმარება უმთავრესად ნეიროფსიქიკური დაავადების დროს, აქვს დეპრესიული გავლენა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, მას მიმართავენ ფსიქონევროტული შიშების დროს; იგი ამცირებს დაქიმულობას, მოუსვენრობას. დაღლილობის გრძნობას და ტრემორს. კარგად მოქმედებს მენსტრუაციასთან დაკავშირებული უსიამოვნო მოვლენების წინააღმდეგ. იჩენს სუსტად გამოხატულ ძილმომგვრელ მოქმედებას.

თანამოვლენებიდან აღსანიშნავია ურტიკარია, ძილიანობა და საერთო მოღუნება.

გამოშვებულია ტაბლეტებში \bar{x} 0,2. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში; ძილის გამოსაწვევად 2—3 ტაბლეტს დაძინების წინ. მძიმე შემთხვევების დროს შეიძლება დოზა გადიდდეს 8—10 ტაბლეტამდე დღე-ღამეში.

Rp.: Andaxini 0,2

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბ ე ლ ი დ ი

Belloidi

ბელოიდი შეიცავს ერგოტოქსინს — 0,3 მგ,

შმაგას ალკალოიდების ჯამს — 0,1 მგ და

ბუტილეთილბარბიტურის მჟავას — 0,03 გ.

ბელოიდი ამშვიდებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას. იხმარება ვეგეტოლისტონიების, ვეგეტონევროზების დროს.

კარგად მოქმედებს უძილობის, შაკიკის, ჰიპერთირეოზის, კლიმაქსის შემთხვევებში.

გამოშვებულია აბების სახით 50 ან 100 ცალის რაოდენობით. ენიშნება თითო აბი 3—6-ჯერ დღეში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Belloidi in drage 50

D. S. თითო აბი 5-ჯერ დღეში.

ბ რ ო მ ა მ ო ნ ი უ მ ი

Ammonium bromatum

NH_4Br

უფერული კრისტალები ან თეთრი წვრილკრისტალური მლაშე გემოს ფხვნილია; ადვილად იხსნება წყალში (1:1,5); იხსნება სპირტში (1:10).

იხპარება იმავე შემთხვევებში, რაც ბრომნატრიუმი.

ინახება კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Kalii bromati

Natrii bromati $\overline{\text{aa}}$ 4,0

Ammonii bromati 2,0

Aquae destillatae 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

ბ რ ო მ კ ა ლ ი უ მ ი

Kalium bromatum

KBr

უფერული ან თეთრი, ბრჭყვიალა, წვრილკრისტალური, უსუნო, ძლიერ მლაშე გემოს ფხვნილია. იხსნება წყალში (1:1,7) და ძნელად სპირტში. ხსნარს (1:20) აქვს ნეიტრალური ან სუსტი ტუტე რეაქცია.

ბრომკალიუმი იხპარება იმავე შემთხვევაში და დოზებში, რაც ბრომნატრიუმი.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,5 გ.

ინახება კარგად დახურულ ქილებში.

Rp.: Natrii bromati

Kalii bromati $\overline{\text{aa}}$ 4,0

Aquae destillatae 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

ბ რ ო მ ნ ა ტ რ ი უ მ ი

Natrium bromatum

NaBr

თეთრი, კრისტალური, უსუნო, მლაშე გემოს, ჰიგროსკოპული ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1:1,5), იხსნება სპირტში (1:16). ხსნარებს აქვს ნეიტრალური ან სუსტი ტუტე რეაქცია.

ბრომნატრიუმი იხმარება აწეული ნერვული აგზნებად ობის დროს, ისტერიის, ნევროზების, უძილობის და სხვ. დროს. აგრეთვე ეპილეფსიის, ორგანოთა და სისტემათა ფუნქციის კორტიკულ-ვისცერული რეგულაციის მოშლის შემთხვევაში (წყლულთვანა დაავადება, ჰიპერტონიული დაავადება და სხვ.).

დოზა მოზრდილთათვის — 0,1-დან 1 გ 3 — 4-ჯერ დღეში. ეპილეფსიის წინააღმდეგ სამკურნალოდ ერთჯერადი დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 2 გ-მდე, ხოლო სადღეღამისო — 6 — 8 გ-მდე, თანდათან მომატებით.

ბრომის პრეპარატების ხანგრძლივად მიღების დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები — „ბრომიზმი“, სურდო, ხველა, კონიუნქტივითი, მეხსიერების დაქვეითება, გამონაყარი კანზე და სხვ. პრეპარატების მიღების შეწყვეტის შემდეგ ეს მოვლენები მალე გაივლის. ბრომიდებით მოწამელის დროს ურჩევენ საქმელი მარლის მომატებული რაოდენობის (10 — 20 გ დღე-ღამეში) და უხვად წყლის (3 — 5 ლიტრამდე) მიღებას.

გამოშვებულია ბრომნატრიუმი ფხვნილებსა და 5, 10 და 20%-იანი ხსნარების სახით ამპულაში 10 მლ რაოდენობით.

ინახება კარგად თავდაცობალ მინის ქილებში მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Natrii bromati 6,0:200,0

D. S. 1 — 2 სუფრის კოვზი ძილის წინ.

Rp.: Infusi herbae Adonidis vernalis 6,0:180,0

Natrii bromati 6,0

Codeini phosphorici 0,2

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში


(ბებტერევის მიქსტურა).

Rp.: Solutionis Natrii bromati 10% — 10,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 2 — 5 მლ ვენაში შესაშხაპუნებლად დღეში ერთჯერ.

ბ რ ო მ უ რ ა ლ ი



ბრომურალი — ალფა-მონობრომ-იზოვალერიანილ-შარდოვანა წარმოადგენს თეთრ, კრისტალურ, მწარე გემოს ფხვნილს.

წყალში იხსნება ცუდად (1:450 ნ.), იხსნება სპირტში (1:17 ნ.). იხმარება როგორც დამამშვიდებელი საშუალება დოზებში 0,2 — 0,3 გ და როგორც ძილის მომგვრელი — დოზებში — 0,5—0,6 გ ძილის წინ. მოქმედება იწყება ჩვეულებრივად $\frac{1}{2}$ —1 საათის შემდეგ. მოქმედების ეფექტი ძლიერდება პირამიდონის დამატებით.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა — 0,6 გ, დღე-ღამის — 1,0 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,3 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მინის ქილებში და მინის ბილაკებში.

Rp.: Bromurali 0,3

D. t. d. in tabulettis 10

S. ორი ტაბლეტი ძილის წინ.

Rp.: Bromurali

Pyramidoni \overline{aa} 0,3

M. f. p. D. t. d. 10

S. ერთი ფხვნილი ძილის წინ.

გ ე ნ დ ი


Gendon

გენდონი მცენარე Rauwolfia serpentina-ს პრეპარატია, მისი მოქმედება დამოკიდებულია რეზერპინზე, რომელსაც ის შეიცავს.

უნიშნავინ უმთავრესად ჰიპერტონიული დაავადების წინააღმდეგ. დოზა 0,002 გ 1—2—3 ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

დ ი ნ ე ზ ი ნ ი

Dinezinum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში. ლღობის ტემპერატურაა 182—186°.

თავისი ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა ამინაზინთან, დიპრაზინთან.

იხმარება პარკინსონიზმის და პარკინსონის დაავადების წინააღმდეგ.

უუჩვენება: ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლილობა, მძიმე ათეროსკლეროზი, ლეიქოზი და თირკმლების დაავადება.

თანამოვლენები: თავბრუს, ძილიანობა, აღინამია, პარესთეზიები.

დოზა: შიგნით 0,05—0,1 გ 2—3-ჯერ დღეში, კამის შემდეგ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ჰერმეტიკულად დახურულ ნარინჯისფერ მინის ჟურკელში.

ვალერიანას (კატაბალახას) პრეპარატები

ძველი დროიდან ცნობილია ვალერიანას პრეპარატების დადებითი მოქმედება მთელი რიგი დაავადებების დროს. ეს პრეპარატები მზადდება ველურად მზარდი მცენარე ვალერიანას (*Valeriana officinalis*) ძირებიდან.

ვალერიანას მოქმედ საწყისად ითვლება ბორნეოლი, ვალერიანის ზეთი და რთული ეთერი ბორნეოლისა და იზოვალერიანის მგავისა.

მას აქვს კარგად გამოხატული სპაზმოლიზური მოქმედება, ამცირებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობას. ბოლო დროს ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით ის იჩენს ქერქული დამუხრუჭების პროცესების გაძლიერებას.

ვალერიანასაგან დამზადებული პრეპარატები იხმარება როგორც დამამშვიდებელი საშუალება (*Sedativa*) ნერვული მდგომარეობის დროს, უძილობის, ნევროზების, სპაზმური მოვლენების შემთხვევაში და ა. შ.

ვალერიანას ძირების გამონაცემი 5—10 გ 200 მლ წყალზე იხმარება თითო სუფრის კოვზი 5—6-ჯერ დღეში. მოზრდილ ბავშვებს აძლევენ მურაბის კოვზით, ხოლო ჩვილი ასაკის ბავშვებს ჩაის კოვზით (4 გ 200 გ წყალზე). *Tincturae Valerianae simplex*— დოზა 20—30 წვეთი 3—4-ჯერ დღეში. ბავშვებს ერთ მილებაზე უნიშნავენ იმდენ წვეთს, რამდენი წლისაც არის ბავშვი. *Tincturae Valerianae aetherea*— დოზა იგივეა, რაც ვალერიანას მარტივი

ნაყენისა. Extractum Valerianae spissum — სქელი გამონაწვლილი მუქი წაბლისფერისა. იხმარება აბებში 0,04 — 0,05 გ მიღებაზე.

Rp.: Infusi radices Valerianae 6,0—180,0
Natrii bromati 4,0
M. D. S. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Tincturae Valerianae
Tincturae Convallariae majalis \overline{aa} 10,0
M. D. S. 3-ჯერ დღეში 20 — 30 წვეთი.

Rp.: Tincturae Convallariae majalis
Tincturae Valerianae \overline{aa} 10,0
Tincturae Belladonnae 2,5
Mentholi 0,1
M. D. S. 20—30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში (ზელე-
ნის წვეთები).

Rp.: Tincturae Convallariae majalis
Tincturae Valerianae \overline{aa} 10,0
Extracti Crataegi 5,0
Mentholi 0,1
M. D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში.

კორვალოლი

Corvalolum

კორვალოლი უფერული, გამჭვირვალე, სპეციფიკური სუნის სითხეა, მისი შემადგენლობაა:

ა—ბრომიზოვალერიანის ეთილის ეთერი—2%.

ლუმინალ-ნატრიუმი 2%

პიტნის ზეთი 0,14%

სპირტი 50%

წყალი 45,86%.

მას აქვს დამამშვიდებელი, სპაზმოლიზური თვისება.

იხმარება სტენოკარდიის წინააღმდეგ, ტაქიკარდიისა და ჰიპერტონიული დაავადების დროს, აგრეთვე იყენებენ მუცლის ღრუში სპაზმური მოვლენების შემთხვევაში.

უნიშნავენ 3 ჯერ დღეში 8—10 წვეთს შაქრის ნატეხზე ან მცირე რაოდენობის წყალში, ძლიერი ტაქიკარდიის წინააღმდეგ

დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 20 წვეთამდე ერთ მიღებაზე. წამლისადმი უსიამოვნო თანამოვლენები და მიჩვევა არ აღინიშნება. ინახება კარგად თავდაცულ ნარინჯისფერ მინის კურკელში, გრილ ადგილას. თითო ფლაკონშია 20 მლ.

Rp.: Corvaloli 1 fl.

D. S. 10 წვეთი შაქრის ნატეხზე ან წყლით 3-ჯერ დღეში.

ვ ა ლ კ ო რ დ ი ნ ი

Valocordin

ვალკორდინი შედგება ბრომიზოვალერიანის სიმეცვის ეთილის ეთერის 2%, ხსნარის, 2% ფენილეთილბარბიტურის მეცვის ნატრიუმის მარილის, 0,1% პიტნის ზეთისა და 51,6% ეთილის სპირტისა და გამოხდილი წყლისაგან (ad 100%).

ინხარება როგორც საგულე, დამამშვიდებელი და სპაზმოლიზური საშუალება სტენოკარდიული ტივილების, ტაქიკარდიის დროს, აწეული აგზნებადობისა და უძილობის შემთხვევაში.

დოზა: 3-ჯერ დღეში 5—8—10 წვეთი წყალში გახსნილი ან შაქარზე დაწვეთებული. ტაქიკარდიის დროს 20 წვეთი.


გამოშვებულია ფლაკონებში 25 გ რაოდენობით.

Rp.: Valocordini 1 fl.

D. S. 3-ჯერ დღეში 5—10 წვეთი წყალში ან შაქარზე.

მ ო ნ ბ რ ო მ ა ა უ რ ი

Camphora monobromata



უფერული კრისტალები ან თეთრი, კრისტალური, ქაფურის
 სუნის და გემოს ფხვნილია.

ადვილად იხსნება ეთერში (1:2), სპირტში (1:9), ქლორო-
 ფორმში, ძნელად კი — წყალში.

აქვს იგივე მოქმედება, რაც ბრომის პრეპარატებს (იხ. ზე-
 მოთ).

უნიშნავენ შიგნით ფხვნილების ან ტაბლეტების სახით 0,1 —
 0,5 გ 2—3-ჯერ დღეში. ბავშვებს — 2—5 წლის ასაკში—0,01—
 0,1 გ; 6—12 წ. — 0,05—0,2 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,25 გ.

ინახება კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში სი-
 ნათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Camphorae monobromatae 0,25

D. t. d. 10 in tabulettis

S. 2—3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი.

Rp.: Camphorae monobromatae 0,25


Chinini hydrochlorici 0,1

M. f. p. D. t. d. 12 in oblatiis

S. თითო ობლატი 2—3-ჯერ დღეში (პაროქსიზ-
 მული ტაქიკარდიის დროს).

რ ე ზ ე რ პ ი ნ ი ნ ი

Reserpinum



რეზერპინი წარმოადგენს ალკალოიდს, რომელიც გამოყოფი-
 ლია მცენარე Rauwolfia serpentina-საგან.

იგი თეთრი, კრისტალური, უსუნო ნივთიერებაა, რომლის ლღობის ტემპერატურა $261-263^{\circ}$ უდრის.

ძლიერ ძნელად იხსნება წყალში, კარგად იხსნება ორგანულ გამხსნელებში.

რეზერპინს აქვს ჰიპოტენზიური და სედატური მოქმედება, რომელიც ხორციელდება ცენტრალური მექანიზმებით.

რეზერპინი ძირითადად იხმარება ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ და ფსიქიატრიულ პრაქტიკაში.

ჰიპოტენზიური მოქმედება ვითარდება თანდათანობით 2—5 დღის განმავლობაში პრეპარატის მიღებიდან. ამავე დროს მცირდება მაჯის სიხშირე, უმჯობესდება ავადმყოფის სუბიექტური მოვლენები. მკურნალობის ერთი კურსი ტარდება 1—2 თვეს.

საკიროებისდა მიხედვით შესაძლებელია მკურნალობის კურსის განმეორება.

რეზერპინს იყენებენ აგრეთვე თირეოტოქსიკოზების, სხვადასხვა ფსიქოზებისა და შიზოფრენიის დროს.

მკურნალობის პერიოდში ზოგჯერ ვითარდება თანამოვლენები: საერთო სისუსტე, ძლიერი ბრადიკარდია, დეპრესია, ძილად მივარდნა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი.

საკმარისია პრეპარატის მიღების შეწყვეტა ამ მოვლენების საწინააღმდეგოდ.

უკუჩვენებას წარმოადგენს: სისხლძარღვთა მძიმე ორგანული დაავადება, დეკომპენსაციის მოვლენები, ნეფროსკლეროზი, ჰიპოტონია, კუქისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადება.

დოზა: ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ მოზრდილებს უნიშნავენ 0,1—0,25 მგ 1—2—3-ჯერ დღეში—იწყებენ მცირე დოზით და თანდათან უმატებენ. თუ 14 დღის განმავლობაში არ იქნა მიღებული დადებითი ეფექტი, რეზერპინის მიცემა უნდა შეწყდეს.

ნერვული დაავადების დროს მოზრდილებს აძლევენ 0,2—1 მგ, ხოლო ფსიქიკური დაავადებების წინააღმდეგ ხმარობენ უფრო დიდ დოზებში—0,5 მგ—10 მგ დღე-ღამეში ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ.

უმალესი დოზა მოზრდილებისათვის—ერთჯერადი—0,001 გ, სადღელამისო—0,005 გ, ბავშვებისათვის—5 წლამდე—0,1 მგ 2-ჯერ დღეში; 6—12 წ.—0,1 მგ 2—3-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 და 0,25 მგ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქურქელში, მშრალ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Reserpini 0,0001 (0,00025)

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

რ ა უ ნ ა ტ ი ნ ი

Raunatin

რაუნატინი მცენარე Rauwolfia serpentina-ის პრეპარატია და წარმოადგენს ამ მცენარის ალკალოიდთა ჯამს. იგი შეიცავს ძირითადად სერპენტინს, რეზერპინსა და აიმალინს.

რაუნატინი იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც რაუვოლფია სერპენტინას სხვა პრეპარატები, ძირითადად კი ჰიპერტონიული დაავადების წინააღმდეგ ხანგრძლივად მკურნალობის დროს; კარგ ეფექტს იძლევა მეორე და მესამე ხარისხის დაავადების შემთხვევებში.

რაუნატინის ჰიპოტენზიური მოქმედება ვითარდება უფრო რბილად. სისხლის წნევის დაწვეასთან ერთად ქრება ჰიპერტონიული დაავადების სხვა სიმპტომებიც (თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა და სხვ.). არ იძლევა თანამოვლენებს.

რაუნატინს აძლევენ შიგნით დასაწყისში 1 ტაბლეტს ძილის წინ, შემდეგ დღეებში უმატებენ დოზას ისე, რომ მესამე დღეს ავადმყოფი ღებულობს უკვე 5—6 ტაბლეტს დღე-ღამეში. მკურნალობა გრძელდება 3—4 კვირის განმავლობაში.

ჩვეულებრივად დადებითი ეფექტის მიღების შემდეგ თანდათანობით უკლებენ რაუნატინის დოზას 1 ტაბლეტამდე დღე-ღამეში.

რაუნატინი გამოშვებულია ტაბლეტების სახით \bar{x} 0,002 გ.

Rp.: Raunatini 0,002

D. t. d. 50 in tabulettis

S. მიიღოს დანიშნულების მიხედვით ჭამის შემდეგ.

ტ რ ი ო ქ ს ა ზ ი ნ ი

Trioxasin

ტრიოქსაზინი არის №—(3, 4, 5—ტრიმეტოქსიბენზოილ)—ტეტრაჰიდრო — 1,4 — ოქსაზინი. იგი კრისტალური, თეთრი ფხვნილია, წყალსა და სპირტში ძნელად იხსნება, ლღობის ტემპერატურაა 122°.

ფარმაკოლოგიური ცდებისა და კლინიკური დაკვირვებების მიხედვით ტრიოქსაზინი არის დამამშვიდებელი საშუალება, მისი გავლენით ავადმყოფი წყნარდება, დაქიმულობისა და შიშის შეგრძნება კლებულობს ისევე, როგორც სხვა ნევროტული ჩივილები. დეპრესიული და აკვიატებული სიმპტომები შესამჩნევად მცირდება, ავადმყოფები უფრო ადვილად ემორჩილებიან ფსიქოთერაპიულ ზეგავლენას.

ტრიოქსაზინის კლინიკური გამოყენება გამომდინარეობს მისი ფარმაკოდინამიკური მოქმედებიდან, მას უნიშნავენ ძირითადად იმავე შემთხვევაში, როგორც ანდაქსინს—ნევროტული ან ნევრასთენიული მდგომარეობის დროს.

სადღელამისო საშუალო დოზა შეადგენს 2—4 ტაბლეტს; მძიმე შემთხვევებში იგი შეიძლება გაიზარდოს 6—8 ტაბლეტამდე. გამოშვებულია ტაბლეტებში \bar{x} 0,3 გ. ინახება ჩვეულებრივ პირობებში.


Rp.: Trioxasini 0,3

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.

ქლორეტონი

Chloretonum



ქლორეტონი უფერული, კრისტალური ფხვნილია, ქაფურის სუნისა, წყალში იხსნება ცუდად (1:250), ადვილად—სპირტსა, ეთერსა და ქლოროფორმში. ლღობის ტემპერატურაა 77—80°.

ქლორეტონი იხმარება როგორც დამამშვიდებელი (0,3 გ მიღებაზე) საშუალება ორსულთა პირღებინების საწინააღმდეგოდ, ზღვის ავადმყოფობის დროს და როგორც ძილმომგვრელი საშუალება (0,5—1 გ ერთ მიღებაზე). შეიძლება დაინიშნოს ოყნებისა და სანთლების სახით.

გარედან ქლორეტონს ხმარობენ მალამოს სახით (5—10%) და 0,4% ხსნარის სახით საფეხებისათვის წყლულების, ქავილის, კანის გაღიზიანებისა და სხვ. დროს.

ინახება კარგად დახურულ შუშის ქილებში, გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Chloretoni 0,5
D. t. d. 10 in capsulis gelatinosis
S. 1 კაფსული ძილის წინ.

Rp.: Solutionis Chloretoni 0,4%—200,0
D. S. საფენებისათვის.

Rp.: Chloretoni 1,5
Spiritus vini 90° 20,0
Glycerini 30,0
Liquoris Burovi
Aq. destillatae aa 25,0
M. D. S. საფენები კანის ქავილის დროს.

ს ტ ე ლ ა ზ ი ნ ი

Stelasinum

სტელაზინი — 2 — ტრიფლუომეთილ — 10 [3 — (1 — მეთილ — 4 — პიპერაზინილ) პროპილ] ფენოტიაზინია.

ფარმაკოლოგიურად სტელაზინს ახასიათებს იგივე მოქმედება, რაც ამინაზინს (იხ. ზემოთ), მხოლოდ იგი უფრო აქტიურია და ეფექტურიც, განსაკუთრებით შიზოფრენიის გახანგრძლივებული ფორმების დროს ჰალუცინაციებითა და ბოდვითი მოვლენებით.

იხმარება შიგნით და კუნთებში შესაშხაპუნებლად. მკურნალობა საჭიროა პირველ დღეებში, ფსიქომოტორული აგზნების შემთხვევებში. უფრო ხშირად მკურნალობას იწყებენ პრეპარატის შიგნით მიცემით (აბების სახით).

დოზა: კუნთებში შეყვანისას 10—15 მგ პირველ დღეებში, ხოლო შემდეგ შიგნით მიღებაზე გადასვლის შემთხვევაში ყოველი დღიური დოზა შეადგენს 30—40 მგ დღეში (2—3 მიღებაზე), რეზისტენტურ შემთხვევებში სტელაზინის დოზა შეიძლება გადიდდეს 60—80 მგ-მდე დღეში. მკურნალობის ხანგრძლიობა იგივეა, რაც ამინაზინით.

სტელაზინით მკურნალობის დროს სომატური ხასიათის თანამოვლენები უფრო ნაკლებია, ვიდრე ამინაზინით მკურნალობის

დროს. მხოლოდ უფრო ხშირია პარკინსონიზმის მოვლენების გან-
ვითარება და ექსტრაპირამიდული ჰიპერკინეზიები.

მათ საწინააღმდეგოდ იხმარება კოჟეინი ან ამინაზინი (50 მგ
კუნთებში).

გამაუტკივარებელი საშუალებები

ა ვ ი ს ა ნ ი

Avisanum

ავისანი მუქი წაბლისფერი, მწარე გემოსი და სუსტი არომატული სუნისაა. ცივ წყალში ძნელად იხსნება, ცხელში კი—უკეთესად.

ავისანი ეფექტური ანტისპაზმური საშუალებაა, აღუნებს შარდსაწვეთის კუნთებს, რის გამოც თირკმლების კოლიკების დროს მცირდება ან სრულებით ქრება ტკივილები, გამოწვეული კენკოვანი დაავადებით ან სილის გასვლით. ავისანის რეგულარულად მიღება მრავალ შემთხვევაში ხელს უწყობს კენკების ჩამოწევას ან გამოსვლას. ანელებს მწვავე და ქრონიკული ცისტიტის მოვლენებს.

უნიშნავენ ავისანს თირკმლის კენკოვანი დაავადების და შარდმევა მარილების მრავლად გამოსვლის დროს, აგრეთვე შარდსაწვეთების კათეტერიზაციის წინ.

აძლევენ შიგნით 1—2 ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, ჩვეულებრივად 2—3 კვირის განმავლობაში; ზოგ შემთხვევაში ურჩევენ პერიოდულად პრეპარატთან ერთდროულად სითხის (თბილი წყალი, ჩაი, კომპოტი) დიდი (1 ლიტრის) რაოდენობით მიღებას.

თანამოვლენებიდან აღსანიშნავია დისპეფსიური მოვლენები—გულისრევა და პირღებინება, რომლებიც პრეპარატის დოზის შემცირების შემდეგ სწრაფად მცირდება და ქრება.

გამოშვებულია ტაბლეტებში $\pm 0,05$ გ.

ინახება მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Avisani 0,05

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ოპიუმი

Opium

ოპიუმი წარმოადგენს მცენარე *Papaver somniferum* L ჰაერზე გამხმარ წვენს, რომელსაც ლებულობენ გამოეონვით უმწიფარი თავთავების ჩანაქერებიდან.

ეს მცენარე იზრდება ცხელ ქვეყნებში; ჩვენში კი სპეციალურადაა მოშენებული.

ოპიუმი სხვადასხვა სიდიდის რბილი უფორმო მასაა, მუქი წაბლისფერი, თავისებური სუნისა და მწარე გემოსი. ნაწილობრივ იხსნება წყალში და 20° სპირტში.

იგი შეიცავს მორფინს (10 — 11%), პაპავერინს, კოდეინს (1,5 — 3%), თებაინს, ნარკოტინსა (8 — 10%) და სხვა ალკალოიდებს.

ოპიუმი ცნობილია უხსოვარი დროიდან, როგორც ფალარათის საწინააღმდეგო და გამაბრუებელი საშუალება.

ოპიუმის პრეპარატები მოქმედებენ ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა ცენტრებზე, განსაკუთრებით ტკივილის, სუნთქვის, ხველისა. ამცირებენ ნაწლავების პერისტალტიკას.

იხმარება როგორც გამაუტკივარებელი საშუალება სხვადასხვა წარმოშობის ძლიერი ტკივილებისა და მასთან დაკავშირებული უძილობის დროს, მშრალი ხველისა და სასუნთქი ცენტრის აგზნების შემთხვევებში, აგრეთვე ზოგჯერ — ფალარათობის წინააღმდეგ. ოპიუმის პრეპარატებს ამჟამად იყენებენ უკიდურეს შემთხვევაში, ვინაიდან ხშირად მისი ხმარება იწვევს შეჩვევას და ავადმყოფურ მიდრეკილებას პრეპარატისადმი, რისგანაც გადაჩვევა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს.

ბავშვებს 2 წლამდე ოპიუმის პრეპარატი არ ეძლევა.

წინააღმდეგნაჩვენებია მოხუცებულობის ასაკში, სასუნთქი ცენტრის უკმარისობის დროს.

ხმარებაშია ოპიუმის შემდეგი პრეპარატები:

ოპიუმის ფხვნილი

Opium pulveratum

ფხვნილი შეიცავს 11%-მდე მორფინს. იხმარება შიგნით, აგრეთვე სანთლების სახით. ერთ მილებზე მოზრდილებს ეძლევა 0,01 — 0,03 გ. უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,1 გ. სადღეღამისო — 0,3 გ.

5—6 წ. ბავშვებისათვის უმაღლესი დოზა—ერთჯერადი—0,01—
სადღეღამისო 0,03 გ

7—9 წ. " " 0,015, სადღეღამისო—0,045 გ

10—14 წ. " " 0,02 სადღეღამისო—0,06 გ

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად თავდაცო-
ბილ ქურკელში.

ოპიუმის მარტივი ნაშენი

Tinctura Opii simplex

გამჭვირვალე მოწითალო-მიხაკისფერი სითხეა, შეიცავს 1%-მდე
ოპიუმს. აქვს თავისებური სუნი და გემო. 1 მლ შეეფარდება
43 წვეთს.

მოზრდილებს უნიშნავენ 5—10 წვეთს ერთ მიღებაზე, უმაღ-
ლესი დოზაა 22 წვეთი ერთჯერად და 55 წვეთი—სადღეღამისო.

ბავშვებისათვის უმაღლესი დოზაა:

5—6 წლის ასაკში — 3 წვეთი, სადღეღამისო — 6 წვეთი

7—9 წ. " 4 " " 8 "

10—14 წ. " 5—7 " " 10—12 წვეთი

საჭიროა სიფრთხილე. თუ განვითარდა ძილად მივარდნა,
პრეპარატი უნდა მოეხსნას.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად თავდაცო-
ბილ ქურკელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ოპიუმ ბენზოის ნაშენი

Tinctura Opii benzoica

მოყვითალო-წაბლისფერი, გამჭვირვალე, ქაფურ-ანისულის სუ-
ნისა, მოტკბო გემოს და მჟავე რეაქციის სითხეა.

შედგება: ოპიუმის მარტივი ნაყენის—50 მლ

ბენზოეს მჟავას — 20 გ

ქაფურის — 10 გ

ანისულის ზეთის — 5 გ

70° სპირტისაგან — 1 ლიტრამდე

შეიცავს 0,045—0,055% მორფინს.

ინხარება ხველების საწინააღმდეგოდ 20—40 წვეთი ერთ მი-
ღებაზე. ბავშვს აძლევენ იმდენ წვეთს, რამდენი წლისაც არის
თვითონ.

ინახება ისევე, როგორც ოპიუმის სხვა პრეპარატები.

პარეგორიკი დამზადებულია სტანდარტულ ტაბლეტებად, რომლის შემადგენლობაში შედის:

ოპიუმის ფხვნილი 0,0045 გ, ქაფური 0,01 გ, ბენზოეს მჟავა 0,04 გ, ანისულის ზეთი 0,005 გ, რძის შაქარი 0,32 გ.

უნიშნავენ იმავე შემთხვევებში, ერთ ტაბლეტს 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp.: Tincturae Opii simplicis 5,0
D. S. 5—10 წვეთი 2-ჯერ დღეში.


Rp.: Opii pulverati 0,01
D. t. d. 6 in tabulettis
S. 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rp.: Tincturae Opii benzoicae 10,0
D. S. 20 წვეთი 2-ჯერ დღეში.

Rp.: Extracti Opii
Extracti Belladonnae \overline{aa} 0,015
Butyri cacao 2,5
M. f. suppositoria
D. t. d. 6
S. თითო სანთელი 2-ჯერ დღეში.

მ ო რ ფ ი ნ ი

Morphinum



HCl, 3H₂O

თეთრი ნემსისებრი კრისტალები ან თეთრი კრისტალური ფხვნილია, რომელიც შენახვისას მოყვითალო ფერის ხდება:

იხსნება წყალში (ცივში 1:25 და ცხელში 1:1), ძნელად— სპირტში (1:50), ქლოროფორმსა და ეთერში. შეუთავსებელია

ტუტეებთან. მორფინის 1% ხსნარის 100 მლ სტაბილიზაციისათვის ემატება 1 მლ 0,1 N მარილმეფავას ხსნარი. ხსნარის PH უდრის 3,0—3,5.

მორფინი ცნობილია თავისი ანალგეზიური თვისებებით; იწვევს პირობითი რეფლექსების დამუხრუჭებას, ტკივილების შეგრძნების შემცირებას, სასუნთქი და ხველების ცენტრების აგზნებადობის დაწვევას, ამუხრუჭებს კუჭისა და ნაწლავების მოძრაობითს ფუნქციას. იჩენს ძილის მომგვრელ თვისებას (ტკივილების გამო უძილობის შემთხვევებში).

იხმარება ტკივილების გასაყუჩებლად, ტკივილების გამო უძილობის შემთხვევაში, მშრალი ხელის, გულის უკმარისობასთან დაკავშირებული ძლიერი ქოშინის დროს. ზოგჯერ იყენებენ მშობიარობის ტკივილების გასაყუჩებლად, ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ ტკივილების საწინააღმდეგოდ.

მორფინის მოქმედება იწყება შიგნით მიღებისას 20—30 წუთის შემდეგ და კანქვეშ შეყვანისას 10—20 წუთის შემდეგ. იწვევს მიჩვევას და განსაკუთრებულ ავადმყოფურ მიდრეკილებას ამ პრეპარატისადმი, რაც ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული.

მორფინს უნიშნავენ კანქვეშ 1 მლ 1% ხსნარის სახით.

შიგნით აძლევენ ფხვნილებში 0,01—0,02 გ. ზოგჯერ ხმარობენ სანთლების სახით (0,01—0,015 გ).

გულის ინფარქტის დროს მორფიუმის კანქვეშ გაკეთებამდე უნიშნავენ ატროპინის ინექციას (0,5—1 მლ 0,1% ხსნარს).

უმალესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,02 გ, სადღელამისო — 0,06 გ.

უმალესი დოზა ბავშვებისათვის:

2 წლის ასაკში — ერთჯერადი — 0,001 გ, სადღელამისო — 0,002 გ
3—4 " " 0,0015 " " 0,003
5—6 " " 0,0025 " " 0,0075
7—9 " " 0,003 " " 0,01
10—14 " " 0,003—0,005 გ, " 0,01—0,015 გ.

2 წლამდე ბავშვებს პრეპარატი არ ენიშნება.

უკუჩვენება — მოხუცებულობის ასაკი, სუნთქვის ცენტრის უკმარისობა, ზოგადი დაუძლურება.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულლებში 1 მლ 1%-იანი ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Morphini hydrochlorici 0,01
Sacchari 0,2
M. f. p. D. t. d. 6
S. 1 ფხვნილი საჭიროების დროს.

Rp.: Solutionis Morphini hydrochlorici 1%—1,0
D. t. d. 6 in ampulis
S. 1 მლ კანქვეშ საჭიროების დროს.

Rp.: Morphini hydrochlorici 0,01
Extracti Belladonnae 0,015
Butyri Cacao 2,5
M. f. Suppositoria D. t. d. 6
S. თითო სანთელი დღეში 2-ჯერ.

ომნოპონი (კანტოპონი)

Omnoponum (Pantoponum)

მოყავისფრო-ყვითელი ან მოყავისფრო-ვარდისფერი ფხვნილია. იხსნება წყალში (1 : 15), სპირტში (1 : 50). არ იხსნება ეთერში. ომნოპონი იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც მორფინი. მორფინთან შედარებით მას ის უპირატესობა აქვს, რომ ნაკლებ ამუხრუჭებს სასუნთქ ცენტრს; არ იწვევს გლუვი კუნთების სპაზმს. უფრო ადვილი ასატანია. ახასიათებს მიჩვევა, რის გამოც არ შეიძლება მისი ხანგრძლივად ხმარება.

უნიშნავენ შიგნით, კანქვეშ და სანთლების სახით. მოზრდოლებს ეძლევა შიგნით 0,01—0,02 გ ერთ მიღებაზე. ბავშვებს—2—5 წლის ასაკში—1%—იანი ხსნარის 2—6 წვეთი შიგნით მისაღებად; 6—10 წლის ასაკში — 8 — 10 წვეთი.

კანქვეშ უკეთებენ მოზრდილებს 1% ხსნარის 1 მლ, ბავშვებს—1% ხსნარის 0,1—0,2 მლ 2—5 წლამდე; 0,3—0,4 მლ 6—10 წლამდე. უმაღლესი დოზა მოზრდილებისათვის (კანქვეშ) — ერთჯერადი — 0,03 გ, სადღეღამისო — 0,1 გ.

ბავშვებისათვის — 2 წლის ასაკში — ერთჯერადი — 0,002 გ. სადღეღამისო — 0,004 გ.; 3—4 წ. — ერთჯერადი—0,003 გ, სადღეღამისო—0,006 გ., 5—6 წ. — ერთჯერადი — 0,005 გ, სადღეღამისო — 0,015 გ.; 7—9 წ. — ერთჯერადი — 0,006 გ, სადღეღამისო — 0,02 გ.; 10—14 წ. — ერთჯერადი 0,01 გ, სადღეღამისო—0,03 გ.

ბავშვებს 2 წლამდე ომნოპონი არ ენიშნება.

ჩვენება და უკუჩვენება იგივე, რაც ოპიუმის პრეპარატებისათვის.

გამოშვებულია ფხენილებსა და ამპულებში 1 მლ 1% და 2%-იანი ხსნარების სახით.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ მინის ქილებში ან ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Omnoponi 1%, 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S 0,5—1 მლ კანქვეშ.

Rp.: Omnoponi 0,01


Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 6

S. თითო ფხენილი ღლეში 2-ჯერ.

პ რ ო მ ე დ ო ლ ი

Promedolum



პრომედოლი მწარე გემოს, თეთრი, კრისტალური ფხენილია, იხსნება წყალში, სპირტში, ქლოროფორმში, არ იხსნება ეთერსა და ბენზოლში.

პრეპარატს ღებულობენ სინთეზურად.

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ძლიერ ახლოს დგას მორფიუმთან და პანტოპონთან. აღსანიშნავია მისი გამაუტკივარებელი და სპაზმოლიზური თვისება.

ახსიათებს მიჩვევა, რომელიც ვითარდება პრეპარატის ხანგრძლივად მიღების შემდეგ.

ინმარება იმავე შემთხვევებში, რაც პანტოპონი (იხ. ზემოთ).

დოზა: მოზრდილთათვის შიგნით მისაღებად 0,02—0,05 გ

ერთ მიღებაზე ან კანქვეშ 1—2%-იანი ხსნარის 1 მლ 1—2-ჯერ დღეში. მოქმედება იწყება პრეპარატის მიღებიდან 10—20 წუთში და გრძელდება 3—4 საათი.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — შიგნით — 0,075 გ, სადღელამისო—0,15 გ, კანქვეშ—ერთჯერადი—0,04 გ, სადღელამისო—0,08 გ.

ბავშვებს 2 წლამდე არ ეძლევა.

3—4 წლის ასაკში — ერთჯერადი — შიგნით—0,0075 გ, სადღელამისო—0,015 გ; 5—6 წ. — ერთჯერადი — 0,01 გ, სადღელამისო—0,02 გ, 10—14 წ. — ერთჯერადი — 0,015 გ, სადღელამისო—0,03 გ.

კანქვეშ გასაკეთებლად უნდა შემცირდეს შესაბამისად.

გამოშვებულია ფხენილებში, ტაბლეტებში à 0,025 გ და ამპულებში 1 მლ 1% და 2% ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ ქილებსა და ამპულებში.

გაცემა ხდება იმავე განსაზღვრული წესით, როგორც მორფიუმისა.

Rp.: Promedoli 0,025

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Promedoli 1%-1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. ერთი ამპულა კანქვეშ 2-ჯერ დღეში.

კოდეინი

Codeini



თეთრი, კრისტალური, უსუნო და მწარე გემოს ფხენილია. ცივ წყალში ძნელად იხსნება (1:150), ცხელ წყალში—შედარებით კარგად (1:17), ადვილად იხსნება სპირტში (1:2,5), ქლოროფორმში და ბენზოლში.

თავისი მოქმედებით ახლოს დგას მორფინთან, მხოლოდ კო-დინი უფრო ძლიერად მოქმედებს ხველების ცენტრზე, უფრო მცირედ—სასუნთქ ცენტრზე და ამასთან ნაკლებ გამაუტკივარებელი თვისება ახასიათებს.

ამის გამო იგი იხმარება ძირითადად ხველის წინააღმდეგ ბრძოლიდან ერთად როგორც დამამშვიდებელი საშუალება (შედის ბებტერევის მიქსტურაში).

უნიშნავენ ფხვნილებში 0,01—0,02 გ ერთ მიღებაზე, ბავშვებს—ასაკის შესაბამისად ნაკლებს.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის—0,05, სადღე-ღამისო — 0,2 გ.

ბავშვებს 2 წლამდე არ ეძლევა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Codeini phosphorici 0,015
Natrii bicarbonici 0,25
D. t. d. 6 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Codeini phosphorici 0,015
Terpini hydrati 0,3
D. t. d. 6 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Infusi herbae Adonidis vernalis 6,0:180,0
Natrii bromati 6,0
Codeini phosphorici 0,2
M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში
(ბებტერევის მიქსტურა).

კოდინის ფოსფატი

Codeinum phosphoricum



· H_3PO_4 $1\frac{1}{2}\text{H}_2\text{O}$

თეთრი, კრისტალური, უსუნო და მწარე გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1 : 3,5), ძნელად—სპირტში, თითქმის არ იხსნება ეთერსა და ქლოროფორმში.

აქვს იგივე მოქმედება და გამოყენება, რაც სუფთა კოდეინს. იგი მხოლოდ ნაკლებ ტოქსიკურია (შეიცავს 80% ფუძე კოდეინს) და ამიტომ იხმარება უფრო დიდ დოზებში.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი—0,1 გ, სადღეღამისო—0,3 გ.

უმაღლესი დოზები ბავშვებისათვის:

6 თვიდან—1 წლამდე	— ერთჯერადი	— 0,0025 გ,	სადღეღამისო—	0,0075 გ
2 წ.	"	"	0,004	0,012
3—4	"	"	0,005	0,015
5—6	"	"	0,006	0,02
7—9	"	"	0,01	0,03
10—14	"	"	0,015	0,02

ბავშვებს 6 თვის ასაკამდე არ მიეცემათ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,015 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Codeini phosphorici 0,015


Sacchari 0,25

D. t. d. 6 in tabletis

S. ერთი ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

დიონინი

Dioninum



თეთრი, კრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1 : 12), სპირტში (1 : 25), ძნელად—ქლოროფორმსა და ეთერში.

თავისი მოქმედებით ახლოსაა კოდინთან.

იხმარება ხველების საწინააღმდეგოდ, დოზებში — 0,015 — 0,02 გ ერთ მიღებაზე.

1—2%-იანი ხსნარისა და მალამოს სახით იხმარება აგრეთვე ოფტალმოლოგიურ პრაქტიკაში. აწყნარებს ტკივილებს, კერატიტების დროს ხელს უწყობს ექსუდატის შეწოვას; რკოვანას ინფილტრატის დროს აყუჩებს ტკივილებს და სხვ.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი—0,03 გ, სადღელამისო—0,1 გ.

ბავშვებისათვის:

2 წლის ასაკში—	0,003 გ,	სადღელამისო—	0,01 გ
3—4 წ. "	0,005	"	0,015
5—6 წ. "	0,006	"	0,018
7—9 წ. "	0,0075	"	0,025
10—14 წ. "	0,01	"	0,03

ბავშვებს 2 წლამდე არ ეძლევა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,01 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Dionini 0,01

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Dionini

Codeini $\overset{\text{ii}}{\text{aa}}$ 0,015

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Dionini 2% 10,0

D. S. თვალის წვეთები. თითო წვეთი 1—2-ჯერ დღეში.

სიცხის დამწვევი საშუალებები

ანტიპირინი

Antipyrinum



ანტიპირინი წარმოადგენს ფენილ-დიმეთილ-პირაზოლონს; უფერული, სუსტი მწარე გემოს პატარა კრისტალებია. კარგად იხსნება წყალში (1 : 1), სპირტში (1 : 1,5) და ასევე ქლოროფორმში.

იხმარება ნევრალგიების, შაკიკის, რევმატიზმის, ქორეის და ე. წ. გაცივებითი ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ერთჯერადი დოზაა 0,5—1,0 გ, სადღეღამისო—3,0 გ.

ბავშვებს 6 თვემდე არ ენიშნებათ.

ანტიპირინი იხმარება აგრეთვე სისხლის ღენის საწინააღმდეგოდ (10—20% ხსნარში დასველებული ტამპონები). ხმარებაშია ანტიპირინის მიკროოყენები (0,3 გ 25 გ წყალზე) ტენეზმების საწინააღმდეგოდ.

გამოშვებულია ფხვნილების სახით და ტაბლეტებში 0,25 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას კარგად დახურულ მინის ქილებში.

ასეთივე გამოყენება აქვს მიგრენინს (Migraeninum). რომელიც წარმოადგენს ანტიპირინის 85 ნაწილს, კოფეინის 9 ნაწილს და ლიმონის მჟავის 6 ნაწილის ნარევს.

Rp.: Antipyrini 0,5

D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Migraenini in tabulettis

D. 10

S. თითო ტაბლეტი დღეში 2—3-ჯერ.

Rp.: Sol. Antipyrini 10^o/_o—30,0

D. S. დასველეთ ბაზბა და შეიღეთ ნესტოში ცხვირიდან სისხლის დენის დროს.

ასპირინი

Aspirinum

ასპირინი—აცეტილ-სალიცილის მჟავა — თეთრი ნემსისებრი კრისტალებია, მომჟავო გემოსი. ცუდად იხსნება წყალში, კარგად—ეთერსა და ნატრიუმის ტუტეში. ლღობის ტემპერატურაა 133—136°.

თავისი ფარმაკოლოგიური და კლინიკური მოქმედებით ახლოს დგას სალიცილისმჟავა ნატრიუმთან.

შიგნით იხმარება როგორც ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი ნევრალგიების, შაკიკის და ე. წ. გაცივებითი დაავადებების საწინააღმდეგოდ. ხმარობენ მწვავე რევმატიზმის და რევმატული ეტიოლოგიის დაავადებების შემთხვევებში.

დოზა: 0,3,—0,5, 3—4-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ჰ 0,25 და 0,5 გ. ინახება კარგად თავდაცობილ მინის ქილბებში.

Rp.: Aspirini 0,5

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ასპირინი შედის კომბინირებული ტაბლეტების შემადგენლობაში.

ასკოფენი (Ascophenum), რომელიც შეიცავს: ასპირინს—0,2 გ, ფენაცეტინს—0,2 გ და კოფეინს—0,04 გ.

ასფენი (Asphenum), რომელიც შეიცავს: ასპირინს—0,25 გ და ფენაცეტინს—0,15 გ.

ნოვოცეფალგინი (Novocephalinum). ერთი ტაბლეტი შეიცავს: ასპირინს—0,3 გ, ფენაცეტინს—0,2 გ და კოფეინს—0,03 გ.


ციტრამონი (Citramonum)—ასპირინი 0,24 გ, ფენაცეტინი—0,18 გ, კოფეინი სუფთა—0,03 გ, კაკაო ფხვნილად,—0,03, ლიმონის სიმჟავე—0,02 გ, შაქარი—0,5 გ.

ეს ტაბლეტები იხმარება თავის ტკივილის, ნევრალგიების, გაცივებითი დაავადებების დროს.

ენიშნებათ თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ანალგინი

Analginum



ანალგინი თეთრი, ოდნავ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში, ცუდად—ეთილის სპირტში.

მას აქვს ანალგეზიური და სიცხის დამწვევი მოქმედება. ამ მხრივ იგი წააგავს პირამიდონს. ფინაიდან კარგად იხსნება წყალში და მალე შეიწოვება ქსოვილებიდან, ანალგინის სტერილური ხსნარი იხმარება ინექციების სახითაც სწრაფი მოქმედების მისაღებად. პირამიდონთან ერთად ანალგინი იძლევა უფრო ხანგრძლივსა და სწრაფ ეფექტს.

იხმარება როგორც გამაუტკივარებელი და სიცხის დამწვევი საშუალება მწვავე რევმატიზმის დროს, სახსრებისა და კუნთების რევმატული დაავადების დროს, აგრეთვე ნევრალგიების, რადიკულიტის, იზიალგიების და თავის ტკივილის შემთხვევაში.

დოზა—0,3—0,5 გ 3-ჯერ დღეში. უმაღლესი ერთჯერადი დოზა—1 გ, სადღელამისო—3 გ.

კანკევემ იხმარება 50%-იანი ხსნარი 1—2-ჯერ დღეში 0,5—1 მლ.

გამომწვებულია ფხვნილების, ტაბლეტებისა და 50% ხსნარის სახით 1 მლ ამპულაში.

ინახება კარადა B-ში, კარგად თავდაცობილ შუშებში, მზის სხივებისაგან დაცულ ადგილზე.

Rp.: Analgini 0,5

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Analgini 50% 1,0.

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში კუნთებში.

ბუტადიონი

Butadionum



ბუტადიონი თეთრი, მწარე გემოს კრისტალური ფხენილია, რომელიც არ იხსნება წყალში, მისი ნატრიუმის მარილი კი კარგად იხსნება. ლობობის ტემპერატურაა 105°.

იგი არის 1,2 დიფენილ 4—H—ბუტილ—3,5 პირაზოლიდინ—დიონი.

ფარმაკოლოგიურად ბუტადიონი ხასიათდება ანალგეზიური, სიცხისდამწვევი თვისებებით და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

იხმარება მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული რევმატული პოლიართრიტების შემთხვევაში, ინფექციური, არასპეციფიკური პოლიართრიტებისა და ნიკრისის ქარის დროს. იგი იწვევს ტკივილებისა და სხვა მოვლენების შემცირებას.

ბუტადიონი ავადმყოფებს ენიშნება ჭამის შემდეგ (ან ჭამის დროს) 0,1—0,15 გ სამჯერ დღეში. შეიძლება 4—6-ჯერაც. სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 0,6 გრამს. ბავშვებს ეძლევა წლოვანობის მიხედვით.

ბუტადიონით მკურნალობის დროს ურჩევენ საქმელი მარილის მიღების შეზღუდვას. მისაღებია მხედველობაში აგრეთვე ბუტადიონის ზეგავლენით ზოგიერთი პრეპარატის (პირამიდონი, მორფინი, პარა-ამინო-სალიცილ-მრავა ნატრიუმი, პენიცილინი და სხვ.) ორგანიზმიდან გამოყოფის შენელება, რასაც შეიძლება მოჰყვეს გართულება. თვითონ ბუტადიონს შეუძლია თანამოვლენების სახით გამოიწვიოს გულისრევა, პირღებინება, ტკივილები კუჭის მიდამოში, კანზე გამონაყარი, ლეიკოპენია და სხვ. ამისათვის საჭიროა მკურნალობის პერიოდში ექიმის მეთვალყურეობა, კვირაში ერთჯერ

მაინც სისხლის გასინჯვა. გართულების შემთხვევაში საჭიროა დოზის შემცირება ან პრეპარატის სრულებით მოხსნა მდგომარეობის მიხედვით.

ბუტადიონის ხმარებისათვის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობა ლეიკოპენიითა და ანემიით.

ბუტადიონი გამოშვებულია ტაბლეტების სახითაც \times 0,05—0,1 გ.

ინახება (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Butadioni 0,1

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ვეროდონი

Verodonum

პრეპარატი შეიცავს პირამიდონსა და ვერონალს, გამოშვებულია ტაბლეტებში წონით 0,4 გ. ორივე კომპონენტის მოქმედება გაძლიერებულია (პოტენცირებული მოქმედება). იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც პირამიდონი. კარგად მოქმედებს მტკივნეული თვითურის დროს.

Rp.: Verodoni 0,4

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

R.: Verodoni 0,3

Coffeini natrio-salicylici 0,1

M. f. p. D. t. d. 6

S. თითო ფხვნილი 1—2-ჯერ დღეში (შაკიკის დროს).

Rp.: Verodoni


Atophani 0,5

M. f. p. D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 2—3-ჯერ დღეში (იშიახის დროს).

კ უ ტ ი ზ ო ნ ი

Cutizonum



კუტიზონი თეთრი კრისტალური ფხენილია, ლღობის ტემპერატურაა 147—151°. კარგად იხსნება სპირტსა და აცეტონში, ცუდად—წყალში.

კუტიზონი მოწოდებულია ვირუსული გრიპის საწინააღმდეგოდ*.

უნიშნავენ მოზრდილებს 3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტს ჰ 0,005 გ 3—4 დღის განმავლობაში.

ბავშვებს: 1— 3 წლამდე—0,001 გ
3— 5 წ. " —0,0015 "
5— 7 წ. " —0,002 "
7—10 წ. " —0,003 "
12—15 წ. " --0,004 "

გამოშვებულია ტაბლეტებში.

ინახება სიფრთხილით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ნ ო ვ ო მ ი გ რ ო ფ ე ნ ი

Novomigrophenum


ტაბლეტები შემდეგი შემადგენლობისაა: პირამიდონი 0,2 გ, ფენაქეტინი 0,1 გ, კოფეინი 0,015 გ, ლიმონის მჟავა 0,015 გ და შაქარი 0,1 გ.

იხმარება თავის ტკივილის, ნევრალგიებისა და გაცივების დროს თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

* უკანასკნელ ხანებში იშვიათად ხმარობენ.

პირამიდონი

(Pyramidonum)



პირამიდონი დიმეთილ-ამინო-ანტიპირინია; უფერული და უსუნო წვრილი კრისტალებია, კარგად იხსნება წყალში, სპირტში, ეთერსა და ბენზოლში.

იხმარება ტკივილის დასაუფრებლად, სიცხის დასაწვეად, განსაკუთრებით რევმატული დაავადების დროს. ამ მხრივ მისი მოქმედება წააგავს ანტიპირინის მოქმედებას, მხოლოდ უფრო ეფექტურია. პირამიდონს აქვს ფართო გამოყენება მწვავე და ქრონიკული ათროიტების, ნევრალგიების, შაკიკის, მიოზიტების, ქორეას და თავის ტკივილის შემთხვევებში.

უნიმწვენ შიგნით ფხვნილებისა ან ტაბლეტების სახით: დოზა ერთჯერადი—0,5 გ, სადღელამისო—1,5 გ. მწვავე რევმატიზმის დროს სადღელამისო დოზა შეიძლება გადიდდეს 3 გრამამდე.

პირამიდონი ხშირად ენიშნება ავადმყოფს სხვა სიცხის დამწვევ და ტკივილდამაუფრებელ საშუალებასთან ერთად (ფენაცეტინი, ანტიპირინი, კოფეინი, ანალგინი). პირამიდონის ხანგრძლივად მიღების შემთხვევაში საჭიროა პერიოდულად სისხლისა და შარდის გასინჯვა.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას, მინის ქილებში.

Rp.: Pyramidoni 0,25

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

Rp.: Pyramidoni 0,25

Coffeini natrio-benzoici 0,1

D. t. d. 6

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

პ ი რ ა მ ე ნ ი

Pyraphenum

ტაბლეტები შეიცავს: პირამიდონს—0,25 გ და ფენაცეტინს—0,25 გ.

პ ი რ ა მ ი ნ ა ლ ი

Pyraminalum

ტაბლეტები შეიცავს: პირამიდონს—0,25 გ, კოფეინს—0,03 გ და ლუმინალს—0,02 გ.

პ ი რ ა მ ე ი ნ ი

Pyrameinum

ტაბლეტებია, რომელიც შეიცავს პირამიდონს—0,3 გ, კოფეინს—0,03 გ.

ეს საშუალებები იხმარება თავის ტკივილის წინააღმდეგ, ნევრალგიების ე. წ. გაცივებითი ავადმყოფობის წინააღმდეგ, დღეში 2—3 ტაბლეტი.

რ ე ო პ ი რ ი ნ ი

Rheopyrinum

პრეპარატი შეიცავს ბუტადიონსა და პირამიდონს თანაბარი რაოდენობით.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც ბუტადიონი.

გამოშვებულია ტაბლეტებში (თითო ტაბლეტი შეიცავს ორივე კომპონენტს თანაბარი რაოდენობით) 0,125 გ და ამპულებში 5 მლ შეკულობით, რომელშიაც შედის 0,75 გ ბუტადიონის ნატრიუმის მარილი და ამდენივე პირამიდონი.


აძლევენ თითო ტაბლეტს 4—6-ჯერ დღეში. ინექციები კი კეთდება (შედარებით იშვიათად) ღრმად კუნთებში 5 მლ რაოდენობით ერთჯერ 3—5 დღეში, ნელი შეყვანით.

ინექციის შემდეგ ავადმყოფი უნდა იწვეს 2 საათის განმავლობაში.

Rp.: Rheopyrini in tabulettis N 30

D. S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

Natrium salicylicum



სალიცილის მგავა ნატრიუმი თეთრი, კრისტალური ფხვნილია ან წვრილი ფირფიტები, უსუნო, მოტკბო-მლაშე გემოსი. ადვილად იხსნება წყალში (1:1), სპირტსა (1:6) და გლიცერინში (1:5). არ იხსნება ეთერში.

სალიცილმგავა ნატრიუმს ძირითადად იყენებენ რევმატული დაავადების წინააღმდეგ; კარგ ეფექტს იძლევა პოლიართრიტების, მიოზიტების, ნევრალგიების, თავის ტკივილის, ზოგჯერ ექსულატური პლევრიტების და სხვ. დროს.

უნიშნავენ შიგნით—მოზრდალებს 0,5—1 გ ერთ მიღებაზე, ბავშვებს—0,3—0,5 გ ჰამის შემდეგ.

მწვავე რევმატიზმის დროს უნიშნავენ დიდ დოზებში—8—10 გრამამდე დღეში, ნატრიუმის ბიკარბონატთან კომბინაციაში. ბავშვებს ასეთივე შემთხვევაში 0,5 გ ასაკის ყოველ წელზე დღეში, მაგრამ არა უმეტეს 6 გრამისა.

მკურნალობის ხანგრძლიობა დამოკიდებულია მდგომარეობის სიმძიმისაგან, საერთოდ კი წარმოიგებს რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ზოგჯერ ვითარდება თანამოვლენები: გულისრევა, პირღებინება, ყურებში შუილი, გაძლიერებული ოფლიანობა და სხვ.

ამ მოვლენების საწინააღმდეგოდ საკმარისია დოზის შემცირება ან დროებით პრეპარატის მიცემის მოხსნა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,25 გ და 0,5 გ.

ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Natrii salicylici 0,5


D. t. d. 30 in tabulettis

S. ორი ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

Rp.: Natrii salicylici 10,0
 Natrii bicarbonici 5,0
 Aquae destillatae 180,0
 M. D. S. თითო სუფურის კოვზი დღეში 6-ჯერ.

ფ ე ნ ა ც ე ტ ი ნ ი

Phenacetinum



თეთრი, წვრილკრისტალური, უსუნო და მომწარო გემოს ფხენილია. იხსნება წყალში, შედარებით კარგად—სპირტში (1:16), ქლოროფორმში. ხსნარს აქვს მუავე რეაქცია, ლობის ტემპერატურა—134-136°.

ხმარობენ სიცხის დასაწევად და ტკივილების გასაყუჩებლად (თავის ტკივილი, ნევრალგიური ტკივილები და სხვ.).

უნიშნავენ შიგნით 0,2—0,5 გ 2—3-ჯერ დღეში. ბავშვებს 1 წლამდე—0,03—0,05 გ, 2—5 წ. — 0,1—0,15 გ, 6—12 წ.—0,15—0,3 გ, 2—3-ჯერ დღეში.

ჩვეულებრივად უნიშნავენ სხვა საშუალებებთან ერთად (კოფეინი 0,05 გ და ფენაცეტინი 0,25 გ; პირამიდონი, ფენაცეტინი თანაბრად 0,25 გ და კოფეინი 0,05 გ; ასპირინი და ფენაცეტინი თანაბრად 0,25 გ და კოფეინი 0,05 გ).


გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ.

Rp.: Phenacetini 0,25
 Coffeini natrio-benzoici 0,1
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. 1 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ცენტრალური ნერვული სისტემის ამგზნები საშუალებები

აზოტოვანა სტრიქნინი

Strychninum nitricum



აზოტმევა სტრიქნინი უფერული, მზინავი, ძლიერ მწარე გემოს კრისტალებია, ძნელად იხსნება ცაჲ წყალში და სპირტში; ადვილად — მდულარე წყალში. არ იხსნება ეთერში. წყალხსნარს აქვს ნეიტრალური ან სუსტი მჟაჲ რეაქცია.

იხმარება როგორც ტონუსის ამწევი საშუალება საერთო სისუსტის დროს და გრძნობათა ორგანოების (ამახვილებს მხედველობას, სმენას, გემოვნებას და სხვ.) და ნივთიერებათა ცვლის სტიმულატორად, აგრეთვე დაღლილობის, ჰიპოტონიური დაავადების, მიოკარდიუმის მუშაობის შესუსტების, პარეზებისა და ატონიის დროს.

უკუჩვენებას წარმოადგენს: ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი, ნეფრიტები, ჰეპატიტები, ეპილესია, ბაზედოვის ავადმყოფობა, ტეტანია.

უნიზნავენ შიგნით — ზოზრდილებს — 0,005 — 0,001 გ, 2—3-ჯერ დღეში ან კანქვეშ 0,1% ხსნარის 1 მლ.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,002 გ,
სადღელამისო — 0,005 გ.

უმაღლესი დოზა ბავშვებისათვის:

2 წლის ასაკამდე—	ერთჯერადი—	0,00025 გ,	სადღელამისო—	0,0005 გ
3—4 წ.	"	0,0003 გ	"	0,0006 გ
5—6 წ.	"	0,0005 გ	"	0,001 გ
7—9 წ.	"	0,0006—0,00075 გ	"	0,0012—0,0015 გ
10—14 წ.	"	0,00075—0,001 გ	"	0,0015—0,002 გ

ბავშვებს ორ წლამდე არ უნიშნავენ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში (1 მლ 0,1% ხსნარი). ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა Δ) კარგად თავდაცობილ ქილებსა და ამპულებში.


Rp: Strychnini nitrici 0,03
Massae pil. q. s. ut f. pil. 30
D. S. თითო აბი დღეში 3-ჯერ.

Rp: Solutionis Strychnini
nitrici 0,1% — 1,0
D. t. d. 6 in ampulis
S. ერთი მლ. 1 — 2-ჯერ დღეში კანქვეშ.

Rp: Tincturae Nucis vomicae 4,0
Tincturae Convallariae majalis 8,0
Tincturae Valerianae 16,0
M. D. S. 10 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში (10 წლის ბავშვს).

კო რ ა ზო ლ ი

Corazolium



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალსა და სპირტში, ლობის ტემპერატურა 59 — 61°.

თავისი მოქმედებით ახლო დგას ქაფურთან და კოფეინთან. ნხოლოდ შეიწოვება უფრო მალე და ასევე ჩქარა გამოდის ორგანიზმიდან.

იხმარება როგორც ქაფური გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სუნთქვის სასტიმულაციოდ; აგრეთვე ნარკოზის შესაწყვეტად

ან შესამცირებლად. ფსიქიატრიაში იხმარება კრუნჩხვითი თერაპიის ჩასატარებლად შიზოფრენიის წინააღმდეგ.

აძლევენ შიგნით 0,1 — 0,2 გ 2 — 3-ჯერ დღეში, კანქვეშ უნიშნავენ კორაზოლის 10% ხსნარის 1 მლ. შესაძლებელია ნელი შეყვანით ვენაშიაც ხმარება: შოკის, ასფიქსიის, ოპერაციის დროს, გულის სუსტი მუშაობისას 10% ხსნარის 1 მლ; ნარკოზული ან ძილ-მომგვრელი საშუალებებით მოწამვლის შემთხვევაში უფრო დიდი დოზით — 10% ხსნარის 2 — 3 მლ უკეთებენ კანქვეშ ან კუნთებში.

ბავშვებს 1 წლამდე შიგნით აძლევენ 0,015 გ ან კანქვეშ 10% ხსნარის 0,2 მლ; 2 — 5 წლის ასაკში — 0,03 გ, კანქვეშ იმავე ხსნარის 0,3 მლ; 6 — 12 წლის ასაკში შიგნით — 0,6 — 0,8 გ, კანქვეშ 10% ხსნარის 0,6 — 0,8 მლ.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,2 გ, სა-დღელამისო — 0,5 გ.

შიზოფრენიის მკურნალობის დროს 10%-იანი კორაზოლის ხსნარის 2 — 3 მლ შეჰყავთ სწრაფად ვენაში. თუ ასეთმა დოზამ კრუნჩხვები არ გამოიწვია, შემდეგი ინექციების დროს უმატებენ იმავე ხსნარის 1 მლ.

უკუჩვენება: გულის მძიმე დაზიანება, ფილტვის ტუბერკულოზის აქტიური ფორმა, სიცხიანი დაავადება.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,1 გ ამპულ-ლებში 1 მლ 10% ხსნარის სახით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებსა და ამპულებში.

Rp.: Corazoli 0,1

D. t. d. 10 in tabulettis


S. 2 — 3-ჯერ დღეში

Rp.: Solutionis Corazoli 10%, 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. კანქვეშ (კუნთებში, ვენაში) 1 ამპულა 1 — 2-ჯერ დღეში.

კ ო რ დ ი ა მ ი ნ ი ნ



კორდიამინი ნიკოტინის მეკავას დიეთილამიდის 25%-იანი ხსნარია; უფერული ან ოდნავ მოყვითალო ფერის თავისებური სუნის სითხეა. იხსნება წყალსა და სპირტში. ხვედრითი წონა — 1,023 — 1,024.

თავისი მოკმედებით ახლოსაა ქაფურთან და კორაზოლთან. ადვილად შეიწოვება კანქვეშა ფაშარი ქსოვილიდან, კუნთებიდან.

იგი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულაციას, სასუნთქი ცენტრის აგზნებას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსის მომატებას.

აძლევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე და ქრონიკული უემარისობის დროს; სუნთქვის სასტიმულაციოდ ინფექციურ დაავადებათა შემთხვევებში; მწვავე ასფიქსიის, კოლაფსის, ნარკოზული ნივთიერებებით, მორფინით, ნახშირბადით მოწამელისა და ახალშობილთა ასფიქსიის დროს.

აძლევს მოზრდილებს შიგნით 20 — 25 წვეთს 2 — 3-ჯერ დღეში, ბავშვებს კი — ერთ მიღებაზე იმდენ წვეთს, რამდენი წლისაა იგი. უფრო ხშირად ხმარობენ კანქვეშ და კუნთებში, უკეთებენ ვენაშიც ნელი შეყვანით მოზრდილებს 1 მლ 1 — 2-ჯერ დღეში, ბავშვებს — 0,1 — 0,5 მლ წლოვანების მიხედვით. ნარკოზული საშუალებებით მოწამელის დროს უშხაპუნებენ უფრო დიდ დოზებში — 2 — 3 მლ (ერთჯერადად).

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 1 მლ (30 წვეთი), სადღელამისო — 3 მლ (90 წვეთი). კანქვეშ: ერთჯერადი — 1 მლ, სადღელამისო — 3 მლ.

უმაღლესი დოზა ბავშვებისათვის:

1/2 წლამდე:	ერთჯერადი — 2 წვ.,	კანქვეშ — 0,1 მლ;
1/2 — 1 წ.	" 3 წვ.	" 0,1 "
2 წ.	" 4 წვ.	" 0,15 "
3 — 4 წ.	" 5 წვ.	" 0,25 "
5 — 6 წ.	" 6 წვ.	" 0,5 "
7 — 9 წ.	" 8 წვ.	" 0,5 "
10 — 14 წ.	" 10 წვ.	" 0,8 "
1/2 წლამდე:	სადღელამისო — 4 წვ.	კანქვეშ — 0,2 მლ.
1/2 — 1 წ.	6 წვ.	" 0,2 "
2 წ.	8 წვ.	" 0,3 "
3 — 4 წ.	15 წვ.	" 0,5 "
5 — 6 წ.	18 წვ.	" 1 "
7 — 9 წ.	20 წვ.	" 1 "
10 — 14 წ.	30 წვ.	" 1,5 "

გამოშვებულია ამპულებში ჰ 1 და 2 მლ და ფლაკონებში ჰ 30 და 40 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ამპულებში და ნარინჯისფერ მინის მილესილსაცობიან ქურქელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Cordiamini 1,0

D. t. d. 10 in ampulis


S. თითო ამპულა 1 — 2-ჯერ კანქვეშ.

Rp.: Cordiamini 30,0

D. S. 20 — 25 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში.

კოფეინი

Coffeinum



კოფეინი ალკალოიდია, რომელსაც შეიცავს ჩაის ფოთლები (2 %-მდე), ყავის ხის მარცვლები (1 — 2⁰/₁₀₀) და კოლას კაკლები.

მიიღება აკრეთვე სინთეზურადაც.

თეთრი, წვეტიანი, მწარე გემოს კრისტალებია, ძნელად იხსნება ცივ წყალში (1:80), უფრო ადვილად ცხელში (1:2), ძნელად — სპირტში (1:50), ძლიერ ცოტა — ეთერში. ლღობის ტემპერატურა არის 234—237°. ხსნარს აქვს ნეიტრალური რეაქცია.

კოფეინს აქვს ფართო გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში, მას იყენებენ: გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სასუნთქი ცენტრის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის, სტენოკარდიის, შაკიკის დროს, და როგორც სტიმულატორს ფიზიკური და გონებრივი დაღლილობის დროს, აგრეთვე ძილის მომგვრელ საშუალებათა და მორფინით მოწამვლის შემთხვევებში. იხზარება აგრეთვე როგორც შარდმდენი ნივთიერება საგულე საშუალებებთან კომბინაციაში.

უნიშნავენ შიგნით ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,05 — 0,1 გ 2 — 3-ჯერ დღეში.

უმაღლესი დოზა: მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,3 გ, სადღეღამისო — 1 გ.

ბავშვებს 2 წლამდე არ ეძლევათ.

უმაღლესი დოზა ბავშვებისათვის:

3 — 4 წლის ასაკში ერთჯერადი	0,05 გ,	სადღეღამისო	0,15
5 — 6	" "	0,06	" 0,18
7 — 9	" "	0,075	" 0 25
10 — 14	" "	0,075 — 0,1	" 0,25—0,3 გ

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში, აგრეთვე კომბინირებული ტაბლეტების სახით შემდეგი სახელწოდებით: ასკოფენი, ნოვოპიგროფენი, ნოვოცეფალგინი, პირამენი, ციტრამონი. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში.

კოფეინ-ნატრიუმ-ბენზოატი

Coffeinum natrio-benzoicum

თეთრი, უსუნო, მომწარო გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1 : 2), ძნელად — სპირტში (1 : 40). შეიცავს 38% სუფთა კოფეინს. ხსნარის სტერილიზაცია ხდება 100° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში მიმდინარე ორთქლით.

იხმარება იმავე პირობებში, როგორც სუფთა კოფეინი.

კანქვეშ უნიშნავენ 10% და 20% ხსნარის 1 მლ, შიგნით — ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,1 — 0,2 გ 2 — 3-ჯერ დღეში.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,5 გ, სადღეღამისო — 2 გ, ბავშვებისათვის კი:

1/2 წლამდე ერთჯერადი	— 0,05 გ,	სადღეღამისო	— 0,15 გ
1/2 — 1 "	0,05	"	0,15
1 — 2 "	0,06		0,2
3 — 4 "	0,06		0,25
5 — 6 "	0,1		0,3
7 — 9 "	0,15		0,5
10 — 14 "	0,15 — 0,2		0,5 — 0,6 გ

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,1 — 0,2 გ და აგრეთვე სხვა პრეპარატებთან ერთად (ასპირინი, პირამიდონი, ლუმინალი).

გამოშვებულია ხსნარის სახითაც ამპულებში 10 და 20%
ხსნარის 1 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), კარგად თავდაცობილ
ქილებში და ამპულებში.

Rp.: Coffeini natrio-benzoici 0,1 (0,2)
D. t. d. 6 in tabulettis
S. 1 ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.


Rp.: Pyramidoni
Analgini \overline{aa} 0,25
Coffeini natrio-benzoici 0,1
Codeini phosphorici 0,015
D. t. d. 10 in tabulettis
S. 1 ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Coffeini natrio-
— benzoici 10% — 1,0
D. t. d. 10 in ampulis
S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში 2-ჯერ.

იპრაზიდო

Iprazidum

ქიმიურად წარმოადგენს 2 — იზოპროპილ — 1 — იზონიკოტინ-
ოილ პიდრაზინს:



თეთრი კრისტალური ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში
ლღობის ტემპერატურა უდრის 112 — 114°.

იხზარება ფსიქოტროიულ პრაქტიკაში დეპრესიული მდგომარეობის საწინააღმდეგოდ; უნიშნავენ აგრეთვე რეზერპინთან ერთად, რომ არ გაძლიერდეს დეპრესია რეზერპინის მოქმედებით; არ

ურჩევენ მის დანიშვნას ამინაზინთან ერთად. აღნიშნულია იპროზიდის დადებითი მოქმედება სტენოკარდიულ შეტევებზე.

უნიშნავენ შიგნით (უპჯობესია დღის პირველ ნახევარში) ტაბლეტებში (ან აბების სახით) \bar{a} 0.05 — 0,025 გ 3 — 4-ჯერ დღეში; მსუაუქი დეპრესიების საწინააღმდეგოდ შეიძლება დაენიშნოს ნაკლებ დოზებში (0,01 გ დღეში). მოქმედება ვითარდება თანდათანობით 1 — 2 კვირის განმავლობაში, ეფექტის გამომკლავნების შემდეგ ამცირებენ პრეპარატის დოზას — 0,5 გ დღეში. მკურნალობა გრძელდება ჩვეულებრივად 1 — 2 თვე.

თანამოვლენებია: თავის ტკივილი, უძილობა, პარესთეზიები, შეკრულობა, ანემია, სიყვითლე, აკომოდაციის მოშლა, შეიძლება მოხდეს არტერიული სისხლის წნევის დაცემა და ჰიპომანიაკალური მდგომარეობის განვითარება, ამიტომ მკურნალობა იპრაზიდით უნდა წარმოებდეს ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ. ამ მოვლენების დროს უნდა შემცირდეს პრეპარატის დოზა ან სრულებით მოიხსნას. იპრაზიდთან ერთდროულად ურჩევენ ვიტამინ B₆ მიღებას.

იპრაზიდით მკურნალობის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს ღრმა დეპრესია, ეპილეფსია, ფსიქიკური აგზნებადობა, ათეროსკლეროზი, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება, გულის დეკომპენსაცია.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \bar{a} 0,01; 0,025, 0,05 გ რაოდენობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალსა და გრილ ადგილას.


Rp.: Iprazidi 0,01

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ლობელინი

Lobelinum



ალკალოიდი ლობელინი მიიღება მცენარე *Lobelia inflata*-დან; ამზადებენ სინთეზურადაც.

იხმარება კლორწყალბადმეცევა ლობელინის მარილი, რომელიც მწარე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილია. იხსნება წყალსა და (1 : 100) და სპირტში (1 : 15).

ლობელინი მოქმედებს სასუნთქ ცენტრზე, ამის გამო იგი იხმარება როგორც სტიმულატორი ამ ცენტრის მწვავედ განვითარებული უკმარისობის დროს. ახალშობილთა ასფიქსიის, ნარკოზული საშუალებებით მოწამელის შემთხვევებში და სხვ.

დიდ დოზებში ლობელინი იწვევს ლებინების ცენტრის აგზნებას, გულის დამბლას, სუნთქვის დათრგუნვას და კრუნჩხვებს.

ლობელინს უშხაპუნებენ კუნ იებსა და ვენაში. ვენაში ლობელინი შეჰყავთ ნელა (1 მლ 2 — 3 წუთის განმავლობაში).

ხმარობენ 1% ხსნარის 0,003 — 0,005 გ (0,3 — 0,5 მგ).

პედიატრიულ პრაქტიკაში 0,001 — 0,003 (0,1 — 0,3 მგ) 1% ხსნარს.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის — ვენაში 0,005 გ, სადღელამისო — 0,01 გ; კუნთებში შეყვანით — 0,01 გ, სადღელამისო — 0,02 გ.

ბავშვებისათვის (ვენაში და კუნთებში):

1/2 წლამდე — ერთჯერადი	— 0,001 გ	სადღელამისო	0,002 გ
1/2 — 1 წ.	0,0015 გ		0,003 გ
2 წ.	0,002 გ		0,004 გ
3 — 4 წ.	0,002 გ		0,004 გ
5 — 6 წ.	0,0025 გ		0,005 გ
7 — 9 წ.	0,003 გ		0,006 გ
10 — 14 წ.	0,004 გ		0,008 გ

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში.

ინახება ფხვნილები დაკეტილ კარადაში (კარადა A), ხოლო ამპულები მოფრთხილებით (კარადა B) სანთლისაგან დაცულ ადგილას.

Rp: Solutionis Lobelini hydrochlorici 1% 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 0,5 — 1 მლ კანქვეშ.

პანტოკრინი

Pantocerinum

პანტოკრინი გამკვირვალე, ოდნავ მოყვითალო სითხეა. იგი წარმოადგენს ხალებიანი ირმის ახალგაზრდა რქების სპირტიან გამონაწვლილს.

იხმარება როგორც ტონუსის ამწევი საშუალება გადაღლის, ნევრასთენიის, ნევროზების, ჰიპოტონიისა და ასთენიური მდგომარეობის შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით 30 — 40 წვეთს 2 — 3-ჯერ დღეში, ინექციების სახით 1 — 2 მლ დღეში.

მკურნალობა გრძელდება 2 — 3 კვირას.

წინააღმდეგევენებას წაომაოდგენს: ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია, გულის ორგანული თვალსაჩინო ცვლილებები, ნეფრიტის მძიმე ფორმა და სისხლის გაძლიერებული შედედება.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ და მინის კურკელში 30 — 50 მლ რაოდენობით შიგნით მისაღებად.

Rp.: Pantocriini 30,0

D. S. 30 წვეთი 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.


Rp.: Pantocriini 1,0

D. t. d. N. 10 in ampulis

S. ერთი ამპულა კანქვეშ დღეში 1-ჯერ.

ნორადრენალინი (ბიტარტრატბი)

Noradrenalinum bitartaricum



თეთრი ან ოდნავ მორუხო, კრისტალური, უსუნო ფხვნილია. იხსნება წყალში.


ადრენალინთან შედარებით ნაკლებ ტოქსიკურია, აქვს უფრო ძლიერი პრესორული მოქმედება. ამავე დროს იწვევს გულისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ნაკლებ აგზნებას, აქვს სუსტი ბრონქოლიზური მოქმედება და გავლენა ნივთიერებათა ცვლაზე.

იხმარება სისხლის წნევის ასაწევად მისი სწრაფად დაცემისას (ოპერაციების დროს), ტრავმის, მოწამვლის და სხვ. დროს. შეჰყავთ ვენაში წუთობრივად 4 მლ 0,2%-იანი ნორადრენალინი ბიტარტრატი 1000 მლ გლუკოზის 5% ხსნარში, შეყვანის სისწრაფე — 10 — 20 წვეთი ავადმყოფის ყოველ 10 კილოგრამზე 1 წუთის განმავლობაში. უკუჩვენება: ათეროსკლეროზი, ატრიოვენტრიკულარული ბლოკადა, ციკლოპროპანული ნარკოზი, ჰიპერტონიული დაავადება.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ 0,1 და 0,2%-იანი ხსნარი. ინახება მოფრთხილებით სინათლისაგან დაცულ ადგილას.

პერვიტინი

Pervitium



თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს ფხვნილია, იხსნება წყალში, ლლობის ტემპერატურაა 170 — 173°.

ქიმიური სტრუქტურითა და ფარმაკოლოგიური თვისებებით ახლოსაა ფენამინთან, მაგრამ უფრო ტოქსიკურია.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც ფენამინი.

უნიშნავენ შიგნით 1 ტაბლეტს (0,003 გ) 1 — 2-ჯერ დღეში.

ჩვენება და უკუჩვენება აქვს იგივე, რაც ფენამინს. გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,003 გ. ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Pervitini 0,003

D. t. d. 6 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი 1 — 2-ჯერ დღეში.

ფენამინი

Phenaminum



თეთრი წვრილკრისტალური, მწარე გემოს ფხვნილია, იხსნება ცივ (1:30) და ცხელ წყალში (1:3). არ იხსნება სპირტში და ორგანულ გამხსნელებში.

თაგისი ქიმიური სტრუქტურით და ფარმაკოლოგიური მოქმედებით ფენამინი მიეკუთვნება სიმპათომიმეტურ ნივთიერებათა ჯგუფს.

ფენამინი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას, რის გამოც იგი იხმარება კუნთებისა და ნერვულ მოქმედებათა სტიმულაციისათვის. ფენამინი ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას, ამცირებს ძილის მოთხოვნილებას, უმატებს შრომისუნარიანობას, იწვევს ძაღლის მომატების და სიმხნევის შეგრძნებას.

იგი იხმარება დეპრესიების, ნარკოლეფსიების და საზოგადოდ იმ დაავადებათა საწინააღმდეგოდ, რომელთაც ახასიათებს ძილად მივარდნა და აგრეთვე მოღუწების, აპათიის, ასთენიის და აგრეთვე ნარკოზული და ძილის მომგვრელი ნივთიერებებით მოწამელის შემთხვევებში.

ფენამინს ხმარობენ პროფილაქტიკური მიზნითაც, როდესაც მოსალოდნელია ხანგრძლივი ფხიზელი მუშაობა.

ფენამინი შემთხვევათა 10 — 15% -ში იჩენს „პარადოქსალურ“ მოქმედებას: აპათიას აგზნების ნაცვლად, შრომის უნარის დაქვეითებას — მომატების ნაცვლად და სხვ. ეს მოვლენა უნდა იქნეს გათვალისწინებული ფენამინის დანიშვნის დროს.

ფენამინის ზედმეტი დოზა იწვევს თანამოვლენებს, როგორცაა: გულისრევა, შეცივება, თავბრუხვევა, უძილობა, ექსტრასისტოლია, უმადობა.

ორგანიზმიდან ფენამინი გამოდის ნელა (48 საათის განმავლობაში), აქვს კუმულაციის თვისება და იწვევს ზოგჯერ მიჩვევასაც. ამიტომ საჭიროა გამახვილებული ყურადღება მკურნალობის დროს.

მოზრდილებს უნიშნავენ შიგნით 0,005 — 0,01 გ 1 — 2-ჯერ დღეში. მისი მოქმედება ჩვეულებრივად გრძელდება 2 — 8 საათის განმავლობაში. ფსიქიატრიულ პრაქტიკაში მკურნალობა გრძელდება 10 — 12 დღე, ამის შემდეგ საჭიროა შესვენება ამდენივე ხნით. ჰავშვებს 10 — 14 წლის ასაკში ფენამინს არ უნიშნავენ.

უკუჩვენებას წარმოადგენს: მოხუცებულობა, უძილობა, აგზნებული მდგომარეობა, ჰიპერტონიული დაავადება და საერთოდ სისხლის წნევის აწევა, ათეროსკლეროზი, გულის ორგანული დაავადება, ლეკომპენსაცია, ღვიძლის დაავადება.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,01 გ,
სადლეღამისო — 0,02 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,01 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად დაცობილ
მინის ქილებში.


Rp.: Phenamini 0,01
D. t. d. in tabulettis
S. $\frac{1}{2}$ — 1 ტაბლეტი დღეში.

Rp.: Phenamini 0,01
Coffeini natrio-benzoici 0,1
Sacchari 0,2
M. f. p D. t. d. 6

S. ერთი ფხვნილი 1 — 2-ჯერ დღეში დილის საათებში.

ფენატინი

Phenatinum



ფენატინი უფერული ან თეთრი, კრისტალური, უსუნო,
მწარე და მლაშე გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში,
სპირტში, არ იხსნება: ეთერში. ლღობის ტემპერატურაა $162 - 166^\circ$.

ფენატინი თავისი მოქმედებით ცენტრალურ ნერვულ სისტე-
მაზე ახლო დგას ფენამინთან, მხოლოდ იგი არ იწვევს სისხლის
ძარღვების შევიწროებას და ამრიგად სისხლის წნევის აწევას. ამით
სარგებლობენ და ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევებში საკი-
როების დროს ფენამინის ნაცვლად უნიშნავენ ამ პრეპარატს.

შიგნით ეძლევა 0,05 — 0,1 გ 2 — 3-ჯერ დღეში.

კანკეშ კი უკეთებენ 1 — 2-ჯერ 5% ხსნარის 1 მლ, სულ
30 — 40 ინექციას.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,2 გ, სა-
დლეღამისო — 0,6 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,05 გ.
ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ ქილებში.


Rp.: Phenatini 0,05

D. t. d. 6 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

ქაფური

Camphora



საექიმო პრაქტიკაში ხმარობენ ქაფურს, რომელიც მიღებულია ქაფურის ხისაგან *Cinnamomum camphora* ან *Ocimum menthaefolium*-ისაგან და აგრეთვე სინთეზურად სოკის ზეთისა და სკიპიდარისაგან.

თეთრი, კრისტალური ფხვნილია, თავისებური სუნის და მსუსხავი „გამაგრილებელი“ გემოსი. წყალში თითქმის არ იხსნება. (1:840). ადვილად იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში და ცხიმოვან ზეთებში.

ქაფური, როგორც საგულე საშუალება, მეტად პოპულარულია; მას აქვს გამოყენება ყოველდღიურ საექიმო პრაქტიკაში: გულის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის დროს, სასუნთქი და სისხლის მიმოქცევის ცენტრების სასტიმულაციოდ, კრუპოზული პნევმონიისა და სხვა ინფექციური დაავადების შემთხვევაში; აგრეთვე ნარკოზული და საძილე საშუალებებით მოწამელის დროს.

ქაფური ახდენს აგრეთვე უშუალო გავლენას გულის კუნთზე, აძლიერებს რა მასში ნივთიერებათა ცვლის პროცესებს.

ქაფურს დიდ დოზებში ხმარობენ აგრეთვე ფსიქიატრიულ პრაქტიკაში შიზოფრენიის საწინააღმდეგოდ.

ქაფურის ერთჯერადი თერაპიული დოზა შეადგენს 0,1—0,2 გ. მხოლოდ მას ახასიათებს დიდი თერაპიული მოქმედების სიფართოვე, რაც დოზის გადიდების საშუალებას იძლევა (თუ საჭიროება მოითხოვს).

ხმარებაშია ქაფურის შემდეგი პრეპარატები.

ქაფურის 20% ხსნარი ატმის ზეთში — Oleum camphoratum 20% in ampulis 1 — 2 მლ.

უკეთებენ კანქვეშ მოზრდილებს 1 — 2 — 3 მლ 2 — 3-ჯერ დღეში, ბავშვებს 1 წლამდე — 0,5 — 1 მლ; 2 — 5 წ. — 1 — 2 მლ. 6 — 12 წ. — 1 — 2 მლ, 2 — 3-ჯერ დღეში.

გასრესილი ქაფური (Camphora trita) მიიღება ქაფურის სპირტში ან ეთერში გასრესით. უნიშნავენ შიგნით 0,1 — 0,2 გ, ბავშვებს უფრო პატარა დოზებში წლოვანების მიხედვით (0,01 — 0,075 გ) 2 — 3-ჯერ დღეში.

ქაფურის 10% ხსნარი ზეთში (Oleum camphoratum ad usum externum) გარედან სახმარებლად, წასასმელად.

ქაფურის სპირტი (Spiritus camphoratus). ქაფურის ერთ ნაწილს ხსნიან სპირტის 7 ნაწილში, უმატებენ 2 ნაწილ წყალს, სითხეს ანჯღრევენ.

გამკვირვალე, უფერული სითხეა ქაფურის სუნით. ხმარობენ გარედან, განსაკუთრებით ნაწოლების პროფილაქტიკისათვის.

ბრომ-ქაფური (Camphora monobromata) (იხ. ზემოთ).

Rp.: Camphorae tritae 0,1

Sacchari 0,3

M. f. p. D. t. d. 10 in charta cerata

S. თითო ფხენილი 3 — 4-ჯერ დღეში.

Rp.: Olei camphorati 20% — 2,0

D. t. d. 12 in ampulis


S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში 2 — 6-ჯერ.

Rp.: Spiritus Camphorati 50,0

D. S გარედან წასასმელად.

ციტიბონი

Cytitonum



ციტიტონი არის ალკალოიდ ციტიზინის 0,15 %-იანი წყლიანი ხსნარი; უფერული, გამჭვირვალე სითხეა; თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოს დგას ლობელინთან. ჩვენება: სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედების შესუსტება ინტოქსიკაციებისა და ინფექციების დროს, შოკური მდგომარეობა, კოლაფსი, ახალშობილთა ასფიქსია.

ციტიტონს იყენებენ აგრეთვე სისხლის მიმოქცევის სისწრაფის გამოსაკვლევად. ამისათვის კუბიტალურ ვენაში უშხაპუნებენ 0,7 — 1 მლ ციტიტონს და იკვლევენ დროს პირველ ღრმად ჩასუნთქვამდე წამებში. ეს ცდა იძლევა უფრო მკაფიო სურათს, ვიდრე ლობელინით ცდა.

სრულსაკოვანათვის პრეპარატის დოზა კუნთებსა და ვენაში არის 0,5 — 1 მლ, ბავშვებისათვის 1 წლამდე — 0,1 — 0,15 მლ; 2 — 5 წ. — 0,2 — 0,3 მლ; 6 — 12 წ. — 0,3 — 0,5 მლ.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის კუნთებსა და ვენაში არის 1 მლ, სადღელამისო — 2 მლ, ბავშვებისათვის (ვენაში და კუნთებში):

1/2 წლამდე — ერთჯერადი —	0,15 მლ,	სადღელამისო —	0,3 მლ
1/2 — 1 წ.	" 0,15 მლ,	"	0,3 მლ
2 წ.	" 0,2 მლ,	"	0,4 მლ
3 — 4 წ.	" 0,25 მლ,	"	0,5 მლ
5 — 6 წ.	" 0,3 მლ,	"	0,6 მლ
7 — 9 წ.	" 0,4 მლ,	"	0,8 მლ
10 — 14 წ.	" 0,6 მლ,	"	1,2 მლ

ციტიტონის ხმარებისათვის უკუჩვენებაა ათეროსკლეროზი და ჰიპერტონიული დაავადება, სისხლდენა, ფილტვების შეშუპება.

ციტიტონი გამოშვებულია ამპულებში 1 მლ რაოდენობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

ციტიტონი ფხვნილებში ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A).

Rp.: Cytitoni 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 1 მლ ვენაში შეყვანით.

ც ე ნ ტ ე დ რ ი ნ ი

Centredrinum

ცენტედრინი არის ქლორიდი მეთილის ეთერის α — ფენილ — α — ჰიპერიდილ — (2) — ძმრის მტავისა.

იგი ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორია; გამოყენება აქვს ნევრასთენიული, ინვოლუციური, კლიმაქსური და მედიკამენტოზური დეპრესიების დროს.

ჩვენება: ადვილად დაღლა, ძილიანობა, აპათია, მეხსიერების დაქვეითება, დეპრესიული მდგომარეობა.

აძლევენ აგრეთვე რეზერპინით, ამინაზინითა და სხვა ნეიროპლეგიური საშუალებებით ხანგრძლივად მკურნალობის შემთხვევაში.

უკუჩვენება: სტენოკარდია, ჰიპერთირეოზი, უძილობა, ფსიქიკური აგზნება.

უნიშნავენ შიგნით 0,01 — 0,015 გ დღეში 2 — 3-ჯერ. მკურნალობის კურსი — 1-დან — 4 თვემდე.

თანამოვლენებიდან აღსანიშნავია გულისფრიალი, თავის ტკივილი, უმადობა, მოუსვენრობა, უძილობა. ეს მოვლენები პრეპარატის დოზის შემცირების შემდეგ მალე ქრება.

გამოშვებულია ტაბლეტებში — à 0,01 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Centedrini 0,01


D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

სააზომოლიზური საშუალებები

ადენოზინტრიფოსფორმჟავა

Acidum adenosinotriphosphoricum



შედგება ადენოზინის რთული ეთერისა და ფოსფორმჟავას 3 ნაწილისაგან, თეთრი, კრისტალური, ჰიგროსკოპული ფხვნილია.

ადენოზინტრიფოსფორმჟავა 0,3 %-მდე არის ადამიანის და ცხოველთა ორგანიზმში, ღებულობს მონაწილეობას ნივთიერებათა ცვლაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მას კუნთების მუშაობაში და განსაკუთრებით დისტროფიების დროს, აფართოებს სისხლის ძარღვებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოქმედება გვირგვინოვან სისხლის ძარღვებზე.

გამოშვებულია დინატრიუმისა და მონოკალციუმის მარილების სახით.

Natrium adenosinotriphosphoricum 1 % ხსნარი უფერული, ნეიტრალური რეაქციის, გამჭვირვალე სითხეა.

იხმარება კუნთების დისტროფიების, მიოკარდიუმის დისტროფიის (ერთდროულად საგულე საშუალებებთან), ენდარტერიიტის და სტენოკარდიის შემთხვევებში.

მისი გამოყენების უკუჩვენებას წარმოადგენს მიოკარდიუმის ახალი ინფარქტი, ფილტვებში ანთებითი პროცესები.

იხმარება კუნთებში შესაზაპუნებლად 1 % ხსნარის სახით პირველ ორ დღეს დღეში 1-ჯერ თითო ამპულა, ხოლო შემდეგ

დღეებში ასეთსავე დოზებში 2-ჯერ დღეში ან ერთბაშად 2 მლ. მკურნალობის კურსი 30 — 40 ინექციას, გამეორება შეიძლება 1 — 2 თვის გავლის შემდეგ.

პრეპარატი გამოშვებულია ფხვნილისა და 1% ხსნარის სახით თითო მლ ამპულებში.

ინახება გრილ ადგილას +4°, +5°, ვარგისობის ვადა 1 წელი.

Rp.: Solutionis Natrii adenosintriposphorici 1%—1,0

D. t. d. 30 in ampul.

S. თითო ამპულა 1 — 2-ჯერ დღეში კუნთებში.

ადენოზინტრიფოსფორმეას მონოკალციუმის მარილი (Calcium adenosintriposphoricum).

თეთრი, უსუნო, კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალში და ფიზიოლოგიურ ხსნარში.

ნაჩვენებია კუნთების დისტროფიული მოვლენების განვითარების შემთხვევაში.

გამოშვებულია 10 % ხსნარი (გლიცერინით) ამპულებში 0.3 მლ რაოდენობით. ხმარების წინ ამპულას ათავსებენ ცხელ წყალში და ხსნიან 1 მლ სტერილურ ფიზიოლოგიურ ხსნარში.

უნიშნავენ კუნთებში ან კანქვეშ თითო ამპულას ერთჯერ დღეში, სულ 30 — 40 ინექციას.


პრეპარატი ინახება გრილ ადგილას.

ამილნიტრიტი

Amylium nitrosum

ამილნიტრიტი — აზოტოვან მეყვას იზომილური ეთერი — გამჭვირვალე, ოდნავ მოყვითალო, ხილის სუნის, ადვილად აქროლადი სითხეა; თითქმის არ იხსნება წყალში. ადვილად იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში. კუთრი წონა 0,870 — 0,880.

ქიმიური ფორმულაა:



ამილნიტრიტის თერაპიული დოზის შესუნთქვისას ფართოდება სისხლის ძარღვები, განსაკუთრებით გულისა და თავის ტვინისა. პრეპარატი მოქმედებს როგორც ვაზომოტორულ ცენტრზე, ისე უშუალოდ სისხლის ძარღვებზე, ამის შედეგად კლებულობს არტერიული სისხლის წნევა და ხშირდება გულისცემა.

ამილნიტრიტი იხმარება უმთავრესად სტენოკარდიული შეტევის წინააღმდეგ, აგრეთვე როგორც ანტიდოტი ციანწყალბადმეათით მოწამვლის დროს.

წინააღმდეგევენებას წარმოადგენს გლაუკომა.

ამილნიტრიტი გამოშვებულია ნარინჯისფერ ამპულებში 0,5 მლ რაოდენობით.

ხმარების დროს ამპულებიდან ასხამენ ცვირსახოცზე ან ბამბაზე 2 — 3 წვეთს და შეისუნთქავენ. მოქმედება იწყება სწრაფად, ნაქსიმუმ სიძლიერეს აღწევს მესამე წუთზე. როგორც ანტიდოტი იხმარება ამავე წესით რამდენჯერმე (0,5 — 1,0 მლ).

ჟმალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 5 წვეთი.

სადღელამისო 30 წვეთი, ბავშვებისათვის (5 წლის ასაკიდან) ერთჯერადი დოზაა 1 — 2 წვეთი.

ინახება მოფრთხილებით (ქარადა B) გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Amylii nitrosi 0,5

D. t. d. 5 in ampulis

S. საჭიროა 2 — 3 წვეთის დაწვეთება ცხვირსახოცზე და შესუნთქვა (სტენოკარდიის შეტევის დროს).

ანგიოტროფინი

Angiotrophinum

ანგიოტროფინი მზადდება კუქქეემა ჯირკვლიდან, არ შეიცავს ინსულინს. უფერული, გამჭვირვალე სითხეა. აფართოებს სისხლის ძარღვებს და აქვეითებს სისხლის წნევას. ენიშნება ჰიპერტონიული დაავადების დროს სისხლძარღვთა სპაზმების, ენდარტერიტიების, რენოს დაავადების შემთხვევებში, სპონტანური განგრენის დასაწყისში.

დოზა: 1 — 2 მლ კანქეეშ ან კუნთებში დღეში 1 — 2-ჯერ

15 — 20 დღის განმავლობაში.

განოშვებულია ამპულებში à 1 მლ.

ინახება გრილ და ბნელ ადგილას.

ვარგისობის ვადა 1 წელი.

Rp.: Angiotrophini 1 მლ

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა 2-ჯერ დღეში კანქეეშ.

Devincan

მიიღება მცენარე Vinca minor-ისაგან

ემპირიული ფორმულა: $C_{21}H_{20}O_{32}$

მას აქვს ჰიპოტენზიური თვისება, პერიფერიული სისხლძარღვთა წინააღმდეგობის შემცირების გამო ნაკლებ ტოქსიკურია, ვიდრე სხვა ჰიპოტენზიური საშუალება; ზოგჯერ იჩენს აგრეთვე დამაწყნარებელ მოქმედებას.

მას უნიშნავენ ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევაში, განსაკუთრებით I და II სტადიის დროს. კარგ შედეგს იძლევა ტაქიკარდიებისა და ვეგეტატიური ნევროზების შემთხვევაში, განსაკუთრებით ბავშვებში.

დოზა: ჰიპერტონიული დაავადების დროს 4-ჯერ 5 მგ 8 დღის განმავლობაში, შემდეგ დღეებში, თუ საჭიროება მოითხოვს, დოზა შეიძლება გადიდდეს 10 მგ-მდე 3—4-ჯერ დღეში. მკურნალობა უფრო პატარა დოზით გრძელდება ჩვეულებრივად კვირების განმავლობაში. 1 1/2 თვის შემდეგ დოზებს თანდათანობით ამცირებენ და ბოლოს პრეპარატს სულ ხსნიან.

ღვეინკანი იხმარება აგრეთვე კუნთებში (სტაციონარულ პირობებში) დასაწყისში თითო ამპულა დღეში ერთჯერ, შემდეგ კი დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს და გაუკეთდეს კუნთებში დღეში 2—3-ჯერ თითო ამპულა ან კიდევ დღეში 2-ჯერ ორ-ორი ამპულა.

ღვეინკანი გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 გ -- 0,01 გ რაოდენობით და ამპულებში \bar{a} 0,005 გ.

Rp: Tabulettae Devincani \bar{a} 0,005

D. t. d. 50.

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rp: Devincani in ampulis \bar{a} 0,005

D. t. d. 20

S. თითო ამპულა 2-ჯერ დღეში, კუნთებში.

ანტასტმანი

Antasthman

ანტასტმანი კომპლექსური პრეპარატია. გამოშვებულია ტაბლეტების სახით; ერთი ტაბლეტის შემადგენლობაში შედის: თეოფილინი 0,1 გ, კოფეინი — 0,05 გ, პირამიდონი — 0,2 გ, ფენაცეტინი — 0,2 გ, ეფედრინი ქლორჰიდრატი — 0,02 გ, ლუმინალი — 0,02 გ, შმაგას გამონაწვლილი — 0,01 გ, ლობელინის ფოთლების ფხვნილი 0,09 გ.

იხმარება როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ბრონქული ასთმის წინააღმდეგ.

დოზა ღოზრდილთათვის: 1/2 — 1 ტაბლეტი დღეში 1 — 2-ჯერ. უმაღლესი ერთჯერადი დოზა — 2 ტაბლეტი.

დოზა ბავშვებისათვის:

2 წ. — 5 წლამდე — 1/4 — 1/2 ტაბლეტი

6 წ. — 12 „ — 1/2 — 3/4 „

გამოშვებულია ორიგინალურად შეფუთული — 12 ტაბლეტის რაოდენობით.


Rp: Antasthmani in tabulettis

ad lag. original.

D. S. თითო ტაბლეტი დღეში 1 — 2-ჯერ

აპრესინი

Apressinum



აპრესინი (ქლორჰიდრატი-1-ჰიდრაზინფტალაზინისა) მოყვითალო-თეთრი კრისტალური ფხვნილია. წყალში იხსნება 1:25-ზე, სპირტში ცუდად, ეთერში კი არ იხსნება.

პრეპარატს აქვს ჰიპოტენზიური თვისება, რის გამოც იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს, უფრო ეფექტურია დასაწყის სტადიებში.

აპრესინის ხმარების უკუჩვენებას წარმოადგენს: ტვინის გაზო-
ხატული სკლეროზი, თირკმლების ქრონიკული დაავადება, გულის
უკმარისობა. ზოგჯერ შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები —
თავის ტკივილი, თავბრუ, ტკივილი გულის მიდამოში, გულის ფრი-
ალი, ოფლიანობა, გულისრევა, პირღებინება, კანზე გამონაყარი,
სიცხის აწვევა. ასეთ შემთხვევაში უნდა შემციოდეს პრეპარატის
დოზა ან სულ მოეხსნას დროებით. ამ მოვლენების წინააღმდეგ შე-
იძლება გამოყენებულ იქნეს დიმედროლი და კოფეინი.

აპრესინი გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,01,
0,025, 0,05 გ.

იხმარება ჭამის შემდეგ 0,01 გ 2 — 4-ჯერ დღეში, თანდათა-
ნობით უმატებენ და უნიშნავენ 0,025 გ 3-ჯერ დღეში, ხან კიდევ
მეტს — 0,05 გ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. ასე გრძელდება 2 — 3
კვირას, შემდეგ დოზის თანდათანობით შემცირებით თავდება მკურ-
ნალობის ერთი კურსი. მკურნალობის განმეორება შეიძლება 3 — 5
თვის შემდეგ.

აპრესინი ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ, გრილ
ადგილას.

უნდა გაეფრთხილდეთ აპრესინის შეხებას ლითონის ნივთთან.


Rp.: Apressini 0,01

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ

აპროფენი

Aprophenum



აპროფენი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, ადვილად იხსნე-
ბა წყალში, სპირტში, ქლოროფორმში. სტერილიზაცია შესაძლე-
ბელია 100° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში.

აპროფენს აქვს სპაზმოლიზური და სისხლის ძარღვების გამა-
ფართოებელი თვისება; იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვის გაძლი-
ერებას.

იხმარება სისხლის ძარღვების სპაზმების წინააღმდეგ და აგრეთვე მშობიარობის დასაწყარებლად.

აპროფენს უნიშნავენ ქამის შემდეგ 2 — 4-ჯერ დღეში 0,025 გ ან კანქვეშ 1 % ხსნარის 0,5—1 მლ.

აპროფენს ზოგჯერ ახასიათებს თანამოვლენები: პირის სიმშრალე, თვალის გუგების გაფართოება, ტაქიკარდია, თავბრუ. გულისრევა და უსიამოვნო შეგრძნებები ეპიგასტრიუმის არეში.

ერთჯერადი უმაღლესი დოზაა — 0,03 გ,

სადღელამისო — 0,1 გ,

მკურნალობის ხანგრძლივობა — 10 — 15 დღე.

გამოშვებულია ფხენილებისა და ტაბლეტების სახით à 0,025 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Apropheni 0,025

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ქამის შემდეგ.

ასთმატოლი

Asthmatolum

ასთმატოლი მომწვანო-წაბლისფერი თავისებური სუნის ფხენილია, მის შემადგენლობაში შედის: ლენცოფას, შმაგას, ლემას ფოთლები და ნატრიუმის ნიტრატი.

იხმარება ბრონქული ასთმის შეტევის საწინააღმდეგოდ. წვავენ 1/2 ჩაის კოვზის რაოდენობის ფხენილს და შეისუნთქავენ.


გამოშვებულია სიგარეტების სახითაც.

Rp.: Asthmatolum 50,0

D. S. უნდა დაიწვას 1/2 ჩაის კოვზი ფხენილი და შეისუნთქოს.

ატროპინი

Atropinum



აღკალოდი ატროპინი მიიღება მცენარე შმაგასა, ლენცო-ფასა და ლემას ფოთლებისა და თესლისაგან. ყველა ეს მცენარე ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირში.

სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ იხმარება გოგირდმეყვა ატროპინი. ეს არის თეთრი, უსუნო, მწარე გემოს კრისტალური ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება წყალსა და სპირტში. სტერლიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში.

ატროპინის მოქმედება ექსპერიმენტულად და კლინიკურად კარგადაა შესწავლილი; იგი ამცირებს ჯირკვლების სეკრეტორულ ფუნქციას, აღუწებს გლუვი კუნთების ტონუსს, სპაზმს, აფართოებს თვალის გუგას, მოქმედებს გულის მუშაობაზე.

ასეთი თვისების გამო გოგირდმეყვა ატროპინი წვეთების ან ინექციების სახით იხმარება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს, ქრონიკული მეფე გასტრიტის შემთხვევებში, პილორუსის სპაზმის საწინააღმდეგოდ, ქოლეცისტიტების, ქოლელითიზის და სხვა ორგანოების კენჭოვანი დაავადების დროს; იგი კარგად მოქმედებს ბრონქიალური ასთმის წინააღმდეგ. ატროპინი კანკვეშ შეჰყავთ სტენოკარდიული შეტევებისა და გულის ინფარქტის დროს, ატროპინს უშხაუნიებენ კანკვეშ პანტოპონის ან მორფიუმის შეყვანის წინ, რომ გააბათილონ მათი ამგზნები გავლენა ცთომილ ნერვზე, რომელიც ახდენს კორონარულ სისხლის ძარღვებზე შემავიწროებელ გავლენას.

ოფტალმოლოგიურ პრაქტიკაში გოგირდმეყვა ატროპინი იხმარება თვალში ჩასაწვეთებლად გუგების ხანგრძლივად გაფართოების მიზნით და აგრეთვე თვალის ზოგიერთი დაავადების საწინააღმდეგოდ (ირიტი, კერატიტი და სხვ.).

გოგირდმეყვა ატროპინს იყენებენ ოფლის გაძლიერებული, გამოყოფის წინააღმდეგ.

მას ხმარობენ აგრეთვე აცეტილქოლინით, კარბოქოლინით მორფიუმით და სხვა ანალგეზიური საშუალებებით მოწამვლის წინააღმდეგ.

ატროპინის მომატებული დოზით ხმარების დროს შეიძლება განვითარდეს მოწამვლის ნიშნები: კანისა და ლორწოვანი გარსების სიმშრალე, ყლაპვის გაძნელება, მაჯის გახშირება, გუგების გაფართოება, მხედველობის მოშლა, აგზნებულობა, რომელიც შეიძლება გადავიდეს კრუნჩხვებში.

ატროპინი უკუნაჩვენებია გლაუკომის დროს და გულის ზოგიერთი ორგანული დაავადების შემთხვევაში.

ატროპინი გამოწვებულია ფხვნილებსა და ამპულებში à 1 მლ 0,1 % ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), თავდაცობილ ქილებსა და ამპულებში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,001 გ, სადღეღამისო — 0,003 გ.

Rp.: Solutionis Atropini sulfurici 0,1 % 1,0
D. t. d. 10 in ampulis
S. თითო ამპულა კანქვეშ 1 — 2-ჯერ დღეში.

Rp.: Atropini sulfurici 0,01
Aquaе destillatae 10,0
M. D. S. 8 — 10 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში, კამის წინ.

აპილაკი (ფუტკრის რძე)

Apilacum

აპილაკი წარმოადგენს მუშა ფუტკრის ალოტროფიული ჯირკვლების სეკრეტს.

თავისი ფარმაკოლოგიური თვისებებით აპილაკი მიეკუთვნება ბიოლოგიურ სტიმულატორთა ჯგუფს; მას აქვს მატონიზირებელი, ტროფიკული და ანტისპაზმური თვისება. იხმარება მიოკარდიუმის ინფარქტისა და სხვა დამაუძღურებელი დაავადების რეკონვალესცენციის პერიოდში, ათეროსკლეროზის, სტენოკარდიის დროს, კლიმაქსთან დაკავშირებული ჰიპერტონიის შემთხვევაში, უმადობის, ლაქტაციის მოშლის და მშობიარობასთან დაკავშირებული სისხლის დაკარგვის შემთხვევაში. გამოყენება აქვს აგრეთვე ახალშობილი და ჩვილი ბავშვების ჰიპოტროფიისა და ანორექსიის წინააღმდეგ.

უკუნაჩვენებია ადისონის დაავადება და ამ პრეპარატისადმი იდიოსინკრაზია.

მნიშვნელოვან თანამოვლენას არ იძლევა.

უნიშნავენ: ახალშობილებს 0,0025 გ და ბავშვებს ერთ წლამდე 0,005 სანთლების სახით 3-ჯერ დღეში ერთი-ორი კვირის განმავლობაში. მოზრდილებს ეძლევა ენის ქვეშ ამოდებით თითო ტაბლეტი (0,01 გ) 3-ჯერ დღეში 10 — 15 დღის განმავლობაში.

გამოწვებულია ტაბლეტების სახით — 0,01, აგრეთვე სანთლების დასამზადებლად ფხვნილების სახით. ფხვნილის ერთი გრამი შეიცავს 0,07 გ აპილაკს.

ტაბლეტები ინახება მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას 8° ტემპერატურის პირობებში. ფხენილები — ბნელ შუშის კურკელში მიღესილი საცობით.


Rp.: Apilaci 0,01

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ.

გ ა ნ გ ლ ე რ ი უ მ ი

Gangleronum



უფერული, კრისტალური, ჰიგროსკოპული ფხენილია, კარგად იხსნება წყალში. ხსნარების სტერილიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში.

იხმარება როგორც სპაზმოლიზური საშუალება, განსაკუთრებით სტენოკარდიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის დროს.

უნიშნავენ შიგნით და კუნთებში (ვენაში არ უკეთებენ): 1 და მე-2 დღეს 1,5 %-იანი ხსნარის 1 მლ 3-ჯერ დღეში კანქვეშ ან კუნთებში; 3 — 4 დღეს — 2 მლ; 5 — 10 დღეს — 3 მლ 3-ჯერ დღეში.

ამის შემდეგ თითო ინექციის ნაცვლად თანდათანობით აძლევენ 1,5 %- ხსნარის ერთი ჩაის კოფხს გახსნილს 50 მლ წყალში, კამის წინ.

ასე რომ 4 დღის განმავლობაში საცებით გადადიან შიგნით მიღებაზე. მკურნალობა გრძელდება 4 — 5 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია ფხენილების სახით და ამპულებში (1,5% — იანი ხსნარი 1 მლ რაოდენობით).

ინახება დახურულ ქილებში.

Rp.: Solutionis Gangleroni 1,5% — 2,0

D. t. d. 30 in ampulis

S. 1 მლ 3-ჯერ დღეში კუნთებში.

Rp.: Solutionis Gangleroni 1,5 % 100,0

D. S. თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში ქამის წინ.
ვახსნილი $\frac{1}{4}$ კიკა წყალში.

Rp.: Gangleroni 0,04

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

დაუკარინი

Daucarium

დაუკარინი წარმოადგენს სტაფილოს თესლეების გამონაწველილს (*Daucus carota* ან *Daucus sativas*). მოყვითალო წაბლისფერი ამორფული ფხვნილია, მწარე გემოს და სპეციფიკური სუნის. ცუდად იხსნება ცივ წყალში, უფრო კარგად ცხელში და კარგად — ორგანულ გამხსნელებში.

პრეპარატს აქვს სპაზმოლიზური მოქმედება.

იზმარება ქრონიკული კორონარული უკმარისობის დროს. თერაპიული ეფექტი თანდათანობით ვითარდება.

დოზა: 0,02 გ 3-დან 5-მდე დღეში ქამამდე $\frac{1}{2}$ საათით წინ, 2 — 4 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,02 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Daucarini 0,02

D. t. d. 50 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, $\frac{1}{2}$ საათით წინ ქამამდე.

დიბაზოლი

Dibazolium



დიბაზოლი თეთრი, მორუხო ან მოყვითალო ფერის მომწარომლაზე ქგემოს კრისტალური ფხვნილია, ძნელად იხსნება ცივ წყალ-

ში, ადვილად — ცხელ წყალში (1:20) და სპირტში, არ იხსნება ეთერში, ლობის ტემპერატურაა 182 — 186°.

დიბაზოლს ახასიათებს სპაზმოლიზური, სისხლძარღვთა გამაფართოებელი და ჰიპოტენზიური მოქმედება, რის გამოც ის იხმარება კორონარული უკმარისობის, სტენოკარდიის, ჰიპერტონიული დაავადების, განსაკუთრებით ჰიპერტონიული კრიზების დროს, თავის ტკივილის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, მუცლის ღრუს ორგანოებში სპაზმური მოვლენების შემთხვევებში და სხვ.

აღნიშნულია დიბაზოლის დადებითი მოქმედება პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებზე, პოლინევრიტებსა და სახის ნერვის პერიფერიული დამბლის დროს. ასეთ შემთხვევებში დიბაზოლი იხმარება შიგნით — 0,005 გ დღეში ერთჯერ 5 — 10 დღის განმავლობაში.

როგორც სპაზმოლიზური საშუალება დიბაზოლი ეძლევა შიგნით 0,02 — 0,05 გ 2 — 3-ჯერ დღეში. ჰიპერტონიული დაავადების დროს უშხაპუნებენ კუნთებშიც 1% — 2% ხსნარის 1 — 2 მლ. კრიზების დროს უკეთდება ვენაში 1% ხსნარის 1 — 2 მლ 3 — 4-ჯერ დღეში.

უმალესი დოზა სრულსაკოვანათვის; ერთჯერადი — 0,05 გ, სადღეღამისო — 0,15 გ.

უმალესი დოზა ბავშვებისათვის (ერთჯერადი და სადღეღამისო) 6 თვემდე — 0,001 გ, 6 თვიდან 1 წლამდე — 0,001 გ, ორი წლის — 0,002 გ, 3 — 4 წლამდე — 0,004 გ, 5 — 6 წლამდე — 0,005 გ, 7 — 9 წლამდე — 0,006 გ, 10 — 14 წლამდე — 0,008 გ.

დიბაზოლს შიგნით აძლევენ კამის წინ ორი საათით ადრე ან კამის ორი საათის შემდეგ. ინექციის გაკეთების დროს ხსნარი უნდა შეთბეს, რადგან ცივ ხსნარში დიბაზოლი შეიძლება დაილექოს.

თანამოვლენებია: ოფლიანობა, თავის ტკივილი და სიცხის შეგრძნება.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Dibazoli 0,02

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში (ჰიპერტონიული დაავადების დროს), კამამდე

2 საათით ადრე.

Rp.: Dibazoli 0,005

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი ერთჯერ დღეში (ნერვული სისტემის დაავადების დროს).

Rp.: Dibazoli

Luminali

Papaverini hydrochlorici $\overline{\text{aa}}$ 0,025

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Dibazoli 1%, 1,0


D. t. d. 10 in ampulis

S. ერთი ამპულა 1-ჯერ დღეში კანკეფშ.

ბ ე ნ ზ ო ჰ ე კ ს ო ნ ი

Benzohexonium

ბენზოჰექსონი დიბენზოლ სულფონატი 1,6 ჰექსამეთილენ-ბის (ტრიმეთილ ამონიუმის)



თეთრი, წვრილკრისტალური, თავისებური სუსტი სუნის ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, ძნელად — სპირტში, არ იხსნება აცეტონსა და ეთერში. ლღობის ტემპერატურაა 196°—202°.

იწვევს ვეგეტატიური კვანძების H ქოლინო-რეაქტიული სისტემის ბლოკირებას და ამუხრუქებს ნერვული აგზნების გადაცემას პრეგანგლიური ბოჭკოებიდან პოსტგანგლიურზე, ამასთან კლებულობს არტერიული წნევა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოტორული და სეკრეტორული აქტივობა; მცირდება ჯირკვლების სეკრეცია, ხშირდება მაჯისცემა, მცირდება საშარდ-ბუშტის ტონუსი.

ბენზოჰექსონი იხმარება პერიფერიული სისხლის ძარღვების სპაზმების დროს, როგორც არის ენდარტერიიტები, ხანგამოშვებითი კოკლობა და სხვ.

გამოყენება აქვს აგრეთვე ჰიპერტონიული კრიზების, კაუზალ-გეების, კუჭის წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის შემთხვევებში და ჰიპერჰიდროზის წინააღმდეგ.

ბენზოჰექსონს უნიშნავენ შიგნით 0,1 გ 3—6-ჯერ დღეში. სუსტი ეფექტის შემთხვევაში შეიძლება ერთჯერადი დოზა გადიდდეს 0,2 გ. კანქვეშ და კუნთებში ჩვეულებრივად უშხაპუნებენ 2 %-იან ხსნარს 1 მლ რაოდენობით 1—2 ჯერ დღეში. ეს არის საშუალო თერაპიული დოზა მოზრდილთათვის. ვენაში კი შეჰყავთ (ქირურგიულ პრაქტიკაში) 0,015 — 0,025 გ.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,3 გ, სადღეღამისო — 0,9 გ.

ბენზოჰექსონით მკურნალობა უმჯობესია ჩატარდეს სტაციონარის პირობებში. პრეპარატის შეყვანამდე და შეყვანის შემდეგ 2 საათის განმავლობაში ავადმყოფი უნდა იმყოფებოდეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გართულებების ასაცილებლად (კოლაფსი).

თანამოვლენებიდან აღსანიშნავია საერთო სისუსტე, თავბრუ, ტიქიკარდია, სიმშრალე პირში, ნაწლავებისა და შარდის ბუშტის ატონია.

უკუჩვენებას წარმოადგენს: ჰიპოტონია, ათეროსკლეროზი, კორონარული უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი, თრომბოზები, თირკმლების ფუნქციის უკმარისობა, ტვინში სისხლის ჩაქცევა.

გამოშვებულია: ფხვნილების, ტაბლეტების (0,1 — 0,25 გ) და ამპულების (2%-იან ხსნარი 1 მლ) სახით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Benzohexoni 0,1

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Benzohexonii 2 % — 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. ერთი ამპულა კანქვეშ დღეში ერთჯერ.

დი ა ფ ი ლ ი ნ ი

Diaphyllum

დიაფილინი უნგრული პრეპარატია, მიეკუთვნება სისხლ-ძარღვთა გამათვაროებელ და დიურეზულ საშუალებათა ჯგუფს.

ჩვენება: სტენოკარდია, ბრონქული ასთმა, შეშუპებები სისხლის მიმოქცევის უკმარისობისა და თირკმლების დაავადებებთან დაკავშირებული, მიოკარდიუმის ქრონიკული დაავადებები, ხანგამოშვებითი კოქლოზა.

გამოშვებულია: დუნდულოში გასაკეთებლად (*Diaphyllin gluteosum*) ამპულებში \pm 1 მლ; ვენაში შესაშხაპუნებლად (*Diaphyllin venosum*) 5 მლ; ტაბლეტებსა და სანთლებში — სასწრაფო შემთხვევებში (სტენოკარდია, ასთმატური შეტევა და სხვ.) დიაფილინს უკეთებენ ნელა ვენაში; ქრონიკულ შემთხვევებში უნიზნავენ დუნდულოში შეყვანით ყოველდღე ან დღეგამოშვებით თითო ამპულას, ან *per os* თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში, ან კიდევ 1 — 2-ჯერ თითო სანთელს.

Rp.: *Diaphyllini venosum* 2,4 % 10,0

D. t. d. 5 in ampulis

S. ერთი ამპულა ვენაში დღეში 1-ჯერ.

Rp.: *Diaphyllini gluteosum* 2,4 % — 1,0

D. t. d. 5 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში (დუნდულოში) დღეში 1-ჯერ.


Rp.: *Diaphyllini in tabulettis* 0,1

D. t. d. 20.

S. თითო ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.

დიკოლინი

Dicolinum



თეთრი, კრისტალური ფხენილია, ადვილად იხსნება წყალში, ღლიობის ტემპერატურაა 200—202°.

დიკოლინი ეკუთვნის განგლიომაბლოკირებელ ნივთიერებათა ჯგუფს. ამ მხრივ ის უფრო აქტიურია, ვიდრე პენტამინი და ჰექსანი.

დიკოლინი იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, ჰიპერტონიული კრიზების, სისხლის ძარღვების სპაზმის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის შეტევის დროს. აგრეთვე მშობიარობის დასაჩქარებლად და ორსულობის მოგვიანებითი ტოქსიკოზების დროს.

უნიშნავენ შიგნით 0,05 გ 2—3-ჯერ თანდათან მომატებით — 0,1—0,2 გ 2—3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი გრძელდება 3—6 კვირას. კანქვეშ ან კუნთებში შეყვანისას დოზას იწყებენ დიკოლინის 1 % ხსნარის 1 მლ-ით და თანდათან უმატებენ 2—3 მლ დღეში 2—3-ჯერ.

მშობიარობის სასტიმულაციოდ დიკოლინს უშხაპუნებენ კუნთებში 1 % ხსნარის 2 მლ ერთჯერ ან ორჯერ 1—1½ საათის ინტერვალით.

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში à 0,05 და 0,1 გ და ამპულებში 1 და 2 მლ 1 %-იანი ხსნარი.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Dicolini 0,05

D. t. d. 10 in tabulettis

S. ერთი ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ჰამიდან 1 საათის შემდეგ


Rp.: Solutionis Dicolini 1 % — 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში დღეში 2-ჯერ.

დიკოლინი

Diprophenum



დიპროფენი მწარე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილია. წყალში ძნელად იხსნება. ლობის ტემპერატურა 132—134° უდრის. აქვს ტიფენის მსგავსი მოკმედება (იხ. ტიფენი), მაგრამ ნაკ-

ლებ ტოქსიკურია. ამავე დროს აღენიშნება უფრო მკაფიოდ გამოხატული სისხლძარღვთა გამათფართოებელი თვისება.

იხმარება როგორც სპაზმოლიზური საშუალება სისხლძარღვთა სპაზმების დროს (მათილიტორებელი ენდოარტერიიტი, რენოს დაავადება და სხვ.). იყენებენ აგრეთვე შინაგანი ორგანოების მხრივ სპაზმური მოვლენების დროსაც.

მოქმედება ვითარდება თანდათანობით, ჩვეულებრივად პრეპარატის მიღების 5 — 7 დღიდან.

მკურნალობა გრძელდება 15 — 20 დღე, რამდენიმე დღით შესვენების შემდეგ (თუ საჭიროება მოითხოვს) მკურნალობა შეიძლება განმეორდეს.

როგორც თანამოვლენები შეიძლება განვითარდეს თავბრუ, თავის ტკივილი, გულისრევა. პრეპარატის მიღების 'მეწყვეტის შემდეგ ეს მოვლენები მალე გაივლის.

დოზა: 0,025 — 0,05 გ 2 — 3-ჯერ დღეში პრეპარატს ავადმყოფი კარგად იტანს, შეიძლება დოზა გადიდდეს 0,1 გ-მდე, 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,025 და 0,05 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Dipropheni 0,025 (0,05)

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

ე ვ კ ო მ ი ა — ქერპი

Cortex Eucommiae

სამკურნალო მიზნით იყენებენ ევკომიის ქერქიდან დამზადებულ გამონაწვლილს და ნაყენს. ევკომია ჩენს რესპუბლიკაში მოშენებულია ოჩამჩირის და გურჯაანის რაიონებში, როგორც სამრეწველო მცენარე (გუტაპერჩის მისაღები ნედლეული).

ევკომიის გამონაწვლილს და ნაყენს (20% -იანს 30° სპირტზე) უნიშნავენ ჰიპერტონიული დაავადების დროს 25 — 30 წვეთს 3-ჯერ დღეში ხანგრძლივად.

Rp.: T-ae Eucommiae 15,0

D. S. 20 — 30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

Euphyllinum

თეთრი, მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილია. იხსნება წყალში, წყლის ხსნარებს აქვს ტუტე რეაქცია.

პრეპარატს აქვს სისხლძარღვთა გამაფართოებელი და დიურეზული თვისება. საგრძნობლად აფართოებს კორონარულ სისხლის ძარღვებს, ბრონქების მუსკულატურას. ამის გამო ფართოდ იხმარება ბრონქული ასთმისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის ქრონიკული უკმარისობის შემთხვევებში, განსაკუთრებით გულის ასთმის მოვლენებისა და აგრეთვე სტენოკარდიული ტკივილების და ჰიპერტონიული კრიზების დროს.

უნიშნავენ შიგნით 0,1 — 0,2 გ დღეში 3-ჯერ ჭამის შემდეგ, უკეთებენ ვენაში 2,4 % ეუფილინის ხსნარის 5 — 10 მლ გლუკოზის 40 % ხსნარის 10 მლ-ში; შეჰყავთ ნელა (4 — 6 წუთის განმავლობაში). შეიძლება შეყვანილ იქნეს კუნთებში (და არა კანქვეშ) 12 % ხსნარის 2—3 მლ; აგრეთვე ხმარობენ სანთლების სახით 0,2 — 0,4 გ და მიკროოცენებით 0,3 — 0,5 გ 15 მლ თბილ წყალში.

უკუჩვენებას წარმოადგენს: მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე შემთხვევები, შორსწასული კარდიოსკლეროზი, პაროქსიზმული ტაქიკარდია, ექსტრასისტოლები.

ორგანიზმში ეუფილინის სწრაფად შეყვანის დროს შეიძლება განვითარდეს თავბრუ, თავის ტკივილი, გულის ფრიალი, გულისრევა და პირღებინება, კრუნჩხვებიც კი. ამიტომაც საჭირო ნელი შეყვანა (4 — 6 წუთის განმავლობაში), ხოლო ბრონქული ასთმის შემთხვევაში შეიძლება უფრო სწრაფად (3—4 წუთი).

მოზრდილთათვის შიგნით მისაღებად უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,5 გ, სადღელამისო — 1,5 ვენაში და კუნთებში უფრო ნაკლები — ერთჯერადი — 0,25 გ, სადღელამისო — 0,5 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,1 გ, ამპულაში 12 %-იანი 2 მლ კუნთებში შესაყვანად და ამპულაში 2,4 %-იანი 10 მლ ვენაში გასაკეთებელი.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Euphyllini 0,1

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp.: Sol. Euphyllini 2,4% — 10,0
 D. t. d. 10 in ampulis
 S. 5 — 10 მლ ვენაში საინექციოდ გლუქოზის
 ხსნარში (40 % — 10 მლ).


Rp.: Sol. Euphyllini 12 % — 2,0
 D. t. d. 10 in ampulis
 S. 2 მლ 1 — 2-ჯერ დღეში კუნთებში.

Rp.: Euphyllini 0,3
 Butyri Cacao 2,0
 W. f. suppositoria D. t. d. 6
 S. თითო სანთელი 2-ჯერ დღეში

Rp.: Euphyllini
 Barbamyli aa 0,25
 Butyri Cacao 1,5
 M. f. suppositoria D. t. d. 6.
 S. თითო სანთელი 2-ჯერ დღეში.

ეფედრინი ქლორწყალბადმჟავა

Ephedrinum hydrochloricum



აღკალოდი ეფედრინი მიიღება მცენარე Ephedra-საგან, რომელიც იზრდება შუა აზიაში, დასავლეთ ციმბირში. ეფედრინი თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით უახლოვდება ადრენალინს. მხოლოდ მისი მოქმედება იწყება უფრო გვიან და გრძელდება უფრო დიდხანს. ხმარებაშია ეფედრინი ქლორწყალბადმჟავა, რომელიც მიღებულია სინთეზურადაც. იგი უფერული, წვრილი კრისტალებია ან თეთრი, კრისტალური, უსუნო და მწარე გემოს ფხვნილი. ადვილად იხსნება წყალში (1 : 5), 95° სპირტში (1 : 14), არ იხსნება ეთერში. იწვევს სისხლძარღვების შეკუმშვას, სისხლის წნევის აწევას, ბრონქების კუნთების მოდუნებას, აბრკოლებს ნაწლავთა პერისტალტიკას, აფართოებს გუგებს და უმატებს შაქრის დონეს სისხლში.

იხმარება ოპერაციების დროს სისხლის წნევის დაცემის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ; აგრეთვე ჰიპოტონიის წინააღმდეგ.

ეფედრინს მიმართავენ ბრონქული ასთმის შეტევის დროს, აგრეთვე ჰინჭრის ცხელების, შრატით გამოწვეული ავადმყოფობის, ვაზომოტორული რინიტების წინააღმდეგ. იგი იხმარება აგრეთვე ნარკოზული და ძილისმომგვრელი საშუალებებით მოწამვლის შემთხვევებში. დადებითი ეფექტი აღნიშნულია აგრეთვე შარდის შეუკავებლობისა და ხშირი შარდვის შემთხვევაში.

უნიშნავენ შიგნით 0,02 — 0,05 გ დღეში 2 — 3 ჯერ; კანქვეშ ან კუნთებში 5 %-იან ხსნარს ასეთივე დოზით დღეში 1 — 2-ჯერ; შეიძლება შეყვანა ვენაში (0,4 — 1 მლ 5 %-იანი ხსნარი) სისხლის წნევის სწრაფად დაცემის დროს ერთბაშად, ან წვეთობრივი მეთოდით (0,06 — 0,08 გ), გახსნილი ქლორნატრიუმის იზოტონური ხსნარის 100 — 500 მლ-ში.

ბავშვებს აძლევენ 1 წლამდე — 0,002 — 0,003 გ; 2 — 5 წლამდე — 0,003 — 0,01 გ, 6 — 12 წლამდე — 0,01 — 0,02 გ ერთ მიღებაზე. უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის ერთჯერადი — 0,05 გ, სადღეღამისო — 0,15 გ.

ეფედრინის ხმარება არ არის ნაჩვენები გულის დეკომპენსაციის, გამოხატული ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, სტენოკარდიის, ჰიპერთირეოზის, უძილობის დროს.

თანამოვლენებს წარმოადგენს: გულისრევა, პირღებინება, უმაღლობა, კანკალი, თავბრუ, ოფლიანობა, ტაქიკარდია, მოშარდვის გაძნელება.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში $\dot{\approx}$ 0,025 გ და ამპულებში $\dot{\approx}$ 1 მლ 5 % ხსნარი.

ეფედრინი შედის სოლუტინის (იხ. ქვემოთ) შემადგენლობაში. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ კილებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Ephedrini hydrochlorici 0,025

D. t. d. 10 in tabletis

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp. Solutionis Ephedrini hydrochlorici 5 % — 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. ერთი ამპულა კანქვეშ დღეში 1 — 2-ჯერ.

ვ ა ლ ი დ ო ლ ი

Validolum

ვალიდოლი 25 % — 30 % ხსნარია მენტოლისა იზოვალერიანას მეთილის ეთერში. იგი წარმოადგენს ზეთისებურ უფერულ სითხეს მენტოლის სუნით; კარგად იხსნება სპირტში, არ იხსნება წყალში.

ახდენს დამამუშავებელ გავლენას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აფართოებს რეფლექტორულად გულის გვირგვინოვან და თავის ტვინის სისხლის ძარღვებს.

იხმარება სტენოკარდიის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნევროზების, ისტერიის, შაკიკის შემთხვევებში, იყენებენ აგრეთვე გულისრევისა და პირღებინების წინააღმდეგ.

დოზა: 3 — 4 წვეთი შაქარზე დაწვეთებული ენის ქვეშ, სანამ არ შეიწოვება. გამოშვებულია აგრეთვე ტაბლეტების სახით. იხმარება ასევე 5 — 10 % ხსნარი სპირტში. გამოიყენება ქავილის დასაწყნარებლად.

ინახება გრილ ადგილას კარგად თავდაცობილ შუშებში.

Rp.: Validoli 5,0

D. S. 4 — 5 წვეთი შაქრის ნატეხზე, ენის ქვეშ, შეწოვამდე.

Rp.: Validoli in tablettae I fl.

S. თითო ტაბლეტი ენის ქვეშ დღეში 3-ჯერ.

თ ე ო ფ ე დ რ ი ნ ი

Theophedrinum

თეოფედრინი გამოშვებულია ტაბლეტებში, რომლის შემადგენლობაში შედის:

თეოფილინი — 0,05 გ

თეობრომინი — 0,05 გ

კოფეინი — 0,05 გ

პირამიდონი — 0,2

ფენაცეტინი — 0,2 გ

ეფედრინი ქლორჰიდრატი — 0,02 გ

ლუმინალი — 0,02 გ

შმაგას ფოთლები ფხვნილებში — 0,02 გ

ლობელინი ქლორჰიდრატი — 0,0002 გ.

იხმარება ბრონქული ასთმის წინააღმდეგ. უნიშნავენ მოზრდილებს 1 ტაბლეტს (შეტევის დროს 2 ტაბლეტი) დღეში 1-ჯერ. ბავშვებს 2—5 წლამდე — $\frac{1}{4}$ ტაბლეტს 1-ჯერ, 6—12 წ. — $\frac{1}{2}$ ტაბლეტს 1-ჯერ დღეში.

უმაღლესი სადღეღამისო დოზა მოზრდილთათვის — 2 ტაბლეტი.


Rp.: Theophedrini

D. in tabulettis 10

S. ერთი ტაბლეტი 1-ჯერ დღეში.

კ ე ლ ი ნ ი

Khellinum



კელინი მზადდება მცენარე *Ammi visnaga* L. თესლებიდან. ის არის თეთრი, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილი. ცივ წყალში ცუდად იხსნება, ცხელში უფრო კარგად, კარგად — სპირტში და ბენზოეს მჟავა ნატრიუმის მაძლარ ხსნარში, ლღობის ტემპერატურა უდრის 153° -ს.

ექსპერიმენტებში კელინი იჩენს სპაზმოლიზურ თვისებებს. გვირგვინოვან არტერიებში იწვევს სისხლის დენის მომატებას 2—3-ჯერ, რომელიც გრძელდება 3—4 საათის განმავლობაში. ამავე დროს სისხლის წნევა არ იცვლება. მნიშვნელოვანია მისი ბრონქების სანათურის გამაფართოებელი თვისება.

კელინი იხმარება ძირითადად სტენოკარდიული შეტევების წინააღმდეგ, ხოლო მისი მაქსიმალური მოკმედება შესამჩნევი ხდება მკურნალობის დაწყებიდან მე-5 — 7 დღეზე, ამიტომ მწვავე შეტევების დროს ხმარებული უნდა იქნეს სწრაფდმოკმედი სხვა საშუალება (ნიტროგლიცერინი და სხვ.). კელინი იხმარება ბრონ-

ქული ასთმის წინააღმდეგაც; აქაც ეფექტის მისაღებად საჭიროა მისი ხანგრძლივად მიღება. ამ დაავადების მწვავე შეტევების კუბირებისათვის უნდა მივმართოთ სხვა ეფექტურ საშუალებას, როგორც არის ადრენალინი, ატროპინი, ეფედრინი და სხვ.

კელინი გამოშვებულია ტაბლეტების სახით, 0,02 გ 25 ცალის რაოდენობით.

ავადმყოფებს ენიშნება 1 — 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 2 — 3 კვირის განმავლობაში. თუ საჭიროება მოითხოვს მკურნალობის კურსი შეიძლება განმეორებულ იქნეს.

იშვიათ შემთხვევაში, კელინის ხანგრძლივად ხმარების დროს შესაძლებელია განვითარდეს გულისრევა და პირღებინება. საკმარისია დოზის შემცირება ან დროებით პრეპარატის მიღების შეწყვეტა, რომ ამ მოვლენებმა ავადმყოფს გაუაროს.

კელინი წინააღმდეგნაჩვენებია სისხლის მიმოქცევის მკვეთრი უკმარისობის შემთხვევებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) მშრალ და ბნელ ადგილას.

Rp.: Khellini 0,02

D. t. d. 25 in tabulettis

S. 1 — 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

კორბელა

Tabulettae Corbella

კორბელა მზადდება შმაგას მშრალი ფესვების გამონაწვლილისაგან.

იხმარება პარკინსონის დაავადების საწინააღმდეგოდ.

მისი დანიშვნა არ არის ნაჩვენები აქტიური ტუბერკულოზის, გლაუკომის, თირკმლების დაავადების, გულის დეკომპენსაციის დროს.

უნიშნავენ ერთ ტაბლეტს ერთჯერ დღეში ძილის წინ, თანდათან უმატებენ 3 — 4 ტაბლეტამდე დღეში.

თანამოვლენებია: სიმშრალე პირის ღრუში, აკომოდაციის დარღვევა, თავბრუსხვევა.

გამოშვებულია ტაბლეტებში. თითო ტაბლეტი შეიცავს 0,001 გ შმაგას ფესვების ალკალოიდებს.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ ადგილას.

კორონტინი

Corontinum

კორონტინი არის N (3' — ფენილ — პროპილ — (2') 1, 1 დი-ფენილპროპილ — (3) — ამინის ლაქტატი.

კორონტინი აძლიერებს კორონარულ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას, ამცირებს ამ ძარღვების წინააღმდეგობას, ამავე დროს მნიშვნელოვნად არ მოქმედებს სისხლის წნევაზე. აქვს ზომიერად გამოხატული სპაზმოლიზური მოქმედება.

უნიშნავენ ორგანული ან ფუნქციონალური ხასიათის კორონარული უკმარისობის დროს, აგრეთვე სტენოკარდიის წინააღმდეგ. ბარბიტურატებთან ერთად იხმარება მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევაში.

კორონტინის ხმარება წინააღმდეგაჩვენებია ატრიო-ვენტრიკულური და ინტრავენტრიკულური გამტარებლობის შეფერხების დროს.

დოზირება: 1 აბი 2 — 3-ჯერ დღეში.

მკურნალობის დასაწყისში შეიძლება მიეცეს ორ-ორი აბი 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია აბების სახით \bar{x} 15 მგ 30 ცალად შეფუთული.

Rp.: Corontini 0,015

D. t. d. 30 in drage

S. თითო აბი 3-ჯერ დღეში.

კვატერონი

Quateronum

კვატერონი წარმოადგენს კრისტალური, მწარე გემოს ფხვნილს, რომელიც კარგად იხსნება წყალში.

კვატერონი მიეკუთვნება ანტიაცეტილქოლინურ საშუალებებს. იგი ასუსტებს იმპულსების გატარებას პარასიმპათიკურ და ნაკლებად სიმპათიკურ განგლიებში. კვატერონს აქვს კორონარული სისხლის ძარღვების გამაფართოებელი თვისება და ჰიპოტენზიური მოქმედება, მისი ხმარება ნაჩვენებია სტენოკარდიის, ჰიპერტონიული და წყლულოვანი დაავადების დროს.

მიღების წესი და დოზები:

სტენოკარდიის წინააღმდეგ 10 მგ დღეში 3 ჯერ, მესამე დღი-

თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა, კარგად იხსნება წყალსა და სპირტში, არ იხსნება ეთერში. ლობის ტემპერატურაა 133 — 134°, სტერილიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში.

იძლევა ძლიერ მიოტიურ მოქმედებას, უკლებს თვალის წიგნითა წნევას.

იხმარება გლაუკომის დროს; 3 — 10 %-იანი ხსნარის 1 — 2 წვეთს აწვეთებენ კონიუნქტივაში დღეში 2 — 6-ჯერ. იხმარება აგრეთვე 3 — 10%-იანი მალამოს სახით თვალებისათვის.

თანამოვლენებს წარმოადგენს დროებითი ტკივილების გაძლიერება თვალებში, მხედველობის დაქვეითება და კონიუნქტივის ფოლიკულარული კატარის განვითარება აწეული მგრძნობელობის შემთხვევაში.

გამოშვებულია ფხენილებში. ინახება კარადა A-ში.

Rp.: Solutionis Benzamoni 10 % — 10,0

D. S. 1 — 2 წვეთი კონიუნქტივის პარკში დღეში
3 — 4-ჯერ.

Rp.: Benzamoni 1,0

Lanolini 2,0

Vaselini 8,0

M. f. unguentum

S. თვალის მალამო.

ე რ ი ნ ი ტ ი

Erinitum

(იხ. ნიტროპენტონი)

ერინიტი ნიტროპენტონის სინონიმია.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც ნიტროპენტონი, ძირითადად სტენოკარდიული შეტევების საწინააღმდეგოდ. დოზა 0,01 მლ ენის ქვეშ; მძიმე შემთხვევაში შეიძლება 0,02 მლ დღეში 2 — 4-ჯერ.

ერინიტის მიღებისას ზოგჯერ, როგორც თანამოვლენა, აღინიშნება თავის ტკივილი.

გამოშვებულია ტაბლეტების სახით \bar{x} 0,01 მგ შეცულობით.

ლ ე ნ ც ო შ ა

Hyoscyamus

ხმარებაშია ლენცოფას ფოთლები (მცენარე *Hyoscyamus niger*), რომელიც შეიცავს 0,05 % ატროპინის ჯგუფის ალკალოიდებს.

იხმარება როგორც ანტისპაზმური და ტკივილდამაყუჩებელი საშუალება.

შედის ასთმატინის შემადგენლობაში, რომელიც იხმარება ბრონქული ასთმის შეტევის დროს მოსაწევად.

უმალღესი დოზა მოზრდილთათვის — 0,4 გ ერთჯერადი, სადღეღამისო — 1,2 გ.

უფრო ხშირად ხმარობენ ლენცოფას ზეთს — თავისებური საუნის გამკვირვალე ზეთისებურ სითხეს.

Rp.: Olei Hyoscyami 40,0

Chloroformii 20,0

M. f. linimentum

D. S. გარედან წასასმელი (სახსრების რევმატიზმის, ნევრალგიების დროს).

კუნელას გამონაწვლილი

კუნელას ნაყოფი და ყვავილი შეიცავს ნივთიერებებს, რომელნიც იჩენენ მოქმედებას გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. აწესრიგებენ გულის მუშაობას, აფართოებენ კორონარულ სისხლის ძარღვებს, ახდენენ სედატურ მოქმედებას და გარდა ამისა, აძლიერებენ გულის კუნთის მგრძობელობას საგულე საშუალებების მიმართ.

ხმარებაშია კუნელას გამონაწვლილი და ნაყენი, რომელსაც უნიშნავენ გულის ფუნქციური მოვლენების, ანგიონევროზების, მოციმციმე არითმიისა და პაროქსიზმული ტაქიკარდიის შემთხვევებში.

Rp.: Extracti Crataegi fluidi 25,0

D. S. 20 — 30 წვეთი 3 — 4-ჯერ დღეში კამის წინ.

Rp.: T-rae Convallariae majalis

T-rae Valeriauae aa 10,0


Extracti Crataegi fluidi 5,0

Mentholi 0,05

M. D. S. 3-ჯერ დღეში 25 წვეთი.

მ ე ტ ა ც ი ნ ი

Methacinum



მეტაცინი თეთრი კრისტალური მწარე გემოს ფხენილია, რომლის ლღობის ტემპერატურა 194 — 195° უდრის. იხსნება წყალში (1:200).

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოსაა ატროპინთან, მაგრამ უფრო აქტიურია.

იხმარება როგორც სპაზმოლიზური საშუალება.

ჩვენებები: ბრონქული ასთმა და სპაზმური მოვლენები მუცლის ღრუს ორგანოების მხრივ.

ქირურგიაში მას იყენებენ ნარკოზთან დაკავშირებული გაძლიერებული სილივაციისა და ბრონქოსპაზმების პროფილაქტიკის მიზნით.


ახასიათებს იგივე თანამოვლენები, რაც ატროპინს (იხ. ზემოთ), უკუნაჩვენებია გლაუკომის დროს. უნიშნავენ კანკეშ და კუნთებში 0,1 % ხსნარის 0,5 — 1 მლ ან შიგნით 0,002 — 0,003 გ 2 — 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,002 — 0,003 გ და ამპულებში 0,1 % ხსნარის 1 მლ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) ნარინჯისფერ მინის ჭურჭელში სინაჟლისაგან დაცულ ადგილას.

ნ ი ტ რ ა ნ ო ლ ი

Nitranolum



წვრილკრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება წყალში, უკეთესად სპირტში, ლღობის ტემპერატურაა 106 — 110°.

აქვს გვირგვინოვანი სისხლძარღვების გამაფართოებელი თვისება. მოქმედება იწყება მოგვიანებით, მაგრამ გრძელდება უფრო დიდხანს, ვიდრე ეს ხდება ნიტროგლიცერინის მიღების დროს.

მიიღება შიგნით, უმთავრესად შეტევების ასაცილებლად, 0,002 გ 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ. ტაბლეტები არ უნდა დაილექოს.

გლაუკომის დროს არ შეიძლება ნიტრანოლის მიღება. გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,002 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B).


Rp.: Nitranoli 0,002

D. t. d. in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

ნ ი ტ რ ო ზ ლ ი ც ე რ ი ნ ი

(Nitroglycerinum)



ნიტროგლიცერინი ზეთისებური, უფერული სითხეა, ცუდად იხსნება წყალში, კარგად — სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, არის ნეიტრალური რეაქციისა, კუთრი წონაა — 0,820 — 0,830.

ნიტროგლიცერინი იხმარება 1 % სპირტიანი ხსნარის სახით. მას აქვს ანტისპაზმური მოქმედება, რის გამოც იყენებენ იმ დაავადებების დროს, რომელიც დაკავშირებულია გლუვი კუნთების სპაზმთან ან ანგიოსპაზმებთან.

ძირითადად ნიტროგლიცერინი პოულობს გამოყენებას სტენოკარდიული ტკივილების წინააღმდეგ, სადაც ის იძლევა შეუდარებელ შედეგს — ტკივილების გაყუჩებას პრეპარატის მიღებიდან სულ $\frac{1}{2}$ — 1 წუთის განმავლობაში (აუ ადგილი არა აქვს მიოკარდიუმის ინფარქტს). შაქრის ნატეხი, რომელზედაც დაწვეთებულია 2 — 3 წვეთი ნიტროგლიცერინი უნდა მოთავსდეს პირში, სანამ შაქარი არ დადნება.

უფრო ხშირად იყენებენ ნიტროგლიცერინის ტაბლეტებს 0,0005, რომელსაც იღებენ ენის ქვეშ ან ადნობენ ტუჩებზე და ღრძილებზე გასრესით, აქედან ის სწრაფად იწოვება და ასევე სწრაფად მოქმედებს.

ნიტროგლიცერინის ხშირად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ერთგვარი შეჩვევა, რის გამოც პირვანდელი დოზა შეიძლება გამოდგეს ნაკლებ ეფექტური და საჭირო შეიქნეს დოზის მომატება; ხოლო შეწყვეტის შემდეგ დასაწყისი მგრძობელობა მალე აღდგება და მკურნალობა პირვანდელი დოზის გამოყენებით უნდა დაიწყოს. ნიტროგლიცერინის ხმარებისას ზოგჯერ ვითარდება თავის ტკივილები, სახეზე სისხლის მოწოლის შეგრძნება, ყურებში ხმაური, თავბრუ, რაც ზღუდავს მის გამოყენებას. მისაღებია მხედველობაში აგრეთვე არტერიული სისხლის წნევის ზედმეტად დაწევა.

ნიტროგლიცერინის ხსნარი არ უნდა მოხვდეს კანს, რადგან ის შეიწოვება და ვითარდება თავის ძლიერი ტკივილი, აგრეთვე უნდა ვერიდოთ მის დაღვრასაც — შეიძლება მას მოჰყვეს აფეთქება.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 4 წვეთი, სადღეღამისო — 10 წვეთი.

ნიტროგლიცერინი გამოშვებულია შუშებში 5,10 მლ (1 % სპირტის ხსნარი) და ტაბლეტებში 0,0005 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ შუშებში, გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Nitroglycerini spirituosae 1% — 10,0

D. S. 1 — 3 წვეთი ენაზე (ან შაქრის ნატეხზე)
საჭიროების დროს.


Rp.: Nitroglycerini 0,0005

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი ენის ქვეშ საჭიროების დროს.

ნიტროპენტონი

Nitropenton



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, ადვილად იხსნება სპირტში.

მოქმედებს სისხლის ძარღვებზე, როგორც ნიტრანოლი, მხოლოდ უფრო ხანგრძლივად.

იხმარება სტენოკარდიის პროფილაქტიკაში. შეტევითი ტკივილების საწინააღმდეგოდ არ იხმარება, რადგან მოქმედება იწყება მოგვიანებით.

უნიშნავენ 0,01 გ ტაბლეტების სახით. ამოიღება ენის ქვეშ 2 — 4-ჯერ დღეში.

გლაუკომის დროს არ იხმარება.

გამოშვებულია ტაბლეტებში $\dot{\text{z}}$ 0,01 გ

პ ა დ უ ტ ი ნ ი

Padutinum

პადუტინს ამზადებენ ცხოველების კანქვეშა ჯირკვლიდან. მას აქვს სისხლძარღვთა გამაფართოებელი თვისება.

იხმარება ათეროსკლეროზის, კერძოდ კორონარული არტერიების სკლეროზის დროს, სტენოკარდიის, ანგიოსპაზმების, მენინჯრის სიმპტომოკომპლექსის, სკლეროდერმიის საწინააღმდეგოდ.

არ იხმარება ავთვისებიანი სიმსივნეების, თავის ქალას შიგნითა წნევის მომატებისა და გულის დეკომპენსაციის დროს.

უნიშნავენ თითო აბს, 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ, 10 დღის განმავლობაში; შემდეგ დოზას თანდათან უკლებენ.

სასწრაფო შემთხვევებში პადუტინის შეყვანა შეიძლება კუნთებში ან ვენაში 1 ამპულის რაოდენობით.

გამოშვებულია აბები (აქტივობით 10 მე¹) და მშრალი ფხვნილი ამპულებში ასეთივე დოზით.

თითო ამპულას თან ახლავს მეორე ამპულა — ქლორნატრიუმის სტერილური იზოტონური ხსნარის 1,2 მლ, ამპულებში ფხვნილების გასახსნელად.

ინახება გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

პ ა პ ა ვ ე რ ი ნ ი ქ ლ ო რ წ ა ლ ბ ა დ მ შ ა ვ ა


Papaverinum hydrochloricum

პაპავერინი მწარე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილია, ძნელად იხსნება წყალსა (1:40) და სპირტში.

¹ მოქმედების ერთეული.

პაპავერინი მოქმედებს გლუვ კუნთებზე, უკლებს მათ ტონუსს და ამცირებს მათი შეკუმშვის უნარს. ტონუსის შემცირების გამო პაპავერინის ზეგავლენით ფართოდება სისხლის ძარღვები, რის შედეგად კლებულობს სისხლის წნევა.

აღნიშნული თვისებების გამო პაპავერინს იყენებენ იმ დაავადებების წინააღმდეგ, რომელთა პათოგენეზში სპაზმებს ან ტონუსის



გაძლიერებას უჭირავს მთავარი ადგილი (ჰიპერტონიული დაავადება, სტენოკარდია, შაკიკი, პილოროსპაზმი, ქოლეცისტიტი, სპასტიკური კოლიტი, ბრონქული ასთმა და სხვ.).

უნიშნავენ შიგნით 0,02 — 0,05 გ, 2--3-ჯერ დღეში, კანქვეშ უშხაპუნებენ 1—2 % ხსნარის 1—2 მლ.

უმალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 0,1 გ, სადღელამისო — 0,3 გ. ბავშვებისათვის:

1 წლის ასაკში — ერთჯერადი —	0,005 გ,	სადღელამისო —	0,01 გ
1—2	" 0,01	" "	0,02 "
3—4	" 0,015	" "	0,03 "
5—6	" 0,02	" "	0,04 "
7—9	" 0,03	" "	0,06 "
10—14	" 0,04	" "	0,08 "

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,015 გ და 0,02 გ. გამოშვებულია აგრეთვე სხვა ნივთიერებებთან კომბინაცი-აში (იხ. ქვემოთ)

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მილესილსაცობიან შინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Papaverini hydrochlorici 0,02
D. t. d. 12 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Papaverini hydrochlorici 2 % — 2,0
D. t. d. 12 in ampulis
S. 1 — 2 მლ კანქვეშ (სტენოკარდიული შეტევის დროს)

Rp.: Papaverini hydrochlorici
Luminali aa 0,02
Salsolini hydrochlorici 0,03
D. t. d. in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Papaverini hydrochlorici
Salsolini hydrochlorici aa 0,03
Theobromini 0,25
D. t. d. 10 in tabulettis
S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

პ ა ხ ი კ ა რ პ ი ნ ი

Pachycarpinum



ალკალოიდი პახიკარპინი გამოყოფილია შტენარე *Sophora pachicarpa*-დან.

ხმარებაშია პახიკარპინ-იოდპიდრატი, რომელიც მწარე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილია.

იგი იხსნება წყალში (1:30), სპირტსა და ქლოროფორმში. ლღობის ტემპერატურაა 233 — 236°.

პახიკარპინს აქვს განგლიომაბლოკირებელი მოქმედება, მოქმედებს საშვილოსნოს კუნთებზე, აძლიერებს მის ტონუსს.

იხმარება მშობიარობის დასაჩქარებლად, აგრეთვე მათობლიტირებელი ენდარტერიტიტების შემთხვევებში.

უკუჩვენებას წარმოადგენს ღვიძლისა და თირკმლების დაავადება, სტენოკარდია, გულის მუშაობის მოშლილობა, ორსულობა.

უნიშნავენ მშობიარობის დასაჩქარებლად 3%-იან ხსნარს კუნთებში 2,5 — 5 მლ რაოდენობით ან შიგნით 0,1 — 0,15 გ, 2 — 3 ჯერ დღეში.

ენდარტერიტიტების დროს ავადმყოფებს ეძლევა 0,05 — 0,1 გ 2 — 3-ჯერ დღეში, 1 — 1,5 თვის განმავლობაში; 2 — 3-თვის შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს, მკურნალობას იმეორებენ.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა: 0,2 გ, სადღეღამისო — 0,6 გ. გამოშვებულია ფხვნილებში, ამპულებში 5 მლ 3 % ხსნარის სახით და ტაბლეტებში à 0, 1 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მილესილსაცობიან მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Pachycarpini hydrochlorici 0,1

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Pachycarpini hydrochlorici 3% — 5,0

D. t. d. in ampulis

S. 5 მლ კუნთებში (ან კანქვეშ).

პ ე ნ ტ ა მ ი ნ ი

Pentaminum



თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხვნილია, ლობის ტემპერატურაა 213 — 215°, კარგად იხსნება წყალსა და სპირტში.

პენტამინი განგლიომაბლოკირებელი პრეპარატია.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, კრიზების, ხანგამოშვებითი კოკლოზის (Claudicatio intermittens), ენდარტერიიტიების, ქოლეციტიტების, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის, ეკლამფსიის, მწვავე გლავუკომის დროს.

პენტამინის უკუჩვენებას წარმოადგენს ხანშესული ასაკი, მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი, აპოპლექსია, ჰიპოტონია და აგრეთვე მკვეთრად გამოხატული არტერიოსკლეროზი.

უნიშნავენ კუნთებში დღეში 2 — 3-ჯერ შემდეგ დოზებში: 5%-იანი პენტამინის ხსნარის 0,4 მლ (0,02 გ); შემდეგ დოზას თანდათანობით უმატებენ და აპყავთ 2 მლ (0,1 გ). მკურნალობის ერთი კურსი გრძელდება ჩვეულებრივად 4 — 6 კვირას. პენტამინის მიღების შემდეგ ავადმყოფი უნდა იწვეს 2 საათის განმავლობაში. მკურნალობას აწარმოებენ სტაციონარულ პირობებში.

ორგანიზმში პენტამინის შეყვანის შემდეგ შეიძლება განვითარდეს მაჯის გახშირება, პირის სიმშრალე, აკომოდაციის მოშლა, მაგრამ ეს ყველაფერი მოკლე ხნით.

გამოშვებულია ამპულებში 5 %-იანი ხსნარის 1 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Solutionis Pentamini 5%, 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 0,4 — 1 მლ კუნთებში დღეში 2 — 3-ჯერ.

კ ლ ა ტ ი ფ ი ლ ი ნ ი

Platiphyllum bitartaricum



ალკალოიდი პლატიფილინი მიიღება მცენარე *Senecio platyphyllus*-ისაგან.

ხმარებაშია პლატიფილინის ბიტარტრატი; თეთრი კრისტალური ფხვნილი, იხსნება ცივ წყალში (1:10), უკეთესად—ცხელ წყალში (1:5). ძნელად — სპირტში, თითქმის არ იხსნება ქლოროფორმსა და ეთერში.

აქვს კოლინოლიზური და სპაზმოლიზური თვისება მუცლის ღრუს ორგანოების სპაზმების დროს.

ჩვენებები: ბრონქული ასთმა, ჰიპერტონიული დაავადება, სტენოკარდია, კრიზები, ლეიძლისა და თირკმლების კოლიკები, ქოლეცისტიტები, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების გამწვავება, სპასტიკური კოლიტები; აგრეთვე ხმარობენ თვალის გუგის გასათვართობლად.

უკუჩვენებებია: გლაუკომა, გულ-სისხლძარღვთა შიში ორგანული დაავადებები, აგრეთვე ლეიძლისა და თირკმლების პარენქიმის დაავადება.

დოზა და ხმარების წესი: 0,2 % ხსნარის 1 — 2 მლ 2 — 3-ჯერ დღეში: სანთლები 0,01 გ 2-ჯერ დღეში, 10 — 15 წვეთი 0,5 % ხსნარისა 2 — 3-ჯერ დღეში შიგნით. თვალის პრაქტიკაში იხმარება 1 — 2 % ხსნარი.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის:

ერთჯერადი — 0,1 გ, სადღეღამისო — 0,03 გ.

ბავშვებისათვის:

$\frac{1}{2}$ —1 წლამდე—	ერთჯერადი 0,0006 გ,	სადღეღამისო — 0,0025 გ
3 — 4 წ.	„ 0,0015 გ	„ 0,0045 გ
7 — 9 წ.	„ 0,003 გ	„ 0,009 გ
10 — 14 წ.	„ 0,005 გ	„ 0,015 გ

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში à 1 მლ 0,2 % ხსნარი.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებსა და ამპულებში.

Rp. *Platyphyllini bitartarici* 0,005

Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 12

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Rp.: *Solutionis Platyphyllini bitartarici* 0,2 % — 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1 ამპულა კანქვეშ დღეში 2-ჯერ.

Rp.: Solutionis Platyphyllini bitartarici 0,5 % — 20,0

D. S. 10 წვეთი 2-ჯერ დღეში.

რედერგამი

Redergam

რედერგამი წარმოადგენს ქვავის რქის დიჰიდრირებული ალკალოიდების ჯამის ხსნარს.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლილობის (ენდოარტერიიტი, აკროციანოზი და სხვ.) და შაკიკის დროს.

არ არის ნაჩვენები მისი გამოყენება დაბალი არტერიული წნევის, მკაფიოდ გამოხატულ ათეროსკლეროზის, გულის ღრმა ორგანული დაზიანების, ლეიქმისა და თირკმლების დაავადებისა და მოხუცებულობის ასაკში.

უნიშნავენ შიგნით 5 წვეთს 3-ჯერ დღეში, თანდათან უმატებენ 30 — 40 წვეთამდე 3-ჯერ დღეში.

ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევაში მკურნალობა გრძელდება 3 — 4 თვეს, მოქმედების გაძლიერების მიზნით შეიძლება ერთდროულად გაკეთდეს კუნთებშიაც 0,5 — 1 მლ ყოველდღე ან დღეგამოშვებით. ინექციის შემდეგ ავადმყოფი უნდა იწვეს არანაკლებ 2 საათისა.


ვაზომოტორული წარმოშობის დაავადებების შემთხვევებში (სტენოკარდია, შაკიკი) უნიშნავენ შიგნით 5 წვეთს 3-ჯერ დღეში, თანდათანობით უმატებენ 25 წვეთამდე 3-ჯერ დღეში — 2 — 3 თვის განმავლობაში.

გამოშვებულია ამპულებსა და წვეთებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

სალსოლინი ქლორწყალბადმთავა

Salsolinum hydrochloricum



ალკალოიდი სალსოლინი გამოყოფილია მცენარე Salsola Rich-
teri-დან.

ქლორწყალბადმეცავა სალსოლინი თეთრი ან ოდნავ მოყვითალო,
კრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია. იხსნება წყალში
(1:14), ძნელად — სპირტში.

იგი აფართოებს სისხლის ძარღვებს და იწვევს სისხლის წნე-
ვის დაწევას, აგრეთვე თავის ტკივილის შემცირებას, აუმჯობესებს
თვითგრძნობას, ამშვიდებს ავადმყოფს.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ. გარ-
თულება არ არის აღნიშნული; არ აძლევს სისხლის მიმოქცევის
მკვეთრად დარღვევის, ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციის მოშ-
ლის დროს.

მოზრდილებს უნიშნავენ 0,03 გ, დღეში 3-ჯერ ან კანქვეშ 1%
ხსნარის 1 მლ, 1 — 2-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,03 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ნა-
რინჯისფერ ქილებში.

R.: Salsolini hydrochlorici 0,03
D. t. d. 20 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Salsolini hydrochlorici 0,03
Papaverini hydrochlorici
Luminali aa 0,02
D. t. d. 12 in tabulettis
S. ერთი ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Salsolini hydrochlorici
Luminali aa 0,03
Theobromini 0,15
Pyramidoni 0,3
D. t. d. 12 in tabulettis
S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Salsolini hydrochlorici 1% — 10,0
sterilisetur
D. S. 1 მლ კანქვეშ 1 — 2-ჯერ დღეში.

ანეთინი

Anethinum

ანეთინი მიიღება სურნელოვანი კამის ნაყოფისაგან. იგი მოყვითალო ფერის, მომწარო გემოს, დამახასიათებელი სუნის, ჰიგროსკოპული ფხენილია. კარგად იხსნება წყალში, სუსტად — სპირტში.

მას აქვს სპაზმოლიზური მოქმედება, იხმარება ქრონიკული კორონარული ნაკლოვანების დროს, სტენოკარდიის პროფილაქტიკისათვის და აგრეთვე მუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების სპასტიკური მდგომარეობის წინააღმდეგ.

ანეთინის მოქმედება იწყება მოგვიანებით 3 — 6 დღის შემდეგ, მცირდება ხანგრძლივობა და ინტენსივობა სტენოკარდიული შეტევებისა და ტკივილებისა გულის მიდამოში.

ანეთინს უნიშნავენ შიგნით დღეში 3-ჯერ 0,1 გ რაოდენობით. თუ მდგომარეობა მოითხოვს, შეიძლება დაენიშნოს დღეში 5-ჯერაც ასეთსავე დოზებში.

მკურნალობის კურსი ჩვეულებრივად გრძელდება 3 — 4 კვირას, საჭიროების დროს შეიძლება გაგრძელდეს 8 კვირამდე.

ანეთინით მკურნალობის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის მკვეთრი უკმარისობა.

გამოშვებულია ტაბლეტების სახით 0,1 გ რაოდენობით. თითო შეფუთვა შეიცავს 25 ტაბლეტს.

ინახება მშრალ, მზისაგან დაცულ ადგილას (კარადა B).


Rp.: Anethini 0,1

D. t. d. 25 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

სალსოლიდინი ქლორწყალბადმჟავა

Salsolidinum hydrochloricum



საღსოლიდინი ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს მცენარე *Salsola Richteri*.

ქლორწყალბადმეგავა საღსოლიდინი თეთრი ან ოღნავ მოყვი-
თალო ელფერის კრისტალური ფხვნილია. წყალში იხსნება (1:15),
ლღობის ტემპერატურაა 215°.

აქვს იგივე თვისება, ჩვენება და უკუჩვენება, რაც საღსოლინს.
უნიშნავენ შიგნით 0,02 — 0,03 გ 3-ჯერ დღეში, 10 — 15
დღის განმავღობაში.

უმალღესი დღზა მოზრდიღთათვის: ერთჯერადი 0,1 გ. სად-
ღელამისო 0,3 გ.

გამოშეებულია ფხვნიღებსა და ტაბღეტებში à 0,03 გ. ინა-
ხება მოფრთხიღებით (კარადა B) კარგად დახურულ ქიღებში, მშრალ
და სინათღისაგან დაცულ ადღიღას.

ს ა ო ფ ლ ე ჩ ა ი № 1

მის შემადღენღობაში შეღის

Flores Tiliae

Baccae Rubi idaei ð

ს ა ო ფ ლ ე ჩ ა ი № 2

მის შემადღენღობაში შეღის:

Baccae Rubii idaei


Folium Farfarae ð ð 2 წიღი

Herbae Origani 1 წიღი

ხმარება: ერთი სუფრის კღვზი უნდა დააყენოს ერთ ქიქა
მღუღარე წყალზე, დღღიღს 1/2 ქიქა 3 — 4-ჯერ დღეში, ცხღად.

ს ფ ე რ ო ფ ი ზ ი ნ ი

Sphaerophysinum



თეთრი, წვრიღკრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნიღია.
ადღიღად იხსნება წყალსა (1:2) და სპირტში (1:3,5), არ იხსნება
ეთერსა და ქლოროფორმში.

იწვევს არტერიული სისხლის წნევის დაწევას და საშვილოსნოს კუნთების შეკუმშვის გაძლიერებას.

ინმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს და სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში — მშობიარობის დროს სუსტი კინთვებისას, მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოდან სისხლის დენის დროს და აგრეთვე როგორც საშვილოსნოს ინვოლუციის დამაჩქარებელი საშუალება.

უნიწნავენ შიგნით 0,01 — 0,03 გ, დღეში 3-ჯერ ან კუნთებში % ხსნარის 1 — 2 მლ 2 — 3-ჯერ დღეში.

უმალესი ერთჯერადი დოზა — 0,05 გ, სადღელამისო — 0,1 გ.

გამოშვებულია ფხვნილებში, ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კაოგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Sphaerophysini benzoici 0,03

Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 15

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis Sphaerophysini benzoici 1%—1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1. მლ დღეში 1 — 2-ჯერ კანქვეშ.

ტ ე ტ ა მ ო ნ ი

Tetamonum



თეთრი, გამკვირვალე, უსუნო კრისტალებია; ადვილად იხსნება წყალში (1:3), იხსნება სპირტში (1:35).

ტეტამონი მიეკუთვნება განგლიომაბლოკირებელ პრეპარატთა ჯგუფს; იწვევს სისხლძარღვთა ტონუსის დაწევას, სპაზმების შემცირებას და სისხლძარღვთა გაფართოებას. ამის გამო სისხლის წნევა კლებულობს. ინმარება მთავარი ენდოარტერიიტის დროს სპაზმების შესამცირებლად.

უნიწნავენ 10 % ხსნარის 1 მლ ერთჯერ დღეში, მესამე დღიდან — 2 მლ დღეში; სულ — 4 — 6 კვირის განმავლობაში.

უკუჩვენებას წარმოადგენს მკვეთრი ჰიპოტონია. გამოშვებულია ამპულებში 10 %-იანი ხსნარის 1 მლ. ინახება ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურის პირობებში.


Rp.: Solutionis Tetamoni 10 % — 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1 მლ 1-ჯერ დღეში კანქვეშ

ტ რ ო პ ა ც ი ნ ი

Tropacinum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, სპირტში, ქლოროფორმში; ღვობის ტემპერატურაა 212 — 216°.

იხმარება პარკინსონის დაავადების წინააღმდეგ, პარკინსონიზმის მოვლენების დროს (ეპიდემიური ენცეფალიტის, ტრავმის შემდეგ), სპაზმური პარეზების და სხვა დაავადების დროს, რომელიც კუნთების ტონუსის აწევით მიმდინარეობს. შეიძლება ხმარებულ იქნეს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის დაავადებისა და ბრონქული ასთმის შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით ფხვნილებში ან ტაბლეტებში 0,01 — 0,0125 გ 1 — 2-ჯერ დღეში. თუ ავადმყოფი ამ დოზას კარგად იტანს, შეიძლება დაენიშნოს უფრო მეტიც — 0,015 — 0,02 გ.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,03 გ, სადღეღამისო — 0,1 გ.

ბავშვებისათვის ერთჯერადი: 3 წლის ასაკში — 0,001 — 0,002 გ; 3 — 5 წ. — 0,003 — 0,005 გ; 6 — 9 წ. — 0,005 — 0,007 გ; 10 — 12 წ. — 0,007 — 0,01 გ.

ტროპაციინის უკუჩვენებაა გლაუკომა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,01 გ, 0,0125 გ და 0,015 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად თავდაცობილ მინის ქურქელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Tropacini 0,01

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

შმაგას (ბელადონას) პრეპარატები

შმაგა (ბელადონა) შეიცავს ატროპინის ჯგუფის ალკალოიდებს (ჰიოსციამინი, სკოპოლამინი და სხვ.).

ფარმაკოლოგიური და კლინიკური მოქმედებით იგი ახლოსაა ატროპინთან.

ხმარებაშია შმაგას ექსტრაქტი, რომელიც ენიშნებათ როგორც სპაზმოლიზური და გამაუტკივარებელი საშუალება კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადების, ქოლეცისტიტების და ქოლელითიაზის, აგრეთვე საერთოდ გლუვი კუნთების სპაზმებთან დაკავშირებული დაავადების დროს.

უკუნაჩვენებია გლახკომის დროს.

ექსტრაქტს უფრო ხშირად უნიშნავენ ფხვნილებსა და სანთლებში.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 0,05 გ, სადღეღამისო — 0,15 გ.

ბავშვებისათვის:

$\frac{1}{3}$ — 1 წ.	— ერთჯერადი	0,0025 გ	სადღეღამისო — 0,0075 გ
2 წ.		0,003 გ	" 0,009 გ
3—4 წ.		0,004 გ	" 0,015 გ
5—6 წ.		0,005 გ	" 0,015 გ
7—9 წ.		0,0075 გ	" 0,025 გ
10—14 წ.		0,01—0,015 გ	0,30—0,045 გ

ბავშვებს 6 თვემდე არ უნიშნავენ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ ადგილას.

შმაგას (ბელადონას) პრეპარატებია:

კორბელა (იხ. ზემოთ)

ასთმატოლი (იხ. ზემოთ)

ბეკარბონი (Becarbonum) — შემადგენლობით: შმაგას ექსტრაქტი — 0,01 და ნატრიუმის ბიკარბონატი — 0,3 გ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 6 — 6 ცალად.

ბესალოლი (Besalolum) შემდეგი შემადგენლობით: შმაგას ექსტრაქტი — 0,01 გ, სალოლი — 0,3 გ.

გამოშვებულია ტაბლეტებში.

ბეთიოლი (Bethiol) — სანთლები შემდეგი შემადგენლობით: შმაგას ექსტრაქტი 0,015 გ, იქთიოლი 0,2 გ, ცხიმო — ფუძე .1,18 გ. იხმარება ბუასილის დროს.

ანუზოლი (იხ. ზემოთ).

Rp.: Extracti Belladonnae 0,015
Natrii bicarbonici 0,25
D. t. d. 10 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Extracti Belladonnae 0,015
Papaverini hydrochlorici 0,02
Sacchari 0,2
M. f. p. D. t. d. 10
S. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში.

ც ა ც ხ ვ ი ს უ ვ ა ვ ი ლ ი

Flores Tiliae


ცაცხვის ყვავილი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, გლუკოზიდს.
შორიმლავ ნივთიერებებს, ლორწოს და სხვ. ნივთიერებებს.
იხმარება როგორც ოფლის მომგვრელი საშუალება და პირში
გამოსაველებად.

Rp.: Flores Tiliae 50,0
D. S. თითო სუფრის კოვზი დააყენოს 1—2 კიკა
მდულარე წყალზე, გაციეების შემდეგ გაწუროს
და დალიოს როგორც ჩაი.

ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები

ანესთეზინი

Anaesthesinum



COOC_2H_5

ანესთეზინი არის პარაამინობენზოეს მეფავს ეთილის ეთერი; უსუნო, სუსტი მწარე გემოს თეთრი, კრისტალური ფხვნილია; იხსნება ცხიმოვან ზეთებში, ეთერში, ქლოროფორმში, სპირტსა და მდლურაჲე წყალში.

იხმარება ადგილობრივ საანესთეზიოდ და 5 — 10% მალამოს სახით ან მოსაყრელად კანის კრილობებსა და წყლულებზე. შიგნით მიიღება ფხვნილებში საყლაპავი მილისა და კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანების დროს, პირღებინების შემთხვევაში.

ანესთეზინის ხმარებას არ ურჩევენ სულფანილამიდური პრეპარატებით მკურნალობის დროს.

უმალესი ერთჯერადი დოზაა 0,5 გ, სადღელამისო — 1,5 გ. გამოშვებულია ფხვნილების სახით.




ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Anaesthesini 0,3

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში, კამის წინ.

Dicainum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალსა და სპირტში, არ იხსნება ეთერში, ლობის ტემპერატურაა 147—150°.

დიკაინი ადგილობრივი ძლიერი საანესთეზიო ნივთიერებაა, მაგრამ ამავე დროს ძლიერ ტოქსიკურიც; ამის გამო ის იხმარება უფრო ზედაპირული ანესთეზიებისათვის ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში და სხვა ოპერაციების დროს; ხმარობენ 0,5—1 და 2% ხსნარის 2—3 წვეთს. ოტორინოლარინგოლოგიაში იხმარება 0,5—1% ხსნარის (იშვიათად 2%) 1—2 მლ. დიკაინის ყოველ 2—3 მლ ხსნარზე ხშირად უმატებენ 0,1% ადრენალინის ხსნარის 1 წვეთს, დიკაინის მოკმედების გახანგრძლივებისა და მისი შეწოვის შემცირების მიზნით.

ბავშვებს 10 წლამდე ანესთეზიას დიკაინით არ უკეთებენ, უფროს ასაკში კი ხმარობენ 0,5—1%-იანი ხსნარის არა უმეტეს 1—2 მლ-ს.

წინდაწინ შიგნით 0,1 გ ბარბამილის მიღება ამცირებს დიკაინით მოწამელის განვითარების შესაძლებლობას.

ტოქსიკური მოკმედების ნიშნებია პირღებინება, თავბრუხვევა, სუნთქვის შესუსტება, მაჯის შენელება, მხედველობის მოშლა. ასეთ შემთხვევაში ლორწოვანი უნდა მოიბანოს სოდის 2% ხსნარით და კანქვეშ გაუკეთდეს კოფეინი.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის არის დიკაინის 3% ხსნარის 3 მლ.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ მინის ქილებში.


Rp.: Solutionis Dicaini 0,5% 5,0

Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1% gttss III

M. D. S. ზედაპირული ანესთეზიისათვის 2—3
წვეთი (ოფტალმოლოგიურ პრაქტიკაში)

კოკაინი

Cocainum



კოკაინი წარმოადგენს ალკალოიდს, რომელსაც შეიცავს ტროპიკული მცენარე Erythroxylon coca.

იგი უფერული, წვეტიანი კრისტალია ან თეთრი კრისტალური მწარე გემოს ფხვნილი. ძლიერ ადვილად იხსნება წყალში (2:1), ადვილად—სპირტში (1:2,6), იხსნება ქლოროფორმში, არ იხსნება ეთერში.

თავისი ქიმიური სტრუქტურით ალკალოიდი კოკაინი წარმოადგენს ბენზოლექგონინის მეთილის ეთერს.

კოკაინის ადგილობრივად ხმარება იწვევს მგრძნობელობის დაკარგვას, ახდენს რა მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებაში იმპულსების გატარების ბლოკირებას. ამ თვისების გამო კოკაინის ხსნარი იხმარება საექიმო პრაქტიკაში. რაც შეეხება მის რეზორბციულ მოქმედებას, იგი შეწოვის შემდეგ იწვევს ეიფორიას, ახდენს ფსიქიკური სფეროს აგზნებას; ადამიანი გრძნობს სიხალისეს, ენერჯიის მომატებას, ღგება მხიარულ გუნებაზე, ეკარგება უსიამოვნო განცდები. ეს მოვლენები იწვევს მიდრეკილებას კოკაინისადმი და ბოლოს კოკაინის მიღება დაუძლეველ მოთხოვნილებად იქცევა, ვითარდება ე. წ. კოკაინიზმი.

კოკაინიზმი ვითარდება საკმაოდ ადვილად და მალე. ამის გამო კოკაინი ამჟამად იხმარება მხოლოდ გარედან წასასმელად (1—2—3—5% ხსნარი) — ოფტალმოლოგიურ პრაქტიკაში, პირისა და ცხვი-

რის ღრუების გამოსარეცხად, საშარდე გზების გამოსაბანად და სხვ. მხოლოდ აქაც ამ ნივთიერების შეწოვის შესამციკრებლად და ანესთეზიური მოქმედების გასახანგრძლივებლად ხსნარს უმატებენ ადრენალინს (5 მლ კოკაინის ხსნარს უმატებენ ადრენალინის 0,1% ხსნარის 3—5 წვეთს).

კოკაინი შედის აგრეთვე ზოგიერთ მალამოს შემადგენლობაში. უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი 0,03 გ, სადღელამისო — იგივე.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულაში 2% ხსნარის სახით 1 მლ რაოდენობით.


ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ შუშის ქილებში ან ამპულაში, სინათლისაგან და-
ცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Cocaini hydrochlorici 2%—5,0
Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1% gttis III
M. D. S. ცხვირისა და თკალების ლორწოვანი
გარსის ანესთეზისათვის.

Rp.: Cocaini hydrochlorici
Mentholi $\overline{\text{as}}$ 0,3
Acidi borici 0,5
Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1% gttis V
Vasellini 10,0
M. D. S. მალამო (რინიტის დროს)

Rp.: Cocaini hydrochlorici 0,2
Aquae destillatae 10,0
M. D. S. შემთბარი 10 წვეთი ყურში ჩასაწვეთებ-
ლად, ტკივილების დასაყუჩებლად.
5 0 3 0 3 0 5 0

Novocainum



ნოვოკაინი თეთრი, კრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია. კარგად იხსნება წყალსა (1:1) და სპირტში (1:8). *

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ეკუთვნის ადგილობრივ საანესთეზიო ნივთიერებათა ჯგუფს.

კოკაინთან შედარებით ნაკლებ ტოქსიკურია (7—10-ჯერ) და ნაკლებ საანესთეზიო სიძლიერისაა, მოკლებულია მიმზიდველობას და ამიტომ მიჩვევის მხრივ საშიშროებას არ წარმოადგენს.

მოქმედების გაძლიერებისათვის ნოვოკაინის ხსნარის 5—10 მლ უმატებენ ადრენალინის 0,1% ხსნარის 1 წვეთს.

იხმარება:

1. ლორწოვანი გარსის ანესთეზიისათვის — 2 — 5 — 10%⁰-იანი ხსნარი.
2. ინფილტრაციული ანესთეზიისათვის — 0,25—0,5%⁰
3. ნოვოკაინით ბლოკადისათვის — 0,25 — 0,5%⁰
4. ვიშნევსკის მეთოდით ანესთეზიისათვის—0,125—0,25 %
5. ზურგის ტვინის ანესთეზიისათვის—2—5%⁰ (სულ 2 მლ).

პარანეტრალური ბლოკადისათვის თირკმლის მიდამოს ფაშარ ქსოვილში შეჰყავთ 50—80 მლ 5%⁰-იანი ან 100—150 მლ 0,25%⁰-იანი ნოვოკაინის ხსნარი.

ვაგოსიმპათიკური ბლოკადის დროს კი 30 — 100 მლ 0,25%⁰-იანი ხსნარი.

ნოვოკაინს ხმარობენ აგრეთვე მრავალი დაავადების დროს, როგორცაა: ჰიპერტონიული დაავადება, სისხლძარღვთა სპაზმები, კუქისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადება, ნეიროდერმიტი, ეკზემა, კერატიტი, ქავილი, ორსულთა ტოქსიკოზები და სხვ. ამ დაავადებების დროს ნოვოკაინის 0,25 — 0,5% ხსნარს 10—15 მლ რაოდენობით ნელა უშხაპუნებენ ვენაში ფიზიოლოგიურ ხსნართან ერთად.

მკურნალობის დაწყებამდე უნდა იქნეს გამორკვეული ნოვოკაინისადმი მომატებული მგრძობელობა კუნთებში 1—2%⁰ ხსნარის 2 მლ შე შხაპუნებით. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შეიძლება ჩატარებულ იქნეს მკურნალობა.

ნოვოკაინით მკურნალობის დროს ზოგჯერ ვითარდება თანამოვლენები: თავბრუ, საერთო სისუსტე, სისხლის წნევის სწრაფი დაწევა, კოლათის და სხვ., რაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

უმალღესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი შიგნით მიღებისას 0,25 გ, კუნთებში შეყვანისას (2%⁰ ხსნარის) 0,1 გ, ვენაში შეშხაპუნებისას (0,25%⁰ ხსნარის)—0,05 გ; სადღელამისო—შიგნით—0,75 გ, კუნთებსა და ვენაში—0,1 გ.

გამოშვებულია ფხენილებსა და ამპულებში:
 0,25% ხსნარი à 2,5, 10 და 20 მლ ამპულებში
 0,5% ხსნარი à 2,5 და 10 მლ ამპულებში
 1% ხსნარი à 1,2 და 10 მლ ამპულებში
 2% ხსნარი à 1 და 2 მლ ამპულებში

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), კარგად თავდაცობილ ქილებსა და ამპულებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Novocaini 0,5

Solutionis Natrii chlorati isoton. 200,0

M. Sterilisetur!

D. S. ანესთეზიისათვის.

Novocaini 1,25

Natrii chlorati 3,0

Kalii chlorati 0,038

Calcii chlorati 0,062


Aquae destillatae 500,0

M. Sterilisetur

D. S. ანესთეზიისათვის ვიშნევსკის მეთოდით.

ს ო ვ კ ა ი ნ ი

Sovcainum



თეთრი, კრისტალური ფხენილია, ადვილად ეხსნება წყალში, სპირტში, აცეტონსა და ბენზოლში, არ იხსნება ეთერში.

სოვკაინი იწვევს ადგილობრივ ანესთეზიას. აგი ნოვოკაინზე 15—20-ჯერ უფრო აქტიურია, მაგრამ ამდენჯერვე უფრო ტოქსიკურიც.

იხმარება:

- ა) ინფილტრაციული ანესთეზიისათვის ხსნარებში 1:5000-ზე, 50—100 მლ რაოდენობით,

- ბ) ვიშნევსკის მეთოდით ანესთეზიისათვის,
 გ) ენდოლუმბალური ანესთეზიისათვის — 1% ხსნარის 0,8—0,9 მლ (მოზრდილებს),
 დ) უროლოგიურ პრაქტიკაში — შარდსადენისა და შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანესთეზიისათვის (ხსნარი 1:2000).

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,01 გ (1 მლ 1% ხსნარისა) ზურგ-ტვინის არხში შეყვანით.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში à 1 მლ 0,5% — 1%-იანი ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Solutionis Sovcaini 1%—1,0

D. t. d. 3 in ampulis

S. 0,25 — 0,5 მლ ზურგ-ტვინის არხში ანესთეზიისათვის.

Rp.: Novocaini 0,125

Sovcaini 0,01

Aquae destillatae 50,0

D. S. ხმარების წინ დაემატოს Solutionis Adrenalinii hydrochlorici 0,1%—3 წვეთი (ინფილტრაციული ანესთეზიისათვის).

ქსოვილებზე აღბილობრივად მოქმედი საშუალებები

ალოეს ემულსია

Emulsum Aloes

ემულსია წარმოადგენს ალოეს ფოთლების წვენი 78 ნაწ., დამზადებულს აკადემიკოს ვ. პ. ფილატოვის მეთოდით (5—8° ტემპერატურის პირობებში 12 დღის განმავლობაში გაჩერებულია სიბნელეში), საფალარათო ზეთის 11 ნაწილს, ემულგატორს—11 ნაწილს, ევკალიპტის ზეთს — 0,1 ნაწილს.

იხმარება კანის სხივური დაავადების პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ; კანზე უსვამენ თხელ შრედ ემულსიას და ზედ აფენენ დოლბანდის საფენს, ასე 2—3-ჯერ დღეში.

ინახება გრილ ადგილას.

ალოეს სიროფი რკინით (Sirupus Aloës cum ferro) იხმარება ანემიების წინააღმდეგ; აძლევენ დღეში 3-ჯერ თითო ჩაის კოვზს $\frac{1}{4}$ კიკა წყალზე 15—30 დღის განმავლობაში.

ინახება ბნელ ადგილას.

Rp.: Extracti Aloes 1,5

Extracti Rhei 3,0

Extracti Belladonnae 0,45

Massae pil. q. s. ut f. pul. 30

D. S. თითო აბი დილას და საღამოს.


Rp.: Extracti Aloës pro injectionibus 1,0

D. t. d. 30 in ampulis

S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში ერთჯერ.

ა რ მ ი ნ ი

Arminum



არმინი მოყვითალო-ნარინჯისფერი სითხეა.

იხსნება წყალში (1 : 300) და ზოგიერთ ორგანულ გამხსნელში. ხმარობენ გლაუკომის წინააღმდეგ და იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა გუგების შევიწროება; აგრეთვე გუგებზე ატროპინის ვაელების გასაბათილებლად.

უნიშნავენ არმინის ხსნარს 1 : 20000-ზე 2 წვეთს 2—3-ჯერ დღეში. იხმარება პილოკარპინთან კომბინაციაში მოქმედების გაძლიერების მიზნით.

გამოშვებულია 1 : 20000 ხსნარის სახით შუშებში 10 მლ რაოდენობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Armini (1 : 20000) 10,0

D. S. 2 წვეთი 2—3-ჯერ დღეში თვალებში ჩასაწვეთებლად (გლაუკომის დროს).

ბაქტერიციდული ქალაღდი

ფორებიანი ქალაღდია, გაელენთილი ვერცხლის ნიტრატით და ქლორიდით.

იხმარება პატარა კრილობების და დამწვრობის დროს (ბუბტუკების მოშორების შემდეგ).

ხმარების წინ ბაქტერიციდულ ქალაღდს ოდნავ ასველებენ გადადუღებული წყლით და ადებენ დაზიანებულ ადგილზე (თუ კრილობებიდან სისხლი სდის, ქალაღდს დასველება არ სჭირდება), ქალაღდზე ადებენ ბამბას და შეახვევენ.

გამოშვებულია კონვერტებში, რომელშიაც მოთავსებულია 10×14 სმ ზომის ბაქტერიციდული ქალაღდები.

გ ა ლ მ ა ნ ი ნ ი

Galmaninum

გალმანინის შემადგენლობაში შედის:

თუთიის ქანგი 10 ნაწილი

სალიცილის მჟავა 2 ნაწილი

ტალკი 44 „


სახამებელი 44 „

იხმარება მოსაყრელად ფეხების ოფლიანობის დროს.

გამოშვებულია კოლოფებში 50 გრამის რაოდენობით.

დ ე რ მ ა ტ ო ლ ი

Dermatolum



ბისმუთის ფუძე გალატი. ლიმონისფერი ყვეთელი უსუნო ფხვნილია. არ იხსნება წყალსა, სპირტსა, ეთერში; იხსნება ნატრიუმის ტუტის ხსნარში.

იხმარება გარედან როგორც ანტისეპტიკური და შემზოქველი საშუალება, მოსაყრელი ფხვნილების, მალამოს და სანთლების სახით.

გამოშვებულია ფხვნილებისა და 10%-იანი მალამოს სახით. ინახება კარგად დახურულ ქილებში.

Rp.: Dermatoli 10,0
Zinci oxydati 20,0
Talcii 30,0
Mf. pulvis
D. S. მოსაყრელი ფხვნილი.

Rp.: Dermatoli 0,2
Extracti Belladonnae 0,01
Butyri cacao 2,5
M. f. suppositorium
D. t. d. 6
S. თითო სანთელი დილას და საღამოს უკანა ტანში.

ვ ე ნ ა პ ი ო ლ ი ნ ი

Venapiolinum

ვენაპიოლინი ფუტკრის შხამია გახსნილი ატმის ან ქერამის ზეთში.

ხმარებაშია კუნთებისა და სახსრების რევმატული დაავადების, პოლიართრიტების სხვადასხვა ეტიოლოგიის, რადიკულიტების, იშიაზის, ნევრალგიების, შაკიკის, ურტიკარიის, ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიული დაავადების (I და II ხარისხის), მენიერის სიმპტომოკოპლექსის, ტროფიკული წყლულების, ენდარტერიიტის, თრომბოფლემბიტის წინააღმდეგ.

წინააღმდეგწინებას წარმოადგენს: თირკმლების, ღვიძლის, პანკრეასის დაავადებები, დიაბეტი, სიმსივნეები, ტუბერკულოზი,

მძიმე ინფექციური დაავადებები, სეფსისი, სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, ფსიქიკური დაავადება, კახექსია, აწეული მგრძობელობა ფუტკრის შხამის მიმართ.

ფუტკრის შხამის მოქმედებას უკავშირებენ მისი შემადგენელი ნაწილის (ფერმენტები, ჰისტამინი, ქოლინი. ორგანული მკვავები და სხვ.) მოქმედებას ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ფუნქციაზე და აგრეთვე—რეფლექტორულ გავლენას შემზაპუნების ადგილიდან და სხვ.

ვენაპიოლინს უნიშნავენ კანქვეშ ერთჯერ დღეში, იწყებენ 0,5 მილილიტრიდან და თანდათან უმატებენ 1,5 მლ-მდე 5 დღის განმავლობაში, შემდეგ აგრძელებენ პრეპარატის მიცემას 1—2 დღეგამოშვებით. მკურნალობის ერთი კურსი შედგება 20—30 ინექციისაგან. 1—2 თვით შესვენების შემდეგ შეიძლება, თუ საკიროება მოითხოვს, მკურნალობის გაყოფა.

თუ ინექციების ადგილას განვითარდა შეშუპება, ქავილი და სხვ., უნდა ხმარებულ იქნეს სათბურები, ხოლო მოვლენების გაფლის შემდეგ მკურნალობა უნდა გაგრძელდეს შემცირებული დოზებით.

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვილკინსონის მალამო

Unguentum Wilkinsoni

ვილკინსონის მალამო მუქი მიხაკისფერისაა, კუპრის სუნის. იხმარება ძირითადად მუნის საწინააღმდეგოდ და აგრეთვე კანის სოკოვანი და ზოგიერთი სხვა დაავადების დროს.

Rp.: Unguenti Wilkinsoni 100,0

D. S. წაისვას კანზე (მუნის დროს)

Rp.: Unguenti Wilkinsoni 20,0

Unguenti Zinci ad 100,0

M. D. S. წაისვას კანზე (სოკოვანი დაავადების დროს).

ვიპრაზიდი

Viprasid

ვიპრაზიდი სტაბილიზებული, სტანდარტული და სტერილური წყლიანი ხსნარია სხვადასხვა შხამიანი გველის ტოქსინებისა (0,1 მგ ერთ მლ ქლორნატრიუმის იზოტონურ ხსნარში).

იხმარება კუნთების რევმატიზმის, მიალგიების, ართრიტების, ლუმბაგოს, იზიასის, აგრეთვე ბრონქული ასთმის დროს. კუნთებში შეყვანას იწყებენ 0,5 მლ-დან, შემდეგ უმატებენ 0,1 მლ, სანამ მი-
აღწევენ 1 მლ-მდე; აძლევენ 7 დღის განმავლობაში. თუ საჭიროება
მოითხოვს, შეიძლება მკურნალობის გამეორება.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ბნელ ადგილას.

Rp.: Viprasidi in ampulis 1,0

D. t. d. 10

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ კუნთებში შესა-
შხაუნებლად.

ვიპრაკუტანი

Vipracutan

ვიპრაკუტანი მალამოა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა შხამი-
ანი გველის ტოქსინს — 0,0001%, მეთილსალიცილატს — 6% და
ქაფურს — 3%.

იხმარება კუნთების რევმატული ტკივილების, ნევრიტებისა და
ნევრალგიების შემთხვევებში.

მალამოს 3—6 გ რაოდენობით (1 — 2 ჩაის კოვზს) შეიზილა-
ვენ დაავადებული ადგილის მიდამოში, დღეში ერთჯერ, ძლიერი
ტკივილების დროს დღეში ორჯერ.

ხმარების წინ პრეპარატს ძლიერ ანჯღრევენ.

ინახება კარგად დახურულ ფლაკონებში, გრილ და სინათლი-
საგან დაცულ ადგილას.

ვირაპინი

Virapin

ვირაპინი წარმოადგენს ფუტკრის შხამისაგან დამზადებულ
პრეპარატს.

გამოშვებულია ამპულებში და მალამოს სახით. თითო ამპულა
შეიცავს 0,002 გ ფუტკრის შხამს, 1 მლ ნოვოკაინის ნატრიუმქლო-
რიდის იზოტონურ ხსნარში.

1 გ მალამო შეიცავს შხამის 0,15 მგ.

უკეთებენ კანში დაავადებული ადგილის მიდამოში თითო
ინექციას 0,05 მლ-დან დაწყებული 0,25—0,5 მლ-მდე 3—5 დღის
განმავლობაში.

მალამოს შეიზილავენ დაავადებულ ადგილას 1 — 2-ჯერ.

თუთიის ქანკი

Zincum oxydatum

თეთრი, ამორფული, უსუნო ფხვნილია. არ იხსნება წყალსა და სპირტში, იხსნება განზავებულ მინერალურ მჟავებში და აგრეთვე ძმარმჟავაში.

იხმარება მოსაყრელად ტალკთან, ბორის მჟავასთან და სხვ. ერთად.

შედის გალმანინის, ნეოანუზოლის და სხვ. შემადგენლობაში.

Rp.: Zinci oxydati 5,0
Talci 15,0
M. f. pulvis
D. S. მოსაყრელი.

თუთიის მალამო

Unguentum Zinci

თუთიის მალამოში შედის თუთიის ქანკი — 1 ნაწ. და ვაზელინი—9 ნაწ.

იხმარება გარედან წასასმელად ადგილობრივი ანთებითი პროცესებისა და წყლულების დროს.

Rp.: Unguentum Zinci 10,0
D. S. კანზე წასასმელად.

იქთიოლი

Ichthysolum

მუქი წაბლისფერი, თითქმის შავი, სქელი, სპეციფიკური უსიანო სუნის სითხეა: იხსნება წყალისა, სპირტისა და ეთერის თანაბარი რაოდენობის ნარევისა და გლიცერინში. აქვს ანტისეპტიკური, ანტიანთებითი და ადგილობრივ ტკივილგამაყუჩებელი თვისება.

ფურუნკულოზის, სიდამწვრის, ეკზემის, ფსორიაზის, წითელი ქარის დროს იხმარება 5—30%-იანი იქთიოლის მალამო ან 10—30%-იანი წყალ-სპირტიან ხსნარში გაჟღენთილი საფენები; გამოყენება აქვს აგრეთვე სანთლების სახით (0,1—0,2 გ) პარამეტრიტების, მეტრიტების, ოოფორიტების და პროსტატიტების შემთხვევებში.

ინახება მინის ქილებში.

Rp.: Ichthyoli 5,0
Vaselini

Lanolini $\frac{11}{2}$ 125,0

M. f. unguentum

D. S. მაღამო.

Rp.: Ichthyoli 0,1

Extracti Opii 0,015

Butyri Cacao 2,0

M. f. suppositoria D. t. d. 10.

S. თითო სანთელი 1—2-ჯერ დღეში.


მაანალგიზებელი ემულსია

ეს ემულსია შედგება: სალიცილმეფას მეთილის ეთერის 2,5 ნაწილის, ანალგინის — 2,5 ნაწილის, ნაფთალანის 2,5 ნაწილის, ემულგატორის 7,5 ნაწილისა და წყლის 100 ნაწილისაგან.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც მეთილსალიცილატი.

მეთილის სალიცილატი

Methylum salicylicum



პრეპარატი უფერული ან ოდნავ მოყვითალო, არომატული სუნის სითხეა, თითქმის არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტსა და ეთერში. კუთრი წ. 1,178—1,186.

იხმარება მხოლოდ გარედან წასასმელად რევმატული ართრიტებისა და მიოზიტების დროს, აგრეთვე ნევრალგიური ტკივილების შემთხვევაში; ან სხვა საცხებელთან შერეული.

ინახება კარგად დახურულ ქილებში ბნელ ადგილას.

Rp.: Methylli salicylici 10,0

Chloroformii

Olei Terebinthinae $\frac{11}{2}$ 15,0

Olei Hyoscyami 60,0

M. f. linimentum

D. S. გარედან სახმარი (2-ჯერ დღეში 15 — 20 წვეთი).

Rp.: Methylii salicylici

Chloroformii \overline{aa} 10,0

Olei Hyoscyami 30,0

M. D. S. გარედან სახმარი—შესაზღელი მტკივნეული სახსრებისა და კუნთების არეზე.

(გამოშვებულია „სალინიმენტის“ სახელწოდებით 50 გრამიანი, შეფუთული).

Rp.: Methylii salicylici 10,0

Tincturae Capsici

Olei Hyoscyami \overline{aa} 20,0

M. D. S. გარედან სახმარი—შესაზღელი

(გამოშვებულია დამზადებული „კაპსინის“ სახელწოდებით 50 გრამიანი, შეფუთული).

Rp.: Methylii salicylici 24,0

Olei Eucalypti 1,2

Olei Terebinthinae 3,2

Camphorae Tritae 5,0

Axungiae porcinae

Vaselini \overline{aa} 33,3

M. f. unguentum

D. S. გარედან სახმარი — შესაზღელი.

(გამოშვებულია დამზადებული „ბალზამი სანიტასის“ სახელწოდებით).

Rp.: Mentholi 4,0

Methylii salicylici 21,0

Vaselini 75,0

M. f. unguentum.

D. S. გარედან სახმარი

(გამოშვებულია „ბომ-ბენგესის“ სახელწოდებით).

მეფანე საპონი

Sapo viridis s. Sapo Kalinus viridis

მეფანე, ანუ კალიუმის საპონი რბილი, მუქი წაბლისფერი ან მომწვანო მასაა, იხსნება წყალსა და სპირტში.

მწვანე საპონი იხმარება კანის გასაწმენდად, იყენებენ აგრეთვე საპნიანი სპირტის მისაღებად (*Spiritus saponatus*). წინათ იხმარებოდა მუცელზე წასასმელად ქრონიკული სპეციფიკური პერიტონიტისა და მეზენტერიტების დროს.

ნაფთალანი

Naphthalanum seu unguentum naphthalani

შავი ფერის მასაა, არ იხსნება წყალში, შედგება 80 ნაწილი რაფინირებული ნაფთალანის ნავთობისაგან და 20 ნაწილი პარაფინისაგან.

იხმარება კანის დაავადების დროს (ქრონიკული ეკზემა, ნეიროდერმიტები, წითელი ქარი და სხვ.), I და II ხარისხის სიღამწვრის დროს, წყლულების, ნაწოლების, სახსრების ქრონიკული ანთების (რევმატული, პოდაგრული), ფლექსიტების, ნევრალგიების რადიკულიტების, მიოზიტების შემთხვევებში.

უნიშნავენ მალამოს სახით ან სხვა წამალთან შერეულად მალამოების, პასტებისა და სანთლების სახით.

ნაფთალანის ემულსიები იხმარება აგრეთვე საფეხებისათვის, აბაზანებისათვის, ტამპონებისათვის, გაღვანიზაციისათვის და სხვ.

უკუჩვენება: ტუბერკულოზური პროცესები, თირკმლების დაავადება, გულის დეკომპენსაცია, ანემიები.

Rp.: Naphthalani 98,0
Acidi salicylici 2,0
M. f. unguentum
D. S. მალამო.

Rp.: Zinci oxydati $\overline{\text{---}}$
Amyli Tritici aa 10,0
Picis liquidæ 5,0
Naphthalani 20,0
M. f. pasta
D. S. პასტა.

Rp.: Zinci oxydati $\overline{\text{---}}$
Amyli Tritici aa 10,0
Ichthyoli 4,0
Naphthalani 16,0
M. f. pasta
D. S. პასტა.

Rp.: Emulsionis Naphthalani 50,0
D. S. საფენისათვის.

Rp.: Naphthalani 0,2
Butyri Cacao 2,5
M. f. suppositoria
D. t. d. 6
S. თითო სანთელი 2-ჯერ დღეში სწორ ნაწლავში.

პარაფინი მკვრივი

Paraffinum

თეთრი, მკვრივი, უგემო და უსუნო მასაა, არ იხსნება წყალში და სპირტში, ადვილად იხსნება ეთერში, ქლოროფორმში, ბენზინში, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებში. ლღობის ტემპერატურაა 50 — 57°.

იხმარება როგორც ფუძე მალამოებისათვის და საპროტეზოდ პლასტიკური ოპერაციების დროს. იხმარება აგრეთვე (Paraffinum album anhydricum) ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩასატარებლად (ე. წ. პარაფინოთერაპიის) ნევრალგიების, ნევრიტების და სხვ. შემთხვევებში პარაფინის აპლიკაციების სახით.

პარაფინი თხევადი, ანუ ვაზელინის ჯეთი

Paraffinum liquidum s. oleum vaselini

უფერული, გაჰქვირვალე, უგემო და უსუნო სითხეა; არ იხსნება წყალში. წარმოადგენს ნავთის გამოხდის შემდეგ ნავთობის გაწმენდის ერთ-ერთ ფრაქციას.

იხმარება მალამოების ფუძედ და შიგნით როგორც საფალარათო საშუალება (შეკრულობის დროს) 1—2 სუფრის კოვზის რაოდენობით 1—2-ჯერ დღეში კამის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე.

Rp.: Olei Vaselini 100,0

D. S. 1—2 სუფრის კოვზი ერთ მიღებაზე.

ს ა ხ ა მ ე ბ ე ლ ი

Amylum

სახამებელი, ნახშირწყალი — პოლისაქარიდი მიიღება შემდეგი მცენარეულის მარცვლებიდან: ხორბლისაგან, სიმინდისაგან, ბრინჯისაგან, კარტოფილისაგან.

სახამებელი თეთრი, ნაზი, უსუნო და უგემო ფხვნილია, არ იხსნება წყალში, სპირტსა და ეთერში. წყალში ადუღების დროს (1:50) სახამებელი წარმოშობს მომღვრიო, კოლოიდურ ხსნარს, ოღნავ მოცისფრო ელფერით (*Mucilago Amyli*).

იხმარება შივინით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანზე წამლების გამაღიზიანებელი გავლენის წინააღმდეგ, მშრალი სახამებელი კი—ფხვნილის სახით მოსაყრელად (ზოგჯერ ტალკთან ან თუთიის ტანგთან ერთად).

ს კ ი კ ი ლ ა რ ი

Oleum Terebinthinae

გამკვირვალე, უფერული, მსუსხავი გემოს და დამახასიათებელი სასიამოვნო სუნის სითხეა, არ იხსნება წყალში, ერევა ეთერს, ქლოროფორმს, ბენზინს ყველა შეფარდებაში. ჰაერზე დიდხანს ყოფნისას სქელდება და ლებულობს ყვითელ ფერს.

იხმარება გარედან როგორც კანის გამაღიზიანებელი და ნაწილობრივ გამაუტკივარებელი საშუალება მალამოსა და ლინიმენტის სახით. ნაჩვენებია ნევრალგიების, მიოზიტების, ართრიტების დროს.

უჭუჩვენებას წარმოადგენს თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებები.

Rp.: Chloroformii

Olei Terebinthinae $\overset{\cdot\cdot}{aa}$ 15,0

Methylii salicylici 10,0

M. f. linimentum

D. S. მტკივნეულ ადგილას შესაზელად.

ტ ა ლ კ ი

Talcum



ძლიერ წვრილი, თეთრი ან ოღნავ მორუხო, უსუნო და უგემო ფხვნილია.

იხმარება გარედან როგორც ინდიფერენტული მოსაყრელი ფხვნილი და აგრეთვე, ტაბლეტებისა და აბების წარმოებაში, როგორც მგლინავი საშუალება.

Rp.: Zinci oxydati 10,0
Talei 40,0
D. S. კანზე მოსაყრელად.

Rp.: Zinci oxydati
Amyli Triticici $\frac{\text{aa}}{\text{aa}}$ 5,0
Talei 40,0
M. f. pulv. D. S. მოსაყრელი ბავშვისათვის.

ტყვიის წყალი

Aqua Plumbi

შედგება ფუძიანი ძმარმევა ტყვიის ხსნარის 2 ნაწილისა და 98 ნაწილი წყლისაგან. იგი გამჟვირვალე ან ოდნავ ოპალესტირებული სითხეა, სუსტი ტუტე რეაქციით.


იხმარება გარედან მოსაბანად და საფენების სახით.

მზადდება ex tempore.

Rp.: Aquae Plumbi 200,0
D. S. საფენებისათვის.

უ ა ზ ო

Aluminium sulfuricum cum kalio sulfurico



თეთრი, გამჟვირვალე კრისტალებია ან თეთრი, კრისტალური ფხვნილი, იხსნება წყალში (1:10), ადვილად იხსნება ცხელ წყალში, არ იხსნება სპირტში.

იხმარება გარედან 0,5—1% წყლიანი ხსნარის სახით კანისა და ლორწოვანი გარსების ანთებითი დაავადების დროს და „ფანქრების სახით“ ტრაქომიან ადგილებზე წასასმელად და სისხლის დენის შესაჩერებლად კანის ზერელედ გაჭრის დროს (მაგ., გაპარსვის დროს).


ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Aluminis 2,0
Aquae destillatae 200,0
M. D. S. გამოსავლებად.

Rp.: Aluminis 4,0
 Acidi borici 6,0
 Aquae destillatae 200,0
 M. D. S. ეკზემისა და კანის ანთებითი პროცესების დროს.

შ ა ბ ი ა მ ა ნ ი

Cuprum sulfuricum



გამკვეთველ ლურჯი კრისტალებია, ადვილად იხსნება წყალში. იხმარება როგორც ანტისეპტიკური და შემზოკველი საშუალება კონიუნქტივების დროს (0,25%-იანი ხსნარი), ურეთრიტებისა და ვაგინიტების შემთხვევებში (0,25 — 1% ხსნარი), ფოსფორით კანის სილამწვრის დროს (5%-იანი ხსნარი). ზოგჯერ იყენებენ პირღებინების გამოსაწვევად ფოსფორით მოწამვლისას (0,2—0,3 გ ნახევარ ჭიქა თბილ წყალზე) და კუჭის ამოსარეცხად (0,1% ხსნარი).


უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის—0,5 გ (პირღებინების გამოსაწვევად).

Rp.: Cupri sulfurici 0,025
 Aquae destillatae 10,0
 M. D. S. თვალის წვეთები (2—3 წვეთი თვალში).

Rp.: Cupri sulfurici 0,5
 Aquae destillatae 50,0
 M. D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ 10 წუთში პირღებინების დაწყებამდე.

ნ ა ტ რ ი უ მ ის ჰ ი პ ო ს უ ლ ფ ი ტ ი

Natrium hyposulfurosum



პრეპარატი უფერული, უსუნო, მომლაშო-მწარე გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1:1), არ იხსნება სპირტში.

ხმარებაშია სხვადასხვა შხამებით მოწამვლის დროს (დარიზხანით, სინდიყით, ტყვიით, ქლორით, ბრომით, იოდით და მათი მარილებით, ციანწყალბადმეტავით) და ალერგიული დაავადებების საწინააღმდეგოდ (10—30% ხსნარი — 10 — 50 მლ).

გარედახ ნატრიუმის ჰიპოსულფიტს ხმარობენ ბლერის საწინააღმდეგოდ მ. პ. დემიანოვიჩის მეთოდით.

Rp.: Natrii hyposulfurosi 20,0
Aquae destillatae 200,0
M. D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ 5 — 10 წუთში (იოდით მოწამვლის დროს).

Rp.: Solutionis Natrii hyposulfurosi 30%—50,0
D. t. d. 3 in ampulis
S. ერთი ამპულა (50 მლ) ვენაში ციანწყალბადმეავით მოწამვლის დროს.

ღარიჩინის ზეთი

Oleum Cinnamomi pedunculati

პრეპარატი მზადდება Cinnamomum pedunculatum (ჩვენში მოშენებულია შავი ზღვის ნაპირებზე) ნაყოფისაგან.


იგი ოთახის ტემპერატურის პირობებში მკვრივი, მოყვითალო ფერის, სუსტი არომატული სუნისა და გემოს ნივთიერებაა, ლღობის ტემპერატურაა 34—35°. უფრო მაღალი ტემპერატურის დროს იგი გამჟვირვალე სითხის სახეს ღებულობს.

იხმარება კაკაოს ცხიმის ნაცვლად როგორც სამედიცინო სანთლებისა და ბურთულების ფუძე.

ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

შოსტაკოვსკის ბალზამი

Balsamum Schostakovsky



შოსტაკოვსკის ბალზამი, ანუ ვინილინი (Vinylinum) სქელი, წებოვანი, ღია მოყვითალო ფერის სითხეა. იგი არ იხსნება წყალში. იხსნება ზეთში, ეთერსა და ქლოროფორმში; ჰაერზე და აგრეთვე გაცხელებით 120°-მდე არ იცვლება.

იხმარება 20% ხსნარის სახით ფურუნკულოზის, კარბუნკულოზის, ტროფიკული წყლულების, მასტიტის, ჩირქოვანი წყლულების, სიღამწურის, მოყინვისა და სხვადასხვა ანთებითი დაავადების დროს.

ასეთ შემთხვევებში იგი ხელს უწყობს ქსოვილის რეგენერაციას.

შიგნით მიიღება სუფთა სახით 1—2 ჩაის კოვზი ერთჯერ დღეში საკმლის მიღებიდან 6 საათის შემდეგ 3—4 კვირის განმავლობაში კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შემთხვევებში, გასტრიტების, კოლიტების დროს. ეს პრეპარატები ზოგჯერ დადებით შედეგს იძლევა ქრონიკული ქოლეცისტიტების დროსაც.

პრეპარატი არ არის ტოქსიკური.

გამოშვებულია ფართოყელიან კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Vinylini 200,0

D. S. თითო ჩაის კოვზი ორჯერ დღეში კამიდან 6 საათის შემდეგ (შემდეგ დღეებში ორ-ორი ჩაის კოვზი).

Rp.: Vinylini 20,0

Olei Persicorum 80,0

M. D. S. გარედან სახმარი (მარლის ნაჭრების დასასველებლად).

საგულე საშუალებები

სათითურას პრეპარატები

საგულე საშუალებებიდან თავისი თერაპიული მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მცენარეული წარმოშობის საგულე გლუკოზიდები. გლუკოზიდების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ძირითადად სათითურას სხვადასხვა სახე, მას შეიცავს ადონისი, შროშანა, ღვედკეცა, სტროფანტი და სხვ.

საგულე გლუკოზიდები შედგება ორი ნაწილისაგან: გლუკონებისა და აგლუკონებისაგან. ფარმაკოლოგიურ მოქმედებაში მეტნაკლებად ორივე კომპონენტს აქვს თავისი მნიშვნელობა.

მათი მოქმედება გულის კუნთზე დიდი ხანია ცნობილია. თითქმის 100 წლის წინათ დიდი კლინიკისტი ს. ი. ბოტკინი აღნიშნავდა: „გულის კუნთის დასუსტების შემთხვევაში სათითურა შეუცვლელი საშუალებაა“. ასეთი შეხედულება დარჩა დღემდე.

საგულე გლუკოზიდების შემკველ მცენარეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ტიპური წარმომადგენელი — სათითურაა. ამჟამად ხმარებაშია პრეპარატები, დამზადებული სათითურას შემდეგი სახეებიდან: ძოწი სათითურა (*Digitalis purpurea*), ეანგოვანა სათითურა (*D. ferruginea*), წამწამოვანა სათითურა (*D. ciliata*), ბუსუსოვანი სათითურა (*D. lanata*) და მსხვილყვავილა სათითურა (*Digitalis grandiflora*).

ძოწი სათითურა

Digitalis purpurea

ძოწი სათითურა საქართველოში ველურად არ იზრდება, მოშენებულია ქობულეთის რაიონში, მაგრამ მას ჯერ კიდევ სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს. მისი სამშობლოა დასავლეთი ევროპა. საბჭოთა კავშირში მოშენებულია შუა ზონის ბევრ რაიონში; ველურად აქაც არ გვხვდება.

სახელმწიფო ფარმაკოპეის მიხედვით შეიძლება სამკურნალო

პრეპარატები დამზადებულ იქნეს სხვა სახის სათითურებისაგან, რომლებიც ჩვენში ბლომად მოიპოვება.

საექიმო პრაქტიკაში იყენებენ სათითურას გამშრალ ფოთლებს, რომლისაგანაც მზადდება სამკურნალო პრეპარატები.

სათითურას გლუკოზიდების ფარმაკოლოგიური მოქმედება ჯანსაღ გულზე მეტად უმნიშვნელოა. ის იჩენს მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც გულის კუნთის უკმარისობა არის გამომწვევებული.

ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია, რომ სათითურას გავლენა გულის კუნთზე დამოკიდებულია სისტოლურ და დიასტოლურ მოქმედებაზე. სათითურას გავლენით ხდება მიოკარდიუმის უფრო სწრაფი და უფრო ძლიერი შეკუმშვა, ხოლო დიასტოლა უფრო ხანგრძლივია და, მაშასადამე, უფრო კარგად იესება პარკუქები სისხლით. ამას კი მოჰყვება მათი უფრო ენერგიული შეკუმშვა, რაც აუმჯობესებს ჰემოდინამიკურ მაჩვენებლებს.

სათითურა ახდენს გავლენას გულის მუშაობაზე აგრეთვე ცთომილი ნერვის ცენტრზე მოქმედების გზით.

არტერიულ წნევაზე სათითურას პრეპარატები ან არ ახდენენ, ან ახდენენ უფრო მარეგულირებელ გავლენას; ასევე მოქმედებენ გვირგვინოვან არტერიებზე მის ნორმალურ პირობებში. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ სტენოკარდიის შემთხვევაში შეიძლება გაძლიერდეს სპაზმები და გაზშირდეს ტკივილების შეტევები.

სათითურას მცირე დოზები აფართოებენ თირკმლების არტერიებს, აძლიერებენ დიურეზს გულის დეკომპენსაციის დროს.

სათითურას პრეპარატებს აქვს კუმულაციის თვისება, რისი ნიშნებიცაა: მაჯის შენელება, ექსტრასისტოლები, ბიგემინია, არასრული ბლოკადა ან სრული ბლოკადა. ამავ დროს ვითარდება თავის ტკივილი, უმადობა, გულისრევა, ზოგჯერ პირღებინება, კუჭის ტკივილები, ზოგჯერ ფაღარათი, დიურეზის შემცირება და სხვ.

კუმულაციის მოვლენები ყოველთვის არ არის დამოკიდებული მიღებული პრეპარატის რაოდენობაზე. ზოგჯერ იგი ვითარდება ძლიერ ადრე ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებასთან დაკავშირებით.

სათითურას პრეპარატის მცირე დოზების მიღება შეიძლება ხანგრძლივადაც კუმულაციის განვითარების გარეშე, ეს მაშინ, როდესაც ავადმყოფები პრეპარატს ღებულობენ ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ორგანიზმს შეუძლია გამოყოფოს.

კლინიკურ პრაქტიკაში სათითურას პრეპარატებს უნიშნავენ. სარქველოვანი აპარატის დაზიანების ნიადაგზე სისხლის მიმოქცევის

უკმარისობის შემთხვევებში. ერთ დროს თავს იკავებდნენ ამ პრეპარატის დანიშვნაზე აორტის სარქველების უკმარისობის დროს; ამჟამად კი ეს საკითხი გადაწყვეტილია სათითურას პრეპარატების გამოყენების სასარგებლოდ.

სათითურა იძლევა კარგ შედეგებს გულის კუნთის დაზიანებასთან დაკავშირებული სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს (კარდიოსკლეროზი, მიოკარდიტი, მიოდისტროფია და სხვ.).

სათითურას ხმარობენ კარგი შედეგებით მოციმციმე არითმიის ტაქიკარდიული ფორმის შემთხვევაში; ეფექტი დამოკიდებულია მის უარყოფით დრომოტროპულ მოქმედებაზე.

კარგ შედეგს იძლევა სათითურა მწვავე ნეფრიტის დროს გულის უკმარისობის შემთხვევაში.

მწვავე ინფექციური დაავადებების დროს სათითურას ჩვეულებრივ არ იყენებენ, მხოლოდ კრუპოზული პნევმონიის შემთხვევაში იგი შეიძლება დაენიშნოს ავადმყოფს მოსალოდნელი კრიზის 2 დღით ადრე.

შიგნით მიღებული სათითურას პრეპარატები მოქმედებას იჩენენ მოგვიანებით (მიღებიდან 15—30 საათის შემდეგ).

სათითურას პრეპარატები არ იხმარება კორონარული უკმარისობის, მიოკარდიუმის ინფარქტის, გამტარებლობის დარღვევის, მწვავე ენდოკარდიტისა და რევმოკარდიტების დროს.

სათითურას ფოთლის ფხვნილი

Pulvis foliorum Digitalis

ყველაზე უფრო ხშირად ხმარობენ სათითურას ფოთლის ფხვნილებს. ეს ფხვნილები მომწვანო ფერისაა; მათი აქტივობაა 50—60 მე¹ გრამში, შეიცავს სათითურას ყველა გლუკოზიდს.

შიგნით მისაღებად მოზრდილებს უნიშნავენ 0,05—01 გ 3-ჯერ დღეში ან სანთლებში 0,1 გ.

ბავშვებს ეძლევა: 1 წლამდე — 0,005 გ; 2 — 5 წ. — 0,02—0,03 გ; 6—12 წ.—0,03—0,06 გ, ერთ მიღებაზე.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის:

ერთჯერადი 0,1 გ, სადღეღამისო 0,5 გ.

ბავშვებისათვის:

¹ მოქმედების ერთეული.

6 თვემდე—ერთჯერადი—	0,005 გ,	საღლეღამისო—	0,02 გ.
$\frac{1}{2}$ — 1 წ—	"	0,01	" 0,04 გ
2 წ—	0,02		0,08 გ
3— 4 წ—	0,03		0,12 გ
5— 6 წ—	0,04		0,16 გ
7— 9 წ—	0,05		0,2 გ
10—14 წ—	0,05		0,2—0,3 გ

ფხვნილები ან ტაბლეტები ინახება მოფრთხილებით (კარა-
და B) პატარა, კარგად დაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში,
რომლებზედაც უნდა იყოს აღნიშნული ფხვნილების აქტივობა.

Rp.: Pulveris foliorum Digitalis 0,05 (0,1)
Sacchari 0,3
M. f. pulv. D. t. d. 15
S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Pulveris foliorum Digitalis 0,1
Butyri Cacao 2,0
M. f. suppositoria
D. t. d. 6
S. თითო სანთელი 3-ჯერ დღეში სწორ ნაწლავში.

იხმარება აგრეთვე სათითურას ფოთლებიდან მომზადებული
გამონაცემი:

Rp.: Infusi foliorum Digitalis 0,5 : 180,0
D. S. თითო სუფრის კოვზი 6-ჯერ დღეში.

ბავშვებს უწერენ 0,1 : 100,0-ზე და აძლევენ თითო ჩაის კოვზს
ან დესერტის კოვზს 4—5-ჯერ დღეში.

გამონაცემში იმყოფება უმთავრესად სათითურას წყალში
ხსნადი შემადგენელი ნაწილები.

გ ი ტ ა ლ ე ნ ი

Gitalenum

გამკვირვალე, უფერული, მწარე გემოს, ნეიტრალური რეაქ-
ციის სითხეა. მიიღება ძოწი სათითურას ფოთლებიდან. შეიცავს
გლუკოზიდთა ჯამს.

უნიშნავენ გულის ქრონიკული უკმარისობის დროს მოზრდი-
ლებს 10—15 წვეთს 2—3-ჯერ დღეში.

ბავშვებს 2—8 წვეთს ერთ მიღებაზე.

მოქმედებს სწრაფად (ფხვნილებთან შედარებით), არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავს, კუმულაციური თვისება ნაკლებად აქვს გამოხატული. უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 25 წვეთი, სადღეღამისო—50 წვეთი.

გამოშვებულია შუშებში 14 მლ რაოდენობით თითოში.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Gitaleni 15,0

D. S. 10 წვეთი 3-ჯერ დღეში (მოზრდილებს).

დი გ ი ტ ო ჯ ს ი ნ ი

Digitoxinum



მწარე გემოს, უფერული კრისტალებია; წყალში ცუდად იხსნება, სპირტში—კარგად. ლღობის ტემპერატურაა 240—242°.

ფარმაკოლოგიურად ძლიერ მოქმედიან. აქვს მკვეთრად გამოხატული კუმულაციის თვისება, რის გამოც შედარებით მალე და ადვილად ვითარდება მოვლენები. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე და გაძლიერებული ყურადღება მისი დანიშვნისას.

დოზა მოზრდილთათვის: 0,0001 გ 3-ჯერ დღეში 3—5 დღის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,0001 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Digitoxini 0,0001

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

კ ო რ დ ი ბ ი ტ ი

Cordigitum

ძოწი სათითურას პრეპარატია. შეიცავს გლუკოზიდთა ჯამს. ოდნავ მოყვითალო ფერის ამორფული ფხვნილია, ცუდად იხსნება წყალში, ადვილად—ქლოროფორმსა და სპირტში.

გამოშვებულია ტაბლეტებში (თითო ტაბლეტი 0,0008 გ გიტალინის შეცულობით). ერთი ტაბლეტი თავის აქტივობით უდრის 0,1 გ სათითურას სტანდარტული ფოთლების აქტივობას. კარგად შეიწოვება, აქვს ნაკლებად გამოხატული კუმულაციის თვისება.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: *Tablettae Cordigiti* N 12

D. S. $\frac{1}{2}$ —1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ლ ა ნ ტ ო ზ ი დ ი

Lantosidum

ლანტოზიდი წარმოადგენს *Digitalis lanata*-ს ფოთლების სპირტში (70°) ხსნად, ბალასტური ნივთიერებებისაგან განთავისუფლებულ გლუკოზიდების ჯამს. იგი გამკვირვალე, ოდნავ მოყვითალო ფერის, მწარე გემოს სითხეა.

ახასიათებს ისეთივე მოქმედება, როგორიც ძოწი სათითურას ანალოგიურ პრეპარატს, მხოლოდ შეიწოვება და მოქმედებს უფრო სწრაფად და აქვს ნაკლები კუმულაციური თვისება.

ლანტოზიდი არ იხმარება კორონარული უკმარისობის, მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის ბლოკადების, პარკუჭების პაროქსიზმული ტაქიკარდიის, მწვავე ენდოკარდიტებისა და რევმოკარდიტების შემთხვევებში.

დოზა: 10—20 წვეთი 2—3-ჯერ დღეში, საჭიროების დროს შეიძლება ხმარებული იქნეს ოყნითაც—10 წვეთი 2-ჯერ დღეში.

მოზრდილთათვის ერთჯერადი დოზაა 25 წვეთი, სადღეღამისო—75 წვეთი.

1 მლ შეიცავს 9—12 მე-ს და თავისი მოქმედებით უდრის ძოწი სათითურას ფოთლების 0,2 გ-ს.

გამოშვებულია ნარინჯისფერ მინის ფლაკონებში à 15 მლ.
ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილ, სინათლისაგან
დაცულ ადგილას. ვარგისია 1 წელი.

Rp.: Lantosidi 15,0
D. S. 10—20 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Lantosidi 15,0
D. S. 10 წვეთი ოცნით 2-ჯერ დღეში.

დილანიზიდი

Dilansidum

დილანიზიდი *Digitalis lanata*-ს გლუკოზიდების ხსნარია (20°
სპირტში), რომელიც ბალასტური ნივთიერებებიდან მაქსიმალურად
განთავისუფლებულია.

გამკვირვალე, ოდნავ მოყვითალო, თავისებური სუნის, მწარე
გემოს სითხეა.

ჩვენება იგივეა, რაც სათითურას პრეპარატებისათვის (იხ. სა-
თითურას პრეპარატები).

დოზა: დილანიზიდის 0,5—1 მლ გლუკოზის 40%-იანი ხსნა-
რის 20 მლ-თან ერთად შეჰყავთ ვენაში ძლიერ ნელა, დღეში
1—2-ჯერ; მოქმედებს შედარებით სწრაფად.

1 მლ შეიცავს 7—9 მე-ს და უდრის დაახლოებით 0,16 სა-
თითურას აქტიობას.

მაქსიმალური ერთჯერადი დოზა—1 მლ (ვენაში), სადღეღა-
მისო—2 მლ.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), სინათლისაგან დაცულ
ადგილას.


Rp.: Dilansidum 1,0
D. t. d. 10 in ampulis
S. 0,5—1 მლ გლუკოზის 40%-იანი ხსნარის 20 მლ
ერთად ვენაში, დღეში 1—2-ჯერ.

იზოლანიდი

Isolanidum

ცელანიდი

Celanidum



└ დიგიტოქსოზა—აცეტილდიგიტოქსოზა—გლუკოზა
(2 მოლეკულა)

იზოლანიდი (ანუ ცელანიდი) არის *Digitalis lanata*-ს ფოთლებიდან მიღებული პრეპარატი.

თეთრი ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება მეთილის სპირტში, ძნელად—ეთილის სპირტსა და ქლოროფორმში.

თავისი თერაპიული მოქმედებით ახლოს დგას სტროფანტინთან, მოქმედებს სწრაფად.

ინმარება გულის კუნთის უკმარისობის დროს, პაროქსიზმული ტაქიკარდიისა და წინაგულების ციმციმის შემთხვევებში.

უკუჩვენებები იგივეა, რაც სხვა სათითურას პრეპარატების ხმარების დროს (იხ. სათითურა).

შიგნით მისაღებად ენიშნებათ თითო ტაბლეტი (0,25 მგ) 2—3-ჯერ დღეში. უკეთებენ ვენაში 0,02% ხსნარის 1 მლ 10—20 მლ გლუკოზის 40%-იან ხსნარში, დღეში 1 ან 2-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,00025 გ (0,25 მგ) და ამპულებში à 1 მლ 0,02% ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A).

Rp.: Isolanidi 0,00025

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp. Solutionis Isolanidi 0,02%—1,0

D. t. d. 9 in ampulis

S. თითო ამპულა ვენაში დღეში ერთჯერ 20 მლ
გლუკოზის 20—40% ხსნარში (ნელი შეყვანით

ჟანგოვანა სათითურა

Digitalis ferruginea

ჟანგოვანა სათითურა ველურად მზარდი გვხვდება ქართლში გარე კახეთში, მთიულეთში, ჯავახეთში. ყოველწლიურად საქართველოში აღნიშნული მცენარე შეიძლება დამზადდეს 25 ტონაზე მეტი.

სათითურას აღნიშნული სახე ფართოდ არის გამოყენებული მკურნალობაში, რამდენადაც ნაცადი საგულე საშუალება — ძოწი სათითურა — ჩვენში ველურად მზარდი არ გვხვდება.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითმა ქიმიურ-ფარმაცევტულმა ინსტიტუტმა ჟანგოვანა სათითურადან დაამზადა სამკურნალო პრეპარატები: სათითურანი, დიგალენ-ნეო, ჟანგოვანა სათითურას წვენი. ეს პრეპარატები კლინიკურად შესწავლილ იქნა (კვიცარიძე, პარმა, გერსამია, ლორთქიფანიძე, შოთაძე, კოსმანი) და დადგინდა მათი მაღალი თერაპიული ღირებულება.

ჟანგოვანა სათითურას წვენი

Succus foliorum Digitalis ferrugineae (Succudifer)

ჟანგოვანა სათითურას წვენი მზადდება ამ მცენარის ნედლი ფოთლებიდან (ი. ქუთათელაძე), ნაწილობრივ გაწმენდილია ბალასტური ნივთიერებებისაგან, ბიოლოგიურად სტანდარტიზებულია ყოველი მილილიტრი წვენისა შეიცავს 5 — 6 მოკ. ერთ., რაც უდრის დაახლოებით 0,1 გ სათითურას ფოთლების ფხენილის აქტივობას. კონსერვირებულია 15% 96° ეთილის სპირტში და 0,3% ქლორეთონით.

იგი გამკვირვალე მოწითალო-წაბლისფერი სითხეა, თავისებური სუნისა და მწარე გემოსი. აქვს მჟავე რეაქცია.

კლინიკური დაკვირვებების მიხედვით (კვიცარიძე, გერსამია) იგი არის სრულფასოვანი საგულე საშუალება, ძოწი სათითურას ანალოგიურად მოქმედი.

ავადმყოფებს ენიშნებათ გულის კუნთის ქრონიკული დაავადებების დროს კომპენსაციის დარღვევის პერიოდში.

ენიშნებათ per os დღეში 3-ჯერ—15—25 წვეთი ჭამის შემდეგ. გამოშვებულია შუშებში \times 25 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Succi foliorum Digitalis ferrugineae 30,0

D. S. 3-ჯერ დღეში 20 წვეთი, ჭამის შემდეგ.

დიგალენ-ნეო

Digalen-Neo

დიგალენ-ნეო არის ერთ-ერთი პირველი სამკურნალო პრეპარატთაგანი, რომელიც მიღებული იყო თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ ფარმაცევტულ ინსტიტუტში (ნ. მასხულია) ეანგოვანა სათითურას ფოთლებიდან (იხ. ზემოთ). ამ პრეპარატმა საყვარელი შეცვალა ანალოგიური პრეპარატი—დიგალენი, რომელიც შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან.

დიგალენ-ნეო შეიცავს ეანგოვანა სათითურას მოქმედ ნივთიერებათა ჯამს, იგი თავისუფალია ბალასტური ნივთიერებებისაგან.

დიგალენ-ნეო წარმოადგენს გამჭვირვალე, ოდნავ მოყვითალო ელფერის სითხეს, მას აქვს მწარე გემო, ნეიტრალური ან ოდნავ მჟავა რეაქცია, კონსერვაციისათვის უმატებენ 30% გლიცერინს.

ფარმაკოლოგიური და კლინიკური შესწავლით დადგენილია, რომ დიგალენ-ნეო მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ისე, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ძოწი სათითურას პრეპარატები (იხ. ზემოთ), ამიტომ ის ენიშნება ავადმყოფებს გულის დაავადების ნიადაგზე სისხლის მიმოქცევის მოშლის შემთხვევაში. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ეს პრეპარატი გულის უკმარისობის ნიადაგზე განვითარებულ შემუშებებათა შემთხვევებში.

დიგალენ-ნეოს უშვებენ კანქვეშ სახნარებლად ამპულებში \times 1,1 მლ. თითო მლ აქვს 3 მე, უნიშნავენ თითო ამპულას დღეში 1—2 ჯერ და აგრეთვე per os. გამოშვებულია აგრეთვე შუშებში \times 25 მლ (1 მლ 6 მე). იხმარება 10—15 წვეთი დღეში 2—3-ჯერ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Digalen-Neo 1,1

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში 1—2-ჯერ.

Rp.: Digalen-Neo 25,0

D. S. 15—20 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

დიგალენ-ნეო აბზულებში ფართოდ მიღებულია ხმარებაში.

ს ა თ ი თ უ რ ა ნ ი

Sathithurani

სათითურანი მზადდება ჟანგოვანა სათითურას ფოთლებიდან (ი. ქუთათელაძე), იგი შეიცავს ჟანგოვანა სათითურას ყველა გლუკოზიდს, ამავე დროს გაწმენდილია ბალასტური ნივთიერებებისაგან.

სათითურანი გამოშვებულია ტაბლეტების სახით. თითოეული ტაბლეტი შეიცავს იმდენ მოკმედ საწყისს, რამდენსაც შეიცავს ძოწი სათითურას სტანდარტული ფოთლების ფხვნილის 0,05 გ.

პრეპარატი ენიშნება ავადმყოფებს იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც ნაჩვენებია სათითურას პრეპარატები (იხ. ზემოთ ძოწი სათითურა).

კლინიკური დაკვირვებები ადასტურებენ, რომ სათითურანი არის ეფექტური საგულე საშუალება, ძოწი სათითურას პრეპარატების ანალოგიურად მოქმედი. მასაც ახასიათებს კუმულაცია, მხოლოდ უფრო ნაკლებად გამოხატული.

Rp.: Sathithurani 0,15

D. t. d. 12 in tabulettis

S. 3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი.

დ ი გ ი ც ი ლ ე ნ ი

Digicilenum

დიგიცილენი მიღებულია თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში (ი. ქემერთელიძე) წამწამოვანი სათითურას (*Digitalis ciliata*) ფოთლებიდან. შეიცავს მოკმედი გლუკოზიდების ჯამს.

წამწამოვანი სათითურა გავრცელებულია საქართველოში. ჩვენში შეიძლება ყოველწლიურად დამზადდეს წამწამოვანი სათითურას მშრალი მასალა არა ნაკლებ 10 ტონისა.

დიგიცილენი უფერული, გამჟვინვალე სითხეა, მწარე გემოსი. ნეიტრალური რეაქციის; იძლევა სათითურას პრეპარატებისათვის დამახასიათებელ რეაქციას. კონსერვაციისათვის ემატება 30% გლიცერინი.

ფარმაკოლოგიურმა შესწავლამ (წერეთელი) გვიჩვენა, რომ მას აქვს სათითურას პრეპარატების დამახასიათებელი თვისება. კლინიკური დაკვირვებებით დადასტურდა, რომ ის არის ეფექტური საგულე საშუალება, რომელიც მოქმედებს სათითურას ცნობილი პრეპარატების მსგავსად.

დიგიცილენი ნაჩვენებია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს დეკომპენსაციის ხანაში იქ, სადაც ავადმყოფებს ჩვეულებრივად ენიშნებათ სათითურას პრეპარატები.

დიგიცილენი გამოშვებულია ამპულაში \times 1 მლ 6 მოქ. ერთეულით, რაც შეესაბამება 0,1 სათითურას ფოთლების ფხვნილის აქტივობას. იხმარება კანქვეშ და კუნთებში 0,5—1 მლ რაოდენობით, 1—2-ჯერ დღეში.

მკურნალობის ერთი კურსი გრძელდება ჩვეულებრივად 8—10 დღეს.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Digicileni 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში ორჯერ, კანქვეშ.

დიგიცილინი

Digicilinum

დიგიცილინი შეიცავს წამწამოვანი სათითურას გლუკოზიდთა ჯგუფს. მზადდება აღნიშნული მცენარის ფოთლებისაგან. იგი წარმოადგენს წყლიან გამონაწვლილს, რომელსაც აშრობენ და აქცივენ ფხვნილად.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც დიგიცილენი. გამოშვებულია ტაბლეტებში, რომელიც შეიცავს დიგიცილინს 0,05 გ და რძის შაქარს 0,2 გ.

ერთი ტაბლეტის წონა უდრის 0,25 გ, მისი აქტივობაა 6—7 მე. დოზა: $\frac{1}{2}$ —1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

სულ მკურნალობის ერთ კურსზე საჭიროა 20—30 ტაბლეტი. ინახება ნარინჯისფერ მილესილსაცობიან მინის კურკელში.

Rp.: Digicilini 0,05

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Adonis vernalis

გაზაფხულის ღვესურა სსრ კავშირში გავრცელებული მრავალწლიანი მცენარეა. იგი პირველად, როგორც სამკურნალო საშუალება, შესწავლილი იყო ნ. ა. ბუბნოვის მიერ ს. პ. ბოტკინის კლინიკაში.

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით იგი ახლოს დგას სათითურას გლუკოზიდებთან, მისი მოქმედი საწყისია გლუკოზიდი—ადონიტოქსინი და ციმარინი, შეიცავს აგრეთვე სხვა გლუკოზიდებისა და საპონინების მცირე ნაწილს. სათითურას პრეპარატებისაგან განსხვავებით ადონისის პრეპარატები არ იჩენენ გამოხატულ კუმულაციურ თვისებას, რის გამოც ისინი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხმარების საშუალებას იძლევიან. გარდა ამისა, მიღების შემდეგ მოქმედებენ უფრო ნაკლები სიძლიერით და საკმაოდ სწრაფად. უარყოფითი მოქმედებიდან აღსანიშნავია კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, მაგრამ არსებითად ეს არ უშლის ხელს საჭირო შემთხვევებში მის დანიშვნას.

ადონისის გლუკოზიდები მოქმედებს გულის კუნთზე; აძლიერებს სისტოლას, ახანგრძლივებს დიასტოლას, ცთომილი ნერვის მეშვეობით ანელებს იმპულსების წარმოშობას (სინუსის კვანძში) და აძნელებს მის გატარებას. ადონისს სათითურას პრეპარატთან შედარებით უფრო ნათლად აქვს გამოხატული დიურეზის გამაძლიერებელი თვისება.

იგი იხმარება გულის კუნთის ქრონიკული უკმარისობის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საექიმო კონტროლი წამლის მოქმედებაზე არ ხდება ხშირად.

გაზაფხულის ღვესურა შედის ბებტერევის მიქსტურაში. უკანასკნელი ენიშნება ავადმყოფს როგორც დამამშვიდებელი საშუალება.

გაზაფხულის ღვესურას ბალახიდან საჭირო შემთხვევაში ამზადებენ გამონაცემს 4—6—10 გ 200 მლ წყალზე. დიდებს უნიშნავენ თითო სუფრის კოვზს, ბავშვებს—თითო ჩაის ან ღესერტის კოვზს 3—4—5-ჯერ დღეში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის (მშრალ ბალახზე გადაანგარიშებით)—1 გ, სადღელამისო—5 გ.

2 წლის ბავშვებისათვის—ერთჯერადი 0,1 გ, სადღელამისო—0,4 გ; 3—4 წლამდე ბავშვებისათვის—ერთჯერადი 0,15 გ, სადღელამისო—0,6 გ; 5—6 წლამდე — ერთჯერადი—0,2 გ, სადღელამი-

სო—0,8 გ; 7—9 წლამდე — ერთჯერადი — 0,3 გ, სადღეღამისო — 1—2 გ; 10—14 წლამდე — ერთჯერადი — 0,3—0,5 გ, სადღეღამისო — 1,2—2 გ. ორი წლის ასაკამდე ბავშვებს ეს გამოწვევაში საერთოდ არ ენიშნება.

გაზაფხულის დევსურას ბალახიდან მზადდება კონცენტრატი მშრალი სახით, რომლის ყოველი 1 გ შეიცავს 50 მე-ს,

Rp.: Infusi herbae Adonidis vernalis 6,0—200,0
D. S. თითო სუფრის კოვზი 4—6-ჯერ დღეში.

Rp.: Infusi herbae Adonidis vernalis 6,0—180,0
Natrii bromati 6,0
Codeini phosphorici 0,2
M. D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში
(ბებტერევის მიქსტურა).

გამოშვებულია დრაცე ბებტერევის მიხედვით:

Kalii bromati 0,25 გ,
Extracti Adonidis
Vernalis sicci 0,138 გ,
Codeini—0,006 გ.

ავადმყოფს ენიშნება 1—2 დრაცე. ორი დრაცე უღრის ერთი კოვზი მიქსტურის მოქმედებას.

გამოშვებულია მინის ქილებში 25—25 ცალის რაოდენობით ან ტაბლეტების სახით, ხმარებაშია „ადონის-ბრომ“, მისი შემადგენლობაა: ადონისის მშრალი კონცენტრატი 0,25 გ და ბრომკალიუმი 0,25 გ. უნიშნავენ იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც ბებტერევის მიქსტურას—1 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

ა დ ო ნ ი ზ ი დ ი

Adonisidum

ადონიზიდი გაზაფხულის დევსურას გლუკოზიდების წყლიანი ხსნარია, რომელიც მაქსიმალურად განთავისუფლებულია ბალასტური ნივთიერებებისაგან. იგი არის გამკვირვალე, ოღნავ მოყვითალო ფერის, მწარე გემოს სითხე.

ადონიზიდი თავისი მოქმედებით უახლოვდება სათითურას პრეპარატებს, მხოლოდ მათთან შედარებით უფრო სუსტ მოქმედებას იჩენს და კუმულაციური თვისებაც უფრო მცირედ აქვს გამოხატული.

ხმარობენ სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობის დროს, უფრო გულის დეკომპენსაციის დასაწყისში, როდესაც იწყება ქოშინი, მცირე შეშუპებები და სხვ. ნაჩვენებია გულის ნევროზის დროსაც. ამ მხრივ აღონიზიდმა სავესებით შეცვალა აღონილენი, რომლისგანაც გამოირჩევა მეტი აქტიურობით.

აღონიზიდს ჩვეულებრივად უნიშნავენ შიგნით 3-ჯერ დღეში 15—20 წვეთს. საჭიროების დროს შეიძლება გაუკეთდეს დღეში 1-ჯერ კუნთებში 0,5 მლ გლუკოზის 5% ხსნარში ან ვენაში 0,5 მლ გლუკოზის 20%-იანი (40%) ხსნარის 10 მლ-ში, შეჰყავთ ნელა 4—5 წუთის განმავლობაში. ხანგრძლივად ხმარების დროს მიზანშეწონილია 5—6 დღის შემდეგ მისი მიღების შეწყვეტა 3—4 დღით.

ერთჯერადი უმაღლესი დოზა კუნთებში 1 მლ, შიგნით 30 წვეთი, სადღელამისო—კუნთებში 2 მლ, შიგნით 60 წვეთი.

არ იხმარება გულისა და სისხლძარღვთა მკვეთრი ორგანული ცვლილებების შემთხვევებში.

სათითურას პრეპარატების მიღების შემთხვევაში აღონიზიდი შეიძლება დაენიშნოს მათი მოხსნის 4—6 დღის შემდეგ.

აღონიზიდი გამოშვებულია წვეთებსა და ამპულებში.

ინახება სიფრთხილით (კარადა B) გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Adonisidi 15,0

D. S. 3-ჯერ დღეში, 20 წვეთი.

Rp.: Adonisidi 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 1/2 მლ (10 მლ 40% გლუკოზის ხსნარში) ვენაში დღეში 1-ჯერ.

სტროფანტის ნაჰენი

Tinctura Strophanthi

შზადლება მცენარე Strophanthus Kombe-ს თესლისაგან. გამკვირვალე, მუქი მოყვითალო ფერის, თავისებური სუნისა და ძლიერ მწარე გემოს სითხეა. 1 მლ შეიცავს 200 მე-ს.

აძლევენ შიგნით მოზრდილებს 3—6 წვეთს, ბავშვებს—კი 1—3 წვეთს 2—3-ჯერ დღეში.

სტროფანტის ნაყენის 1 მლ შეიცავს 53 წვეთს.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი 0,2 მლ (10


წვეთი), სადღელანისო—0,4 მლ (20 წვეთი). ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად დახურულ მინის შუშებში.

Rp.: Tincturae strophanthi 5,0
D. S. 5 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Tincturae Strophanthi 5,0
Tincturae Convallariae majalis
T-ae Valerianae aethereae aa 10,0
M. D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ს ტ რ ო ფ ა ნ თ ი ნ ი

Strophanthinum



└ ციმბაროზა + გლუკოზა

საექიმო პრაქტიკაში იხმარება სტროფანტინი „K“, რომელსაც ამზადებენ გენარე Strophanthus Kombe-ს თესლებისაგან.

იგი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში.

აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. სტროფანტინის 1 გ შეიცავს 40.000 ბ. მოკმედების ერთეულს. ვენაში შეყვანის დროს ახდენს მეტად სწრაფ და ძლიერ ეფექტს. არა აქვს გამოხატული კუმულაციის თვისება.

სტროფანტინი იხმარება გულის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის დროს, პაროქსიზმული ტაქიკარდიის და სხვა შემთხვევებში.

დიგიტალიზაციის შეწყვეტის შემდეგ სტროფანტინის გამოყენება შეიძლება მხოლოდ 5—6 დღის შემდეგ, ე. ი. როდესაც გული არ იქნება სათითურას გავლენის ქვეშ.

სტროფანტინი არ იხმარება გულ-სისხლძარღვთა შორსწასუ-

ლი ორგანული დაავადებების დროს, მწვავე მიოკარდიტისა და ენდოკარდიტის შემთხვევებში.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის ვენაში არის 0,05% 1 მლ, სადღელამისო—2 მლ; ბავშვებისათვის 3 წლის ასაკში—ერთჯერადი—0,1 მლ 0,05% ხსნარისა; 5—6 წლის ასაკში—0,2 მლ იმავე ხსნარისა, 7—9 წლის ასაკში 0,25 მლ, 10—14 წლის ასაკში—0,5 მლ.

ვინაიდან სტროფანტინი მძლავრად მოქმედი საშუალებაა, საჭიროა მისი დანიშვნის დროს ზუსტად იქნეს დაცული დოზირება.

სტროფანტინი შეკავთ ვენაში ნელა—5 წუთის განმავლობაში 10—20 წლ გლუკოზის 40% ხსნარში.

გამოხატული ბრადიკარდიის განვითარების დროს სტროფანტინის ინექციები უნდა შეწყდეს.

გამომწვებულია ამპულებში à 1 მლ 0,05% ხსნარი.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Strophanthini 0,05% 1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 0,5 მლ უნდა გაიხსნას გლუკოზის 40% ხსნარის 10 მლ-ში. შემხაპუნება ხდება ვენაში ძლიერ ნელა, 1—2-ჯერ დღეში.

შროშანას პრეპარატები

შროშანას (*Convallaria majalis*) როგორც ფოთლები, ისე ყვავილები შეიცავს გლიკოზიდებს, რომლებიც თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ძლიერ ახლოა სათითურას გლუკოზიდებთან.

მათგან ძირითადია კონვალატოქსინი და კონვალაზიდი. აქტივობა განისაზღვრება ბიოლოგიური მეთოდით.

შროშანას 1 გ გამხმარი მიწისზედა ნაწილი უნდა შეიცავდეს 120 მე-ს.

შიგნით მიღებისას შროშანას პრეპარატები საკმაოდ სწრაფად იწყებენ მოქმედებას, მაგრამ უფრო სუსტად, ხოლო პარენტერალურად მიღების დროს მოქმედებენ სწრაფად და მძლავრად.

შროშანას პრეპარატები არ იჩენენ კუმულაციის თვისებას.

იხმარება სისხლის მიმოქცევის უკმარისობის დროს, უფრო ხშირად გულის მხრივ ნერვული მოვლენების შემთხვევებში.

შროშანას პრეპარატებიდან ამჟამად ხმარებაშია შროშანას ნაყენი, კონვალატოქსინი, კონვალაზიდი, კორგლიკონი.

შროშანას ნაჲენი

Tinctura Convallariae majalis

სპირტიანი (40%) ნაყენი, გამჟვირვალე, მწარე გემოს, მომწვანო-წაბლისფერი სითხეა. 1 მლ შეიცავს 12 მე-ს.

მოზრდილებს უნიშნავენ შიგნით 15—20 წვეთს დღეში 3-ჯერ. ბავშვებს 1—12 წვეთამდე, 2—3-ჯერ დღეში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 20 წვეთი, სადღეღამისო—60 წვეთი.

Rp.: Tincturae Convallariae majalis 20,0

D. S. 15 წვეთი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Tincturae Valerianae

T-ae Convallariae majalis \ddot{a} a 10,0


Extracti Crataegi fluidi 5,0

Mentholi 0,05

M. D. S. 20—,5 წვეთი 2-ჯერ დღეში.

კონვალატოქსინი

Convallatoxinum



კონვალატოქსინი შროშანასაგან გამოყოფილი კრისტალური გლუკოზიდია. იხსნება სპირტში, ძლიერ ძნელად—წყალში. თავის აქტიურობით სტროფანტინზე უფრო ძლიერია. 1 გ შეიცავს 65500 მოქ. ერთ.

უშხაპუნებენ ვენაში იმავე შემთხვევებში, როგორც სტროფანტინს (იხ. სტროფანტინი). იგი იძლევა ძლიერ სწრაფსა, მაგრამ უფრო ხანმოკლე ეფექტს.

ეფექტი მელავნდება 5—10 წუთში, აღწევს მაქსიმუმს 1—2 საათის განმავლობაში და გრძელდება 20—22 საათს. შიგნით მიღებული კონვალატოქსინი განიცდის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გავლენას და მისი მოქმედება მცირდება. არა აქვს კუმულაციური თვისება.

ვენაში შეჰყავთ ნელა 5 წუთის განმავლობაში 0,5—1 მლ 0,03% ხსნარისა 10—20 მლ გლუკოზის 20—40% ხსნართან ერთად.

შეშხაპუნების გამეორება შეიძლება 10 საათის შემდეგ.

დიგიტალიზაციის ჩატარების შემდეგ საჭიროა 4—5 დღის ინტერვალი კონვალატოქსინის შეყვანამდე.

დოზირება განსაკუთრებული სიზუსტით უნდა იქნეს დაცული ისევე, როგორც ყველა სხვა მძლავრმოქმედი საშუალებების ხმარების დროს.

კონვალატოქსინი გამოშვებულია ამპულებში 0,03% წყლიანი ხსნარის სახით \times 1 მლ (0,0003).

1 მლ აქტივობა უდრის 19—25 მოკ. ერთ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Convallatoxini 0,03%—1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 0,5—1 მლ უნდა გაიხსნას გლუკოზის 40% ხსნარის 10 მლ-ში. შეშხაპუნება ხდება ვენაში ძლიერ ნელა, დღეში 1—2-ჯერ.

კ ო რ გ ლ ი კ ო ნ ი

Corglyconum

ოღნავ მოყვითალო ფერის ფხვნილია, ამორფული, უსუნო, მწარე გემოსი, ადვილად იხსნება სპირტსა და აცეტონში, ძნელად—წყალსა და ქლოროფორმში.

კორგლიკონი წარმოადგენს შრომანას ფოთლების ბალასტური ნივთიერებებისაგან განთავისუფლებულ გლუკოზიდთა ჯამს. იგი იხმარება 0,06%-იანი წყლიანი ხსნარის სახით (1 მლ-ში 0,0006 გ) იმავე შემთხვევებში, რაც შრომანას სხვა პრეპარატები.

ვენაში შეყვანისას იჩენს სწრაფ და ძლიერ მოქმედებას, რომელიც გრძელდება 6—10 საათს.

ვენაში შეჰყავთ ნელა (5—6 წუთის განმავლობაში) კორგლიკონის 0,5—1 მლ, გახსნილი გლუკოზის 40% ხსნარის 10—20 მლ-ში. ასევე უკეთებენ ბავშვებს: 2—5 წლის ასაკში 0,2—0,5 მლ, დღეში 1-ჯერ, უფრო იშვიათად 2-ჯერ.

შუბლღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 0,5 მლ, სააღდელამისო—2 მლ.

1 მლ აქტივობა უდრის 8—10 შოკ. ერთ.
ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილ, სინათლისაგან
დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Corglyconi 0,06%—1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 0,5—1 მლ ვენაში 20 მლ 40%-იანი გლუკოზის
ხსნართან (შეყვანა ხდება ნელა).

კ ა რ დ ი ო ვ ა ლ ე ნ ი

Cardiovalenum

კარდიოვალენი არის ბაცი წაბლისფერი მწარე გემოს სითხე.
ინახება სისხლის მიმოქცევის I, II, III ხარისხის უკმარისო-
ბის დროს, აგრეთვე სტენოკარდიისა და ვეგეტონევროზების შემ-
თხვევაში. უნიშნავენ 15—20 წვეთს 1—2-ჯერ დღეში 20 დღის
განმავლობაში.

გამოშვებულია ნარინჯისფერ მინის შუშებში à 15 მლ.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილ და სინათლისაგან
დაცულ ადგილას.

Rp.: Cardiovaleni 15,0

D. S. 15—20 წვეთი 1—2-ჯერ დღეში.

ე რ ი ზ ი მ ი ნ ი

Erysiminum



ერიზიმინი გლუკოზიდიდა, რომელიც გამოყოფილია მცენარი-
დან—*Erysimum canescens* Rith.

იგი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალში,
სპირტში, აცეტონში.

მას ახასიათებს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა—1 გ შეი-
ცავს 62500 მე-ს.

ერიზიმინი იჩენს სტროფანტინისმაგვარ მოქმედებას, ხმარები-
სათვის აქვს იგივე ჩვენება და უკუჩვენება, რაც სტროფანტინს.
კუმულაციის მოვლენები არ ვითარდება.

0,033% ერიზიმინის ხსნარის (1:3000) 0,5—1 მლ, გახსნილი
გლუკოზის 40%-იანი ხსნარის 20 მლ-ში, შეჰყავთ ვენაში ნელა.
ასეთი ხსნარის 1 მლ შეესაბამება 18—22 მე-ს.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის ვენაში არის
0,033% ხსნარის 1 მლ, საღლეამისო—2 მლ.

გამომწვებულია ამჟღებში \approx 1 მლ 0,033% ხსნარის სახით.
ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) სინათლისაგან დაცულ
აღვილას.


Rp.: Solutionis Erysimini 0,033%—1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 0,5—1 მლ, გახსნილი გლუკოზის 40% ხსნარის
10—20 მლ-ში. შეჰყავთ ნელა.

ციმარინი

Cymarinum



ციმარინი თეთრი, კრისტალური გლუკოზიდია, რომელიც გა-
მოყოფილია მცენარე ქენდირის (*Apocinum cannabinum*) ფესვე-
ბიდან.

კუდად იხსნება წყალში, კარგად—სპირტსა და ქლორო-
ფორმში, ლღობის ტემპერატურაა 142—144°.

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოსაა სტროფან-

ტინთან. აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. 1 გ შეიცავს 45000 მოკ. ერთეულამდე. ხანგრძლივად ხმარების შემთხვევაში იჩენს კუმულაციურ თვისებებს.

იხმარება სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობის და მოციმციმე არითმიის დროს.

ახასიათებს იგივე უკუჩვენება, რაც სტროფანტინს (იხ. ზემოთ).

უნიშნავენ 1—2-ჯერ დღეში ინტრავენურად 0,05% ხსნარის 0,5—1 მლ 20 მლ გლუქოზის 40% ხსნარში. შეყვანა ხდება ნელა. მკურნალობის კურსია 10—30 ინექცია. ყოველი 5 დღის შემდეგ, შესაძლებელი კუმულაციის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა შესვენება 2 დღით.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ 0,05% ხსნარი, რომლის აქტივობაა 20—22 მე.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) მშრალ, გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Cymarini 0,05%—1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 0,5—1 მლ, გახსნილი გლუქოზის 40% ხსნარის 20 მლ-ში, შეჰყავთ ვენაში დღეში 1—2-ჯერ (შეყვანა ხდება ნელა).

პერიპლოცინი

Periplocinum

პრეპარატი პერიპლოცინი მიღებულია 1936 წელს თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში მცენარე ღვედკეცასაგან (*Periploca graeca*). ეს მცენარე ჩვენში იზრდება თითქმის ყველგან.

პერიპლოცინი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, მწარე გემოსი, ადვილად იხსნება სპირტში, ძნელად—წყალში (1:125), ლობის ტემპერატურაა 205—206°.

ფარმაკოლოგიური გამოკვლევების მიხედვით იგი წარმოადგენს საგულე საშუალებას, რომელიც თავისი აქტიურობით სტროფანტინს უდრის.

კლინიკური დაკვირვებებით (გეგეჰკორო, გერსამია, მეგრელი-შვილი, კობალაძე), პერიპლოცინი თავისი გავლენით გულის კუნთზე სათითურას პრეპარატის ანალოგია. პერიპლოცინით მკურნალო-

ბის შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება გულით ავადმყოფების სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა. ძლიერდება დიურეზი.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა მას უშვებს ამპულებში 1,1 მლ, რომელიც შეიცავს 0,25 მგ სუფთა გლუკოზიდს და, აგრეთვე, ფხვნილების სახით.

პერიპლოცინი იხმარება გულის კუნთის უკმარისობის დროს; შეჰყავთ ვენაში ან კუნთებში და per os. ავადმყოფებს ენიშნება კუნთებში თითო ამპულა დღეში 1—2-ჯერ, ვენაში კი—გახსნილი გლუკოზის 40% ხსნარის 10 მლ-ში ან სტერილურ ფიზიოლოგიურ ხსნარში დღეში ერთჯერ, უფრო იშვიათად—ორჯერ. ვენაში შესხაპუნება უნდა ნელა, როგორც სტროფანტინს. დიგიტალიზაციის შემთხვევაში საჭიროა შესვენება 5—6 დღე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩატარდეს პერიპლოცინით მკურნალობა. მკურნალობის ერთ კურსზე იხარჯება 20—30 ამპულა.

პერიპლოცინი არ იძლევა კუმულაციას, არც გართულებებს, მხოლოდ კუნთებში ინექციების ადგილას შეიძლება განვითარდეს შეწითლება, რომელიც ჩვეულებრივ მალე ქრება.

ფხვნილის სახით იხმარება იმავე შემთხვევებში, როგორც ამპულებში. დოზა—0,00025 გ—0,001 გ, შაქართან ერთად.

პერიპლოცინი ამპულებში ინახება მოფრთხილებით (ქარადა A). ვარგისიანობის ვადა 2 წელი.

Rp.: Sol. Periplocini 0,025% 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში დღეში 1-ჯერ.

Rp.: Sol. Periplocini 0,025% 1,0

D. t. d. 10

S. თითო ამპულა ვენაში 10—12 მლ 40% გლუკოზის ხსნარში დღეში 1-ჯერ (შეყვანა ნელა).

Rp.: Periplocini 0,0004

in tabulettis

D. t. d. 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Periplocini 0,0005

Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Neriolinum

ნერიოლინი ოლეანდრეს (*Nerium oleander*) ფოთლებიდან გამოყოფილი კრისტალური გლუკოზიდია, რომელიც ადვილად იხსნება სპირტში, მცირედ—წყალში. ლობის ტემპერატურაა 240—241°. 1 გ კრისტალური ნერიონისა შეიცავს 37500 მოქ. ერთ თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოსაა სათითურასთან მაგრამ მოქმედებს უფრო სწრაფად, თანაც კუმულაციური თვისება უფრო ნაკლებად აქვს გამოხატული.

ინმარება იმ შემთხვევებში, სადაც ნაჩვენებია სათითურას პრეპარატებით მკურნალობა.

უნიშნავენ მოზრდილებს ნერიოლინის 1 ტაბლეტს 3 ჯერ დღეში ან 0,02% ხსნარის 20—25 წვეთს. ყოველი 10 დღის განმავლობაში პრეპარატის მიღების შემდეგ კუმულაციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა 5 დღით შესვენება.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი—0,0002 გ (0,2 მგ), სადღეღამისო—0,0004 გ (0,4 მგ).

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,0001 გ (0,1 მგ) 3—4 მე და სპირტიანი (70°) ხსნარი (1:5000) ფლაკონებში à 10 მლ (1 მლ — 7—8 მე).

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად დახურულ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Neriolini 0,0001

D. t. d. 10 in tabulettis


S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Neriolini spirituosae 0,02%—10,0

D. S. 20 წვეთი 2-ჯერ დღეში.

ნოვოკაინამიდი

Novocainamidum



ნოვოკაინამიდი მოყვითალო-მოვარდისფრო ფხვნილია, 165—168° ლლობის ტემპერატურის, კარგად იხსნება წყალში.

თავისი ქიმიური და ფარმაკოლოგიური მოქმედებით ნოვოკაინის მსგავსია.

ნოვოკაინამიდი ამცირებს გულის კუნთის აგზნებადობას და გამტარებლობას უფრო ძლიერ, ვიდრე ნოვოკაინი.

იხმარება გულის რიტმის დარღვევის დროს, პაროქსიზმული ტაქიკარდიის, მოციმციმე არითმიის, ექსტრასისტოლიის შემთხვევებში და აგრეთვე ამავე დაავადების პროფილაქტიკის მიზნით გულზე ოპერაციების დროს.

უკუჩვენებას წარმოადგენს ინდივიდუალურად აწეული მგრძნობელობა, გულის ბლოკადები და კომპენსაციის შესამჩნევად დარღვევა.

პრეპარატს უნიშნავენ შიგნით 0,5—1 გ, დღეში 3—4-ჯერ.

მკურნალობის დაწყებამდე საჭიროა გამოირკვეს ინდივიდუალური მგრძნობელობა, რისთვისაც ავადმყოფს აძლევენ 0,5 გ ნოვოკაინამიდს. თუ 1—2 საათის განმავლობაში არ განვითარდა ტოქსიკური მოვლენები, აგრძელებენ მკურნალობას ჩვეულებრივ დოზებში; კუნთებში უშხაპუნებენ პრეპარატს 10% ხსნარის სახით 5—10 მლ 2—3-ჯერ დღეში, მოქმედების გამომქლავებამდე (ჩვეულებრივად 4—5 დღე). ამის შემდეგ კიდევ 2 დღეს გრძელდება პრეპარატის მიცემა. სასწრაფო შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს ნოვოკაინამიდი ვენაში 10% ხსნარის 5 მლ გლუკოზის 40% ხსნარის 20 მლ-ში, ძლიერ ნელა შეყვანით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს თანამოვლენები — კოლაფსის ნიშნები, ძლიერი სისუსტე. თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება და სხვ. კოლაფსის შემთხვევაში საჭიროა მეზატონის 1%-იანი ხსნარის 0,3—0,4 მლ შეყვანა.

ნოვოკაინამიდი გამოშვებულია ტაბლეტებში ო 0,25 გ და ამპულებში 10% ხსნარი ო 5 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Novocainamidi 0,25

D. t. d. 20 in tabulettis

S. 2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rl.: Novocainamidi 10%—5,0

D. t. d. 6 in ampulis

S. თითო ამპულა 3-ჯერ დღეში კუნთებში.

Chinidinum

ქინიდინი ქინაქინის ხის ქერქის ალკალოიდი, ქინინის სტერეოიზომერი, თეთრი კრისტალური ნივთიერებაა, ძნელად იხსნება წყალში (1%/მლ).

მას აქვს თვისება გულის კუნთის ავზნებადობის შემცირების, ამავე დროს ახანგრძლივებს რეფრაქტერულ ხანას და ანელებს გამტარებლობას. დიდ დოზებში შეუძლია გამოიწვიოს გულის ბლოკადა.

იხმარება მოციმციმე არითმიის, პაროქსიზმული ტაქიკარდიის და აგრეთვე ექსტრასისტოლის მკურნალობის დროს.

უნიშნავენ შიგნით 0,2 გ ერთჯერ დღეში 2—3 ღლის განმავლობაში, შემდეგ იმავე დოზას—3-ჯერ დღეში, ხოლო თუ ავადმყოფი კარგად იტანს პრეპარატს, უმატებენ დოზას და აძლევენ დღეში 1—1,2 გრამამდე. მთელ კურსზე იხარჯება 18—20 გ.

ქინიდინით მკურნალობის დროს ავადმყოფს უნიშნავენ ქაფურს, ბრომის პრეპარატებს, ვენაში გლუკოზას, C ვიტამინს, სისხლის მიმოქცევის უკმარისობის შემთხვევებში საჭიროა ჯერ ჩატარდეს მკურნალობა სათითურას პრეპარატით, და მხოლოდ ამის შემდეგ დაენიშნოს ქინიდინი.

ქინიდინით მკურნალობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი უარყოფითი ინოტროპული გავლენა გულზე და ამიტომ უნდა ვერიდოთ მის გამოყენებას გულის კუნთში ღრმა ცვლილებების დროს.

აბსოლუტურ წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს იდიოსინკრაზია ქინიდინისადმი.

Rp.: Chinidini sulfurici 0,2

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში $\frac{1}{2}$ საათით ქამის წინ.

კუნელას გამონაწვლილი

Extractum Crataegi

კუნელას ნაყოფი და ყვავილი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს ფარმაკოლოგიური მოქმედება. პირველ რიგში ეს პრეპარატები იჩენენ მოქმედებას გულისისხლძარღვთა სისტემაზე.

აწესრიგებენ გულის მუშაობას, აფართოებენ კორონარულ სისხლის ძარღვებს, ახდენენ სედატიურ მოქმედებას და სხვ.

გარდა ამისა მატულობს გულის კუნთის მგრძნობელობა საგულე საშუალებების მიმართ.

ხმარებაშია კუნელას გამონაწვლილი და ნაყენი, რომელსაც უნიშნავენ გულის ფუნქციური მოვლენების, ანგიონევროზების, მოციმციმე არითმიის და პაროქსიზმული ტაქიკარდიის შემთხვევებში.

Rp.: Extractum Crataegi fluidi 25,0

D. S. 20—30 წვეთი 3—4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

Rp.: Tincturae Convallariae majalis

Tincturae Valerianae \overline{aa} 10,0

Extracti Crataegi fluidi 5,0

Mentholi 0,05

M. D. S. 3-ჯერ დღეში 25 წვეთი.

შარდმდენი საშუალებები

ნო ვ რ ი ტ ი

Novurit

ნოვურიტი სინდიკის შემცველი დიურეზის გამაძლიერებელი საშუალებაა.

გაძლიერებული შარდის დენა იწყება პრეპარატის კუნთებში ინექციიდან. 6—8 საათის შემდეგ, ხოლო ვენაში შეყვანიდან 3—6 საათის შემდეგ. გაძლიერებული დიურეზი გრძელდება მთელი დღე-ღამის განმავლობაში, ზოგჯერ მეტხანსაც. დიურეზი აღწევს 5 ლიტრს და მეტსაც. ამასთან ძლიერდება აგრეთვე ქლორნატ-რიუმის გამოყოფაც. პრეპარატს არ ახასიათებს კუმულაციის თვისება.

ჩვენება: ორგანიზმში სითხის დაგროვება სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, ღვიძლის ციროზის, თირკმლების დაავადების (განსაკუთრებით ლუესური ნეფროზი) ნიადაგზე, კახექსიური შეშუპებები და სხვ. ნოვურიტს უნიშნავენ აგრეთვე ქოლესისტიტებისა და საერთო სიმსუქნის შემთხვევებში.

უკუჩვენებას წარმოადგენს: მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტი, ფადართი, ნაწლავებიდან სისხლის დენა.

ნოვურიტს უნიშნავენ ჩვეულებრივად 1—2 მლ 2-ჯერ კვირაში, კუნთებში, ზოგჯერ ვენაშიც.

ხმარებაშია აგრეთვე ნოვურიტი სანთლების სახითაც.

ნოვურიტის კანქვეშ გაკეთება არ შეიძლება.

ნოვურიტის დიურეზული ეფექტის გასაძლიერებლად ზოგჯერ იყენებენ ამონიუმის ქლორიდს, რომელსაც აძლევენ 2—3 ღლის განმავლობაში ნოვურიტის დანიშვნამდე.


გამოშვებულია ამპულებში (1—2 მლ) და სანთლების სახით.

Rp.: Novuriti in ampulis N 6

D. S. თითო ამპულა კუნთებში 3—4 დღეში ერთჯერ.

დიკარბი

Diacarbium



თეთრი, კრისტალური ფხვნილია. ძნელად იხსნება წყალში; ლლობის ტემპერატურაა 258—260°.

იხმარება შიგნით როგორც დიურეზული საშუალება სისხლის მიმოქცევასთან დაკავშირებული შეშუპების დროს, აგრეთვე ნეფროზებისა და ღვიძლის ციროზის შემთხვევებში.

დიაკარბი იხმარება აგრეთვე გლუჯომის მკურნალობის დროს, ზოგჯერ ეპილექსიის საწინააღმდეგოდ.

დიაკარბი იძლევა უკეთეს შედეგს დიურეზული თვისების მქონე სინდიყის პრეპარატებთან კომბინირებულად დანიშნვის დროს. არ არის საჭირო კლორ-ამონიუმის მიღება, რადგან ასეთ შემთხვევაში დიაკარბის მოქმედება მკვეთრად მცირდება.

პრეპარატი არ არის ტოქსიკური. ამისდა მიუხედავად ზოგჯერ შეიძლება განვითარდეს ძილიანობა, პარესთეზიები, რომლებიც წამლის მოხსნის შემდეგ მალე გაივლის.

ურჩევნ დიაკარბის ხანგრძლივი მიღების შემთხვევაში საქმელი სოდის დანიშნას.

დიაკარბი წინააღმდეგნაჩვენებია ღვიძლისა და თირკმლების მწვავე დაავადებების დროს, აგრეთვე ადისონის დაავადების შემთხვევაში.

დოზა: 0,25 გ ერთ-ორჯერ დღეში (ყოველდღე ან დღეგამოშვებით) 2—4 დღის განმავლობაში, მოკლე ხნით შესვენების შემდეგ შეიძლება მკურნალობის გაგრძელება ამ პრეპარატით.

გლუჯომის დროს უნიშნავენ 0,125—0,25 გ 1—3-ჯერ დღეში 5 დღის განმავლობაში, რის შემდეგ 2 დღით წყვეტენ პრეპარატის მიღებას.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ.

ინახება მოფრთხილებით, კარგად თავდაცობილ ქურქელში.

Rp.: Diacarbi 0,25

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

ჰ ი პ ო თ ი ა ზ ი დ ი

Hypothiazidum

ჰიპოთიაზიდი უნგრული პრეპარატია, იგი წარმოადგენს ძლიერ დიურეზულ საშუალებას, რომელიც ამ მხრივ ბევრად არ ჩამოუვარდება სინდიკის შემცველ დიურეზულ პრეპარატებს; იძლევა სწრაფ და ხანგრძლივ ეფექტს, მოქმედება იწყება პრეპარატის მიღებიდან 2 საათის შემდეგ და აღწევს მაქსიმალურ მოქმედებას 10—12 საათის განმავლობაში. ვინაიდან ეს პრეპარატი არ იძლევა თირკმლების გაღიზიანებას, იგი შეიძლება ამ სისტემის დაზიანების დროსაც იქნეს გამოყენებული.

ჰიპოთიაზიდს აქვს აგრეთვე კარგად გამოხატული ჰიპოტენზიური თვისება. ამ მხრივ მისი გაელენა, ჩვეულებრივ, თვალსაჩინო ხდება მკურნალობის პირველივე დღეებში.

ჩვენება ჰიპოთიაზიდის ხმარებისათვის: შეშუპებები სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ნიადაგზე და აგრეთვე თირკმლების დაავადებისა და ლვიძლის ციროზის შედეგად; ჰიპერტონიული დაავადება.

აძლევენ დღე-ღამეში 25—50 მგ 2-ჯერ დღეში 3—5 დღის განმავლობაში. მოქმედების მიხედვით ერთჯერადი დოზა შეიძლება გადიდდეს 100 მგ-მდე (0,1 გ) 2-ჯერ დღეში ან შემცირდეს 25 მგ-მდე (0,025 გ) 2-ჯერ დღეში.

საკიროა კონტროლი სისხლის წნევის ხშირი გასინჯვით.

ჰიპოთიაზიდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ჰიპოტენზიურ პრეპარატებთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ამ სხვა პრეპარატების დოზა უნდა შემცირდეს.

ჰიპოთიაზიდს უნიშნავენ აღნიშნული დოზით 3—5 დღის განმავლობაში, შემდეგ აკეთებენ შესვენებას 3—4 დღით და ამის შემდეგ ისევ იმეორებენ მკურნალობას იმავე დოზებით.

გამომწვებულია. ტაბლეტებში à 25 მგ, 50 მგ, 100 მგ.

Rp.: Hypothiazidi 0,05

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ე რ პ ო ზ ი დ ი

Erposid

ერპოზიდი უნგრული პრეპარატია, იგი წარმოადგენს ჰიპოთიაზიდისა (10 მგ) და რაუსედილის (0,1 მგ) კომბინაციას. მოწოდებულია იმავე დაავადებების საწინააღმდეგოდ, რაც ჰიპოთიაზიდი

(იხ. ზემოთ). სისხლის წნევის დაკლება შესამჩნევი ხდება პრეპარატის მიღებიდან მე-2—4 დღეზე, ამის შემდეგ დოზა უნდა შემცირდეს. საჭიროა სისტემატური თვალყური სისხლის წნევაზე. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ისევე, როგორც ჰიპოთიაზიდით მკურნალობის შემთხვევაში, კალიუმის მარილების დანიშვნა.

დოზა მოზრდილებისათვის: ერაზიდი 1—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღე-ღამეში, ერაზიდი—ფორტე $1/2$ —1 ტაბლეტი.

გამოშვებულია ტაბლეტების სახით.


Rp.: Erposidi

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

დიურეტიკი

Diuretinum



თეთრი ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში. ხსნარი შეუთავსებელია მეავებსა და ტუტეებთან.

აქვს სისხლძარღვების გამათართოებელი თვისება და დიურეზული მოქმედება. არ იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, კრიზებისა, კორონაროსპაზმების დროს და აგრეთვე როგორც დიურეზული საშუალება.

უნიშნავენ შიგნით ფხვნილებში 0,3—0,5—0,75 გ 3-ჯერ დღეში, კამის შემდეგ.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის—1 გ, სადღე-ღამისო—6 გ.


გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება კარგად დახურულ ქილებში მშრალ ადგილას.

Rp.: Diuretini 0,5
 Papaverini hydrochlorici
 Luminali \overline{aa} 0,02
 M. f. p. D. t. d. 10 in charta paraffinata
 S. 1 ფხენილი 3-ჯერ დღეში.

თ ე ბ რ ი მ ი ნ ი უ მ

Theobrominum



თეობრომინი პურინის ჯგუფის ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს კაკაოს თესლები. ამჟამად მას ღებულობენ სინთეზურად.

კრისტალური, თეთრი, მწარე გემოს, ფხენილია. ცუდად იხსნება წყალში (1 : 700), ადვილად კი მჟავებისა და ტუტეების განზავებულ ხსნარში.

ახდენს მასტიმულირებელ გავლენას გულის მუშაობაზე, აძლიერებს დიურეზს.

იზმარება იმავე შემთხვევებში, რაც დიურეტიკი (ახ. ზემოთ). უნიშნავენ 0,25—0,5 გ (ჰამის შემდეგ) 1—2-ჯერ დღეში.

უმაღლესი დოზები: ერთჯერადი 0,5 გ, სადღეღამისო—2 გ. გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ და აგრეთვე სხვა ფხენილებთან კომბინირებულად.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Theobromini 0,25
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Theobromini 0,25
 Papaverini hydrochlorici
 Salsolini hydrochlorici \overline{aa} 0,03
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში.

ადვილად — მეფეებსა და ტუტეებში. ლობის ტემპერატურაა 268—272°.

თავისი მოქმედებით ახლოსაა თეობრომინთან. უნიშნავენ იმავე შემთხვევებში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა სრულასაკოვანთათვის—0.4 გ, სადღელამისო—1,2 გ; ბავშვებს ენიშნებათ: 3—4 წლის ასაკში—ერთჯერადი—0,05 გ, სადღელამისო—0,15 გ; 5—6 წლის ასაკში—ერთჯერადი—0,06 გ, სადღელამისო—0,2 გ; 10—14 წლის ასაკში—ერთჯერადი—0,1 გ, სადღელამისო—0,3 გ.

თანამოვლენებია: გულმმარვა, გულისრევა, პირღებინება, თავის ტკივილი. ამიტომ თეოფილის ჩვეულებრივად უნიშნავენ მხოლოდ 2—3 დღის განმავლობაში.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ფერადი მინის ქილებში.

Rp.: Theophyllini 0,1

Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ა ლ ა ც ი ლ ი

Allacilum

ალაცილი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში იხსნება (1 : 50).

პრეპარატს აქვს დიურეზული თვისება, იწვევს Na და Cl იონების რეაბსორბციის შემცირებას თირკმლის მილაკებში. არ ცვლის შარდის pH.

იხმარება როგორც დიურეზული საშუალება გულ-სისხლძარღვთა უკმარისობასთან დაკავშირებული შემუშებების დროს და აგრეთვე ღვიძლის ციროზების შემთხვევებში.

თანამოვლენებია: გულისრევა, პირღებინება, ფალარათი. ასეთ შემთხვევაში საკმარისია წამლის მიღების შეწყვეტა.

დოზა: 1—4 ტაბლეტი დღეში à 0,2 გ, 4 დღის განმავლობაში. შეიძლება 5—6 ტაბლეტიც, თუ ავადმყოფი კარგად იტანს. 4 დღით შესვენების შემდეგ შეიძლება განმეორდეს მკურნალობა კიდევ 4 დღით.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,2 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Allacili 0,02

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, კამის დროს.

დათვიანობა

Uvae ursi

ფოთლები შეიცავს გლუკოზიდ არბუტინს (1,5—3,5%/ი), რომელსაც მიაწერენ დიურეზულ თვისებას, ორგანულ შეავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვ.

იხმარება როგორც შარდმდენი, და შარდის გამომყოფი გზებისა და შარდის ბუშეტის ანთების დროს—როგორც მადღეზინფიცირებელი საშუალება.

Rp.: Decocti foliorum Uvae ursi 10,0—180,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 6-ჯერ დღეში.

სიმინდის ფოჩი

Stigmata Maydis

სიმინდის ფოჩი ძველი დროიდანვე იხმარებოდა ხალხურ მედიცინაში როგორც ნაღვლის და შარდმდენი საშუალება.

როგორც სამკურნალო საშუალება სიმინდის ფოჩი მრავალჯერ არის შესწავლილი. იგი შეიცავს სტიგმასტეროლს, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს, საპონინებს, ფისს და C და K ვიტამინებს.

ხმარებაშია უფრო მეტად სიმინდის ფოჩის გამონაცემი და აგრეთვე სითხოვანი გამონაწელილი როგორც დიურეზული და ქოლაგოგური საშუალება. იგი ენიშნება ავადმყოფებს ქრონიკული ქოლეცისტიტების, ჰეპატო-ქოლეცისტიტების, ქოლანგიტების, ღვიძლის კენკოვანი დაავადების დროს, უფრო ხშირად ნაყენის სახით ან როგორც დიურეზის გამამძლიერებელი საშუალება, როდესაც ორგანიზმში შეკავებულია სითხე (სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, ბრავიტის სნეულება და სხვ.).

არის გამოკვლევები (დ. მიხლინი და სხვ.), საიდანაც ჩანს, რომ სიმინდის ფოჩის პრეპარატები აჩქარებს სისხლის შეღდგმას, აღიდებს რა პროთრომბინის რაოდენობას სისხლში. ამის გამო ის იხმარება აგრეთვე როგორც ჰემოსტაზური საშუალება.

ავადმყოფებს ენიშნება გამონაცემის (20,0 — 30,0 — 200,0 წყალზე) და სითხოვანი გამონაწვლილის სახით.

Rp.: Infusi Stigmatis Maydis 30,0—200,0
D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ 2 საათში.

Rp.: Extracti Stigmatis Maydis 100,0
D. S. თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში.

ქ ლ ო რ ა მ ო ნ ი უ მ ი

Ammonium chloratum

NH₄Cl

ქლორამონიუმი, ანუ ნიშადური, თეთრი, კრისტალური, უსუნო ფხვნილია, აქვს მომლაშო გემო; კარგად იხსნება წყალში (1:3). როგორც ამოსახველებელი საშუალება იხმარება შიგნით, ფხვნილების ან მიქსტურის სახით. აძლიერებს აგრეთვე შარდის გამოყოფას. მას იყენებენ აგრეთვე მერკუზალის, ნოურიტის დიურეზული მოქმედების გასაძლიერებლად. გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება ნარინჯისფერ მინის ქილებში, ბნელ ადგილას.

დოზა: 0,3—0,5 გ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp.: Sol. Ammonii chlorati 5%—200,0
D. S. ორ-ორი სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

(ასე 3 დღის განმავლობაში მერკუზალის ან ნოურიტის დანიშნულად).

Rp.: Ammonii chlorati 0,5
D. t. d. 10
S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

ლ ვ ი ა ს მ ა მ ვ ა ლ ი

Fructus Juniperi

პრეპარატი შეიცავს ეთეროვან ზეთს (0,5%-მდე), შაქარს, ორგანულ მჟავებს, ფისებს და სხვა ნივთიერებებს.

იხმარება როგორც დიურეზული საშუალება გულის დაავადებასთან დაკავშირებით ორგანიზმში სითხის დაგროვების შემთხვევაში. თირკმლების დაავადების დროს უკუნაჩვენებია.

Rp.: Infusi baccarum Juniperi 10,0—200,0
D. S. თითო სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში.

შ ვ ი ტ ა

Equisetum arvense

იხმარება როგორც დიურეზული საშუალება ორგანიზმში სითხის დაგროვების შემთხვევაში გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს.

არ უნიშნავენ თირკმლების დაზიანების შემთხვევაში.

შვიტა შეიცავს კაეის მგავას, შემკერელ ნივთიერებებს, საპონინებს, ვაშლმგავას, მინერალურ მარილებს და სხვ., რომლებიც განსაზღვრავენ მის მოქმედებას.

Rp.: Herbae Equiseti arvensis 25,0

D. S. 2 სუფრის კოვზი დააყენოს ერთ ჭიქა მღუღარე წყალზე, გაცივების შემდეგ დალიოს ერთი დღის განმავლობაში.

Rp.: Succii Equiseti arvensis 200,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Extracti Equiseti arvensis fluidi 30,0

D. S. 1/2 ჩაის კოვზი 4—6-ჯერ დღეში.

ც ი ს ტ ე ნ ა ლ ი

Cystenal

ცისტენალის შემადგენლობაში შედის:

Principia rubiae tinctorum 0,0093 გ,

Olea aetherea 5,75 გ,

Magnesium salicylicum 0,14 გ,

Spiritus, oleum olivae ad 10 ml

პრეპარატს აქვს სპაზმოლიზური და შარდდამდენი თვისება. პრეპარატი აძლიერებს შარდის მგავიანობას, რაც ახდენს გავლენას კირისა და ფოსფატების კენჭების (უფრო სიღების) ხსნადობაზე შარდში და მათ დაშლაზე.

ცისტენალის ჩვენებას წარმოადგენს:

შარდსადენი გზების და შარდის ბუშტის ქრონიკული დაავა-

დებები, განსაკუთრებით ამ მხრივ მნიშვნელოვანია კენკოვანი და-
ავადება თანმხლები ანთებითი პროცესებით.

ცისტენალის ხმარება უკუნაჩვენებია მწვავე და ქრონიკული
ნეფრიტის შემთხვევებში.

ცისტენალს უნიშნავენ 3-ჯერ დღეში 3—4 წვეთს შაქრის
ნატეხზე, საჭმლის მიღებამდე 1/2 საათით ადრე. ტკივილების შე-
ტყვის დროს აძლევენ 20 წვეთსაც. თუ შეტევები ხშირად მეორ-
დება, შეიძლება მიეცეს 10 წვეთი 3-ჯერ დღეში, თუ პრეპარატის
მიღებასთან დაკავშირებით განვითარდა გულძმარვა, იგი უნდა
დაენიშნოს საჭმელთან ერთად ან საჭმლის მიღების შემდეგ.

გამოშვებულია მინის ჭურჭელში 10 მლ რაოდენობით.


Rp.: Cystenali 10,0

D. S. 10 წვეთი 3-ჯერ დღეში შაქარზე ჭამის წინ
1/2 საათით ადრე.

ამოსახველებელი და პირსალეზინეზელი საშუალებები

ქლორწყალბადაშვავა აპომორფინი

Apomorphinum hydrochloricum



ქლორწყალბადმცავა აპომორფინი თეთრი, ოდნავ მორუხო ან მოყვითალო კრისტალური ფხვნილია; იხსნება 60 ნაწილ წყალში და 50 ნაწილ სპირტში, ეთერსა და ქლოროფორმში თითქმის არ იხსნება. აპომორფინის ხსნარი სინათლისა და ჰაერის ზეგავლენით მალე ლებულობს მწვანე ფერს და კარგავს თავის აქტივობას.

აპომორფინი იწვევს პირღებინების ცენტრის გალიზიანებას, რის გამოც მას იყენებენ მოწამვლის დროს პირღებინების გამოსაწვევად, როდესაც კუჭის ამორეცხვა ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელი ხდება (საფრთხილოა მისი გამოყენება მწვავე ტუტითა და კონცენტრული სიმეავით მოწამვლის შემთხვევაში).

აპომორფინის მიღების შემდეგ პირღებინება მალე იწყება. იგი იხმარება აგრეთვე სიმთვრალის საწინააღმდეგოდ და იშვიათად — როგორც ამოსახველებელი საშუალება.

აპომორფინი წინააღმდეგნაჩვენებია გულისა და სისხლძარღვთა მიიმე დაავადებების დროს, ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შემთხვევებში და მოხუცებულობის ასაკში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა შიგნით — 0,01 გ; უმაღლესი ერთჯერადი დოზა კანქვეშ — 0,005 გ.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება (კარადა A) კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქურკელში.

Rp.: Apomorphini hydrochlorici 0,05

Acidi hydrochlorici diluti 0,5

Aquae destillatae 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 2 — 3-ჯერ დღეში
(როგორც ამოსახველებელი).

Rp.: Sol. Apomorphini hydrochlorici 1% — 1,0.

D. t. d. 6. in ampulis

S. 0,5 მლ კანქვეშ (პირსაქმების გამოსაწვევად სიმთვრალის დროს).

იპეაკუანას — ფესვი

Radix Ipecacuanhae

იპეაკუანას ფესვები (ტროპიკული მცენარე *Cephalis ipecacuanha* — ფესვები) შეიცავენ 2%-მდე ალკალოიდებს. ძირითადად მოქმედი ნივთიერება ალკალოიდი ემეტინია.

იპეაკუანას ხმარობენ მცირე დოზებში — ძირითადად როგორც ამოსახველებელ საშუალებას; დიდი დოზებით ხმარება კი იწვევს პირღებინებას.

იპეაკუანას პრეპარატების მცირე დოზები ათხელებს ნახველს და აძლიერებს სასუნთქი გზების მოციმციმე ეპითელის უჯრედების აქტივობას, რაც აადვილებს ნახველის ამოღებას. დიდი დოზები კი აღიზიანებს კუჭის ლორწოვანი გარსის რეცეპტორებს, რის გამოც რეფლექსური მექანიზმებით ხდება პირღებინება.

საექიმო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ხმარობენ ამოსახველებლად იპეაკუანას გამონაცემს — 0,5 გ (200 მლ წყალზე) თითო სუფრის კოვზს 5—6-ჯერ დღეში.

ბავშვებს აძლევენ: 1 წლამდე — 0,12 გ (100 მლ წყალზე) თითო ჩაის კოვზს, უფრო მოზრდილებს მურაბის კოვზით — 0,15 გ (100 მლ წყალზე) 3 — 5-ჯერ დღეში.

პირღებინების გამოსაწვევად მოზრდილებს აძლევენ 0,25 — 0,5 გ ერთ მიღებაზე.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის როგორც ამოსახველებელი — ერთჯერადი — 0,1 გ, სადღელამისო — 0,4 გ.

უმალესი დოზა პირლებინების გამოსაწვევად მოზრდილთათვის არის 1 გ ერთ მიღებაზე.

Rp.: Infusi radices Ipecacuanhae 0,5:180,0

Liquoris Ammonii anisati 4,0

Sirupi Althaeae 15,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში.

პ ე რ ტ უ ს ი ნ ი

Pertussinum

პერტუსინი სიროფისმაგვარი, მუქი წაბლისფერის, არომატული სუნის სითხეა. იგი წარმოადგენს მცენარე ბეგქონდარას (*Thymus vulgaris*) სითხოვანი გამონაწვლილის 12 ნაწილს, რომელსაც დამატებული აქვს 1 ნაწილი ბრომკალიუმი, 82 ნაწილი შაქრის სიროფი და 5 ნაწილი 95° ეთილის სპირტი.

პრეპარატი იხმარება როგორც ამოსახველებელი ან ხველის შემარბილებელი საშუალება ყვიანახველის, ბრონქიტებისა და ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს.

მოზრდილებს უნიშნავენ თითო სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში; ბავშვებს $\frac{1}{2}$ —1 ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში, ხოლო უფრო მოზრდილ ბავშვებს ამდენჯერვე მურაბის კოვზით.

გამოშვებულია 100 მლ ფლაკონებში.

Rp.: Pertussini 100,0

D. S. თითო ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ.

ტ უ ხ ტ ი ს უ ნ ს ვ ე ბ ი

Radix Althaeae

იხმარებაშია ველური და კულტივირებული ტუხტის (*Althaea officinalis* L, ოჯახი — *Malvaceae*) კანგაცლილი და გამშრალი ფესვები.

ფესვები შეიცავს 35%-მდე მცენარეულ ლორწოს.

იხმარება სასუნთქი გზების დაავადების დროს როგორც ამოსახველებელი საშუალება გამონაცემის სახით.

Rp.: Decocti radices Althaeae 10,0 — 180,0.

Sirupi Althaeae 20,0.

M. D. S. თითო სუფრის კოვზი ორ საათში ერთ-ჯერ.


Rp.: Decocti radices Althaeae 10,0 — 180,0

Liquoris ammonii anisati 4,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ ორ საათში.

ნ ა ტ რ ი უ მ ბ ე ნ ზ ო ა ტ ი

Natrium benzoicum



თეთრი, მარცვლოვანი ან კრისტალური, მომლაშო გემოს ფხვნილია. ადვილად იხსნება წყალში (1:2), ძნელად — სპირტში (1:45).

იხმარება შიგნით როგორც ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი ორგანოების დაავადების დროს. ჩვეულებრივად უნიშნავენ მიქსტურებში სხვა საშუალებებთან ერთად. მოზრდილებს ეძლევა დოზებში — 0,2 — 0,5 გ 3 — 4-ჯერ დღეში, ბავშვებს 1 წლამდე — 0,03 — 0,05 გ, 2 — 5 წლამდე — 0,05 — 0,1 გ, 6 — 12 წ — 0,15 — 0,3 გ 2 — 3 — 4-ჯერ დღეში.

ნატრიუმბენზოატი იხმარება აგრეთვე ღვიძლის ფუნქციის გამოსარკვევად.

Rp.: Infusi herbae Thermopsidis 0,6 — 180,0

Natrii benzoici 4,0

M. D. S. სუფრის კოვზით 4-ჯერ დღეში.

Rp.: Natrii benzoici 0,6

Liquor. Ammonii anis. 1,0

Sirupi Althaeae 25,0

Aquae destillatae ad 60,0

M. D. S. თითო ჩაის კოვზი 2 — 3 საათში 1-ჯერ (2 წ. ბავშვს).

ა მ ო ნ ი უ მ - ა ნ ი ს უ ლ ი ა ნ ი ს ი თ ხ ა

Liquor Ammonii anisatus

გამჭვირვალე, უფერული სითხეა, აქვს ამონიაკისა და ანისულის დამახასიათებელი სუნი. პრეპარატის შემადგენლობაში შედის ამონიუმის ქანვის ჰიდრატი — 56, ანისულის ზეთი — 16 და სპირტი — 24.

იხმარება როგორც ამოსახველებელი საშუალება განსაკუთრებით პედიატრიულ პრაქტიკაში; მიქსტურებში ურევენ 5 — 10 წვეთს. დოზა: 5—12 წვეთი 3—4-ჯერ დღეში მოზრდილებისათვის. ბავშვებისათვის: 1 წლამდე — 1—2 წვეთი 3—4-ჯერ დღეში
 2—5 წ. — 2—5 წვეთი „
 6—12 წ. — 5—10 წვეთი „


Rp.: Infusi radices Ipecacuanhae 0,5—180,0
 Liquoris Ammonii anisati 6,0
 M. D. S. თითო სუფრის კოვზი 4—5-ჯერ დღეში.

Rp.: Liquoris Ammonii anisati 15,0
 D. S. 5—10 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ტერპინჰიდრატო

Terpinum hydratum

უფერული, გამჟვირვალე, უსუნო, სუსტი მწარე გემოს კრისტალებია; იხსნება ცხელ წყალსა და სპირტში, ღებულობენ სკიპიდარიდან.



უნიშნავენ შიგნით როგორც ამოსახველებელ საშუალებას უფრო ხშირად კოდეინთან ან ნატრიუმის ბიკარბონატთან ერთად 0,1—0,3 გ დღეში 3-ჯერ. ბავშვებს აძლევენ წლოვანების მიხედვით—0,05 გ—0,2 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ჰ 0,25 და 0,5 გ.

Rp.: Terpinum hydrati 0,25
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Terpini hydrati 0,25
 Codeini phosphorici 0,015
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ძირტკბილას ელექსირი

Elixir pectorale

ძირტკბილას ელექსირი შედგება:
 ძირტკბილას ფესვების ექსტრაქტი 60 ნაწილი
 ამონიაკის ხსნარი 10 "

ანისულის ზეთი	1	"
სპირტი	49	"
წყალი	180	"

მიხაკისფერი, გამჟვირვალე, ტკბილი გემოს, ამონიაკისა და ანისულის სუნის სითხეა.

იხმარება როგორც ამოსახველებელი — 20 — 40 წვეთი დღეში რამდენჯერმე, უფრო ხშირად ხმარობენ სხვა ამოსახველებელ საშუალებასთან ერთად მიქსტურაში.

ბავშვებს უნიშნავენ იმდენ წვეთს, რამდენი წლისაა თვითონ ბავშვი.

ინახება კარგად თავდაცობილ მინის ქილებში.

Rp.: Elixiris pectorale 30,0
 D. S. 20 — 40 წვეთი 4-ჯერ დღეში.



საჭმლის მომნელებელ ტრაპტუმი მოქმედი საშუალებები

ა ც ი დ ო ლ - პ ე ფ ს ი ნ ი

Acidol-pepsin

აციდოლ-პეფსინი გამოშვებულია ტაბლეტებში. თითო მათგანი შეიცავს 0,1 გ პეფსინს და 0,4 გ აციდოლს (ქლორჰიდრატ ბეტაინისა), რაც შეეფარდება განზავებული მარილმჟავის 16 წვეთს.

უნიშნავენ სუბაციდური და ანაციდური გასტრიტების დროს. ბავშვებს — დისპეფსიის შემთხვევებშიაც.

დოზა: თითო (ან ორი) ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, მოზრდილი ასაკის ბავშვებს — $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ ტაბლეტი 3-ჯერ დღეში. ერთი ტაბლეტი მიღების წინ უნდა გაიხსნას $\frac{1}{2}$ კიკა წყალში და მიღებულ იქნეს ნაწილ-ნაწილ კამის დროს ან ერთბაშად კამის შემდეგ.

Rp.: Acidol-pepsini III tub.

in tabulettiis

D. S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ $\frac{1}{2}$ კიკა წყალში.

ა ც ი დ ი ნ - პ ე ფ ს ი ნ ი

Acidin-pepsinum

აციდინ-პეფსინი შეიცავს პეფსინის 1 ნაწილს და ბეტაინ-ქლორჰიდრატის 4 ნაწილს.

იზმარება იმავე პირობებში, რაც პეფსინი (იხ. ქვემოთ).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 — 0,5 გ.

დოზა მოზრდილებისათვის: თითო ტაბლეტი (0,5 გ) 3-ჯერ დღეში მიღების წინ ტაბლეტს ხსნიან $\frac{1}{2}$ კიკა წყალში და იღებენ კამის დროს.

ბავშვებს აძლევენ 0,25 გ ან მის ნახევარს (ასაკის მიხედვით) ასეთივე წესით.

Rp.: Acidin-pepsini 0,5

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი $\frac{1}{2}$ კიკა წყალში გახსნილი, კამის დროს 3-ჯერ დღეში.

წმინდა განზავებული მარილმჟავა

Acidum hydrochloricum seu muriaticum dilutum

განზავებული მარილმჟავა შეიცავს 1 ნაწილ წმინდა მარილმჟავას და 2 ნაწილ წყალს. წყალსა და სპირტს ერევა ყველა შეფარდებაში. ხსნარი შეაქციისაა.

იხმარება შიგნით სუბაციდური გასტრიტების დროს, აგრეთვე ჰიპოქრომიული ანემიების დროს რკინის პრეპარატებით მკურნალობის შემთხვევაში.

დოზა: 10—15 წვეთი ნახევარ კიკა წყალში დღეში 3-ჯერ კამის დროს. სუბაციდური გასტრიტების შემთხვევაში უნიშნავენ პეფსინთან ერთად მიქსტურაში.

უმალღესი ერთჯერადი დოზა სრულსაკოვანთათვის — 20 წვეთი, სადღელამისო — 60 წვეთი.

ინახება მინის მილესილსაკობიან კურკელში.

Rp.: Acidi hydrochlorici diluti 20,0

D. S. დღეში 3-ჯერ კამის დროს, 10 წვეთი $\frac{1}{2}$ კიკა წყალზე.

Rp.: Acidi hydrochlorici diluti 6,0

Pepsini 4,0

Aquae destillatae 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ კამის დროს.

პ ე ფ ს ი ნ ი

Pepsinum

პეფსინს ღებულობენ ღორის კუკის ღორწოვანი გარსისაგან და უმატებენ რძის შაქარს.

იგი თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ფხვნილია, მომჟავო-ტკბილი გემოსი და თავისებური სუნის.

იხსნება წყალში და 20° სპირტში.

იხმარება აქილიის, ანაციდური და სუბაციდური გასტრიტების დროს.

ამ შემთხვევაში პეფსინი ჩვეულებრივად ენიშნება ავადმყოფს ქლორწყალბადმეავასთან ერთად.

ღოზა პეფსინისა მოზრდილთათვის 0,2—0,5 გ 3—4-ჯერ დღეში, ქამის დროს ბავშვებისათვის კი—0,05—0,3 გ.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში, გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Pepsini 2,0

Acidi muriatici diluti 5,0

Aquae destillatae 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი ქამის დროს 3-ჯერ დღეში.

Rp.: Pepsini

Acidi muriatici diluti $\frac{m}{aa}$ 1,0

Aquae destillatae 100,0

M. D. S. თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში ქამის დროს 1 წლის ბავშვს.

ბუნებრივი კუჭის წვენი

Succus gastricum naturalis

მიიღება ი. პ. პავლოვის მეთოდით კუჭის ფისტულიანი ცხოველებისაგან მოჩვენებითი კვების საშუალებით.

უფერული, გამჭვირვალე სითხეა, მტავე გემოსი.

შეიცავს 0,5—0,52% თავისუფალ მარილმეავას, pH=0,8—1,0.

იხზარება იმავე დაავადებების წინააღმდეგ, რაც პეფსინი.

მოზრდილებს აძლევენ 1—2 სუფრის კოვზს ქამის დროს 3-ჯერ დღეში; ბავშვებს 2—5 წლის ასაკში — თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში; 6—12 წ.—თითო დესერტის კოვზს 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფლაკონებში 100 და 150 მლ რაოდენობით.

ინახება გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Succu gastrici 150,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ქამის დროს.

ვიკალნი

ვიკალნის შემადგენლობაში შედის;

ბისმუთის ნიტრატი (ძირით.) —0,35 გ.

მაგნიუმის კარბონატი —0,4 „

ნატრიუმის ბიკარბონატი	—0,2	გ
ხეჭრელას ქერქი	—0,025	"
კოთხოჯის ფესვი	—0,025	"
ქელინი	—0,005	"
რუტინი	—0,005	"

პრეპარატი მოწოდებულია კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების წინააღმდეგ სამკურნალოდ.

უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს ჭამის შემდეგ 3-ჯერ დღეში, 1/2 ჭიქა თბილი წყლის დაყოლებით. მკურნალობის პირველი კურსი გრძელდება 4—8 კვირის განმავლობაში, ერთი თვის შესვენების შემდეგ იწყება მკურნალობის მეორე კურსი. ასე შეწყვეტით მკურნალობა გრძელდება რამდენჯერმე.

გამოშვებულია ტაბლეტებში.

Rp.: *Tablettae vicalini*

D. I fl.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 1/2 ჭიქა თბილი წყლის დაყოლებით.

ბეიტაციდი — პასტილა

Betacid pastilla

შედგება მარილმჟავასა და პეტსინისაგან. 1 პასტილა შეიცავს 0,1 გ პეტსინს და 0,4 გ ბეტაინქლორჰიდრატს, რაც უდრის გახსნილი მარილმჟავის 19 წვეთს.

უნიშნავენ იმავე შემთხვევაში, რაც აციდოლპეტსინს (იხ. ზემოთ)—საკმლის მიღების დროს ან საკმლის შემდეგ 1—4 პასტილას, გახსნილს 1/2 ჭიქა წყალში. ძუძუმწოვარს აძლევენ 1/4—1/2 პასტილას, მოზარდს 1—2-ს ერთ მიღებაზე. უმჯობესია მიეცეს ეოლოს სიროფზე.

გამოშვებულია მინის ჭურჭელში \pm 0,5 გ 10 ცალად.

Rp.: *Betacidi pastillae* 0,5

D. t. d. 10

S. თითო პასტილა 1/2 ჭიქა წყალში ჭამის შემდეგ 3-ჯერ დღეში.

გ ა ს ტ რ ი პ ო ნ ი

Gastripon

გასტრიპონი არის (N-*p*-ფენილ-ბენზილ-ატროპინის ბრომიდი. პრეპარატის მოქმედებაში სჭარბობს სპაზმოლიზური ეფექტი; აქვეითებს გლუვი კუნთების ტონუსს და ამცირებს სეკრეციას.

განგლიომაბლოკირებელი თვისებების გამო იწვევს სისხლის წნევის დაკლებას.

პრეპარატს უნიშნავენ კუჭ-ნაწლავის მოტორული და სეკრეტორული მოშლილობის შემთხვევებში (გასტრიტების, წყლულოვანი დაავადების, პილოროსპაზმების, მეტეორიზმის, ქოლელითიაზის დროს). აგრეთვე საშარდე ბუშტისა და შარდსადენ გზებში სპაზმური მოვლენების საწინააღმდეგოდ.

დოზა: 3-ჯერ დღეში 1/2—2 აბპულა კანქემ ან თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 5 მგ და აბპულეებში à 1 მგ.

Rp.: Gastriponi 0,005

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ნატრიუმის ბიკარბონატი

Natrium bicarbonicum

NaHCO_3

ნატრიუმის ბიკარბონატი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალში (1:12), არ იხსნება სპირტში.

იხმარება შიგნით კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის დროს, კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადების და საერთოდ იმ დაავადებების დროს, რომლის დროს ორგანიზმში ვითარდება აციდოზი (შაქრიანი დიაბეტი, ინფექცია).

ნატრიუმბიკარბონატს ხმარობენ აგრეთვე საინჰალაციოდ, ღრუების გამოსარეცხად, პირის გამოსავლებად (2%/o).

დოზა მოზრდილთათვის 0,5—1 გ ერთ მიღებაზე.

ბავშვებს ერთი წლის ასაკამდე აძლევენ 0,1—0,2 გ; 2—5 წ.—0,25—0,5 გ; 6—12 წ.—0,5—0,75 გ, ერთ მიღებაზე.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,3; 0,5 და 1 გ.

Rp.: Natrii bicarbonici 0,5

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Natrii bicarbonici

Natrii biborici aa 6,0

Natrii chlorati 3,0

Mentholi 0,04

M. f. p. D. S. ერთი ჩაის კოვზი ერთ კიქა თბილ წყალზე (პირში გამოსავლებად).

დ ა მ წ ვ ა რ ი მ ა გ ნ ე ზ ი ა

Magnesia usta

MgO

თეთრი, მსუბუქი ფხვნილია, წყალში არ იხსნება. ნელა იხსნება მარილმჟავაში.

აძლევენ შიგნით მარილმჟავას გასანიტირებულად კუჭში. ამასთან ნახშირორჟანგის გამოყოფა არ ხდება, რაც უპირატესობას აძლევს მას ნატრიუმბიკარბონატის წინაშე, რადგან არ ხდება CO_2 აირის ზეგავლენით სეკრეციის მეორადად გაძლიერება.

უნიშნავენ შიგნით 0,3—0,5 გ კუჭის წვეთში მომატებული მჟავიანობის დროს (მზავე გასტრიტები, წყლულოვანი დაავადება და სხვ.).

Rp.: Magnesiae ustae 0,5

D. t. d. 10.

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Natrii bicarbonici

Magnesiae ustae \overline{aa} 0,3

Extracti Belladonnae 0,015

M. f. p. D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში, კამის შემდეგ.

ა ე რ ო ნ ი

Aëronum

აერონი გამოშვებულია ტაბლეტებში. იგი შედგება:

ქაფურმჟავა სკოპოლამინისაგან — 0,04 ნაწილი

ქაფურმჟავა ჰიოსცინისაგან — 0,16 "

შაქრისაგან (ფხვნილი) 33 "

სახამებლისაგან 4 "

ტალკისაგან 3 "

აერონი თავისი მოქმედებით ახლოა ატროპინთან. ამცირებს პირღებინების ცენტრის აგზნებადობას და ამცირებს ლორწოვანი გარსისა და სანერწყვე ჯირკვლის სეკრეციას.

იხმარება გემით და თვითმფრინავით მოგზაურობის დროს გულსრევის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. იყენებენ აგრეთვე მენიერის დაავადების დროს.

მოგზაურობის დაწყებამდე 1 საათით ადრე ენიშნება ორი ტაბლეტი, თუ საჭირო შეიქნა, შეიძლება კიდევ 1 ტაბლეტის მიღება 6 საათის შემდეგ.

მენიერის დაავადების დროს ავადმყოფს ენიშნება თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

აერონს ხმარობენ აგრეთვე სახეზე ოპერაციის დროს, აძლევენ ოპერაციამდე 20—30 წუთით ადრე 2 ტაბლეტს, ხოლო ოპერაციის შემდეგ თითო ტაბლეტს 2-ჯერ დღეში, პირველი ორი დღის განმავლობაში.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორსულობის, გულისრევისა და პირღებინების შემთხვევებში.

შეუჩერებელი პირღებინების დროს აერონი შეიძლება ხმარებულ იქნეს სანთლების სახით.

თუ განვითარდა გაძლიერებული წყურვილი ან პირის სიმშრალე, უნდა მიეცეს წყალი ბლომად, კოფეინი — 0,05—0,1 გ.

აერონის მიღებისათვის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს გლაუკომით დაავადება.

უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 2 ტაბლეტი, უმაღლესი სადღეღამისო დოზა კი — 4 ტაბლეტი. გამოშვებულია ტაბლეტებში 10 ცალად.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Aëroni in tabulettis 10.

D. S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ჰ ის ტ ი დ ი ნ ი

Histidinum



ამინომჟეაა, რომელიც შედის ორგანიზმის ქსოვილების შემადგენლობაში.

ჰისტიდინის ქლორჰიდრატი იხმარება კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს და აგრეთვე ჰეპატიტების შემთხვევაში. კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებებიდან ჩანს, რომ იგი ხელს უწყობს საკმლის მომწელებელი ტრაქტის ლორწოვანი გარსის რეგენერაციას.

ხმარობენ 4%-იანი ხსნარის 5 მლ კუნთებში შესაყვანად. დღეში 1-ჯერ. სულ აკეთებენ 25—30 ინექციას.

გამოშვებულია 4% ხსნარი ამპულებში თითოში 5 მლ რაოდენობით.

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Histidini 4%—5,0

D. t. d. 20 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ კუნთებში შესაყვანად.

დედალონი

Dedalon

თავისი ქიმიური სტრუქტურით დედალონი წარმოადგენს 2—(ბენზილდრილოქსი) N·N — დიმეთილეთილამინ 8 — ქლორთეოფილს.

დედალონი ამცირებს ან საცხებით ხსნის ლაბირინთის აგზნების სიმპტომებს: თავბრუს, გულისრევას, პირღებინებას.

იხმარება ჰაერისა და ზღვის ავადმყოფობის პროფილაქტიკისათვის, ორსულთა შეუჩერებელი პირღებინების წინააღმდეგ, აგრეთვე მენიერის სიმპტომოკომპლექსის, ლაბირინთიტის, ვესტიბულარული დაავადების მოვლენების დროს. მას მიმართავენ შაკიკის, ნარკოზის შემდეგ პირღებინების ან მორთუუმის მიღებასთან დაკავშირებულ გულისრევის შემთხვევებში.

მიღების წესი: პროფილაქტიკის მიზნით 1—2 ტაბლეტი 1—2 საათით ადრე ჰაერში ან ზღვით მოგზაურობის დაწყებამდე, ხოლო სამკურნალოდ ყოველ 4—6 საათში 1—2 ტაბლეტი.

გამოშვებულია ტაბლეტებაში \bar{x} 0,05 გ.

Rp.: Dedaloni 0,05

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

აზოტმშავა ბისმუთი

Bismuthum subnitricum

აზოტმშავა ბისმუთი თეთრი ამორფული ფხვნილია. არ იხსნება წყალსა და სპირტში, იხსნება მჟავებში.

იხმარება შიგნით როგორც შემოკველი 0,3—0,5 გ 3-ჯერ დღეში, გარედან — მოსაყრელად წყლულებზე.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,25 და 0,5 გ.
ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ად-
გილას.

Rp.: Bismuthi subnitrici 0,5

D. t. d. 10

ს. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Suppositoriae Neoanusoli № 10

D. S. თითო სანთელი დღეში 1—2-ჯერ უკანა ტან-
ში ბუასილისა და ნახეთქების დროს.

(სანთლების შემადგენლობაში შედის: Bismuthi subnitrici 0,075

Tannini	0,05
Zinci oxydati	0,02
Jodi	0,005
Resorcini	0,005
Methyleni blau	0,003
Buthyri Cacao	2,0

აზოტმჟავა ვერცხლი, ლაისნი

Argentum nitricum

AgNO₃

უფერული, უსუნო, გამჟვირვალე, ფირფიტისებრი კრისტა-
ლებია ან თეთრი ცილინდრული ჩხირები (Argentum infernalis —
ჯოჯოხეთის ქვა), კარგად იხსნება წყალში და ცუდად — სპირტში.

აზოტმჟავა ვერცხლს აქვს შემზოქველი და ამომწვეელი თვისება.
მისი სუსტი ხსნარები (0,05—0,2%) იხმარება გამოსარეცხად, ხოლო
უფრო კონცენტრირებული (1%—2%) — ახალშობილის თვალებში
ჩასაწვეთებლად (კონცენტრაციის კარგად შემოწმების შემდეგ 1 წვე-
თი თითო თვალში), გონოკოკური დაავადების პროფილაქტიკისათ-
ვის და სხვ.

შიგნით ენიშნება გასტრიტებისა და კუჭის წყლულოვანი დაა-
ვადებების შემთხვევებში 0,05% ხსნარი სუფურის კოფით, ქამის წინ-
ხანგრძლივად ხმარების შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს
კანის შემაერთებელ ქსოვილებში ვერცხლის დალაგება, რის გამოც
ის ლებულობს მოშავო-რუხ ფერს (არგირია).

დოზები: უმაღლესი — ერთჯერადი — (შიგნით) 0,03 გ, სადღე-
ლამისო — 0,1 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) მილესილსაცობიან
ქილებში, ბნელ ადგილას.

Rp.: Solutionis Argenti nitrici 2%, 5,0

D. in vitro nigro

S. თვალში ერთი წვეთი (ხსნარის კონცენტრაცია უნდა იყოს ზუსტად დაცული).

Rp.: Solutionis Argenti nitrici 0,05%—200,0

D. S. თითო სუფრის კოვზი ჰამის წინ 3-ჯერ დღეში.

ალოეს მშრალი გამონაწვლილი

Extractum Aloës siccum

მუქი წაბლისფერი, მწარე გემოს მასაა. აძლევენ 0,015 — 0,1 გ აბებში, როგორც მსუბუქ სასაქმებელს.

კანქვეშ შესაშხაპუნებელი ალოეს ფოთლების წყლიანი გამონაწვლილი მზადდება აკადემიკოს ვ. პ. ფილატოვის მეთოდით. ფილატოვის დაკვირვებით, ამ გამონაწვლილს აქვს ორგანიზმის დაცვითი თვისებების გაძლიერების თვისება, იგი არის „ბიოგენური სტიმულატორი“.

გამონაწვლილს ხმარობენ თვალის სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში (ბლემფარიტის, კონიუნქტივიტის, კერატიტის, ირიტის, მინისებრი სხეულის და სხვ.), კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის, ქრონიკული ართრიტების წინააღმდეგ და სხვ.

პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ 1—2 მლ დღეში 1-ჯერ 30—35 დღის განმავლობაში. ბავშვებს უკეთებენ: 5 წლამდე — 0,2—0,3 მლ. 5 წ. ზევით — 0,5 მლ. თუ ინექციები ტკივილს იწვევს, უშხაპუნებენ წინდაწინ ნოვოკაინის 2% ხსნარის 0,5 მლ.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ.

ინახება ბნელსა და გრილ ადგილას.

მწარე ნაყენი

Tinctura amara

გამკვირვალე, წაბლისფერი, მწარე გემოს და არომატული სუნის სითხეა.

ხმარობენ მადის მოსაყვანად და საკმლის მონელების გაუმჯობესებისათვის ჰამის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე დღეში 3-ჯერ 10—20 წვეთის რაოდენობით.

Rp.: Tincturae amarae 25,0

D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში $\frac{1}{2}$ საათით ადრე ჰამამდე.

პიტნის ნაყენი

Tinctura Menthae piperitae

პიტნის ნაყენი გამკვირვალე, მომწვანო ფერის, პიტნის სუნისა და გემოს სითხეა.

იხმარება შიგნით 10—15 წვეთი ერთ მიღებაზე, გულისრევის, პირღებინების წინააღმდეგ და აგრეთვე როგორც სასტომაქო საშუალება.

Rp.: Tincturae Menthae piperitae 15,0

D. S. 15 წვეთი ერთ მიღებაზე.

პიტნის წყალი

Aqua Menthae piperitae

პიტნის წყალი გამკვირვალე ან ოდნავ მღვრიე, უფერულო სითხეა პიტნის სუნისა და გემოსი.

მზადდება პიტნის ზეთისა და წყლისაგან (1:1000).

იხმარება მიქსტურებში როგორც სუნისა და გემოს გამოსაქეთებელი საშუალება და აგრეთვე პირში გამოსავლებად.

Rp.: Aquae Menthae piperitae

Aquae Chloroformii aa 100,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 4 — 5-ჯერ დღეში.

ქლოროფორმინი წყალი

Aqua Chloroformii

ქლოროფორმის წყალი შეიცავს 0,5%-მდე ქლოროფორმს.

იხმარება შიგნით პირღებინების წინააღმდეგ, გასტრალგიების დროს.

Rp.: Aquae Chloroformii

Aquae Menthae piperitae aa 100,0

M. D. S. 3 — 4 ჯერ დღეში თითო სუფრის კოვზი.

წყავის წყალი

Aqua Laurocerasi

წყავის წყალი უნდა შეიცავდეს 0,09 — 0,11% ციანწყალბადს. აქედან 0,02% თავისუფალია, დანარჩენი კი შეკავშირებული — ბენზოლდეჰიდციანჰიდრინის სახით.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც მწარე ნუშის წყალი.

Rp.: Aquae Laurocerasi 20,0

D. S. 10 — 15 წვეთი 3-ჯერ დღეში.

მწარე ნუშის წყალი

Aqua Amygdalarum amararum

უფერული, გამჟღავნებელი ან ოდნავ მღვრიე, მწარე ნუშის ძლიერი სუნის სითხეა. შეიცავს 0,1% ციანწყალბადს. იხმარება წამლისათვის გემოს მისაცემად.

დოზა: 10 — 20 წვეთი, დღე-ღამეში 60 წვეთამდე (უმაღლესი დოზა).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B-ზე) კარგად დახურულ ნარინჯისფერ შუშაში, გრილ და ბნელ ადგილას.

უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,8 მლ (30 წვეთი).

უმაღლესი სადღეღამისო დოზა — 1,6 მლ (60 წვეთი).

Rp.: Aquae Amygdalarum amararum 20,0

D. S. 10 — 15 წვეთი 3-ჯერ დღეში.

პ ა ნ კ რ ე ა ტ ი ნ ი

Pancreatinum

პანკრეატინი მზადდება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუჭ-ქვეშა ჯირკვლიდან.

იგი ამორფული ფხვნილია, მოყვითალო ფერის; წყალში იხსნება ძნელად, სპირტში არ იხსნება.

შეიცავს პანკრეასის ძირითად ფერმენტებს — ტრიპსინსა და ამილაზას.

იხმარება აქილიის, ანაციდური და სუბაციდური გასტრიტების, პანკრეატიტების და ქრონიკული ენტეროკოლიტების დროს, უნიშნავენ 0,5 გ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ მოგვიანებით (1 — 2 საათის შემდეგ).

ბავშვებს აძლევენ დღეში 3-ჯერ 0,1 — 0,3 გ. გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ო 0,5 გ.

ინახება მინის ქილებში მშრალ და გრილ ადგილას.


Rp.: Pancreatini 0,5

D. t. d. in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

პილოკარპინი ქლორწყალბადმეხავა

Pilocarpinum hydrochloricum



პილოკარპინს ლეხულობენ მცენარე *Pilocarpus pinnatifolius laborandi*-დან, რომელიც იზრდება ბრაზილიაში.

ქლორწყალბადმეხავა პილოკარპინი უფერული, უსუნო კრისტალური ფხვნილია; ადვილად იხსნება წყალში (1:1) და სპირტში (1:5), ლღობის ტემპერატურაა 195—200°. საბჭოთა კავშირში მიღებულია სინთეზური გზით.

პილოკარპინი იწვევს საკმლის მომნელებელი ტრაქტისა და ბრონქული ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერებას და ოფლის დენას, მაგრამ პრაქტიკაში გამოყენებულია უმთავრესად როგორც თვალის გუგის შემავიწროებელი და თვალისშიგნითა წნევის დამწვევი (გლაუკომის დროს) საშუალება.

უნიზნავენ (გლაუკომის დროს) 1—2%-იანი ხსნარის 1—2 წვეთს თვალის უბეში დღეში 1—2-ჯერ ან 1—5% მალაჰოს სახით გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება დაკეტულ კარადაში (კარადა A), კარგად დახურულ ქილებში, მშრალ ადგილას.

Rp.: Pilocarpini hydrochlorici 0,1
Aquae destillatae 10,0
M. D. S. 1—2 წვეთი თვალის უბეში დღეში
1—2-ჯერ.

Rp.: Pilocarpini hydrochlorici 0,2
Vasellini albi 20,0
M. f. unguentum
D. S. თვალის მალაჰო.

ა ლ ო ჭ ო ლ ი

Allocoholum

ალოქოლის ერთი ტაბლეტის შემადგენლობაში შედის: ნიერის მშრალი გამონაწვლილი 0,04 გ, კინკრის მშრალი გამონაწვლილი

0,005 გ, ცხოველის მშრალი ნალველი 0,08 გ, აქტივირებული ნა-
ზშირი 0,025 გ.

ალოქოლი აძლიერებს ღვიძლის უჯრედების სეკრეტორულ ფუნქციას, კუჭ-ნაწლავისა და ნალვლის სადინარების მოძრაობითს მოქმედებას, ამცირებს დუდილის და ლპობითს პროცესებს ნაწლა-
ვებში.

ალოქოლი იხმარება ღვიძლისა და ნალვლის სადინარების მწვა-
ვე და ქრონიკული დაავადებებისა და აგრეთვე ქრონიკული ატონი-
ური ხასიათის შეკრულობების შემთხვევებში. მისი ხმარება ნაჩვენე-
ბია ჰეპატიტების, ქოლეცისტიტების, ქოლანგიტებისა და აგრეთვე
ფეოქტურია ღვიძლის კენჭოვანი დაავადებებისას.

იგი პროფილაქტიკური მიზნით ავადმყოფებს ეძლევა ზემოთ
აღნიშნული დაავადებების გამწვავების საწინააღმდეგოდ.

ალოქოლი ავადმყოფებს ენიშნება დღეში 3-ჯერ 1—2 ტაბ-
ლეტი (0,3) ჰამის შემდეგ ან თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში. მკურ-
ნალობა გრძელდება 1 თვემდე.

პროფილაქტიკური მიზნით ალოქოლი ენიშნება თითო ტაბლე-
ტი (0,3) 2—3-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ 1—2 თვის განმავლო-
ბაში. 3 თვით შესვენების შემდეგ შეიძლება განმეორებულ იქნეს
პრეპარატის მიღება.

ალოქოლი არ იძლევა თანამოვლენებს.

გამოშვებულია დრაჟირებული ტაბლეტების სახით à 0,3 გ, 50
ცალად ფლაკონებში.

Rp.: Allocholi 0,3

D. t. d. 50 in tabulettis

S. 1—2 ტაბლეტი 3 ჯერ დღეში ჰამის შემდეგ.

დ ე ქ ო ლ ი ნ ი

Decholinum

წარმოადგენს დეჰიდროქოლინის მკაეის ნატრიუმის მარილს.
კარგად იხსნება წყალში. იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც ქოლო-
გონი.

უნიშნავენ ვენაში შესაყვანად დღეში 1-ჯერ 5%-იანი ხსნარის
5—10 მლ, თანდათანობით გადადიან 20%-იანი ხსნარის 2—10 მლ.
ავადმყოფს აძლევენ პრეპარატს 3 დღის განმავლობაში, შემდეგ
ისვენებენ 2—3 დღეს და ა. შ.

გამოშვებულია ამპულებში à 5 მლ 5% და 20%-იანი ხსნა-
რის სახით.

Rp.: Solutionis Decholini 20% — 5,0

D. t. d. 6 in ampulis

S. 5 მლ 1-ჯერ დღეში ვენაში შესაყვანად.

ლიპოკაინი

Lipocainum

ლიპოკაინი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული პრეპარატია.

ოდნავ მოყვითალო ფხვნილია, იხსნება წყალში.

იხმარება როგორც ლიპოტროპული საშუალება ღვიძლის ცხიმოვანი ინფილტრაციის შესამცირებლად (ჰეპატიტების, ბოტკინის დაავადების, ცხიმოვანი დისტროფიის, ციროზების დროს) და შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში.

კარგად მოქმედებს კორონარული ათეროსკლეროზის დროს.

უნიშნავენ შიგნით 0,1—0,2 გ 2—3-ჯერ 10—20 დღის განმავლობაში და განმეორებით ასეთსავე დოზებში შესვენების შემდეგ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში $\dot{\alpha}$ 0,1 გ. ინახება მოფრთხილებით მშრალ ადგილას 15—18° ტემპერატურის პირობებში.

Rp.: Lipocaini 0,1

D. t. d. 50 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ხოლოსასი

Cholosas

ხოლოსასი წარმოადგენს ასკილის ნაყოფის გამონაწვლილს. სქელი, წაბლისფერი, თავისებური სუნის და გემოს სითხეა.

იხმარება ქოლეცისტიტების, ქოლანგიტების, ჰეპატიტების დროს.

უნიშნავენ შიგნით თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში 15 წუთით ადრე ჭამამდე; ბავშვებს კი $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ ჩაის კოვზს 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფლაკონებში 250 გ რაოდენობით.

Rp.: Cholosasi 250,0

D. S. თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ქოლენზიმი

Cholenzymum

ქოლენზიმი მზადდება ჯანსაღი პირუტყვის ნაღვლისაგან და კუჭქვეშა ჯირკვლისა ან ნაწლავების ფერჰენტებისაგან. მას აქვს ნაღვლისდამდენი თვისება.

იხმარება ჰეპატიტების, ქოლეცისტიტების დროს და ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების შემთხვევებში (ქრონიკული გასტრიტები, აქილია, ქრონიკული ენტეროკოლიტი).

გამოშვებულია დრაჟეს სახით à 0,5 გ, მინის ქილებში 50 — 100 ცალად.

დოზა: 1 — 3-ჯერ თითო ტაბლეტი კამის შემდეგ. ტოქსიკურობა არ ახასიათებს.

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას. ვარგისია 1 წლის განმავლობაში.


Rp.: Cholenzymi 0,5

D. t. d. 50 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, კამის შემდეგ.

ქოლოგონი

Chologonum



ქოლოგონი თეთრი, კრისტალური, უსუნო და მწარე გემოს ფხენილია. თითქმის არ იხსნება წყალში; იხსნება სპირტში, ლლობის ტემპერატურაა 230 — 237°.

იხმარება ქოლანგიტებისა და ქრონიკული ქოლეცისტიტების შემთხვევაში.

იგი იწვევს ღვიძლის უჯრედების გაღიზიანებას და ნაღვლის წარმოშობის გაძლიერებას. აძლიერებს აგრეთვე დიურეზს.

უნიშნავენ შიგნით 0,25 — 0,5 გ 3-ჯერ დღეში, ბავშვებს 1 წლამდე — 0,01 გ; 2—5 წ. — 0,03 გ; 6 — 12 წ. — 0,2 გ 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,25 გ.

ინახება კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში მშრალსა და გრილ ადგილას.

Rp.: Chologoni 0,25

D. t. d. 20 in tabulettis

S. 1 — 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ლ ე ი ც ი ნ ი

Leicinum

პრეპარატი შეიცავს: ლეიცინს 3%, გლუტამინმეფავს 0,5%, გლიცინს 3%, გლუკოზას 10%, სორბოზას 5%, ნატრიუმქლორიდს 1% და წყალს 100%-დგ; გამკვირვალე უფერული სითხეა.

იხმარება ღვიძლის დაავადების, ანემიებისა და ტოქსიკოზების დროს; ნევროპათოლოგიურ პრაქტიკაში — ნევრიტების, პოლინევრიტების, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებისა და კუნთების დისტროფიების დროს, იხმარება აგრეთვე შიზოფრენიის, პრესენილური ფსიქოზებისა და ასთენიების შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით 1 — 2 სუფრის კოვზს 2 — 3-ჯერ დღეში 1 — 1 1/2 თვის განმავლობაში ან ვენაში შეყვანით 10 — 20 მლ დღე-გამოშვებით, სულ 15 — 20 ინექციას.

უკუჩვენებას წარმოადგენს: შაქრიანი დიაბეტი, თირკმლების დიაბეტი, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. გამოშვებულია ფლაკონებში შიგნით მისაღებად და ამპულებში à 10 და 20 მლ.

ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ ადგილას.

Rp.: Leicini 20,0

D. t. d. 20 in ampulis

S. 10 — 20 მლ დღეგამოშვებით შეჰყავთ ვენაში.

კოწახური ჩვეულაბრივი

Berberis vulgaris L.

შედიცინაში გამოყენებულია ჩვეულბრივი კოწახურის ფოთლების 20% ალკოჰოლნაყენი 40° სპირტზე. სითხე მუქი ყვითელი ფერისაა, ოღნავ მკავე გემოსი და თავისებური სუნისა.

მისი ფარმაკოლოგიური მოქმედება დამოკიდებულია უმთავრესად ბერბერინისაგან, რომელსაც იგი შეიცავს.

იწვევს გლუვი კუნთების შეკუმშვას და სისხლძარღვთა შევიწროებას. აქვს ქოლაგოგური თვისებაც.

იხმარება მშობიარობის შემდეგ ატონიური სისხლის დენის დროს და აგრეთვე ქოლეცისტიტებისა და ღვიძლის კენჭოვანი დაავადების შემთხვევაში.

ავადმყოფს ეძლევა 30 — 40 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში, 2 — 3 კვირის განმავლობაში.

ინახება გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას:

Rp.: Tincturae foliorum Berberis vulgaris 50,0

D. S. 30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

კოფაასური ამურის

Berberis amurensis

დამზადება, მოქმედება და გამოყენება იგივეა, რაც ჩვეულებრივი კოფაასურისა.

ა ლ ი ლ ს ა ტ ი

Allilsat

წარმოადგენს ნივრის ბოლქვების სპირტიან (40%) გამონაწვლილს. გამჭვირვალე სითხეა, აქვს ნივრის სუნი.

იხმარება ნაწლავებში ლპობითი და დუდილის პროცესების დროს, ნაწლავების ატონიისა და ქრონიკული კოლიტების შემთხვევაში. აგრეთვე არტერიოსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ.

ალილსატის დანიშვნას ისე, როგორც ნივრის სხვა პრეპარატების, ერიდებიან თირკმლების დაავადების შემთხვევებში, შესაძლებელი გამწვავების გამო.

დოზა მოზრდილთათვის 15 — 25 წვეთი რძეზე 2 — 3-ჯერ დღეში. გამოშვებულია მინის შუშებში à 30 მლ.

Rp.: Allilsati 30,0

D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ა ლ ი ლ ჩ ე პ ი

Allilcep

ალილჩეპი წარმოადგენს ხახვის (*Allium cepa*) სპირტიან გამონაწვლილს. იგი არის გამჭვირვალე, ბაცი მოყვითალო ფერის, ხახ-

ვის სუნის სითხე. ახდენს მასტიმულირებელ გავლენას გლუვ კუნ-
თებზე და ნაწლავის სეკრეტორულ ფუნქციაზე.

იხმარება ნაწლავების ატონიისა და ქრონიკული კოლიტების
დროს. ზოგჯერ არტერიოსკლეროზის საწინააღმდეგოდ.

დოზა: 20 — 30 წვეთი 3-ჯერ დღეში 15 წუთით ადრე ჭამამ-
დე 3 — 4 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია მინის შუშებში à 50 მლ.

ინახება გრილ ადგილას.

ვარგისიანობის ვადაა 1 წელი.

Rp.: Allilcepi 50,0

D. S. 25 წვეთი 3-ჯერ დღეში 15 წუთით წინ ჭა-
მამდე.

ბააპბივებული ნახშირი

Carbo activatus

ქარბოლენი Carbolenum

გააქტივებული ნახშირი გამოშვებულია კოლოფებში 30 გ რა-
ოდენობით, კარბოლენი კი ტაბლეტებში. თითო ტაბლეტი შეიცავს
გააქტივებული ნახშირის 0,5 გ.

იხმარება შიგნით დისპეფსიების, მეტეორიზმის, კუჭ-ნაწლავის
სხვადასხვა ინფექციური დაავადებების დროს (დიზენტერია), ალი-
მენტური ინტოქსიკაციების, (ბოტულიზმი, ძეხვი, სოკო) და მძიმე
ლითონებითა (სინდიყი, ტყვია) და ალკალოიდებით მოწამვლის შემ-
თხვევებში (მოზინი, სტრიქნინი, ატროპინი და სხვ.).

მეტეორიზმის წინააღმდეგ აძლევენ თითო ტაბლეტს დღეში
4-ჯერ.

მწვავე მოწამვლის დროს კი უნიშნავენ 20 გ ნახშირს $\frac{1}{2}$ ჭიქა
წყალში, ამის შემდეგ კუჭის ამორეცხვას და საფაღარათოს.

Rp.: Carboleni 30,0

D. S. ორ მიღებაზე $\frac{1}{2}$ ჭიქა წყალში, შეანჯღრიოს
და დალიოს.

Rp.: Carboleni iu tabulettis 1 კოლოფი

D. S. თითო ტაბლეტი დღეში 4 — 5-ჯერ.

იმერული ხეხილას თხიერი გამონაწვლილი

Extractum fluidum Rhamni imeretinae

ეს პრეპარატი მზადდება იმერული ხეჭრელას ქერქიდან. იმე-
რული ხეჭრელა 2 — 3 მეტრის სიმაღლის მრავალღეროიანი ბუჩქია,

რომელიც იზრდება დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად მთიან ადგილებში, სუბალპურ ზონაში.

ხალხურ მედიცინაში ხეჭრელა ძველი დროიდანვე იხმარებოდა როგორც საფლარათო საშუალება, მისი ნაყოფიდან კი მზადდებოდა ცხელებისა და წყალმანკის საწინააღმდეგო საშუალება.

საექიმო პრაქტიკაში ხმარებაშია მტვრევადი, ამერიკული და საფლარათო ხეჭრელადან მიღებული პრეპარატები. იმერულმა ხეჭრელამ ამ მხრივ პირველად მიიქცია თბილისის ფარმაკოპიშიური ინსტიტუტის ყურადღება; დამზადებულ იქნა სითხოვანი გამონაწვლილი (ა. მშვიდლობაძე), რომელიც შეიცავს ძირითადად იმავე კომპონენტებს, რასაც ამერიკული ხეჭრელას ანალოგიური პრეპარატი და კიდევ დამატებით სხვა ნივთიერებას, რომლითაც ის განსხვავდება თავისი მონათესავე სახეებისაგან.

იმერული ხეჭრელას სითხოვანი გამონაწვლილი მწარე გემოს, მოწითალო-წაბლისფერია, გამჭვირვალე; 1:1-ზე განზავებისას იმღვრება.

კლინიკური დაკვირვებებით გამოკვლეულია, რომ იმერული ხეჭრელას სითხოვან გამონაწვლილს იგივე მოქმედება ახასიათებს, რაც სხვა ხეჭრელას პრეპარატებს. ამიტომ იხმარება როგორც ნაზი საფლარათო საშუალება; მოქმედებს წამლის მიღებიდან 8—12 საათის შემდეგ.

დოზა: ერთი-ორი ჩაის კოვზი 1-ჯერ დღეში.

იმერული ხეჭრელას სითხოვანი გამონაწვლილი საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის დადგენილებით (ოქმი № II, 19. II — 1947 წ.) მიღებულია როგორც ნაზი საფლარათო საშუალება.

Rp.: Extracti fluidi Rhamni imeretinae 200,0

D. S. 1—2 ჩაის კოვზი 1-ჯერ დღეში ძილის წინ.

ხეჭრელას მშრალი გამონაწვლილი

Extractum Frangulae siccum

ხეჭრელას მშრალი გამონაწვლილი ზანგელა ფერის, თავისებური სუნისა და მომწარო გემოს ფხვნილია.

იხმარება ქრონიკული შეკრულობის დროს 1—2 ტაბლეტი სათამოს. კუჭის მოქმედება ხდება 10—12 საათის შემდეგ ფაფისებური მასით.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,2 გ.

Rp.: Extracti Frangulae spissi 4,0
 Pulveris radices Rhei 3,0
 Extracti Belladonnae 0,1
 Massae pil. q. s. ut. f. pil. 30
 D. S. 1—2 აბი ძილის წინ.

Rp.: Extracti Frangulae sicci 0,2
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. 1—2 ტაბლეტი ძილის წინ.

ხეჭრელას სითხოვანი გამონაწვლილი

Extractum Frangulae fluidum


ხეჭრელას სითხოვანი გამონაწვლილი მუქი მიხაკისფერი, მწარე გემოს სითხეა.

ხმარებაშია როგორც საფალარათო საშუალება, 20 — 40 წვეთი ერთ მიღებაზე ძილის წინ.

Rp.: Extracti Frangulae fluidi 50,0
 D. S. 20—40 წვეთი სალამოს.

იზაფენინი

Isapheninum



თეთრი, მსუბუქი ფხვნილია, ძმარმეავას სუსტი სუნისა. არ იხსნება წყალსა და სპირტში. იხსნება მდულარე ძმარმეავაში (1:10).

მოქმედების მხრივ იგი ახლოსაა ფენოლფტალეინთან, მხოლოდ ნაკლებ ტოქსიკურია, არ აღიზიანებს თირკმლებს.

იხმარება როგორც საფალარათო საშუალება ქრონიკული შუკ-რულობების დროს.

უნიშნავენ შიგნით მოზრდილებს 0,01—0,015 გ (1—1,5 ტაბლეტს) 2-ჯერ დღეში ან ერთჯერად 0,02 გ (2 ტაბლეტს). მოქმედების ეფექტი პრეპარატის მიღებიდან ჩვეულებრივ 8—10 საათის შემდეგ იწყება.

ბავშვებს აძლევენ $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ ტაბლეტს 1—2 ჯერ დღეში.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,025 გ, სადღელამისო — 0,05 გ.

გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 0,01 გ.

ინახავენ მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქი-ლებში მშრალ ადგილას.

Rp.: Isapheuini 0,01

D. t. d. 10 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

პ უ რ გ ე ნ ი

Purgenum

ტაბლეტებია, რომლებიც შეიცავს ფენოლფტალეინის 0,1 გ. იხმარება როგორც საფალარათო (Laxantia) საშუალება. უნი-შნავენ 1 ტაბლეტს 1—3-ჯერ დღეში.

არ შეიძლება მიღება ხანგრძლივად, რადგან მას აქვს კუმუ-ლაციის თვისება და იწვევს თირკმლების გაღიზიანებას.

Rp.: Purgeni 0,1

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

რეჰანდის (Rheum) პრეპარატები

მოქმედი საწყისი შეიცავს გლუკოზიდების ორ ჯგუფს:

1. ანტრაგლიკოზიდებს, რომლებიც იძლევა ქრიზოფანის შეა-ვას, რეინსა და რეოგმოდინს.

2. ტანოგლიკოზიდებს, რომლებიც იძლევა რევანდმორიმლავ შეავას. პრეპარატის მცირე დოზებში (0,05—0,3 გ) სჭარბობს ტანოგლიკოზიდების მოქმედება და იხმარება როგორც შემზოქველი

(შემკვრელი) საშუალება, ხოლო დიდ დოზებში ხმარების დროს (0,5 — 1—2 გ) სჭარბობს ანტრაგლიკოზიდების მოქმედება, რაც იწვევს პერისტალტიკის გაძლიერებას და ამიტომ უნიშნავენ როგორც საფალარათოს.

რევანდის პრეპარატებია:

რევანდის ფხენილი (Pulvis Rhei) — ნარინჯისფერ-ყვითელი ფხენილია.

უნიშნავენ ფხენილებში, ტაბლეტებსა და აბებში; მოზრდილებს—0,5 — 2 გ ერთ მიღებაზე; ბავშვებს — 0,1— 0,5 გ თითო მიღებაზე.

იწვევს კუჭის მოქმედებას ფაფისებრი კონსისტენციის მასით.

რევანდის სპირტიანი ნაყენი

Tinctura Rhei amara spirituosa

რევანდის სპირტიანი ნაყენი გამჭვირვალე, მუქი ზანგელა მოწითალო ფერის, თავისებური არომატული სუნის, მწარე გემოს, რთული ნემადგენლობის სითხეა.

იხმარება როგორც მადის მომგვრელი, მეტეოროიზმის და შეკრულობის წინააღმდეგ $\frac{1}{2}$ —1 ჩაის კოვზი, 2-ჯერ დღეში ჭამის წინ.

Rp.: Tabulettae radices Rhei 0,5

D. t. d. 10

S. 1 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Pulveris radices Rhei

Magnesiae ustae \overline{aa} 0,3

Extracti Belladonnae 0,015

M. f. p. D. t. d. 10

S. 1 ფხენილი 2—3-ჯერ დღეში (საფალარათო).

ღვალოს თხიერი ექსტრაქტი

Extractum fluidum Rumicis

ეს პრეპარატი მზადდება ალბიური ღვალოს ფესვებიდან. ღვალო ჩვენში გვხვდება თითქმის ყველგან, განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში. იგი წარმოადგენს ბალახოვან მრავალწლიან მცენარეს, სიმალლით 2 მეტრამდე.

ხალხურ მედიცინაში ღვალოს გამოყენება ჰქონდა ფალარათობის, ტუბერკულოზის, სხვადასხვა გამონაყარის წინააღმდეგ. ძველი

ექიმები მას ხმარობდნენ ცხელების, სიყვითლის, სკორბუტის და მეტეორიზმის დროს.

საქართველოში (ბ. ქუმბურიძე) მოზარდი ღვალოს ფესვებიდან მომზადებულ იქნა სითხოვანი გამონაწვლილი, რომელიც შესწავლილ იქნა როგორც საფალარათო საშუალება.

კლინიკურმა დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ღვალოს სითხოვანი გამონაწვლილის 8—10 მლ იწვევს კუჭის მოქმედებას ერთხელ, თხიერი მასით, ყოველგვარი თანამოვლენის გარეშე. უმრავლეს შემთხვევაში ეს მოქმედება წამლის მიღებიდან 7—12 საათის შემდეგ ხდება.

დოზა: 8—10 მლ, ერთჯერ დღეში საღამომით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ ნებადართულია (ოქმი № 6, 6/IV—1942 წ.) ღვალოს სითხოვანი გამონაწვლილის გამოშვება, როგორც ნაზი საფალარათო საშუალებისა, ფართო მოხმარებისათვის.

Rp.: Extracti fluidi Rumicis 200,0

D. S. 10 მლ 1-ჯერ დღეში, საღამოს.

ღვალოს წვენი

Succus Rumicis

პრეპარატი მზადდება ალპიური ღვალოს ფესვებიდან. იხმარება როგორც ნაზი საფალარათო საშუალება ღვალოს სითხოვანი გამონაწვლილის ანალოგიურად. ავადმყოფებს ღვალოს წვენი ენიშნებათ დღეში ერთჯერ 1—2 სუფრის კოვზის რაოდენობით. კუჭის მოქმედება ჩვეულებრივად ხდება პრეპარატის მიღებიდან 10—12 საათის შემდეგ, ფაფისებრი მასის სახით, ერთხელ ან ორჯერ. არ იჩენს თანამოვლენას.

Rp.: Succii Rumicis 200,0

D. S. 1—2 სუფრის კოვზი ერთჯერ დღეში.

კაპადოკიური ყვავისფრჩხილას სითხოვანი გამონაწვლილი

Extractum fluidum coronillae cappadocicae

კაპადოკიური ყვავისფრჩხილა მრავალწლიანი მცენარეა, რომელიც იზრდება ჩვენში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ მცენარის სხვადასხვა ნაწილიდან (ფოთლები, ღერო, ფესვები) მზადდება სითხოვანი გამონაწვლილი.

იგი იხმარება როგორც ნაზი საფაღარათო საშუალება; მასთან ეს თვისება უფრო გამოხატული აქვს ფოთლებიდან მომზადებულ გამოწვლილს. კუჭის მოქმედება ჩვეულებრივად ხდება წამლის მიღებიდან 8 — 10 საათის გასვლის შემდეგ, ამიტომ მის მიღებას ურჩევენ ძილის წინ.

დოზა: 5 — 6 მლ ერთხელ ძილის წინ.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით (29. IX-1945 წ.) კაპადოკიური ყვავისფრჩხილიდან მომზადებული სითხოვანი გამოწვლილი შემოღებულია ხმარებაში როგორც ნაზი საფაღარათო საშუალება.

Rp.: Extracti fluidi coronillae cappadocicae 100,0

D. S. ერთი ჩაის კოვზი ძილის წინ.

კარლოვნი ვარის ხელოვნური მარილი

Sal Carolinum factitium

თეთრი ფხვნილია, იხსნება წყალში (1:40), შეიცავს ნატრიუმის სულფატის 22 ნაწილს, ნატრიუმის ბიკარბონატს 18 ნაწილს, ნატრიუმის ქლორიდს 9 ნაწილს, კალიუმის სულფატს 1 ნაწილს.

ხმარობენ საფაღარათოდ 1 ჩაის კოვზიდან 1 სუფრის კოვზამდე, ერთ მიღებაზე $\frac{1}{2}$ ჩაის კიკა წყალში გახსნილს.

ბავშვებს აძლევენ 1 ჩაის კოვზს გახსნილს წყალზე.

Rp.: Salis Carolini facticii 30,0

D. S. ერთი-ორი ჩაის კოვზი $\frac{1}{2}$ ჩაის კიკა თბილ წყალზე საღამოს.

რიცინის ზეთი

Oleum Ricini

რიცინის ზეთს ლებულობენ მცენარე Ricinus communis-ის კანგაცილი თესლისაგან.

იგი გამჭვირვალე, სქელი, უფერული ან ოდნავ მოყვითალო ფერის, უსიამოვნო სუნისა და გემოს სითხეა.

რიცინის ზეთს აქვს ფართო გამოყენება როგორც საფაღარათო საშუალებას. შიგნით მიღებისას ნაწლავებში ის იშლება გლიცერინად და რიცინოლის მჟავად, რომელიც აღიზიანებს ნაწლავების რეკტორებს და იწვევს პერისტალტიკის გაძლიერებას.

მოქმედების ეფექტი ჩვეულებრივად პრეპარატის მიღებიდან 5 — 6 საათის შემდეგ იწყება.

უნეშნავენ შიგნით 15 — 30 გ ერთ მიღებაზე, ბავშვებს — 5 — 15 გ ელატინის რბილ კაფსულებში ცუდი სუნისა და გემოს გამო.

Rp.: Olei Ricini 30,0
D. S. ერთ მიღებაზე.

Rp.: Olei Ricini 3,0
D. t. d. 10 in capsulis gelatinosis
S. ერთ მიღებაზე.

ვ ა ზ ე ლ ი ნ ი ს ჯ ე თ ი

Oleum Vaselini

უფერული ზეთისებური სითხეა, უსუნო და უგემო. არ იხსნება წყალსა და სპირტში. კუთრი წონაა 0,875 — 0,890.


იხმარება შიგნით როგორც საფალარათო საშუალება 1—2 სუფრის კოვზი ერთ მიღებაზე და აგრეთვე როგორც ფუძე მალა-მოებისათვის.

Rp.: Olei Vaselini 100,0
D. S. ერთი სუფრის კოვზი ერთ მიღებაზე.

Rp.: Olei Vaselini 100,0
Olei Menthae piperitae gtlis II
M. D. S. ერთი სუფრის კოვზი ერთ მიღებაზე.

ნ ა ტ რ ი უ მ ი ს ს უ ლ ფ ა ტ ი

Natrium sulfuricum



ნატრიუმის სულფატი — გოგირდმეცავ ნატრიუმი — გლაუბერის მარილი, უფერული, გამჭვირვალე, მომწარო-მლაშე გემოს კრისტალებია. ადვილად იხსნება ცივ წყალში (1:3), უკეთესად — ცხელში (3.1), არ იხსნება სპირტში.

იხმარება როგორც საფალარათო 15 — 30 გ $\frac{1}{2}$ — 1 ჭიქა წყალში ერთ მიღებაზე, ბავშვებს ეძლევა 1 გ ასაკის ყოველ წელზე.

მოქმედებს 4 — 6 საათის შემდეგ; კონცენტრული ხსნარები მოქმედებს იწვევენ უფრო მოგვიანებით.

Rp.: Natrii sulfurici 25,0
D. S. ერთ მიღებაზე ერთი ჩაის ჭიქა წყლით.

Rp.: Solutionis Natrii sulfurici 20% — 200,0
D. S. სუფრის კოვზი დღეში 4-ჯერ.

ინგლისური მარილი — მაგნიუმსულფატი
კრისტალური, მწარე მარილი

Magnesia sulfurica crystallisata, s. Sal amarum

უფერული პრიზმატული კრისტალებია, ადვილად იხსნება წყალში (1:1 ცივში და 3,3 1 მღულარეში), ძლიერ მცივრედ იხსნება სპირტში. ხსნარს აქვს მწარე, მლაშე გემო.

მაგნიუმსულფატს აქვს ფართო გამოყენება როგორც დამამშვიდებელ, სპაზმოლიზურ, საფაღარათო და ნაღვლისწდენ საშუალებას.

კრუნჩხვების დროს შეჰყავთ კუნთებში 25% ხსნარის 5—10—20 მლ.

ჰიპერტონიული დაავადების წინააღმდეგ ხმარობენ 25% ხსნარის 5—10—20 მლ კუნთებში ყოველდღე 2—3 კვირის განმავლობაში.

როგორც საფაღარათო საშუალებას უნიშნავენ შიგნით 25—30 გ, გახსნილს $\frac{1}{2}$ კიკა წყალში, ერთხელ. ბავშვებს კი — 1 გ ასაკის ყოველ წელზე.

ნაღვლის გამოსადენად აძლევენ 25% ხსნარს სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში ან დუოდენალური ზონდით 33% შემთბარ ხსნარს 30—45 მლ რაოდენობით.

მაგნიუმის სულფატი იხმარება ზოგი ნივთიერებით მოწამვლის შემთხვევებში (ბარიუმის მარილებით, სინდიყით, დარიშხანით და სხვ.). უმხაპუნებენ ვენაში 10% ხსნარის 5—10 მლ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში, 25% ხსნარის 5—10 და 20 მლ, ფხვნილის სახით ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Solutionis Magnesii sulfurici 25% 10,0

D. t. d. 10 in ampulis

S. დღეში 1-ჯერ თითო ამპულა კუნთებში.

Rp.: Magnesii sulfurici 30,0

D. S. ერთ მიღებაზე $\frac{1}{2}$ კიკა წყალში გახსნილი საფაღარათო.

ბატალინის მინერალური წყალი

ბატალინის მინერალური წყალი შეიცავს მაგნიუმისა და ნატრიუმის სულფატებს (13,35 გ 1 ლიტრზე).

იყენებენ როგორც საფაღარათო საშუალებას 1—1,5 კიქის რაოდენობით, უზმოზე.

კ ა ლ ო მ ე ლ ი

Calomel s. Hydrargyrum chloratum mite
 Hg_2Cl_2

მდიმე, თეთრი ან ოდნავ მოყვითალო, წკრილკრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, სპირტსა და ეთერში.

იხმარება (ამჟამად იშვიათად) როგორც ნაზი საფალარათო და ნალელისმდენი საშუალება, აქვს დიურეზული თვისებაც.

აძლევენ შიგნით მოზრდილებს 0,1 — 0,5 გ, ბავშვებს — 0,02 — 0,05 გ. უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,5 გ. სადღეღამისო — 1 გ; ბავშვებისათვის — 7—9 წლის ასაკში — ერთ-ჯერადი — 0,05 გ, სადღეღამისო — 0,15 გ; 10—14 წ. — ერთჯერადი 0,05 — 0,75 გ, სადღეღამისო — 0,15 — 0,2 გ. ბავშვებს 7 წლამდე არ უნიშნავენ.

კალომელის ფხვნილების შენახვა დიდხანს არ შეიძლება; კალომელის მიღების დროს არ შეიძლება მლაშე და მცავე საქმელის ხმარება.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება შოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდახურულ ნარინჯისფერ მინის კილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

გვირილას ყვავილები

Flores Chamomillae

მას აქვს ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური და გამაუტკივარებელი თვისება.

იხმარება შიგნით როგორც ოფლისმდენი საშუალება, ოყნებით — მეტეორიზმის, ნაწლავების სპაზმისა და ფალარათობის დროს, აგრეთვე პირში გამოსავლებად და საფენებისათვის.

ერთ ჩაის კოვხს აყენებენ 1 კიკა მდულარე წყალზე, წურავენ და ღებულობენ $\frac{1}{4}$ კიკას როგორც ჩაის, დღეში 3 — 4 ჯერ.

დეალურას სითხროვანი გამონაწვლილი

Extractum fluidum Polygoni carnei

დეალურა (*Polygonum carneum*) მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საქართველოში იზრდება ყველგან, განსაკუთრებით სუბალპურ და ალპურ ზონებში.

ხალხურ მედიცინაში დეალურას ჰქონდა ფართო გამოყენება. მისი ფესურისაგან მზადდებოდა ფხვნილები, მონახარში, რომელსაც 14. პ. გელბახიანი, ვ. გერსამია

ღებულობდნენ სისხლიანი ფალარათობის, საზოგადოდ ფალარათობის, ფილტვებიდან და კუჭიდან სისხლის დენის დროს. იხმარება იკი აგრეთვე პირში გამოსავლებად, დაავადების შემთხვევაში.

დეალურას ფესურა სხვა კომპონენტებთან ერთად (სახამებელი, გლუკოზა, საღებავი ნივთიერება და სხვ.) შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას 15 — 25%/-მდე.

დეალურას სითხოვანი გამონაწვლილი მუქი წაბლისფერისაა, გამჭვირვალე. დეალურას გამონაწვლილი იხმარება როგორც შემკვრელი საშუალება ფალარათობის წინააღმდეგ, ქრონიკული კოლიტისა და ენტერიტის ნიადაგზე, ისეთ შემთხვევებში, სადაც ნაჩვენებია ბისმუთის ან ტანალბინის ხმარება. იგი არ იძლევა უსიამოვნო თანამოვლენებს.

საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ მიღებულია დეალურას სითხოვანი გამონაწვლილი, როგორც შემკვრელი საშუალება, ფართოდ სახმარებლად (ოქმი № 11, 13/8—1947 წ.).

დეალურას სითხოვანი გამონაწვლილი იხმარება დღეში ორჯერ (იწვიათად სამჯერ) $\frac{1}{2}$ — 1 ჩაის კოვზის რაოდენობით.

Rp.: Extracti fluidi Polygoni carnei 100,0

D. S. $\frac{1}{2}$ — 1 ჩაის კოვზი დღეში 2-ჯერ.

ე ქ ს გ რ ა ნ ი

Exgranum

ექსგრანი მზადდება ბროწეულის ქერქისაგან.

ბროწეულის სამკურნალო მიზნით გამოყენებას უძველესი დროიდან ექცეოდა ყურადღება. ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ კუჭის ტკივილის დროს, ფალარათობის, ნაწლავების პარაზიტების წინააღმდეგ, პირში გამოსავლებად.

ექსგრანი მოწითალო-მოყვითალო ფერის ფხვნილია, წყალში იხსნება 1.20-ზე. გაცხელების დროს გამჭვირვალე მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, რომელიც გაცივებისას იმღვრევა. ექსგრანი არ შეიცავს ალკალოიდებს.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით (ოქმი № 3, 25/IX — 1948 წ.), ექსგრანი როგორც შემბოჭველი საშუალება, მიღებულია ფართო მოხმარებისათვის.

ექსგრანი იხმარება როგორც შემკვრელი საშუალება ქრონიკული ფალარათობის, ქრონიკული ენტერიტისა და კოლიტის შემთხვევებში.

დოზა მოზრდილთათვის — 0,5 — 1 გ. ექსგრანი არ იძლევა თანამოვლენებს.

Rp.: Exgrani 0,75 (1,0)

D. t. d. 12

S. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში.

თ ე ა ლ ბ ი ნ ი

Thealbinum

თეალბინი წარმოადგენს ჩაის განასხლავიდან კოფეინის დამზადების შემდეგ დარჩენილ გამონაწვლილსა და ცილის (კაზეინის) ურთიერთ მოქმედების პროდუქტს.

თეალბინი ამორფული, წაბლისფერი ფხენილია, თითქმის არ იხსნება წყალსა და სპირტში, არა აქვს სუნი და არც გემო.

იგი თავისი მოქმედებით წარმოადგენს ცნობილი ტანალბინის ანალოგს, იხმარება როგორც შემკვრელი ნივთიერება ქრონიკული ფლარათობის დროს—ქრონიკული ენტერიტიისა და კოლიტების შემთხვევებში ტანალბინის მაგივრად.

ინახება ჰერმეტიულად დახურულ ქილებში.

დოზა: 0,3—0,5 გ დღეში 3-ჯერ ან 4-ჯერ.

Rp.: Thealbini 0,5

D. t. d. 12.

S. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში.

საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის დადგენილებით (ოქმი № 17, 22, IX—1954 წ.), ნებადართულია თეალბინის, როგორც ტანალბინის შემცვლელის, გამოშვება. ამზადებენ ბათუმის კოფეინის ქარხანაში.

თ ი ხ ა - ა ს კ ა ნ ე

Thicha-ascanae

თიხა-ასკანე, ანუ ასკანის თიხა მიიღება სოფელ ასკანას (მახარაძის რაიონი) ბენტონიტური თიხისაგან.

იგი იხმარება არაბეთის გომიზის მაგივრად ემულსიების დასამზადებლად, მალამოების მომზადების დროს, როგორც ფუძე და აგრეთვე შიგნით მისაღებად ფლარათობის საწინააღმდეგოდ.

საზღვარგარეთ დიდხანია მედიცინაში იხმარება ერთგვარი თიხა, რომელსაც უწოდებენ ბენტონიტურს (ციხე ბენტონი ჩრდილო ამერიკაშია). ჩვენშიაც, სოფ. ასკანაში აღმოჩენილია ასეთივე თვისების თიხა. საქართველოს ქიმიურ-ფარმაკევტულ ინსტიტუტში ამ თიხისაგან მიღებულია (ი. ქუთათელაძის მიერ) მშრალი პრეპარატი თიხა-ასკანეს სახელწოდებით. ეს არის ფხენილი, უსუნო,

მოყვითალო-რუხი ფერისა, ოდნავ მწკლარტე გემოსი, არ იხსნება სპირტში, ქლოროფორმში, ეთილის ეთერში და არც სხვა ორგანულ გამხსნელებში. 93% წყლის დამატებით ღებულობს თითქმის ისეთივე კონსისტენციას, როგორც აქვს ღორის ქონს.

ემულსიების დასამზადებლად თიხა-ასკანეს აქვს ბევრი უპირატესობა არაბეთის გომიზთან. იგი ინახება ხანგრძლივად, არ იშლება, არ აძლევს ცუდ სუნსა და გემოს, შეიძლება გადატანა შორ მანძილზე გაუფუჭებლად, უფრო იაფია და სხვ.

თიხა-ასკანე გამოიყენება ცხოველური ცხიმების მაგივრად მალამოების მოსამზადებლად როგორც ფუძე. მნიშვნელოვანია თიხა-ასკანეს გამოყენება ე. წ. მშრალი მალამოების დასამზადებლად. მალამო შედგება გასუფთავებული თიხა-ასკანეს და ამა თუ იმ მოქმედი ნივთიერებებისაგან; ეს ნარევი მზადდება ტაბლეტების სახით. საჭიროების დროს ტაბლეტებს ემატება წყალი და მიიღება მალამო.

თიხა-ასკანე, როგორც შემკვრელი საშუალება, იხმარება 2 გ დღეში 3-ჯერ. სასურველია კაფსულებში, რადგან იგლისება პირის ღრუში. ბავშვთა პრაქტიკაში იხმარება ნარევი, რომელიც შედგება 20 გ თიხა-ასკანეს, 20 გ შაქრისა, 160 მლ წყლისაგან, ერთი წვეთი პიტნის ზეთის დამატებით. ამ ნარევს უწოდებენ „ასკოლს“.

მ ო ც ე ო

Vaccinium myrtillus

მოცვის ნაყოფი (Baccae Myrtilli) იხმარება გამშრალი და მწიფე. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას (7%-მდე), ნახშირწყლებს (გლუკოზას და ფრუქტოზას 5—20%-მდე), ვაშლის მჟავას და ლიმონმჟავას (7%-მდე), C ვიტამინს.

იხმარება როგორც შემკვრელი (განსაკუთრებით ბავშვთა პრაქტიკაში). 1—2 ჩაის კოვზს აყენებენ 1 ჰიქა მდულარე წყალზე 20 წუთის განმავლობაში და სვამენ $\frac{1}{4}$ ჰიქას ჰამის წინ 3—4-ჯერ დღეში.

კ ა მ ა ს წ ა ლ ი

Aqua Foeniculi

კამას წყალი უფერული, გამჭვირვალე ან ოდნავ მღვრიე სითხეა, თავისებური არომატული სუნის და ნეიტრალური რეაქციის.

იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში როგორც აირთა გამომდენი საშუალება, თითო ჩაის კოვზი რამდენჯერმე დღეში.

Rp.: Aquae Foeniculi 100,0

D. S. 1 — 2 ჩაის კოვზი 3 — 4-ჯერ დღეში
(ჩველი ბავშვების დოზა).

ტ ა ნ ა ლ ბ ი ნ ი

Tannalbinum

ტანალბინი არის ტანინისა და ცილის ურთიერთ მოქმედების პროდუქტი, სადაც ტანინის რაოდენობა 50% აღწევს. იგი ამორფული წაბლისფერი ფხვნილია, თითქმის არ იხსნება წყალსა და სპირტში.

იხმარება როგორც შემკვრელი საშუალება უფრო ხშირად ქრონიკული ენტერიტების დროს (ამჟამად ამ მიზნებისათვის შედარებით იშვიათად მიმართავენ ტანალბინს).

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,5 გ. ტაბლეტები ენიშნება დღეში 3 — 4-ჯერ.

ინახება ჰერმეტიულად დახურულ ქილებში.

Rp.: Tannalbinum 0,5

D. t. d. 12

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

ტ ა ნ ი ნ ი

Tanninum. acidum taenicum

მოყვითალო ამორფული ფხვნილია, უსუნო, მჟკლარტე გემოსი, ადვილად იხსნება წყალსა და სპირტში, არ იხსნება ეთერსა და ქლოროფორმში.

იხმარება 1 — 2% ხსნარი (წყლის, ან გლიცერინის) პირის გამოსარეცხად, ცხვირსა და ხახაში გამოსავლებად; უფრო კონცენტრული ხსნარი — 5 — 10% მალამოს სახით სველ წულულებზე, ნაწოლებსა და დამწვარ ადგილებზე წასასმელად.

ალკალოიდებით, მძიმე ლითონის მარილებით მოწამვლის დროს, კუჭის ამოსარეცხად იხმარება 0,5% ტანინის ხსნარი. ტანინის სუსტი ხსნარი იხმარება აგრეთვე გინეკოლოგიურ, უროლოგიურ და ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში.

ინახება კარგად დახურულ ქილებში, გრილ ადგილას.

Rp.: Tannini 2,0

Glycerini 20,0

T-rae jodi 1,0

M. D. S. ღრძილებზე წასასმელი.

Rp.: Tannini
Glycerini $\ddot{a}\ddot{a}$ 4,0
T-rae jodi 1,0
Aquae destillatae ad 30,0
M. D. S. სასაზე წასასმელი.

კ ი რ ი ს წყ ა ლ ი

Aqua Calcis

კირის წყალი გამჟვინვალე, უფერული სითხეა, ძლიერ ტუტე რეაქციისა; შედგება დამწვარი კირისაგან — 1 ნაწ.; წყალი—70 ნაწ. ამჟამად ხმარობენ 1 — 2 სუფრის კოვზს 1 ჭაჭა რძეში, როდესაც რძე იწვევს ფალარათს.

Rp.: Aquae Calcis 200,0
D. S. ერთი სუფრის კოვზი ერთ ჭიქა რძეში.

ა ნ უ ზ ო ლ ი

Anusolum

ანუზოლის შემადგენლობაში შედის: ქსეროფორმი (0,1 გ) თუთიის სულფატი (0,05 გ), შმაგას გამონაწველილი (0,02 გ), გლიცერინი (0,12 გ) და ბუტიროლი (q. s.)

იხმარება სანთლების სახით ბუასილის საწინააღმდეგოდ დღეში 1 — 2-ჯერ.

გამოშვებულია მუყაოს კოლოფებში 10 ცალად.

Rp.: Anusoli 10
Suppositoriae
D. S. თითო სანთელი დღეში 1 — 2-ჯერ უკანა ტანში.

ნივთიერებათა ცვლაზე, სისხლზე და სისხლმზად ორგანოებზე მოქმედი საშუალებები

ა ღ ღ გ ე ნ ი ლ ი რ კ ი ნ ა

Ferrum reductum

მორუხო-შავი ფერის წვრილი ფხვნილია. იხსნება განზავებულ მარილმჟავაში და კუჭის წვენში.

იხმარება სხვადასხვა ეტიოლოგიის მეორადი (პიპოქრომული) ანემიების წინააღმდეგ. პრეპარატი უფრო ეფექტურია თუ კუჭის წვენში იმყოფება თავისუფალი მარილმჟავა საკმაო რაოდენობით.

უნიშნავენ შიგნით მოზრდილებს 1 გ 3 — 5-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ. ბავშვებს აძლევენ 1 წლამდე 0,01 გ. 5 — 6 წ — 0,15 გ., 6 — 12 წ. — 0,3 — 0,5 გ ერთ მიღებაზე.

მკურნალობა გრძელდება 1 — 2 თვესა და მეტხანს. ერთდროულად აძლევენ ხელოვნურ კუჭის წვენს ან განზავებულ მარილმჟავას, რაც ხელს უწყობს რკინის შეწოვას. ამავე მიზნით პრეპარატთან ერთად აძლევენ ასკორბინმჟავას.

მკურნალობის პერიოდში საჭიროა ხშირად პირის გამოვლება.

გამოშვებულია ფხვნილებში. ინახება კარკად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Ferri reducti 1,0

D. t. d. 15 in capsulis gelatinosis

S. თითო კაფსული 3-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ.

Rp.: Ferri reducti 1,0

Acidi ascorbinici 0,1

M. f. p. D. t. d. 20 in capsulis gelatinosis

S. თითო კაფსული 3-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ.

რკინის მალატის ალკოჰოლნაყენი

Tinctura Ferri pomata

მოშავო-წაბლისფერი სითხეა, შეიცავს 0,4 — 0,5% რკინას. იხმარება მეორადი ანემიების წინააღმდეგ ისეთივე ეფექტურობით, როგორც ალდგენილი რკინა.

უნიშნავენ მოზრდილებს სუფრის კოვზით ქამის შემდეგ, დღეში 3-ჯერ. ბავშვებს ჩაის კოვზით ქამის შემდეგ 1 — 3-ჯერ დღეში (წლოვანების მიხედვით).

Rp.: Tincturae Ferri pomati 200,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ქამის შემდეგ.

ღარიშხანმჟავა ნატრიუმი

Natrium arsenicicum

ღარიშხანმჟავას ნატრიუმი ($\text{Na}_2\text{HAsO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$) უფერული და უსუნო კრისტალებია. კარგად იხსნება წყალში, თითქმის არ იხსნება სპირტში. წყალ-ხსნარებს ტუტე რეაქცია აქვს. ჩვეულებრივად იხმარება მისი 1%-იანი ხსნარი ინექციების სახით — Solutio Natrii arsenicici 1% — in ampulis.

იხმარება როგორც ძალმომგვრელი, ტონუსის ამწევი საშუალება. გამოყენება აქვს აგრეთვე ქრონიკული ლეიკოზების და მეორადი ანემიების დროს.

ღარიშხანმჟავა ნატრიუმი გამოშვებულია 1% ხსნარის სახით ამპულებში თითო მლ რაოდენობით.

კანკევეშ შეჭყავეთ დღეში ერთჯერ, დაწყებული $\frac{1}{4}$ ამპულიდან 1 ამპულამდე, თანდათან მომატებით.

მკურნალობის კურსი ანემიების დროს უდრის 30 — 40 ინექციას. კანის დაავადების დროს კი გრძელდება 2 — 3 თვემდე, ხოლო ლეიკოზების საწინააღმდეგოდ იხმარება მომეტებული დოზები (აქარბებს უმაღლეს სადღელამისო დოზას) დღეში 1 — 2 მლ 1 — 2 თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ექიმის მეთვალყურეობა, რათა დროზე იქნეს შენიშნული თანამოვლენები (გულის-რევა, პირღებინება, ფალარათი და სხვ.). თუ აღინიშნა თანამოვლენების განვითარება, მიღებულ უნდა იქნეს სათანადო საწინააღმდეგო ზომები.

წინააღმდეგჩვენებაა თირკმლების დაავადება, ნევრიტები, დისპეფსიური მოვლენები.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა — 0,003 გ

უმაღლესი სადღელამისო დოზა — 0,01 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), ამპულებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Sol. Natrii arsenicici 1% — 1,0

D. t. d. 20 in ampulis

S. კანქვეშ შესაშხაპუნებლად (0,2 — 1) მლ დღეში ერთჯერ.

არსენოვანებას ანჰიდრიდი

Acidum arsenicosum anhydricum

As₂O₃

დარიშხანოვანი მეავის ანჰიდრიდი წარმოადგენს თეთრი ფერის ფხვნილს. წყალში ძნელად იხსნება (65 — 80 ნაწილში), ადვილად — მარილმეაეაში, აგრეთვე მწვავე ტუტეების ხსნარებსა და ტუტე ლითონების კარბონატებში.

გარედან იხმარება კანის ზოგიერთი დაავადების დროს და აგრეთვე სტომატოლოგიურ პრაქტიკაში კბილის პულპის დასანეკროზებლად.

შიგნით უნიშნავენ აბების სახით ქრონიკული ანემიების (0,001 გ თითო მიღებაზე), ნევრასთენიის და საერთო სისუსტის დროს. უკუჩვენებაა: თირკმლების დაავადება, ნევრიტები, დისპეფსიური მოვლენები.

უმალესი ერთჯერადი დოზაა 0,003 გ, სადღელამისო — 0,01 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Acidi arsenicosi 0,05

Ferri lactici 5,0

Extr. et pulv. Liquiritiae

q. s. ut. f. pil. 50

D. S. თითო აბი 3-ჯერ დღეში ქამის შენდგე.

ამინოპეპტიდი

Amino-peptidum

ამინოპეპტიდი წარმოადგენს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სისხლის ფერმენტული ჰიდროლიზის პროდუქტს. გამკვირვალე მოყვითალო ფერის სითხეა.

შეიცავს შეუცვლელ ამინომეაეებს და პარენტერალური გზით

კვების კარგ საშუალებას წარმოადგენს. ანაფილაქსიურ მოვლენებს არ ანეითარებს.

იხმარება ჰიპოპროტეინემიის, ორგანიზმის დაუძლურების, სხვადასხვა ინტოქსიკაციების შემთხვევებში.

ორგანიზმში შეჭყავთ კანქვეშ, კუნთებში, ვენაში შეშხაპუნებით და ოყნის საშუალებით. ვენაში შეყვანა ხდება წვეთობრივად — 10 — 20 წვეთი წამში, შემდეგ (თუ ავადმყოფი კარგად იტანს) უმატებენ სისწრაფეს და აპყავთ 50 — 60 წვეთამდე წუთში. თუ განვითარდა თანამოვლენები, როგორცაა გულისრევა, პირღებინება, შეხურება, კანის ქავილი, სუნთქვის გაძნელება, პრეპარატის შეყვანას 5 — 7 წუთით წყვეტენ, შემდეგ ისევ განაგრძობენ.

კუნთებში და კანქვეშ პრეპარატი შეჭყავთ ასევე ნელა — ერთ წუთში 10 — 20 წვეთიდან დაწვებული 50 — 60 წვეთამდე. ზოგჯერ ტკივილების გამო საჭირო ხდება წინასწარ 0,5%-იანი 5 მლ ნოკაინის გაკეთება იმავე ადგილებში.

დღე-ღამეში კეთდება 1 — 2 ლიტრი. წვეთობრივად (40 — 60 წვეთი წუთში) კეთდება ოყნითაც.

უკუჩვენებაა გულის დეკომპენსაცია, სისხლის მიმოქცევის მოშლა თავის ტვინში, თრომბოფლებიტები და მწვავე მოვლენები თირკმელების მხრივ.


ამინოპეპტიდი გამოშვებულია ამპულებში à 250 მლ.

ინახება ჩვეულებრივი ტემპერატურის პირობებში (14° — 20°).

პ ე ნ ტ ო ჯ ს ი ლ ი

Pentoxylum

5 — ოქსი — მეთილ — 4 — მეთილ — ურაცილი.



თეთრი, წვრილკრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია, ძლიერ ცოტა იხსნება წყალში, უფრო კარგად — ტუტეებში, არ იხსნება სპირტში. ღლიობის ტემპერატურაა 270° — 300°.

იხმარება როგორც ლეიკოპოეზის სტიმულატორი (აგრანუ-

ლოციტარული ანგინა, ალიმენტური ტოქსიკური ალექია, ბენზოლით ქრონიკული მოწამვლა, ავთვისებიანი სიმსივნეების მედიკამენტოზური თერაპიის დროს განვითარებული ლეიკოპენია).

უქუნაჩვენებია ლიმფოგრანულომატოზის დროს.

უნიშნავენ შემდეგ დოზებში:

მოზრდილებს 0,2—0,3 გ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ბავშვებს: 1 ბილბაზე 1 წლამდე 0,015 გ, 1—3 წლამდე — 0,025 გ; 3—8 წლამდე — 0,05 გ; 8—12 წლამდე — 0,075 გ; 12 წ. და მეტი — 0,1—0,15 გ. უნიშნავენ დღეში 3-ჯერ ჭამის შემდეგ.

პენტოქსილის დანიშვნა ეფექტურია დაავადებების მსუბუქი ფორმების დროს. მძიმე შემთხვევებში კი უშედეგოა.

გამოშვებულია ფხვნილების სახით, ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ მინის ქურქელში.

Rp.: Pentoxyli 0,2


D. t. d. 12 in caps. gelatin.

S. თითო კაფსული 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ლ ე ი კ მ ბ ე ნ ი

Leucogenum

2 — (ა — ფენილ — ა — კარბეთოქსიმეთილ (— თიაზოლიდინ — 4 — კარბონ მეავა.



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება ცივ წყალში და სპირტში. ლღობის ტემპერატურაა 168—169°.

ინხარება როგორც ლეიკოპოეზის სტიმულატორი ლეიკოპენიების დროს.

უნიშნავენ მოზრდილებს 0,02 გ 3—4-ჯერ დღეში.

სადღელამისო დოზა ბავშვებისათვის 6 თვის ასაკამდე — 0,01 გ; 1 წლის — 0,02 გ; 7 წლამდე — 0,04 გ და შემდეგ — 0,06 გ.

გამოშვებულია ფხენილებში ან ტაბლეტებში à 0,02 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Leucogeni 0,02

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ნატრიუმის კაკოდლილი

Natrium Kakodylicum



დარიშხანის ორგანული შენაერთი, თეთრი, თითქმის უსუნო კრისტალური ფხენილია, რომელიც ჰაერზე ადვილად ლღვება; იხსნება 0,5 ნაწილ წყალში და 2 ნაწილ სპირტში.

იხმარება კანკევში იმავე შემთხვევებში, რაც დარიშხანის სხვა პრეპარატები (მეორადი ანემიები, ნევრასთენია, საერთო სისუსტე). ორგანიზმში იშლება ნელა და ამიტომ მოქმედებს უფრო ხანგრძლივად და სუსტად.

კანკევში შეჰყავთ 0,5 — 1 მლ 5% ხსნარისა.

უმალღესი ერთჯერადი დოზა — 0,06 გ

უმალღესი სადღელამისო დოზა — 0,2 გ

ბავშვებს 2 წლამდე არ ეძლევა.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) ამპულებში ან კარგად თავდაცობილ მინის ქილებში.

Rp.: Sol. Natrii Kakodylici 5% — 1,0

D. t. d. 20 in ampulis

S. თითო ამპულა კანკევში შესაშხაპუნებლად დღეში 1 ჯერ.

ფოვლერის ხსნარი

Liquor arsenicalis Fowleri. Liquor Kalii arsenicosi

ფოვლერის ხსნარი გამჭვირვალე, ქაფურის სუნის, უფერული სითხეა.

ენიშნება შიგნით იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა დარიშხანოვანი ანჰიდრიდი. გარდა ამისა, ხმარობენ ლეიკოზების წინააღმდეგ სამკურნალოდ დიდ დოზებში (9 — 10 წვეთამდე ერთ მიღებაზე).

უკუჩვენება ისეთივეა როგორც დარიშხანის სხვა პრეპარატებისათვის.

დოზა — ერთჯერადი, უმაღლესი: 3 წვეთი, სადღეღამისო — 10 წვეთი.

ინახება (კარადა A) კარგად თავდაცობილ ქურქელში.

Rp.: *Liquoris arsenicalis Fowleri* 4,0

Aquae Menthae 20,0

M. D. S. 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ: 10 წვეთი ყოველდღე თითო წვეთის მომატებით — 15 წვეთამდე.

გლოს ტაბლეტები დარიშხანი

Tabulettae Blandi cum acidi arsenicosi

ტაბლეტები იხმარება ქრონიკული მეორადი ანემიისა და საერთო სისუსტის დროს, დღეში 3-ჯერ თითო ტაბლეტი.

გამოშვებულია ტაბლეტების სახით მინის ქილებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა A) მშრალ ადგილას.

Rp.: *Tabulettae Blandi cum*

acido arsenicoso N 50

D. S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

დ უ პ ლ ე ქ ს ი

Duplex

დუპლექსი შედგება აზოტმეაეა სტრიქნიის 0,1% ხსნარისა და დარიშხანმეაეა ნატრიუმის 1% ხსნარისაგან.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში.

ინახება როგორც საერთო გამამაგრებელი და ტონუსის ამწევი საშუალება.


Rp.: *Duplex in ampulis* 1,0

D. t. d. 30

S. კანქვეშ დღეში ერთჯერ თითო ამპულა.

კალციუმ-გლუკონატი

Calcium gluconicum



თეთრი, ამორფული, უსუნო და უგემო ფხვნილია, ძნელად იხსნება ცივ წყალში (1:50), კარგად — მდულარეში (1:15), პრაქ-

ტიკულად არ იხსნება სპირტსა და ეთერში. შეიცავს 9% კალციუმს.

თავისი ფარმაკოლოგიური თვისებებითა და კლინიკური მოქმედებით ახლოსაა ქლორკალციუმთან, მხოლოდ ადგილობრივად ნაკლებად აღიზიანებს ქსოვილს, აქვს უკეთესი გემო და ნაკლებ ტოქსიკურია.

აძლევნ შიგნით ქამის წინ $1\frac{1}{2}$ — 1 ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში ან 2 — 3 ტაბლეტს (თითოში 0,5 გ) 3-ჯერ დღეში.

ვენახში ხმარობენ 10%-იანი ხსნარის 5 — 10 მლ-ს, დღეში 1-ჯერ. შეიძლება კუნთებში შეყვანითაც, იშვიათად იწვევს ქსოვილის ნეკროზს.

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში 0,5 გ და ამპულაებში 10%-იანი ხსნარის 10 მლ.

ინახება კარგად თავდაცობილ მინის ქურქელში და ამპულაებში.

Rp.: Calcii gluconici 50,0

D. S. 1 ჩაის კოვზი 2 — 3-ჯერ დღეში ქამის წინ.

Rp.: Calcii gluconici 0,5

D. t. d. 30 in tabulettis

S. 1 — 2 ტაბლეთი 3-ჯერ დღეში ქამის წინ.

Rp.: Solutionis Calcii gluconici 10% — 10,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 10 მლ ვენახში (ან კუნთებში) დღეში 1-ჯერ.

კალციუმის გლიცეროფოსფატი

Calcium glycerophosphoricum

$C_3H_5(OH)_2-O-PO(O_2Ca) \cdot nH_2O$

თეთრი, უსუნო ფხვნილია, ოდნავ მწარე გემოსი. იხსნება განზავებულ ქლორწყალბადმეცხეაში, არ იხსნება სპირტში და ეთერში.

იხმარება საერთო სისუსტის, გადაღლის და რაქიტის დროს. შიგნით უნიშნავენ მოზრდილებს 0,1 — 0,3 გ.

ბავშვებს 0,05 — 0,2 გ ერთ მიღებაზე, 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp.: Calcii glycerophosphorici 0,3

D. t. d. ad charta cerata

S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ ქამის შემდეგ.

ლ ე ც ი ტ ი ნ ი

Lecithinum

ლექციტინს ლებულობენ მსხვილი რქოსანი პირუტყვის ტვინი-საგან.

იხმარება საერთო სისუსტის, სისხლნაკლებობის, რაქიტისა და ნერვული სისტემის გადაღლის შემთხვევებში.

უნიზნავენ შიგნით 1 — 2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში კამის წინ. გამოშვებულია აბების სახით 0,1 გ.

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ლიპოცერებრინი

Lipocerebrinum

ლიპოცერებრინი მიიღება მსხვილფეხა პირუტყვის ტვინიდან. შეიცავს ტვინის ლიპოიდურსა და ფოსფორულ ნივთიერებებს.

იხმარება საერთო სისუსტის, ნერვული გადაღლილობისა და ჰიპოტონიის დროს.

უნიზნავენ მოზრდილებს თითო ტაბლეტს 2 — 3-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში ან კუნთებში 1 მლ ყოველდღიურად.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,5 გ 50 ცალად და ამპულ-ლებში.

ინახება მშრალ, გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ლუგოლის ხსნარი

Solutio Lugoli

პრეპარატი წარმოადგენს იოდის 1 ნაწილს და იოდკალიუმის 2 ნაწილს, გახსნილს 17 ნაწილ წყალში.

იხმარება გარედან წასასმელად.

ჰიპერთირეოზის დროს შიგნით უნიზნავენ 5 — 10 წვეთს 2-ჯერ დღეში.


Rp.: Jodi 5,0

Kalii jodati 10,0

Aquae destillatae ad 100,0

M. D. S. ხახაზე წასასმელი.

Methioninum



მეთიონინი თეთრი, ბრჭყვიალა, უსიამოვნო გემოს და სუნის ფხვნილია, იხსნება ცხელ წყალში (50—60)° 5¹/₈-მდე.

მეთიონინი ეკუთვნის შეუნაცვლად ამინომჟავებს, რომლებიც საჭიროა ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის. ზრდისა და აზოტური წონასწორობისათვის.

მეთიონინი ლებულობს მონაწილეობას ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთების სინთეზში, ააქტივებს ჰორმონებს, ვიტამინებს, ფერმენტებს.

იხმარება ღვიძლის ტოქსიკური დაზიანების და დაავადების პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ. ნაჩვენებია: ბოტკინის დაავადების, ციროზების, ქლოროფორმით, ბენზოლით და დარიშხანის პრეპარატებით მოწამვლის შემთხვევებში. ცილებით მდიდარი საკვების მიღება აძლიერებს მეთიონინის მოქმედებას.

უნიშნავენ შიგნით მოზრდილებს 0,5—1,0—1,5 გ დღეში 3-ჯერ, ბავშვებს 3 წლამდე—0,3—0,5 გ ერთ მიღებაზე, 3—12 წ კი—0,5 გ. ლებულობენ ტაბლეტაში ან კაფსულაში 1/2—1 საათით ადრე ჭამამდე; ზოგჯერ იწვევს გულისრევასა და პირღებინებას. მკურნალობა გრძელდება 10—30 დღე. გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,25 გ.

Rp.: Methionini 0,25

D. t. d. 40 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი 4-ჯერ დღეში, სიროფით ან კისელით.

ელგოტამინი-ტარტარატი

Ergotaminum-tartaricum

ერგოტამინი აძლიერებს და ახშირებს საშვილოსნოს რიტმულ შეკუმშვას. იგი იხმარება საშვილოსნოს ატონიისა და არასრული აბორტის დროს, მშობიარობის შემდგომი სისხლის დენის შემთხვევებში.

უშხაპუნებენ კუნთებში 0,05%-იანი ხსნარის 0,5 — 1 მლ, შეიძლება ვენაშიც 0,5 მლ რაოდენობით. უნიშნავენ შიგნითაც 0,1%-ი ხსნარის 10 — 15 წვეთს დღეში 2 — 3-ჯერ (შაკიკის შეტევის წინ).

ერგოტამინს აძლევენ არა უმეტეს 7 დღისა.

ი რ ღ ი

Jodium

იოდს, ჩვეულებრივად, ლებულობენ ზღვის ბალახის ნაცრიდან. საბჭოთა კავშირში აგრეთვე ნავთის ქაბურღილებიდან ამოღებული წყლებიდან.

იოდი მორუხო-შავი ფერის, ლითონის ელფერის მქონე, ბრწყვიალა კრისტალური ნივთიერებაა, აქვს თავისებური სუნი. აორთქლებას იწყებს ოთახის ტემპერატურაზე, გაცხელებისას აორთქლდება იისფერი აორთქლის წარმოშობით. წყალში ძლიერ ძნელად იხსნება (1 : 5000), იხსნება 10 ნაწილ 95°-იან სპირტში; კარგად იხსნება ქლოროფორმსა და ეთერში.

იოდი შედის ორგანიზმის ქსოვილთა შემადგენლობაში, ყველაზე მეტად ის მოიპოვება ფარისებრ ჯირკვალში. ორგანიზმში იოდი შედის საკვებთან ერთად, აქ ის ლებულობს მონაწილეობას ნივთიერებათა ცვლის პროცესში.

იოდი წარმოადგენს ძლიერ ანტისეპტიკურ საშუალებას, რამაც მას დიდი პოპულარობა მოუპოვა.

იოდის პრეპარატებს ხმარობენ — გარედან — როგორც ანტი-სეპტიკურ საშუალებას, შიგნით — ათეროსკლეროზის, ჰიპერთირეოზის, ენდემიური ჩიუვის პროფილაქტიკისათვის, სასუნთქი გზების ქრონიკული კატარების, ათაშანგის დროს და სხვ.

ხანგრძლივად იოდის პრეპარატების ხმარების დროს შეიძლება განვითარდეს იოდიზმი (სურდო, ცრემლის დენა, ქინკრის გამონაყარი, ნერწყვის დენა და სხვ.).

იოდის პრეპარატები არ იხმარება: ფილტვების ტუბერკულოზის, ნეფრიტების, ჰემორაგიული დიათეზების, ორსულობის, ქინკრის ცხელების და იოდისადმი აწეული მგრძობელობის დროს.

უმაღლესი დოზა: მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,02 გ, სადღელამისო — 0,06 გ.

იოდის ყველა პრეპარატი ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მინის ქილებში, მილესილი საცობებით, გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Jodi 0,05
Kalii jodati 0,1
Apuae destillatae 50,0
M. D. S. 5 — 10 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში რძით.

Rp.: Jodi 0,02
Kalii jodati
Luminali aa 0,02
Camphorae monobrom. 4,0
Massae pil. q. s. ut. f. p. 40
D. S. თითო აბი 2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 20
დღის განმავლობაში (ჰიპერთირეოზი).

იოდის ნაყენი

Tinctura jodi 5%

პრეპარატი წარმოადგენს იოდის 50 ნაწილსა და იოდ-კალიუმის 20 ნაწილს, გახსნილს 95°-იან სპირტსა და წყლის თანაბარ რაოდენობაში (1 ლიტრში); იგი მუქი, მოწითალო-წაბლისფერი გამჭვირვალე თავისებური სუნის სითხეა.

იხმარება გარედან წასასმელად როგორც ანტისეპტიკური და განწოვითი საშუალება. შიგნით აძლევენ ათეროსკლეროზის საწინააღმდეგოდ 1 — 10 წვეთამდე 1 — 2-ჯერ დღეში 1 თვის განმავლობაში. წელიწადში იმეორებენ ასე 2 — 3-ჯერ. ათაშანგის მკურნალობის დროს უნიშნავენ 5-დან 25 წვეთამდე 2 — 3-ჯერ დღეში. იოდს აძლევენ $\frac{1}{4}$ კიკა რძეში ჭამის შემდეგ.

უმაღლესი დოზა 5% -იანი იოდის ნაყენისა მოზრდილთათვის — 15 წვეთი. სადღელამისო — 50 წვეთი, 10% -იანი ხსნარისა კი — ამის ნახევარი.

ბავშვებს 5 წლამდე არ უნიშნავენ.

გამოშვებულია მინის შუშებში ჰ 10, 15 და 25 მლ და ამპულებში 1 მლ რაოდენობით.

Rp.: Tincturae jodi 5% — 15,0

D. S. 1 — 8 წვეთი თანდათან მომატებით 3-ჯერ დღეში რძით, ჭამის შემდეგ (ათეროსკლეროზის დროს).

იოდჰიპერსოლუმი

Jod-hypersolum

პრეპარატი წარმოადგენს მარილების ნარევეს, თეთრი ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში.

იხმარება არტერიოსკლეროზის პროფილაქტიკისათვის შიგნით 0,5—1 გ 2-ჯერ დღეში $\frac{1}{4}$ კიკა ცივ წყალში კამის წინ.

უკუჩვენებაა: ფილტვების ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმ-
ბივნები.

Rp.: Jod hypersoli 25,0

D. S. $\frac{1}{4}$ ჩაის კოვზი 2-ჯერ დღეში, კამის წინ
 $\frac{1}{4}$ კიკა გაცივებულ ნაღულ წყალში.

კალიუმის იოდანი

Kalium jodatum

პრეპარატი უფერული ან თეთრი, კრისტალური, უსუნო, მწკლარტე გემოს ფხვნილია, ძლიერ კარგად იხსნება წყალში (1:0,75), იხსნება სპირტში (1:12), ადვილად იხსნება გლიცერინში (1:2,5).

იხმარება ჰიპერთირეოზის, ათეროსკლეროზის, ენდემიური ჩიყვის, ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებითი პროცესების და სხვ. დროს.

უნიშნავენ შიგნით ხსნარების სახით 0,3—1 გ ერთ მიღებაზე 3—4-ჯერ დღეში.

ენდემიური ჩიყვის რაიონებში 100 კილოგრამ საკმელ მარილში ურევენ 1—2,5 გ იოდკალიუმს.

ინახება კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ შინის ქილებში.

Rp.: Solutionis Kalii jodati 6,0—200,0

D. S. თითო სუფრის კოვზი 2—3-ჯერ დღეში.

კალიუმის ქლორიდი

Kalium chloratum

თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში.


კალიუმის ქლორიდის დანიშვნის ძირითად ჩვენებას წარმოადგენს კალიუმის ნაკლებობა ორგანიზმში. ასეთი მდგომარეობა შეიძლება შეიქნეს კალიუმის დიდი რაოდენობით გამოყოფის შედეგად, რაც ხდება მძლავრი დიურეზული საშუალებების დანიშვნის დროს (სინდიყის პრეპარატები, ჰიპოთიაზიდი, დიაკარბი და სხვ.). კალიუმქლორიდი ნაჩვენებია საგულე გულუკოზიდებით მკურნალობისას; არითმიების აღრენალინით, კორტიზონით, დეზოქსიკორტიკოსტერონ-აცეტატით, ინსულინით და სხვ. მკურნალობის დროს, როდესაც ორგანიზმში ვითარდება კალიუმის ნაკლებობა.

კალიუმის ქლორიდი — Kalium chloratum (და არა კალიუმ-ქლორატი — Kalium chloricum — ბერთოლეს მარილი, უნდა მიეკცეს ყურადღება, რადგან უკანასკნელი შხამია!) უნიშნავენ ჩვეულებრივად შიგნით 0,5 — 1 გ რაოდენობით 5 — 6-ჯერ დღეში თერაპიული ეფექტის მიღების შემდეგ დოზას უკლებენ ან სრულებით სწყვეტენ პრეპარატის მიცემას. ზოგჯერ საგულე გლუჟოზიდებთან დაკავშირებული ინტოქსიკაციების დროს აძლევენ ერთბაშად 5 გ კალიუმის ქლორიდს შიგნით ან უნიშნავენ ვენაში შესაშხაპუნებლად: 2 — 2,5 გ 500 მლ გლუჟოზის 5%-იან ხსნართან, შეპყავთ ძლიერ ნელა — 1 საათის განმავლობაში. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე; ინტოქსიკაციის პირველი ნიშანია პარესთეზიების და არითმიის განვითარება.

უკუჩვენებას წარმოადგენს თირკმლების დაავადება, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა.

6-მერკაპტოპურინი

6-Mercaptopurinum



6-მერკაპტოპურინი თეთრი ან ოდნავ მოყვითალო კრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება წყალში, ლლობის ტემპერატურაა 312-313°.

იხმარება მწვავე და ქვემწვავე ლეიკოზების წინააღმდეგ სამკურნალოდ და აგრეთვე ქრონიკული გამწვაებული მიელოლიეიკოზების შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით 3 — 4 კვირის განმავლობაში 0,002 — 0,0025 გ დღე-ღამეში ავადმყოფის თითო კილოგრამ წონაზე (ერთბაშად ან შუაზე გაყოფილი 2-ჯერ). სადღეღამისო დოზა შეიძლება თანდათანობით გადიდებულ იქნეს 0,005 გ კილოგრამ წონაზე.

მკურნალობა მოითხოვს ექიმის ყოველდღიურ მეთვალყურეობას.

თანამოვლენებია: ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, ჰემორაგიები, რომლებიც უმთავრესად გადაჭარბებულ დოზირებასთანაა დაკავშირებული. დოზის შემცირება ან პრეპარატის დროებით მოხსნა საკმარისია ამ მოვლენების საწინააღმდეგოდ.

გამოშვებულია ტაბლეტებში $\pm 0,05$.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) მშრალ ადგილას.

ნატრიუმის იოდანი

Natrium iodatum

თეთრი, კრისტალური, უსუნო, მლაშე გემოს ფხვნილია, ჰაერზე ადვილად სველდება, ძლიერ კარვად იხსნება წყალში (1:0,6), ადვილად — სპირტში (1:3) და გლიცერინში (1:2).

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც იოდკალიუმი.

ინახება კარვად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Solutionis Natrii iodati 6,0 — 200,0

D. S. თითო სუფრის კოფში 3-ჯერ დღეში, რძით.

ნატრიუმის ქლორიდი — ქლორნატრიუმი — სუფრის მარილი

Natrium chloratum

თეთრი, კუბიკური კრისტალებია ან თეთრი, კრისტალური ფხვნილი, უსუნო და მლაშე გემოს მქონე. ადვილად იხსნება წყალში (1:3).

ნატრიუმქლორიდი გარკვეული რაოდენობით (დაახლოებით 0,6%) შედის სისხლის შემადგენლობაში, სადაც ის უზრუნველყოფს ოსმოსური წნევის მუდმივობას. მისი კონცენტრაციის მომატება და დაკლება ორგანიზმში იწვევს მძიმე მოშლილობას.

ორგანიზმში ნატრიუმქლორიდი (სუფრის მარილი) შედის საქმელთან ერთად. იგი იმყოფება აგრეთვე ზოგიერთ მინერალურ წყალში, შედის მლაშე ტბებისა და ზღვის წყლის შემადგენლობაში.

მიელოსანი

Myelosanum

1,4 — დიმეტანსულფონილოქსიბუტანი.

თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში არ იხსნება. ლღობის ტემპერატურაა 116 — 117°.

იხმარება ქრონიკული მიელოიდური ლეიკემიის დროს; მრავალ

ვალ შემთხვევაში მკურნალობის გავლენით ხდება ჰემატოლოგიური და კლინიკური რემისია, რომლის დროს ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს.

პრეპარატს უნიშნავენ შიგნით სხვადასხვა დოზებში ლეიკოციტების რიცხვის მიხედვით. თუ ლეიკოციტების რიცხვი 200,000-ია 1 mm^3 — აძლევენ 0,004 — 0,006 გ მიელოსანს დღე-ღამეში.

თუ ლეიკოციტების რიცხვი 200,000-ს აღემატება, აძლევენ მიელოსანს 0,008 გ დღე-ღამეში

„	„	100,000 — 120,000-ია	„	„	0,004 გ
„	„	20,000 — 30,000	„	„	0,002 გ
„	„	10,000 — 15,000	„	არ	აძლევენ

მიელოსანს .

საკიროა ხშირი ჰემატოლოგიური კონტროლი მკურნალობის პერიოდში და შემდეგაც.

თანამოვლენებია: ამენორეა, კანის პიგმენტაცია. მკურნალობა მიელოსანით არ არის ნაჩვენები მწვავე და ქვემწვავე ლეიკოზების შემთხვევაში, ქრონიკული მიელოზების გამწვავეების პერიოდში, ალექემიური და სუბლექემიური ქრონიკული ლეიკოზების და თრომბოციტოპენიის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 0,002 გ. ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A).

Rp.: Myelosani 0,002

D. t. d. 50 in tabulettis

S. მიიღოს თანახმად დანიშვნისა.

სამკურნალო მიზნით იხმარება ნატრიუმქლორიდის იზოტონური (იხ. ნატრიუმქლორიდის იზოტონური ხსნარი) და ჰიპერტონული ხსნარის სახით.

ჰიპერტონიული სტერილური ხსნარი (10%) იხმარება უფრო ხშირად ვენაში შესაყვანად სისხლის დენის შემთხვევებში (ფილტვებიდან, კუჭიდან, ნაწლავებიდან) და ოყნის საშუალებით 100 მლ (5%) დეფეკაციის გამოსაწვევად.

2 — 5% ხსნარს იყენებენ აზოტმეავა ვერცხლით მოწამვლის დროს კუჭის ამოსარეცხად და 2% ხსნარს — ყელში გამოსავლებად ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს და აგრეთვე ტანის გასაწმენდად.

გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში \pm 0,85 გ. ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში, მშრალ ადგილას.

Rp.: Solutionis Natrii chlorati purissimi 10% — 50,0
 D. Sterilis
 S. 10 — 20 მლ ვენაში შესაშხაპუნებლად დღეში
 1 — 2-ჯერ.

**ჰლორნატრიუმის იზოტონური ხსნარი
 ან ფიზიოლოგიური ხსნარი**

Solutio Natrii chlorati isotonica

უფერული, გამკვირვალე, მლაშე გემოს ხსნარია. ის წარმოადგენს ქლორნატრიუმის 0,85%-იანი წყლის ხსნარს.

იხმარება კანქვეშ, ვენაში შესაშხაპუნებლად, აგრეთვე უკანა ტანში ოყნის საშუალებით.

იზოტონური ხსნარი იხმარება აგრეთვე ვენაში ან კანქვეშ შესაყვანი ზოგიერთი წამლის გასახსნელად.


გამოშვებულია ამპულებში სტერილურად à 5, 10, 20 მლ რაოდენობით.

Rp.: Solutionis Natrii chlorati isotonicae sterilisatae
 500,0

D. S. კანქვეშ ან ვენაში შესაყვანად.

ნატრიუმის ციტრათი, ანუ ლიმონმჟავა ნატრიუმი

Natrium citricum (pro injectione)



უფერული კრისტალები ან თეთრი, კრისტალური, უსუნო, მომლაშო გემოს ფხენილია, ადვილად იხსნება წყალში (1:1,5), არ იხსნება სპირტში. 10% ხსნარის pH უდრის 7,0 — 7,5.

იხმარება 4 — 5%-იანი ხსნარი სისხლის შედგენის ასაცილებლად. სისხლის ყოველ 100 მლ უმატებენ 4 — 5%-იანი სტერილური ხსნარის 10 მლ სისხლის საკონსერვაციოდ არაპირდაპირი გადასხმისათვის.

იხმარება კარგად თავდახურულ ქილებში.

ჟ ა ნ ბ ბ ა დ ი

Oxygenium

უფერული, უგემო და უსუნო აირია. წყალში იხსნება დაბლობით 1:43-ზე.

იხმარება ისეთი დაავადების დროს, როდესაც ორგანიზმი განიცდის განგზავნის უკმარისობას (ჰიპოქსია), ასეთებია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება (დეკომპენსაცია, კოლაფსი), სასუნთქი ორგანოების დაავადება (კრუპოზული და ბრონქოპნევმონია, ფილტვების მწვავე შეშუპება, შორსწასული ტუბერკულოზური პროცესი), მწვავე სისხლის დენა, ქლოროტი, ფოსფენით და აგრეთვე მხუთავი აირით მოწამვლა.

უნიშნავენ განგზავნის ჰაერთან შერეულად (40 — 60%) და ახლოებით 4 — 5 ლიტრს 1 წუთში ინჰალაციის სახით.

განგზავნის ხმარობენ აგრეთვე კანქვეშ შესაყვანად 200 — 300 — 500 მლ რაოდენობით.

ერთ დროს განგზავნი იხმარებოდა ასკარიდოზის წინააღმდეგ. ამჟამად მიმართავენ უფრო ეფექტურ პრეპარატს — პიპერაზინს (იხ. ქვემოთ). განგზავნის უშვებენ სპეციალურ ბალიშებში.

განგზავნი იხმარება ლურჯად შეღებილ ფოლადის ბალონებში, გრილ ადგილას.

შ ე ნ შ ე ნ ი

Radix Ginsengi

გენშენი მცენარეა, რომელიც ველურად იზრდება ხაბაროვსკის მხარეში. მის კულტურას ეწევიან მთელ რიგ ქვეყნებში. გენშენის ფესვები ცნობილია როგორც სამკურნალო საშუალება უძველესი დროიდან, ყოველგვარი დამაუძღურებელი, დამასუსტებელი ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ.

დადგენილია, რომ გენშენის ფესვს აქვს ტონუსის ამწევი და მასტიმულირებელი თვისება.

იხმარება ჰიპოტონიის, დაღლილობისა და გადაღლის, ნეკრასთენიის დროს.

ხმარებაშია გენშენის ფესვების ფხვნილი და ნაყენი. ნაყენი გამჭვირვალე, ქარვისფერი სითხეა. აძლევენ შიგნით სპირტის 10% ნაყენს 15 — 20 წვეთს 3-ჯერ დღეში ჭამის წინ ან ფხვნილებს 0,25 — 0,3 გ რაოდენობით.


მკურნალობა წარმოებს ხანგრძლივად — თვეების მანძილზე.

Rp.: Tincturae Ginsengi 20,0

D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ს ა ი ო დ ი ნ ი

Sajodinum



საიოდინი შეიცავს 24% იოდსა და 4% კალციუმს. იხმარება ათეროსკლეროზის, ნეიროსიფილისის, ქრონიკული ბრონქიტის დროს.

აძლევენ შიგნით 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ, 2 — 3 კვირის განმავლობაში. შემდეგ საჭიროა მკურნალობის შეწყვეტა 2 კვირით, რის შემდეგაც — ისევ განმეორება.

საიოდინი არ ეძლევა გულის დეკომპენსაციის დროს და აგრეთვე ღვიძლისა და თირკმლების დაავადების შემთხვევაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,5 გ.

ინახება კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Sajodini 0,5

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ-დღეში კამის შემდეგ.

ბ ი ლ ი ა რ ი ნ ი

Biliarinum

ბილიარინი წარმოადგენს ბაცი მოყვითალო მუქი მწვანე ფერის კოლოიდოიდისპერსული ხასიათის ემულსიას. იგი მზადდება პირუტყვის ბუნებრივი ნაღვლისაგან. პრეპარატი სტერილურია, მას აქვს ტკივილგამაყუჩებელი, განწოვითი და კოაგულაციური თვისება; იწვევს სახსრებში და ხერხემლის სვეტში მარილოვანი ნალექების განწოვას.

იხმარება მხოლოდ გარედან საფენის სახით 10 — 60 დღის განმავლობაში; უმრავლეს შემთხვევაში 2 — 3 დღეში ყუჩდება მწვავე ტკივილები, ავადმყოფს უბრუნდება მშვიდი ძილი; 10 დღეში კი ტკივილები სრულებით ქრება, კლებულობს დაავადებული სახსრის მოცულობა შეშუპების შემცირების გამო და ორგანოს თავის

ფუნქცია თანდათანობით უბრუნდება. კარგ შედეგს იძლევა კალკულოზური ბურსიტების დროს, უკეთესად მოქმედებს რბილი ქსოვილების და მყესთა ტრავმული ან ანთებითი პროცესების შედეგად განვითარებული დაავადების შემთხვევაში და აგრეთვე სახსრებში ან მალეში მარილების დაგროვების შემთხვევებში (სპონდილოზები, მადეფორმირებელი ართროზები, კალკულოზური ბურსიტები, მანკილოზირებელი სპონდილოართრიტები და სხვ.).

Rp.: Biliarini 500,0

D. S. საფენებისათვის.

ლინეტოლი

Linetolum

ლინეტოლი გამკვირვალე, ოდნავ მოყვითალო სითხეა, არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტში, ეთერში, ბენზოლსა და მინერალურ მჟავებში.

მისი ხმარება ნაჩვენებია ათეროსკლეროზის დროს (აორტის, გულის გვირგვინოვანი არტერიების, ტვინის სისხლძარღვებისა და სხვ.).

ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად უმჯობესდება საერთო მდგომარეობა; შესამჩნევად კლებულობს ან სრულებით ქრება ტკივილები გულთან.

ლინეტოლს უნიშნავენ დღეში ერთჯერ დილით, უზმოზე, 20 მლ რაოდენობით 1 — 1 1/2 თვის განმავლობაში, 4 კვირით შესვენების შემდეგ მკურნალობა მეორდება.

ზოჯერ პრეპარატის მიღების პირველ დღეებში ავადმყოფს აღენიშნება გულისრევა ან ფაფისებური კონსისტენციის განავალი, რაც გამოწვეულია ამ პრეპარატის მიღებით, მაგრამ მალე ავადმყოფი ეჩვევა და შემდეგ ხელს არ უშლის ლინეტოლით მკურნალობის გაგრძელებას.

ლინეტოლი უკუნაჩვენებია კუჭ-ნაწლავის მხრივ მწვავე მოვლენების დროს.


ლინეტოლი გამოშვებულია 200 მლ, მუქი მინის მუშებში. ინახება გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Linetoli 200,0

D. S. თითო სუფრის კოვზი დილით, უზმოზე დღეში 1-ჯერ.

ატოფანი

Atophanum



ატოფანი — ფენილცინქონინის შეავა — მოყვითალო, კრისტალური ფხვნილია, მწარე გემოსი, არ იხსნება წყალში, კარგად იხსნება ტუტეებსა და მჟავებში.

ატოფანი იწვევს შარდმეავას გაძლიერებულ გამოყოფას, ასევე ნაღვლის ექსკრეციას და კუჭის წველის მომატებას.

იხმარება ნიკრისის ქარის და სხვა ეტიოლოგიის ართრიტიზისა და ნევრალგიების შემთხვევებში.

დოზა: 0,5 გ დღეში 3 — 4-ჯერ ჭამის შემდეგ, 10 დღის განმავლობაში.

სასურველია ბორჯომის წყლის ან სოდიანი წყლის დაყოლება მომატებული რაოდენობით, რომ შემცირდეს მისი გამაღიზიანებელი მოქმედება კუჭის ლორწოვან გარსზე და აგრეთვე არ შემცირდეს ურატების გახსნა შარდში.

თანამოვლენებია: ქინქრის ციება, გულისრევა, თავბრუხვევა. ასეთი მოვლენების განვითარების შემთხვევაში უნდა შეწყდეს ატოფანის მიღება.

ატოფანით მკურნალობა წინააღმდეგნაჩვენებია ღვიძლისა და თირკმლების ავადმყოფობის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების და ბრონქიალური ასთმის შემთხვევებში.

ატოფანით მკურნალობა უნდა წარმოებდეს ექიმის მეთვალყურეობით.

ატოფანი გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 0,5 გ, მინის ქურქელში 50 ცალად.

Rp.: Atophani 0,5

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3 — 4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, ბორჯომის წყლით.

უ რ ო დ ა ნ ი

Urodanum

უროდანი წვრილკრისტალური თეთრი ფხვნილია. უნიშნავენ ნიკრისის ქარის, ლეიძლისა და თირკმლების კენჭოვანი დაავადების დროს.

ფიქრობენ, რომ პიპერაზინისა და ლითიუმის მარილები ხსნიან ორგანიზმში შარდმევა მარილებს და ხელს უწყობენ მათ გამოყოფას.

უროდანს უნიშნავენ თითო ჩაის კოვზს $\frac{1}{2}$ კიკა წყალში გახსნილს დღეში 3-ჯერ ქამის წინ. ხულ 30 — 40 დღის განმავლობაში.

Rp.: Urodani 100,0

D. S. ერთი ჩაის კოვზი $\frac{1}{2}$ კიკა წყალში დღეში 3 — 4-ჯერ ქამის წინ.

ფ ი ტ ი ნ ი

Phytinum

თეთრი, ამორფული, უსუნო ფხვნილია, თითქმის არ იხსნება წყალში, იხსნება ქლორწყალბადმეავის განზავებულ ხსნარში (1:10). შეიცავს 36% ორგანულად შეკავშირებულ ფოსფორმეავს.

უნიშნავენ ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს ნევრასთენიის, ისტერიის, რაქიტის, ოსტეომალაციის, ანემიების, დიათეზების, საერთო სისუსტის, სიგამბდრის შემთხვევებში.

დოზა: მოზრდილებს აძლევენ 0,25 — 0,5 გ 3-ჯერ დღეში 1 — 1,5 თვის განმავლობაში; ბავშვებს 2 — 5 წლის ასაკში — 0,1 — 0,2 გ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ.

Rp.: Phytini 0,25

D. t. d. 50 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ფ ო ს ფ რ ე ნ ი

Phosphrenum

შეიცავს ორგანულ ფოსფორს, ლეციტინს, რკინისა და კალციუმის მარილს.

უნიშნავენ ქსაერთო სისუსტის, გადაღლის, ნეერასთენიის და ანემიების დროს.

აძლევენ 2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,5გ


Rp.: Phosphreni 0,5

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

უურძნის შაქარი — გლუკოზა

Glucosa, 'Glucosum



თეთრი, წვრილკრისტალური, უსუნო, ტკბილი გემოს ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში, ცუდად — სპირტში.

უურძნის შაქარი ფართოდ იხმარება საექიმო პრაქტიკაში ძირითადად იზოტონური და ჰიპერტონიული ხსნარების სახით.

მას იყენებენ როგორც ძილმომგვრელ საშუალებას. როგორც ცნობილია, გლუკოზის 1 გ გამოყოფს 4,1 კალორია სითბოს, ამავდროს გამოიყოფა შენაერთები, რომლებსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებისათვის. გლუკოზის იზოტონური ხსნარი (4,5% — 5⁰/₁₀₀) შეჰყავთ კანქვეშ და ოყნის საშუალებით 300 — 500 მლ და მეტიც თანდათანობით ან წვეთობრივად. უფრო ხშირად მიმართავენ გლუკოზის ჰიპერტონიულ ხსნარს (10 — 24 — 40⁰/₁₀₀), რომელიც შეჰყავთ ვენაში. ასეთ შემთხვევაში ის აძლიერებს სისხლის პლაზმის ოსმოსურ წნევას, რის გამოც ძლიერდება სითხის გადასვლა ქსოვილებიდან სისხლში. ამის შედეგად კი მატულობს დიურეზი; გლუკოზის ჰიპერტონიული ხსნარის ზეგავლენით ძლიერდება სეკრეცია, ლეიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია, გულის კუნთის კეება და სხვ.

გლუკოზის ჰიპერტონიული ხსნარით სარგებლობენ ვენაში ზოგიერთი წამლის შესაყვანად. მაგ., სტროფანტინის, კორგლუკონის, ერიზიდის, ადრენალინის და სხვ.

გლუკოზა იხმარება ბევრი დაავადებისა და შემთხვევების დროს, ასეთებია: ლეიძლის სხვადასხვა შწვავე და ქრონიკული და-

ავადება, ინფექციური დაავადებები და ინტოქსიკაციები, ჰიპოგლიკემია, გულის ქრონიკული უკმარისობა, შოკი, კოლაფსი და სხვ.

ბევრ შემთხვევაში გლუკოზის ხსნართან ერთად ვენაში შეჰყავთ ვიტამინი B₁ და C ვიტამინი.

გლუკოზა გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში 0,5 და 1 გ; ამპულებში — 40%-იანი ხსნარი — 5 — 10 მლ რაოდენობით.

გლუკოზა ინახება კარგად თავდაცობილ ქილებში მშრალ ადგილას.

Rp.: Solutionis Glucosae 5% — 200,0

D. Sterilis

S. კანკვეშ გასაქეთებელი.

Rp.: Solutionis Glucosae 40% — 20,0

D. t. d. 10 in ampulis

S. ვენაში შესაშხაპუნებლად დღეში 1-ჯერ.

უ ე ლ ა ტ ი ნ ა

Gelatina

ელატინა — ცხოველური წებოა; მიიღება ცხოველთა ძვლებისა და ხრტილების კოლაგენის ჰიდროლიზის შედეგად.

უფერული ან ოდნავ მოყვითალო ელფერის, გამჭვირვალე და თხელი ფირფიტებია, უგემო და უსუნო. იხსნება ცხელ წყალში და იძლევა კოლოიდურ ხსნარს. სპირტსა და ეთერში არ იხსნება. ლღობის ტემპერატურაა 30 — 31°.

იხმარება სისხლის დენის შესაჩერებლად, რისთვისაც ავადმყოფებს აძლევენ შიგნით 5 — 10% ხსნარის თითო სუფრის კოვზს ყოველ 1 — 2 საათში ან უშხაპუნებენ კუნთებში (სტერილური ხსნარი ამპულებში) 20 — 40 მლ (ბავშვებს 5 — 10 მლ) 10%-იან სპეციალურად დამზადებულ ხსნარს. საჭიროა შეშხაპუნების წინ ხსნარის შეთბობა სხეულის ტემპერატურამდე.

ინახება მშრალ, მტვერისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Gelatinae albae 10% — 25,0

D. t. d. 10 in ampulis

S. კანკვეშ შესაშხაპუნებლად.

Rp.: Gelatinae albae 10,0


Sirupus corticis Aurantii 20,0

Aquae destillatae ad 200,0

M. D. S. თითო სუფრის კოვზი ყოველ 1 — 2 საათში.

სტიპტიცინი

Stipticinum



წვრილკრისტალური, ყვითელი ფერის, უსუნო, მწარე გემოს, ჰიგროსკოპული ფხვნილია. ძლიერ ადვილად იხსნება წყალში (1:1), სპირტში (1:2).

იხმარება საშვილოსნოდან სისხლის ღენის დროს (ფიბრომები, მეტრიტები) — შიგნით — 0,05 გ 3-ჯერ დღეში ან კანქვეშ 2 — 5% ხსნარის 1 მლ.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა — 0,1 გ.

უმაღლესი სადღეღამისო დოზა — 0,3 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,05 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ნა-რინჯისფერ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Stipticini 0,05

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Stipticini sterilisatae 5% — 10,0

D. S. 1 მლ კანქვეშ.

ჰემოსტაზური ღრუბელი

პრეპარატს ამზადებენ ადამიანის ან მსხვილფეხა ცხოველის სისხლის პლაზმიდან.

მას აქვს ჰემოსტაზური მოქმედება, იხმარება პარენქიმული ორგანოებიდან სისხლისღენის საწინააღმდეგოდ. სისხლის ღენის ადგილას აყრიან ჰემოსტაზური ღრუბლის ფხვნილს ან ადებენ ნაკერს. სისხლით გაფლენთის შემდეგ ღრუბელი იქცევა ფიბრინის აპკად, რომელიც სისხლის ღენის შეწყვეტის შემდეგ შეიძლება მოშორებულ ან დატოვებულ იქნეს იქვე. ის თანდათანობით შეიწოვება.

გამოშვებულია სტერილურად, ცელოფანში შეფუთულ ლითონის კოლოფებში. ხმარების დროს დაკული უნდა იქნეს ასეპტიკის წესები.

ინახება მშრალსა და სინათლისაგან დაკულ ადგილას ოთახის ტემპერატურის პირობებში.

ჰ ე მ ო ს ტ ი მ უ ლ ი ნ ი

Haemostimulinum

ჰემოსტიმულინს ამზადებენ მსხვილი რქოსანი პირუტყვის სისხლიდან რკინისა და სპილენძის მარილის დამატებით.

მის შემადგენლობაში შედის: მშრალი ჰემატოგენი 25%, რკინის ლაქტატი — 50%, გოგირდმცავა სპილენძი—1%, გლუკოზა — 20%.

იხმარება ჰიპოკრომული ანემიების წინააღმდეგ შიგნით 0,6 გ 3-ჯერ დღეში ჭამის დროს (ბავშვებს 0,1 — 0,5 გ), ასე 3 — 5 კვირის განმავლობაში. ფხენილს აყოლებენ განზავებულ მარილმცავას 10 — 15 წვეთს, გახსნილს $\frac{1}{2}$ ჭიქა წყალში.

გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში \pm 0,3 და 0,6 გ. ინახება გრილ, სინათლისაგან დაკულ ადგილას.

Rp.: Haemostimulini 0,5

D. t. d. 24 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ს ა ფ უ ა რ ი

შეიცავს B₁, B₂, PP ვიტამინებს, აგრეთვე D პროვიტამინს და რიგ ფერმენტებს.

იხმარება ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ფურუნკულოზისა და სიგამხდრის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 0,5 გ (ღებულობენ დღეში 3-ჯერ თითო ტაბლეტს) და ფლაკონებში \pm 500 მლ (ღებულობენ 1 ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში).

ჰ ე ფ ე ფ ი ტ ი ნ ი


Hefaephytinum

ტაბლეტებშია, რომლებიც შეიცავს მშრალ საფუარს 0,375 გ და ფიტინს 0,125 გ.

იხმარება როგორც საფუარის პრეპარატი 2—3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი.

დოპანი

Dopanium



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში არ იხსნება, ძნელად იხსნება სპირტში.

იხმარება ქრონიკული მიელოიდური ლეიკემიისა და ლიმფოგრანულომატოზის წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში აძლევენ 0,012 გ ერთ-ორჯერ 4—5 დღეში, 4—5 დღის შემდეგ აძლევენ 0,01 გ ერთჯერ 4—5 დღეში; ასე სულ 5—7-ჯერ. დოპანს აძლევენ შიგნით სადილის შემდეგ რძის დაყოლებით. საჭიროა ყოველთვის მეთვალყურეობა; როდესაც ლეიკოციტების რიცხვი შემცირდება 20.000—25.000-დღე, დოპანის მიცემა უნდა შეწყდეს.

ლიმფოგრანულომატოზის წინააღმდეგ დოპანს აძლევენ 0,01 გ 5 დღეში ერთჯერ, სულ 5—7-ჯერ; როდესაც ლეიკოციტების რიცხვი ჩამოვა 3000-დღე ან თრომბოციტები დაიწვეს 100.000 ქვემოთ, პრეპარატის მიცემა უნდა შეწყდეს.

საჭიროა ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობა.

შესაძლებელია თანამოვლენები: გულსრევა, პირღებინება, ფაღარათი. ამ მოვლენების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ბარბამილი 0,2 გ ან ამინაზინი 0,025 გ 1 საათით ადრე დოპანის მიცემამდე, ან 2—3 საათის შემდეგ მისი მიცემიდან.

დოპანით მკურნალობის უკუჩვენებაა: მწვავე ან გამწვავებული მიელოლეიკოზი, ლიმფოგრანულომატოზი ლეიკოპენიით და თრომბოპენიით მიმდინარე, ან უშუალოდ რენტგენოთერაპიის შემდეგ (უნდა იყოს ინტერვალი 2 თვემდე).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 გ, 0,002 გ და 0,005 გ.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Dopani 0,002

D. t. d. 10 in tahulettis

S. მიიღება ექიმის დარიგების მიხედვით ცხელ თათარასთან, კომპოტთან ან რძესთან ერთად.

ჰეპარინი

Heparinum

ჰეპარინი სისხლის შედედების საწინააღმდეგო საშუალებაა. მისი ანტიკოაგულაციური თვისება დამოკიდებულია სისხლში არსებული შედედების ფაქტორებზე უშუალო მოქმედებისაგან.

გარდა ამისა, აკავებს ჰიალურონიდაზის აქტივობას, ხელს უწყობს თრომბული მასის დაშლას და სისხლძარღვთა გამავლობის აღდგენას; ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში; დიდ დოზებში იწვევს სისხლძარღვთა გაფართოებას და არტერიული წნევის დაწევას.

ჰეპარინს უნიშნავენ კანქვეშ, კუნთებში და ვენაში თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ჰეპარინის უკუჩვენებას წარმოადგენს: ჰემორაგიული დიათეზი, ლეიკოზები, აპლასტიური ანემიები, წყლულოვანი დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნეები კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, მწვავე ენდოკარდიტი, ლვიძლისა და თირკმლების დაავადებები ფუნქციის მოშლით, ოპერაციები ტვინზე.

ჰეპარინს უფრო ხშირად უკეთებენ ვენაში: პირველ დღე-ღამეში 5000 — 10000 მოკ. ერთ. 4 — 6-ჯერ; მეორე და მესამე დღეს ამცირებენ დოზას 25000 — 30000 მოკ. ერთ. დღე-ღამეში. კუნთებში და კანქვეშ შესაყვანად უნიშნავენ ასეთსავე დოზებში; მოქმედება იწყება 40 — 60 წუთის შემდეგ. ვენაში შეყვანისას მოქმედება დაუყოვნებლივ ვითარდება.

ქირურგიული დახმარებისა და ორსულობის დროს გათვალისწინებული ინდა იქნეს სისხლის დენის შესაძლებლობა, თუ გამოყენებული იყო ჰეპარინი.

საქიროა აღნიშნულ იქნეს აქვე, რომ ჰეპარინის ანტაგონისტი არის პროტამინსულფატი.

პროტამინსულფატის 1 მგ ანეიტრალებს ჰეპარინის 100 მოკ. ერთ. ჩვეულებრივად ვენაში შეჰყავთ პროტამინსულფატის 1%, ხსნარის 5 მლ, 15 წუთის შემდეგ შეიძლება განმეორება ასეთსავე დოზებში.

ჰეპარინი გამოშვებულია ფლაკონებში à 5 მლ (1 მლ შეიცავს 5000 — 110000 მოკ. ერთ.).

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Heparini 4 ml (à 10.000 მოკ. ერთ.)

D. t. d. 3 in ampulis

S. 2 მლ კუნთებში 2-ჯერ დღეში.

დიკუმარინი

Dicumarinum



დიკუმარინი მწარე გემოს, უსუნო, თეთრი, ოდნავ მოყვითალო, წერილკრისტალური ფხენილია. არ იხსნება წყალში, სპირტსა და ეთერში, ადვილად იხსნება მწვანე ტუტეების ხსნარსა და ქლოროფორმში. ლღობის ტემპერატურაა 285 — 293°.

ამებამდ დიკუმარინს ლებულობენ სინთეზურად.

დიკუმარინი ამცირებს პროთრომბინის რაოდენობას სისხლში და აფერხებს სისხლის შედედებას.

ორგანიზმში მისი მოქმედება ვითარდება თანდათანობით და აღწევს თავის მაქსიმუმს პრეპარატის მიღებიდან 12 — 72 საათის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში სისხლში არსებული პროთრომბინი მცირდება, ახალის წარმოშობა კი დაყოვნებით ხდება, მცირდება აგრეთვე პროკონვერტინისა (VII ფაქტორი) და სისხლის შედედების სხვა ფაქტორის წარმოშობა. გარდა ამისა, ნელდება სისხლის პლაზმის რეკალციფიკაცია.

დიკუმარინის გავლენა პრეპარატის მოხსნის შემდეგ ისევ თანდათანობით წყდება 2 — 10 დღის განმავლობაში.

დიკუმარინს აქვს კუმულაციის თვისება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ჩვენება: მკურნალობა და პროფილაქტიკა თრომბოზებისა, თრომბოფლებიტების, ემბოლიების, თრომბოემბოლიური დაავადების, მიოკარდიუმის ინფარქტისა; იხმარება აგრეთვე სტენოკარდიის დროსაც.

წინააღმდეგჩვენება: ჰემორაგიული დიათეზი და სხვა დაავადება, სადაც პროთრომბინი 70% -ზე ნაკლებია სისხლში; ჰემოფილია, ლვიძლისა და თირკმლების ფუნქციის დარღვევა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ავთვისებიანი სიმსივნეები, პერიკარდიტი, მენსტრუაციის დრო, მშობიარობის შემდგომი პირველი დღეები.

მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს თავის ტკივილი, გულისრევა, ფალარათი, ალერგიული მოვლენები.

ასეთ შემთხვევებში უნდა შეწყდეს პრეპარატის მიღება და დაენიშნოს ვიკასოლი, P ვიტამინი (ან რუტინი), ასკორბინის მება და სისხლის გადასხმა ჰემოსტაზურ დოზებში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 0,1 გ. სადღეღამისო — 0,3 გ.

ეძლევა შიგნით 0,05 გ — 0,1 გ 2 — 3-ჯერ დღეში (პროთრომბინის რაოდენობის მიხედვით) 2 — 3 დღის განმავლობაში, შემდეგ დღე-ღამეში სულ 0,2 გ — 0,05 გ (თანდათანობით შემცირებით).

დიკუმარინით მკურნალობის დროს საჭიროა ყოველ 2 — 3 დღეში პროთრომბინის განსაზღვრა სისხლში და შარდის გასინჯვა, რათა დროულად იქნეს გამორკვეული ეფექტიანობა.

როდესაც მკურნალობის გავლენით პროთრომბინი 50% — 40% -მდე შემცირდება, პრეპარატი უნდა მიეცეს მცირე დოზებში, რომ მოხდეს პროთრომბინის სტაბილიზაცია ასეთ დონეზე, სანამ არსებობს თრომბის გაჩენის საფრთხე (მაგ., გულის ინფარქტის შემთხვევაში 1 — 1,5 თვემდე).

დიკუმარინის მიცემის შეწყვეტა უნდა მოხდეს თანდათანობით დოზის შემცირებით.

მკურნალობა უნდა ტარდებოდეს სტაციონარულ პირობებში.

დიკუმარინი ინახება დაკეტულ კარადაში (კარადა A), შინის ქილებში, მშრალ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Dicumarini 0,05


Sacchari albi 0,2

M. f. p. D. t. d. 20

S. ექიმის დანიშნულების მიხედვით. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში, 3 დღის განმავლობაში, შემდეგ თანდათან შემცირდება (იხ. ზემოთ).

ნეოდიკუმარინი

Neodicumarinum



ნეოდიკუმარინი (პელენტანი) თეთრი, ოდნავ მოყვითალო ელფერის, უსუნო, წვრილკრისტალური ფხვნილია; წყალში თითქმის არ იხსნება, ძნელად იხსნება სპირტსა და ეთერში. ლობის ტემპერატურა 175 — 178°.

ნეოდიკუმარინს ახასიათებს იგივე მოქმედება, რაც დიკუმარინს (იხ. ზემოთ), მხოლოდ იგი შედარდება მალე, ნაკლებ ტოქსიკურია და არა აქვს ისეთი კუმულაციის თვისება.

ჩვენება და მკურნალობის წესი ისეთივეა, როგორც დიკუმარინისა.

დოზა: პირველ დღეებში 0,2 გ 3-ჯერ დღეში, შემდეგ დღეებში ეძლევა 0,15 გ 3-ჯერ და ბოლოს 0,2 გ 1-ჯერ დღეში.

უმალესი ერთჯერადი დოზა — 0,3 გ, სადღეღამისო — 0,6 გ. გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,1 გ და 0,2 გ. ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), კარგად დახურულ მინის ქილებში, მშრალ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Neodicumarini 0,2

D, t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3 — 2 — 1-ჯერ დღეში.

პ ე ლ ე ნ ტ ა ნ ი

Pelentan

პელენტანი უფერული, მწარე გემოს, კრისტალური ნივთიერებაა. ძნელად იხსნება ცივ წყალში, უკეთესად მდუღარეში.

პელენტანის კლინიკური გამოყენება დამყარებულია მის ანტი-კოაგულანტურ თვისებაზე; ამ მხრივ მისი მოქმედების მექანიზმი ძლიერ წააგავს დიკუმარინის მოქმედებას: ანელებს პროთრომბინისა და პროკონვერტინის წარმოშობას ღვიძლში. მხოლოდ ეს მოქმედება იწყება დიკუმარინთან შედარებით უფრო მალე, ტოქსიკური და კუმულაციური თვისებები ნაკლებად აქვს გამოხატული.

პელენტანს უნიშნავენ იმავე შემთხვევებში, რაც დიკუმარინს (იხ. ზემოთ) — თრომბოფლებიტების, ემბოლიების, თრომბოემბოლიური დაავადების, მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევებში და აგრეთვე თრომბოზების პროფილაქტიკის მიზნით.

პელენტანის გამოყენების წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს ჰემორაგიული დიათეზი, ჰემოლიზური სიყვითლე, სისხლის დენა, ღვიძლის, თირკმლების დაავადებები. არ ურჩევენ პელენტანის ხმარებას ორსულობის ბოლო ხანებში, მშობიარობის წინ. მენსტრუაციისა და ძუძუს წოვების ხანაში პელენტანი უნდა იქნეს გამოყე-

ნებული მხოლოდ გაძლიერებული კონტროლის ქვეშ (სისხლისა და შარდის მხრივ). თუ პელენტანით მკურნალობის პერიოდში განვითარდა ცხვირიდან ან ღრძილებიდან სისხლის დენა, ან შარდში აღმოჩენილ იქნა ერითროციტები, პელენტანის მიღება უნდა შეწყდეს 2 დღით, ამის შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება იგი გაგრძელდეს მცირე დოზებით ისევ კონტროლის ქვეშ.

თუ განვითარდა შესაძენივე სისხლდენა, ავადმყოფს უნდა გადაეხსნას ახალი (და არა კონსერვირებული) სისხლი და მიეცეს K ვიტამინი. პელენტანის მიღება უკეთესია ჭამის შემდეგ, ტაბლეტის დაუღეჟავად წყლის დაყოლებით.

დოზა: პირველ და მეორე დღეს თითო ტაბლეტი 3-ჯერ, მესამე და მეოთხე დღეს თითო ტაბლეტი 2-ჯერ, მეხუთე დღიდან 1 ტაბლეტი 1-ჯერ. გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში (სტაციონარში) შეიძლება ყოველდღიური დოზა გადიდდეს 1 ტაბლეტით.

პელენტანი გამოშვებულია ტაბლეტებში 0,3 გ

Rp.: Pelentani 0,3

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ფ ე ნ ი ლ ი ნ ი

Phenylinum

ფენილინი—2 —ფენილ — 1,3 — ინდანლიონი — თეთრი, კრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება წყალში, იხსნება სპირტში, ქლოროფორმსა და ეთერში, ლობის ტემპერატურაა 146 — 147°.

ფენილინი მიეკუთვნება არაპირდაპირ კოაგულანტურ ნივთიერებათა ჯგუფს და თავისი მოქმედებით ახლოსაა დიკუმარინთან და ნეოდიკუმარინთან. მისი მოქმედება იწყება ჩვეულებრივად პრეპარატის მიღებიდან 18 — 24 საათის შემდეგ.

უნიშნავენ იმავე შემთხვევებში, რაც დიკუმარინსა და ნეოდიკუმარინს.

თრომბოემბოლიების დროს აძლევენ შიგნით 0,03 — 0,04 გ. 3 — 4-ჯერ დღეში პირველი ორი დღე-ღამის განმავლობაში, შემდეგ დოზას უკლებენ, სანამ პროთრომბინის ინდექსი არ გახდება მყარი 50 — 40% დონეზე. ჩვეულებრივად ამ დროს აძლევენ ფენილინს 0,03 გ 2 — 1-ჯერ დღეში, ასეთსავე დოზას უნიშნავენ პროფილაქტიკისათვის. ფენილინის მიღების პერიოდში საჭიროა სისტემატური მეთვალყურეობა პროთრომბინისა და შედეგების

სხვა ფაქტორის მდგომარეობაზე სისხლში. ავადმყოფები ჩვეულებრივად კარგად იტანენ ფენილინით მკურნალობას.

გართულებები, თანამოვლენები და უკუჩვენებები ფენილინის ისეთივე აქვს, როგორიც დიკუმარინსა და ნეოდიკუმარინს. ზოგჯერ ავადმყოფებს უვითარდებათ ხელი ს გულის ნარინჯისფრად შეღებვა.

გამოშვებულია ფხვნილებში და ტაბლეტებში \pm 0,03 და 0,02 გ. ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) მშრალ ადგილას.


Rp.: Phenylini 0,02

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ნოვემბიქინი

Novembichinum



თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა. კარგად იხსნება წყალში. ნოვემბიქინი აბრკოლებს სისხლის წარმოშობის პროცესს, უმათერესად ლეიკოლიმფოპოეზს, ნაკლებად — ერითროპოეზს.

იგი იხმარება ლიმფოგრანულომატოზის I, II, და III სტადიაში, ქრონიკული მიელოზებისა და ლიმფადენოზების დროს და აგრეთვე ერითრემიის შემთხვევებში.

იხმარება მხოლოდ ვენაში შეყვანით.

ლიმფოგრანულომატოზის დროს ძღლევენ 0,006 გ ერთ ინექციაზე, მეორე ინექციაზე კი — 0,008 გ, შემდეგ — 0,009 გ, იშვიათად — 0,01 გ; ინექციები კეთდება 2 დღეში ერთჯერ. მკურნალობის ერთი კურსი შედგება 12 — 18 ინექციისაგან. მკურნალობის განმეორება (6 — 9 ინექცია) შეიძლება მხოლოდ 2 — 6 თვის შემდეგ.

ქრონიკული მიელოლეიკოზების და ლიმფოადენოზების დროს ნოვემბიქინი პირველად შეჰყავთ ვენაში 0,003 — 0,004 გ, შემდეგ თანდათანობით აჰყავთ 0,006 — 0,008 გ; სულ აკეთებენ 10 — 15 ინექციას.

უმალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის 0,01 გ 2

დღეში 1-ჯერ, ბავშვებისათვის — 0,0007 — 0,00015 გ წონის ყოველ 1 კილოგრამზე.

ნოვემბიქინის უკუჩვენებაა: მწვავე ლეიკოზები, ლიმფოგრანულომატოზის IV სტადია, მკვეთრი ლეიკოპენია, ანემია, თრომბოციტოპენია, კახექსია, ლვიძლის, თირკმლების და გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადება. აქტიური ტუბერკულოზური პროცესი.

ნოვემბიქინი ტოქსიკური პრეპარატია; შესაძლებელია თანამოვლენები: გულისრევა, პირღებინება, ფლარათი, საერთო სისუსტე. ასეთ შემთხვევაში კარგად მოქმედებს ბარბამილი 0,4 გ ან ამინაზინი 0,025 გ შიგნით.

ნოვემბიქინი გამოშვებულია 10 მლ მოცულობის ამპულაში, თითო ამპულაში არის 10 მგ მშრალი ნოვემბიქინი.

ხმარების წინ ამპულაში შეჰყავთ ზუსტად 10 მლ სტერილური რინგერის ხსნარი. მიიღება მღვრიე ხსნარი, რომელიც რამდენიმე წამში გამჟვირვალე ხდება. ამის შემდეგ მაშინათვე 20 მილილიტრის შპრიცით იღებენ ამ ხსნარიდან იმდენს, რამდენიც გათვალისწინებულია ვენაში შესაყვანად და შემდეგ შპრიცს ავსებენ (20 მლ) რინგერის ხსნარითვე, ურევენ და უშხაპუნებენ ვენაში.

შენახაპუნება უნდა სიფრთხილით, რომ ხსნარი არ მოხვდეს კანქვეშ; თუ მაინც მოხვდა, სწრაფად უნდა იქნეს შეშხაპუნებული სტერილური რინგერის ხსნარი ან ფიზიოლოგიური ხსნარი. თუ ნოვემბიქინის ხსნარით დასველდა კანი ან ლორწოვანი გარსი, ეს ადგილი სწრაფად უნდა მოიბანოს.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A), ამპულაში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Novembichini 0,01

D. t. d. 10 an ampulis

S. ვენაში გასაყეთებლად (ინსტრუქციის მიხედვით).

თიოფოსფამიდინი ან თიო-ტეფ

Thiophosphamidum s. Thio-Teph



პრეპარატი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში და ნატრიუმ-ქლორიდის იზოტონურ ხსნარში.

აქვს ციტოტოქსიკური გავლენა სიმსივნურ ქსოვილებზე. მოქმედებს ქრონიკულ მიელოზზე, ლიმფადენოზზე და ლიმფოგრანულომატოზზე. დადებითი შედეგები აღნიშნულია აგრეთვე სხვადასხვა ორგანოების კიბოს წინააღმდეგ გამოყენების დროს (სარძეო ჯირკვლების, საკვერცხეების, საშვილოსნოს ყელის, ფილტვების, პლევრის, პერიტონეუმის და სხვ.).

გამოშვებულია ფლაკონებში ტაბლეტების 0,01 გ და 0,02 გ სახით. ხმარების წინ იმავე ფლაკონში იხსნება 4 მლ სტერილურ გამოხდილ წყალში. შეჰყავთ კუნთებში, ვენაში, მუცლის ღრუში, პლევრის ღრუში და უშუალოდ სიმსივნეში.

დოზა 0,01 გ 1-ჯერ ყოველდღე ან დღეგამოშვებით, შემდეგ 1-ჯერ 3 — 5 დღეში (ლეიკოციტოზისა და თრომბოციტების რიცხვის მიხედვით), ამის შემდეგ 1-ჯერ 7 — 14 დღეში. სულ მკურნალობის ერთ კურსზე იხარჯება 0,1 გ — 0,3 გ.

სიმსივნური დაავადების დროს ხმარობენ უფრო დიდ დოზებში (0,015 — 0,02 გ) ერთი-ორი დღეგამოშვებით.

მკურნალობის განმეორება შეიძლება 1 $\frac{1}{2}$ — 2 თვის შემდეგ.

მკურნალობის დროს საჭიროა გამახვილებულ იქნეს ყურადღება ლეიკოციტების და თრომბოციტების რიცხობრივი მაჩვენებლებისადმი; ლეიკოციტების 3000-დღე ან თრომბოციტების რიცხვის 100000-დღე შემცირების შემთხვევაში პრეპარატის მიცემა უნდა შეწყდეს.

უკუჩვენებას წარმოადგენს: ზოგადი მძიმე მდგომარეობა, გამოხატული კახექსია და ლეიკოპენია და კიბოს შორსწასული ფორმები, მწვავე ლეიკოზები, ალეიკემიური ფორმები, ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, ნეფრიტი, სისხლის მიმოქცევის მძიმე უკმარისობა. სხივური მეთოდით მკურნალობის შემდეგ თიო-ტეფი შეიძლება დაენიშნოს ერთი თვის ბოლოს.

ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) ჰერმეტიულად დახურულ ფლაკონებში, გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ანტიდოტი მძიმე ლითონებით მოწამვლის დროს

Antidotum metallorum

გამჰვირვალე, მოყვითალო-მომწვანო ელფერის სითხეა, გოგირდწყალბადის სუნის და მწარე-მომწკლარტო გემოსი. მოწოდებულია მძიმე ლითონების მარილებით მოწამვლის საწინააღმდეგოდ.

(უმთავრესად სინდიყის მარილებით). 1 ლიტრ ხსნარში შედის: მაგნიუმსულფატი 3,75 გ, ნატრიუმის ბიკარბონატი — 12,5 გ, მწვავე ნატრიუმი — 1 გ და გოგირდწყალბადი 0,4%.

ანტიდოტის მიცემის წინ ავადმყოფს აძლევენ ერთ კიქა წყალს; ანტიდოტს აძლევენ 50 — 100 მლ ერთ მიღებაზე; ამასთან ერთად უნიშნავენ კანკვეშ ან კუნთებში შესაყვანად უნითიოლს — 5% ხსნარის 1 მლ ავადმყოფის ყოველ 10 კილოგრამ წონაზე პირველ დღეს 3 — 4 ჯერ (დარიშხანით და სულემით მოწამვლის დროს), მეორე დღეს 2 — 3-ჯერ და 1 — 2-ჯერ 3 — 7 დღის განმავლობაში.

ჩვენების მიხედვით საჭიროა კუჭის ამორეცხვა, გლუკოზა ვენაში, ჟანგბადის მიცემა და სხვა საშუალებების გამოყენება.

ანტიდოტი გამოშვებულია მინის ფლაკონებში à 100 და 200 მლ.

ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას კარგად თავდაცობილ ფლაკონებში.

ვიტამინები

Vitamina

ვიტამინები მეტად საჭირო ნივთიერებას წარმოადგენენ ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მსვლელობისათვის—არსებობის, ზრდის, განვითარებისა და გამრავლებისათვის.

ვიტამინის არსებობის შესახებ მოსაზრება პირველმა გამოთქვა რუსმა მეცნიერმა ნ. ი. ლუნინმა (1881 წ.), რომელმაც აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმისათვის, ხოლო სახელწოდება „ვიტამინი“ ეკუთვნის კ. ფუნკს (1912 წ.), რომელმაც პირველად გამოყო აქტიური ნივთიერება ბრინჯის ქატოსაგან.

ცნობილია 20-მდე ვიტამინი, რომელთა უმრავლესობა კარგად არის შესწავლილი.

ორგანიზმი ვიტამინებს ღებულობს ძირითადად მცენარეულობიდან, გარდა ე. წ. ცხიმში ხსნადი A და D ვიტამინისა.

საკვებში ვიტამინის ნაკლებობა ან ორგანიზმის მიერ ვიტამინის შეთვისების უნარის დაქვეითება იწვევს ავიტამინოზს ან ჰიპოვიტამინოზს.

ავადმყოფებს ვიტამინები ენიშნებათ არა მარტო ავიტამინოზის ან ჰიპოვიტამინოზის დროს, არამედ მრავალი სხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს, როდესაც ორგანიზმში ვიტამინებზე მოთხოვნილება მატულობს.

A ვ ი ტ ა მ ი ნ ი

Vitaminum A

A ვიტამინი ბაცი მოყვითალო ფერის, წვეტიანი კრისტალეზია, ღლიობის ტემპერატურაა 63—64°, წყალში არ იხსნება, იხსნება სპირტში და სხვა ორგანულ გამხსნელებში.

A ვიტამინს შეიცავს ცხოველთა ცხიმები. იგი ბლომადაა ზღვის ცხოველებისა და ზოგიერთი თევზის ღვიძლის ცხიმში.

ორგანიზმი A ვიტამინს ღებულობს აგრეთვე ზოგიერთი მცენარეულიდანაც, რომელშიაც იგი იმყოფება პროვიტამინის—კაროტინის სახით. კაროტინით განსაკუთრებით მდიდარია სტაფილო, სალათი, ისპანახი, პამიდორი, მწვანილეულობა, ხილეულობა. აქედან ორგანიზმში ფერმენტ კაროტინაზის ზეგავლენით წარმოიშვება A ვიტამინი. ეს პროცესი ირღვევა ღვიძლის დაავადებათა და შაქრიანი დიაბეტის შემთხვევებში.

ამებამდ A ვიტამინი მიღებულია სინთეზურადაც.

A ვიტამინი საჭიროა ზრდისა და გამრავლებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი მხედველობისათვის.

ავიტამინოზი ან ჰიპოვიტამინოზი იწვევს ზრდის შეჩერებას, ინფექციის მიმართ გამძლეობის შემცირებას, განსაკუთრებით ზედა სასუნთქი გზების დაავადებისადმი; ვითარდება ჰემერალოპია, ქსეროფთალმია და სხვ., რასაც შეიძლება მოჰყვეს მხედველობის სრული დაკარგვა, თუ ავიტამინოზი დიდხანს გაგრძელდა. ამავე პირობებში ქვეითდება ქამის მადა, ვითარდება დაღლილობა, კანის ზოგიერთი დაავადება.

A ვიტამინი იხმარება აღნიშნული მოვლენების პროფილაქტიკის მიზნით და სამკურნალოდ.

დოზა მერყევია: მოზრდილთათვის დღე-ღამეში 1,5 მგ (5000 სე)—3 მგ (10.000 სე), ორსულებს ენიშნება 2,5 მგ (8250 სე); ძუძუს წოვებისას—3 მგ (10.000 სე*).

ბავშვებს: 7 წლამდე—1,5 მგ (5000 სე); 7 წლ.—14 წლამდე 2 მგ (6600 სე); 14 წლის ზემოთ—2,5 მგ (8250 სე).

„ჰიგიენური დოზა“ მოზრდილთათვის—1,5 მგ (ე. ი. 5000 სე).

კანის დაავადების დროს იხმარება უფრო დიდ დოზებში 100.000 სე დიდი ხნის განმავლობაში) მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით, რადგან შესაძლებელია თანამოვლენების განვითარება (ფალარათი, უმადობა, ჰიპერესთეზია და სხვ.).

უშალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის—50.000 სე, საღლეღამისო—100.000 სე.

გამოშვებულია თევზის ქონში, აგრეთვე დრაჟეს სახით 3300 სე, კოლოფებში.

ინახება გრილ ადგილას. ვარგისია 6 თვე.

სინთეზური A ვიტამინი გამოშვებულია ზეთში გახსნილი — 1 მლ შეიცავს 100.000 სე.

* სე—საერთაშორისო ერთეული.

ციტრალი

Citralum

ციტრალი ზეთისებური სითხეა, მოყვითალო ფერის. არ იხსნება წყალში, აქვს ლიმონის დამახასიათებელი სუნი. ქიმიური სტრუქტურით წააგავს A ვიტამინის მოლეკულის გვერდითს ჯაჭვს.

იხმარება ოფთალმოლოგიაში (კერატიტების, კონიუნქტივიტიტების დროს 1—2 წვეთი წყლიან-სპირტიანი ხსნარში—1 : 10000) თვალღებში ჩასაწვეთებლად.

იხმარება შიგნითაც 1% ალკოჰოლიანი ხსნარი 2—3-ჯერ დღეში 10—20 წვეთი სუფრის კოვზ წყალზე ჰიპერტონიული დაავადებისა და კლიმაქსის შემთხვევებში.

Rp.: Solutionis Citrali spirituosae 2%—20,0

D. S. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში ერთი სუფრის კოვზი წყალში გახსნილი.

ციქოლი

Cicholum

მოყვითალო ფერის, გამკვირვალე, მწარე გემოს სითხეა. შეიცავს 0,2% ციტრალს. იგი წარმოადგენს ქლორმეავა ნატრიუმის კომპლექსს ციტრალთან.

აწვეთებენ 1—2 წვეთს ყოველ 2 საათში კონიუნქტივის პარკში ტკივილების შეწყვეტამდე ირიტის, ირიდოციკლიტის, ენდოფტალმიტის, გლაუკომის. წყლულების დროს.

ციქოლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანკეეშაც 1—2 მლ, მხოლოდ უნდა დაემატოს ნოვოკაინის 0,5% ხსნარის 0,5 მლ. შეეყვანა ხდება ნელა.

Rp.: Cicholi in ampulis 2,0

D. t. d. 6

S. თითო ამპულა კანკეეშ დღეში ერთჯერ 0,5% ნოვოკაინის ხსნარის 0,5 მლ დამატებით.

B₁ ვიტამინი

Vitaminum B₁, Thiaminum bromatum, Thiaminum chloratum

B₁ ვიტამინი თავისებური სუნის, მოყვითალო ფერის, კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალში, მეთილის სპირტში, არ იხსნება ეთერში. წყალხსნარს აქვს მჟავე რეაქცია; ნეიტრალურ და

ტუტე ხსნარებში ადვილად იშლება. ლობის ტემპერატურაა 210—215°. თიამინ-ბრომიდის მოლეკულური წონა არის 435, 2 და თიამინ-ქლორიდისა—337,27. ხსნარების სტერილიზაცია ხდება 30 წუთის განმავლობაში 100° ტემპერატურაზე.

B₁ ვიტამინი მოიპოვება საფუარში, ბრინჯში, ხორბალში, ქვაში, ნიგოზში, მუხუდოში, კვერცხის გულში, ლეიძლში, რძეში.

განსაკუთრებით მდიდარია მარცვლეულის ქერქი და ჩანასახი.

B₁ ვიტამინი განსაზღვრულ როლს თამაშობს ნერვული სისტემის ფუნქციის რეგულაციაში, კუჭ-ნაწლავის და გულ-სისხლძარღვთა მოქმედებაში. ის ლებულობს მონაწილეობას ნახშირწყლების ცვლაში და სისხლის წარმომშობ ორგანოთა მუშაობაში.

B₁ ვიტამინის ნაკლებობა იწვევს მთელ რიგ მოვლენებს. ხოლო B₁ ავიტამინოზი მიზეზია საკმაოდ მძიმე დაავადებისა — ბერი-ბერის.

ჰიპო- და სრული ავიტამინოზის გარდა, B₁ ვიტამინის დანიშნისათვის ჩვენებს წარმოადგენს: ნევრიტები, ნევრალგიები, პერიფერიული ნერვების ტრავმული დაზიანებები, ენცეფალოპათიები, დიაბეტი, პოდაგრა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ლეიძლის დაავადება, კარდიოსკლეროზი, სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, ენდარტერიტი, დერმატოზები, სხვადასხვა ეტიოლოგიის კანის ქავილი, ეკზემა, ფსორიაზი.

ბუნებრივ B₁-ს მთლიანად შეესაბამება თიამინ-ბრომიდი (ან ქლორიდი), რომელიც მიღებულია სინთეზური გზით.

აღამიანი B₁ ვიტამინის ლებულობს მზა საკმელთან ერთად, თვით ორგანიზმს არ შეუძლია მისი დასინთეზირება.

ამ ვიტამინის ზედმეტი მიღების შემთხვევაში შეიძლება იგი ძლიერ მცირედ დაგროვდეს ლეიძლში, დანარჩენი გამოდის შარდით; ამიტომ საჭიროა სისტემატურად შედიოდეს იგი ორგანიზმში.

სამკურნალო დოზა ჰიპოვიტამინოზის შემთხვევაში, მოზრდილთათვის: დღეში 6—12 მგ ერთი თვის განმავლობაში. დოზა შეიძლება საჭიროებისა და მიხედვით გადიდებულ იქნეს 12 მგ-მდე დღეში 3—5-ჯერ ან გაუკეთდეს კანქვეშ დღეში 1-ჯერ 6% ხსნარის 1 მლ (ე. ი. 0,06 გ) 20—30 დღის განმავლობაში.

ბავშვებს ენიშნება 2,4—6 მგ 2—5-ჯერ დღეში ან კანქვეშ 6—12 მგ ერთჯერ დღეში.

თიამინ-ბრომიდი გამოშვებულია ფხვნილების, დრაჟეს და ტაბლეტების სახით \times 1,2—1,4—6—12 მგ და ამპულებში 6% ხსნარის თითო მილილიტრი.

თიამინ-ბრომიდის ნაცვლად შეიძლება ხმარებულ იქნეს თიამინ-ქლორიდი, მას აქვს იგივე მოქმედება და დანიშვნისათვის იგივე ჩვენება; დოზა ცოტა ნაკლები—6 მგ ნაცვლად 5 მგ.

გამოშვებულია ფხვნილებსა, აბებსა, ტაბლეტებსა და ამპულებში (5% ხსნარის 1 მლ).

ინახება მშრალ და ბნელ ადგილას. ვარგისია 1 წლის განმავლობაში.

Rp.: Solutionis Thiamin bromati 6%—1,0

D. t. d. 30 in ampullis

S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში 1-ჯერ.

(შეიძლება გაკეთდეს ვენაშიაც დღეში 1-ჯერ—10 მლ 40% გლუქოზის ხსნარში).


Rp.: Vitamini B₁ in tabulettis à 0,002

D. t. d. 30

S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

B₂ ვიტამინი, რიბოფლავინი

Vitaminum B₂, Riboflavinum



B₂ ვიტამინი — რიბოფლავინი არის ყვითელი ნარინჯისფერი კრისტალური ფხვნილი, უსუნო და მწარე გემოსი. მცირედ იხსნება წყალსა და სპირტში. არ იხსნება ეთერში, ქლოროფორმში.

B₂ ვიტამინი იმყოფება საფუარში, ქათოში, ტომატში, კვერცხის ცილაში; მას შეიცავს თევზი, ხორცი, რძე. საზოგადოდ მას ხშირად ვხვდებით მცენარეებში და ცხოველთა ორგანიზმში. მიღებულია სინთეზურადაც.

რიბოფლავინი ღებულობს მონაწილეობას ნივთიერებათა ცვლაში.

მისი ნაკლებობა ორგანიზმში—ჰიპორიბოფლავინოზი ან სრული არიბოფლავინოზი—იწვევს სპეციფიკურ ცვლილებებს, უმთავრესად პირის ღრუსა და თვალების მხრივ; ვითარდება ნახეთქები და წყლულები ტუჩების კიდეებში, ტუჩების ლორწოვანი იქერცლება, ჩნდება ვერტიკალური ნაპრალები, საიდანაც ზოგჯერ სისხლი სდის. ნესტოებთან და ყურების ნიჟარაზე ჩნდება დერმატიტი. თვალების მხრივ აღსანიშნავია კონიუნქტივიტი, ირიტი, კერატიტები, კატარაქტა და სხვ.

რიბოფლავინი იხმარება აღნიშნული მოვლენების წინააღმდეგ. მას იყენებენ აგრეთვე სხივური დაავადების, სპრუს, ბოტკინის დაავადების დროს.

ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილება რიბოფლავინზე შეადგენს 2,5 მგ (მზორილებისა და ბავშვებისათვის), სამკურნალო დოზა კი უდრის 5—10 მგ დღეში. გაუმჯობესება მეღვენდება მკურნალობის პირველი დღეებიდანვე, ხოლო 2 კვირის დასასრულს, ჩვეულებრივად, სრულებით ქრება არიბოფლავინოზის ნიშნები. ამის შემდეგ კიდევ საჭიროა პრეპარატის მიღების გაგრძელება 1 თვემდე, გამოშვებულია ფხვნილებში, აბებსა და ტაბლეტებში ჰ 0,001, 0,002, 0,005 და 0,01 გ.

ინახება კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში.

Rp.: Riboflavini 0,01


D. r. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში

(შეიძლება 4—5-ჯერაც).

B₆ ვიტამინი, პირიდოქსინი

Vitaminum B₆. Pyridoxinum



B₆ ვიტამინი—პირიდოქსინი არის თეთრი, კრისტალური ნივთიერება, აქვს მწარე გემო. ლობის ტემპერატურაა 204—206°.

იხსნება წყალსა და სპირტში. ხსნარების სტერილიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში.

B₆ ვიტამინი იმყოფება მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმ-

ში (იმყოფება აგრეთვე კარტოფილში, სხვადასხვა ბოსტნეულში, რძეში, თევზში, ხორცში, უფრო მეტია ცხოველის ღვიძლში, კვერცხის გულში და საფუარში).

B₆ ვიტამინი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი თავისი მოქმედების მხრივ. იგი ღებულობს მონაწილეობას ნივთიერებათა ცვლაში; უნიშნავენ ორსულთა ტოქსიკოზის დროს, პარკინსონიზმის შემთხვევებში, პელაგრის დროს ნიკოტინის მჯავასთან ერთად; იყენებენ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ და ქორეის სამკურნალოდ; ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ზოგიერთ საშუალებასთან ერთად (ტუბაზიდი); ნერვული სისტემის მხრივ გართულებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

უნიშნავენ per os ან კანქვეშ, დღეში 0,025—0,1 გ 2—3 მიღებაზე 1—3 თვის განმავლობაში.

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში \pm 0,005—0,01 გ. და ამპულებში \pm 1; 2,5; 5 და 10% ხსნარი თითო მლ რაოდენობით.

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Pyridoxini 0,01

D. t. d. 12 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Pyridoxini 5%—1,0

D. t. d. 6 in ampulis

S. თითო ამპულა კანქვეშ დღეში 1-ჯერ.

B₁₂ ვ ი ტ ა მ ი ნ ი

Vitamini B₁₂

B₁₂ ვიტამინი მუქი წითელი ფერის, უგემური და უსუნო ნემსისებრი კრისტალია. იხსნება წყალში, ხანარი წითელი ფერისაა. იხსნება სპირტში, არ იხსნება ეთერში. ბენზოლსა და ქლოროფორმში.

B₁₂ ვიტამინი ანემიის საწინააღმდეგოდ მეტად ეფექტური საშუალებაა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოქმედება ადისონ-ბირმერის ანემიით დაავადებულთა მკურნალობის დროს და აგრეთვე სხვა ავთვისებიანი ანემიის მსგავსი დაავადების შემთხვევებში (მათ შორის განიერი სოლიტერი — *Diphyllobothrium latum* ით გამოწვეული ანემია; ორსულობისა და სპრუს დროს და სხვ.)

B₁₂ ვიტამინს უნიშნავენ ჩვეულებრივად კუნთებში შესაყვანად.

ადისონ-ბირმერის დაავადების დროს კუნთებში შეჰყავთ 50—100 მიკროგრამი (0,00005—0,0001 გ) 1-ჯერ დღეგამოშვებით. ასეთი დოზებით მკურნალობა გრძელდება კლინიკური და ჰემატოლოგიური რემისიის გამოვლინებამდე. ამის შემდეგ უშხაპუნებენ თვეში მხოლოდ 1—2-ჯერ 100 მიკროგრამს.

ადისონ-ბირმერის ანემიის მძიმე შემთხვევებში უკეთებენ უფრო დიდ დოზებში: 100—200 მიკროგრამი დღეგამოშვებით ერთი თვის განმავლობაში, მხოლოდ კლინიკური და ჰემატოლოგიური გაუმჯობესების შემდეგ ისევ გადადიან 100 მიკროგრამის შეყვანაზე თვეში 1—2-ჯერ.

B₁₂ ვიტამინით მკურნალობის პერიოდში შესაძლებელია საკიროების მიხედვით სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენება (B₁ ვიტამინი, კუჭის წვენი ან განზავებული მარილმჟავა, რკინის პრეპარატები, სისხლის ან ერითროციტული მასის გადასხმა და სხვ.).

B₁₂ ვიტამინს ხმარობენ სხვა დაავადების დროსაც, როგორცაა: მეორადი ანემიები, სპრუ, ბოტკინის დაავადება, ჰეპატიტები, ციროზები, პოლინევრიტები, ნევრალგიები, დიაბეტური ნევრიტი, კაუზალგია, მიგრენი, ლიტლის ავადმყოფობა, ფსორიაზი, ფოტოდერმიტები, ნეიროდერმიტები და სხვ. (შემთხვევის მიხედვით კუნთებში ან კანქვეშ შეჰყავთ B₁₂ ვიტამინი 100—1000 მიკროგრამამდე).

B₁₂ ვიტამინით მკურნალობა უნდა ხდებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

სტენოკარდიის შემთხვევაში საკიროა სიფრთხილე. თუ აუცილებელია, უნდა მიეცეს შედარებით მცირე დოზებში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულაებში, შეცულობით: 1 მლ 0,00005 გ; 0,0001 გ; 0,0002 გ და 0,0005 გ.

ინახება B₁₂ ვიტამინი სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.; Solutionis Vitamini B₁₂ 0,005% 1,0

D. t. d. 10 ain mpulis

S. 1 მლ კუნთებში დღეგამოშვებით.

ა ნ ტ ი ა ნ ე მ ი ნ ი

Antianaeminum

ანტიანემინი არის მსხვილი რქოსანი პირუტყვის ღვიძლის წყლიანი გამონაწვლილი. ერთი მლ ამ პრეპარატისა შეიცავს 1,67 მგ% გოგირდმჟავა კობალტსა და 0,6 გამა გრამამდე B₁₂ ვიტამინს 1 მლ-ში.

იხმარება ავთვისებიანი ანემიის წინააღმდეგ კარგი შედეგით და აგრეთვე სხვა სახის ანემიების წინააღმდეგაც. იყენებენ ასევე ჰეპატიტებისა და ღვიძლის ციროზების და ქრონიკული გასტრიტების (ატროფიული) დროს.

ორგანიზმში შეჰყავთ კუნთებში ინექციებით ყოველწლიურად 2—4 მლ. ავთვისებიანი ანემიების დროს დოზა შეიძლება გადიდდეს—6—8 მლ დღეში. ბავშვებს აძლევენ 0,5—1—2 მლ წლოვანების მიხედვით. თანამოვლენა არ აღინიშნება.

გამოშვებულია ამპულაში à 2 მლ.

ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Autianaemini in ampulis 2,0

D. t. d. 12

S. თითო ამპულა დღეში ერთჯერ კუნთებში შესაშხაპუნებლად.

კ ა მ პ ო ლ ო ნ ი

Campolonum

კამპოლონს ამზადებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ვეშაპის და დელფინის ღვიძლისაგან.

გამჭვირვალე, მუქი ყვითელი ფერის სითხეა.

ხმარობენ ანემიების, ჰეპატიტების, ანაციდური გასტრიტების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია ავთვისებიანი ანემიის დროს.

მოზრდილებს უკეთებენ კუნთებში 2—4 მლ ყოველდღე; ბავშვებს 1 წლამდე—0,5 მლ; 2—5 წ.—1 მლ; 6—12 წ.—2 მლ-მდე. ასე 30 დღის განმავლობაში. რეციდივების პროფილაქტიკის მიზნით (მკურნალობის ჩატარების შემდეგ) უკეთებენ კუნთებში კვირაში ერთჯერ 2—4 მლ.

ინექციის დროს ტკივილების საწინააღმდეგოდ უშხაპუნებენ ნოვოკაინის 1% ხსნარის 1 მლ.

გამოშვებულია ამპულაში à 2 მლ.

ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Campoloni 2,0

D. t. d. 12 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ კუნთებში.

ფ ო ლ ი უ მ მ შ ა ვ ა

Acidum folicum



ფოლიუმმეცავა — პთერიოლგლუტამინის მეცავა — წარმოადგენს B ვიტამინის ჯგუფის შემადგენელ ნაწილს.

ყვითელი, წვრილკრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება სპირტში, ეთერში.

მას შეიცავს ახალი ბოსტნეული (სტაფილო, ისპანახი, კალნაბი, პამიდორი და სხვ.), ცხოველების ღვიძლი და თირკმელი, მიიღება სინთეზურადაც.

იხმარება მაკროციტური ანემიებისა და სპრუს დროს. აგრეთვე ქრონიკული გასტროენტერიტების და პელაგრის შემთხვევებში.

ავთვისებიანი ანემიის წინააღმდეგ იხმარება B₁₂ ვიტამინთან ერთად.

ენიშნება 0,01—0,03 გ დღეში 2—3-ჯერ ერთი თვის განმავლობაში.

გამოშვებულია ფხვნილებში და ტაბლეტების სახით. ინახება ნარინჯისფერ ქილებში, შავ ქალაღდში შეხვეული.


Rp.: Acidi folici 0,02

D. t. d. 20 iu tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ქ ო ლ ი ნ - ქ ლ ო რ ი დ ი

Cholinum chloratum



პრეპარატი თეთრი, კრისტალური, ჰიგროსკოპული ნივთიე-
რებაა, თავისებური სუნის, ადვილად იხსნება წყალსა და სპირტში,
იხსნება ეთერში.

იგი ეკუთვნის B ვიტამინის კომპლექსს. თამაშობს მნიშვნე-
ლოვან როლს ნივთიერებათა ცვლაში. ქოლინ-ქლორიდიდან ორგა-
ნიზმში წარმოიშეება აცეტილ-ქოლინი—ნერვული აგზნების ერთ-
ერთი ძირითადი მედიატორთაგანი. მისი უკმარისობა იწვევს
ლვიძლის ცხიმოვან ინფილტრაციას, დეგენერაციულ პროცესებს
ლვიძლსა და თირკმლებში და სხვ.

ქოლინ-ქლორიდი იხმარება სტაციონარულ პირობებში ლვიძ-
ლის დაავადების დროს (ბოტკინის დაავადება, ჰეპატიტები, ცირო-
ზები) თითო ჩაის კოვზი 3—5-ჯერ დღეში. მკურნალობის ერთ
კურსზე—20—100 გ. ვენაში შეჰყავთ 1%-იანი ხსნარი ნატრიუმ-
ქლორიდის იზოტონურ ხსნართან ან 5—10%-იან გლუკოზის ხსნარ-
თან, ერთ წუთში 30 წვეთის სისწრაფით, ერთ შეყვანაზე 200—
300 მლ რაოდენობით.

გამოშვებულია ამპულებში à 10 მლ 20% ხსნარი და ფლაკო-
ნებში à 100 მლ 20%-იანი ხსნარი. 1%-იანი ხსნარი ვენაში შესაყვა-
ნად მზადდება *ex tempore*.


ინახება მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Cholini-chlorati 20%—100,0
D. S. თითო ჩაის კოვზი 3—5-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Cholini-chlorati 20%—10,0
D. t. d. 12 in ampulis
S. დამზადდეს 1%-იანი ხსნარი გლუკოზის 5%-იან
ხსნარში და წვეთობრივად გაკეთდეს ვენაში
სისწრაფით—30 წვეთი ერთ წუთში.

ასკორბინის მჟავა, ანუ C ვიტამინი

Acidum ascorbinicum seu Vitaminum C



ასკორბინის მჟავა სინთეზური პრეპარატია და მთლიანად შეესაბამება ბუნებრივ C ვიტამინს.

იგი უფერული ფირფიტის მაგვარი კრისტალია. იხსნება 5 ნაწილ წყალში და 40 ნაწილ სპირტში.

C ვიტამინი ბუნებაში საკმაოდ გავრცელებულია, მას შეიცავს ასკილის ნაყოფი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, სხვადასხვა ხილი მეტ-ნაკლები რაოდენობით (მაყვალი, ფიჭვის წიწვები, კომბოსტო, ისპანახი, კოწახური, წითელი წიწაკა, ოხრაბუში, სტაფილო და სხვ.).

C ვიტამინს აქვს დიდი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის, იგი ლეზულობს მონაწილეობას ნივთიერებათა ცვლაში, დაეხმება-აღდგენითი პროცესების რეგულაციაში, ახდენს გავლენას უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენაზე და სტეროიდული ჰორმონების წარმოქმნაზე. ორგანიზმი C ვიტამინს ლეზულობს საკმელთან ერთად, თვითონ ადამიანის ორგანიზმს მისი წარმოშობის უნარი არა აქვს, ამიტომ, თუ მიღებული საკმელი არ შეიცავს ამ ვიტამინს, ორგანიზმში ვითარდება ჰიპოვიტამინოზი ან ავიტამინოზი—სკორბუტი.

ასკორბინის მჟავას (C ვიტამინი) უნიშნავენ პროფილაქტიკური მიზნით და მკურნალობისათვის. ის არის უებარი საშუალება სკორბუტის (ცინგა) წინააღმდეგ; უნიშნავენ ინტოქსიკაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს, ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევაში, ანტიკოაგულანტების გადაჭარბებულ დოზებთან ან სხივურ დაავადებასთან დაკავშირებული სისხლის დენის დროს, ალისონის დაავადების საწინააღმდეგოდ, კრილობების ან ძვლის მოტეხილობის აღდგენის დასაჩქარებლად.

ასკორბინის მჟავის დანიშნისათვის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს სისხლის შედედების გაძლიერება, თრომბოფლებიტები.

ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი) ენიშნება შიგნით (ჭამის შემდეგ), კუნთებსა და ვენაში. გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში \pm 0,02—0,05 გ, აბების სახით 0,05 გ.

სამკურნალო დოზები: 0,05—0,1 გ თითო მიღებაზე, დღელამეში 0,5—1,0-მდე.

ასკორბინის მჟავა ინახება ნარინჯისფერ, კარგად თავდაცობილ მინის ქილებში, ბნელ ადგილას.

ვარგისობის ვადა ტაბლეტებისა და აბებისა—1 წელი.

Rp.: Acidi ascorbinici 0,1

Sacchari 0,3

M. f. pulv. D. t. d. 20

S. თითო ფხვნილი სამჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

Rp.: Acidi ascorbinici 0,05

D. t. d. in tabulettis 20

S. ორ-ორი ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ

Rp.: Sol. acidi ascorbinici 5%—2,0

D. t. d. 10 in ampulis

S. ერთი ამპულა ვენაში დღეში ერთჯერ.

პოლივიტამინები — დრაჟე — C ვიტამინი — 25 მგ, A ვიტამინი — 1650 სე, R₁ ვიტამინი — 1 მგ, B₂ ვიტამინი — 1 მგ.

ასკილი-ნაყოფი

Rosae fructus

სხედასხვა სახის ასკილის მწიფე ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, შაქარს, მთრიშლავ ნივთიერებებს და სხვ. C ვიტამინის რაოდენობა ნაყოფში არ უნდა იყოს 1%-ზე ნაკლები, გაწმენდილში კი — არა ნაკლებ 1,8%.

იყენებენ გამონაცემის, გამონაწვლილის, სიროფის, აბების და სხვ. სახით.

ასკილის გამონაცემი მზადდება შემდეგნაირად; ნაყოფის ერთ სუფრის (20 გ) კოვზს ასხამენ ერთ ჭიქა მდულარე წყალს; ადუღებენ დახურულ მინანქრიან ჭურჭელში 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ აყენებენ 22—24 საათის განმავლობაში და ბოლოს წურავენ. თუ ხმარობენ გაწმენდილ ნაყოფს, მაშინ ერთ სუფრის კოვზ ნაყოფს ასხამენ ორ ჭიქა მდულარე წყალს, ადუღებენ მინანქრიან ჭურჭელში 10 წუთის განმავლობაში, აჩერებენ 2—3 საათს და შემდეგ წურავენ. აძლევენ 1/2—1 ჭიქას (20—60 მგ C ვიტამინი) დღეში 2-ჯერ. გემოს მისაცემად შეიძლება დაემატოს შაქარი, სიროფი, მურაბა. ბავშვებს აძლევენ 1/8—1/4 ჭიქას დღეში.

გამოშვებულია ასკილის შემდეგი პრეპარატი:

ასკილის სიროფი — შეიცავს 1 მლ-ში C ვიტამინის 5 მგ. გამოშვებულია ფლაკონებში 150 და 500 მლ შეცულობით.

ტაბლეტები ასკილისა — თითო ტაბლეტი შეიცავს 20 მგ C ვიტამინს.


ვიტამინის ჩაი № 1 — ასკილის ნაყოფისა და შავი მოცხარის თანაბარი რაოდენობა.

ვიტამინის ჩაი № 1 — ასკილის ნაყოფისა და ცირცვილას თანაბარი რაოდენობით.

ნარევის ორ ჩაის კოვზზე ასხამენ 2 ჭიქა მღუღარე წყალს, აყენებენ 1 საათს, წურავენ და სვამენ შაქრით 1/2 ჭიქას დღეში .3—4-ჯერ.

D₂ ვიტამინი, ანუ კალციფეროლი

Vitaminum D₂ Calciferolum



ორგანიზმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს D₂ და D₃ ვიტამინებს, რომლებიც წარმოიქმნება პროვიტამინ D-საგან (7-დეჰიდროკოლესტერინი).

D პროვიტამინი იმყოფება კანში და მზის სინათლის ზეგავლენით გადადის აქტიურ ვიტამინში. გარდა ამისა, D₃ ვიტამინი შედის ორგანიზმში საკვებით.

D ვიტამინს შეიცავს კვერცხის გული, რძე, კარაქი, ცხიმიანი თევზები.

D₂ და D₃ ვიტამინების ბიოლოგიური ღირებულება ერთნაირია.

ორივე ვიტამინი უფერული, უსუნო, კრისტალური ნივთიერებაა. არ იხსნება წყალში, იხსნება ცხიმში, სპირტში, ეთერში, ლობოს ტემპერატურა D₂ ვიტამინისა არის 115—117°, D₃ ვიტამინისა—82—83°.

D ვიტამინი სპეციფიკური ანტირაქიტული საშუალებაა. აწესრიგებს კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმს. აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

ჩვენება: რაქიტი (მკურნალობა და პროფილაქტიკა), პარათირეოიდული ჯირკვლების ფუნქციის მოშლა (ტეტანია), კანისა და ლორწოვანას მგლურა, ფსორიაზი, ოსტეომალაცია, ძვლების გადატეხა.

უკუჩვენებაა ფილტვების აქტიური ტუბერკულოზი, კუჭისა და

12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება, გულის ორგანული დაავადება; არ ენიშნება ხანშესულებს.

თანამოვლენები: D ვიტამინის დიდ დოზებში ხმარების დროს შეიძლება განვითარდეს გულისრევა, პირღებინება, უმადობა, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, სიცხის აწევა, ლეიკოციტოზი. ყველა ეს მოვლენა უმრავლეს შემთხვევაში წამლის მრღების შეწყვეტის ან მისი დოზის შემცირების შემდეგ მალე გაივლის.

D ვიტამინს აქვს კუმულაციური თვისება.

დოზა: უმაღლესი, სადღეღამისო, მოზრდილთათვის—100.000 სე (სე—საერთაშორისო ერთეული ან 0,1 — ინტერნაციონალური ერთეული—შეიცავს 0,000025 მკ წმინდა ვიტამინს).

გამოშვებულია: ზეთიანი ხსნარი, რომლის 1 მლ შეიცავს 10,000 სე ან 50,000 სე-ს*.

სპირტიანი ხსნარი შეიცავს 1 მლ 200.000 სე-ს.** დრაჟეს სახით—თითო ცალი შეიცავს 300 და 500 სე-ს.

რაქიტის პროფილაქტიკისათვის ბავშვებს უკვე დაბადების მეორე თვიდან ეძლევა ვიტამინის სპირტიანი ხსნარი დღეში ორ მილზეზე 3—5 წვეთი (12000—20000 სე) დედის რძეზე 10—15 დღის განმავლობაში; ან 2000—3000 სე დღეში მთელი შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში. თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა, ვიტამინის დოზა შეიძლება გადიდდეს 10.000-მდე დღე-ღამეში. რაქიტის სამკურნალოდ—10.000—20 000 სე დღეში 2—3 მილზეზე, 2 თვის განმავლობაში. დედებს კი—20.000 სე ყოველდღიურად.

D ვიტამინის მოქმედებას აძლიერებს ერთდროულად კალციუმის პრეპარატის მიღება.

კანისა და ლორწოვანი გარსის მგლურას შემთხვევაში უნიშნავენ დიდ დოზებს: მოზრდილებს—100.000 სე დღეში ორ მილზეზე, ბავშვებს 25.000—75.000 სე ჭამის დროს. ასე 5—6 თვის განმავლობაში.

გამოშვებულია D₂ ვიტამინი ზეთიანი ხსნარის სახით. 1 მლ შეიცავს 10.000 სე ან 50.000 სე.

* D ვიტამინის ზეთიანი ხსნარის 1 მლ შეიცავს 30 წვეთს, ხოლო სპირტიანი ხსნარის 1 მლ—50—60 წვეთს.

** სპირტიანი ხსნარი უკეთესად შეიწოვება, ვიდრე ზეთიანი ხსნარი და არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანს.

სპირტიანი ხსნარი 1 მლ \pm 200.000 სე;
დრაჟე—თითო ცალშია 300 და 500 სე.
ვიტამინიზირებული თევზის ზეთი—1 მლ 150—250 სე.
ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Vitamini D₂ spirituosae I flac. (200.000 სე)
D. S. მიიღოს ექიმის დანიშნულების მიხედვით.

თ ე ვ ზ ი ს ზ ე თ ი

Oleum jecoris Aselli

თევზის ზეთი მიიღება ვირთევზას ლეიძლიდან, ის სქელი, გამკვირვალე, ბაცი მოყვითალო ფერის სითხეა; თავისებური სუნისა და გემოსი; ძნელად იხსნება სპირტში. აღვილად—ეთერსა და ქლოროფორმში. კუთრი წ. 0,922-0,932.

ნატურალური თევზის ზეთის 1 გ შეიცავს: D₂ ვიტამინს—30 სე და A ვიტამინს 350 სე.

გამოშვებულია აგრეთვე ვიტამინიზირებული თევზის ზეთი. 1 მლ შეიცავს: D₂ ვიტამინს—150—250 სე, და A ვიტამინს 450—500 სე რაოდენობით.

ინმარება რაქიტის წინააღმდეგ, მოტეხილობის შეხორცების დასაჩქარებლად, ჰემერალოპიის წინააღმდეგ.

დოზა: ბავშვებს ეძლევა ჩაის კოვზით 2—5 წლამდე, მურაბის კოვზით 10—12 წლამდე და მოზრდილებს სუფრის კოვზით 2—3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

ინახება ნარინჯისფერ მინის ქილებში გრილ და ბნელ ადგილას.


D ვიტამინი სინათლეზე გაჩერებისას ტოქსიკური ხდება.

Rp.: Olei jecoris Aselli 200,0
D. S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

Rp. Olei jecoris Aselli vitaminisati 200,0
D. S. თითო სუფრის კოვზი 2—3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

E 30618060

Vitaminum E



E ვიტამინს შეიცავს ხორბლის, სიმინდის, სოიას და სხვ. მარცვალ-პარკოსანთა ზეთი.

პრეპარატი სქელი ზეთისებური სითხეა, არ იხსნება წყალში. იხსნება ეთერში, ქლოროფორმში, აცეტონში.

E ვიტამინი ღებულობს მონაწილეობას ორგანიზმში ქანგვალდგენითი პროცესების მსვლელობაში.

E ვიტამინის ნაკლებობა იწვევს დეგენერაციულ ცვლილებებს ჩონჩხისა და გულის კუნთებში. მოქმედებს გენიტალური ორგანოების ფუნქციაზე.

იხმარება კუნთების დისტროფიებისა და ზოგიერთი ნერვული დაავადების დროს, გინეკოლოგიურ პრაქტიკაში (ამენორეის, ოლიგომენორეის, ორსულთა ტოქსიკოზების და სხვ. დროს).


გამოშვებულია ფლაკონებში 90 მლ ზეთიანი ხსნარის სახით. 1 მლ შეიცავს 3 მგ **E** ვიტამინს.

დოზა: ერთი ჩაის კოვზი დღეში.

ინახება კარგად დახურულ ქურჭელში, გრილ, მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას.

K 30618060

Vitaminum K



K ვიტამინს შეიცავს ისპანახის, კალნახის, იონჯას მწვანე ფოთლები, პამიდორი და სხვ.

იგი იმყოფება ღორის ღვიძლში, ნაკლები რაოდენობით — რძესა და კვერცხში.

ადამიანის ორგანიზმში K ვიტამინი ხვდება საკმელთან ერთად, ხოლო მცირე რაოდენობით ის წარმოიშეება თვით ნაწლავებში.


K ვიტამინი არის ანტიჰემორაგიული ვიტამინი; ის აღიღებს პროთრომბინის რაოდენობას სისხლში და ამრიგად მოქმედებს სისხლის შედედებაზე.

K ვიტამინი ნაწლავებიდან შეიწოვება ნაღველის საშუალებით. მაგრამ იმ პათოლოგიური პროცესების დროს, როდესაც ნაღველი არ გადადის ნაწლავში, K ვიტამინი არ შედის ორგანიზმში და ვითარდება ჰიპოვიტამინოზი ან სრული K ავიტამინოზი. ამიტომ ეს დაავადება ვითარდება უფრო ხშირად მექანიკური ან პარენქიმული სიყვითლის დროს და აგრეთვე მაშინაც, როდესაც დარღვეულია ორგანიზმში ცხიმების ათვისება (დიზენტერია, წყლულოვანი კოლიტი, პანკრეასის დაავადება და სხვა).

საექიმო პრაქტიკაში ამჟამად იხმარება სინთეზურად მიღებული პრეპარატი ვიკასოლი, რომელიც წარმოადგენს K ვიტამინის ანალოგს.

ვიკასოლი

Vikasolum



ვიკასოლი (იხ. K ვიტამინი) უფერული, კრისტალური ფხვნილია, მწარე გემოსი, იხსნება წყალში.

ჩვენება: სისხლის ღენა პროთრომბინის ნაკლებობასთან (ჰიპოპროთრომბინემიასთან) დაკავშირებული (ობტურაციული და პარენქიმატოზული სიყვითლე), სისხლის ღენა კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამო, საშვილოსნოდან პათო-

ლოგიური სისხლის დენა, მშობიარობის შემდგომი ხანა, ოპერაციის წინ, როდესაც მოსალოდნელია სისხლის დენა. აგრეთვე ეფექტურია დიკუმარინისა და პელენტანის ქარბი დოზების მიღების გამო გამოწვეული მოვლენების წინააღმდეგ.

ჰემოფილიისა და ვერლჰოფის დაავადების დროს ვიკასოლი არ იძლევა შედეგს.

ვიკასოლის უკუჩვენებაა სისხლის მომატებული შედედება.

დოზა: უმაღლესი ერთჯერადი—0,015 გ, უმაღლესი სადღე-ღამისო—0,03 გ შიგნით და 0,02 გ კუნთებში შესაშხაპუნებლად.

ბავშვებს ენიშნება ასაკის მიხედვით (0,001—0,005 გ).

ვიკასოლის მოქმედება იწყება პრეპარატის მიღებიდან 12—18 საათის გავლის შემდეგ.

ვიკასოლი ენიშნება 3—4 დღის განმავლობაში, რის შემდეგ საჭიროა შესვენება 4 დღით, თუ მდგომარეობა მოითხოვს, შეიძლება მკურნალობის გამეორება ასეთივე წესით.

ოპერაციების შედეგად სისხლის დენის პროფილაქტიკის მიზნით ვიკასოლი უნდა დაენიშნოს 2 დღით ადრე, ხოლო მშობიარობის შემდეგ მოსალოდნელი ჰემორაგიების საწინააღმდეგოდ საავადმყოფოში შემოსვლიდან ყოველ 12 საათში მშობიარობამდე.

ვიკასოლი გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში $\dot{\text{z}}$ 0,01 გ, 0,015 გ და 0,02 გ; ამპულებში $\dot{\text{z}}$ 1 და 2 მლ 1% ხსნარი და 5 მლ 0,3% ხსნარი.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ მინის ქურკელში და ამპულებში.

Rp.: Vikasoli 0,01

D. t. d. 12 in tabulettis

თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Vikasoli 0,03% 5,0

D. t. d. 3 in ampulis

S. ერთი ამპულა კუნთებში შესაშხაპუნებლად.

P 3 0 3 A M 5 0

Vitaminum P

P ვიტამინი მოყვითალო-მწვანე ფერის ამორფული ფხვნილია, მწარე გემოსი, იხსნება წყალსა და სპირტში.

P ვიტამინს შეიცავს ჩაის მწვანე ფოთლები, აგრეთვე ლიმონი, ასკილის ნაყოფი, შავი მოცხარი.

იხმარება კაპილარების განვლადობის შესამციკრებლად, ჰემო-

რაგიული დიათეზების, თვალის ფსკერში სისხლის ჩაქცევის შემთხვევაში, კაპილაროტოქსიკოზების, ფილტვებიდან სისხლის დენის, ტროფიკული წყლულების დროს, ანტიკოაგულანტების ზედმეტი მოქმედების წინააღმდეგ.

დოზა: (მოზრდილთათვის) 0,05—0,1 გ ჭამის წინ, 3-ჯერ დღეში ასკორბინის მჟავის 0,1—0,2 გ ერთად, სულ 15—20 დღის განმავლობაში. თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება მკურნალობის გაგრძელება 1 კვირით შესვენების შემდეგ. ბავშვებს ენიშნება 0,05 გ 2—3-ჯერ დღეში.

წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს სისხლის გაძლიერებული შედედება.

გამოშვებულია ფხვნილებსა, დრაცესა და ტაბლეტებში \times 0,005, 0,01, 0,025, 0,05 გ. აგრეთვე ასკორბინის მჟავასთან ერთად ტაბლეტებში.


ინახება ჰერმეტიულად დახურულ ჭურჭელში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Vitamini P 0,025 (0,05)
D. t. d. 20 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Vitamini P 0,025
Acidi ascorbinici 0,05
D. t. d. 20 in tabulettis
S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

რ უ ტ ი ნ ი

Rutinum



რუტინი მიიღება წიწიბურას, მათიტელას ფოთლებიდან. ეკუთვნის P ვიტამინის ჯგუფს.

იგი ყვითელი, კრისტალური ფხვნილია, უსუნო და უგემური, ცუდად იხსნება წყალში.

რუტინს აქვს P ვიტამინის თვისება. ამცირებს კაპილარების მსხვრევადობას და გაფოვნადობას.

ჩვენება: ქუნთრუშა, წითელა, შაქრიანი დიაბეტი, დერმატოზები, ჰიპერტონიული დაავადება; უნიშნავენ ანტიკოაგულანტებით მკურნალობისა და რენტგენ-რადიუმ-თერაპიის დროს.

უკუჩვენებაა: სისხლის შედედების მომატების შემთხვევები.

უნიშნავენ შიგნით ტაბლეტებში—0,02 გ 3-ჯერ დღეში. მკურნალობა გრძელდება 4—6 კვირას. ერთდროულად უნიშნავენ ასკორბინის მჟავას 50 მგ დღე-ღამეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,02 გ. ინახება ბნელ ადგილას.

Rp.: Rutini 0,02


D. t. d. 50 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ნიკოტინის მჟავა

Acidum nicotinicum

ნიკოტინის მჟავა ან β-პირიდინ-კარბონის მჟავა $C_6H_5O_2N$



იგი თეთრი, კრისტალური ფხვნილია. იხსნება ცივ წყალში 1:70-ზე, ცხელში კი—1:15-ზე. ძნელად იხსნება სპირტში, კიდეც უფრო ძნელად — ეთერში. მიიღება სინთეზური გზით; მას შეიცავს ცხოველის ღვიძლი, თირკმლები, კუნთები, რძე, აგრეთვე ზოგიერთი ხილი და ბოსტნეულობა.

ნიკოტინის მჟავა იხმარება როგორც სპეციფიკური საშუალება პელაგრის საწინააღმდეგოდ. იგი ანტიპელაგრული ვიტამინია (PP—Pellagra preventive ე. ი. პელაგრის ამაცილებელი); იგი ამ დაავადების შემთხვევაში იძლევა კარგ შედეგს, უკვე 2—3 კვირის განმავლობაში ქრება კანისა და კუჭ-ნაწლავის მხრივ მოვლენები, ფსიქიკური მოვლენები კი უფრო გვიან—მეორე თვეზე.

ნიკოტინის მჟავა იხმარება აგრეთვე ქრონიკული და მწვავე ჰეპატიტების დროს, ღვიძლის ციროზის შემთხვევებში, სისხლის

ძარღვების სპაზმების, 'ენდარტერიოიტებისა და სუბაციდური გას-
ტრიტების საწინააღმდეგოდ. ნიკოტინის მეფავს იყენებენ აგრეთვე
სულფანილამიდური პრეპარატებით მოწამელის შემთხვევებში.

თანამოვლენას წარმოადგენს შეხურება, თავბრუსხვევა, სახეზე
სისხლის მოწოლის შეგრძნება, სახის შეწითლება, კანზე გამონაყა-
რი. ეს მოვლენები უფრო ხშირად ვითარდება, როდესაც ნიკოტი-
ნის მეფავს ღებულობენ ცარიელ კუჭზე. ამიტომ პირიდან მიღები-
სას იგი ენიშნებათ ჭამის შემდეგ.

ლოზა: უმაღლესი ერთჯერადი—0,1 გ,

უმაღლესი სადღეღამისო—0,3 გ.

გამოშვებულია ფხვნილების სახით, ღრატე à 5—10 მგ და
ამპულებში—1%.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ ადგილას, კარ-
გად თავდაცობილ მინის ქილებში.

Rp.: Acidi nicotini 0,05

Sacchari 0,2

M. f. p. D. t. d. 15

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp. Sol. Acidi nicotini 1%—1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. ინექციებისათვის.

ნიკოტინის მჟავას ტაბლეტები კალენდულით (KN)

ტაბლეტი შეიცავს ნიკოტინის მეფავს—0,1 გ და კალენდულის
ყვავილების ფხვნილს—0,25 გ *Calendula officinalis*).


ინხარება როგორც სიმპტომატური საშუალება საკმლის მომ-
წელებელი ტრაქტის კიბოს დროს დისპეფსიური მოვლენების წინა-
აღმდეგ.

ენიშნებათ: პირველ დღეს $\frac{1}{2}$ ტაბლეტი, შემდეგ დღეებში
თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში წყალში გახსნილი 15 წუთით
ადრე საკმლის მიღებამდე. ასე 2—3 თვის განმავლობაში; ყოველი
10 დღის მიღების შემდეგ საჭიროა 3 დღე შესვენება.

ჰორმონები და მათი სინთეზური ანალოგები

ადრენალინი

Adrenalinum



ადრენალინი არის ჰორმონი, რომელიც მიიღება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის თირკმელზედა ჯირკვლის ტეინოვანი შრიდან. პრეპარატს ლეზულობენ სინთეზური გზითაც. ადრენალინი ქიმიურად წარმოადგენს დიოქსი-ფენილ-ეტანოლ მეთილამიდს.

სახმარებლად გამოშვებულია ხსნარის სახით ქლორწყალბად-მგაფა ადრენალინი 1:1000-ზე: ადრენალინი 1 გ, ქლორეტონი 5 გ (უკანასკნელი ემატება კონსერვაციისათვის), მარილმგაფა 0,01 ხსნარი 1 ლიტრამდე (pH 2,5 — 3,5). ხსნარი უფერულია, მხოლოდ ჰაერისა და სინათლის ზეგავლენით ლეზულობს ბაც ვარდისფერს, მაგრამ მოქმედებას ინარჩუნებს, ხოლო თუ შეიღება წაბლისფრად ან ნალექი გაჩნდა, ის უვარგისი ხდება.

ადრენალინი ფარმაკოლოგიურად ძლიერ მოქმედი ნივთიერებაა. იწვევს მუცლის ღრუს ორგანოთა, კანისა და ლორწოვანის სისხლის ძარღვების შევიწროებას, აფართოებს გულისა და ფილტვების სისხლის ძარღვებს. მალა სწევს სისხლის წნევას, აღუნებს ბრონქებისა და ნაწლავების კუნთების ტონუსს, აფართოებს თვალის გუგას, იწვევს სისხლში შაქრის მომატებას, აძლიერებს საშვილოსნოს კუნთების შეკუმშვის უნარს. ადრენალინის ასეთი ფარმაკოლოგიური მოქმედებით განისაზღვრება მისი კლინიკური გამოყენება როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის სტიმულატორისა კოლაფსის დროს და ბრონქიალური ასთმის შეტევის წინააღმდეგ. ქირურგები იყენებენ მას ნოვოკაინთან კომბინაციაში ოპერაციების დროს (სისხლძარღვთა შევიწროება, სისხლის დენის შემცირება, საანეს-

თეზიო ნივთიერებების შეწოვის შენელება), შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰიპოგლიკემიური კომის შემთხვევაში.

ადრენალინის ხმარება წინააღმდეგნაჩვენებია ჰიპერტონიული დაავადების და საზოგადოდ ჰიპერტონიის დროს, მკაფიოდ განვითარებული ათეროსკლეროზის, თირეოტოქსიკოზის, შაქრიანი დიაბეტის და ორსულობის შემთხვევაში.

ქლორწყალბადმეფავა ადრენალინი იხმარება კანქვეშ ან ვენაში ნელა შეყვანით ფიზიოლოგიურ ან გლუკოზის 40% ხსნართან ერთად.

პირის გზით ადრენალინი არ იხმარება, რადგან ის იშლება საკმლის მომწივლებელ ტრაქტში ფერმენტების ზეგავლენით და კარგავს მოქმედებას. კანქვეშ და ვენაში შეყვანილი ადრენალინი სწრაფად მოქმედებს, მაგრამ ასევე სწრაფად იშლება და კარგავს თავის მოქმედებას.

ოფტალმოლოგიურ პრაქტიკაში ის გამოყენებულია თვალეში ჩასაწვეთებლად; მალამოების სახით — ლორწოვანზე წასასმელად.

ქლორწყალბადმეფავა ადრენალინი გამოშვებულია (1:1000) 1,0 მლ ამპულაში და 30 გ ფლაკონებში. ვარგისიანობის ვადა 1 წელი.

მაქსიმალური ერთჯერადი დოზა — კანქვეშ 1 მლ, სადღეღამისო — 5 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ამპულაში ან ჰერმეტიკულად დახურულ ნარინჯისფერ შუშებში, გრილ და ბნელ ადგილას.

Rp.: Solutionis Adrenalini hydrochlorici

0,1% 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 0,5 — 1,0 კანქვეშ შეტევის დროს (ბრონქული ასთმა).

Rp.: Solutionis Adrenalini hydrochlorici

0,1% — 2,0

Solutionis Natrii chlorati isotonicae

Sterilis 200,0

D. S. ვენაში წვეთობრივად შესაყვანად.

Rp.: Solutionis Ephedrini hydrochlorici 2% 10,0

Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1%

gutt XII

Penicillini 200.000

Aquae destillatae 5,0

D. S. 3 წვეთი ნესტოში ყოველ 2 საათში ჩასაწვეთებელი (სურდოს დროს).

ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი

Hormonum adrenocorticotropinum — AKTH

ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი (აქტჰ) მზადდება დასაკლავი საქონლის ტენის დანამატის წინა ნაწილიდან, მაქსიმალურად გასუფთავებულია სხვა ჰორმონებისაგან: იგი პოლიპეტიდია.

პრეპარატი ოდნავ მოყვითალო ფერის ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, ხოლო ხსნარში მალე კარგავს თავის აქტივობას.

პრეპარატი ახდენს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის სტიმულაციას და იწვევს კორტიკოიდური ჰორმონების გამოყოფას (კერძოდ, კორტიზონისა), ახდენს მოქმედებას ნივთიერებათა ცვლაზე, ამცირებს კაპილარების ეონვადობას და იჩენს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას.

ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი ნაჩვენებია შემდეგ შემთხვევებში: მწვავე რევმატიზმი, რევმატული და ინფექციური პოლიართრიტები, ნიკრისის ქარი, ბრონქული ასთმა.

იხმარება აგრეთვე ლეიკემიების დროსაც.

წინააღმდეგევენებას წარმოადგენს: პიპერტონიული დაავადება, არტერიოსკლეროზი, იცენკო-კუშინგის დაავადება, გულის დეკომპენსაცია, მწვავე ენდოკარდიტი, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, ჰეპატიტები, ნეფრიტი, ტუბერკულოზი, სიფილისი, ფსიქოზი, ორსულობა, მოხუცებულობის ასაკი.

ამ პრეპარატის ხანგრძლივად ხმარების დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები: შეშუპება, სისხლის წნევის მომატება, უძილობა, ზედმეტი რეაქტიულობა, ფსიქიკური მოვლენები, ცილოვანი ცვლის გაძლიერება, ამენორეა, პირსუტიზმი. შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში — მდგომარეობის გაუარესება. აღნიშნულია კრიოლობის შეხორცების შეჩერება, ბავშვთა ზრდის შენელება, ამიტომ მკურნალობა უნდა წარმოებდეს ექიმის მეთვალყურეობით. მკურნალობის დროს საჭიროა საკმელი მარილის მიღების შემცირება და ბოსტნეულობით, ხილით და ცილებით მდიდარი დიეტა.

აქტჰ გამოშვებულია მშრალი სტერილური ფხვნილების სახით ჰერმეტიულად დაცულ რეზინის საცობიან მინის შუშებში; შუშაში არის 10—20—30 ერთეული. 1 მგ აქტჰ შეიცავს 1 ერთეულს.

ხსნარი მზადდება ex tempore ხმარების წინ, ასეპტიკურად ორჯერ გამოხდილ წყალზე ან ნატრიუმ-ქლორის იზოტონურ ხსნარზე. ასეთი ხსნარი შენახული უნდა იქნეს გრილ ადგილას 5°C-ზე და გამოყენებული მისი გახსნიდან 3 დღის განმავლობაში, რადგან იგი მალე კარგავს თავის მოქმედებას.

აქტჰ-ს უკეთებენ კუნთებში, რადგან per os მიღების შემთხვევაში ის იშლება საკმლის მომწებლებელი ტრაქტის ფერმენტების ზეგავლენით. პრეპარატის მოქმედება ჩვეულებრივად გრძელდება 8 საათამდე, ამიტომ იგი შეჰყავთ ორგანიზმში 3—4-ჯერ დღე-ღამეში.

დოზა დამოკიდებულია ავადმყოფობის ხასიათზე და სიმძიმეზე. კუნთებში შეჰყავთ დღე-ღამეში 4-ჯერ ათ-ათი ერთეული, სულ 40 ერთეული. მკურნალობა გრძელდება 1 თვემდე, მკურნალობის ბოლო კვირას პრეპარატის დოზა უნდა შემცირდეს 30—20 ერთეულამდე დღე-ღამეში. მძიმე შემთხვევებში შეიძლება დოზა გადიდდეს 60 ერთეულამდე, ხოლო შემდეგ თანდათანობით შემცირდეს 40—30—10 ერთეულამდე. სულ მკურნალობის განმავლობაში იხარჯება 1000—1200 ერთეულამდე.

ავადმყოფობის რეციდივის ან გამწვავების შემთხვევაში შეიძლება გამეორებული იქნეს აქტჰ-ით მკურნალობა.

აქტჰ შეიძლება ხმარებულ იქნეს ვენაში შეყვანილ წვეთ-წვეთობით 10 ერთეულის რაოდენობით გლუკოზის 5% ხსნარის 5000 მლ ერთად.

აქტჰ ინახება მინის ქურქელში, ბნელ ადგილას 10°C-ზე. ვარგისიანობის ვადა 2 წელი.

Rp.: Hormoni adrenocorticotropini 10 მოკ. ერთეული
D. t. d. 6.

ხმარების წინ გაიხსნას 1 მლ სტერილურ, ორჯერ გამოხდილ წყალში ან სტერილურ ფიზიოლოგიურ ხსნარში. გაუკეთდეს კუნთებში 10 ერთეული 4-ჯერ დღე-ღამეში.

აღრენოკორტიკოტროპული ჰორმონი თუთია-ფოსფატი

Hormonum adrenocorticotropinum — Zincum phosphoricum
იგივეა, რაც აქტჰ, მხოლოდ მას აქვს გახანგრძლივებული მოქმედება. აქტჰ 4 ინექციის ნაცვლად დღე-ღამეში საკმარისია ერთი ინექცია აქტჰ-თუთია-ფოსფატისა.

გამოწვეულია რეზინის საცობით ჰერმეტიკულად დახურულ მინის ქილაში 4 მლ აქტჰ მარილმტევას 0,01 ნორმალურ ხსნარში თუთიისა და კონსერვანტის დამატებით. ხმარების წინ მას უნდა დაემატოს იმ ამპულიდან, რომელიც მასთან ერთადაა, 1 მლ ტუტე ფოსფატი; ეს ხსნარი ამოაქვთ შპრიცით რეზინის საცობის გახვრეტის გზით; დამატების შემდეგ ხსნარი უნდა შეინჯღრეს, ჩნდება 276

თეთრი სუსპენზია. ამ სუსპენზიის 1 მლ შეიცავს 20 მოკ. ერთეულს, ფლაკონი მთლიანად კი — 100 მოკ. ერთეულს.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც აქტჰ. ინექციები კეთდება კუნთებში ერთჯერ დღე-ღამეში 10 — 20 — 30 ერთეულის რაოდენობით, ან 2 — 3-ჯერ კვირაში ავადმყოფის მდგომარეობის მიხედვით. ინექციების წინ საჭიროა გამზადებული ხსნარის შენჯღრევა ფლაკონში.

ხსნარი უნდა ინახებოდეს სიბნელეში, ცივ ადგილას. ხსნარი ინარჩუნებს მოქმედებას 8 დღის განმავლობაში.

ძირითადი კომპონენტები ვარგისია გამოშვებიდან 4 თვის განმავლობაში.

ა დ ი უ რ ე კ რ ი ნ ი

Adiurecrinum

მშრალი პიტუიტრინი

Pituitrinum siccum

ადიურეკრინი მორუხო ფერის ფხვნილია არ იხსნება წყალში და არც სხვა ჩვეულებრივ გამხსნელებში.

მზადდება პირუტყვის ტვინის დანამატის უკანა ნაწილიდან. შეიცავს ტვინის დანამატის (ჰიპოფიზისის) უკანა ნაწილის ჰორმონს — ანტიდიურეზულ ფაქტორს. ახდენს გავლენას წყლისა და მარილის ცვლაზე.

იხმარება უშაკრო დიაბეტის წინააღმდეგ და აგრეთვე (ნაკლები ეფექტურობით) ღამლამობით შარდის შეუკავლობის დროსაც. მოქმედება მისი დროებითია, იწყება პრეპარატის მიღებიდან 15—20 წუთის შემდეგ და გრძელდება 8 საათამდე.

ადიურეკრინი ორგანიზმში შეჰყავთ ცხვირის ნესტოებიდან შესუნთქვით (ბურუნთის მსგავსად) დღე-ღამეში 2 — 3-ჯერ.

ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის შეადგენს 0,03 — 0,05 გრამს, სადღელამისო — 0,15 გრამს; ბავშვებისათვის კი თითო მიღებაზე — 0,005 — 0,03 გ.

ადიურეკრინი არ არის ნაჩვენებო ცხვირის, ყურის და საერთოდ სასუნთქი გზების დაავადების დროს.

ინახება კარგად თავდაცობილ მინის ქილებში, მშრალ და გრილ ადგილას, მოფრთხილებით (კარადა B).

ვარგისობის ვადაა 2 წელი.

Rp.: Adiurecrini 0,05

D. t. d. 12 in charta cerata

S. თითო ფხვნილი დღეში 2—3-ჯერ ცხვირში
შესაყრელად.

აკლიმანი

(Akliman)

აკლიმანის ერთი აბი შეიცავს:

შმაგას ალკალოიდების ჯამს	—0,0001 გ
ერგოტამინ ტარტრატს	—0,0002 გ
ლუმინალს	—0,01 გ
ბრომურალს	—0,05 გ
თეობრომინს	—0,05 გ

იხმარება კლიმაქტერიული ნევროზებისა და ვეგეტოდისტონი-
ების დროს თითო აბი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

აბები არ უნდა დაიღუპოს.

გამოშვებულია აბებში 30 და 250 ცალად მინის ჭურჭელში.

კლიმაქტერინი

Climakterinum

კლიმაქტერინის ერთი აბის შემადგენლობაში შედის: ესტრა-
დიოლი ბენზოატი 25 მოკ. ერთ. საკვერცხეს მშრალი ფხვნილი 0,03
გ, ნიტროგლიცერინი 0,0002 გ, თეობრომინი—0,025 გ, კოფეინი —
0,025 გ, ფენოლფტალეინი—0,006 გ, ფოსფორმეავა კალციუმი
0,004 გ.

ჩვენება: კლიმაქსის მოვლენები.

ენიშნება 1—2 აბი 3-ჯერ დღეში, დაღუპვის გარეშე, წყლის
დაყოლებით.

გამოშვებულია შეფუთული 50 ცალად.

ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Climakterini in drage 50

D. S. თითო დრატე 3-ჯერ დღეში დაუღუპავად,
ჭამის შემდეგ, წყლის დაყოლებით.

ანტიასტმოკრინი

Antiasthmocrinum

ანტიასტმოკრინი წარმოადგენს 0,1% მარილმეავა ადრენალი-
ნის ხსნარისა და ჰიპოფიზის უკანა ნაწილის გამონაწვლილის (პი-
ტუიტრინის) თანაბარი რაოდენობის ნარევეს; უფერული ან ოდნავ
მოყვითალო სითხეა.

იხმარება ბრონქული ასთმის წინააღმდეგ.

ენიშნება კანქვეშ ბრონქული ასთმის შეტევის დროს 0,5 — 1 მლ. ბავშვებს 1 წლამდე — 0,15 — 0,2 მლ; 2 — 5 წლამდე — 0,2 — 0,3 მლ; 6 — 12 წლამდე — 0,3 — 0,75 მლ.

წინააღმდეგევენება — ჰიპერტონიული დაავადება, არტერიო-სკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ორსულობა.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ.

ინახება ბნელ ადგილას. ვარგისია 1 წელი.

Rp.: Antiasthmocrini 1,0

D. t. d. 6 in ampullis

S. ერთი ამპულა კანქვეშ (მოზრდილს!).

ანტისტრუმინი

Antistruminum

ანტისტრუმინი გამოშვებულია ტაბლეტებში, რომელშიც შედის იოდკალიუმი 0,001 გ და 0,3 შაქარი.

იხმარება ენდემიური ჩიყვის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით.

პროფილაქტიკისათვის უნიშნავენ 1 ტაბლეტს კვირაში ერთჯერ, ხოლო ჩიყვის დიფუზური ფორმის შემთხვევაში 1—2 ტაბლეტს 2—3-ჯერ კვირაში.

გამოშვებულია ფლაკონებში 300 ცალი ტაბლეტი.


ინახება მშრალ და ბნელ ადგილას.

Rp.: Antistrumini I fl.

D. S. ერთი ტაბლეტი კვირაში ერთჯერ (პროფილაქტიკა).

ბეტაზინი

Betasinum



მიღებულია სინთეზურად, თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში ცუდად იხსნება.

ბეტაზინი თავისი მოქმედებით დიოდთიროზინის ანალოგია, იხმარება იმავე შემთხვევებში.

დოზა: 0,05 გ 2—3-ჯერ დღეში.
 გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,05 გ.
 ინახება ისე, როგორც დიიოდთიროზინი (იხ. ქვემ.).


Rp.: Betasini 0,05

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

დეოქსიკორტიკოსტერონ-აცეტატი

Desoxycorticosteroum aceticum



პრეპარატი თეთრი, კრისტალური, უსუნო ფხვნილია; იხსნება სპირტში, აცეტონში, ეთერში, წყალში პრაქტიკულად არ იხსნება, ლღობის ტემპერატურაა 154—160°.

იგი მიღებულია სინთეზურად და აქვს თვისება თირკმელზედა ჯირკვლის კორტიკალური შრის ჰორმონისა. აკავებს ორგანიზმში ნატრიუმის მარილებს და აძლიერებს კალიუმის გამოყოფას, აძლიერებს ამრიგად ქსოვილების ჰიდროფილობას.

იხმარება ძირითადად ადისონის დაავადების დროს და აგრეთვე ქირურგიული ჩარევის შედეგად განვითარებული შოკის საწინააღმდეგოდ, ჰიპოტონიის, ასთენიის, აღინამიის შემთხვევებში.

იხმარება კუნთებში 5—10 მგ 1—2-ჯერ დღეში. დადებითი ეფექტის მიღების შემდეგ დოზას ამცირებენ 2—5 მგ-მდე დღეში და შემდეგ კი 5 მგ-მდე 1—2-ჯერ კვირაში (ადისონის დაავადების დროს); ამასთან აწარმოებენ რეგულარულ მეთვალყურეობას სისხლის არტერიულ წნევაზე. ერთდროულად შეიძლება ხმარებულ იქნეს კორტიზონი (0,01—0,025 გ დღეში). ადისონის დაავადების შემ-

თხვევაში დეზოქსიკორტიკოსტერონი შეიძლება ხმარებულ იქნეს კანკევში იმპლანტაციის სახით. ამისათვის ქირურგიული წესით კანკევში შეჰყავთ ამ პრეპარატის 300 — 600 მგ. პრეპარატი ნელა შეიწოვება და უზრუნველყოფს ორგანიზმს საჭირო ჰორმონით 4—6 თვის განმავლობაში.

უმალესი ერთჯერადი დოზა კუნთებში შესაყვანად მოზრდილთათვის შეადგენს 0,01 (0,5% ხსნარის 2 მლ), სადღელამისო— 0,02 გ (4 მლ 0,5% ხსნარისა). უკუჩვენებას წარმოადგეს: ჰიპერტონიული დაავადება, გულის დეკომპენსაცია შეშუპებით, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია, თირკმლების პარენქიმატოზული დაავადება, ღვიძლის ციროზი.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ 5 მგ შეცულობით. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Desoxycorticosteroni acetici oleosae 0,5% — 1,0


D. t. d. 10 in ampulis

S. კუნთებში გასაკეთებელი თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში.

დიეთილსტილბესტროლი

Diaethylstilboestrolum

თეთრი კრისტალური ფხვნილია, იხსნება სპირტსა და ეთერში, ქლოროფორმში, ცხიმოვან ზეთებში და განზავებულ ტუტეებში; ძლიერ ცოტა იხსნება წყალში. ლღობის ტემპერატურა—168—172°. მიღებულია სინთეზურად.



იხმარება ქალთა სასქესო სფეროს უკმარისობის დროს (ჰიპოგენიტალიზმი, ევნუქოიდიზმი, კლიმაქტერიული მოვლენები, ამენორეა) 1 მგ ყოველდღე; კლიმაქტერიული მოვლენების წინააღმდეგ

კი — 0,25 — 0,5 მგ კუნთებში 1-ჯერ 2—3 დღეში ან 1 მგ ტაბლეტებში ყოველდღე. მკურნალობის ერთი კურსის განმავლობაში შიგნით მიღებული დიეთილსტილბესტროლის დოზა არ უნდა აღემატებოდეს 25 — 30 მგ ან 15—20 მგ კუნთებში.

პრეპარატი იხმარება აგრეთვე წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ და სარძევე ჯირკვლების კიბოს დროს. პირველ შემთხვევაში კუნთებში შეჰყავთ 3%-იანი ზეთიანი ხსნარის 2 მლ ყოველდღე ერთი თვის განმავლობაში. მოკლე ხნით შესვენების შემდეგ, წინამდებარე ჯირკვლის და მეტასტაზების მდგომარეობის მიხედვით, იწყება მკურნალობის მეორე კურსი, რომელიც გრძელდება 30—40 დღეს; ყოველდღიურად კუნთებში უშხაპუნებენ 30 მგ; ამის შემდეგ პრეპარატს აძლევენ ტაბლეტებში ყოველდღე 10 მგ ავადმყოფის საერთო მდგომარეობის მიხედვით.

სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ ქალებს 60 წლის ასაკის შემდეგ აძლევენ ამ პრეპარატს 2-ჯერ უურო ნაკლებ დოზებში, ვიდრე სინესტროლს.

მაობლიტირებელი ენდარტერიტიის წინააღმდეგ შეჰყავთ კუნთებში 2—3 მგ დღეგამოშვებით, სულ აკეთებენ 40 ინექციას.

დიეთილსტილბესტროლით მკურნალობა არ არის ნაჩვენები ღვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს.

დიდი დოზებისა და ხანგრძლივად ხმარების შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს გულისრევა, პირღებინება, თავის ტკივილი. საკმარისია დოზის შემცირება ან დროებით პრეპარატის მოხსნა, რომ ამ მოვლენებმა გაიაროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში $\dot{\text{a}}$ 0,001 გ (1 მგ) და ამპულებში 0,1 და 3% ხსნარი ზეთში $\dot{\text{a}}$ 1 მლ თითო ამპულაში (1 მგ და 30 მგ ერთ ამპულაში).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ამპულებში ან კარგად დახურულ მანის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Diaethylstilboestrolis 0,001

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი ერთჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Diaethylstilboestrolis oleosae 0,1%—1,0

D, t. d. 5 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში შესაყვანად დღეში 1-ჯერ.


Rp.: Solutionis Diaethylstilboestrolis oleosae 3%—1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1 მლ 2 ჯერ დღეში.

დიოდთიროზინი

Diiodthyrosinum



დიოდთიროზინი თეთრი კრისტალური ფხვნილია, იხსნება წყალში, შეიცავს 55%-მდე ორგანულად შეკავშირებულ იოდს. ხმარებაშია სინთეზურად მიღებული პრეპარატი.

დიოდთიროზინი ამუხრუქებს ჰიპოფიზის წინა ნაწილის თირეოტროპული ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც ააქტივებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.

ჩვენება: მსუბუქი და საშუალო ფორმის ჰიპერთირეოზი (უმჯობესია ხმარებულ იქნეს მეთილთიოურაცილთან ერთად), მეორადი ჰიპერთირეოზის შემთხვევებში (იოდით მკურნალობის შედეგად) დიოდთიროზინი არ იხმარება.

დოზა: 0,05 გ 2—3-ჯერ დღეში 20 დღის განმავლობაში, 10—20 დღით შესვენების შემდეგ გამეორება.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 0,075 გ. სადღეღამისო—0,2 გ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05 გ. ინახება გრილ, მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, კარგად თავდაცობილ მინის ჭურჭელში.


Rp.: Diiodthyrosini 0,05
D. t. d. 20 in tabulettis
S. 2—3-ჯერ დღეში.

ე უ ს პ ი რ ა ნ ი

Euspiranum

ი ზ ა ლ რ ი ნ ი

Jsadriini



ეუსპირანს აქვს ადრენალინისმაგვარი მოქმედება; იხმარება ბრონქული ასთმის საწინააღმდეგოდ; შიგნით მიღების 5—10 წუთის შემდეგ უკვე იჩენს მოქმედებას; არ ცვლის შესამჩნევად სისხლის წნევას.

გულის ორგანული დაავადებების დროს აგრეთვე ადრენალინთან ერთდროულად ეუსპირანი არ ენიშნება.

დოზა: 1—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

მკურნალობა იწყება $\frac{1}{2}$ ტაბლეტიდან.

შემდეგ თანდათანობით ემატება დამაკმაყოფილებელი ეფექტის მიღებამდე.

ეუსპირანის ტაბლეტს ათავსებენ ენის ქვეშ, სადაც ის ღნება და შეიწოვება.

ასთმის შეტევის დროს ეუსპირანი იხმარება ინჰალაციის სახით—0,5% ხსნარის 1 მლ; თუ საჭიროება მოითხოვს 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 20 ცალად პრეპარატის 0,005 გ და 0,5% საინჰალაციო ხსნარის 25 მლ. ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Euspirani 0,5%—25,0

D. S. ინჰალაციისათვის 1 მლ.

Rp.: Jsadrini 0,005

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი ამოიღოს ენის ქვეშ დღეში 1—3-ჯერ.

თ ი რ ე ო ი დ ი ნ ი

Thyreoidinum

თირეოიდინი მოყვითალო-წაბლისფერი ამორფული ფხვნილია. არ იხსნება წყალში, სპირტში და სხვა გამხსნელებში.

იგი ჰორმონალური პრეპარატია, ამზადებენ პირუტყვის ცხიმ-მოცილებული, გამშრალი ფარისებრი ჯირკვლიდან; შეიცავს 0,17—0,23% იოდს.

იხმარება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობის დროს (მიქსედემა, კრეტინიზმი, ჰიპოთირეოზი, თირეოგენური ინფანტილიზმი, სპორადული და ენდოგენური ჩიყვი, სიმსუქნე (თირეოგენული), აგრეთვე როგორც დამხმარე დიურეზული საშუალება (თირკმლების დაავადების დროს).

უნიშნავენ შიგნით 0,1—0,2 გ 2—3-ჯერ დღეში; ჩვილ ბავშვებს — 0,05—0,1 გ დღეში, სასკოლო ასაკისას — 0,1—0,2 გ დღეში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,3 გ, სადღეღამისო — 1 გ.

ბავშვებისათვის უმაღლესი დოზაა: 6 თვემდე — ერთჯერადი — 0,01 გ; სადღეღამისო — 0,03 გ; $\frac{1}{2}$ —1 წ. — ერთჯერადი — 0,02, სადღეღამისო 0,06 გ; 2 წ. — ერთჯერადი — 0,03 გ, სადღეღამისო — 0,03 გ, 3—4 წ. — ერთჯერადი — 0,05, სადღეღამისო 0,15 გ; 5—6 წ. — ერთჯერადი — 0,075, სადღეღამისო — 0,25 გ; 7—9 წ. — ერთჯერადი — 0,1 გ, სადღეღამისო — 0,3 გ; 10—14 წ. — ერთჯერადი — 0,1 გ, სადღეღამისო — 0,3 გ; 10—14 წ. ერთჯერადი — 0,15 გ, სადღეღამისო — 0,45 გ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო დოზა დადგენილი უნდა იქნეს ინდივიდუალურად.

გადაჭარბებული დოზით მკურნალობის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს თირეოტოქსიკოზის მოვლენები: ტაქიკარდია, გულის ფრიალი, ოფლიანობა. ასეთ შემთხვევაში ამკირებენ თირეოიდინის დოზას ან დროებით ხსნიან პრეპარატს.

წინააღმდეგევენებას წარმოადგენს: ჰიპერთირეოზი, დიაბეტი, ზოგადი დაუძლურება.

გამომწვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,1 და 0,2 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას. ვარგისია 3 წელი.

Rp.: Thyreoidini 0,1

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ინსულინი

Insulinum

ინსულინი კუჭქვეშა ჯირკვალის ჰორმონია. ინსულინს ლებულობენ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუჭქვეშა ჯირკვლიდან.

სუფთა ინსულინი თეთრი ჰიგროსკოპული ფხვნილია, ხმარებაშია გაწმენდილი ინსულინის ქლორწყალბადმჟავით შემჟავებული. წყლიანი ხსნარი, რომელიც უფერული და გამჭვირვალე სითხეა, კონსერვაციისათვის უმატებენ 0,3% ტრიკრებოლის ხსნარს ან კარბოლის მჟავას; შეიცავს 1,6—1,8% გლიცერინს; pH=2,5—3,5.

ინსულინი გამოშვებულია სპეციალურ ფლაკონებში 5—10 მლ. რაოდენობით; თითო მლ შეიცავს 20 ან 40 მოკ. ერთ. ინსულინის აქტივობას საზღვრავენ ბიოლოგიური გზით.

ინსულინი ახდენს ნახშირწყლების ცვლის რეგულაციას ორგანიზმში. ამ მხრივ მან შექმნა მთელი ერა მედიცინაში, კერძოდ შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში. იგი იწვევს შაქრის რაოდენობის დაკლებას სისხლსა და ქსოვილებში (ე. ი. იჩენს ჰიპოგლიკემიურ მოქმედებას), რის გამო შაქრიანი დიაბეტის დროს მცირდება ან სავსებით ქრება შაქრის გამოყოფა შარდით (გლიკოზურია). შაქრიანი დიაბეტის შემთხვევების გარდა, ინსულინს იყენებენ აგრეთვე ძლიერი სივამბდრის, უმადობის, ლვიძლის დაავადების შემთხვევებში და ფსიქიატრიულ პრაქტიკაში — შიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფთა სამკურნალოდ.

ინსულინის დოზის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულის ყოველმხრივ შესწავლას. ინსულინის დანიშვნა ინდივიდუალურად ხდება.

თუ სპეციალურად დანიშნული კვების შემდეგ გლიკოზურია გრძელდება, აძლევენ გამოყოფილი შაქრის ყოველ 3—5 გრამზე ინსულინის 1 ერთეულს. უფრო ხშირად საჭიროა ინსულინის 30—50 ერთეული დღეში.

ინსულინს უკეთებენ კანქვეშ საკმლის მიღებამდე 30—60 წუთით ადრე; თუ მდგომარეობა მოითხოვს უფრო დიდი დოზების გამოყენებას, იმ შემთხვევაში დღიურ დოზას უკეთებენ 2-ჯერ, მასთან უფრო მეტ ნაწილს სადილის წინ, უფრო ნაკლებს კი — საუზმის წინ. ინსულინთერაპიის დროს საჭიროა ყოველთვის მეთვალყურეობა გლიკოზურიისა და ჰიპერგლიკემიის ცვლილებებზე და ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე.

ინსულინის მოქმედება იწყება (კანქვეშ შეშხაპუნების შემთხვევაში) 30 წუთის შემდეგ და გრძელდება 6 საათამდე. მოქმედება მაქსიმალურად გამოხატულია ორგანიზმში შეყვანიდან 2—3 საათის შემდეგ.

დიაბეტური კომის დროს ინსულინი შეჰყავთ ვენაში 50—60 ერთეულის რაოდენობით და ამდენივე კანქვეშ. ამის შემდეგ ინსულინის ინექციები გრძელდება ყოველ 2 საათში, შარდში აცეტონის გაქრობამდე და გლიკოზურიის საგრძნობლად შემცირებამდე (პარალელურად საჭიროა ვენაში გლუკოზის 40% ხსნარის შეყვანა—20—30—40 მლ რაოდენობით).

შიზოფრენიის წინააღმდეგ ინსულინის გამოყენება წარმოებ სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით. უკეთებენ დიდ დოზებში (20—80 ერთ) შოკური მდგომარეობის განვითარებამდე.

სხვა ზემოთ ხსენებულ შემთხვევებში ინსულინს უშხაპუნებენ 8—10 ერთეულის რაოდენობით დღეში, უფრო ხშირად 1-ჯერ,

მხოლოდ ინსულინის ინექციის 25 — 30 წუთის შემდეგ აუცილებლად საჭიროა ნახშირწყლოვანი საკმლის მიღება (ნამცხვარი, ტკბილი ჩაი, კამფეტი, შაქარი, ყურძნის წვენი, ფაფა და სხვ.).

ინსულინის დოზის საგრძობლად გადაჭარბების შემთხვევაში ვითარდება ჰიპოგლიკემიური შოკი (საერთო სისუსტე, გრძნობის დაკარგვა, კრუნჩხვები, პროფუზული ოფლის დენა, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა). ასეთ შემთხვევაში საჭიროა 40%-იანი გლუკოზის ხსნარის 25—50 მლ შეყვანა ვენაში და შემდეგ იმავე 5% ხსნარის შეშაპუნება კანქვეშ 300—500 მლ რაოდენობით, სანამ ავადმყოფი არ მოვა გონს. ასეთ შემთხვევებში კანქვეშ უშაპუნებენ აგრეთვე ადრენალინს (1 მლ 0,1%).

ინსულინი გამოშვებულია ჰერმეტიულად დახურულ რეზინის საცობიან სპეციალურ ფლაკონებში 5—10 მლ რაოდენობით 20—40 მოკ. ერთეული 1 მლ-ში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილ ადგილას (10°-მდე).

Rp.: Jnsulini I fl.

D. S. ექიმის დანიშვნის მიხედვით, ჭამამდე 30—60 წუთით ადრე, 1—2-ჯერ დღეში.

პროტამინ-თუთია-ინსულინი

Protamin-zinc-insulinum

პროტამინ-თუთია-ინსულინი თეთრი ფერის სტერილური სუსპენზიაა, რომელიც გახანგრძლივებული მოქმედებით ხასიათდება.

პრეპარატს აქვს ჰიპოგლიკემიური მოქმედება, რომელიც იწყება შეშაპუნების 8—12 საათის შემდეგ და გრძელდება 30 საათამდე.

ინხარება მხოლოდ შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ. მკურნალობა ტარდება სათანადო დიეტის ფონზე. კომპატოზური და პრეკომპატოზური მდგომარეობის დროს ამ პრეპარატით მკურნალობა არ არის ნაჩვენები მისი მოგვიანებითი მოქმედების გამო.

პრეპარატის საჭირო რაოდენობა (ჩვეულებრივად 20 — 60 მოკ. ერთ.) დილით, საუზმის მიღებამდე, შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში (ვენაში არ შეიძლება). პროტამინ-თუთია-ინსულინით მკურნალობა შეიძლება წარმოებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ შარდით გამოყოფილი შაქრის რაოდენობა არ აღემატება 15% ავადმყოფის მიერ მიღებული საერთო შაქრის რაოდენობიდან და თუ შარდში არ არის აცეტონი.

ასეთ პირობებში ამჟამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შიგნით

მისაღები ჰიპოგლიკემიური სულფამიდური პრეპარატები (რასტინონი, დიაბორალი, ბუქარბანი და სხვ.).

პროტანინ-თუთია-ინსულინი გამოშვებულია ფლაკონებში ინსულინის მსგავსად (იხ. ზემოთ). თითო ფლაკონი შეიცავს 10 მლ. თითო მილილიტრში 40 — 80 მოკ. ერთ. რაოდენობით.

ხმარების წინ საჭიროა შენჯღრევა.

ინახება გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას

კ ო რ ტ ი ზ ო ნ ი

Cortisonum

ხმარებაშია კორტიზონ-აცეტატი (Cortisonum aceticum), რომელიც მიღებულია სინთეზური გზით. თეთრი, კრისტალური ფხვნილია. არ იხსნება წყალში, ძლიერ მკირედ იხსნება სპირტში და ადვილად ქლოროფორმში, ლლობის ტემპერატურაა 235 — 254°.

ჩვენებები ხმარებისათვის: რევმატიზმი, ართრიტები და პოლიართრიტები — რევმატული, პოდაგრული, ინფექციური; სპონდილოართრიტი, ბრონქული ასთმა, სხვადასხვა ალერგიული დაავადებები, მწვავე ლეიკოზი, ინფექციური მონონუკლეოზი, ადისონის ავადმყოფობა, ნეიროდერმიტები, ეკზემა, კერატიტი, ქორეა და სხვ.

წინააღმდეგჩვენებას კორტიზონით მკურნალობისათვის წარმოადგენს: აქტიური ტუბერკულოზური პროცესი, გულის დეკომპენსაცია, მწვავე ენდოკარდიტი, წყლულოვანი დაავადება, ჰიპერტონიული დაავადება, ნეფრიტები, შაქრიანი დიაბეტი, თრომბოზები, აგრეთვე ორსულობა და მოხუცებულობა.

კორტიზონი იძლევა თანამოვლენებს (განსაკუთრებით დიდი დოზების ხანგრძლივად გამოყენების დროს): წყლის შეკავებას ორგანიზმში (ნატრიუმისა და ქლორის იონების შეკავების გამო), არტერიული წნევის მომატებას, ტაქიკარდიას, აგზნებადობას, უძილობას, მენსტრუაციის ციკლის დარღვევას, შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში ჰიპერგლიკემიის გაძლიერებას, ბავშვებში ზრდის შეფერხებას, კეროვანი ინფექციის გამწვავებას და სხვ.

აღნიშნულის გამო კორტიზონთერაპია ავადმყოფს უნდა დაენიშნოს ინდივიდუალურად და ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ.

კორტიზონთერაპია იძლევა უკეთეს შედეგს სპეციფიკურ მკურნალობასთან კომბინაციაში (ანტიმიკრობულ საშუალებებთან ერთად).

კორტიზონი იხმარება per os და კუნთებში ინექციის სახით.

ჩვეულებრივად per os ენიშნება პირველ დღეს 0,1 გ 3-ჯერ დღეში, მეორე დღეს 0,1 გ ორჯერ და მესამე დღიდან 0,1 გ ერთ-ჯერ და შემდეგ 0,075 გ—0,05 გ დღეში. სულ მკურნალობის ერთ კურსზე იხარჯება 3—5 გ კორტიზონი.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 0,15 გ, სადღეღამისო—0,3 გ.

კუნთებში კორტიზონი ენიშნება იმავე დოზებში, მხოლოდ შეიძლება დღიური დოზა შეშხაპუნებულ იქნეს ერთბაშად, რადგან კორტიზონი სუსპენზიის სახითაა და შეიწოვება თანდათანობით.

ბავშვებს კორტიზონი ენიშნება: კუნთებში 0,05 გ 2-ჯერ დღეში, 2 კვირის განმავლობაში, მკურნალობის 2—3 კვირის შემდეგ აძლევენ დღეში ერთჯერ 0,075 გ და შემდეგ 0,05 გ დღეში; ბოლო დღეებში შეჰყავთ 0,025 გ დღეში. მკურნალობის კურსი გრძელდება 1,5—2 თვე; per os ენიშნება იგივე დღიური დოზა მხოლოდ სამ მიღებაზე.

მკურნალობის შეწყვეტა როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში უნდა მოხდეს კორტიზონის დღიური დოზის თანდათან შემცირებით, პროცესის გამწვავების აცილების მიზნით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ბნელ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Cortisoni 0.025

D. t. d. in tabulettis

S. 2—4 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

კორტიზონი

Cortinum

კორტინს ამზადებენ დასაკლავი პირუტყვის თირკმელზედა ჯირკვლიდან. იგი უფერული, გამჭვირვალე, უსუნო სითხეა.

იხმარება ადისონის დაავადების სამკურნალოდ; ასთენიური, აღინამიური მდგომარეობის დროს კანქვეშ ან კუნთებში შესაშხაპუნებლად დღეში 1—2-ჯერ 1—2 მლ რაოდენობით.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ, რომელიც შეიცავს 10 მოკ. ერთ.


Rp.: Cortini 1,0

D. t. d. 12 in ampulis

S. ერთი ამპულა 2-ჯერ დღეში კანქვეშ.

მეთილთიოურაცილი

Methylthiouracilum



პრეპარატი ძეთრი ან მოყვითალო, კრისტალური, მწარე გემოს ფხენილია. კარგად იხსნება ამონიაკისა და ტუტეების ხსნარში, ძნელად — წყალში, სპირტსა და ეთერში.

იგი ანტითირეოიდული მოქმედების სინთეზური პრეპარატია; აბრკოლებს ფარისებრ ჯირკვალში თირეოტოქსინის წარმოშობას, რის გამოც უმჯობესდება ავადმყოფთა მდგომარეობა: მციირდება ტაქიკარდია, ოფლიანობა, აგზნებადობა, ხდება ძირითადი ცვლის ნორმალიზაცია; ხოლო იგი არ მოქმედებს ეგზოფტალმსა და ჩიყვზე. საკიროა ამიტომ დაენიშნოს იოლი მიკროდოზებში ან დიოოდთი-რეოზინი (0,05 გ 1—2-ჯერ დღეში).

უნიშნავენ შიგნით 0,1—0,25 გ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, ხოლო დაავადების მსუბუქი ფორმის დროს — უფრო ნაკლებ დოზებში — 0,05 გ 2—3-ჯერ დღეში. თირეოტოქსიკოზის მძიმე და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს მკურნალობას იწყებენ შედარებით დიდი დოზებით: 0,25 გ 3-ჯერ დღეში 10 დღის განმავლობაში, შემდეგ 10 დღეს აძლევენ 0,25 გ 2-ჯერ დღეში, ამის შემდეგ კი ძვეების მანძილზე აძლევენ 0,1—0,2 გ ერთჯერ დღეში. უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,3 გ, სადღეღამისო — 0,75 გ.

თანამოვლენებია: ლეიკოპენია, აგრანულოციტოზი, შეშუპებები, ქავილი, სახსრებში ტკივილი, სიყვითლე, გულისრევა, პირღებინება. ასეთი მოვლენების განვითარების დროს უნდა შეწყდეს მეთილთიოურაცილის მიცემა და უნდა დაენიშნოს თებანი, ფოლიუმმევა, B₁₂ ვიტამინი. ამ პრეპარატს არ უნიშნავენ ლეიკოპენიის დროს და ორსულობის მეორე ნახევარში.

გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში à 0,25 გ, ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Methylthiouracili 0,25

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში (2-ჯერ—1-ჯერ)
ჭამის შემდეგ.

Rp.: Methylthiouracili

Extracti Valerianae \overline{aa} 2,0

Jodi 0,02

Kalii jodati 0,2

Luminali 0,4

Extracti et pulveris Liquiritiae q. s. ut f. pil. 40

D. S. თითო აბი 2—3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ
(20 დღის განმავლობაში, შემდეგ შესვენება 20
დღით და ისევ განმეორება).

მ ა მ მ ფ ი ზ ი ნ ი

Mammophysinum

მამოფიზინი კომბინირებული პრეპარატია. რომელიც შეიცავს ჰიპოთიზის უკანა ნაწილის გამონაწვლილს «(პიტუიტრინს) და მეწველი ძროხის სარძეო ჯირკვლის გამონაწვლილს. იგი გამჟღავნებელი, მოყვითალო ფერის, მყავე რეაქციის სითხეა.

მამოფიზინი იწვევს საშვილოსნოს რითმულ შეკუმშვას, იგი იხმარება სამშობიარო კინთების სისუსტის შემთხვევებში, დადებით ეფექტს იძლევა მშობიარობის შემდეგ ჰიპოტონიური სისხლის დენისა და აგრეთვე საშვილოსნოს სუბინვოლუციის დროს. მისი მოქმედება იწყება 5—10 წუთის შემდეგ. მამოფიზინი იხმარება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში ფიბრომიომებისა და ქრონიკული ანთებითი პროცესების შედეგად საშვილოსნოდან სისხლის დენის შემთხვევებში (ქრონიკული მეტრიტი, ქრონიკული ანდექსიტი).

მამოფიზინის შეყვანა ორგანიზმში შეიძლება კანქვეშ ან კუნთებში. მშობიარობის დროს უშხაპუნებენ კუნთებში \overline{x} 0,3 — 0,4 მლ, ნახევარი საათის ინტერვალით 5—6-ჯერ (მოქმედებამდე); სხვა შემთხვევებში 1,0 — 1,5 მლ. საშვილოსნოს ფიბრომიომის კონსერვატული მკურნალობისათვის უკეთებენ კუნთებში 1 მლ ყოველდღიურად 12 — 15 დღის განმავლობაში. საშვილოსნოდან სისხლის დენის შემთხვევაში კეთდება ინექციები კუნთებში 1 მლ რაოდენობით 1—2-ჯერ დღეში.

უკუჩვენება იგივეა, რაც პიტუიტრინისათვის. გამოშვებულია 1 მლ მოცულობით, კოლოფებში, 6 ცალად.

Rp.: Mammophysini 1,0


D. t. d. 6 in ampulis

S. თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში.

მეთოთირინი (მერკაზოლილი)

Methothyryn (Mercozolilum)

1—მეთილ—2—მერკაპტო — იმიდაზოლი



თეთრი, მწარე გემოს ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში და სპირტში, ცუდად—ეთერში. ლღობის ტემპერატურა — 142—144°.

მეთოთირინი არის ეფექტური ანტითირეოიდული საშუალება, უფრო ძლიერი, ვიდრე მეთილთიოურაცილი.

იხმარება თირეოტოქსიკოზებისა და ბაზედოვის დაავადების წინააღმდეგ.

უნიშნავენ ჭამის შემდეგ სხვადასხვა დოზებში თირეოტოქსიკოზის სიმძიმის მიხედვით. მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დროს 0,005 გ დღეში 2—3-ჯერ, მძიმე შემთხვევაში — 0,005 გ 3—4-ჯერ. ზოგიერთ შემთხვევაში დღე-ღამის დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 50 მგ-დღე. მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ დოზას თანდათანობით უკლებენ — 0,005 გ 2-ჯერ დღეში, ხოლო სრული გამოკეთების შემთხვევაში პრეპარატს აძლევენ დღეში ერთხელ 0,005 გ ან კვირაში 2—3-ჯერ თვეობით.

მეთოთირინით მკურნალობა უნდა წარმოებდეს ექიმის მეთვალყურეობით, თუმცა ის ჩვეულებრივად არ იძლევა მნიშვნელოვან გართულებას ან თანამოვლენას. საჭიროა თვეში 2—3-ჯერ სისხლის გასინჯვა, რომ დროზე იქნეს შემჩნეული ლეიკოპენია (თუ ის განვითარდა).

უკუჩვენებას წარმოადგენს ორსულობა, ლეიკოპენია. არ ურჩევენ მეთოთირინთან პირამიდონისა და მისი ანალოგების და სულფამიდური პრეპარატების მიღებას.

გამოშვებულია ტაბლეტებში — ჰ 0,005 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალსა და სინათლისაგან—დაცულ ადგილას.

Rp.: Methothyryni 0,005

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

მ ი კ რ ო ფ ო ლ ი ნ ი

Microfollin

მიკროფოლინის მოქმედ საწყისის წარმოადგენს ეტინილ-ესტრა-დიოლი, რომელიც მიკროფოლინ „მიტეში“ შედის 0,01 მგ რაოდენობით და „ფორტეში“ — 0,05 მგ რაოდენობით. იხმარება:

1. კლიმაქსური ჩივილების დროს თითო ტაბლეტი „ფორტე“ დღეში ერთჯერ;

2. ამენორეა და ოლიგომენორეას დროს — 3—6 ტაბლეტი „მიტე“ ან 1—2 ტაბლეტი „ფორტე“ დღეში 20 დღის განმავლობაში, ამის შემდეგ 5 დღით — 10 მგ აკროლიუტინი;

3. მეტრომენორაგიების დროს — ამდენივე, მხოლოდ 3 დღის განმავლობაში;

4. მტკივნეული მენსტრუაციის დროს — ყოველ ორ-სამ თვეში 21—24 დღის განმავლობაში ერთი ტაბლეტი „მიტე“ დღე-ღამეში;

5. წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატას) კიბოს დროსაც უნიშნავენ მიკროფოლინ „მიტეს“ 3 ტაბლეტს დღეში; თუ საჭიროება მოითხოვს 6 ტაბლეტს დიდი ხნის განმავლობაში. გაუმჯობესების შემთხვევაში დოზას დღეში 1 ტაბლეტამდე ამცირებენ.

6. ლაქტაციის შესამცირებლად — მშობიარობის შემდეგ მე-3 დღეს ორ-ორი ტაბლეტი „ფორტე“ 3-ჯერ დღეში, მე-4 — 5 — 6 დღეს — თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში და მე-7 — 8 — 9 დღეს — თითო ტაბლეტი დღეში;

7. ჰემოსპერმიის შემთხვევაში — 1 ტაბლეტი „მიტე“ 3-ჯერ კვირაში, თანდათან მომატებით თითო ტაბლეტამდე 2-ჯერ დღეში, გაუმჯობესების შემთხვევაში — თანდათან დაკლებით.

გამოყვებულია ტაბლეტები: „მიტე“ — 0,01 მგ და „ფორტე“ — 0,05 მგ.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ჩვეულებრივ პირობებში.

Rp.: Tabulet. Microfollini № 20.

Ds. თითო ტაბლეტი დღეში.

მედიკამენტოლოგიის

Methyltestosteronum



პრეპარატი თეთრი, წვრილკრისტალური, უსუნო და უგემო ფხვნილია. იხსნება სპირტში, ეთერსა და აცეტონში, არ იხსნება წყალში, ლღობის ტემპერატურაა 161—167°.

მეთილტესტოსტერონი მიღებულია სინთეზურად. აქვს მამაკაცთა ბუნებრივი ჰორმონის თვისება.

ამოიღება ენის ქვეშ ჰიპოფიზური ჯირკვლის, ენდოკრინული და სხვა საერთოდ სასქესო სფეროში ფუნქციური მოშლილობის დროს, დღეში 0,03 გ და მეტიც (ხანგრძლივად); მამაკაცთა კლიმაქსისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების წინააღმდეგ 0,005 გ 2—3-ჯერ დღეში 1—2 თვის განმავლობაში.

იმპოტენციის დროს უნიშნავენ 0,01—0,02 გ დღეში, წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის დროს — 0,02—0,03 გ დღეში 1—2 თვის განმავლობაში.

ზოგჯერ ხმარობენ სტენოკარდიის წინააღმდეგ 0,01 გ ყოველდღე ან დღეგამოშვებით.

მეთილტესტოსტერონს უნიშნავენ ქალებსაც კლიმაქსისა და პრეკლიმაქსის შემთხვევებში 0,005 გ 3—4-ჯერ დღეში (ენის ქვეშ) 1—1/2 თვის განმავლობაში, დისმენორეის დროს — 0,01 გ დღეში 5—6 დღის განმავლობაში; ძუძუსა და საკვერცხეების კიბოს ოპერაციის შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მეთილტესტოსტერონი უკუნაჩვენებია წინამდებარე ჯირკვლის კიბოს შემთხვევაში.

უმალესი დოზა—ერთჯერადი—0,05 გ, სადღეღამისო—0,1 გ.

ქალებს ამ პრეპარატის ხანგრძლივად მიღების დროს შეიძლება განუვითარდეს ზოგადი მასკულინიზაციის ნიშნები (ხმის გაბოხება, თმის ამოსვლა და სხვ.).

გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 0,005 გ (5 მგ). ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Methyltestosteroni 0,005

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში, ამოიღება ენის ქვეშ.

პარათირეოიდინი (პარათირეოკრინი)

Parathyreoidinum s. Parathyrocrinum

ჰორმონული პრეპარატია, მიიღება პირუტყვის პარათირეოიდული ჯირკვლებიდან, იგი გამჭვირვალე მიხაკის ფერი, მთავე რეაქციის სითხეა; pH 2,5—3,0.

1 მლ შეიცავს 20 მოქ. ერთ. (მე); ახდენს კალციუმის ცვლის რეგულაციას, იხმარება პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობის დროს (სპაზმოფილია, ტეტანია), ბრონქული ასთმის, ჰინქრის ცხელების, ვაზომოტორული რინიტის შემთხვევებში. შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში ყოველდღე ან დღეგამოშვებით 1—2 მლ (20—40 მოქ. ერთ.) 1—1½ თვის განმავლობაში. ტეტანიის მწვავე შემთხვევებში კანქვეშ შეჰყავთ 2 მლ ყოველ 2 საათში; ბავშვებს უშხაპუნებენ კანქვეშ: 1 წლის ასაკამდე 0,25 მლ; 2—5 წ.—0,5—1 მლ; 6—12 წ.—1,5—2 მლ. ერთდროულად ვენაში შეჰყავთ 10% ქლორკალციუმის ხსნარის 10 მლ ან შიგნით აძლევენ 5% ხსნარის თითო სუფრის კოფხს 5—6-ჯერ.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი—5 მლ, სადღელამისო — 15 მლ.

ბავშვებისათვის—ერთჯერადი — 6 თვემდე—0,25 მლ, 1½—1 წ.—0,4, 2 წ.—0,6 მლ, 3—4 წ.—0,8 მლ, 5—6 წ.—1 მლ, 7—9 წ.—1,5 მლ, 10—14 წ. 2 მლ.

წინააღმდეგევენებას წარმოადგენს კალციუმის მომატება სისხლში. ამიტომ საჭიროა მისი გამოკვლევა სისხლში პარათირეოიდინით მკურნალობის პერიოდში.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ და ჰერმეტიკულად დახურულ ფლაკონებში 5 მლ და 10 მლ რაოდენობით. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Parathyreoidini 1,0

D. t. d. in ampulis

S. თითო ამპულა 2-ჯერ დღეში კანქვეშ.

პიტუიტრინი

Pituitrinum liquidum

პიტუიტრინი არის ჰიპოფიზის უჯანა ნაწილის ჰორმონების წყლიანი გამონაწვლილი, რომელიც უფერული, გამჭვირვალე, მტკვე რეაქციის სითხეა. pH=3—4; კონსერვირებულია ფენოლისა და ტრიკრეზოლის 0,3% ხსნარით.

ჩვენება: იხმარება საშვილოსნოს შეკუმშვის გასაძლიერებლად მშობიარობის დროს; მშობიარობის შემდეგ სისხლის დენის, საწინააღმდეგოდ, მეტრორაგიებისა და უშაქრო დიაბეტის დროს, თუმცა ამ უჯანასქნელის საწინააღმდეგოდ უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ ადიურეკრინს.

უკუჩვენება: ძლიერ განვითარებული ათეროსკლეროზი, გულს კუნთის ღრმა ცვლილებები, ჰიპერტონიული დაავადება.

დოზა: მოზრდილებს უნიშნავენ კანქვეშ და კუნთებში 1—2 მლ 2-ჯერ დღეში (5—10 მოკ. ერთ. 1 მლ-ში).

სამეანო პრაქტიკაში უმჯობესია შეყვანა ნაწილ-ნაწილად 0 25 მგ, ყოველ 30 წუთში, 1 მგ-მდე.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი—2 მლ, სა-
დღელამისო—4 მლ.

გამოშვებულია ამპულებში à 1 მლ (5 და 10 მოკ. ერთ.).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Pituitrini 1,0 (10 მოკ. ერთ.)

D. t. d. in ampulis

S. ერთი ამპულა ერთჯერ დღეში.

პრეგნინი


Praegninum

თეთრი ან მოყვითალო კრისტალური ფხენილია. არ იხსნება წყალში, იხსნება ზეთებში, ლღობის ტემპერატურა 268—274°.

მიღებულია სინთეზურად, თავისი ფიზიოლოგიური მოქმედებით წარმოადგენს პროგესტერონის ანალოგს, მხოლოდ ნაკლებ აქტიურია.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც პროგესტერონი.

უნიშნავენ ტაბლეტებში 0,005 გ რაოდენობით, 3-ჯერ დღეში 6—8 დღის განმავლობაში. ტაბლეტი ამოიღება ენის ქვეშ.



გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 გ (5 მგ). ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მჭრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Praegnini 0,005

1—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ამოიღება ენის ქვეშ.

პრედნიზონი

Prednisone

დეჰიდროკორტიზონი

Dehydrocortisonum

პრედნიზონი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება ორგანულ გამხსნელებში.

პრედნიზონი 3—5-ჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე კორტიზონი, იშვიათად იძლევა თანამოვლენებს. იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც კორტიზონი. ენიშნება 5 მგ—10 მგ 3—4-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 5 მგ 30 და 100 ცალად.

ინახება მოფრთხილევით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Prednisoni 0,005

D. t. d. 100 in tabulettis

S. 1—2 ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

პრედნიზოლონი

Prednisolone

პრედნიზოლონი (Δ'—დეჰიდროპრედნიზონი) თეთრი, კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება ორგანულ გამხსნელებში. 5-ჯერ უფრო აქტიურია ბუნებრივ ჰორმონებთან შედარებით.

თავისი მოქმედებით ძლიერ ახლოსაა პრედნიზონთან. იხმარება იმავე შემთხვევებში, სადაც ნაჩვენებია პრედნიზონი.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,001 გ, 0,0025 გ, 0,005 გ.


Rp.: Prednisoloni 0,005

D. t. d. in tabulettis

S. 1—2 ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

პროგესტერონი

Progesteronum



პროგესტერონი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ცხიმებში. ლღობის ტემპერატურა—127—129°, პროგესტერონი ყვითელი სხეულის ჰორმონია, მიღებულია სინთეზურად, თავისი ქიმიური სტრუქტურით ეკუთვნის სტეროიდებს.

პროგესტერონის ძირითად ფიზიოლოგიურ თვისებას წარმოადგენს საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის გადაყვანა პროლიფერაციის ფაზიდან სეკრეტორულში და განაყოფიერების შემთხვევაში კვერცხის ფიქსაცია საშვილოსნოში.

პროგესტერონის ჩვენებას წარმოადგენს მოსალოდნელი მუცლის მოშლა; პროგესტერონის მიცემას 0,005 გ რაოდენობით ყოველდღიურად იწყებენ ადრე და აგრძელებენ ორსულობის მეოთხე თვემდე, ხოლო თუ განვითარდა მუცლის მოშლის ნიშნები, პროგესტერონის დოზას უმატებენ 10 მგ-მდე (0,01 გ) დღეში; ამენორეის, დისმენორეის, საშვილოსნოდან სისხლის დენის დროს აძლევენ 0,005 გ 6—8 დღის განმავლობაში. პროგესტერონი არ იხმარება მენსტრუაციის დროს და ორსულობის 37 კვირის შემდეგ.

უმალესი ერთჯერადი და სადღეღამისო დოზა შეადგენს 0,01 გ (2 მლ 0,5% ხსნარისა ზეთში).

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ 0,5%-იანი ხსნარისა ზეთში (5 მგ 1 მლ-ში).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ქურქელში და აგრეთვე ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Solutionis Progesteroni oleosae 0,5% - 1,0.

D. t. d. 6 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ კუნთებში შესა-

შხაპუნებლად.

სინესტროლი Synoestrolum



თეთრი ან ოდნავ მოყვითალო, კრისტალური, უსუნო ფხვნილია. ადვილად იხსნება სპირტში, ქლოროფორმსა და ზეთებში. არ იხსნება წყალში.

სინესტროლი სინთეზური პრეპარატია, მას აქვს ფოლიკულინის მსგავსი ბიოლოგიური თვისება; სინესტროლის 0,001 გ (1 მგ) შეესაბამება ფოლიკულინის 10000 მოკ. ერთ.

იხმარება: მენსტრუაციის ციკლის დარღვევის დროს (ამენორეა, დისმენორეა, ოლიგომენორეა); სასქესო ორგანოთა განუვითარებლობისა და კლიმაქსის შემთხვევებში; იყენებენ აგრეთვე მშობიარობის სტიმულაციისათვის და მშობიარობის შემდეგ გალაქტაციას წინააღმდეგ; წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიისა და კიბოს დროს.

იხმარება შიგნით, ტაბლეტებში ოდ. 0,001 გ (1 მგ), დღეში 1—2-ჯერ 2—3 კვირის განმავლობაში ან კუნთებში 0,1% და 0,2% ზეთიანი ხსნარის 1 მლ ამპულებში, ამის შემდეგ აძლევენ 6—8 დღის განმავლობაში პროგესტერონს ან პრეგნილს.

წინამდებარე ჯირკვლის კიბოს საწინააღმდეგოდ უშხაპუნებენ კუნთებში ყოველდღიურად 2%-იანი ხსნარის 2—3 მლ 2—3 თვის განმავლობაში. ამის შემდეგ აკეთებენ შესვენებას 2 კვირით და ისევ აგრძელებენ ინექციებს კუნთებში 2%-იანი ხსნარის 0,5—1 მლ ყოველდღე 5—6 თვის განმავლობაში. მკურნალობა გრძელდება ხანგრძლივად ეფექტის მიხედვით (წლების განმავლობაში).

წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის შემთხვევაში კუნთებში შეჰყავთ 2% ხსნარის 2—3 მლ 2—3 თვის განმავლობაში, შემდეგ სწყვეტენ 3—4 თვით, ხოლო ამის შემდეგ იმეორებენ მკურნალობის კურსს.

სინესტროლის გადაჭარბებული დოზებით მკურნალობის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს გულისრევა, პირღებინება თავბრუ. წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს სასქესო ორგანოების და

სარძევე ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნეები, ლეიქმის დაავადება და ორსულობა.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,001 გ, ამპულებში— 0,1% და 2% ზეთში გახსნილი à 1 მლ, 2%-იანი ხსნარი იხმარება მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნის დროს.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Synoestrolī 0,001

D. t. d. 20 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

Rp.: Solutionis Synoestrolī oleosae 0,1% 1,0.

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ კუნთებში.

Rp.: Solutionis Synoestrolī oleosae 2% —1,0.


D. t. d. 60

S. კუნთებში შესაშხაპუნებლად 2 მლ (წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის დროს).

ტესტოსტერონ-პროპიონატი

Testosteronum propionicum

პრეპარატი თეთრი ან ოდნავ მოყვითალო კრისტალური ფხვნილია, იხსნება მცენარეულ ზეთებში, ადვილად იხსნება სპირტსა და ეთერში; არ იხსნება წყალში; ლლობის ტემპერატურაა 118—123°.



ტესტოსტერონ-პროპიონატი მიღებულია სინთეზურად, აქვს ბუნებრივი ჰორმონის ბიოლოგიური და მკურნალობითი თვისება.

იხმარება მამაკაცებში: ენუქოიდიზმის, სასქესო ჯირკვლების თანდაყოლილი განუვითარებლობის ან ქირურგიულად მათი მოშორების, აგრეთვე აკრომეგალიის შემთხვევებში ყოველდღე 0,025 გ კუნთებში შესაშხაპუნებლად ან 0,05 გ—დღეგამოშვებით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ტესტოსტერონ-პროპიონატს იყენებენ აგრეთვე მამაკაცთა კლიმაქსის დროს 10 მგ ყოველდღე ან 25 მგ 2—3-ჯერ კვირაში 1—2 თვის განმავლობაში და სქესობრივი სისუსტის დროს ასეთივე დოზებში. წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის დასაწყისში კუნთებში შეჰყავთ 10 მგ დღეგამოშვებით 1—2 თვის განმავლობაში. ტესტოსტერონ-პროპიონატს ხმარობენ აგრეთვე ჰიპერტონიული დაავადების ადრეული სტადიების დროს და სტენოკარდიული შეტევების წინააღმდეგ, უნიშნავენ 0,01 გ 1—2-ჯერ კვირაში; სულ აკეთებენ 15—20 ინექციას.

ტესტოსტერონ-პროპიონატს ხმარობენ აგრეთვე ზოგიერთი ქალური დაავადების საწინააღმდეგოდ; ასეთებია დისმენორეა (0,025 გ დღეგამოშვებით 20—30 ინექცია), კლიმაქტერიული მოვლენები (0,01 გ დღეგამოშვებით 1—1½ თვის განმავლობაში).

ათეროსკლეროზისა და კარდიოსკლეროზის დროს ტესტოსტერონით მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს მდგომარეობის გაუარესება.

საკვერცხეებისა და სარძევე ჯირკვლების კიბოს შემთხვევაში ტესტოსტერონ-პროპიონატს უკეთებენ ოპერაციული დახმარების შემდეგ 0,05 გ ყოველდღე 100 დღის განმავლობაში, ამის შემდეგ დოზებს ამცირებენ—0,3—0,2 გ კვირაში, სულ 1 თვის განმავლობაში შემდეგ უკეთებენ 0,15 გ კვირაში, 2 თვეს და ბოლოს კიდევ 2 თვის განმავლობაში 0,1 გ კვირაში. ტესტოსტერონის ხანგრძლივად მიღებას შეუძლია გამოიწვიოს ქალის ვირილიზაცია: თმების ზრდა სახეზე. ხმის გაბოხება, ძძუების დაპატარავება, ამენორეა. სახის პასტოზობა, ლიბიდოს გაძლიერება, თავბრუ, გულისრევა და სხვ. უმაღლესი დოზა—ერთჯერადი და სადღელამისო—უდრის 0,05 გ.

გამოშვებულია 1% და 5% ზეთიანი ხსნარი ამპულებში à 1 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Testosteroni propionici oleosae 1% 1,0

D. t. d. 10 in ampulis

S. 1 მლ დღეგამოშვებით კუნთებში შესაყვანად.

ფოლიკულინი

Folliculinum

ფოლიკულინი კრისტალური ფხვნილია, იხსნება ეთერში, უწყლო სპირტში, აცეტონსა და ზეთში. წყალში თითქმის არ იხსნება. ლღობის ტემპერატურაა 254—259°.

იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ფოლიკულურ ჰორმონს, ქიმიური სტრუქტურის მიხედვით ეკუთვნის სტეროიდების ჯგუფს. მას ღებულობენ ორსულ ქალთა ან მაკე ცხოველების შარდიდან.

ფოლიკულინის 1 მგ შეიცავს 10000 მოკ. ერთეულს. საექიმო პრაქტიკაში იხმარება საჰვილოსნოსა და სარძევე ჯირკვლების არასაკმარისად განვითარების შემთხვევაში, უნაყოფობის, მენსტრუაციის ციკლის მოშლის, კასტრაციის შემდგომი მდგომარეობის დროს, მშობიარობის სასტიმულაციოდ და აგრეთვე ლაქტაციის შესამცი-რებლად, ჰიპერტონიული დაავადებისა და პერიფერიულ სისხლ-ძარღვთა სპაზმების წინააღმდეგ.

ფოლიკულინს უნიშნავენ კუნთებში შესაშხაპუნებლად 1000—5000—10000 მოკ. ერთ. რაოდენობით ყოველდღე (ან დღეგამო-შვებით) 2—3 კვირის განმავლობაში (ჰიპო-ოლიგო-დისმენორეის, უნაყოფობის, საკვერცხეების და საშვილოსნოს განუვითარებლობის შემთხვევაში, კლიმაქტერიულ ხანაში) პირველადი ამენორეის, სა-შვილოსნოსა და მეორადი სასქესო ნიშნების განუვითარებლობის შემთხვევაში კუნთებში შეკყავთ 10.000—20000 მოკ. ერთ. ყოველ-დღე (ან დღეგამოშვებით) 1—2 თვის განმავლობაში, ამის შემდეგ უნიშნავენ კუნთებშივე პროგესტერონს 5 მგ დღეში 6—8 დღის განმავლობაში. ფოლიკულინისა და სხვა ესტეროგენური პრეპარა-ტების ხანგრძლივად მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს საშვილოსნოდან სისხლის დენა.

საჭიროა მკურნალობა წარმოებდეს ექიმის მეთვალყურეობით.

ფოლიკულინის გამოყენების წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს: ორსულობა, სასქესო ორგანოების და სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები, ქალთა ორგანოების ანთებითი დაავადებები.

გამოშვებულია ფოლიკულინი გახსნილი ზეთში, ამპულებში à 1 მლ; 1 მლ შეიცავს 0,5 მგ (5000 მოკ. ერთ) და 1 მგ (10.000 მოკ. ერთ.).

ინახება ნშრალ, გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Solutionis Folliculini oleosae 1,0 (5000 მოკ. ერთ).

D. t. d. 6 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში 1-ჯერ დღეში.

ჰიდროკორტიზონი

Hydrocortisonum



ჰიდროკორტიზონი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში იხსნება ძლიერ ცოტა.

თავისი ქიმიური სტრუქტურით და კლინიკური მოქმედებით ახლოსაა კორტიზონთან, მხოლოდ უფრო აქტიურია.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც კორტიზონი, მხოლოდ ნაკლებ ($\frac{2}{3}$) დოზებში.

აქვს იგივე უკუჩვენება.

ხმარებაშია აგრეთვე 1 და 2,5%-იანი მალამოს სახით ეკზემის, სხვადასხვა დერმატიტების, კანის ქავილის (pruritis ani et vulvae) დროს. უსვამენ თხელ ფენად კანზე დღეში 2—3-ჯერ. ერთი ტუბი (5 გ) შეიცავს 0,05 გ ან 0,125 გ ჰიდროკორტიზონს.

ანტისეპტიკური და სადღეზრუნველსიო საშუალებები

ანტიფორმინი

Antiforminum

ანტიფორმინი მოყვითალო სითხეა, ქლორის სუნისა. შეიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიდის 20%, ხსნარის (NaOCl) და მწვევე ნატრიუმის 15% ხსნარის თანაბარ რაოდენობას. აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება. 2—5% ხსნარი იხმარება კბილის მკურნალობის პრაქტიკაში (გინგივიტები, სტომატიტები). იხმარება აგრეთვე ლაბორატორიებში მასალების სადღეზინფექციოდ.


გამოშვებულია ფლაკონებში à 50 მლ.

Rp.: Antiformini 5%—50,0

D. S. გარედან სახმარი.

ბენზონაფთოლი

Benzonaphtholum



ბენზონაფთოლი ბენზოეს მეავას ბეტანაფთოლის ეთერია. იგი წერილკრისტალური, უსუნო, გემოს მოკლებული ფხვნილია. არ იხსნება წყალში.

იხმარება ფხვნილებში 0,3—0,5 გ სამჯერ დღეში როგორც ანტისეპტიკური საშუალება კლჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს.

ინახება კარგად დახურულ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Benzoinaphtholi

Saloli $\overline{\text{sa}}$ 0,3

Extr. Belladonnae 0,015

M. f. p. D. t. d. 12, თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Benzoinaphtholi 0,3

D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

ბორის მჟავა

Acidum boricum

ბორის მჟავა (H_2BO_3) უფერული, ბრჭყვიალა ან თეთრი, წვრილი კრისტალური ფხვნილია. იხსნება 25 ნაწილ ცივ წყალში, 3 ნაწილ ცხელ წყალში და 25 ნაწილ სპირტში.

იხმარება პირში გამოსაფლებად, შარდის ბუშტის გამოსარეცხად (2—4% ხსნარი), თვალის გამოსაბანად (2%), გამოყენებულია მალამოების სახით (5—10%) და მოსაყრელად კანის დაავადების დროს. იხმარება აგრეთვე კრილოზების, წყლულების გამოსარეცხად.

Rp.: Acidi borici 20,0

D. S. ერთი ჩაის კოვზი ერთი ჭიქა წყალში (პირის დროს გამოსარეცხად).

Rp.: Sol. Acidi borici 2%—100,0

D. S. თვალის გამოსაბანად.

Rp.: Zinci Sulfurici 0,03

Sol. Acidi borici 2%—10,0

M. D. S. 2 წვეთის თვალეში ჩაწვეთება 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Acidi borici pulv.

Aluminis pulv. $\overline{\text{sa}}$ 5,0

Talci 2,0

M. f. pulvi

D. S. მოსაყრელი ფეხების ოფლიანობის დროს.

Rp.: Acidi borici 3,0
Glycerini 10,0
Spiritus vini 60° 100,0
M. D. S. ძუძუების დერილების დასაბანი (ძუძუ-
მწოვართათვის)

Rp.: Acidi borici 1,0
Talci 50,0
Boli albae 10,0
Amyli Tritici 10,0
M. f. pulvis
D. S. მისაყრელი ბავშვებისათვის.

Rp.: Acidi borici 0,2
Chinosoli 0,1
Butyri Cacao 2,0
M. f. Globulus vaginalis D. t. d. 10
S. განაყოფიერების საწინააღმდეგო („კონტრაცე-
პტინი“).

ბორაქსი

Borax s. Natrium biboricum

უფერული კრისტალები ან თეთრი, კრისტალური ფხვნილია;
კარგად იხსნება წყალში (1:25), ძლიერ კარგად—მდულარე წყალ-
ში (2:1), იხსნება გლიცერინში.

იხმარება გარედან როგორც ანტისეპტიკური საშუალება
ღრუების გამოსარეცხად წყალხსნარების სახით ან წასასმელად
გლიცერინიანი ხსნარის სახით.

Rp.: Boracis 5,0
Glycerini 25,0
M. D. S. პირის ღრუს ლორწოვანზე წასაბმელად.

Rp.: Natrii biborici
Natrii bicarbonici $\overline{\text{aa}}$ 20,0
Natrii chlorati 10,0
Olei Menthae piperitae gttis III
D. S. ერთი ჩაის კოვზი ერთ ჭიქა თბილ წყალზე
პირის ღრუს გამოსაველებად.

ბრილიანტის მწვანე

Viride nitens, s. Brilliantgrün

ტეტრაეთილ-დიაზინო-ტრიფენილმეტანის ოქსალატია.

მომწვანო-ოქროსფერი ფხენილია, იხსნება წყალში (1:50), ძნელად იხსნება სპირტში. ხსნარს აქვს მწვანე ფერი.

იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება გარედან წასასმელად (0,1—2% ხსნარი სპირტში ან წყალში).

გამოშვებულია ფხენილებში. ჩვეულებრივად იყენებენ სპირტში გახსნილს.

Rp.: *Viridis nitentis* 0,5

Spiritus Vini 70° 100,0

M. D. S. გარედან წასასმელად.

ბუროვის სითხე

Liquor Burovi

ალუმინის აცეტატის 8% ხსნარი

Liquor aluminii acetici

უფერული, გამჭვირვალე სითხეა, მთავრად რეაქციისა და ძმარ-მეფას სუსტი სუნით.


აქვს შემბოქველი მოქმედება, იხმარება (10—20-ჯერ გახსნილი) შესასხურებლად, საფენეისათვის კანისა და ლორწოვანის ანთებითი პროცესის დროს.

Rp.: *Liquoris Burovi* 50,0

D. S. ერთი ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალში საფენეისათვის.

იატრენი

Yatrenum



იატრენი ყვითელი ფერის, უსუნო ფხვნილია, იხსნება წყალში 3%-მდე, არ იხსნება ორგანულ გამხსნელებში. შეიცავს 25%—26%-მდე იოდს.

იხმარება ამებური დიზენტერიის დროს და წყლულოვანი კოლიტების შემთხვევაში; ზოგჯერ სახსრებისა და კუნთების მწვავე და ქრონიკული რევმატიზმის წინააღმდეგაც და აგრეთვე ჩირქოვანი პრილობებისა და სიღამწერის დროს.

დიზენტერიისა და წყლულოვანი კოლიტის წინააღმდეგ იხმარება 0,5 გ 3-ჯერ დღეში (შეიძლება თანდათან მომატებით 6-ჯერაც), ასე 5—10 დღის განმავლობაში; გარედან იხმარება 3% ხსნარი ან 5—10%-იანი მალამო; კუნთებში—5%,-იანი სტერილური ხსნარის 5 მლ (რევმატიზმის დროს).

უმაღლესი დოზა: მოზრდილთათვის.—ერთჯერადი—1 გ, სადღეღამისო—3 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ნარინჯისფერ შინის შილესილსაცობიან ქილებში შშრალ და ბნელ ადგილას.

Rp.: Yatreni 0,5

D. t. d. in capsulis gelatinosis

S. თითო კაფსული 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp.: Yatreni 5,0

Talci ad 50,0

M. f. p.

D. S. მოსაყრელი.

Rp.: Solutionis Yatreni 3%/o—50,0

D. S. გარედან სახმარი.

იოდოფორმი

Jodoformium

წვრილი ფირფიტებისმაგვარი ბრჭყვიალა კრისტალებია ან წვრილკრისტალური, ლიმონისფერი მოყვითალო დამახასიათებელი სუნის ფხვნილია, თითქმის არ იხსნება წყალში, ძნელად—სპირტში, იხსნება ეთერსა და ქლოროფორმში.

იხმარება გარედან როგორც ანტისეპტიკური საშუალება ფხვნილების, მალამოს და ტამპონების სახით.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება კარგად თავდაცობილ ქურქელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Jodoformii 10,0
D. S. მოსაყრელი.

Rp.: Jodoformii 2,5
Vasellini ad 25,0
M. f. unguentum
D. S. მალამო.

ენთეროსეპტოლი

Enteroseptol

ენტეროსეპტოლი 5—ქლორ—7—იოდ—8 — ჰიდროქსიკინოლინია.

ენტეროსეპტოლს აქვს მძლავრი ანტიპარაზიტული მოქმედება და აგრეთვე ბაქტერიოსტატიკურიც. ნაწლავების პათოგენური ბაქტერიების წინააღმდეგ მისი ხმარება ნაჩვენებია ამებური და ბაქტერიული დიზენტერიის წინააღმდეგ, ამებამეტარებლობის შემთხვევაში, მწვავე და ქრონიკული კოლიტის, ენტეროკოლიტის, ლობითი და დულილთი დისპეტსიების დროს; ხმარობენ ლამბლიოზის წინააღმდეგაც. უკუჩვენებას წარმოადგენს ღვიძლის დაავადება ფუნქციის უკმარისობით, არ ურჩევენ ხმარებას ჰიპერთირეოზის დროს.

დოზირება: ამებური დიზენტერიის საწინააღმდეგოდ აძლევენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში, მძიმე შემთხვევებში ორ-ორ ტაბლეტს 3-ჯერ: მკურნალობა გრძელდება 10—14 დღის განმავლობაში, ამის შემდეგ ენტეროსეპტოლის მიცემას წყვეტენ 10 დღით, რომლის განმავლობაში აწარმოებენ ემეტივით ან ტეტრაციკლინით მკურნალობას.

ბაქტერიული დიზენტერიის და სხვა ეტიოლოგიის კოლიტებისა და ენტეროკოლიტების წინააღმდეგ ენტეროსეპტოლს აძლევენ ორ-ორ ტაბლეტს დღეში სამჯერ, მწვავე მოვლენების შეწყვეტამდე, ამის შემდეგ კი თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში რამდენიმე ხნის განმავლობაში. მკურნალობა შეიძლება კომბინირებული იქნეს სულფამიდიურ პრეპარატებთან.

ბავშვებს 6 წლამდე აძლევენ $1\frac{1}{2}$ —1 ტაბლეტს, ხოლო 6—12 წლამდე 1— $1\frac{1}{2}$ ტაბლეტს დღეში.

მკურნალობის დროს თუ არ იქნა მიღებული შესამჩნევი

ეფექტი. ურჩევნ სალამოობით ოყნის გაკეთებას—200 მლ თბილ წყალში ხსნიან 6 ტაბლეტ ენტეროსეპტოლს. ასე 2—3 დღის განმავლობაში.

თანამოვლენებს იძლევა იშვიათად—შემთხვევათა 4—5%-ში; პრეპარატის მიღებიდან მეორე-მესამე დღეს ვითარდება დისპეფსიური მოვლენები, რაც პრეპარატის მოხსნის გარეშეც მალე ქრება. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ენტეროსეპტოლის გავლენით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს უძლიერდება გლიკოზურია, ამიტომ ასეთ შემთხვევებში საჭიროა შარდის ხშირი გასინჯვა.

ენტეროსეპტოლი გამოშვებულია დრაცირებული ტაბლეტების სახით \bar{a} 0,22 გ, 20—20 ტაბლეთი 1 შეფუთვაში.

Rp.: Enteroseptoli 0,22

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.

კალიუმის პერმანგანატი

Kalium hypermanganicum

$KMnO_4$

მუქი იისფერი კრისტალებია. იხსნება წყალში (1 : 18 ცივში და 1 : 3,5 მდუღარეში),

კალიუმის პერმანგანატის წყლის ხსნარი იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება: ჭრილობის მოსაბანად 0,1—0,5% ხსნარი, პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად 0,02—0,1%-იანი ხსნარი, უროლოგიურ და გინეკოლოგიურ პრაქტიკაში—0,02—0,1%-იანი ხსნარი, წყლულებისა და სიდამწვრის დროს 2—5%-იანი, იპრიტით კანის დაზიანებისას 0,1—0,5%-იანი ხსნარი.

კალიუმის პერმანგანატი იხმარება აგრეთვე კუჭის ამოსარეცხად მორფინით, ოპიუმით, სტროფანტინით, ფოსფორით მოწამვლის შემთხვევებში.

კალიუმის პერმანგანატის არევა ნივთიერებებთან, რომლებიც ადვილად იეანგებიან, არ შეიძლება, რადგან შეიძლება მოხდეს აფეთქება.

Rp.: Solutionis Kalii hypermanganici 0,1%—500,0

D. S. ჭრილობის მოსაბანად.

Rp.: Solutionis Kalii hypermanganici 1%—20,0

D. S. 30—40 წვეთი 1 ჭიქა წყალში (გამოსავლებად).

Tablettae Calcex

კალციუსი მომწარო-მლაზე გემოს ტაბლეტებია, ადვილად იხსნება წყალში.

შეიცავს უროტროპინსა და კალციუმქლორიდს.

იხმარება გაციებითი დაავადებების დროს 1—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ფენოლი

Acidum Carbolicum crystallisatum s. Phenolum purum



კარბოლის მჟავა (C_6H_5O) ნემსისებრი, უფერული კრისტალე-ბია ან უფერული, თავისებური სუნის კრისტალური მასა. ჰაერზე თანდათანობით იღებება ვარდისფრად. იხსნება წყალში—1:20, ადვილად სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ცხიმებში.

კარბოლის მჟავას აქვს ძლიერი ბაქტერიციდული თვისება; იხმარება 2—3% ხსნარი ქირურგიულ პრაქტიკაში ხელის სადღეინფექციოდ, ხოლო უფრო კონცენტრული 3—5% ხსნარი ქირურ-გიული იარაღების, თეთრეულისა და სხვათა სადღეინფექციოდ. უურო სუსტი ხსნარები (0,5—01%) კი—ფარმაცევტულ პრაქტიკაში ზოგიერთი წამლის საკონსერვაციოდ.

კარბოლის მჟავა შიგნით სახმარებლად არ არის მიღებული.

უმალღესი ერთჯერადი დოზა—0,1 გ, სადღეღამისო—0,3 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B), კარგად თავდაცობილ მინის ქილაში, ბნელ ადგილას.

Rp.: Acidi carbolici 3%—200,0

D. S. გარედან სახმარი (სადღეინფექციოდ).

Rp.: Solutionis Acidi carbolici 1%—100,0

D. S. კანზე წასასმელად ქველის საწინააღმდეგოდ.

Rp.: Acidi carbolici 0,5

Glycerini 10,0

M. D. S. შემთბარი 10 წვეთი დღეში 1—2-ჯერ ყურში ჩასაწვეთებლად.

შენიღობის თხევადი ხსნარი

Acidum carbolicum liquefactum

შეიცავს 100 ნაწილ კრისტალურ კარბოლის მეფავაზე 10 ნაწილ წყალს. იგი უფერული ან ოდნავ მოვარდისფრო სითხეა.

უმალესი დოზა — ერთჯერადი — 2 წვეთი, სადღელამისო — 6 წვეთი.

იყენებენ დეზინფექციისათვის.

კოლარგოლი

Collargolum. Argentum colloidal

ვერცხლის პრეპარატი, შეიცავს 70% ვერცხლს. მომწვანო-შავი ფერის, უსუნო, პატარა ფირფიტებია, რომელსაც ლითონის ფერი გადაჰკრავს. წყალთან იძლევა კოლოიდურ ხსნარს.

კოლარგოლი უფრო ნაკლებ აღიზიანებს ქსოვილებს, ვიდრე აზოტმეფავ ვერცხლი.

იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ლორწოვანი გარსის გამოსარეცხად (შარდის ბუშტისა და შარდსადინარების ქრონიკული ანთების დროს—0,5—2% ხსნარი), ახალშობილთა თვალეში ჩასაწვეთებლად (1—2 წვეთი 1—5% ხსნარი), ცხვირში ჩასაშვებლად (1—2% ხსნარი) 2—3 წვეთი, 2—3-ჯერ დღეში.

დოზები—უმალესი—ერთჯერადი (ვენაში)—0,25 გ, სადღელამისო—0,5—გ.

ინახება სიფრთხილით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში ან ნარინჯისფერ მინის ამპულებში, სინათლისაგან დაცულ ადგილზე.

Rp.: Solutionis Collargoli 2%—200,0

D. S. გამოსარეცხად.

პროტარგოლი

Protargolum

მუქი-მოყვითალო ფერის ფხვნილია, უსუნო, მომწარო და ნწყლარტე გემოსი. ადვილად იხსნება წყალში, არ იხსნება სპირტში, ცთერსა და ქლოროფორმში. შეიცავს 8% ვერცხლს.

აქვს იგივე გამოყენება, რაც კოლარგოლს (იხ. ზემოთ).

გამოშვებულია ფხვნილების სახით.


ინახება კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის კილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Protargoli 0,5%—200,0
D. S. შარდის ბუშტის გამოსარეცხად.

Rp.: Solutionis Protargoli 1%—10,0
D. in vitro nigro
S. თვალის წვეთები.

მ ე ნ თ ო ლ ი

Mentholum



უფერული კრისტალებია. პიტნის სუნის და გამაგრილებელი გემოსი, თითქმის არ იხსნება წყალში, კარგად იხსნება სპირტსა, ეთერსა, ქლოროფორმსა და ცხიმოვან ზეთებში. ლღობის ტემპერატურაა 41—44°.

იხმარება ხსნარების სახით უმთავრესად გარედან როგორც გამაუტივიარებელი და სუსტი ანტისეპტიკური საშუალება—0,2—0,5% ხსნარი ზეთში—5 წვეთი ნესტოში ჩასაწვეთებლად, 1—5%-იანი ხსნარი—ხახაში წასასმელად (ფარინგიტის დროს), ინჰალაციისათვის (ლარინგიტის, ტრაქეიტის დროს), ქავილის, ნევრაღიების, შაკიკის დროს გარედან წასასმელად 0,5—5% ხსნარის სახით. მენტოლი ეძლევა სტენოკარდიული ტკივილების დროს—1—2 წვეთი 5%-იანი ხსნარი (70° სპირტში) შაქარზე დაწვეთებული ენის ქვეშ და ზოგჯერ კუქ-ნაწლავის დაავადების დროს ტკბილი ნუშის ემულსიასთან ერთად.

Rp.: Mentholi 0,1
Olei Vaselini 10,0
M. D. S. 5—10 წვეთი ცხვირში ჩასაწვეთებელი.

Rp.: Mentholi 1,0
Spiritus Vini 90°—50,0
M. D. S. მენტოლის სპირტი (გარედან სახმარი).

Rp.: Mentholi 1,0
Spiritus Vini 70°—20,0
M. D. S. 1—2 წვეთი შაქრის ნატეხზე ენის ქვეშ.

Rb.: Mentholi 1,0
Vasellini ad 50,0
S. მალამო ქავილის დროს კანზე წასასმელად.

Rp.: Tincturae Convallariae majalis
Tincturae Valerianae aa 10,0
Extracti Crataegi 5,0
Mentholi 0,1
M. D. S. 20—15 წვეთი 3-ჯერ დღეში (ზელენი-
ნის წვეთები).

ნიშადურის სპირტი

Liquor ammonii caustici
NH₄OH

ნიშადურის სპირტი წარმოადგენს ამონიაკის 10%-იან ხსნარს წყალში.

უფერული, აქროლადი სითხეა, ამონიაკის ცხარე სუნით.

იხმარება ქირურგიულ პრაქტიკაში ხელების დასაბანად (25 მლ 5 ლიტრ თბილ წყალზე) (ხსნარს აქვს ანტიმიკრობული მოქმედება) და გულის წასვლის დროს შესასუნთქებლად (ცხვირთან ახლოს მიაქვთ ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბა ან დოლბანდის ნაქერი). ზოგჯერ აძლევენ 5—10 წვეთს 100 მლ წყალში შიგნით (სიმთვრალის დროს).

გამოშვებულია მინის ჭურჭელში მილესილი საცობით და ამ-
პულებში à 1 მლ.

Rp.: Ammonii caustici soluti 10,0
D. S. 5—8 წვეთი 100 მლ წყალში ერთჯერად
(სიმთვრალის დროს).

პერჰიდროლი

Perhydrolum

პერჰიდროლი — კონცენტრირებული წყალბადის ზეენგია (Hydrogenium peroxydati solutio concentrata); გამკვირვალე, უფერული, სუსტი თავისებური სუნისა და მწკლარტე გემოს სითხეა. შეიცავს 27,5—31% წყალბადის ზეენგს.

იხმარება ხსნარებში როგორც ანტისეპტიკური და მადეზოდორებელი საშუალება წყლულების, დაჩირქებული ქრილობების, სტომატიტების და ანგინის დროს.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მილესილსაცობიან მინის ქურკელში, სინათლისაგან დაცულ, გრილ ადგილას.

Rp.: Perhydroli 10,0

Aquae destillatae 40,0

M. D. S. ერთი ჩაის კოვზი ერთ ქიქა წყალში პირში გამოსაგლებად.


Rp.: Perhydroli 5,0

Aquae destillatae 15,0

M. D. S. ღრძილებზე წასასმელი წყლულოვანი სტომატიტის დროს.

რივანოლი

Rivanolum



რივანოლი ყვითელი, წვრილკრისტალური, მწარე გემოს, უსუნო ფხვნილია; ძნელად იხსნება წყალში (1 : 50), უფრო ადვილად — ცხელ წყალში (1 : 9), ძნელად — სპირტში (1 : 110).

აქვს ბაქტერიციდული მოქმედება, უფრო ეფექტურია სტრეპტოკოკების წინააღმდეგ. იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ქირურგიულ, გინეკოლოგიურ, უროლოგიურ და ოტო-რი-

ნო-ლარინგოლოგიურ პრაქტიკაში კრილობების, აბსცესების, წყლუ-
ლების, ფლეგმონების, ფურუნკულების დასამუშავებლად. საფე-
ნებისათვის ხმარობენ ხსნარებს 1:1000, 1:500-ზე; ღრუების
გამოსარეცხად (პლევრის, საშვილოსნოს და სხვ.)—ხსნარებს 1:1000,
1:2000-ზე; დერმატოლოგიაში უფრო ხშირად მიმართავენ რივა-
ნოლის 1% მალამოს, 5—10% პასტისა და 2,5% ფხვნილოვან
ნარევს.

უმალესი ერთჯერადი დოზა—0,05 გ,

უმალესი სადღეღამისო დოზა—0,15 გ.

რივანოლით ღრუების გამორეცხვა თირკმლების დაავადების
დროს უკუნაჩვენებია.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ჰ 0,1 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ
ქილებში.

Rp.: Solutionis Rivanoli 0,1%—200,0

D. S. კრილობის მოსაბანად.


Rp.: Rivanoli 0,2

Vaselini 20,0


M. D. S. მალამო.

ს ა ლ ი ც ი ლ ი ს მ შ ა ვ ა

Acidum salicylicum



სალიცილის შეავა თეთრი, წვრილი, ნემსისებრი კრისტალები
ან მსუბუქი კრისტალური, უსუნო, მოტკბო-მომეავო გემოს ფხვნი-
ლია. იხსნება 500 ნაწილ წყალში, 15 ნაწილ მდლულარე წყალში,
3 ნაწილ სპირტში და 2 ნაწილ ეთერში.



$C_7H_6O_3$

მას, ახასიათებს ანტისეპტიკური თვისება. საექიმო პრაქტიკაში ხშირობენ უმთავრესად როგორც კანის გარეგან გამაღიზიანებელ და კერატოლიზურ საშუალებას.

Rp.: Acidi salicylici 1,0
Spiritus vini 70°—50,0
M. D. S. კანზე წასასმელი (სალიცილის სპირტი).

Rp.: Acidi salicylici
Acidi lactici 1,0
Collodii elastici 10,0
M. D. S. გარედან სახმარი, კოჟიეების წინააღმდეგ (ცხელი აბაჯანის შემდეგ წაისვას კოჟიეზე დღეში 1—2-ჯერ, ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ მოიშოროს კოჟიე).


Rp.: Acidi salicylici 3,0
Acidi borici 4,0
Aluminis pulverati
Tannini \overline{aa} 9,0
Zinci oxydati
Talci \overline{aa} 40,0
M. f. pulv. D. S. მოსაყრელი, ფეხების ზედმეტ ოფლიანობის დროს.

Rp.: Acidi salicylici 1,0
Zinci oxydati
Amyli Tritici \overline{aa} 12,5
Vasellini ad 50,0
M. f. pasta
D. S. პასტა (ლასარის პასტა).

Rp.: Acidi salicylici
Resorcini \overline{aa} 0,5
Spiritus vini 60°—50,0
M. D. S. კანზე წასასმელი (კანის ქავილი, ქერტლიანობა).

ს ა ლ ო ლ ი

Salolum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია ან წვრილი უფერული კრისტალები სუსტი სუნით. თითქმის არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტში (1:10), ეთერსა და ქლოროფორმში. ლღობის ტემპერატურაა 42—43°.

იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ნაწლავებისა და შარდსადენი გზების დაავადების დროს. ამეამად მიმართავენ იშვიათად, რადგან სხვა თანამედროვე ქიმიოთერაპიული საშუალებები უკეთეს შედეგებს იძლევიან.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში.

Rp.: Saloli

Urotropini $\ddot{a}\ddot{a}$ 0,3

M. f. p. D. t. d. 10

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

ს ი ნ დ ი უ ი

Hydrargyrum

სინდიეის პრეპარატები გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური, ანტიპარაზიტიული, ანტისიფილისური და დიურეზული საშუალება.

სინდიეის პრეპარატები:

ორქლორიანი სინდიეი—სულემა $HgCl_2$ (Hydrargyrum bichloratum S. Hydrargyrum sublimatum corrosivum).

თეთრი, მძიმე ფხვნილია ან თეთრი კრისტალები. იხსნება ცივ წყალში (1:18,5), ადვილად მდუღარეში (1:3) და სპირტში (1:4), იხსნება ეთერში (1:17). აქვს ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედება; ხმარებაშია სულემის ხსნარი 1:1000—2:1000-ზე ძირითადად თეთრეულის, ტანსაცმელის, ბინების, ავეჯის და სხვა ნივთიერების სადენზინფექციოდ. სულემა ძლიერი შხამია, ამიტომ საჭიროა სიფრთხილე. გამოშვებულია ვარდისფერი ტაბლეტების

სახით (რომელიც შედგება სულემისა, საქმელი მარილის თანაბარი რაოდენობისაგან, ეოზინის დამატებით ფერის მისაღებად), $\pm 0,5$ — 1 გ ტაბლეტებიდან მზადდება ხსნარები. უმაღლესი ერთჯერადი დოზა— $0,02$ გ.

სინდიყის თეთრი მალამო

Unguentum Hydrargyri praecipitati albi

ინმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება კანის დაავადებების დროს (პიოდერმია და სხვ.).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Unguenti Hydrargyri praecipitati albi 5% 30,0
D. S. მალამო.

Rp.: Acidi salicylici 1,0
Hydrargyri praecipitati albi
Bismuthi subnitrici $\overset{\text{aa}}{\text{aa}}$ 3,0
Vaselini
Lanolini $\overset{\text{aa}}{\text{aa}}$ 15,0
M. f. unguentum
D. S. მალამო (ქორთლის წინააღმდეგ).

სინდიყის ყვითელი მალამო

Unguentum Hydrargyri oxydati flavi


მალამოს შემადგენლობაში შედის სინდიყის ყვითელი ეანგისა და თხევადი პარაფინის თანაბარი ნაწილი, ვაზელინი— 40 ნაწ. და ლანოლინი— 80 ნაწ.

უნიშნავენ უმთავრესად ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას, მხოლოდ მალამოს ხმარების პერიოდში არ შეიძლება ავადმყოფს მიეცეს იოდისა და ბრომის პრეპარატები, რომ არ წარმოიშვას სინდიყის იოდი ან ბრომიდი, რომელთაც აქვთ მომწვავე თვისება.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ნარინჯისფერ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ბუვირის აცეტატი

Piumbum aceticum



გამკვირვალე. უფერული კრისტალებია, ძმრის სუსტი სუნით. ადვილად იხსნება წყალში (1 : 2,5 ციფში და 2 : 1 მდუღარეში).

იხმარება გარედან (0,25—0,5% ხსნარი) როგორც შემზო-
ქველი კანისა და ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების
დროს.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ
ქილებში.

Rp.: Plumbi acetici 0,25% 50,0
D. S. საფენები თვალისათვის.

Rp.: Plumbi acetici 10,0
Aquaë destillatæ 100,0
M. D. S. ორი ჩაის კოვზი ერთ ტოლჩა წყალში.
(მოსასხურებლად).

უროტროპინი

Urotropinum



უროტროპინი უფერული კრისტალებია ან თეთრი, მსუსხავი, მოტკბო გემოს, უსუნო კრისტალური ფხვნილი. აღვილად იხსნება წყალში (1 : 1,5) და სპირტში (1 : 10).

იხმარება როგორც ანტიეპტიკური საშუალება. უნიშნავენ შიგნით ფხვნილების სახით 0,3—0,5 გ 3-ჯერ დღეში, ბავშვებს აძლევენ 0,1—0,3 გ 2—3-ჯერ დღეში. იხმარება ვენაში შეყვანი-
თაც—40%-იანი ხსნარის 5—10 მლ.

ჩვენებას წარმოადგენს: ცისტიტები, პიელიტები, ქოლეცის-
ტიტები და ქოლანგიტები, ქინკრის ციება, კერატიტები, ირიდო-
ციკლიტები.

უროლოგიურ პრაქტიკაში უროტროპინის გამოყენების დროს საჭიროა ერთდროულად ქლორ-ამონიუმის მიცემა შარდის რეაქ-
ციის „გასამგავებლად“, რადგან შარდის ტუტე რეაქციის დროს უროტროპინი მოქმედებას არ იჩენს.

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში $\dot{\alpha}$ 0,25 და 0.5 გ და ამპულებში 40% ხსნარის 5 და 10 მლ.

Rp.: Urotropini 0,5

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტ^ნ 3-ჯერ დღეში.


Rp.: Solutionis urotrepini 40%—10,0

D. t. d. 10 in ampulis

S. თითო ამპულა ვენაში დღეში 1-ჯერ.

ფორმალინი

Formalinum



ფორმალინი წარმოადგენს ფორმალდეჰიდის 40% ხსნარს წყალში.

იგი უფერული, გამჭვირვალე, თავისებური სუნის სითხეა. ერევა წყალსა და სპირტში.

იხმარება ხელსაწყოებისა და ავადმყოფის მოსავლელი საგნე-
ბის სადენზინფექციოდ 2—4%-იანი ხსნარის სახით, აგრეთვე ზედ-
მეტი და სუნიანი ოფლიანობის წინააღმდეგ—კანს წმენდენ ფორ-
21. პ. გელბახიანი, ვ. გერსამია.

მალინის 1—4%-იან ხსნარში დასველებული ტილოთი; იხმარება საშოს გამოსარეცხად (0,05%-იანი ხსნარი).

Rp.: Formalini 50,0

D. S. 1 ჩაის კოვზი 2 ჭიქა წყალზე (ფეხების დასაბანად).

Rp.: Formalini 4,5

Acidi tannici 2,5


Glycerini 23,0

Spiritus vini 70° ad 70,0

M. d. S. ფეხებზე წასასმელად ოფლიანობის საწინააღმდეგოდ.

ფ უ რ ა ც ი ლ ი ნ ი

Furacilinum



ყვითელი, წვრილკრისტალური, მომწარო გემოს ფხვნილია, ძლიერ მცირედ იხსნება წყალში (1 : 4200) და სპირტში. ლღობის ტემპერატურაა 227—232°.

აქვს ანტისეპტიკური მოქმედება როგორც გრამდადებით, ისე გრამუარყოფით მიკრობებზე (სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, დიფტერიული და ნაწლავების ჩხირები, პარატიფის ჩხირები და სხვ.).

ფურაცლინს ხმარობენ ადვილზობრივად დაჩირქებული ჭრილობების, ნაწოლების, წყლულების, სიღამწვრის, ემპიემის, ოსტეომიელიტების, ქრონიკული ოტიტების, ჰაიმორიტების, კონიუნქტივიტების, ბლენფარიტებისა და სხვ. დაავადებების წინააღმდეგ. იხმარება ხსნარი გამოზდილ წყალში (1 : 5000) ან ფიზიოლოგიურ ხსნარში ჩირქოვანი ღრუების გამოსარეცხად და სველი შეხვევებისათვის; 70° სპირტში გახსნილი (1 : 1500)—ქრონიკული ჩირქოვანი ოტიტების დროს და მალამოს სახით (1 : 500)—ბლენფარიტების შემთხვევაში.

ფურაცლინი გამოშვებულია ფხვნილის სიხით მინის ფლაკონებში (10 გ).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დაცობილ მუქ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Solutionis Furacilini 1 : 5000—500,0
D. S. გამოსარეცხად და სველი შეხვევებისათვის.

Rp.: Furacilini 0,01
Spiritus vini 70° 15,0
M. D. S. 8—10 წვეთი ყურში ჩასაწვეთებლად
დღეში 2-ჯერ.

Rp.: Furacilini 0,1
Lanolini 20,0
Vaseliini albi 30,0
D. S. მალამო.

ფ უ რ ა დ ო ნ ი ნ ი

Furadoninum



N (5 ნიტრო—2—ფურფურილიდენ)—1—ამინოგიდანტონინი. წვრილკრისტალური, ყვითელი ფერის, მწარე გემოს ფხვნილია, ძლიერ მცირედ იხსნება წყალში (1 : 8000) და სპირტში (1 : 2000), ლლობის ტემპერატურაა 250—263°.

ფურადონინი მოქმედებს როგორც გრამდადებით, ისე გრამ-უარყოფით მიკრობებზე.

ძლიერ ეფექტურია საშარდე სისტემის ინფექციური დაავადების დროს: პიელიტების, პიელონეფრიტების, ცისტიტების, ურეთრიტების შემთხვევაში.

უნიშნავენ შიგნით მოზრდილებს 0,1—0,15 გ 3-ჯერ დღეში 5—8 დღის განმავლობაში.

ზოგჯერ იძლევა თანამოვლენებს—უმაღობას, გულსრეგვას, გულძმარვას, პირღებინებას და ალერგიული ბუნების მოვლენებს. ასეთ შემთხვევაში ამცირებენ ფურადონინის დოზას ან სრულებით ხსნიან დროებით და უნიშნავენ დიმედროლს, ქლორკალციუმს, PP₁ B₁ ვიტამინებს და გლუკოზას.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ჰ 0,05—0,1 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Furadonini 0,1

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ქ ლ ო რ ა მ ი ნ ი ო ბ

Chloraminum B



ბენზოსულფოქლორამიდის ნატრიუმის მარილი თეთრი კრისტალური ფხვნილია, იხსნება 20 ნაწილ წყალში და 25 ნაწილ სპირტში. შეიცავს 25—29% აქტიურ ქლორს. ინდექსი β უჩვენებს, რომ პრეპარატი წარმოშობილია ბენზოლიდან.

აქვს ანტისეპტიკური და დეზოდორული მოქმედება.

იხმარება ინფიცირებული ქრილობების დასამუშავებლად (1,5—2% ხსნარი), თვალების გამოსაბანად, გინეკოლოგიურ პრაქტიკაში ქირურგის ხელას დასაბანად (0,1—0,5%), ინფექციური ავადმყოფის მიერ გამოყოფილი მასის სადეზინფექციოდ (1—5%). იპრიტით და სხვა მდგრადი შხამებით მოწამვლის შემთხვევებში იყენებენ 2—5%-იან წყლიან ხსნარს ან 5% სპირტიან ხსნარს (შხამის კანზე მოხვედრის შემთხვევაში), და 0,1—0,5% წყლიან ხსნარს—თვალების ლორწოვანი გარსის მოსაბანად.

ინახება კარგად დაცობილ მინის ქილებში გრილსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ანტისეპტიკური გიგოლოგიური სანთლები

სანთლები შეიცავს ანტისეპტიკურ, ტკივილგამაყუჩებელსა და სისხლის დენის საწინააღმდეგო საშუალებებს:

ხარის მშრალი შრატის და თრომბოპლასტინის ნარეგს—0,9 გ. კოლიმიცინს—0,02 გ, ნოვოკაინს—0,12 გ, ბელადონას გამონაწველილს—0,015 გ, კაკაოს ცხიმს—0,5 გ და სანთლების დასამზადებლად საფალარათო ზეთის საკირო რაოდენობას.

შეჰყავთ უკანა ტანში დღეში 2-ჯერ (დილას და საღამოს) თითო სანთელი ბუასილის, უკანა ტანის დაწყლულებისა და სხვა შემთხვევებში.

ქლორიანი კირი

Calcaria chlorata

პრეპარატი წარმოადგენს კალციუმის ჰიპოქლორიდის, კალციუმის ჰიდრატისა და კალციუმქლორიდის ნარევეს. იგი თეთრი ან ოდნავ მორუხო ფერის ფხვნილია, ქლორის სუნით.

ჰაერზე იშლება აქტიური ქლორის გამოყოფით, რომელიც ახდენს ანტისეპტიკურსა და დეზოდორულ მოქმედებას. ქლორიან კირს ხმარობენ ყოველგვარი სადეზინფექციო მიზნებისათვის (სანაგვე ყუთები, საპირფარეშოები); ბინის სადეზინფექციოდ იხმარება 0,2—5%-იანი ხსნარი.

ბინის დამუშავება ქლორიანი კირით შეიძლება წლის თბილ პერიოდში; დამუშავების შემდეგ კი საჭიროა ბინის კარგად განიავება.

საჭირო შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს იპრიტის სადეგაზაციოდ.

ქლორიანი კირის ხმარების დროს საჭიროა სიფრთხილე, რადგან იგი აღიზიანებს სასუნთქ გზებსა და თვალებს.

ანტიბიოტიკები

ალბომიცინი

Albomycinum

ალბომიცინი — ანტიბიოტიკია, რომელიც შიიღება სოკო — *Actinomyces subtropicus*-ისაგან. პრეპარატი არის ამორფული, ყვითელი ან მოყვითალო აგურისფერი ფხვნილი, რომელიც ადვილად იხსნება გამოხდილ წყალში და არ იხსნება ორგანულ გამხსნელებში, ჰაერისა და სინესტის ზეგავლენით თანდათანობით იშლება.

1 გ ალბომიცინისა შეიცავს 1.000.000 მოკ. ერთეულს. ალბომიცინი ბაქტერიოსტატური საშუალებაა. დიდ დოზებში იჩენს ბაქტერიოციდულ თვისებას.

ალბომიცინი აქტიურია როგორც გრამდადებითი, ისე ზოგიერთი გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ეფექტურია პენიცილინის გამძლე ფორმების წინააღმდეგაც.

ალბომიცინი იხმარება პნევმონიების წინააღმდეგ, განსაკუთრებით პელღატრიულ პრაქტიკაში (პნევმონიების, ყიფანახველას, წითელას, ღიზენტერიის და სხვ. დროს). სხვადასხვა სეპტიკური პროცესებისა და პიოდერმიის დროს შეიძლება ხმარებული იქნეს ერთდროულად სხვა ანტიბიოტიკურ საშუალებებთან და სულფანილამიდურ პრეპარატებთან ერთად.

ალბომიცინი ნაკლებად ტოქსიკურია, კუმულაციურ თვისებას არ იჩენს, არ იწვევს თანამოვლენებს. უმნიშვნელო გამოწყარი, რომელიც ჩნდება ზოგჯერ ინექციის ადგილას, ქრება პირველსავე დღეებში. პრეპარატი გამოიყოფა ორგანიზმიდან 2 — 3 დღის განმავლობაში.

ალბომიცინი იხმარება კანქვეშ, კუნთებში. ინექციები კეთდება 12 საათში ერთჯერ, მკურნალობის ხანგრძლივობა 7 — 20 დღე.

დოზა: დღე-ღამის განმავლობაში 100.000 — 200.0000 მოკ. ერთეული კილოგრამ წონაზე.

ხმარების დროს ალბომიცინს ფლაკონებშივე ხსნიან ორჯერ —

გამოხდილ სტერილურ წყალში ან ნოვოკაინის 0,5% — 1% სტერილურ ხსნარში. ალბომინის ყოველ $\frac{1}{2}$ მილიონ მოკ. ერთეულზე ხმარობენ 1 — 2 მლ გამხსნელს. ასე დამზადებული ხსნარი მაშინვე უნდა იქნეს ხმარებული, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება შენახულ იქნეს 24 საათის განმავლობაში მაცივარში, სტერილურად.

ალბომინი ამპულებში ინახება $+10^{\circ}$ ტემპერატურის პირობებში, 6 თვემდე.


Rp.: Albomycini 1.000.000 მოკ. ერთ.

D. t. d. 10 in ampulis

S. კანქვეშ ყოველ 12 საათში ერთჯერ.

ბიომიცინი ქლორწყალბადმავა

Biomycinum hydrochloricum



ბიომიცინი წარმოადგენს *Actinomyces aureofaciens*-ის ცხოველყოფილობის პროდუქტს. იგი მწარე გემოს, უსუნო, ყვითელი ფერის კრისტალური ფხვნილია. წყალში ცუდად იხსნება, ხსნარს აქვს ყვითელი ფერი, pH.—2,7 — 2,9. გამძლეა სუსტი მჟავების მიმართ. კონცენტრული მჟავების და ტუტეების ზეგავლენით იშლება.

ბიომიცინი ფართო ანტიბაქტერიული სპექტრის მქონე პრეპარატია. ეფექტურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკრობების, რიკეტსიების და ზოგიერთი ვირუსის მიმართ.

იხმარება: პნევმონიის, ღიზენტერიის, ტულარემიის, ყვიანახელის, გონორეის, პარტახტიანი ტიფის, ცხელების, ტრაქომის, სეფსისის, ამებური ღიზენტერიის, ფსიკატოზისა და ქირურგიული დახმარების შემდეგ ინფექციური გართულების დროს.

ადგილობრივ იხმარება სიღამწვრის, ფლეგმონების, აბსცესების, კანის ჩირქოვანი დაავადებების, კონიუნქტივიტების, ბლევა-

ჩიტების დროს. მოქმედებს შარდ-სასქესო ორგანოების ინფექციური დაავადების შემთხვევებში და აგრეთვე პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმებით გამოწვეულ დაავადებებზე. შეიძლება ხმარებულ იქნეს სხვა ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთად და აგრეთვე სულფამიდურ პრეპარატებთან.

ბიომიცინი ეძლევა შიგნით ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე ტაბლეტებში ან კაფსულებში სასმელი წყლის დაყოლებით.

ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის 0,1 — 0,2 გ (100.000 — 200.000 მ. ერთ.) 5 — 6-ჯერ დღე-ღამეში, ასე 8 — 10 დღის განმავლობაში. ბავშვებს უნიშნავენ 0,025 (25.000 მ. ერთ.) ყოველ კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში.

დოზა: უმაღლესი ერთჯერადი მოზრდილთათვის 0,5 გ, სადღეღამისო — 2 გ.

ბავშვებისათვის — 5 წლამდე — 0,025 გ (25.000 მ. ე.) ყოველ კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში; 5 — 6 წ. — ერთჯერადი 0,1 გ, სადღეღამისო — 0,4; 7 — 9 წ. — ერთჯერადი — 0,15 გ, სადღეღამისო — 0,6; 10 — 14 წ. — ერთჯერადი — 0,2 — 0,3 გ, სადღეღამისო 0,8 — 1 გ.

ადგილობრივად სახმარებლად ბიომიცინის წყალხსნარებს ამზადებენ *ex tempore* 1 — 5 მგ, ხსნიან 1 მლ გამხსნელში.

თვალისათვის მალამოს ამზადებენ შემდეგი შემადგენლობით ბიომიცინი 100.000 მოქ. ერთ.

ლანოლინი უწყლო 0,4 გ.

ვაზელინი 1 გ.

ბიომიცინი უქუნაჩვენებია მის მიმართ აწეული მგრძობელობის და სოკოვანი დაავადების დროს. საჭიროა სიფრთხილე ლეიკოპენიის შემთხვევებში.

თანამოვლენებია: უმადობა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი, პირის ღრუს ჰიპერემია, დერმატიტები ქავილით, ალერგიული მოვლენები.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,1 გ (100.000 მოქ. ერთ.).

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ სინათლისაგან დაცულ ადგილას, +20°-მდე ტემპერატურის პირობებში.

Pp.: Biomycini 0,1

D. t. d. in tabulettis 30

S. ორ-ორი ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

ჭამის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე.

Aureomykoinum

აურემიკოინი წარმოადგენს ქლორტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს. ბაცი მოყვითალო ფერის ფხვნილია, ცოტათი იხსნება წყალში. საკმაოდ გამძლეა ოთახის ტემპერატურის პირობებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში არ კარგავს ანტიბაქტერიულ მოქმედებას.

მოქმედებს თითქმის ყველა გრამდადებით და გრამუარყოფით მიკრობებზე, აგრეთვე სპიროქეტებზე, ლეპტოსპირებზე, აქტინომიცეტებზე, რიკეტსიებზე, ბრუცელაზე, ზოგიერთ მსხვილ ვირუსზე, მოქმედებს აგრეთვე პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მიმართ გამძლე შტამებზე.

პრეპარატს უნიშნავენ შემდეგი დაავადებების დროს: ბრონქიტი, პნევმონია ლობარული და ლობულარული, ბრონქექტაზია, ფილტვების აბსცესი, ქოლანგიტი, ქოლეცისტიტი, ამებური და ბაქტერიული დიზენტერია, ენტერიტები, სეფსისური პროცესები, ენდოკარდიტი, თრომბოფლებიტები, მენინგიტი, ფსიტაკოზი, ბრუცელოზი, რიკეტსიოზები, ტულარემია, ორნიტოზები, ციმბირის წყლული, ლეპტოსპიროზი, ყივანახველა, ცისტითი, ურეთრითი, პროსტატიტი, საშარდე გზების ინფექციური დაავადებები. გინეკოლოგიურ პრაქტიკაში აურემიკოინს მიმართავენ ანდექსიტების, ენდომეტრიტების, პარამეტრიტების, მასტიტებისა და სხვა ინფექციური პროცესების დროს; გარდა ამისა მას ხმარობენ ფურუნკულოზის, წითელი ქარის, ტონზილიტებისა და ფარინგიტების წინააღმდეგ.

უქუჩვენებას წარმოადგენს ღვიძლის პარენქიმული დაავადება.

უნიშნავენ ჩვეულებრივად შიგნით, დღე-ღამეში საშუალოდ 1 გ — 0,250 გ ყოველ 6 საათში 1 ჯერ ან 0,125 გ-იან დრაჟეს ორ-ორ ცალს ყოველ 6 საათში; საჭიროების მიხედვით დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 2 — 3 გრამამდე.

პრეპარატს აძლევენ ჭამის შემდეგ, რძის დაყოლებით. იშვიათად აურემიკოინს უნიშნავენ ვენაში; ნელა შეჰყავთ 1% -ანი ხსნარი (ფიზიოლოგიურ ან გლუკოზის ხსნარში) 12 — 15 მგ კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში. ხსნარი უნდა მომზადდეს ex tempore.

ბავშვებს უნიშნავენ შიგნით 12,5 — 25 მგ დღეში ყოველ კილოგრამ წონაზე, მაქსიმალურად 1 გრამს, დღიურ დოზას აძლევენ

4 — 5 მიღებაზე. ვენური გზით აურეომიკოინის დანიშვნას უნდა ვერიდოთ.

აურეომიკოინით მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები: გულძმარვა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი. აღნიშნული მოვლენები ვითარდება შედარებით იშვიათად. თუ პრეპარატს ლებულობენ ქამის შემდეგ. მკურნალობის პერიოდში ურჩევნ აცილოფილური რძის ან მაწვნის მიღებას, ან B ვიტამინის კომპლექსის პრეპარატებს. ამისდა მიუხედავად თუ მაინც განვითარდა აღნიშნული მოვლენები, პრეპარატის მიცემა უნდა შეწყდეს.

ალერგიულ მოვლენებს აურეომიკოინი იშვიათად იწვევს.

გამოშვებულია აბების სახით ა 0,250 გ და 0,125 გ და აბპულეებში თითო 100 მგ და 250 მგ მოცულობით.


Rp.: Aureomykoini 0,250 in drage

D. t. d. I flac.

S. თითო აბი ყოველ 6 საათში ქამის შემდეგ, რძის დაყოლებით.

ბ ი ც ი ლ ი ნ ი

Bicillinum



ბიცილინი ბენზილპენიცილინის მარილია დიბენზილეთილენ-დიამიდთან (ბიცილინი — 1).

იგი თეთრი, უსუნო და უგემო ფხვნილია, წყალში იხსნება ძლიერ ცუდად, იხსნება სპირტსა და აცეტონში.

იხმარება პენიცილინისადმი მგრძობიარე მიკრობების წინააღმდეგ, კუნთებში შესაყვანად (ვენაში გაკეთება არ შეიძლება); ნელა შეიწოვება და მოქმედებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში — 1 კვირიდან 4 კვირამდე. ზოგჯერ საკმარისია ერთი ინექცია. როდესაც საჭიროა სწრაფი მოქმედება, ბიცილინთან ერთად შეყავთ ბენზოლპენიცილინის ნატრიუმის ან კალიუმის მარილი, რის-

თვისაც დამზადებულია მათი ნარევი ფლაკონებში — ბიცილინი — 2 (პენიცილინი 100.000 მ. ერთ. და ბიცილინი 300.000 მ. ერთ.).

ამავე მიზნით გამოშვებულია აგრეთვე ბიცილინი 3, რომელიც წარმოადგენს ნარევეს ბენზილპენიცილინის კალიუმის მარილის, ბენზილპენიცილინის ნოვოკაინის მარილისა და ბენზილპენიცილინის ეთილენდიამინის მარილისა, თითოეული 100.000 მოკ. ერთ. (სულ 300.000 მოკ. ერთ.).

ასეთი ნარევის მომზადება შემადგენელი კომპონენტებისაგან შეიძლება საპრობების შემთხვევაში უშუალოდ ხმარების წინ.

ბიცილინის სუსპენზიას ამზადებენ ასეპტიკურად ხმარების წინ: ისევე როგორც პენიცილინის ხსნარის მომზადების დროს (იხ. პენიცილინი) ბიცილინის ფლაკონში შეჰყავთ 2 მლ ორჯერ გამობზილი წყალი, ფლაკონს ანჯღრევენ თანაბარი სიმღვრივის სუსპენზიის მიღებამდე; უშხაპუნებენ კუნთებში, წინასწარ სინჯავენ — ნემსი ხომ არ არის მოხვედრილი ვენაში.

ბიცილინი 1-ს უშხაპუნებენ მოზრდილებს კვირაში 1-ჯერ 300.000 — 600.000 მოკ. ერთ. რაოდენობით ან 1.200.000 მოკ. ერთ. ორ კვირაში 1-ჯერ.

ბავშვებს 5000 — 10.000 მოკ. ერთ. ყოველ 1 კილოგრამ წონაზე 2 კვირაში 1-ჯერ.

ბიცილინი 2-ს უშხაპუნებენ მოზრდილებს 400.000 — 800.000 მოკ. ერთ. კვირაში 1-ჯერ, 1.600.000 მოკ. ერთ. 2 კვირაში ერთჯერ.

ბავშვებს 10.000 — 15.000 მოკ. ერთ. ყოველ კილოგრამ წონაზე კვირაში ერთჯერ ან ორჯერ მეტს 2 კვირაში ერთჯერ.

ბიცილინი 3-ს უყეთებენ მოზრდილებს 300.000 მოკ. ერთ., განმეორებით ინექცია კეთდება მეოთხე დღეზე ან 600.000 მოკ. ერთ. ერთჯერ 6 დღეში.

ინექციის ადგილი ხშირად მტკივნეულია.

უკუჩვენებას წარმოადგენს პენიცილინისადმი აწეული მგრძობილება.

ბიცილინი გამოშვებულია ფლაკონებში პენიცილინის მსგავსად — 300.000, 600.000 და 1.200.000 მოკ. ერთ. შემცველობით.

ფლაკონებს თან ახლავს თითო ამპულა სტერილური გამობზილი წყალი სუსპენზიის მოსამზადებლად.

ბიცილინი ინახება არა უმეტეს 20° ტემპერატურაზე, სინათლისაგან დაცულ ადგილზე.

გრამიციდინი

Gramicidinum

გრამიციდინი წარმოადგენს *Bacillus brevis*-ის ცხოველყოფელობის პროლუქტს.

იგი კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება სპირტში, არ იხსნება წყალსა, მეავებსა და ტუტეებში, ღლიობის ტემპერატურაა 268 — 270°.

მოქმედებს სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებზე, პნევმოკოკებზე, ანაერობული ინფექციის დროს და სხვ.

იხმარება მხოლოდ გარედან ადგილობრივი მკურნალობისათვის, შიგნით მისაღებად არ ვარგა (შესაძლებელია ჰემოლიზი, ფლებიტების გაჩენა); ვენაში შეყვანა ყოველად დაუშვებელია!

ჩვენება: ჩირქოვანი კრილობები, კარბუნკულები, ფლეგმონები, აბსცესები, ოსტეომიელიტი, ანაერობული ინფექცია, დამწვრობა, გინეკოლოგიური დაავადება, დიფთერია, ქუნთარუშა.

გრამიციდინი გამოშვებულია ამპულებში — 2% სპირტხსნარები 2 მლ რაოდენობით.

პრაქტიკაში გამოყენებულია გრამიციდინი C.

წყალხსნარი იხმარება ტამპონების დასასველებლად ჩირქოვანი კრილობების, ნაწოლების, წყულულების და სხვ. სამკურნალოდ, დერმატოლოგიურ პრაქტიკაში კი უფრო სპირტხსნარებია გამოყენებული დღეში 2-ჯერ წასასმელად. სპირტხსნარები და ზეთხსნარები ხანგრძლივად ინახება, ხოლო წყალხსნარები ვარგისია მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში.

ინახება ანბულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Solutionis Gramicidini 2% — 2,0

D. t. d. in ampulis

ერთი ამპულა გაიხსნას 200 მლ გამობდილ წყალში, გარედან სახმარებლად.

ეკმოლინი

Ecmolinum

ეკმოლინი გამჭვირვალე ნეიტრალური რეაქციის სითხეა და წარმოადგენს ტრიპროტამინსულფატის 0,5% ხსნარს; მიღებულია თევზის ქსოვილებისაგან.

ეკმოლინი პენიცილინთან, სტრეპტომიცინთან კომბინირების დროს ახანგრძლივებს და აძლიერებს მათ მოქმედებას.

მოქმედებს გრიპის ვირუსზე, ჰემოლიზურ სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, დიზენტერიის ბაქტერიებზე და ზოგიერთ სხვა მიკრობზე.

ზედა სასუნთქი გზების კატარისა და გრიპის პროფილაქტიკის მიზნით ცხვირის ნესტოებში აწვეთებენ დღეში 3-ჯერ 4—6 წვეთს ან ხმარობენ ინჰალაციის ან აეროზოლის სახით (0,5 მგ ეკმოლინისა 5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარზე).

ეკმოლინს აძლევენ შიგნით და შეჰყავთ კუნთებშიც (პენიცილინის ფლაკონში ასხამენ 1 მლ ნოვოკაინის 0,5 — 1% ხსნარს და შემდეგ 1 მლ ეკმოლინს. მიღებული ხსნარი შეჰყავთ კუნთებში).

გამოშვებულია ჰერმეტიულად დახურულ ფლაკონებში 10 მლ რაოდენობით თითოში.

ინახება ოთახის ტემპერატურის პირობებში.

ე კ მ ო ნ ვ ო ც ი ლ ი ნ ი ნ ი

Ecmonovocillinum

მოქმედება და ჩვენება იგივე, რაც პენიცილინისა. ორგანიზმში შეყვანა ხდება ერთჯერ დღე-ღამეში.

აფთიაქიდან უშვებენ წყვილად ორ ფლაკონში; ერთში იმყოფება პენიცილინის ნოვოკაინის მარილი ან ბენზილპენიცილინის მარილებთან შენაერთი, ხოლო მეორეში — ეკმოლინის ხსნარი.

უშუალოდ ხმარების წინ ეკმოლინის ხსნარის 5 მლ შეჰყავთ შპრიცით პენიცილინის შემცველ ფლაკონში, ურევენ ერთმანეთს, რომლის დროს წარმოიშვება რძისფერი სუსპენზია.

შეჰყავთ კუნთებში 300.000 — 600.000 მ. ერთ. დუნდულების ზემო გარე კვადრანტში დღეში ერთჯერ. ბავშვებს უკეთებენ 10.000 — 15.000 მ. ერთ. 1 კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში.

ე რ ი თ რ ო მ ი ც ი ნ ი ნ ი

Erythromycinum

ერითრომიცინი ანტიბაქტერიული ნივთიერებაა, ლებულობენ. სოკო *Actinomyces erythreus*-საგან.

პრეპარატი თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს, უფერული ფხვნილია. ცუდად იხსნება წყალში, ადვილად — სპირტში, ქლოროფორმსა და ეთერში.

ერიტრომიცინი მოქმედებს გრამდადებით მიკროფლორაზე და აგრეთვე პენიცილინისა და ზოგიერთი ანტიბიოტიკური საშუალებების რეზისტენტულ მიკრობებზე.

ჩვენება ხმარებისათვის: პნევმონიები, ქუნთრუშა, წითელი ქარი, სეფსისი, ანგინა, ტონზილიტი, ლარინგიტი, კარბუნკულები, ჩირქოვანი ოტიტები, კრილობები (დაჩირქებული) და სხვ.

დოზა: მოზრდილთათვის 100.000 — 250.000 მოკ. ერთ. ყოველ 4 — 6 საათში ერთჯერ. სადღეღამისო დოზა — 1.000.000 — 1.500.000 მ. ერთ.

ბავშვებისათვის: 5000 — 8000 მოკ. ერთ. ერთ კილოგრამ წონაზე ყოველ 4 — 6 საათში.

გამოშვებულია ტაბლეტებში \pm 100.000 და 250.000 მოკ. ერთ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას, 20° ტემპერატურამდე.

Rp.: Erythromycini 250.000 მოკ. ერთ.

D. t. d. in tabulettis 30

S. თითო ტაბლეტი ყოველ 4 საათში, ჭამის დროს.

კოლიმიცინი

Colimycinum

კოლიმიცინი მიღებულია სოკო *Streptomyces fraidiae* var. *spiralis* კულტურალური სითხიდან.

იგი თეთრი ან მოყვითალო, თავისებური სუნის ფხვიერი მასაა, კარგად იხსნება წყალში, სუსტად — სპირტში.

კოლიმიცინს აქვს ფართო სპექტრის მოქმედება. ეფექტურია სტაფილოკოკური, სტრეპტოკოკური, პნევმოკოკური ინფექციების წინააღმდეგ, აგრეთვე ბაქტერიული დიზენტერიის, ნაწლავის ჩხირებით და ფრიდლენდერის ჩხირებით, პროტეუსით გამოწვეული დაავადების წინააღმდეგ.

იხმარება გარედან კანის ჩირქოვანი დაავადებების დროს 5% მალამოს სახით, დღეში 1 — 2-ჯერ წაცხებით ან კოლიმიცინიანი საფენები. ქირურგიულ პრაქტიკაში ხმარობენ კოლიმიცინის 0,5% ხსნარში დასველებულ ტამპონებს (გამხსნელი 0,5% ნოვოკაინის ხსნარი), დღეში 1-ჯერ, 5 — 7 დღის განმავლობაში; პლევრის ემპიემების, მუცლის ღრუს ჩირქოვანი პროცესების შემთხვევებში

იყენებენ კოლიმიცინის ხსნარს, დამზადებულს ნოვოკაინის 0,5% იან ხსნარზე.

ეპიემების შემთხვევაში ხდება ღრუს გამორეცხვა კოლიმიცინის ხსნარით (ნოვოკაინის 0,25 — 0,5% ხსნარის 1 მლ-ში გახსნილი 350 მოკ. ერთ. კოლიმიცინისა), გამორეცხვის შემდეგ შიგ შეჰყავთ 700.000 მოკ. ერთ., გახსნილი 20 მლ ნოვოკაინის 0,5% ხსნარში. მუცლის ღრუში კი დაჩირქებითი პროცესების დროს შეჰყავთ 700.000 — 1400000 მოკ. ერთ., გახსნილი ნოვოკაინის 5% ხსნარში (ყოველ 35.000 მოკ. ერთ. 5 — 10 მლ გამხსნელში); პროფილაქტიკური მიზნით კი — 700.000 მოკ. ერთ. 20 მლ ნოვოკაინის 0,5% ხსნარში.

კოლიმიცინთან ერთდროულად შეიძლება ჩატარებულ იქნეს მკურნალობა სხვა საშუალებებითაც (ანტიბიოტიკური, სულფამიდური და სხვ).

კანის გაღიზიანების შემთხვევებში კოლიმიცინით მკურნალობა დროებით უნდა შეწყდეს.


გამოშვებულია ამპულებსა და ფლაკონებში 175.000, 350.000, 700.000 მოკ. ერთ. რაოდენობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, ოთახის ტემპერატურის პირობებში, ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში.

ლ ე ვ ო მ ი ც ე ტ ი ნ ი

Laevomycesinum

ლევომიცეტინი სინთეზური ნიეთიერებაა, ბუნებრივი ანტიბიოტიკური საშუალების — ქლორომიცეტინის — ანალოგი. უფერული, კრისტალური ფხვნილია, მწარე გემოსი, ცუდად იხსნება წყალში. კარგად — სპირტსა და პროპილენგლიკოლში. ლობის ტემპერატურაა 148 — 151°; მისი სტრუქტურული ფორმულაა:



ლევომიცეტინი ეფექტურია შრავალი გრამდადებითი და გრამ-უარყოფითი ბაქტერიების — რიკეტსიების, სპიროქეტების და ზო-

გიერთი ვირუსის მიმართ. შიგნით მიღების შემდეგ ადვილად შეიწოვება და მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლში შეიქმნება მიღებიდან 3 — 4 საათის შემდეგ და მისი თერაპიული ეფექტი გრძელდება 6 — 8 საათს.

ლევომიციტინი იხმარება მუცლის ტიფის, პარატიფების, ბრუცელოზის, ყვიანახველის, პნევმონიის, ტულარემიის, დიზენტერიის დროს; აგრეთვე პარტახტიანი ტიფის და სხვა რიკეტსიოზების, ტრაქომის, გონორეის და ზოგიერთი ბაქტერიული დაავადების შემთხვევებში.

ლევომიციტინი იხმარება per os საკმლის მიღებამდე $1\frac{1}{2}$ საათით ადრე კაფსულებში ან ტაბლეტებში. ბავშვებს აძლევენ მუკრებით, რადგან პრეპარატს აქვს მწარე გემო.

დოზა და მკურნალობის ხანგრძლივობა ბევრად არის დამოკიდებული ავადმყოფობის ხასიათსა და მიმდინარეობაზე.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 1 გ, სადღეღამისო — 4 გ.

ბავშვებისათვის: 5 წ. ასაკამდე უმაღლესი ერთჯერადი დოზა არის 0,02 გ ერთ კილოგრამ წონაზე, სადღეღამისო — 0,12 გ ერთ კილოგრამ წონაზე; 5 — 6 წ. — ერთჯერადი დოზა 0,2 გ, სადღეღამისო — 1,2 გ; 7 — 9 წ. — ერთჯერადი — 0,25 გ, სადღეღამისო — 1,5 გ; 10 — 14 წ. — ერთჯერადი — 0,3 — 0,4 გ, სადღეღამისო — 1,8 — 2 გ.

ლევომიციტინი მოზრდილებს ჩვეულებრივად ენიშნება 0,5 გ 4 — 6-ჯერ დღეში, სიცხის დაწყების შემდეგ 3 — 4-ჯერ. მკურნალობა უნდა გაგრძელდეს რამდენიმე დღეს სიცხის დაწყებისა და დაავადების სხვა ნიშნების გაქრობის შემდეგაც.

დიზენტერიის საწინააღმდეგოდ მოზრდილებს უნიშნავენ ლევომიციტინს 0,5 გ 6 საათში ერთჯერ (ე. ი. დღე-ღამეში 2 გ), 5 — 7 დღის განმავლობაში, უფრო ხშირად ფტალაზოლთან ან სულგინთან ერთად. 3 — 5 დღით შესვენების შემდეგ ჩვეულებრივად იმეორებენ მკურნალობის კურსს.

მუცლის ტიფის შემთხვევაში ლევომიციტინი ეძლევა სიცხის დაწყებამდე და შემდეგ კიდევ 3 დღე, დღეში 3 გ რაოდენობით (0,75 გ ყოველ 6 საათში), ხოლო ამის შემდეგ აძლევენ 0,5 გ 4-ჯერ დღეში და ბოლოს დოზას ამცირებენ 0,25 გ 4-ჯერ.

ბრუცელოზის დროს ავადმყოფს ლევომიციტინი ეძლევა 0,75 გ ყოველ 6 საათში 14 დღის განმავლობაში. ამდენივე დღით შესვენების შემდეგ ატარებენ მკურნალობის მეორე კურსს.

გონორეის წინააღმდეგ ავადმყოფს პირველ დღეს ეძლევა 3 გ

ლევომიცეტინი, მეორე დღეს — 2 გ (თითო მიღებაზე 0,5 გ) ე. ო. სულ 5 გ.

ლევომიცეტინის ხანგრძლივად ხმარების დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები. პირის ღრუს ჰიპერემია, დერმატიტები, დისპეფსიური მოვლენები, კანდიდამიკოზები და სხვ. (იხ. ნისტატინი). ასეთ შემთხვევებში საკმარისია ავადმყოფს მოეხსნას აღნიშნული პრეპარატით მკურნალობა. მკურნალობა უნდა ტარდებოდეს ექიმის მეთვალყურეობით.

ლევომიცეტინი უკუნაჩვენებია: ფსორიაზის, ეკზემების, სოკოვანი დაავადებებისა და მომეტებული მგრძობელობის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,1 გ; 0,25 გ; 0,5 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) თავდაცობილ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Laevomyetini 0,5

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 4 — 6-ჯერ დღეში.

ე უ ლ ე ვ მ ი ც ე ტ ი ნ ი

Eulaevomycetinum



ეს ლევომიცეტინი წარმოადგენს ლევომიცეტინის სტერეოიზომე-
ვა ერთს. იგი ამორფული ფხვნილია, მოყვითალო ფერის. არა
აქვს მწარე გემო. არ იხსნება წყალში, ცუდად იხსნება სპირტში-
ლობის ტემპერატურაა 87 — 89°. შეიცავს 55% ლევომიცეტინს.

იხმარება ლევომიცეტინის მაგივრად ბავშვთა პრაქტიკაში იმ
შემთხვევებში, სადაც ნაჩვენებია ლევომიცეტინით მკურნალობა
(დიზენტერია, მუცლის ტიფი, ყვიანახველა, ანგინა, პნევმონიები,
რიკეტსიოზები და სხვა ინფექციური სნეულებანი).

უნიშნავენ შიგნით, ჭეფასთან ან რძესთან ერთად, ლევომი-
ცეტინთან შედარებით ორმაგ ღოზებში.

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში \pm 0,25 გ და ტკბილი სიროფის სახით.

ინახება მოფრთხილებით კარგად დაცობილ მინის ქურქელში, სინათლისაგან დაცულ მშრალ ადგილას.

მონომიცინი

Monomycinum

მონომიცინი წარმოიშვა სოკო *Streptomyces circulatus*-საგან.

იგი მოყვითალო ფერის ფხვნილია, რომელიც კარგად იხსნება წყალსა და ფიზიოლოგიურ ხსნარში, ხასიათდება მოქმედების ფართო სპექტრით; აქტიურია სხვა ანტიბიოტიკური საშუალებების მიწართ გამძლე მიკრობებისადმი; არ მოქმედებს ანაერობულ ფლორაზე და პათოგენურ სოკოებზე.

იხმარება სტრეპტო-სტაფილოკოკურ, პნევმოკოკურ ენტეროკოკური ეტიოლოგიის დაავადებების დროს, აგრეთვე დიზენტერიის, ნაწლავის და ფრიდლენდერის ჩხირებით გამოწვეული დაავადებების წინააღმდეგ.

ავადმყოფს ეძლევა პრეპარატის 250,000 მე 8 საათში ერთჯერ კანქვეშ. მუცლის ღრუს ჩირქოვანი პროცესების გამო ოპერაციების დროს, შეჭყავთ ღრენაქით, დღე-ღამეში ერთჯერ 500,000 მე. მონომიცინის პლევრის გამოსარეცხად ხმარობენ (ეპიემის შემთხვევაში) 500 მე ნოვოკაინის 0,5%-იანი ხსნარის 1 მლ-ში. გამორეცხვის შემდეგ პლევრის ღრუში ტოვებენ 500,000 მე-ს 20 მლ ნოვოკაინის 0,5% ხსნარში.

დიზენტერიის საწინააღმდეგოდ მონომიცინის უნიშნავენ შიგნით მისაღებად.

ზევშვებს აძლევენ 10000 — 25000 მე-ს ყოველ კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში.

წინააღმდეგევენებას წარმოადგენს ღვიძლისა და თირკმელის შიში დაავადება. შესაძლო ტოქსიკური მოქმედების გამო არ ურჩევენ კანქვეშ მონომიცინისა და სტრეპტომიცინის, კოლომიცინისა და მიცერინის ერთდროულად დანიშვნას.

მონომიცინი გამოშვებულია ფლაკონებში \pm 250.000 მე. ინახება მშრალსა და ცივ ადგილას.

მიცერინი

Mycerinum

მიცერინი უსუნო, უგემო, მოყვითალო ფერის ფხვნილია. იხსნება წყალში.

მოქმედებს როგორც გრამდადებით, ისე გრამუარყოფით მიკრობებზე და აგრეთვე პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მიმართ გამძლე მიკროსხეულებზე.

ლიზენტერიის წინააღმდეგ არ იძლევა ეფექტს.

უკუნაჩვენებია თირკმლების დაავადების დროს.

თანამოვლენებია: საცხის აწვევა, შეცივება და სხვ.

დოზა მოზრდილთათვის: 100.000 — 200.000 მოქ. ერთ. ორჯერ დღეში. ბავშვებს ეძლევა 4000 მოქ. ერთ. კილოგრამ წონაზე 2-ჯერ დღეში. მკურნალობის ხანგრძლივობა 7 დღემდე.

გარედან იხმარება 1% წყლიანი ხსნარი (დღეში 50 — 100 მლ) და მალამოს სახით 1 — 2%.

ინახება მოფრთხილებით ჰერმეტიკულად დახურულ ფლაკონებში არა უმეტეს 20° ტემპერატურის პირობებში.

ნოვოცილინი

Novocillinum

ნოვოცილინი პენიცილინ-ნოვოკაინის მარილის სუსპენზიაა ატმის ზეთში. იგი სქელია, ოდნავ მოყვითალო ფერის.

კუნთებში შეყვანის შემდეგ ის ნელა შეიწოვება (48 საათის განმავლობაში), რის გამოც პენიცილინი დიდხანს რჩება ორგანიზმში.

იხმარება იმავე შემთხვევებში, სადაც ნაჩვენებია პენიცილინ-თერაპია.

დოზა: სადღელამისო—5000 — 10.000 მე ყოველ კილოგრამ წონაზე. ხმარების წინ ამჟღავნებულ ნოვოცილინით უნდა გათბეს 50° წყალში და შეინჯღრეს.

გამოშვებულია ამპულებში 5 მლ და შეიცავს 300.000 მე-ს. ინახება გრილ და სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვარჯისობის ვადა — 6 თვე.

Rp.: Novocillini 300.000 მე

D. t. d. 6 in ampulis

S. 1 — 2 ამპულა დღე-ღამეში.

ნისტატინი

Nystatinum

ნისტატინი ანტიბიოტიკური საშუალებაა, რომელიც მიიღება *Streptomyces noursei*-საგან.

იგი ამორფული, ყვითელი ფერის, მწარე გემოს ფხვნილია, სპეციფიკური სუნის. პრაქტიკულად წყალში არ იხსნება, ძნელად იხსნება ეთილის სპირტში; მგრძნობიარეა სინათლისა და ტემპერატურის მიმართ. მეაგებისა და ტუტეების ზეგავლენით ადვილად იწლება. 1 მლ შეიცავს 2500 მოკ. ერთ. (მოკმედების ერთეულს).

ნაკლებ ტოქსიკურია და არა აქვს კუმულაციის თვისება. იხმარება კანდიდამიკოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. ნაჩვენებია ლორწოვანი გარსის, კანისა და შინაგანი ორგანოების კანდიდამიკოზის დროს.

დოზა და მკურნალობის წესი: ნისტატინი ენიშნება შიგნით მისაღებად ტაბლეტებში მოზრდილებს 500.000 მე 3—4-ჯერ დღეში ან 250.000 მე 6—8-ჯერ დღეში. საჭიროების შემთხვევაში (ვისცერული კანდიდამიკოზი, კანდიდასეფსისი) ნისტატინის დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 500.000 მე-მდე 6—8-ჯერ დღეში. ბავშვებს ენიშნება (1—3 წლამდე) 100.000 მე 3—4 ჯერ დღეში, 3 და მეტ წლის ასაკში — 500.000 მე დღეში. მკურნალობა საშუალოდ გრძელდება 10—15 დღე.

რეციდივის შემთხვევაში უნდა განმეორდეს ნისტატინით მკურნალობის კურსი.

ლორწოვანი გარსის, კანის კანდიდამიკოზის შემთხვევაში იხმარება მალამო, ემულსია და სუსპენზია, რომელიც შეიცავს ნისტატინის 100.000 მე-ს 1 გ ან 1 მლ-ში.

უკუჩვენება არა აქვს. თანამოვლენები: გულისრევა, პირღებნება, ფაღარათი, სიცხის აწევა და სხვ. ვითარდება იშვიათად. ასეთ შემთხვევაში საკმარისია დოზის შემცირება.

ნისტატინი გამოშვებულია დრაჟეს სახით, თითო აბი შეიცავს 100.000, 250.000 და 500.000 მოკ. ერთეულს.

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 20°-მდე ტემპერატურაზე.


Rp.: Nystatini 500.000 მ. ე.

D t. d. 40 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი სამ-ოთხჯერ დღეში.

პ ე ნ ი ც ი ლ ი ნ ი

Penicillinum



პენიცილინი ერთ-ერთი მეტად ეფექტური ანტიბაქტერიული პრეპარატია. იგი მიიღება სხვადასხვა ობის სოკოების (*Penicillium notatum*, *Penicillium chrysogenum*) ცხოველყოფილობის პროდუქტებისაგან.

პენიცილინით იწყება მედიცინაში ანტიბიოტიკურ საშუალებათა გამოყენება. პენიცილინის ანტიბაქტერიული თვისება შემჩნეული იყო ჯერ კიდევ 1871 წელს ა. ვ. პოლოტენოვის და შემდეგ ვ. ა. მანასენის მიერ. ხოლო ობის აქტიურ მოქმედ ნივთიერებას 1929 წელს ფლემინგმა პენიცილინი უწოდა.

ფართო გავრცელება, როგორც სამკურნალო საშუალებამ, მოიპოვა მის შემდეგ, რაც მიღებული იქნა სუფთა პრეპარატი (ჩენინი, აბრაჰამი და ფლორი). 1942 წლიდან ჩვენში იწყება ამ პრეპარატის დამზადება ცნობილი მეცნიერის ზ. ვ. ერმოლოვას ხელმძღვანელობით.

პენიცილინი თავისი ქიმიური სტრუქტურით ერთფუძიან მეტას წარმოადგენს.

პენიცილინის აქვს მოქმედების ფართო ანტიბაქტერიული სპექტრი.

თავისი აქტიურობისა და მაღალი ეფექტურობის გამო დღეს ფართოდ გავრცელებულია პენიცილინის შემდეგი პრეპარატები:

ბენზილპენიცილინის ნატრიუმისა და კალიუმის მარილები, ნოვოცილინი, ბიცილინი, ფენოქსი-მეთილპენიცილინი, ეკმოცილინი.

პენიცილინი კუნთებში ინექციების შემდეგ მალე შეიწოვება. მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლში 30 – 60 წუთზე აღინიშნება; გამოყოფა ორგანიზმიდან ასევე სწრაფად (უმთავრესად თირკმლების საშუალებით) ხდება, ასე რომ პენიცილინის სხეულში შეყვანის 3 – 4 საათის შემდეგ იქ რჩება სულ მცირე რაოდენობა. ამიტომ არის საჭირო სამკურნალო თუ პროფილაქტიკური მიზნით მისი შეყვანა ორგანიზმში ყოველი 3 – 4 საათის განმავლობაში.

ეფექტური თერაპიისათვის პენიცილინის ოპტიმალური კონცენტრაცია სისხლში მაშინ აღინიშნება, როდესაც კუნთებში ან კანქვეშ ინექციების საშუალებით შეგვყავს ყოველ 3 – 4 საათში 100.000-დან 200.000-მდე მოქ. ერთ.

პენიცილინი მოქმედებს სტრებტოკოკებზე, პნემოკოკებზე, მენინგოკოკებზე, გონოკოკებზე, სპიროქეტებზე, სტაფილოკოკებზე, ხოლო არ იჩენს გავლენას ვირუსებზე, ტუბერკულოზის ჩხირებზე, ნაწლავის ჩხირებზე, ბრუცელოზის მიკრობებზე, ამებებზე, ტულარემიაზე.

ჩვენება პენიცილინთერაპიისათვის: კრუპოზული პნემონია, კეროვანი პნემონია, მწვავე და ქვემწვავე სეფსისური ენდოკარდიტი, სეპტიცემია და პიემიები, კრილობები და ჩირკებით, კანის ჩირ-

ქოვანი დაავადებები. ჩირქოვანი პლევრიტები, პერიტონიტები, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ოსტეომიელიტი, თვალის ანთებითი დაავადება, ანგინა, დიფთერია, შუაყურის ანთება, ეპიდემიური მენინგიტი, გონორეა და ბევრი სხვა დაავადება, რომელიც გამოწვეულია პენიცილინისადმი მგრძობიარე მიკრობით.

დოზა და ხმარების წესი. ამჟამად უფრო ხშირად იხმარება ბენზპენიცილინის ნატრიუმისა და კალიუმის მარილები; პრეპარატი წვრილკრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია. კარგად იხსნება წყალში; მისი ხსნარი წყალში (1 მლ 50.000 მე) არის გამჭვირვალე და უფერული, დასაშვებია ხსნარი სუსტი მოყვითალო ელფერით.

პენიცილინის ხსნარის დამზადება ხდება ხმარების წინ. პენიცილინის ფლაკონის რეზინის საცობს წმენდენ სპირტით, შემდეგ საცობის გაჩხვლევით შპრიცით შეჰყავთ გამხსნელი სტერილური იზოტონური ქლორ-ნატრიუმის ხსნარი ან ნოვოკაინის 0,5 — 1% ხსნარი, პენიცილინის ყოველ 50.000 მე-ზე, ერთი მილილიტრის რაოდენობით.

პენიცილინის ასეთ ხსნარს უკეთებენ კუნთებში ან კანქვეშ ყოველ 3 — 4 საათში 100.000 — 200.000 ერთეულს, მაგრამ თუ ნოვოკაინის ხსნარზეა დამზადებული — ყოველ 6 საათში ერთჯერ.

ბავშვებს 1 წლამდე ენიშნება დღე-ღამეში 10.000 — 20.000 ერთეული ყოველ კილოგრამ წონაზე; როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილთათვის პენიცილინის დოზა უნდა იქნეს შერჩეული ინდივიდუალურად. ქვემწვავე სეპტიკური ენდოკარდიტის დროს დოზა შეიძლება გადიდდეს 2.000.000-მდე დღე-ღამეში თვეების განმავლობაში, მაშინ, როდესაც გონორეის სამკურნალოდ იხმარება 50.000 ერთეული მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, სულ 4 — 8 ინექცია.

პენიცილინით მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის ეფექტურობაზე. ჩვეულებრივად იგი გრძელდება 1 კვირამდე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თვეების მანძილზე.

უმალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 400.000 მე, სადღელამისო — 1.200.000—2.000.000 მ. ერთეული.

ბავშვებისათვის სადღელამისო — 2 წლამდე — 30.000 მე ყოველ კილოგრამ წონაზე; 2 — 6 წ. — 250.000 — 3000 მე დღე-ღამეში; 7 — 14 წ. — 500.000 მე დღე-ღამეში.

პენიცილინი ძირითადად იხმარება კუნთებში ან კანქვეშ შეყვანით, მაგრამ საჭიროებისდა მიხედვით იგი შეიძლება სხვა გზითაც იქნეს გამოყენებული:

ა) ივალის წვეთების სახით — 1 — 2 წვეთი 4 — 6-ჯერ დღეში;
ბ) აეროზოლის სახით სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევაში სპეციალური ხელსაწყოებით — დღეში 1 — 2-ჯერ 100.000 — 200.000 მოკ. ერთეული;

გ) ბრონქებში შეშხაპუნებით რეზინის მილის საშუალებით, ცხვირიდან წინასწარ დიკაინის 2% ხსნარის ჩასხმის შემდეგ;

დ) პლევრის ღრუში ჩირქოვანი პლევრიტების დროს (ერთბაშად 500.000 მოკ. ერთ.).

ე) პერიტონეუმის ღრუში ასეთივე დოზით;

ვ) პირის ღრუსა და ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს ტაბლეტების სახით ენის ქვეშ ამოდენით;

ზ) განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შეყვანილ იქნეს ორგანიზმში ინტრავენურად 3 — 4 საათში 1-ჯერ ან წვეთობრივად მეთოდით;

თ) ადგილობრივ — კანის დაავადების დროს — პენიცილინი იხმარება მალამოს სახით (1000 — 10.000 მოკ. ერთ. ერთ გრამ მალამოზე);

ი) სპეციალური ჩვენების დროს ბენზილპენიცილინის კრისტალური ნატრიუმის მარილის ხსნარი შეჰყავთ ენდოლუმბალურად დღე-ღამეში ერთჯერ 10.000 მე-მდე, ნელა, 1 — 2 წუთის განმავლობაში; ურჩევენ შპრიცში პენიცილინის ხსნარში ზურგის ტვინის სითხის 3 — 4 მლ დამატებას და მერე შეყვანას მთლიანად.

სასურველია აგრეთვე წინასწარ გამორკვეულ იქნეს ავადმყოფის მგრძობელობა პენიცილინისადმი კუნთებში 100.000 მოკ. ერთ. შეყვანით.

პენიცილინი შეიძლება ხმარებულ იქნეს სხვა ანტიბიოტიკურ საშუალებებთან და სულფამიდურ პრეპარატებთან კომბინაციაში.

პენიცილინი არ იხმარება ზედმეტი მგრძობელობის დროს და აგრეთვე ენდოლუმბალურად ეპილეფსიით დაავადების შემთხვევაში.

თანამოვლენებია: ტკივილი შეშხაპუნების ადგილას, ტემპერატურის აწევა, თავის ტკივილი, დერმატიტები, ურტიკარია.

ასეთ შემთხვევებში საკმარისია პენიცილინის მოხსნა, რომ ამ მოვლენებმა გაიაროს. ხმარებაშია აგრეთვე დიმედროლი, დიპრაზინი, ქლორკალციუმი პენიცილინთერაპიის დროს სოკოვანი დაავადების განვითარების პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდაც.

პენიცილინთერაპია უნდა წარმოებდეს მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, რაც სამწუხაროდ ყოველთვის არ ხდება. პენიცილინის არაწესიერმა ხმარებამ აღნიშნული გართულებების გარდა შეი-

ძლება შექმნას მიკრობების რეზისტენტობა (პენიცილინ-რეზისტენტული შტამი), რაც აძნელებს შემდგომ მკურნალობას.

პენიცილინი გამოშვებულია ალუმინის ჩაჩით დამაგრებული რეზინის საცობით ჰერმეტიულად დახურულ სპეციალურ მინის ფლაკონებში à 100.000; 200.000; 300.000; 400.000; 500.000 და 1.000 000 მოკ. ერთ.

ინახება დაბალი ტემპერატურის პირობებში (+20°-მდე)

Rp.: Penicillini-natrii (s.kalii) 400. მოკ ერთ.

D. t. d. in ampulis

S. 200.000 მე ყოველ 4 საათში კუნთებში შეყვანით.

პენიცილინი ეკმოლინთან ტაბლეტებში შიგნით მისალეგად

ტაბლეტი შეიცავს:

პენიცილინს — 25000 მოკ. ერთ.

ეკმოლინს — 0,0025 გ.

დამზადებულია შიგნით მისალეგად ანგინის, ქუნთარუშის, ფურუნკულოზის და სხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ. მიიღება დღეში 4 — 6-ჯერ.

გამოშვებულია მინის მილაკებში 20 ტაბლეტის რაოდენობით თითოში.

პენიცილინი ეკმოლინთან ტაბლეტებში საწუწნავად.

ერთი ტაბლეტი შეიცავს:

პენიცილინს 5000 მოკ. ერთ.,

ეკმოლინს 0,00125 გ,

შაქარს 0,95 გ.

ჩვენება — იგივე ავადმყოფობანი.

გამოშვებულია მინის მილაკებში ათ-ათი ტაბლეტის რაოდენობით.

ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ ადგილას.

პოლიმიქსინი (ბაცილოსპორინი, აეროსპორინი)

სამედიცინო მიზნით გამოყენებულია ძირითადად პოლიმიქსინ B-ს გოგირდმეფავს მარილი. იგი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, რომელიც კარგად იხსნება წყალში.

პოლიმიქსინი აქტიურია გრამუარყოფითი მიკრობების მიმართ: მუცლის ტიფისა და A და B პარატიფის, ნაწლავის ჩხირების. იხმარება შიგნით, ბავშვებში დიზენტერიისა და ენტეროკოლიტების წინააღმდეგ სამკურნალოდ.

საყურადღებოა მისი ეფექტურობა პიოციანენუსური ინფექციით გამოწვეული დაავადებების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი იხმარება აგრეთვე ადგილობრივად მალამოსა და ხსნარების სახით (8000 — 10000 მე ერთ მლ გამობდილ წყალში, ან 1 გ მალამო).

კანის აწეული მგრძობელობის დროს პოლიმიქსინი შეიძლება გახსნილ იქნეს 0,5 ან 0,25% ნოვოკაინის ხსნარში.

პოლიმიქსინის ტაბლეტები იხმარება შიგნით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს (დიზენტერია, ენტეროკოლიტები). მოზრდილებს აძლევენ 500,000 მე 4-6-ჯერ დღეში, სულ დღე-ღამეში 3.000.000-მე-მდე; ბავშვებს ეძლევა 20.000 — 100.000 მე კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში (3 — 4 მიღებაზე).

გართულებები: გულისრევა, პირღებინება, ტკივილები მუცელში; პათოლოგიურ შემთხვევაში ღვიძლისა და თირკმლების მხრივ მოვლენების გაუარესება.

სინტომიცინი

Synthomycinum

სინტომიცინი მწარე გემოს, თეთრი, კრისტალური ფხვნილია ცუდად იხსნება წყალში, იხსნება სპირტში. ლობის ტემპერატურაა 149 — 153°. ქიმიური შემადგენლობით ლევომიციტინის მსგავსია და იხმარება იმავე შემთხვევებში, მხოლოდ უფრო დიდ დოზებში.

ბავშვებს 3 წლამდე სინტომიცინს აძლევენ 0,02 გ კილოგრამ წონაზე 3 — 4-ჯერ დღეში, 3 წლის და მეტ ასაკში — 0,3 — 0,5 გ თითო მიღებაზე. პრეპარატს უნიშნავენ $\frac{1}{2}$ საათით ადრე კამამდე.

მოზრდილებს ერთ მიღებაზე აძლევენ 0,5 — 1 გ 4 — 6-ჯერ დღეში.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 1,5 გ, სადღელამისო — 6 გ.

ჩვენება და უკუჩვენება იგივეა, რაც ლევომიციტინისა (იხ. ზემოთ), გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \times 0,1, 0,25 და 0,5 გ.

ინახება მოფრთხილებით (ქარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Synthomycini 0,5

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 6-ჯერ დღეში ჭამის წინ.

სინტომიცინის ემულსია

Emulsio Synthomycini

ხმარებაშია სინტომიცინის ემულსია 1%, 5% და 10%-იანი. სინტომიცინის 1% ემულსიაში შედის: სინტომიცინი 1 ნაწილი, საფალარათო ზეთი — 20 ნაწილი, სპეციალური ემულგატორი — 10 ნაწ. კონსერვანტი — 0,15 ნაწილი და გამოხდილი წყალი — 100 ნაწილამდე.

იხმარება დაჩირქებული კრილობების, კანისა და ლორწოვანი გარსის ჩირქოვანი დაავადებების, დამწვრობის და სხვ. მკურნალობის დროს.

ემულსიას ხმარობენ ადგილობრივად, ზედ აფარებენ ჩვეულებრივ ნახვევს.

კარგ შედეგს იძლევა ტრაქომის მკურნალობაში. მკურნალობა გრძელდება 3—4 თვეს. ერთ ავადმყოფზე დღეში იხმარება ემულსიის 0,3—0,5 გ.

ინახება კარგად დახურულ კილებში, სინათლისაგან დაკულ ადგილზე.

Rp.: Emulsionis Synthomycini 1% (5%, 10%) 20,0

D. S. გარედან სახმარი.

ეუსინტომიცინი

Eusynthomycinum

ეუსინტომიცინი წარმოადგენს სინტომიცინის სტეარინმგაფა თერს.

მორუხო ფერის კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება ორგანულ გამხსნელებში. ლღვება 84—87°-ზე. მას არა აქვს მწარე გემო, რის გამო „არამწარე სინტომიცინი“ უწოდებენ. შეიცავს შეკავშირებული სახით 55%-მდე სინტომიცინს.

იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში. პრეპარატი ნაკლებ ტოქსიკურია.

ჩვენებები იგივეა, რაც სინტომიცინისათვის.

მოზრდილებს ეძლევა 1—2 გ თითო მიღებაზე.

ბავშვებს — ერთ მილებაზე ეძლევა:

5 — 6 წლის ასაკში — 0,17 გ

7 — 8 „ „ 0,25 „

9 — 10 „ „ 0,35 „

დღე-ღამეში პრეპარატი ეძლევა 3 — 4 — 6-ჯერ, დაავადების ხასიათის მიხედვით, ფაფასთან ან რძესთან ერთად.

გამოშვებულია ტაბლეტებში.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქურკელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

სტრეპტომიცინი

Streptomycinum

სტრეპტომიცინი წარმოიშვება სოკო — *Actinomyces globisporus streptomycini*-ს ცხოველმყოფელობის შედეგად.

სტრეპტომიცინი ძლიერ ფართო ანტიბაქტერიული სპექტრის მქონე ანტიბიოტიკური საშუალებაა.

სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება სტრეპტომიცინი სულფატი, სტრეპტომიცინი ქლორწყალბადმეცევა და ქლორკალციუმის კომპლექს-მარილის სახით.

სტრეპტომიცინი კარგად იხსნება წყალში, ცუდად — სპირტში, არ იხსნება ეთერში, აცეტონში, ქლოროფორმში. ხსნარებში იშლება ადულებს დროს, ინაქტიურდება ტუტეებისა და შეავების ზეგავლენით. არ კარგავს მოქმედებას სისხლის შრატისა და კუჭის წვენის ზეგავლენით.

სტრეპტომიცინის პრეპარატები შედარებით უფრო მდგრადია.

სტრეპტომიცინის აქტიურობას გამოხატავენ მოქმედების ერთეულით. ერთი მოქმედების ერთეული წონით უდრის სტრეპტომიცინის ერთი მილიგრამის მეთასედს — ერთ მიკროგრამს (0.000.001 გ), აქედან გამოანგარიშებით — სტრეპტომიცინის 0,001 გ შეიცავს 1.000 მოქ. ერთეულს, ხოლო 1 გ ათასჯერ მეტს, ე. ი. 1.000.000 მოქ. ერთეულს.

სტრეპტომიცინი მოქმედებს როგორც გრამუარყოფით, ისე ზოგიერთ გრამდადებით და შევეგამძლე ბაქტერიებზე; აგრეთვე ნაწლაფთა ჩხირებზე, ტულარემიის, ბრუცელოზის, დიზენტერიის გამომწვევ მიკროსხეულებზე.

სტრეპტომიცინი მოქმედებს როგორც გრამუარყოფით, ისე ზოგიერთ გრამდადებით და შევეგამძლე ბაქტერიებზე; აგრეთვე ნაწლაფთა ჩხირებზე, ტულარემიის, ბრუცელოზის, დიზენტერიის გამომწვევ მიკროსხეულებზე.

სტრეპტომიცინი მოქმედებს ვირუსებზე, პლაზმოდიებზე, რიკეტსიოზზე, ანაერობებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრეპტომიცინის მოქმედება ტუბერკულოზის ჩხირებზე, -რის გამოც მან პოვა მეტად ფართო გავრცელება ამ დაავადების მკურნალობაში. სტრეპტომიცინით მკურნალობისათვის ჩვენებას წარმოადგენს: სასუნთქი ორგანოებისა და გზების ტუბერკულოზი (ფილტვების, ყელის, ბრონქების, პლევრის და სხვ.), ნაწლავების, თირკმლებისა და შარდის გამომყოფი გზების, სასქესო ორგანოების, სეროზული გარსების, ძვლების, სახსრების, კანის ტუბერკულოზი.

განსაკუთრებით დიდია სტრეპტომიცინის როლი ტუბერკულოზური მენინგიტის წინააღმდეგ. ეს დაავადება სტრეპტომიცინამდე იძლეოდა სიკვდილობას შემთხვევათა 100%-ში, დღეს იგი დაყვანილია 20 — 25%-მდე, და თუ ეს პრეპარატი დროულად დაწესიერად იქნა ხმარებული, ეს პროცენტი კიდევ უფრო შემცირდება.

სტრეპტომიცინი იხმარება ზემოთ ჩამოთვლილი, სტრეპტომიცინის მიმართ მგრძობიარე მიკროსხეულებით გამოწვეული დაავადებების დროს. კარგად მოქმედებს პენიცილინრეზისტენტული მიკრობებით გამოწვეულ დაავადებებზე, ტულარემიასა და მწვავე ბრუცელოზზე.

დოზა და მკურნალობის მეთოდიკა. უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის კუნთებში არის 1 გ (1.000.000 მე) სადღელდამისო — 2 გ (2.000.000 მე).

ბავშვებისათვის უმაღლესი დოზა კუნთებში შესაყვანი:

ერთჯერადი		სადღელდამისო	
5 წლამდე	0,1—0,125 გ	0,2—0,25 გ	
5 — 6 წ.	0,125 — 0,15 გ	0,25 — 0,3 გ	
7 — 9 წ.	0,15 — 0,175 გ	0,3 — 0,35 გ	
10—14 წ.	0,2 — 0,25 გ	0,4 — 0,5 გ	

ჩვეულებრივი სამკურნალო დოზა მოზრდილთათვის არის 0,5 გ (500.000 მე) დღეში ორჯერ კუნთებში შესაყვანი (ყოველ 12 საათში).

სტრეპტომიცინს ფლაკონებში ხსნიან ისევე, როგორც პენიცილინს (იხ. პენიცილინი); გამხსნელად იხმარება ქლორნატრიუმის იზოტონური ხსნარი ან გამოხდილი სტერილური წყალი, ან ნოვოკაინის 0,5% ხსნარი.

შიგნით მიღებული სტრეპტომიცინი არ იწოვება კუჭ-ნაწლა-

ვის ტრაქტში, ამიტომ არა აქვს მას რეზორბციული მოქმედება, მაგრამ ნაწლავებში სპობს ადგილობრივ მიკროფლორას.

სტრეპტომიცინის სადღეღამისო დოზა ჩვეულებრივ ერთბაშად შეჰყავთ ღრუებში.

ზურგის ტვინის არხში შესაყვანად ხმარობენ მხოლოდ სტრეპტომიცინის ქლორკალციუმის კომპლექსს.

სტრეპტომიცინით მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა, დაავადების ხასიათი, ორგანიზმის მგრძობელობა, პრეპარატის ეფექტურობა და სხვა.

მილიარული ტუბერკულოზის დროს იგი გრძელდება 4 — 5 თვეს და დაახლოებით ასევე ტუბერკულოზის სხვა ფორმის დროს; ბრუცელოზის შემთხვევაში — 20 — 25 დღეს, მწვავე გონორეის დროს სულ — 1 — 2 დღეს.

სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევაში სტრეპტომიცინი შეიძლება ხმარებულ იქნეს აე როზოლის სახით, ინჰალაციას აკეთებენ ყოველდღე.

ზოგჯერ სტრეპტომიცინთერაპიას აწარმოებენ სხვა საშუალებებთან კომბინაციაში უკეთეს ი წყდებებით: ფილტვების ტუბერკულოზის შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა კომბინაცია ფტივაზიდთან, სალუზიდთან ან ტიბონთან, პასმთან,* ან ლევომიციტინთან (დიზენტერიის დროს).

სტრეპტომიცინით მკურნალობის დროს შესაძლებელია განვითარდეს თანამოვლენები: ალერგიული მოვლენები, თავბრუხვევა, თავის ტკივილი, გულისფრიალი, თირკმლების მხრივ მოვლენები, სმენის დაქვეითება. ასეთ შემთხვევაში საკმარისია დროებით შეწყდეს ამ პრეპარატის მიღება, დაენიშნოს დიმედროლი (0,03 გ 3-ჯერ), ვიტამინები (B₁), ქლორკალციუმი.

სტრეპტომიცინის ხანგრძლივად ხმარების დროს შესაძლებელია განვითარდეს სტრეპტომიცინის მიმართ რეზისტენტული შტამები, რაც ამცირებს ამ პრეპარატის ეფექტურობას და საჭიროდ ხდის ერთდროულად სხვა ქიმიოთერაპიული საშუალებების გამოყენებას.

სტრეპტომიცინის წარმოებაში მომუშავეებს შეიძლება განვითარდეს კანის ძლიერი გაღიზიანება ხელებზე, სახეზე და სხვ.

* პარამინოსალიცილმჟავა

ამიტომ ურჩევენ პროფილაქტიკის მიზნით მუშაობის დროს ატარონ რეზინის ხელთათმანები, დოლბანდის ნიღბები, სათვალეები და სხვა.

სტრეპტომიცინი გამოწვებულია სპეციალური რეზინის საცობით პერმეტულად დახურულ (ალუმინის ჩაჩით დამაგრებულ) მინის ფლაკონებში, $\pm 0,5$ გ $1,0$ გ.

ინახება მშრალ, გრილ ($+20^{\circ}$ -მდე), ბნელ, ადვილას.


Rp.: Streptomycini Sulfurici 0,5

D. t. d. in ampulis

S. გაიხსნას თითო ფლაკონი 3 მლ ნოვოკაინის 0,5% ხსნარში (ან ქლორნატრიუმის იზოტონურ ხსნარში) და შეყვანილ იქნეს კუნთებში ყოველ 12 საათში.

ტეტრაციკლინი

Tetracyclinum



ტეტრაციკლინის ფუძე უსუნო, უგემო, ღია ყვითელი ფერის კრისტალური ფხვნილია. ცუდად იხსნება წყალში და ორგანულ გამხსნელებში.

ქიმიოთერაპიული აქტივობით ახლოს დგას ბიომიცინთან და ტერამიცინთან. აქვს ბიომიცინის მსგავსი ჩვენება ხმარებისათვის. ბავშვები ლებულობენ ადვილად მწარე გემოს უქონლობის გამო.

შმაღლესი სადღელამისო დოზა მოზრდილთათვის — 2 გ. ტეტრაციკლინს უნიშნავენ მოზრდილებს საკმლის მიღებამდე $\frac{1}{2}$ საათით ადრე ან საკმლის მიღებიდან 1 საათის შემდეგ 0,1 — 0,15 გ (100.000 — 150.000 მე) 4 — 6-ჯერ დღე-ღამეში, 7 — 8 დღის განმავლობაში.

ბავშვებს ენიშნება 3 წლამდე 0,025 გ 1 კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში (4 მიღებაზე), 3 წელზე მეტ ასაკზე — 0,075 გ — 0,1 გ 3-ჯერ დღეში.

ტეტრაციკლინი გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,1 და 0,15 გ შემცველობით

Rp.: Tetracyclini 0,15

D. t. d. in tabulettis


S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში ჭამის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე.

Rp.: Unguenti Tetracyclini hydrochlorici 1% — 10,0

D. S. თვალის მალამო.

ტერამიციინი (ტაბრანი, ოქსიტაბრაციკლინი)

Terramycinum



ტერამიციინი ანტიბიოტიკური საშუალებაა. მიკროსხეულ *Actinomyces rimosus*-ის ცხოველმყოფელობის პროდუქტისაგან მიღებული.

ტერამიციინი ფუძე — მწარე გემოსი, მორუხო-მოყვითალო ფერის ფხვნილია, ძნელად იხსნება წყალში. ტერამიციინის ქლორწყალბადმეავა მარილი კი ყვითელი ფერის კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალსა და სპირტში.

თავისი მოქმედებით ახლოს დგას ბიომიციინთან.

ტერამიციინის 1 მგ შეიცავს 1000 მოკ. ერთ.

ჩვენება ხმარებისათვის: პნევმონიები, ბაქტერიული და ამებური დიზენტერია, ყვიანახველა, გონორეა, ბრუცელოზი, პარტახტიანი ტიფი, ჩირქოვანი პროცესები, კონიუნქტივიტები, ბლევარტიტები, ტონზილიტები, ოტიტები, მასტოიდიტები და სხვა ინფექციური დაავადებები.

იხმარება შიგნით, ტაბლეტებში 100.000 — 500.000 მოკ. ერთ. (0,1 — 0,5 გ) დღეში 3 — 4-ჯერ (მოზრდილებს), ასე 5 — 10 დღის განმავლობაში; ბავშვებს კი — 3 წლამდე 25.000 მე კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში. 3 წლის და მეტ ასაკში — 50.000 — 70.000 მოკ. ერთ.

ტერამიცინი შეიძლება ხმარებულ იქნეს კუნთებში შეყვანით იმ შემთხვევაში, როდესაც პირიდან მიღება შეუძლებელია (პირღებინება, უგრძნობი მდგომარეობა და სხვ.).

ტერამიცინის ერთი ფლაკონი იხსნება ნოვოკაინის 1 — 2% ხსნარის 5 მლ. არ შეიძლება ვენაში შეყვანა!

უკეთდება კუნთებში დღე-ღამის განმავლობაში 2 — 3-ჯერ, 5 — 10 დღის განმავლობაში. მოზრდილებში თითო გაკეთებაზე შეჰყავთ კუნთებში 40.000 — 60.000 მოკ. ერთეული (ხსნარის 2 — 3 მლ).


თვალის დაავადებების სამკურნალოდ ხმარობენ ტერამიცინს საცხის სახით თვალის ქუთუთოებზე 3 — 5-ჯერ დღეში, ერთი გრამი საცხი შეიცავს ტერამიცინს 10.000 ან 5.000 მოკ. ერთ., 0,4 გ ლანოლინსა და 1 გ ვაზელინს.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 0,5 გ (500.000 მე), სადღელამისო — 2 გ (2000000 მოკ. ერ.).

გამოწვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში 0,1 და 0,2 გ შემცველობით, ფლაკონებში \times 0,1 გ და მალამო 0,5% და 1%-იანი. ინახება არა უმეტეს 20° ტემპერატურაზე.

ფენოქსიმეთილპენიცილინი

PhenoXymethylpenicillinum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში ცუდად იხსნება. ერთი მგ შეიცავს 1600 მოკ. ერთ. პენიცილინისაგან განირჩევა მგავებისადმი გამძლეობით, რის გამოც იგი შეიძლება ხმარებულ იქნეს შიგნით მისაღებად.

იგი არ იზღება კუჭის წვენის ზეგავლენით, კარგად შეიწოვება და იძლევა სისხლში ხანგრძლივად საჭირო კონცენტრაციას.

უნიშნავენ პენიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკრობებით გამოწვეული ავადმყოფობის დროს.

დოზა: მოზრდილებს ეძლევა 200.000 მოკ. ერთ. ოთხჯერ დღეში. საკმლის მიღებამდე ერთი საათით ადრე. ბავშვებს უნიშნავენ მოზრდილების დოზის $\frac{1}{4}$, $\frac{1}{2}$, $\frac{1}{4}$ -ს.

უმალესი დოზა: მოზრდილთათვის ერთჯერადი — 400.000 მოკ. ერთ., სადღელამისო — 1200.000 მოკ. ერთ.

ბავშვებისათვის: 3 წლამდე ეძლევა 25.000 მე კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში; 3 — 4 წ. ერთჯერადი — 125.000 — 150.000 მე, სადღელამისო — 250.000 — 300.000 მე; 5 — 6 წ. ერთჯერადი — 150.000 — 200.000 მე, სადღელამისო — 300.000 — 400.000 მე; 7 — 9 წ. ერთჯერადი 250.000 მე. სადღელამისო — 500.000 მე; 10 — 14 წ. ერთჯერადი — 250.000 — 300.000 მე, სადღელამისო — 500.000 — 600.000 მე.

ფენოქსისიმეთილპენიცილინმა შეიძლება გამოიჩინოს თანამოქმედება: სტომატიტი, ფარინგიტი, ფალარათი, იშვიათად — პირღებინება.

მკურნალობა უნდა წარმოებდეს ექიმის მეთვალყურეობით.

გამოშვებულია ტაბლეტებში, თითოეული ტაბლეტი შეიცავს 50.000, 100.000 და 200.000 მოკ. ერთ.


ინახება 18 — 20 გრადუსამდე ტემპერატურის პირობებში მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.



სულფანილამიდური პრეპარატები

ბუტამიდი

Butamidum



თეთრი, კრისტალური ფხენილია. არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტში. ლობის ტემპერატურაა $128,5^\circ - 129,5^\circ$.

ბუტამიდი სულფამიდური პრეპარატია, მოწოდებულია შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. ბუტამიდი იწვევს შაქრის რაოდენობის შემცირებას სისხლში (აქვს ჰიპოგლიკემიური თვისება) და შარდში შაქრის გამოყოფის შემცირებას ან მოსპობას.

არის შეხედულება, რომ ბუტამიდი და მისი ანალოგები მოქმედებენ ლანგერჰანსის კუნძულების α უჯრედებზე, იწვევენ ინსულინის ანტაგონისტ ფერმენტის გლუკაგონის შემცირებას. მეორე მხრივ, არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ეს ნივთიერებები ახდენენ β უჯრედების სტიმულაციას და ამრიგად, ინსულინის გამოყოფის გაძლიერებას. აძლევენ მნიშვნელობას აგრეთვე ორგანიზმში ამ საშუალებების ზეგავლენით ფერმენტ ინსულინაზის აქტივობის შემცირებას. შესაძლებელია ანტიდიაბეტური სულფამიდური პრეპარატები მოქმედებდეს ლეიძლზე, სადაც გლიკოგენის გადასვლა გლუკოზაში მცირდება.

ბუტამიდისა და სხვა ანტიდიაბეტური სულფამიდური ჰიპოგლიკემიური საშუალებების ხმარება ნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტის შედარებით მსუბუქი ფორმების შემთხვევებში, ხანშესულ და მსუქან პირებში, შედარებით ახალ შემთხვევებში (5 წლამდე) და სადაც არ იყო გამოყენებული ინსულინთერაპია ან ტარდებოდა ის მცირე დოზებით (30 მოკ. ერთ).

ბუტამიდს აძლევენ შიგნით — პირველ დღეს 3 — 6 ტაბლეტს, ე. ი. 1,5 — 3 გ; მეორე დღეს 2 — 5 ტაბლეტს; მესამე დღეს 1 — 4 ტაბლეტს; შემდეგ დღეებში 1 — 3 ტაბლეტს. პრეპარატს უნიშნავენ საკმლის შილებიდან $1/2$ საათის შემდეგ 1 — 2 — 3-ჯერ

დღეში (ერთ მიღებაზე არა უმეტეს 2 ტაბლეტისა). დადებითი ეფექტის შემთხვევაში ავადმყოფი განაგრძობს ბუტამიდის მიღებას დღეში 1 — 2 ტაბლეტის რაოდენობით. მკურნალობის პერიოდში საჭიროა ხშირი ლაბორატორიული მეთვალყურეობა.

ინსულინთერაპიის შეცვლა ბუტამიდით შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ინსულინის დღიური დოზა არ აღემატებოდა 30 — 40 მოკ. ერთ. შეცვლა ხდება თანდათანობით.

ბუტამიდით მკურნალობისათვის უკუჩვენებაა: დიაბეტი ახალგაზრდა ასაკში და გამხდართა შორის, პრეკომატოზური და კომატოზური მდგომარეობა, მიღრეკილება აციდოზისადმი, ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციის დარღვევა, მწვავე ინფექციური დაავადება, ლეიკოპენია, ორსულობა; აგრეთვე დიაბეტის მსუბუქი ფორმა, როდესაც მარტო სათანადო დიეტური რეჟიმის დაცვა იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს.

ბუტამიდი ზოგჯერ იძლევა თანამოვლენებს, როგორცაა თავის ტკივილი, ალერგიული და დისპეფსიური მოვლენები: ლეიკოპენია, თრომბოპენია და სხვ., რომლებიც პრეპარატის შემცირების ან შეწყვეტის შემდეგ მალე ქრება.

თუ განვითარდა ჰიპოგლიკემიური მოვლენები, აძლევენ გლუკოზას და იყენებენ სხვა საშუალებებს, როგორც ინსულინის დიდ დოზებთან დაკავშირებული ჰიპოგლიკემიის შემთხვევაში.

უმალლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 1,5 გ, სადღეღამისო — 4 გ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 გ რაოდენობით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Butamidi 0,5

D. t. d. 50 in tabulettis

S. 3 — 6 ტაბლეტი დღეში ქამის შემდეგ, თანდათან დოზის შემცირებით — 1 — 3 ტაბლეტამდე დღეში.

ნადიზანი, ორანილი, დიაბორალი,
ბუპარბანი, ინვენოლი

Nadisanum, Oranilum, Diaboralum,
Bucarbanum, Invenolum

სინთეზური ჰიპოგლიკემიური სულფამიდური პრეპარატებია. თავის ფარმაკოლოგიური და კლინიკური მოქმედებით წარმოადგე-

ნენ ბუტამიდის ანალოგს (იხ. ბუტამიდი) და იყენებენ ამავე შემთხვევებში და იმავე წესით, რაც ბუტამიდს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 გ რაოდენობით.


ინახება (კარადა B) მოფრთხილებით.

გარდა ამისა, გამოშვებულია (საზღვარგარეთული ფირმების მიერ) ბევრი სხვადასხვა სახელწოდებით.

ანტიდიაბეტური სულფამიდური პრეპარატები დაახლოებით ერთი და იმავე ფარმაკოლოგიური თვისებისა და კლინიკური მოქმედებისაა. ასეთებია, რასტინონი, არტოზონი, ორინაზა, ორაბეტი, დიაბეტოლი და სხვ. ამ ჯგუფის პრეპარატებს არა აქვთ ბაქტერიოციდული მოქმედება.

ეთაზოლი

Athazolium



ეთაზოლი — 2 პარა-ამინობენზოლ-სულფამიდო) — 5-ეთილ-3,4 თიადიაზოლი — თეთრი მოყვითალო ფერის ფხვნილია. არ იხსნება წყალში, ძნელად — სპირტში, ადვილად — განზავებულ ტუტეებსა და მჟავებში.

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული მოქმედება სტრეპტოკოკების, პნევმოკოკების, მენინგოკოკების, გონოკოკების მიმართ. აგრეთვე ნაწლავთა ჩხირების, ღიზენტერიისა და პათოგენური ანაერობებისადმი.

პრეპარატი სწრაფად შეიწოვება ნაწლავებში და გამოიყოფა ორგანიზმიდან თირკმლებით. ნაკლებ ტოქსიკურია, არ იძლევა თანამოვლენებს. იხმარება მიკრობებით გამოწვეული ინფექციების წინააღმდეგ (პნევმონია, ღიზენტერია, წითელი ქარი, ანგინა, პიელიტი და სხვ.).

უნიშნავენ შიგნით 1 გ დღეში 6-ჯერ 5 — 6 დღის განმავლობაში. პირველ მიღებაზე აძლევენ 2 გ, შემდეგ ყოველ 4 საათში თითო გრამს საჭიროების დროს. 3 — 4 დღის შესვენების შემდეგ შეიძლება მკურნალობის განმეორებით დანიშვნა.

ურჩ ევენ უხვად სითხის მიღებას.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში ჰ 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში.


Rp.: Aethazoli 0,5

D. t. d. 20 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი ყოველ 4 საათში

ეთაზოლი ხსნადი

Aethazolum solubile



ეთაზოლნატრიუმი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში.

იხმარება per os და პარენტერალურად იმავე შემთხვევაში, რაც ეთაზოლი.

გამოშვებულია ფხვნილების სახით და ამპულებში 10 მლ 10% და 20 % ხსნარი.

ფხვნილები ინახება მშრალ ადგილას, კარგად დახურულ ქილებში.

Rp.: Solutionis Aethazoli solubilis 10 % — 10,0


D. t. d. 10 in ampulis

S. 5 მლ ვენაში ნელა შეეყვანით.

მეთილსულფაზინი

Methylsulfazinum

2 (პარა-ამინო-ბენზოლ-სულფამიდო)-4-მეთილ-პირიმიდინი



თეთრი ფხვნილია. არ იხსნება წყალში. იხსნება ტუტეებსა და მჟავების განზავებულ ხსნარებში. ლღობის ტემპერატურაა 232—235°.

აბასიათებს მაღალი აქტივობა. ამავე დროს ნაკლებ ტოქსიკურია და ადვილად ასატანი.

იხმარება იმავე შემთხვევებში და დოზებში, რაც სულფაზინი (იხ. ქვემოთ). ბავშვებს უნიშნავენ პირველ მიღებაზე 0,1 გ კილოგრამ წონაზე, შემდეგ კი 0,025 გ კილოგრამ წონაზე, ყოველ 4—6 — 8 საათში.

მეთილსულფაზინით მკურნალობის დროს, ისევე როგორც სხვა სულფამიდური პრეპარატის მიღების დროს, საჭიროა საკმედი სოდის 2 % ხსნარის ან ბორჯომის წყლის უხვად მიღება.

გამოშვებულია ტაბლეტებში à 0,5 გ.

ინახება მოჭრთხილებით (კარადა B) სინაოლისაგან დაცულ ადგილას, კარგად თავდაცობილ ჭურჭელში.

Rp.: Methylsulfazini 0,5


D. t. d. 30 tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი ყოველ 4 საათში.

ნორსულფაზოლი

Norsulfazolum

2 — (პარა-ამინო-ბენზოლ-სულფამიდი) — თიაზოლი



ნორსულფაზოლი თეთრი, კრისტალური ფხვნილია, უსუნო, ლღობის ტემპერატურაა 198 — 203°. თითქმის არ იხსნება წყალში; ძნელად — აცეტონსა და სპირტში, იხსნება განზავებულ მინერალურ მჟავებსა და მწვავე ტუტეების ხსნარებში.

იხმარება: პნევმონიების, ცერებროსპინალური მენინგიტის, გონორეის, სტაფილოკოკური და სტრეპტოკოკური ინფექციების შემთხვევებში.

შიგნით მიღების შემდეგ მალე შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და ასევე მალე გამოიყოფა ორგანიზმიდან თირკმლების საშუალებით.

უნიშნავენ შიგნით პირველ მიღებაზე 2 გ, შემდეგ ყოველ 4 საათში 1 გ სიციხის დაცემამდე. ამის შემდეგ 1 გ ყოველ 6—8 საათში. სულ მკურნალობის ერთ კურსზე იხარჯება 20—30 გ.

გონორეის დროს უნიშნავენ 1 გ 5-ჯერ დღეში, შემდეგ 1 გ 4-ჯერ დღეში, სულ 3—6 დღის განმავლობაში.

ღიზენტერიის წინააღმდეგ ნორსულფაზოლს უნიშნავენ ისევე, როგორც სულფადიმიზინს (იხ. ქვემოთ).

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი — 2 გ, სადღელამისო — 7 გ. ბავშვებისათვის სადღელამისო — 0,2 გ კილოგრამ წონაზე.

ბავშვებს ეძლევა 3—6-ჯერ დღეში; 1 წლის ასაკამდე — 0,1—0,25 გ; 2—5 წ. — 0,3—0,6 გ; 6—12 წ. 0,5—0,75 გ თითო მიღებაზე.

ნორსულფაზოლით მკურნალობის დროს საჭიროა წყლის გაძლიერებული მიღება (2—3 ლიტრამდე დღეში) საკმელი სოდის დამატებით ან ბორჯომის წყლის დაყოლება 1 ჭიქის რაოდენობით პრეპარატის ყოველ მიღებაზე.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,25 გ და 0,5 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში მშრალ ადგილას.

Rp.: Norsulfazoli 0,5

D. t. d. 12 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი 4 საათში ერთჯერ,
ბორჯომის წყლის დაყოლებით.

ნორსულფაზოლი ხსნადი

Norsulfazolum solubile

იგი უფერული, ბრწყვიალა, უსუნო, ფირფიტისებრი კრისტალებია. იხსნება წყალსა (1:2) და სპირტში (1:15).


სტერილიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში. იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც ნორსულფაზოლი, როდესაც ამათუ იმ მიზეზის გამო ამ უკანასკნელის მიცემა შეუძლებელია (პირლენინება, უგონო მდგომარეობა და სხვ.). უკეთებენ ვენაში 10 % ხსნარს 10 მლ რაოდენობით ნელი შეყვანით ან 5 %-იანი ხსნარის 20 მლ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,5 გ.
ინახება მოფრთხილებით (კარდა B) კარგად თავდაცობილ და
პარაფინწაცხებულ მინის პატარა ზომის ქილებში.

Rp.: Solutionis Norsulfazoli solubilis 5 % — 20,0
Sterilisetur
D. S. ვენაში შესაშხაპუნებლად, 10 მლ 2-ჯერ
დღე-ღამეში

სულფაზინი

Sulfazinum



თეთრი, უსუნო ფხვნილია, იხსნება სპირტში, აცეტონში, ტუ-ტეებსა და მინერალური მჟავების ხსნარებში, ლლობის ტემპერატურაა 252 — 256°; ეკუთვნის სულფამიდურ ჯგუფს და იხმარება ჰემოლიზური სტრეპტოკოკებით გამოწვეული დაავადებების დროს, გონოკოკური, პნემოკოკური, მენინგოკოკური, სტაფილოკოკური ინფექციების შემთხვევებში.

სულფაზინი ნაკლებ ტოქსიკურია, ვიდრე სულფაზოლი. შეიწოვება ნელა, მაქსიმალურ კონცენტრაციას სისხლში აღწევს მე-3—მე-6 საათზე პრეპარატის მიღებიდან; გამოიყოფა თირკმლების საშუალებით.

მოზრდილებს უნიშნავენ პირველ მიღებაზე 2 გ, შემდეგ 1 გ ყოველ 4 საათში. მკურნალობის მეოთხე დღიდან პრეპარატის დოზა მცირდება 1 გ ყოველ 6 — 8 საათში. მკურნალობა გრძელდება 7 დღემდე. ბავშვებს აძლევენ პირველ მიღებაზე 0,1 გ კილოგრამ წონაზე, შემდეგ კი 0,025 გ კილოგრამ წონაზე 4 — 6 საათში ერთჯერ.

სულფაზინით მკურნალობის დროს ისევე, როგორც სხვა სულფამიდური პრეპარატებით მკურნალობის შემთხვევაში, საჭიროა უხვად წყლის მიღება, უმჯობესია ბორჯომის მინერალური წყალი.

სულფაზინი იშვიათად იძლევა თანამოვლენებს, როგორცაა გულისრევა და პირღებინება; და თირკმლების მხრივ მოვლენებს.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ კურკელში.


Rp.: Sulfazini 0,5

D. t. d. 20 iu tabulettis

S. ორი ტაბლეტი ყოველ 4 საათში, ბორჯომის წყლის დაყოლებით.

სტრეპტოციდი თეთრი

Streptocidum album



თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო ელფერის, კრისტალური, უსუნო ფხვნილია. ცუდად იხსნება წყალსა (1:170) და სპირტში (1:35). ადვილად — განზავებულ მარილმეფავასა და მწვავე ტუტეების ხსნარში. ლღობის ტემპერატურაა 164 — 167°. ხსნარის სტერილიზაცია ხდება 100°-ზე 30 წუთის განმავლობაში.

თეთრი სტრეპტოციდი ეფექტურია მენინგოკოკების, გონოკოკების, პნევმოკოკების, ნაწლავთა და ზოგიერთ სხვა ჩხირების მიმართ.

ჩვენება: ეპიდემიური ცერებროსპინალური მენინგიტი, წითელი ქარი, ანგინები, გონორეა, კოლბაცელოზი პიელიტი და ცისტეტი, კოლიტი, ინფიცირებული ქირილობები.

უკუჩვენება: გულ-სისხლძარღვთა და სისხლის მძიმე დაავადება ფილტვების ტუბერკულოზი, კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადება, ნეფრიტები, ნეფროზები, ბაზედოვის დაავადება.

თეთრი სტრეპტოციდით მკურნალობის დროს ზოგჯერ აღინიშნება: თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, ლეიკოპენია. აგრანულოციტოზი, პარესთეზიები, დერმატიტები, ფაღარათი.

უკანასკნელ დროს თეთრ სტრეპტოციდს ხმარობენ უფრო იშვიათად, ვინაიდან მოგვეპოვება იმავე ჯგუფის უფრო აქტიური ან ნაკლები თანამოვლენების მქონე პრეპარატები (ნორსულფაზოლი,

სულფადიმეზინი, ეთაზოლი და სხვ.). სტრეპტოციდი გამოიყოფა ორგანიზმიდან თირკმლებით (90 — 95 %-მდე).

სტრეპტოციდს მოზრდილებს უნიშნავენ შიგნით 0,5 — 1 გ 5 — 5-ჯერ დღე-ღამეში. ბავშვებს 1 წლამდე ეძლევა 0,05 — 0,1 გ ერთ მიღებაზე: 2 — 5 წლის ასაკში — 0,2 — 0,3 გ; 6 — 12 წ. — 0,3 — 0,5 გ.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი — 2 გ, სადღეღამისო — 7 გ.

უმალესი დოზა ბავშვებისათვის — სადღეღამისო — 0,2 გ ყოველ კილო წონაზე.

ადგილობრივ თეთრ სტრეპტოციდს ხმარობენ მოსაყრელად ფხვნილის სახით (*Subtilissime pulveratum*).

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში $\dot{\text{z}}$ 0,3 და 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მილესილსაკობიან მინის ქილებში.

Rp.: Streptocidi albi 0,5

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 6-ჯერ დღეში.

სტრეპტოციდის საცხი

Unguentum Streptocidi

საცხის შემადგენლობა: თეთრი სტრეპტოციდი 1 ნაწილი, ვაზელინი 9 ნაწილი.

ინხარება კრილობებზე, წყლულებზე, დამწვარ ადგილებზე წასამელად.

Rp.: Unguenti Streptocidi 10 % — 50,0

D. S. გარეგანი.

სტრეპტოციდის ემულსია (*Emulsio streptocidi*).

ემულსიის შემადგენლობა: თეთრი სტრეპტოციდი — 5 გ, თევზის ზეთი — 34 გ, ემულგატორი — 5 გ, გამოხდილი წყალი — 56 გ. ინხარება იმავე შემთხვევებში, რაც სტრეპტოციდის მალამო, უსვამენ დაზიანებულ ადგილას.


ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, კარგად დახურულ მინის ქილებში.

Rp.: Emulsionis Streptocidi 5 % — 50,0

D. S. გარედან სახმარი.

ხსნადი თეთრი სტრეპტოციდი

Streptocidum album solubile



თეთრი, კრისტალური ფხვნილია. კარგად იხსნება წყალში. ხსნარის სტერილიზაცია ხდება 100° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში.

10 % ხსნარის pH = 4,0 — 5,0.

იხმარება იმავე პირობებში, რაც თეთრი სტრეპტოციდი. შეიძლება შეყვანა კუნთებში, კანქვეშ (1—1,5 % 100 მლ სტერილური ხსნარი გამოხდილ წყალზე ან ქლორნატრიუმის იზოტონურ ხსნარზე.

ვენაში 2—5—10 % სტერილური ხსნარი ორჯერ გამოხდილ წყალზე ან ქლორნატრიუმის იზოტონურ ხსნარზე 20—30 მლ რაოდენობით.

ხსნადი თეთრი სტრეპტოციდი შეიძლება ხმარებულ იქნეს შიგნითაც თეთრი სტრეპტოციდის დოზებში.

გამოშვებულია ფხვნილებისა და ტაბლეტების სახით.


ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Streptocidi albi solubilis 0,5
Solutionis Glucosae 1% — 100,0
Sterilisetur!

D. S. 20 მლ ვენაში ერთ შემზაპუნებაზე 1—2-ჯერ დღეში.

სულგინი

Sulginum



თეთრი, წვრილკრისტალური, უგემო და უსუნო ფხვნილია,

ცუდად იხსნება წყალსა და სპირტში. კარგად იხსნება განზავებულ მინერალურ მჟავებში. ლღობის ტემპერატურაა 189 — 192°.

განიჩევა სხვა სულფანილამიდებისაგან საქმლის მომწიფებელი ტრაქტიდან ნელა შეწოვით, რის გამო ნაწლავებში ხანგრძლივად იმყოფება დიდი კონცენტრაციით, რაც ხელს უწყობს მის დიდ ეფექტურობას ბაქტერიული დიზენტერიის და სხვა ინფექციებით გამოწვეულ ნაწლავთა დაავადების მკურნალობისას.

ჩვენება: ბაქტერიული დიზენტერია, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული კოლიტები და ენტეროკოლიტები.

მოზრდილებს უნიშნავენ 2 გ პირველ მიღებაზე; შემდეგ ყოველ 4 საათში 1 გ; მეორე და მესამე დღეს — 1 გ 5-ჯერ და შემდეგ დღეებში 1 გ 3-ჯერ და 4-ჯერ დღეში. სულ 5 — 7 დღის განმავლობაში.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 2 გ, სადღელამისო — 7 გ.

სულგინი შეიძლება დაენიშნოს ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთდროულად.

მიზანშეწონილია აღნიშნულ პრეპარატთან ერთდროულად დანიშვნა B ვიტამინის კომპლექსისა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,5.

ინახება მოფოთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ქილბებში.


Rp.: Sulgini 0,5

D. t. d. 24 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი 4 საათში ერთჯერ.

სულფადიმეზინი

Sulfadimezinum



თეთრი ფხვნილია, ძნელად იხსნება წყალში, ადვილად — მჟავებსა და ტუტეების განზავებულ ხსნარებში. ლღობის ტემპერატურაა 196 — 200°.

იხმარება იმავე დაავადებების წინააღმდეგ, რაც ნორსულფაზოლი (იხ. ზემოთ), ხოლო უფრო ძლიერ მოქმედებს მძიმე პნევმოკოკურ ინფექციაზე და საშარდე გზების ინფექციური დაავადებების დროს.

უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 2 გ, სადღელამისო 4 გ; ბავშვებისათვის სადღელამისო — 0,2 გ კილოწონაზე.

სულფადიმეზინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთად.

სულფადიმეზინის მიღების დროს სასურველია, ისევე როგორც სხვა სულფამიდური პრეპარატების ხმარების შემთხვევაში, სოდანარევი წყლის ან ბორჯომის მინერალური წყლის მიღება მომეტებული რაოდენობით.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,25 და 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში, მშრალ ადგილას.

Rp.: Sulfadimezini 0,5

D. t. d. 24 in tabulettis


S. ორ-ორი ტაბლეტი 4 — 6-ჯერ დღეში.

სულფაცილი

Sulfacylum

ალბუციდი

Albucidum



სულფაცილი სულფამიდური ჯგუფის პრეპარატია, თეთრი, კრისტალური ფხვნილია, უსუნო; იხსნება 200 ნაწილ ცივ წყალში, 12 წილ სპირტში და მწვავე ტუტეებისა და მეთაგების ხსნარში. ღლიობის ტემპერატურაა 178 — 181°.

სულფაცილის ნატრიუმ მაილის ხსნარი (10 — 20 — 30%) ფართოდ იხმარება რქოვანას ინფიციურებული წყლულების სამკურნალოდ და სხვა რბილი ქსოვილების კრილოზების შემთხვევებში. აგრეთვე ფხვნილების სახით აყრიან კრილოზას.

დოზა მოზრდილთათვის — 0,5 — 1 გ ერთ მიღებაზე 4 — 6-ჯერ დღე-ღამეში 6 — 7 დღის განმავლობაში.


ბავშვებისათვის 0,1 — 0,5 გ 4 — 6-ჯერ დღეში.
 გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,5 გ.
 ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დაცობილ მინის
 ქილებში.

Rp.: Sulfacyli 0,5
 D. t. d. 30 in tabulettis
 S. ორ-ორი ტაბლეტი დღეში 6 — 4-ჯერ.

უროსულფანი

Urosulfanum

სულფანილილ-შარლოვანა:



თეთრი ოდნავ მოყვითალო, კრისტალური, უსუნო ფხვნილია.
 არ იხსნება წყალში, ძნელად — სპირტში, ადვილად — მგავებსა და
 ტუტეების განზავებულ ხსნარებში.

იხმარება იმავე პირობებში და წესით, რაც სხვა სულფამიდუ-
 რი პრეპარატები, მაგრამ უფრო ხშირად იხმარება საშარდე ორ-
 განობისა და საშარდე გზების ინფექციური დაავადებების შემთხ-
 ვეებში (პიელიტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, ინფიცირებული
 ჰიდრონეფროზი), რადგან მისი ქიმიოთერაპიული მოქმედება უფრო
 მეტად ეფექტურია ამ სისტემის ინფექციური დაავადების გამომწ-
 ვევ მიკრობებზე.


დოზა მოზრდილთათვის — 0,5 — 1 გ 3 — 5-ჯერ დღეში 12—
 14 დღის განმავლობაში; ბავშვებისა — დღე-ღამეში 1 — 2,5 გ (0,25
 — 0,3 გ ერთ მიღებაზე).

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,5 გ.
 ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ
 ქილებში.

Rp.: Urosulfani 0,5
 D. t. d. in tabulettis
 S. ორ-ორი ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ფტალაზოლი

Phthalazolum



თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ელფერის ფხვნილია, არ იხსნება წყალში, ეთერსა და ქლოროფორმში, ძლიერ მკირედ იხსნება სპირტში, ადვილად — მწვავე ტუტეების ხსნარებში.

მას ახასიათებს სულფამიდური ჯგუფის პრეპარატების მსგავსი მოქმედება. ხოლო განსაკუთრებით კარგ ეფექტს იძლევა ნაწლავების ინფექციების შემთხვევებში.

ხმარობენ დიზენტერიის, წყლულოვანი კოლიტის და გასტროენტერიტების დროს.

ფტალაზოლი თანამოვლენებს თითქმის არ იძლევა.

მოზრდილებს უნიშნავენ 1 — 2 გ ყოველ 4 — 6 საათში პირველ ორ დღეს; შემდეგ კი ამის ნახევარს. მკურნალობის სრული კურსისათვის საჭიროა 25 — 30 გ.

ბავშვებს აძლევენ 0,2 გ კილოგრამ წონაზე დღე-ღამეში.

ფტალაზოლის დანიშვნა შეიძლება ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთად.

უმადლესი დოზა მოზრდილთათვის: — ერთჯერადი — 2 გ, სადღელამისო — 7 გ. ბავშვებისათვის: 3 წლამდე აძლევენ 0,2 გ კილო წონაზე დღე-ღამეში, 3 წლის ზევით 0,4 — 0,75 გ ერთ მიღებაზე 4-ჯერ დღე-ღამეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,5 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში.

Rp.: Phthalazoli 0,5


D. t. d. 12 in tabulettis

S. ორ-ორი ტაბლეტი ყოველ 4 საათში.

ანტიჰელმინთური საშუალებები

თიმოლი

Thymolum



მსხვილი, უფერო კრისტალებია, თავისებური სუნისა და გემოსი. ძნელად იხსნება წყალში, ადვილად — სპირტში, ეთერსა და ცხიმოვან ზეთებში.

იხმარება ანკილოსტომიდოზისა და ნეკატოროზის წინააღმდეგ; უკეთეს შედეგებს იძლევა ნეკატოროზის მკურნალობაში. მას იყენებენ აგრეთვე როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას წყლის ხსნარის სახით (1:1000), კანის ქავილის წინააღმდეგ (1 % ხსნარი) და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ჰარტმანის სითხის სახელწოდებით (თიმოლი 1,25 ნაწილი, ეთილის სპირტი 95° 1 ნაწ., ეთერი 1 ნაწ.).

ანკილოსტომიდოზების წინააღმდეგ მკურნალობას ატარებენ შემდეგი წესით: 1 — 2 დღის განმავლობაში მკურნალობის დაწყებამდე ავადმყოფი არ ღებულობს ალკოჰოლიანსა და ცხიმიან საჭმელს; ასევე — მკურნალობის პერიოდში და მკურნალობის შემდეგაც 1 — 2 დღეს. თიმოლის მიცემის წინა დღით, საღამოზე აძლევენ სასაქმებელ მარილს, მეორე დღეს ორი საათის განმავლობაში აძლევენ თიმოლის მთელ დოზას (ოთხ მილებზე თანაბრად განაწილებულად).

თიმოლი ეძლევა ელატინის კაფსულებში წვრილი კრისტალური ფხვნილის სახით საჭმელ სოდასთან ერთად. უკანასკნელი კაფსულის მიღებიდან 1,5 საათის შემდეგ ავადმყოფს განმეორებით აძლევენ სასაქმებელ მარილს. მეორე და მესამე დღეს ურჩევენ ისევ საფლარათო მარილის მიღებას, რაც ხელს უწყობს პარაზიტების დაყრას.

ასეთი მკურნალობის პირველი კურსის ჩატარებისას ორგანიზმიდან გამოდის დაახლოებით ანკილოსტომიდების 50—60 %, ხოლო ნეკატორების — 80 — 90 %-მდე. მკურნალობის განმეორებით ჩატარება დასაშვებია 2 — 3 კვირის შემდეგ.

თიმოლით მკურნალობა უკუნაჩვენებია გულის დეკომპენსაციის, ღვიძლის და თირკმლების დაავადების შემთხვევებში, აგრეთვე კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადებისა და ორსულობის დროს.

უმალესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის არის 1 გ. სადღელამისო — 4 გ.

ბავშვებისათვის:

1—2 წლის ასაკში — ერთჯერადი —	0,05 გ,	სადღელამისო —	0,2 გ
3—4 წ	"	0,1 "	"
5—6 წ	"	0,15 "	"
7—9 წ	"	0,25 "	"
10—14 წ	"	0,3 "	"

Rp.: Thymoli subtilissimi pulverati 1,0

D. t. d. 4 in capsulis gelatinosis

S. მიიღოს 2 საათის განმავლობაში დილას უზმოზე.

მამრობითი გვიმრის ფესურის ეთეროვანი გამონაწვლილი

Extractum Filicis maris aethereum

პრეპარატი მიიღება მცენარე *Dryopteris Filix mas (L)* ძირისაგან. იგი სქელი, მუქი ზომწვანო ფერის მასაა, ცუდი უსიამოვნო სუნის; წყალში არ იხსნება, კარგად იხსნება სპირტსა და ეთერში. იხმარება ბრტყელი ქიების წინააღმდეგ (ტენიიდოზები, დიფილოზოტრიოზი, ჰემინოლეპიდოზი).

მთავარ მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ფილიქსანის მგაჯა და ფილმარონი.

მკურნალობის მეთოდი. მკურნალობის დაწყებამდე 1—2 დღით ადრე გამოარკვეულ უნდა იქნეს თირკმლების მდგომარეობა (შარდის გასინჯვით), მკურნალობის დროს და მკურნალობის ჩათაყვის შემდეგ 2 დღის განმავლობაში ავადმყოფს უნდა დაენიშნოს თბიერი და ნოყიერი საკმელი, ცხიმისა და ალკოჰოლის გამოკლებით; 24. პ. გელბახიანი, ვ. გერსამია

მკურნალობის წინა დღეს, საღამოს, ავადმყოფს უნდა მიეცეს საფალარათო მარილი. მკურნალობის დღეს უკეთდება ოყნა და ეძლევა მამრობითი გვიმრის ფესურის ეთეროვანი ექსტრაქტი უზმოზე, კაფსულებში; მთლიან დოზას ყოფენ 4 ნაწილად და უნიშნავენ ათ-ათი წუთის ინტერვალით წყლის დაყოლებით. უკანასკნელი კაფსულის მიღებიდან 1 საათის შემდეგ ეძლევა ისევ საფალარათო მარილი (საფალარათო ზეთის ხმარება არ შეიძლება არც მკურნალობის დაწყებამდე და არც მისი ჩათავეების შემდეგ). თუ ადგილი არ ექნა კუჭის მოქმედებას, ავადმყოფს უკეთებენ თბილი წყლის (32—34°) ოყნას.

პრეპარატის დოზა:

თერაპიული	უმაღლესი დოზა:
2 წლის ასაკში — 1 გ	1 გ
3 " — 1,5 გ	1,5 გ
4 " 2 გ	2 გ
5—6 " 2—2,5 გ	2,5 — 3 გ
7—9 " 3—3,5 გ	3,5 — 4 გ
10—17 " 3,5—4 გ	5 გ
17—20 " 4—7 გ	8 გ

ბავშვებს 2 წლამდე პრეპარატი არ ენიშნებათ. უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის შეადგენს 8 გ.

უკუჩვენებაა; გულის დეკომპენსაცია, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება. კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადება, სიცხიანი დაავადება, ორსულობა, ძლიერი გახდომა, ძლიერი ანემია, ფილტვების აქტიური ტუბერკულოზი.

პრეპარატის გამოყენების დროს შესაძლებელია ადგილი ექნეს თანამოვლენებს, როგორცაა: გულისრევა პირღებინებით, ფალარათი, თავბრუხვევა, თავის ტკივილი, იშვიათად კრუნჩხვები, სუნთქვის დათრგუნვა, მხედველობის ნერვის ატროფია, ღვიძლის დაავადება (დეგენერაციული ცვლილებები).

ასეთ შემთხვევებში საჭიროა საფალარათოს დაუყოვნებლივ მიცემა, ოყნა, მძიმე შემთხვევებში — კუჭის ამორეცხვა, საგულე საშუალებები კანქვეშ.

მკურნალობა უნდა წარმოებდეს ექიმის უშუალო მეთვალყურეობით.

მკურნალობის გამეორება შეიძლება 2 — 3 თვის შემდეგ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B).

Rp.: Extracti Filicis maris aetherei 0,5

D. t. d. 12 in capsulis gelatinosis

S. მიიღოს 1 კაფსული ყოველ 5 წუთში.

ოთხქლორიანი ნახშირბადი

Carboneum tetrachloratum CCl_4

ოთხქლორიანი ნახშირბადი უფერული, გაწყვირვალე, მოძრავი, მძიმე სითხეა, სუნით მოგვგავონებს ქლოროფორმს. არ იხსნება წყალში, იხსნება სპირტში, ზეთებსა და ცხიმებში. დუღილის ტემპერატურაა $73 - 77^\circ$, ხვედრითი წონა — 1,580 — 1,606.

იხმარება ანკილოსტომიდოზისა და ნეკატოროზის წინააღმდეგ. წამლის დანიშვნის წესი:

მკურნალობამდე, მკურნალობის დღეებში და მკურნალობის შემდეგ 1 — 2 ღლის განმავლობაში ავადმყოფი არ ღებულობს ალკოჰოლიან სასმელს და ცხიმით მდიდარ საკმელს. წამლის მიღების დღეს აძლევენ ნახშირწყლებით მდიდარ მსუბუქ საუზმეს: 1 — 2 საათის შემდეგ ეძლევა ოთხქლორიანი ნახშირბადის მთელი დოზა ელატინის კაფსულებში ან 50 მლ წყალში ან მოხდით რძეში. პრეპარატის დოზირება ხდება მილილიტრებში და არა წონით გრამებში.

ერთჯერადი დოზა:

3—5 წლის ასაკში	—0,5—0,6 მლ
6—7 წ.	—0,8—0,9 მლ
8—10 წ.	—1,0—1,5 მლ
11—15 წ.	—1,5—2 მლ
16—20 წ.	—2 — 3 მლ
21—50 წ.	—3 მლ
51— და მეტი წლის ასაკში	—2,5 მლ.

პრეპარატის მიღებიდან 15 წუთის შემდეგ ეძლევა საფალარათო მარილი, ხოლო 2 საათის შემდეგ შეიძლება მიეცეს მეორე საუზმე.

მკურნალობის გამეორება შეიძლება 2 — 3 კვირის შემდეგ.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — 3 მლ.

უმაღლესი დოზა ბავშვებისათვის უდრის ზემოთ ნაჩვენებ სამკურნალო დოზებს.

პრეპარატის დანიშვნის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს ღვიძლის, თირკმლების დაავადება, კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებები, ალკოჰოლიზმი, ჰიპერთირეოზი, ორსულობა, ლაქტაციის ხანა, სიციხიანი მდგომარეობა.

თანამოვლენები: თავბრუხვევა, გულისრევა, პირღებინება, ძილიანობა, სიმთვრალის გრძნობა. შეიძლება განვითარდეს ღვიძლისა და თირკმლების დაზიანებაც. ღვიძლის დაზიანება გამოვლინდება 2 — 3 დღის შემდეგ სიყვითლის განვითარებით.

პრეპარატის მიღებისას უნდა ვერიდოთ, რომ ის არ მოხვდეს სასუნთქ გზებში.

თანამოვლენების წინააღმდეგ საჭიროა მიეცეს განმეორებით საფალარათო მარილი, სათბურები, გაუკეთდეს ოყნა, გულის საშუალებანი, ქოლინქლორიდი, ლიპოკაინი, მეთიონინი, ქლორკალციუმის 10 %-იანი ხსნარის 10 მლ ვენაში, გლუკოზის 40 %-იანი ხსნარის 40 მლ ვენაში და სხვ.

ანკილოსტომილოზების და ასკარიდოზის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ჯერ ასკარიდოზის საწინააღმდეგო მკურნალობა სანტონინით, მხოლოდ 7 დღის შემდეგ — ანტიანკილოსტომილოზური მკურნალობა ოთხქლორიანი ნახშირბადით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ქურჭლებში გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Carbonei tetrachlorati 1 ml

D. t. d. 3 in capsulis gelatinosis

S. ერთ მიღებაზე. დილით — ტკბილი ჩაი და პური, 2 საათის შემდეგ მიიღოს სამივე კაფსული ერთბაშად, 15 წუთის შემდეგ საფალარათო მარილი.

პიპერაზინი

Piperazinum



პიპერაზინი და მისი მარილები წარმოადგენენ კარგ საშუალებას ასკარიდოზისა და ენტერობიოზის წინააღმდეგ. ამ მხრივ მათ აქვთ უპირატესობა სხვა საშუალებათა წინაშე.

გარდა ამისა, არ იჩენენ ტოქსიკურობას, მნიშვნელოვან თანამოვლენებს, არ არის საჭირო სპეციალური დიეტის დაცვა ამ საშუალებებით დემკლმინთიზაციის ჩატარების დროს. შეიძლება მიეცეს ამბულატორიულად და სხვ.

იხმარება შემდეგი პრეპარატები:

პიპერაზინი-ადიპინატი (Piperazinum adipinicum) თეთრი, კრისტალური, უსუნო ნივთიერებაა, წყალში იხსნება მცირედ, მდულარეში კი — უფრო მეტად. ასევე მცირედ იხსნება სპირტში, ეთერში და მინერალურ მკავებში, ლღობის ტემპერატურაა 256 — 257°.

არ არის ჰიგროსკოპული, ჰაერზე არ იცვლება.

პიპერაზინი-სულფატი (Piperazinum sulfuricum) თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს ნივთიერებაა. ადვილად იხსნება სპირტსა და ეთერში. არ არის ჰიგროსკოპული, ჰაერზე არ იცვლება.

პიპერაზინი-ციტრატი (Piperazinum citricum) კრისტალური, სასიამოვნო გემოს ნივთიერებაა. ადვილად იხსნება წყალში. არ არის ჰიგროსკოპული, ჰაერზე არ იცვლება.

პიპერაზინი-ფოსფატი (Piperazinum phosphoricum) თეთრი, კრისტალური ფხვნილია, წყალში მცირედ იხსნება, ადვილად ტუტეებსა და მკავების ხსნარებში. არ არის ჰიგროსკოპული, ჰაერზე არ იცვლება.

პიპერაზინი-ჰექსაჰიდრატი უფერული კრისტალური ნივთიერებაა, საკმაოდ უგემური, ჰაერზე იცვლება (იღლაბნება). იხსნება წყალსა და სპირტში. ლღობის ტემპერატურაა 44°. ამ თვისებების გამო უფრო იშვიათად იყენებენ პრაქტიკაში.

პიპერაზინის ყველა პრეპარატს უნიშნავენ შიგნით ტაბლეტებში, კამის შემდეგ, პიპერაზინ-ჰექსაჰიდრატის 3% ხსნარს კი შაქრის სიროფში.

ღოზა და მკურნალობის ხანგრძლივობა ყველა პრეპარატისათვის ერთი და იგივეა.

ასკარიდოზის შემთხვევაში მოზრდილებს ეძლევა 2 დღის განმავლობაში თითო გრამი 3 — 4-ჯერ დღეში საჭმლის მიღებიდან 1/2—1 საათის შემდეგ; ბავშვებსაც საჭმლის მიღებიდან 1/2—1 საათის შემდეგ 2 დღის განმავლობაში შემდეგ ღოზებში:

1 წლის ასაკში—0,2 გ — 2-ჯერ დღეში

2—3 — 0,3 გ — 2-ჯერ დღეში

- 4—6 წლის ასაკში—0,5 გ — 2-ჯერ დღეში
 7—9 — 0,5 გ — 3-ჯერ დღეში
 10—14 „ — 1 გ — 2-ჯერ დღეში
 15 წლის და მეტი ასაკში — 1 გ — 3—4-ჯერ დღეში

ენტერობიოზის შემთხვევაში ეძლევათ იმავე დოზით 3—5 დღის განმავლობაში. ერთი კვირით შესვენების შემდეგ ისევ იმეორებენ 2—3-ჯერ.

საპირთა ჰიგიენური რეჟიმის დაცვა.


მკურნალობის ჩათავეებისას უნიშნავენ პურგენს და საფალა-რათო მარილს.

გამომწებულია ტაბლეტებში \pm 0,2 და 0,5 გ: უშვებენ აგრეთ-ვე 3⁰/₆-იან ხსნარს შაქრის სიროფში.

ინახება კარგად დახურულ კურკელში მშრალ ადგილას.

სანტონინი

Santoninum



უფერული, მწარე გემოს, უსუნო, კრისტალური ფხვნილია. ძლიერ ძნელად იხსნება წყალში (მდულარეში 1:250), სპირტში (1:45), ლობის ტემპერატურაა 171—174° (მზადდება მცენარე—*Artemisia cina* Berg-იდან).

იხმარება ასკარიდოზის წინააღმდეგ.

მკურნალობა წარმოებს შემდეგი მეთოდით:

I მეთოდი (მოზრდილებისა და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის).

მკურნალობის წინა დღეს და მკურნალობის დღეებში ავადმყოფი ღებულობს თხიერსა და ადვილად მოსანელებელ საჭმელს; ალკოპოლიანი და ცხიმვანი საჭმელის გამოკლებით.

მკურნალობის დღეს, პრეპარატის მთლიან დოზას ყოფენ სამ ნაწილად და აძლევენ უზმოზე, ყოველ საათში 3 საათის განმავლო-

ბაში (ე. ი. ვ-ჯერ), უკანასკნელი დოზის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ ეძლევა საფალარათო მარილი და მისი მოქმედების შემდეგ. — საკმელი. ასეთი მკურნალობა მეორდება მეორე დღესაც.

II მეთოდი (ბავშვებისა და ძლიერ დასუსტებული პირებისათვის): ავადმყოფი იმყოფება ისეთივე კვების რეჟიმზე, როგორც პირველი მეთოდით მკურნალობის დროს. სანტონინი ენიშნება დღეში სამჯერ (დილას, შუადღეს და საღამოს) ჭამამდე 1—2 საათით ადრე ორი დღის განმავლობაში. ამ დღეებში საღამოობით ავადმყოფი ღებულობს საფალარათო მარილს.

სანტონინის აძლევენ დოზებში: მოზრდილებს თითო მიღებაზე 0,08 — 0,1 გ, ბავშვებს ასაკის ყოველ წელზე — 0,005 გ.

უმალღესი ერთჯერადი დოზა მოზრდილთათვის — 0,1 გ. სადღელამისო — 0,4 გ.

უმალღესი დოზა ბავშვებისათვის (ექვს თვემდე არ ეძლევა):

1/2—1 წ.	—ერთჯერადი—	0,005 გ,	სადღელამისო	—0,015 გ
3—4 წ.	"	0,015 გ	"	—0,045 გ
5—6 წ.	"	0,03 გ	"	—0,09 გ
7—9 წ.	"	0,035 გ	"	—0,14 გ
10—14 წ.	"	0,05 გ	"	—0,15 გ

საფალარათოდ შეიძლება ხმარებულ იქნეს სანტონინთან ერთად რევანდის ფესვების ფხვნილი.

სანტონინის მიცემის უკუჩვენებას წარმოადგენს: ნეფროზო-ნეფრიტი, კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადება, მაღალი ტემპერატურა, ძლიერი კახექსია.

თანამოვლენებია (უპრო ხშირად გამოწვეული გადაჭარბებული დოზებით) თავის ტკივილი, ფალარათობა, გულისრევა, პირღებინება, გულისფრიალი, მხედველობის მოშლა (ქსანტოფსია), კრუნჩხვები. ასეთ შემთხვევებში საჭიროა საფალარათოს მიცემა საჩქაროდ ან ოყნები, ზოგჯერ კი კუჭის ამორეცხვა და საგულე საშუალებები.

საჭიროების დროს მკურნალობის გამეორება შეიძლება 2—3 კვირის შემდეგ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში, თითოში 0,01 გ, 0,02 გ, 0,04 გ და 0,05 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Santonini 0,06

D. t. d. 12 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.
(მოზრდილების დოზაა).

Rp.: Santonini 0,08

Pulveris radicis Rhei 1,0

M. f. p. D. t. d. 6

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ფილიქსანი

Filixanum

ფილიქსანი წარმოადგენს მოყვითალო ფერის, უსუნო და თითქმის უგემო ამორფულ ფხვნილს. კარგად იხსნება ნატრიუმისა და კალიუმის ტუტეებში, ცუდად — ქლოროფორმში, ეთერში და დიქლორეთანში. წყალში არ იხსნება.

ფილიქსანი მიღებულია ჩვენში მეტად გავრცელებულ მამრობითი გვიმრის ფესურასაგან.

ფილიქსანი გამოცდილია თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის ბიოლოგიური შეფასების განყოფილებაში, სადაც დადგინდა, რომ ის ადამილავებს მიწის ქიების გლუვ კუნთებს, ხოლო იხოცებიან ისინი ფილიქსანის 0,002 % ხსნარში.

კლინიკური დაკვირვებები (პლოტნიკოვი, მუჯირი და კალანდარაშვილი, გიგიტაშვილი, გერსამია და სხვ.) გვიჩვენებენ ფილიქსანის მაღალ ეფექტურობას ბრტყელი ქიების წინააღმდეგ — ტენიოზის, ტენიარინქოზის, დიფილობოტრიოზისა და ჰიმენოლემპიდოზის დროს.

პრეპარატს აქვს გაცილებით ნაკლები წინააღმდეგჩვენება, ვიდრე გვიმრის სხვა პრეპარატებს: მიუხედავად ამისა, თავი უნდა შეეკავოთ მისი ხმარებისაგან სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, ლეიძლის, თირკმლების მწვავე დაავადებებისა და აგრეთვე სიცხიანი ავადმყოფობის შემთხვევებში.

ავადმყოფები ფილიქსანს უფრო ადვილად ღებულობენ, ვიდრე გვიმრის სხვა პრეპარატს, ვინაიდან მას არა აქვს უსიამოვნო გემო, სუნი და იხმარება ტაბლეტების სახით, რაც მეტად აადვილებს მის გამოყენებას.

ფილიქსანის მიღების დროს არ არის საჭირო ავადმყოფების

სპეციალური დიეტური მომზადება, სასურველია მხოლოდ წინა ორი დღით წამლის დანიშვნამდე ცხიმების მიღების შეზღუდვა.

ავადმყოფებს წინა სალამოს ეძლევა მარილიანი საფალარათო, მეორე დღილს უკეთდება გასაწმენდი ოყენა, შემდეგ ეძლევა ფილიქსანი და პრეპარატის მიღებიდან 2 საათის გასვლის შემდეგ ავადმყოფი ისევ საფალარათო მარილს ღებულობს.

ფილიქსანს აძლევენ (მოზრდილებს) ყოველ 5 წუთში ორ-ორ ტაბლეტს, რომელსაც ავადმყოფები აყოლებენ ბორჯომის წყალს ან 2 % საკმელი სოდის ხსნარს.

საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა ფილიქსანით შეიძლება გამეორდეს 10 — 15 დღის შემდეგ.

ბავშვებს ან მოზრდილებს, რომელთაც არ უყვართ სოდიანი წყალი, შეიძლება მიეცეს მის ნაცვლად უბრალო წყალი.

ფილიქსანი გამოდის ტაბლეტების სახით à 0,5 გ.

დოზა: 5 წლის ასაკამდე—2—5 ტაბლეტი (1—2,5 გ)
5 წ. —10 წლ-მდე—6—8 (3—4 გ)
10 წ. —15 წლ-მდე—10—12 „ (5—6 გ)
15 წ. —20 წლ-მდე—12—18 „ (6—9 გ)
20 წ. — და მეტი—18—20 „ (9—10 გ)

ფილიქსანის ტაბლეტი ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Filixani 0,5

D. t. d. 20 in tabulettis

S მიიღოს დილით ორ-ორი ტაბლეტი, ყოველ 5—10 წუთში, დააყოლოს 2 % საკმელი სოდის ხსნარი ან ბორჯომის წყალი.

საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის დადგენილებით (ოქმი № 26, 13/IX—1952 წ.) ფილიქსანის გამოშვება ნებადართულია. ამჟამად თბილისის ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანაში მასობრივად ხდება პრეპარატის მომზადება.

ქენოპოდიუმის ზეთი


Oleum Chenopodii

ქენოპოდიუმის ზეთი ან მექსიკური ჩაის ზეთი Oleum Chenopodii მიიღება მცენარე — მექსიკური ჩაისაგან Chenopodium amb-

rosoides, var anthelminticum. ჩვენში ის მიიღება ამავე მცენარისაგან, რომელიც მოშენებულია ქობულეთში სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ზონალურ სადგურში.

ქენოპოდიუმის ზეთი უფერულია, ოდნავ მოყვითალო; ჰაერზე დიდხანს გაჩერებისას ღებულობს თითქმის წაბლისფერს; თავისებური სუნი და მწარე, ცხარე გემო აქვს. იხსნება ზეთში, სპირტში, მისი ხვედრითი წონაა 0,965—0,990 15° ტემპერატურის პირობებში.

ქენოპოდიუმის ზეთი იხმარება მრავალი პარაზიტების საწინააღმდეგოდ, ის უფრო ეფექტურია ასკარიდებისა და ანკილოსტომიდების წინააღმდეგ. ქენოპოდიუმის ზეთის მოქმედება დამოკიდებულია ასკარიდოლზე, რომელსაც ის შეიცავს 60-დან 80 %-მდე; ადგილობრივი ქენოპოდიუმის ზეთი შეიცავს უფრო მეტ ასკარიდოლს, ვიდრე შემოტანილი.



ჩვენებური ქენოპოდიუმის ზეთის მოქმედება ექსპერიმენტულად ძალღებზე, კატეზზე, მელიებზე შესწავლილია პეტროვის, სიდოროვის, გეფტის, ვეკუას, ზიმინის, სმირნოვას და სხვათა მიერ. ამის შემდეგ იგი გამოყენებულ იქნა ადამიანებზე კარგი შედეგებით (ვეკუა და სმირნოვა, კამალოვი და ფიფია, გუჯაბიძე, ლიუბჩენკო, მარმიშევა, თვალაშვილი, ცეცხლაძე და სხვ). მაღალ ეფექტურობას იგი იჩენს ასკარიდოზის დროს — ერთჯერადი მკურნალობის ჩატარებისას პარაზიტების სრული განდევნა ხდება 90 % და მეტ შემთხვევაში, ხოლო ანკილოსტომიდოზის დროს შედეგი უფრო ნაკლებია — იგი არ აღემატება 45 — 50 %-ს. არ იჩენს მოქმედებას ტრიქოცეფალოზის წინააღმდეგ, რაც მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ქენოპოდიუმის ზეთით მკურნალობის დანიშვნის დროს.

პარაზიტები გამოდიან მკურნალობის პირველივე დღეს, ნაწილობრივ მეორე დღესაც. განმეორებით საფალარათო ზეთის მიცემა აძლიერებს პარაზიტების გამოყოფას.

ქენოპოდიუმის ზეთს მალალთერაპიულ დოზებში შეუძლია გამოიწვიოს ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და სხვა უსიამოვნო მოვლენები ცენტრალურ ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, თირკმლებისა და ღვიძლის მხრივ.

ზოგჯერ ვითარდება თანამოვლენები: თავბრუსხვევა, გულისრევა, ტკივილები მუცლის არეში, ზოგჯერ პირღებინება. ეს მოვლენები არ მოითხოვენ სპეციალურ მკურნალობას და მალე ქრებიან თავისთავად პირველივე დეფეკაციის შემდეგ. მნიშვნელოვანი გართულებების დროს ავადმყოფს ურეცხავენ კუჭს და აძლევენ საგულე საშუალებებს.

ქენოპოდიუმის ზეთის ტოქსიკურობა მცირდება ერთდროულად საფალარათოს მიღების დროს, ამიტომ ის ენიშნება ავადმყოფებს ჩვეულებრივად საფალარათო ზეთთან ერთად.

მკურნალობის წესი. სასურველია მკურნალობა ჩატარებულ იქნეს სტაციონარში ან ნახევრადსტაციონარში. მკურნალობის დაწყებამდე ერთი-ორი დღით ადრე ავადმყოფს ეკრძალება ალკოჰოლიანი სასმელები, ენიშნება კვება — უმთავრესად ნახშირწყლოვანი. ეკრძალება ცხიმოვანი კერძები.

მკურნალობის წინა საღამოს ავადმყოფს უკეთდება გასაწმენდი ოცნა. დილით, მსუბუქი საუზმის შემდეგ (ერთი ჭიქა ტკბილი ჩაი, 100—150 გრამი პური) ერთი-ორი საათის გაფლის შემდეგ ავადმყოფს ეძლევა ქენოპოდიუმის ზეთი (მოზრდილთათვის) 40,0 გ, კარგად გახსნილი საფალარათო ზეთში. ბავშვებს საფალარათო ზეთი ეძლევა მათი წლოვანების შესაბამისად.

ქენოპოდიუმის ზეთის დოზა:

4 წლის ასაკში	— 0,2 მლ
5—6	— 0,3
7—8	— 0,4
9—10	— 0,6
11—12	— 0,7
13—14	„ — 0,8 „
15—16	„ — 1,0 „
17—18	„ — 1,25 „
19—20	„ — 1,5 „
20 და მეტი წლის ასაკში	— 2,0

ქენოპოდიუმის ზეთის გაზომვა ხდება გრადულირებული პიპეტით, კარგად უნდა აერიოს საფალარათო ზეთში და მიეცეს ავადმყოფს ერთჯერად. ამის შემდეგ საუზმის მიღება შეიძლება 3 — 4 საათის შემდეგ; თუ კუჭმა არ იმოქმედა, ავადმყოფს უნდა გაუკეთდეს ოყნა ან მიეცეს განმეორებით საფალარათო საშუალება.

ქენოპოდიუმის ზეთი შეიძლება დაენიშნოს ავადმყოფს აგრეთვე ელატინის კაფსულებში 0,5 მლ რაოდენობით თითო კაფსულში, სულ 3 კაფსული. ამ შემთხვევაშიც პრეპარატის მიღებამდე საჭიროა ავადმყოფის მომზადება, ხოლო წამლის მიღების 1 საათის გავლის შემდეგ აუცილებლად საჭიროა საფალარათო ზეთის მიცემა.

ქენოპოდიუმის ზეთით მკურნალობის განმეორება (საჭიროების შემთხვევაში) შეიძლება ჩატარდეს ერთი თვის გასვლის შემდეგ.

ქენოპოდიუმის ზეთით მკურნალობა არ არის ნაჩვენები, თუ ავადმყოფს პარაზიტებთან ერთად აქვს ღვიძლის, თირკმლების, კუჭნაწლავის წყლულოვანი ან სხვა რაიმე მწვავე ავადმყოფობა, ორსულობა, ნერვული სისტემის ორგანული დაავადება, სიცხიანი ავადმყოფობა; არ მიეცემა აგრეთვე ძლიერ დასუსტებულ პირებს და ღრმა მოხუცებულებს.

Rp.: Olei Chenopodii 1,5

Olei Ricini 40,0

M. D. S. კარგად აურიეთ და მიიღეთ მთლიანად.

Rp.: Olei Chenopodii 0,5

D. t. d. 4 in capsule gelationosae


S. მიიღოს საუზმის შემდეგ, დაყოლოს 40,0 გ საფალარათო ზეთი 1 საათის შემდეგ.

ჰეპტილრეზორცინი

Heptylresorcinum

ჰეპტილრეზორცინი ანტიპარაზიტული პრეპარატია. ის წარმოადგენს მოყვითალო ფერის ფხვნილს ან ფიფქისმაგვარ კრისტალებს, რომლებიც ჰაერზე ღებულობს ვარდისფერს. იხსნება სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ცუდად — წყალში. ღლიობის ტემპერატურა — 68 — 70°.

მისი ქიმიური ფორმულაა:



უფრო ხშირად იხმარება ასკარდოზის წინააღმდეგ, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ნაკლები ეფექტურობით ტრიქოცეფალოზისა და ანკილოსტომიდოზის საწინააღმდეგოდაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ პარაზიტების საწინააღმდეგო უფრო ეფექტური საშუალებების (ამა თუ იმ მიზეზის გამო) გამოყენება შეუძლებელი ხდება. მას მიმართავენ მაშინაც, როდესაც სანტონინი ან სანკოფენი არ იძლევა შედეგს.

ჰეპტილრეზორცინი იწვევს პირის ღრუში წვის შეგრძნებას, ამიტომ გამოშვებულია სახმარებლად ტაბლეტებში, რომლებსაც ირგვლივ აკრავს აცეტილ-ცელულოზა. თითოეული ტაბლეტი შეიცავს 0,1 სუფთა ჰეპტილრეზორცინს.

ბავშვებს ენიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლიათ ტაბლეტების მიღება, რადგან დაღეპვა მისი არ არის სასურველი ზემოთ აღნიშნული უსიამოვნო თვისების გამო.

ბავშვებს 5 წლის ასაკამდე ჰეპტილრეზორცინი არ ენიშნება; 5 — 10 წლამდე — ეძლევა 1 ტაბლეტი ყოველ ერთ წელზე; 10 — 16 წლამდე ეძლევა 10 — 12 ტაბლეტი (1,0 — 1,2 გ); 16 წლის ზემოთ — 14 — 15 ტაბლეტი (1,4 — 1,5 გ). მოზრდილთათვის უმაღლესი დოზაა — 15 ტაბლეტი, ე. ი. 1,5 გ სუფთა ჰეპტილრეზორცინისა.

ამ საშუალებით მკურნალობის ჩატარებისას საჭიროა ავადმყოფის მომზადება: წამლის მიღების წინა საღამოს ავადმყოფს უნდა გაეწმინდოს კუჭ-ნაწლავი საფალარათო მარილით. მეორე დილას სასურველია ოყნის გაკეთება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არ ჰქონდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება. ამის შემდეგ ავადმყოფი ღებულობს ჰეპტილრეზორცინის მთლიან დოზას $\frac{1}{2}$ საათის განმავლობაში, ე. ი. 2 — 3 ტაბლეტს ყოველ 5 წუთში წყლის დაყოლებით. უკანასკნელი ტაბლეტის მიღების 3 საათის გავლის შემდეგ შეიძლება ავადმყოფმა ისაუზმოს, წყლის მიღება არ არის შეზღუდული. სა-

ღამოს ავადმყოფს ეძლევა ისევ საფალარათო მარილი. ასკარიდების დაყრა ხდება წამლის მიღებიდან 4 — 6 საათის შემდეგ და გრძელდება 2 — 3 დღესაც, იშვიათად მეათე დღემდეც. მკურნალობის გამეორება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება 2 — 3 კვირის შემდეგ.

წამლის მიღების წინა დღეს, მიღების დღეს და მეორე დღე საც საჭიროა დიეტის დაცვა. ავადმყოფს ენიშნება ფაფა, წვნიანი, რძე, მაწონი, თათარა, დაკეპილი ხორცი, თოხლო კვერცხი, რუხი პური. ეკრძალება ცხიმოვანი, მწარე, ცხარე და ზედმეტად მარილიანი კერძების მიღება.

ჰეპტილრეზორცინით მკურნალობის დროს შეიძლება ავადმყოფს განუვითარდეს თანამოვლენები — თავბრუსხვევა, ტკივილები მუცელში და გულისრევა პირღებინებით. ასეთ შემთხვევაში საკმარისია შეწყდეს წამლის მიღება ან შემცირდეს მისი დოზა.

ჰეპტილრეზორცინით მკურნალობის წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, მწვავე დაავადება, ძლიერი სიგამხდრე. ორსულობა არ უშლის ხელს მკურნალობის ჩატარებას.

ჰეპტილრეზორცინი ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას, კარადა B-ში, კარგად თავდაცობილ ნარინჯისფერ შუშაში.

ტაბლეტების შენახვის ვადაა 1 წელი; ამის შემდეგ საჭიროა შემოწმდეს მისი ვარგისობა.

რეცეპტი:

Rp.: Heptylresorcini 0,1

D. t. d. 15 in tabulettis


S. ორ-ორი ტაბლეტი ყოველ 5 წუთში (მოზრდილთათვის), უზმოზე წყლის დაყოლებით.

გენციანვიოლეტი

Gentianvioletum S. Methylvioletum

გენციანვიოლეტი კრისტალური, მუქი იისფერი ფხვნილია, იხსნება წყალში, სპირტში, გლიცერინში; არ იხსნება ეთერში.

იხმარება ნაწლავის ზოგიერთი პარაზიტული დაავადების წინააღმდეგ (ენტერობიოზის, სტრონგილოიდოზის და ჰიმენოლეპილოზის დროს).



ენტერობიოზის დროს აძლევენ 0,06 — 0,08 გ 3-ჯერ დღეში 1 საათით აღრე კამამღე 5 დღის განმავლობაში; 7 დღის შესვენების შემდეგ ისევ მეორდება მკურნალობის კურსი, ხოლო შემდეგ 7 დღით მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ საჭიროა მკურნალობის ჩატარება.

სტრონგილოიდოზის შემთხვევაში გენციანვიოლეტს აძლევენ დოზებში — 0,05 — 0,1 გ 3-ჯერ დღეში კამის წინ ერთი საათით აღრე 8 — 15 დღის განმავლობაში. ზოგჯერ საჭირო ხდება მკურნალობის გამეორება, რაც უნდა ჩატარდეს 1 — 2 თვის შემდეგ.

ჰიმენოლექტიდოზის წინააღმდეგ გენციანვიოლეტს აძლევენ მამრობითი გვირის პრეპარატებთან ან იატრენტან კომბინირებულად სპეციალური სქემის მიხედვით.

საჭიროა უცხიმო დიეტური რეჟიმის დაცვა, არ შეიძლება ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.

გენციანვიოლეტს უნიშნავენ გელატინის კაფსულებში, ბავშვებს შეიძლება დაენიშნოს ფხვნილებში შაქართან ერთად.

გამოიყოფა შარდით და ფეკალურ მასასთან, რომელსაც ღებავს იისფრად.

თუ პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით განვითარდა გულისრევა, პირღებინება ან ტკივილი მუცლის არეში, მაშინ პრეპარატს უნიშნავენ კამის შემდეგ.

გენციანვიოლეტის 0,1 — 2 %-იანი წყლიანი ხსნარი იხმარება ადგილობრივ, როგორც ანტიმიკრობული საშუალება. უკანასკნელ დროს გენციანვიოლეტს იყენებენ კანდიდამიკოზის წინააღმდეგ შიგნით 0,25 გ რაოდენობით 3-ჯერ დღეში სხვა საშუალებასთან ერთად.

უკუჩვენებას წარმოადგენს ღვიძლისა და თირკმლების დაავადება.

გამოშვებულია ფხვნილებში.

Rp.: Gentianvioleti medicinalis 0,08

D. t. d. 12 in capsulis gelatinosis

S. თითო კაფსული 3-ჯერ დღეში ჭამის წინ ერთი საათით აღრე.

Rp.: Solutionis Gentianvioleti medicinalis 1 % — 50,0

D. S. კანზე წასასმელი.

ნ ა ფ თ ა მ ო ნ ი

Naphthammonium

ნაფთამონი ღია მომწვანო-ყვითელი ფერის, მწარე გემოს ფხვნილია; ცუდად იხსნება ცხელ წყალში, იხსნება სპირტში გაცხელებით.

ნაფთამონს აქვს ანტიჰელმინთური თვისება; იხმარება ანკილოსტომიდოზების, ასკარიდოზისა და ენტერობიოზის დროს.

მას აძლევენ უზმოზე, მოზრდილებს ერთბაშად 5 გ, პატარა ბავშვებს 2,5 გ. მთელი დღის დოზას ხსნიან $\frac{1}{4}$ ჭიქა წყალში, კარგად ურევენ და ასმევენ ერთ მიღებაზე. ცალკე საფალარათოს დანიშვნა არ არის სავალდებულო, რადგან თვით ნაფთამონს აქვს საფალარათო თვისება.

ავადმყოფის წინასწარი მომზადება არ არის საჭირო. მკურნალობა გრძელდება 1 დღეს, მხოლოდ თუ საჭიროება მოითხოვს, იგი შეიძლება გაგრძელდეს 3 — 5 დღეს, თუ კი ავადმყოფი მას კარგად იტანს.

მკურნალობა შეიძლება განმეორდეს 2 — 3 კვირის შემდეგ.

პრეპარატი ნაელებად ტოქსიკურია.

ღვიძლის დაავადება წარმოადგენს ნაფთამონით მკურნალობის წინააღმდეგჩვენებას.

მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს გულისრევა პირღებინებით, ფალარათით. დღეში 4 ჯერამდე კუჭის მოქმედება არ ჩაითვლება გართულებად.

გამოშვებულია ფხვნილებში.

ინახება ჩვეულებრივ პირობებში.

Rp.: Naphthammoni 5,0

S. გახსნას $\frac{1}{4}$ ჭიქა წყალში და მიიღოს უზმოზე.

მთლიანად.

კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებები

არტანი (ციკლოდოლი)

Artan (Cyclodolum)

თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა; ადვილად იხსნება წყალში; ლლობის ტემპერატურა — 243 — 245°.

აქვს სპაზმოლიზური თვისება.

იხმარება პარკინსონის დაავადების საწინააღმდეგოდ, პარკინსონიზმის, ლიტლის დაავადებისა და ექსტრაპირამიდული სისტემის დაავადებებთან დაკავშირებულ სპასტიკური დამბლის შემთხვევებში.

უნიჰნავენ შიგნით მისაღებად 0,001 გ დღეში, შემდეგ დოზას უმატებენ და აძლევენ 0,002 გ, 0,003 გ და ასე შემდეგ 0,006 გრამამდე დღეში. ამ დღიურ დოზას აძლევენ 3 — 4 მიღებაზე დღეში კამის დროს. თუ ავადმყოფი ღებულობს სხვა წამალსაც პარალელურად, უნდა შემცირდეს მისი დოზა და ბოლოს სულ უნდა მოიხსნას.

არტანს აქვს თანამოვლენები, როგორც არის სიმშრალე პირში, მხედველობის მოშლილობა, თავბრუხვევა, გულისრევა. არტანის დოზის შემცირებასთან ერთად ეს მოვლენებიც ისპობა.


არტანი გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001; 0,002; 0,005 გ. ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A).

Rp.: Artani 0,001

D. t. d. 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი დღეში 1-ჯერ კამის დროს, შემდეგ დღეებში თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ კამის დროს.

Dipheninum



თეთრი, მოყვითალო ელფერის უსუნო და ოდნავ მომწარო გემოს ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, არ იხსნება ეთერსა და ქლოროფორმში.

ხმარობენ ეპილეფსიის საწინააღმდეგოდ. აძლევენ შიგნით კაფსულებში ქამის შემდეგ.

მოზრდილებს ეძლევა შემდეგ დოზებში: 0,1 გ 2—3-ჯერ დღეში, საჭიროების მიხედვით დოზა შეიძლება თანდათანობით აყვანილ იქნეს დღე-ღამეში 0,4 გ-მდე. მკურნალობა ჩვეულებრივად გრძელდება თვეების მანძილზე (3—4 თვე).

ბავშვებს ეძლევა: 5 წ. ასაკში—0,025 გ 2-ჯერ დღეში, 5—8 წ.—0,025 გ 3-ჯერ დღეში, 8 წლის და მეტის ასაკში—0,1 გ 2-ჯერ დღეში.

თუ პრეპარატი არ იჩენს დამაკმაყოფილებელ ეფექტს, უნდა დაემატოს მკურნალობა ლუმინალით მცირე დოზებში.

თანამოვლენები: თავბრუსხვევა, აგზნებულობა, ზოგჯერ ტემპერატურის აწევა, გულისრევა, პირღებინება, კანკალი, გამონაყარი კანზე, ქავილი და სხვ. ასეთ შემთხვევებში საჭიროა დოზის შემცირება ან პრეპარატის სრულებით მოხსნა.

დიფენინი არ მიეცემა გულ-სისხლძარღვთა ღრმა ცვლილებებისა და ღვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,1. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Diphenini 0,1

D. t. d. 15 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში ქამის შემდეგ.

ტ რ ი მ ე თ ი ნ ი

Trimethinum



ტრიმეთინი თეთრი, კრისტალური, თავისებური სუნისა და მომწარო გემოს ფხვნილია. იხსნება წყალში, ადვილად—სპირტში, ეთერსა და ბენზოლში. ლღობის ტემპერატურაა 45—47°.

იხმარება ეპილეფსიის მსუბუქი ფორმის დროს (petit mal). უფრო ეფექტურია ბავშვთა ასაკში.

უნიშნავენ ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ; ბავშვებს—0,1—0,15—0,2 გ 2—3-ჯერ დღეში; მოზრდილებს—0,2—0,3 გ 2—3-ჯერ დღეში.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი—0,3 გ, სა-დღელამისო—0,9 გ.

აქვს იგივე უკუჩვენება და მსგავსი თანამოვლენები, რაც ჰექსამილინს.

გამოშვებულია ფხვნილების სახით.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ მინის ჭურჭელში მშრალ ადგილას.


Rp.: Trimethini 0,2

D. t. d. 12 in charta cerata

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ქ ლ ო რ ა კ ო ნ ი

Chloraconum



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, მცირედ იხსნება წყალში, კარგად—სპირტში. ლღობის ტემპერატურაა 92,5—93,5°.

იხმარება გვილეფსიის წინააღმდეგ (მოზრდილთათვის) 1 გ 2—3-ჯერ დღეში. თუ გულყრები გრძელდება, აძლევენ 5—6-ჯერაღ. ბავშვებს უნიშნავენ ასაკის მიხედვით—0,25—0,5 გ 2—3—4-ჯერ დღეში, ასე 6 თვის განმავლობაში. ამის შემდეგ დოზას თანდათანობით უკლებენ და ბოლოს სრულებით შეწყვეტენ პრეპარატის მიცემას. თუ ავადმყოფი ქლორაკონის დანიშვნამდე ლებულობდა ლუმინალს, უკანასკნელი, დოზის თანდათანობით შემცირებით, უნდა მოიხსნას, ხოლო ქლორაკონის დოზა, დაწყებული მცირე დოზიდან, თანდათანობით მომატებით უნდა მიეცეს სრულად.

გამოშვებულია ფხენილებსა და ტაბლეტებში 0,2, 0,25 და 0,5 გ რაოდენობით.

ინახება მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Chloraconi 0,5

D. t. d. 20 in tabul.

S. ორი ტაბლეტი სამჯერ დღეში.

ჰექსამიდინი

Hexamidinum



ჰექსამიდინი თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ელფერის კრისტალური ფხენილია. არ იხსნება წყალში, ეთერში, ბენზოლში. მცირედ იხსნება სპირტსა და აცეტონში. ლღობის ტემპერატურაა 280—282°.

ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა ლუმინალთან. იხმარება გვილეფსიის წინააღმდეგ. უფრო კარგ შედეგს იძლევა დიდი გულყრების დროს (grand mal). მოზრდილებს დღეში აძლევენ პირველ 2 დღეს პრეპარატის 0,125, გ, მესამე დღეს—0,25, შემდეგ დოზას ყოველ 3—7 დღეში უმატებენ, სანამ დღე-ღამეში არ მიალწევენ 0,5—1,5 გ (0,25—0,5 გ, 2—3-ჯერ დღეში).

პრეპარატის მიცემა შეიძლება დიფენინთან ერთად.

მკურნალობა ჩვეულებრივად გრძელდება 6 თვემდე, შემდეგ თანდათანობით დოზას ამცირებენ სრულ მოხსნამდე.

მკურნალობის განმავლობაში შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები, თავბრუხვევა, თავის ტკივილი, გულისრევა, ძილად მივარდნა, ანემია, ლეიკოპენია. ასეთ შემთხვევებში საკმარისია დოზის შემცირება.

უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის: ერთჯერადი—0,75 გ, საღლეამისო—2 გ.

ბავშვებისათვის უმაღლესი საღლეამისო:

3—6 წლის ასაკში — 0,25 — 0,75 გ; 7 — 10 წლის ასაკში — 0,5 — 1 გ; 11—13 წლის ასაკში — 0,75—1,25 გ; 14 — 16 წლის ასაკში — 0,75—1,5 გ.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,125 და 0,25 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად თავდაცობილ ქილებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

Rp.: Hexamidini 0,25


D. t. d. 24 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ჰისტამინი და ანტიჰისტამინური საშუალებები

ჰ ის ტ ა მ ი ნ ი

Histaminum



ჰისტამინი ბიოლოგიური ამინია, რომელიც წარმოიშვება ჰისტიდინისაგან; იმყოფება ორგანიზმში და ლებულობს მონაწილეობას სასიცოცხლო ფუნქციების რეგულაციაში. თავისუფალი ჰისტამინი ძლიერ აქტიურია; ორგანიზმში პარენტერალურად შეყვანის დროს ის იწვევს სისხლის წნევის დაწევას, კაპილარების გონვადობის გაძლიერებას, საშვილოსნოს შეკუმშვას, კუნთების სპაზმს, ბრონქების ლორწოვანის შეშუპებას, ჯირკვლების ექსკრეტორული ფუნქციის გაძლიერებას.

ჰისტამინს ამჟამად საექიმო პრაქტიკაში არა აქვს ფართო გამოყენება. ზოგჯერ მას ხმარობენ კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გამოსაკვლევად. ამისათვის უშხაპუნებენ კუნთებში 0,1%-იანი ხსნარის 0,5 მლ (0,0005 გ), 30—60 წუთის შემდეგ ძლიერდება წვენის გამოყოფა, რაც გრძელდება 1—1 1/2 საათის განმავლობაში. თუ არ იქნა მიღებული ასეთი შედეგი, ეს კუჭის სეკრეტორული სისტემის ორგანულ დაავადებას მოწმობს.

იშვიათად მიმართავენ ჰისტამინს სახსრების, კუნთების, ნერვების რევმატული დაავადების შემთხვევებში და პერიფერიული სისხლის ძარღვების სპაზმების დროს.

ჰისტამინის ქარბი დოზის შედეგად შეიძლება განვითარდეს შოკური მდგომარეობა; ასეთ შემთხვევაში კუნთებში ან ვენაში უნდა შევეშხაპუნოთ ადრენალინი.

ზოგიერთი დაავადების დროს (ჰინჭრის ცხელება, ბრონქული

ასთმა და სხვა ალერგიული დაავადება), როდესაც ექვი იზადება ჰისტამინის ზედმეტ აქტივობაზე, უნდა მივმართოთ ანტიჰისტამინურ პრეპარატებს (დიმედროლი, დიპრაზინი, ეტიზინი).


Rp.: Solutionis Histamini hydrochlorici 0,1%—1,0

D. t. d. 6. in ampulis

S. 0,5 აბჟულა კანქვეშ (კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გამოსაკვლევად).

დი ა ზ ო ლ ი ნ ი

Diazolinum



დი ა ზ ო ლ ი ნ ი თეთრი, წვრილკრისტალური ფხვნილია, ძნელად იხსნება წყალში და ორგანულ გამხსნელებში. მას აქვს ანტიჰისტამინური და ანტიალერგიული მოქმედება; ამავე დროს არ იჩენს დამამშვიდებელსა და ძილის მომკვრელ თვისებას (დიმედროლისაგან განსხვავებით).

ჩვენება დიაზოლინის დანიშვნისათვის: სხვადასხვა ალერგიული მდგომარეობა, ანტიბიოტიკურ საშუალებებთან დაკავშირებული ჭინჭრის გამონაყარი (ურტიკარია), ანგიონევროზული შეშუპებები. კაპილაროტოქსიკოზი, დერმატიტები, ქავილი, ოივის სურდო, რევმატული ინფექციები და სხვ.

უკუნჩვენებია კუჭისა და 12-გოჯას წყლულოვანი დაავადების დროს; აგრეთვე კუჭ-ნაწლავის მხრივ ანთებითი მოვლენების შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით: მოზრდილებს—0,05—0,1 გ 1—2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, კაფსულებში, ბავშვებს—0,02—0,05 გ 1—2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,01 და 0,1 გ.

ინიშნება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp. Diazolini 0,05

D. t. d. 15 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3 ჯერ დღეში ქამის შემდეგ.

დიმედროლი

Dimedrolum



დიმედროლი წვრილკრისტალური, უსუნო ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალსა და სპირტში, ძნელად იხსნება ქლოროფორმში, თითქმის არ იხსნება ეთერში. ლღობის ტემპერატურაა 162—167°.

დიმედროლი სინთეზური, ძლიერ აქტიური ანტიჰისტამინური საწულეა. იხმარება შემდეგი დაავადებების დროს: კინკრის ცხელება, წრატის შეყვანით გამოწვეული დაავადება. ჰემორაგიული ვასკულიტი, ვაზომოტორული რინიტები, ანგიონევროზული შეშუპებები, ალერგიული დაავადებები და ალერგიული მოვლენები წამლის მიღებასთან (მათ შორის ანტიბიოტიკებთან) დაკავშირებულ სხივური დაავადება.

დიმედროლს აქვს აგრეთვე სედატური და ქოლინოლითური მოქმედება და იხმარება პარკინსონიზმის, ორსულთა პირღებინების, უძილობის დროს.

დიმედროლს უნიწნავენ ძირითადად შიგნით ან კუნთებში შცყვანით (კანქვეშ არ ეძლევა, რადგან იწვევს ძლიერ ვალიზიანებას). ზოგნით აძლევენ ფხვნილებში (კაფსულებში ან ტაბლეტებში) 0,03—0,05 გ 2—3 ჯერ დღეში 10—15 დღის განმავლობაში. კუნთებში შეჰყავთ 0,01—0,05 გ 1—2% ხსნარის სახით.

ბავშვებს აძლევენ: 1 წლამდე 0,002—0,005 გ ერთ მიღებაზე, 2—5 წლამდე—0,005—0,015 გ, 6—12 წლამდე 0,015—0,03 გ.

უმაღლესი დოზა სრულსაკოვანთათვის: ერთჯერადი 0,1, სადღელამისო 0,25 გ. დიმედროლის მიღების დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები: თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, გულისრევა, ძილანობა, საერთო სისუსტე და სხვ. პრეპარატის დოზის 3:2

შემცირების ან მიღების შეწყვეტის შემდეგ ეს მოვლენები მალე ქრება.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში \pm 0,03—0,05 გ და ამპულებში 1 მლ 1% ხსნარი.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ნარინჯისფერ შუშის ქილებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Dimedroli 0,05

D. t. d. 10 in tablettis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

დიპრაზინი

Diprazinum



თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში, სპირტში, ქლოროფორმში: არ იხსნება ეთერში, ლლობის ტემპერატურა—221—225°.

ძლიერ აქტიური ანტიჰისტამინური საშუალებაა, ამ მხრივ სჯობნის დიმედროლს, აქვს სედატური მოქმედება, აძლიერებს ძილის მომგვრელ მაანალგიზებელ ნივთიერებათა მოქმედებას.

იხმარება ქინკრის ცხელების, შრატის ავადმყოფობის, ალერგიული მოვლენების, ზოგიერთი დერმატოზის, მენიერის დაავადების, ქორეის, ენცეფალიტის, ზღვის ავადმყოფობის წინააღმდეგ. მას იყენებენ აგრეთვე ქირურგიულ პრაქტიკაში ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერებების მოქმედების გასაძლიერებლად. დიპრაზინს უნიშნავენ შიგნით, კუნთებში და ვენაში შესაყვანად.

მოზრდილებს აძლევენ 0,025 გ 2—3-ჯერ დღეში ან კუნთებში 2,5% ხსნარის 1—2 მლ, ვენაში კი უკეთებენ ამავე ხსნარის 2 მლ.

უმალესი დოზა მოზრდილებისათვის: ერთჯერადი—0,05 გ, სადღელამისო—0,15 გ.

ბავშვებს 6 წლამდე შიგნით აძლევენ 0,0008—0,01 გ 2—3-ჯერ დღეში, უფრო მოზრდილებს — 0,012 — 0,015 გ 2 — 3-ჯერ დღეში.

თანამოვლენები: სიმშრალე პირში, გულისრევა. დიპრაზინს არ აძლევენ მთვრალეებს (ალკოჰოლის მოქმედების გაძლიერების გამო).

გამოშვებულია ფხვნილებში, ტაბლეტებში 0,025 გ, ამპულებში 2,5% ხსნარის 1 მლ და 0,5 ხსნარის 5 მლ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ჰერმეტიკულად დახურულ ნარინჯისფერ მინის კურკელში.

Rp.: Diprazini 0,025

D. t. d. 10 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp.: Solutionis Diprazini 2,5%—1,0


D. t. d. 10 in ampulis

S. ერთი მლ კუნთებში.

პ ი პ ო ლ ფ ე ნ ი

Pipolphen

პიპოლფენი ძლიერი ანტიჰისტამინური საშუალებაა, მისი მოქმედება გრძელდება პრეპარატის მიღებიდან 8—10 საათის განმავლობაში; მას აქვს აგრეთვე ძილმომგვრელი და ტკივილგამაყუჩებელი თვისება. იგი არის N — (2—dimethylaminopropyl)—Phenothiazin-ი, სტრუქტურული ფორმულა



პიპოლფენი იხმარება იმავე შემთხვევებში, რაც სხვა ანტიჰისტამინური ნივთიერებები (ჰინკრის ცხელება, შრატის ავადმყოფობა, თივის ცხელება). იხმარება აგრეთვე ეკზემის დროს, მწერე-

ბის ნაკებენზე, ზღვაზე და ჰაერში მოგზაურობის დროს გულისრევის პროფილაქტიკის მიზნით, ბრონქული ასთმის წინააღმდეგ სამკურნალოდ, ორსულობასთან დაკავშირებული გულისრევის წინააღმდეგ. ქირურგიულ პრაქტიკაში ოპერაციის წინა დღით აძლევენ პიპოლფენის 1—2 აბს (25—30 მგ), ხოლო ოპერაციის გაკეთების დღეს, ოპერაციის დაწყებამდე 2—3 საათით ადრე, კიდევ 25—50 მგ. პიპოლფენი აძლიერებს სხვა ძილმომგვრელი პრეპარატების მოქმედებას, რითაც სარგებლობენ ნეირო-ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, ფსიქოზების, ნევრალგიების და იზიალგიების წინააღმდეგ სამკურნალოდ. პიპოლფენს ხმარობენ აგრეთვე პარკინსონის დაავადების დროს.

პიპოლფენს უნიშნავენ დღეში 2—6 აბის რაოდენობით.

გემით ან თვითმფრინავით მოგზაურობის დროს აძლევენ 1 აბს 1—1,5 საათით ადრე.

აბს ყლაპავენ დაუღეჭავად.

ბავშვებს უნიშნავენ 1—4 აბს დღეში ტკბილი სასმელის დაყოფებით.

პიპოლფენი იხმარება აგრეთვე კუნთებში ღრმად შეყვანით 1—2 ამპულა დღე-ღამეში 2,5% 1.0. უფრო მოგვიანებით, მაგრამ უფრო ხანგრძლივად მოქმედებს პიპოლფენი სანთლების სახით გამოყენების დროს (\bar{a} 25 mg).

თანამოვლენებია: ზოგჯერ ძილიანობა და სუსტი თავბრუსხვევა, რის გამოც არ უნიშნავენ მანქანების მძღოლებს მუშაობის დროს.

პიპოლფენი გამოშვებულია:

აბების სახით; თითო აბი შეიცავს პრეპარატის 0,025 გ;

ამპულაში—2 მლ, შეიცავს 0,05 გ პრეპარატს.

სანთლების სახით \bar{a} 0,025 გ პრეპარატით.

ინახება მოფრთხილებით B კარადაში.

Rp.: Pipolpheni 0,025

D. t. d. 15 აბი.

S. თითო აბი 2—3-ჯერ დღეში.

ს უ პ რ ა ს ტ ი ნ ი

Suprastin

სუპრასტინის ერთი ტაბლეტი შეიცავს 0,025 N—Dimethyl-aminoethyl—N—p—chlorbenzyl— α —amino-pyridin hydrochloricum-ს.

პრეპარატს აქვს ანტიჰისტამინური მოქმედება. იხმარება ბრონქული ასთმის, ვაზომოტორული რინიტის, თივის ცხელების, კვინკეს შეშუპების, შრატის დაავადების, ქინკრის ცხელების და სხვა ალერგიული მოვლენების დროს. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში, თუ საჭიროება მოითხოვს—ორ-ორ ტაბლეტს 3-ჯერ დღეში ჭამის დროს; მიღებულ უნდა იქნეს დაულექავად. მძიმე შემთხვევებში შეიძლება სუპრასტინი შეყვანილ იქნეს ნელა კუნთებსა და ვენაშიც კი, 1—2 ამპულა დღეში, მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ აძლევენ ტაბლეტების სახით.

თუ განვითარდა თავბრუსხვევა, ძილიანობა ან მოღუნება, დოზა უნდა შემცირდეს ან დაენიშნოს პირიდან მიღება.

გამოშვებულია ტაბლეტებსა \bar{a} 0,025 და ამპულაში 2⁰/₆-იანი ზსნარის 1 მლ.

Rp.: Suprastini in tabulettis

D. 20

ა. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp.: Sol. Suprastini 2⁰/₆—1,0


D. t. d. 5 in ampulis

ს. ერთი ამპულა კუნთებში დღეში 1—2-ჯერ.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალებები

ფტივაზიდი

Plthivazidum



ფტივაზიდი ყვეთელი, წვრილკრისტალური, სუსტი არომატული სუნის ფხვნილია. წყალში თითქმის არ იხსნება, ცუდად—სპირტში. კარგად იხსნება არაორგანულ მკავებსა და ტუტეებში.

იხმარება ყველა ფორმისა და ლოკალიზაციის ტუბერკულოზური პროცესების წინააღმდეგ. მილიარული ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზური მენინგიტების დროს. საჭიროა მკურნალობა კომბინირებულად—სტრეპტომიცინსა და პასმთან ერთად.

სტენოკარდიისა და გულის დეკომპენსაციის დროს, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადების და თირკმლების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადების შემთხვევაში ფტივაზიდი სიფრთხილით ან სრულებით არ უნდა იქნეს ხმარებული.

უნიშნავენ მოზრდილებს 0,3—0,5 გ, 3—4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

უმალესი დოზა მოზრდილთათვის—ერთჯერადი—1 გ, სადღელამისო—2 გ, ბავშვებისათვის სადღელამისო—0,02—0,03 გ კილოგრამ წონაზე; სადღელამისო დოზა უნდა გაიყოს თანაბარ ნაწილებად 3 მიღებაზე დღეში.

მკურნალობის ხანგრძლივობა 2—3 თვე და მეტი. ამ ხნის განმავლობაში იხარჯება (მოზრდილთათვის) 60—120 გ.

შეიძლება სტაციონარულ და ამბულატორიულ პირობებში.

ზოგჯერ ვითარდება თანამოვლენები (თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, ტკივილის შეგრძნება გულის მიდამოში, ჰემორაგიული გამონაყარი, პარესთეზიები, გულისრევა, პირღებინება).

ამ მოვლენების საწინააღმდეგოდ საკმარისია დოზის შემცირება ან პრეპარატის დროებით მოხსნა.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,1; 0,3 და 0,5 გ.

ინახება მინის ჭურჭელში ჩვეულებრივ პირობებში.

Rp.: Phthivazidi 0,3 (0,5)

D. t. d. 30 in tabulettis


S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

პარა-ამინო-სალიცილმჟავა

Acidum para-amino salicylicum

პარა-ამინო-სალიცილმჟავა თეთრი, წვრილკრისტალური ფხვნილია, ცუდად იხსნება წყალში. იგი სინთეზური პრეპარატია. მისი ნატრიუმის მარილი—Natrium para-amino salicylicum წყალში კარგად იხსნება.

4-ამინო-2-ოქსი-ბენზოატ-ნატრიუმი:



პრეპარატი მომზადებულია საბჭოთა სპეციალისტების მიერ. იხმარება ტუბერკულოზური დაავადებების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ფილტვების ინფილტრატული ფორმისა და გამწვავებული ფიბროკავერნოზული ტუბერკულოზის დროს. ხმარობენ სხვა ორგანოთა ტუბერკულოზის დროსაც.

პრაქტიკულად ამ პრეპარატთან ერთად ხმარებაშია სტრეპტომიცინი და ფტივაზიდი.

შიგნით მიღებული იგი გამოიყოფა ორგანიზმიდან ძირითადად შარდით (85%).

იხმარება per os 2—3,0 გ ერთ მიღებაზე, დღეში 4-ჯერ ჭამის ერთი საათის შემდეგ, 2% საკმლის სოდის ხსნარით ან 1/2 ჭიქა რძით. მკურნალობა გრძელდება 3 თვემდე და საჭიროა მოზრდილი ადამიანისათვის პრეპარატის 1/2 - 1 კილოგრამი. თუ ავადმყოფი პრეპარატს კარგად იტანს და საჭიროება მოითხოვს, შეიძლება ყოველდღიური დოზა გადიდდეს 4 გ დღეში 4-ჯერ, ე. ი. მიიღოს სულ 16 გ.

შეიძლება მკურნალობის ყოველი თვის ბოლოს შესვენება ერთი კვირით.

ზოგჯერ პარა-ამინო-სალიცილმჟავა ნატრიუმით მკურნალობის დროს აღგილი აქვს თანამოვლენებს, როგორცაა: გულისრევა, პირღებინება, კონიუნქტივიტი, ურტიკარია, შემცივნებები, ღვაძლისა და თირკმლების მხრივ დაავადების მოვლენები, ლეიკოპენია, ანემია და სხვ. ამიტომ საჭიროა ექიმის მეთვალყურეობა მკურნალობის პერიოდში, შარდისა და სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევა და სხვ. თუ განვითარდა თანამოვლენები, საკმარისია პრეპარატის დოზის შემცირება ან მისი მიღების დროებით შეწყვეტა.

იშვიათ შემთხვევებში პარა-ამინო-სალიცილმჟავა ნატრიუმი იხმარება პლევრის ემპიემის დროს (5—10%-იანი ხსნარის 20—40 მლ გამოსარეცხად) და აგრეთვე ვენაში შეყვანით (3%-4%—500 მლ წვეთობრივად ტუბერკულოზური მენინგაიტებისა და მილიარული ტუბერკულოზის დროს).

პარა-ამინო-სალიცილმჟავა გამოშვებულია ფხვნილებში და ტაბლეტებში 0,5—1 გ; აგრეთვე 5—10—20% ხსნარი ამპულაში.

ინახება კარგად დახურულ ქილებში მშრალ, დაბნელებულ ადგილას.

Rp.: Natrii para-amino salicylici 3,0


D. t. d. 20

S. თითო ფხვნილი 4-ჯერ დღეში ჭამიდან ერთი საათის შემდეგ, 1/2 ჭიქა რძეში (ან იმავე რაოდენობის 1/2% საკმელი სოდის ხსნარში).

ს ა ლ უ ჯ ი დ ი

Saluzidum

სალუზიდი მოყვითალო-მწვანე ფერის კრისტალური ფხვნილია, ლღობის ტემპერატურაა 196—203°. არ იხსნება ეთერში, ძნელად იხსნება წყალში, ადვილად—ტუტეებში.



სალუზიდს აქვს ფტივაზიდის მაგვარი მოქმედება. იხმარება ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ; კარგად შეიწოვება კუჭნაწლავის ტრაქტიდან და ადვილად გადადის ორგანიზმის ქსოვილებში.

უნიშნავენ შიგნით 0,3—0,5 გ 2—3-ჯერ დღეში 2—3 თვის განმავლობაში, ერთ კურსზე სულ იხარჯება პრეპარატის 60—90 გ.

სალუზიდი გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში 0,5 გ. ინახება მოფრთხილებით (კარადა B) სინათლისაგან დაცულ მშრალ ადგილას.


Rp.: Saluzidi 0,5

D. t. d. 30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

სალუზიდი ხსნადი

Saluzidum Solubile



ხსნადი სალუზიდი თეთრი, ან მოყვითალო-თეთრი, კრისტალური ფხვნილია, ლღობის ტემპერატურაა 179—180°. ადვილად იხსნება წყალსა და სპირტში. არ იხსნება ეთერში.

სალუზიდის 5% ხსნარი წყალში, 0,05% სტაბილიზატორ-ნატრიუმის ციტრატის დამატებით, მდგრადია და იტანს სტერილიზაციას. ასეთ ხსნარს აქვს სუსტი მოყვითალო-მწვანე ფერი. pH 6,84—6,96.

სალუზიდი მოწოდებულია ტუბერკულოზის ყოველგვარი პროცესის საწინააღმდეგოდ.

იხმარება:

1) კანქვეშ, კუნთებში 10 მლ 5 ან 10% ხსნარი. ავადმყოფი თუ კარგად იტანს, შეიძლება დოზა გადიდდეს 2 გ-მდე.

2) ვენაში—5% ხსნარის 10 მლ ნელი შეყვანით—1 მლ 1 წუთის განმავლობაში.

3) სუბარაქნოიდალურად იხმარება 5% ხსნარი.

4) ღრუების გამოსარეცხად 5—10% ხსნარი.

5) ინტრატრაქეალურად 5% ხსნარის 2—3 მლ, სულ 10—20 შეშხაპუნება 1 კურსზე.

6) აეროზოლის სახით ფილტვების ტუბერკულოზის დროს ინჰალაცია 2,5—3 მლ 10% ხსნარისა 2—3-ჯერ დღეში, 20—60 დღის განმავლობაში.

7) ტუბერკულოზური მენინგიტის შემთხვევებში 5% ხსნარის 1,5—2 მლ კილოგრამ წონაზე შეჭყავთ ზურგის ტვინის არხში ყოველდღე ან დღეგამოშვებით.


სალუზიდთან ერთდროულად ურჩევენ ფტივაზიდის, სტრეპტომიცინისა და პარა-ამინო-სალიცილმჟავას მიღებას.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ამპულებში 5% ხსნარის 1—2—10 მლ და 10% ხსნარის 10 მლ.

ინახება ამპულებში სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ტუბაზიდი

Tubazidum



ტუბაზიდი თეთრი, კრისტალური, მწარე გემოს ფხვნილია, ლობის ტემპერატურაა 170—174°. იხსნება წყალში (1 : 5), სპირტში (1 : 10).

ჩვენება: ფილტვების ტუბერკულოზი, ბრონქოადენიტები

სეროზული გარსების, კანისა და სხვა ტუბერკულოზური პროცესები.

მილიარული ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზური მენინგიტების დროს იხმარება სტრეპტომიცინთან ერთად.

უკუჩვენება: ეპილევსია, ფსიქიკური დაავადებები, მკვეთრი ათეროსკლეროზი, ნეიროლუესი, ლეიძლისა და თირკმლების დაავადებანი ფუნქციის დარღვევით.

აძლევენ 3—5 მგ კილოგრამ წონაზე, 2—3-ჯერ დღე-ღამეში, ე. ი. ავადმყოფის წონის მიხედვით 0,1—0,15 გ დღეში; თუ კარგად იტანს, უმატებენ დოზას და აძლევენ 0,3—0,4 გ დღეში. მკურნალობის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 4 თვეს; მილიარული ტუბერკულოზისა და მენინგიტების დროს უფრო დიდხანს (1 წელი). ღრუების გამოსარეცხად იხმარება ტუბაზიდის 1—2% ხსნარის 100—200 მლ.

რადგან ტუბაზიდს აქვს გამოხატული ტოქსიკურობა, მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები: თავბრუხვევა, თავის ტკივილი, უძილობა, კრუნჩხვები, გულისრევა, პირღებინება, მადის დაკარგვა, გულისფრიალი, ტკივილი და სხვ. ასეთ შემთხვევებში უკლებენ დოზას ან სრულებით წყვეტენ პრეპარატის მიცემას. ნერვული სისტემის მხრივ თანამოვლენების პროფილაქტიკისათვის ტუბაზიდთან პარალელურად აძლევენ B ან B₆ ვიტამინს.

გამოშვებულია ფხვნილებსა და ტაბლეტებში à 0,1 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალ ადგილას, კარგად დახურულ ქურქელში.


Rp.: Tubazidi 0,1

D. t. d. 30 in tabulettis

S. 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ი უ გ ლ ო ზ ი

Iuglonum



იუგლონი ყვითელი, ნარინჯისფერი, კრისტალური ფხვნილია. წყალში იხსნება მცირედ, შედარებით კარგად—სპირტში, ეთერში.

იუგლონს იყენებენ კანის ტუბერკულოზის (მგლურას, სკროფულოდერმიის) და აგრეთვე ქრონიკული ექზემის, ეპიდერმოფიტიის წინააღმდეგ.

ხმაროენ 1—4% იანი მალამოსა და წყლიან-სპირტიანი ხსნარის სახით (1:1000—1:10000) საფეხებისათვის.

მალამო მზადდება ვაზელინზე ან ლანოლინზე 5—10% ანესთეზინის დამატებით კანის წვის შესამცირებლად.


წყლიან-სპირტიანი ხსნარი ინახება 5 დღის განმავლობაში. მალამოს წასმას უნიშნავენ 1—2-ჯერ დღეში 3 დღის განმავლობაში, ამის შემდეგ შავ მშრალ ქერქს აშორებენ ზეთით ან ვაზელინით და ისევ მიმართავენ ნაკლებ კონცენტრულ მალამოს ნაწიბურის გაჩენამდე.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მინის ქილებში, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ეთოქსიდი

Aethoxydum

ეთოქსიდი წარმოადგენს 4,4 დიეტოქსითიოკარბანილიდს, სტრუქტურული ფორმულაა:



თეთრი, კრისტალური ფხვნილია, არ იხსნება წყალში, იხსნება აცეტონში და მდულარე სპირტში. ლღობის ტემპერატურაა 167—169°.

პრეპარატს აქვს მაღალი ბაქტერიოსტატიკური აქტივობა ტუბერკულოზური ინფექციის მიმართ. სხვა ბაქტერიებზე არ მოქმედებს. აკავებს პათო გენური სოკოების ზრდას.

ეს პრეპარატი იჩენს მაღალ ქიმიოთერაპიულ აქტივობას თეთრი თავგებისა და ზღვის გოქების ექსპერიმენტული ტუბერკულოზის დროს. ტუბერკულოზით დაავადებული ეს ცხოველები კარგად იტანენ ეთოქსიდს. ასევე წინაური კურდღლებიც 20 დღის განმავლობაში 100 მგ კ/წონაზე ყოველგვარი გართულების გარეშე.

ეთოქსიდი იხმარება ტუბერკულოზის წინააღმდეგ სხვა ანტი-

ტუბერკულოზურ პრეპარატებთან კომბინაციაში, განსაკუთრებით რეზისტენტულ შემთხვევაში, ან კიდევ ამ პრეპარატისადმი გაძლიერებული მგრძობილობის დროს.

პრეპარატს უნიშნავენ შიგნით ჭამის წინ 0,25 გ დღე-ღამეში. ამ დოზას თანდათანობით უმატებენ და კვირის განმავლობაში აჰყავთ 0,5—1 გ დღე-ღამეში.

ბავშვებს ეძლევათ წლოვანების მიხედვით. მკურნალობა გრძელდება 5 თვეს და მეტსაც.

ეთოქსიდი ჩვეულებრივად არ იძლევა გართულების მოვლენებს, ავადმყოფები მას კარგად იტანენ. ერთეულ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ალერგიული რეაქცია (ქავილი, ჰინქრის გამონაყარი და სხვ.), თავის ტკივილი, ტემპერატურის აწევა, რაც მოითხოვს დოზის შემცირებას ან დროებით პრეპარატის მოხსნას. ეთოქსიდი გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 და 0,5 გ.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) ჩვეულებრივ პირობებში.

Sp.: Aethoxydi 0,25

D. t. d. 50 in tabulettis


S. თითო ტაბლეტი ჭამის წინ ერთჯერ დღეში.



ანტიმალარიული და ანტიპროტოზოული საშუალებები

აკრიქინი

Acrichinum



აკრიქინი ყვითელი, წვრილკრისტალური ფხვნილია, უსუნო და ძლიერ მწარე გემოსი. იხსნება წყალში, სპირტში, გლიცერინში. წყალხსნარი იძლევა ფლუორესცენციას.

აკრიქინი სინთეზური პრეპარატია, იხმარება მალარიის საწინააღმდეგოდ; ნალვლის ბუშტის ლამბლიოზის, ბრტყელი პარაზიტების, ლეიშმანიოზისა და წითელ მგლურას საწინააღმდეგოდ.

მალარიის დროს აკრიქინი ენიშნება შიგნით ტაბლეტების სახით ან კუნთებში (კანქვეშ) ინექციებით 4% ხსნარის 7—5 მლ დღეში. შიგნით ეძლევა კამის შემდეგ—დოზებში—0,1 გ 3-ჯერ დღეში 6—7 დღის განმავლობაში; შემდეგ შესვენება 6—10 დღე. ამის შემდეგ იწყება გეურნალობის მეორე ციკლი 3 დღის განმავლობაში იმავე დოზებში, შემდეგ ისევ დასვენება 6—10 დღით და კიდევ სამი დღის განმავლობაში ენიშნება აკრიქინი ისევ იმავე დოზებში. აკრიქინი მოქმედებს მალარიის პლაზმოდების უსქესო ფორმებზე და არ იჩენს გავლენას გამეტოციტებზე. ეს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და საჭიროების დროს მას უნდა დაემატოს პლაზმოციდი ან ბიგუმალი.

ასეთი კომბინირებული ტაბლეტები გამოშვებულია კიდეც და ფართოდ იხმარება (იხ. ქვემოთ).

პროფილაქტიკური მიზნით აკრიქინი პლაზმოციდით ენიშნება მთელი ეპიდემიური სეზონის განმავლობაში. ორი ტაბლეტი ორი დღე ზედიზედ 4—5-დღიანი შესვენებით.

მალარიული კომის შემთხვევაში ავადმყოფის მკურნალობა წარმოებს შემდეგი წესით: პირველ დღეს 0,3 გ აკრიქინის (ხსნარში) ინექციები კუნთებში ორჯერ 6—8 საათის განმავლობაში, მეორე და მესამე დღეს ინექციები 0,4 გ დღე-ღამეში. შემდეგ აკრიქინი ეძლევა შიგნით ჩვეულებრივ დოზებში.

ლეიძლის ბუშტის ლამბლიოზის წინააღმდეგ ავადმყოფს აკრიქინი ეძლევა 3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი (0,1 გ) ქამის წინ $\frac{1}{2}$ საათით ადრე, 5—8 დღის განმავლობაში. ბავშვებს თითო მიღებაზე: 3 წლის ასაკში—0,025 გ, 4 წლის ასაკში—0,04 გ, 5 წლის—0,05 გ, 7 წლის—0,07 გ, 8—14 წლის—0,1 გ, 16 წლის ასაკში—0,1 გ.

აკრიქინი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ტენიიდოზების წინააღმდეგ. ორი დღით ადრე ავადმყოფს უნიშნავენ ნახშირწყლებით მდიდარ უცხიმო კვებას, წინა დღეს საღამოს ავადმყოფი ლეზულობს სასაქმებელ მარილს. მეორე დილას ავადმყოფს უკეთდება ოყნა, ერთი საათის შემდეგ ყოველ 10 წუთში ეძლევა აკრიქინის 2 ტაბლეტი ბორჯომის წყლის ანდა სოდის 2% ხსნარის დაყოლებით. სულ ეძლევა 10 ტაბლეტი. უკანასკნელი ტაბლეტის მიღებიდან 1,5—2 საათის შემდეგ ავადმყოფი ლეზულობს ისევ სასაქმებელ მარილს, ხოლო კუჭის მოქმედება თუ არ ექნა 3 საათის განმავლობაში, უკეთებენ ოყნას. გასაწმენდ ოყნას უკეთებენ განმეორებით მაშინაც, თუ პარაზიტის თავი არ გამოვიდა.

ჰიმენოლეპიდოზისა და დიფილობოტრიოზის შემთხვევებში საჭიროა მკურნალობის გამეორება 2 კვირის შემდეგ და ზოგჯერ მესამედაც ასეთივე ინტერვალით.

ბავშვებს დეჰელმინთიზაციის მიზნით აკრიქინი ენიშნებათ შემდეგ დოზებში:

3— 4 წლის ასაკში—	0,15 გ—	0,2 გ.
5— 6 —	—0,25	—0,3
7— 9 —	—0,35	—0,4
10—12 —	—0,45	—0,5
13—14 —	—0,6	გ
15—16 —	—0,7	გ
16 წლის ასაკში—	0,8—	1,0 გ

წითელი მგლურას შემთხვევაში აკრიქინის უნიშნავენ ტაბლეტებში 0,13-ჯერ დღეში 10 დღის განმავლობაში, 5—7 დღის შესვენებით; სულ აწარმოებენ 5-ჯერ ასეთ მკურნალობას.

კანის ლეიშმანიოზის დროს აკეთებენ 5% აკრიქინის (ამპულებში) ხსნარის (ნოვოკაინის 1% ხსნარში) ინექციებს, ინექციები მეორდება 3—4 კვირაში.

აკრიქინი მალე შეიწოვება ორგანიზმში და დიდხანს რჩება; გამოიყოფა თირკმლებით და აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით ნალევლთან ერთად.

აკრიქინთერაპიის გართულებას წარმოადგენს სიყვითლე, რომელიც გაივლის პრეპარატის ზილების შეწყვეტიდან 3—4 კვირის შემდეგ. იშვიათად შეიძლება განვითარდეს დროებითი ფსიქიკური მოვლენები— „აკრიქინული ფსიქოზი“—ზალუცინაციებით, უძილობით, საერთო სისუსტით. ასეთ შემთხვევებში უნდა შეწყდეს აკრიქინის შეყვანა და ავადმყოფს დაენიშნოს უხვად სითხის მიღება, გლუკოზის ხსნარი და დამამშვიდებელი საშუალებები.

აკრიქინით მკურნალობა უკუნაჩვენებია ფსიქიკური დაავადებების დროს და საერთოდ იმ შემთხვევაშიც, თუ წარსულში ფსიქიკურ სფეროში ამა თუ იმ მოვლენას ჰქონია ადგილი; აგრეთვე სიყვითლის განვითარების დროს და თირკმლების გამოყოფითი ფუნქციის შემცირების შემთხვევაში.

აკრიქინის უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,2 გ, სადღეღამისო—0,6 გ (დეჰელმინთიზაციის მიზნით—1 გ).

აკრიქინი გამოშვებულია ტაბლეტების სახით $\dot{\text{a}}$ 0,1 გ, აგრეთვე ტაბლეტებში პლანმოციდთან ერთად—აკრიქინი 0,1 გ და პლანმოციდი 0,02 გ (მწვანე ტაბლეტი), და ბიგუმალთან ერთად—აკრიქინი 0,1 გ, ბიგუმალი 0,1 გ და პლანმოციდი 0,02 (მოყვითალო წაბლისფერი ტაბლეტები); იგივე პრეპარატები ბავშვებისათვის გამოშვებულია ნახევარ დოზებში. გამოშვებულია ფხვნილების სახითაც ხსნარების დასამზადებლად.

აკრიქინი ინახება მოფრთხილებით (კარადა B) კარგად დახურულ ქილებში.

Rp.: Acricini 0,1

N. t. d. 15 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Sol. Acricini 4%—30,0

Sterilisetur


D. S. 7,5—10 მლ კანქვეშ დღეში ერთჯერ.

Rp.: Acrichini 0,1
 Plasmocidi 0,02
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Acrichini 0,1
 Plasmocidi 0,02
 Bigumali 0,1
 D. t. d. 10 in tabulettis
 S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

ბიგუმალი

Bigumalum



თეთრი, კრისტალური, უსუნო, მწარე გემოს ფხვნილია, ძნელად იხსნება სპირტში, მცირედ იხსნება წყალში (1% 20° ტემპერატურაზე).

ბიგუმალი ანტიმალარიული პრეპარატია; ქინაქინისა და აკრიქინის მსგავსად ის მოქმედებს შიზონტებზე (შიზონტური ეფექტი) და ვერ იჩენს გავლენას გამეტოციტებზე. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული აქტიურობა ტროპიკული მალარიის დროს.

ბიგუმალი შიგნით მიღების შემდეგ მალე შეიწოვება და გადადის სისხლში. მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლში ხდება პრეპარატის მიღებიდან 2—3 საათის შემდეგ.

მკურნალობა ბიგუმალით წარმოებს 5—7 დღის განმავლობაში. პირველ დღეს აძლევენ 0,3 გ ორჯერ დღეში, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 დღეს 0,3 გ ერთჯერ დღეში და ამდენივე დოზებში მე 6 და მე-7 დღესაც, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

ბიგუმალითა და პლაზმოციდით მკურნალობას აწარმოებენ 5 დღის განმავლობაში: პირველ დღეს ავადმყოფს ეძლევა ბიგუმალი 0,3 და პლაზმოციდი—0,03 გ ორჯერ დღეში; მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 დღეს—ბიგუმალი 0,3 გ ერთჯერ დღეში და პლაზმოციდი—0,03 გ ორჯერ დღეში.

მიღებულია მკურნალობა აკრიქინის, ბიგუმალისა და პლაზმოციდის კომბინაციით (აბკ) 7 დღის განმავლობაში. ამ პრეპარატების ნარევი გამოშვებულია ტაბლეტების სახით, თითო ტაბლეტი შეიცავს აკრიქინს—0,1 გ, ბიგუმალს—0,1 გ და პლაზმოციდს—0,02 გ. უნიშნავენ შიგნით თითო ასეთ ტაბლეტს 3-ჯერ დღეში 7 დღის განმავლობაში. კომბინირებული ტაბლეტები ბავშვებისათვის შეიცავს შემადგენელ ნივთიერებებს ნახევარ დოზებში. ბავშვებს 1 წლამდე კომბინირებული ტაბლეტებით მკურნალობას არ უნიშნავენ.

ბიგუმალის უმაღლესი დოზა მოზრდილთათვის — ერთჯერადი—0,3 გ, სადღეღამისო—0,6 გ

ბავშვებისათვის უმაღლესი დოზა:

1/2 წ.	—1 წლამდე ასაკში—	ერთჯერადი—	0,0125 გ.
2 წ.		"	—0,025 გ
3—4 წ.		"	—0,03 —0,04 გ
5—6 წ.		"	—0,04 —0,05 გ
7—9 წ.		"	—0,075 გ
10—14წ.		"	—0,1—0,125 გ

1/2 წ.	—1 წლამდე ასაკში—	სადღეღამისო—	0,025 გ
2 წ.		"	—0,05 გ
3—4 წ.		"	—0,06—0,08 გ
5—5 წ.		"	—0,08—0,1 გ
7—9 წ.		"	—0,15 გ
10—14წ.		"	—0,2 —0,25 გ

რეციდივის საწინააღმდეგო მკურნალობა ტარდება 7 დღიანი სისტემატური მკურნალობის კურსის გამეორებით.

პროფილაქტიკის მიზნით ეპიდემიური სეზონის განმავლობაში კვირაში ორჯერ აძლევენ ორ-ორ კომბინირებულ ტაბლეტს (ბიგუმალი და პლაზმოციდი).

მალარიული კომის დროს ბიგუმალს აძლევენ შიგნით 0,3 გ, ორჯერ 6 საათის ინტერვალით და შემდეგ 0,2 გ, ე. ი. დღე-ღამეში სულ 0,8 გ, ხოლო თუ პრეპარატის მიცემა შიგნით შეუძლებელია, უკეთებენ ვენაში 1% ხსნარის 15 მლ (0, 15 გ) ნელი შეყვანით (5 წუთის განმავლობაში), განმეორებით—იმევე რაოდენობით 5 საათის შემდეგ. გაკეთების წინ ხსნარი ოდნავ უნდა შეთბეს. დღე-ღამის განმავლობაში ბიგუმალი ამ სახით ეძლევა 0,45 გ-მდე, გონზე მოსვლის შემდეგ უნიშნავენ ჩვეულებრივი 7-დღიანი ბიგუმალით მკურნალობის კურსს.

ბიგუმალი არ იძლევა თანამოვლენებს, ავადმყოფები კარგად იტანენ, მათ შორის ორსულები და ბავშვები.

ბიგუმალი გამოწვეულია თეთრი ფერის ტაბლეტებში 0,1 გ რაოდენობით. აგრეთვე კომბინირებულად ცალკე პლაზმოციდთან, აკრიქინთან და ორივესთან ერთად (აბპ), და ფხვნილების სახით ბიგუმალის ხსნარის მოსამზადებლად.

ინახება მოფრთხილებით (კარადა B) მშრალსა და სინათლისაგან დაცულ ადგილას.


Rp.: Bigumali 0,1

D. t. d. 20 in tabulettis

S. პირველ დღეს 3 ტაბლეტი 2-ჯერ, დანარჩენ 4 დღეს 3 ტაბლეტი 1-ჯერ დღეში.

პლაზმოციდი

Plasmocidum



მოყვითალო-ნარინჯისფერი, ოდნავ მწარე გემოს ფხვნილია, წყალში არ იხსნება, მკირედ იხსნება სპირტში.

პლაზმოციდი სინთეზური ანტიმალარიული საშუალებაა; თავისი მოქმედებით შეესაბამება საზღვარგარეთულ პრეპარატს—პლაზმოქინს.

პლაზმოციდი მოქმედებს ყველა სახის მალარიის პლაზმოდების სქესობრივ ფორმებზე (გამეტოციტებზე); უსქესო ფორმებზე მისი გავლენა მეტად უმნიშვნელოა. ამიტომ მალარიის დროს ის იხმარება სხვა ანტიმალარიულ შიზოტროპულ (აკრიქინი, ქინაქინი, ბიგუმალი) პრეპარატებთან ერთად. ცალკე პლაზმოციდი არ იხმარება.

0,02 გ პლაზმოციდს და 0,1 გ აკრიქინს ერთად ტაბლეტებში (მწვანე ფერის ტაბლეტები) აძლევენ დღეში 7-ჯერ ციკლურად

(5,3 და 3 დღეს) ორჯერ 7—10 დღე შესვენებით (სულ 15—31 დღის განმავლობაში).

0,01 გ პლაზმოციდი 0,1 გ ბიგუმალთან ერთად (რუხი ფერის ტაბლეტები) ეძლევა ავადმყოფებს 3-ჯერ დღეში 5 დღის განმავლობაში. პირველ დღეს დამატებით აძლევენ 0,1 გ ბიგუმალს 3-ჯერ.

0,01 გ პლაზმოციდი 0,2 გოგირდმჟავა ქინაქინასთან ერთად ეძლევა დღეში 3-ჯერ. მკურნალობა ტარდება სამ-სამი დღე სამჯერ ოთხდღიანი ინტერვალით, სულ 4 ციკლი. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 24 დღეს.

პლაზმოციდის უმაღლესი ერთჯერადი დოზა მოზრდილები-სათვის—0,04 გ, სადღელამისო—0,06 გ, უმაღლესი დოზა ბავშვებისათვის:

2 წლამდე—ერთჯერადი—	0,005 გ,	სადღელამისო—	0,01 გ
3—4 წ.	—0,0075 გ		0,015 გ
5—6 წ.	—0,01 გ		0,02 გ
7—9 წ.	—0,015 გ		0,03 გ
10—14 წ.	—0,02—0,025 გ		0,04—0,05 გ

ბავშვებს 1 წლის ასაკამდე პლაზმოციდი არ მიეცემა.

პლაზმოციდით მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს თანამოვლენები: თავის ტკივილი, ტკივილი გულის კოეზთან, პარესთეზიები, ზედმეტი დოზების მიღების დროს—პოლინევრიტი, ატაქსია, მხედველობის ნერვის ატროფიაც კი. ამიტომ საჭიროა ყოველდღიური ყურადღება და ინტოქსიკაციის პირველი ნიშნების განვითარებისთანავე (თავის ტკივილი, ტკივილი გულისკოეზთან) უნდა შეწყდეს პლაზმოციდის მიცემა. თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა გამოერეცხოს კუჭი, მიეცეს უხვად სითხე, გაუკეთდეს კანქვეშ კოფეინი, B₁ ვიტამინი და PP ვიტამინი.

პლაზმოციდის უკუჩვენებას წარმოადგენს: მხედველობის ნერვის და ბადურას დაავადება, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება, აწეული მგრძნობელობა პლაზმოციდის მიმართ. ენცეფალიტი. მენინგოენცეფალიტი (წარსულშიაც კი).

პლაზმოციდი გამოშვებულია:

- ა. ტაბლეტებში (მწვანე ფერის): აკრიქინი 0,1 გ
 პლაზმოციდი 0,02 გ
 მეთილენის ლურჯი 0,00025 გ
- ბ. რუხი ფერის ტაბლეტები: ბიგუმალი 0,1 გ
 პლაზმოციდი 0,02 გ

ან ამის ნახევარ დოზებში.

გ. მუქი წაბლისფერი ტაბლეტები (აბჯ):

აკრიქინი 0,1 გ
ბიგუმალი 0,1 გ
პლაზმოციდი 0,02 გ

ან ამის ნახევარ დოზებში.


ინახება დაკეტილ კარადაში (კარადა A) კარგად თავდაცობილ მუქი მინის ქილებში.

ფერშეცვლილი ტაბლეტები უვარგისია.

ჰ ი ნ ა ჰ ი ნ ა

Chininum

ქინაქინა ამავე სახელწოდების ხის ქერქიდან მიღებული ალკალოიდია.



ქინაქინა გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევის ორგანოებზე და საშვილოსნოს კუნთებზე.

ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ ის იწვევს მოდუნებას, გაბრუნებას, ყურებში შუილს, თავის ტკივილს, თავბრუს; დიდ დოზებში — მხედველობის დაქვეითებას და ზოგჯერ გრძნობის დაკარგვასაც კი. მოქმედებს ტემპერატურის მარეგულირებელ ცენტრზე.

გულ-სისხლძარღვებზე გავლენა გამოიხატება გულის აგზნებადობის შემცირებაში, რეფრაქტორული პერიოდის გახანგრძლივებაში და მიოკარდიუმის კუმშვადობის შესუსტებაში (უარყოფითი ბათმო-დრომოინოტროპული მოქმედება). იწვევს საშვილოსნოს კუნთების აგზნებას და შეკუმშვის გაძლიერებას.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ქინაქინას გავლენა მალარიულ პლაზმოდებზე. იგი მოქმედებს მალარიული პარაზიტების ერთროციტულ ფორმებზე (იჩენს „შიზოტროპულ“ მოქმედებას), მაგრამ არ ახდენს გავლენას ეკზოფროციტულ ფორმებზე (ქსოვილოვან ფორმებზე) და გამეტოციტებზე. ქინაქინის კლინიკური გამოყენება ემყარება მის ასეთ ფარმაკოლოგიურ თვისებებს: ქინაქინას ხმარობენ ძირითადად (გამეტოციტურ პრეპარატებთან კომბინაციაში) მალარიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

მკურნალობა ტარდება ციკლურად: პირველი ციკლი გრძელდება 3—4 დღეს, ხოლო დანარჩენი—მეორე, მესამე და მეოთხე ციკლი—სამ-სამ დღეს; ციკლებს შორის შესვენებაა 3 დღით. ქინაქინა ავადმყოფს ეძლევა შიგნით დღე-ღამეში 1 - 1,2 გ (თანაბარ დოზებში 2—3-ჯერ მიღებით) ჭამის შემდეგ. ტროპიკული მალარიის მძიმე ფორმების დროს დღიური დოზა შეიძლება გადიდებულ იქნეს 1,5 გ-მდე.

ბავშვებს ქინაქინა ეძლევა: 1 წლამდე—დღე-ღამეში 0,01 გ სიცოცხლის ყოველ თვეზე, 1—10 წ-მდე 0,1 გ სიცოცხლის ყოველ წელზე, ხოლო 11—15 წ—1 გ დღე-ღამეში.

ქინაქინას ავადმყოფებს უნიშნავენ ჩვეულებრივად შიგნით ფხვნილების ან ტაბლეტების სახით, ხოლო მალარიული კომის დროს უნდა გაუყეთდეს ქინაქინა ბიქლორიდის 50% ხსნარის 1 მლ სტერილურ 20 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში ან 40% გლუკოზის ხსნარში იდაყვის ვენაში ნელი შეყვანით და უშუალოდ ამის შემდეგ იმავე ქინაქინის ხსნარის 1 მლ—ღრმად კანქვეშა ქსოვილში. ქინაქინის ინექციები უნდა გაგრძელდეს ყოველ 8 საათში, სანამ ავადმყოფი არ გამოვა კომის მდგომარეობიდან; ამის შემდეგ კი მკურნალობა უნდა ჩატარდეს პრეპარატის შიგნით მიცემით (სხვა შემთხვევაში ქინაქინის კანქვეშ ინექციებს უნდა ვერილობთ).

ქინაქინამ თავის დროზე უეჭველად უდიდესი როლი შეასრულა მალარიის მკურნალობის საქმეში, მხოლოდ ამჟამად, მან, როგორც მალარიის საწინააღმდეგო საშუალებამ, ადგილი დაუთმო სხვა ახალ, უფრო ეფექტურ სინთეზურ პრეპარატებს.

კარდიოლოგიურ პრაქტიკაში ქინაქინის პრეპარატებს (უფრო ქინილინს) აქვს გამოყენება პაროქსიზმული ტაქიკარდიის, მოციმციმე არითმიის და ექსტრასისტოლების საწინააღმდეგოდ. მათი ზეგავლენით მცირდება გულის კუნთის აგზნებადობა, ხანგრძლივდება რეფრაქტერული პერიოდი, რაც ხელს უწყობს მოციმციმე არითმიის ლიკვიდაციას და ნორმალური რიტმის აღდგენას. აქვს

აგრეთვე მნიშვნელობა იმპულსების გამტარებლობის უნარის შემცირებას გამტარებელ გზებში. ქინინის ხმარობენ უფრო ხშირად ტაქიკარდიული ფორმის შემთხვევებში, თუ არ არის გამოხატული გულის კუნთის უკმარისობა. აძლევენ: პირველ 2—3 დღეს 0,2 გ ერთჯერ დღეში, 3—4 დღეს კი 0,2 გ 3-ჯერ დღეში, შემდეგ დღეებში თანდათან უმატებენ—0,8—1,2 გ დღეში; სულ იხარჯება 18—20 გ. მკურნალობის ხანაში ავადმყოფი უნდა იყოს დასვენებულ მდგომარეობაში. პარალელურად უკეთებენ 20% ქაფურის ინექციებს 2 მლ რაოდენობით დღეში 2-ჯერ.

ქინაქინის პრეპარატები იწვევენ საშვილოსნოს კუნთების რიტმულ შეკუმშვებს, რის გამოც მას მშობიარობის სტიმულაციისათვის ხმარობენ სხვა დამხმარე საშუალებებთან ერთად (პიტუიტრინი, პროზერინი და სხვ.). აძლევენ 0,2 გ ყოველ $\frac{1}{2}$ საათში 5 ჯერამდე.

ქინაქინის პრეპარატების ხანგრძლივად ხმარების ან მომატებულ დოზებში მიღების დროს შესაძლებელია განვითარდეს თანამოვლენები: ყურებში შუილი, თავბრუსხვევა, პირღებინება, გულისფრიალი, კანკალი, უძილობა, რაც მოითხოვს დოზის შემცირებას ან პრეპარატის დროებით მოხსნას. უკუჩვენებას წარმოადგენს: აწეული მგრძნობელობა ქინაქინის მიმართ, ჰემოგლობინური ცხელება; საჭიროა სიფრთხილე ორსულობის უკანასკნელი თვეებისა და გულის დეკომპენსაციის დროს.

საექიმო პრაქტიკაში იხმარება ქინაქინის შემდეგი პრეპარატები:

ქინაქინის ქლორიდი (Chininum hydrochloricum).

თეთრი, წვრილკრისტალური ფხვნილია, უსუნო, ძლიერ მწარე გემოსი; ცუდად იხსნება ცივ წყალში (1:30), კარგად—მდულარეში (1:1) და სპირტში (1:3). შეიცავს 82% ქინაქინას. უნიშნავენ შიგნით 0,3—0,5 გ 3-ჯერ დღეში. შეიძლება დამზადდეს კანქვეშ საინექციოდ ანტიპირინთან ერთად.

ქინაქინი ბიქლორიდი (Chininum bhydrochloricum).

უფერული, მწარე გემოს კრისტალებია, ადვილად იხსნება წყალში. შეიცავს 72,3% ქინაქინას.

გამოშვებულია 50%-იანი ხსნარი ამპულებში—1 მლ. უკეთებენ ღრმად კანქვეშ 1 მლ დღეში 2-ჯერ ან ვენაში გლუქოზის 40% ხსნარის 10 მლ, ან ფიზიოლოგიური ხსნარის 10 მლ ძლიერ ნელა შეყვანით (კომატოზური მალარიის დროს).

ჰინაჰინის სულფატი

Chininum sulfuricum

